

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ქართველური ონომასტიკის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მერაბ ბერიძე

ტაძრები და სახელები



გამომცემლობა „ენიკნასალი“
თბილისი 2010

შპს 378(479.22)(066)

UDKს-223

რედაქტორები: *პაატა ცხადაია*
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ვალერი სილოგავა
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: *თინა იველაშვილი*
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

სერგო მელიქიძე
ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: *მარიკა ბაბლუანი*

გარეკანზე ფოტოები ზვიად ბერიძისა

© მ. ბერიძე, 2010

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიას ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-051-5

ტაძრები და სახელები

ტოპონიმიაში გამოყოფენ სახეობას, რომელსაც ეკლესიონიმები ეწოდება. მასში მოიაზრება ყველა საკულტო სახელი, „საკუთარი სახელი რელიგიური, საკულტო წეს-ჩვეულებათა აღსრულების ადგილისა, მათ შორის ეკლესიის, ნიშის, სახატის, საჯვარის, ცალკე მდგომი საკურთხეველის, წმინდა ქვის, წყაროს, ხის სახელწოდება (ცხადაია, 1988:42)“. არსებითად იგივე განმარტება არის გადატანილი წიგნში „ონომასტიკის შესავალი“ (ცხადაია, 2005:175). მოხმობილი განმარტების მიხედვით ტოპონიმთა ეს სახეობა სცილდება ქრისტიანული შინაარსის სახელებს, რადგან წმინდა ხის, ქვის ან წყაროს და მსგავს ობიექტთა სახელები ყოველთვის ქრისტიანული არ შეიძლება იყოს.

„დღემდე, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების შეჯვრებით გაირკვა, რომ ხატი აქ არის ამა თუ იმ ღვთაების სამყოფლად მიჩნეული სალოცავი ადგილი, სადაც შეიძლება შევხვდეთ ისეთ ნაგებობას, რომელიც შესაძლოა, არც კი ჰგავდეს ჩვეულებრივ საყდარს (ე. ბარდაყელიძე, ნ. ხიზნიშვილი, ს. მაკალათია). დასავლეთ საქართველოში კი სულ სხვა რეალობაა... არის ისეთი სალოცავებიც, სადაც ადრე დგმულა და დღეს აღარაა ეკლესია, აღმართულია მხოლოდ ჯვარი... (შავიანიძე, 2001:275).

ეკლესიონიმებში ჩვენ ვიგულისხმებთ ქრისტიანული ტაძრებისა და სალოცავთა სახელებს. ზოგჯერ სოფელთა სახელები თავისი წარმოშობით ეკლესიონიმებია, ამიტომ მათ განვიხილავთ ძველი შინაარსით.

ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული იერუსალიმური სიწმინდეების მნიშვნელოვანი ნაწილია ადგილის სახელები, რომლებიც დარქმეულია საქართველოში. მცხეთაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გადმოღებული იქნა იერუსალიმური ტოპონიმები: ბეთლემი, თაბორი, გეთსამანია, ბეთანია, ჯვარი, გოლგოთა, საბა განმწმენდელის მონასტერი და სხვა. სექტიცხოველი თორმეტი მოციქულის სახელობისა იყო და იგი სიონის მთაზე აგებული პირველი ქრისტიანული ეკლესიის ანალოგიით უნდა იყოს დაარსებული.

მცხეთა, ქართული იერუსალიმი, მოქცეულია იერუსალიმური ტოპონიმის ცენტრში. თაბორი, ბეთლემი, ბეთანია, გეთსამანია და სხვანი გარს აკრავს საქართველოს ძველ დედაქალქს (კეკელიძე, 1957:363). კ. კეკელიძემ ებრაული წარმოშობის ტოპონიმები საქრთველოში შეისწავლა და ყურადღება მიაქცია ქართული ეკლესიის იერუსალიმზე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რისთვისაც აგრერიგად უყვარდათ უძველეს ქრთველებს ეკლესია-მონასტრებისთვის იერუსალიმური სახელების დარქმევა (კეკელიძე 1957: 359).

მცხეთა, სადაც იქადაგა პირველად წმინდა ნინომ ქრისტიანობა, აქტიურობდა იერუსალიმური სახელებით, მაგრამ საქართველოს დედაქალაქის გარდა სხვა კუთხეებშიც გვხვდება ამ ტიპის ტოპონიმები, რომლებიც ჰქვია არა მხოლოდ ტაძრებს, წმინდა მთებს ან სალოცავებს, არამედ სოფლებსაც.

იერუსალიმური ეკლესიონიმები მცხეთაში უშუალოდ იერუსალიმის გავლენით, ანალოგიით იქმნებოდა, რაც შეეხება პერიფერიებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში, იერუსალიმს გარდა, მცხეთას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სხვა იერუსალიმურ სახელებთან შედარებით, ბეთლემი უფრო ხშირად გვხვდება საქართველოში. „იერუსალიმის სამხრეთით, სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს ბეთლემი, რომელსაც ნაზარეთის დასავლეთით მდებარე ბეთლემისგან განსასხვავებლად ჩუქულებრივ „პურიასტანის ბეთლემს“ უწოდებენ (მენაბდე, 1980:28)“.

ბეთლემის სიახლოვეს რამდენიმე კილომეტრშია აღმოჩენილი იტალიელი არქეოლოგის ვ. კორბოს მიერ უძველესი ქართული მოზაიკური წარწერა IV საუკუნისა (მენაბდე, 1980:28), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქრთველებს ბეთლემთან, ქრისტეს დაბადების ადგილთან, კავშირი უძველეს დროში ჰქონიათ და ამიტომ ამ სახელის პოპულარობაც არ არის შემთხვევითი.

ბეთლემი, როგორც ქრისტეს დაბადების ადგილი, პოპულარული იყო ბევრ ქრისტიანულ ქვეყანაში, იგი ბიბლიური წარმომავლობის ებრაული სიტყვაა – ბეთ ლეხემ, რომელიც „პურის სახლს“ ნიშნავს. გარდა პალესტინის ქალაქ ბეთლემისა, რომელიც ქრისტიანთათვის წმინდა ქალაქად ითვლება, ამ სახელწოდებით გეოგრაფიული სახელები სხვაგანაც ბევ-

რი გეხვდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების - პენსილვანიის ცნობილი ქალაქი ბეთლემში.

ბეთლემიად წოდებული პუნქტები საქართველოში სხვაგანაც არის. მაგალითად ბეთლემი-აჭარისწყლის ხეობაში, მთა-ჩაქვისთავი (ბეთლემი), ცხაკაიას რაიონში სოფელი ბეთლემი, რომელიც მეგრულში ბერთემად წარმოითქმის (ჯიქია, 1958:189-190).

ნასოფლარი ბეთლემი მესხეთში მდებარეობს ასპინძის რაიონის სოფელ ოთასთან. ბეთლემის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი მიუთითებს, რომ არის ეკლესია სოფელ ოთხიდან სამი ვერსის მანძილზე მის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ჯიქია, 1958:189).

ეკლესიონიშთა ერთი ნაწილი კომპოზიტურია და მის მეორე ნაწილს წარმოადგენს ზედსართავი სახელი წმინდა. აშკარაა, რომ გიორგიწმინდა, ანდრიაწმინდა, სტეფანწმინდა, მარიაშწმინდა, ელიაწმინდა და სხვანი დღეს სოფელთა სახელებია, რომლებიც თავის დროზე ეკლესიის სახელები იყო და შემდეგ მოხდა მათი გადასვლა სოფელზე. ამას შეიძლება ტოპონიმიური მეტონიშია ვუწოდოთ. მაგალითად ახალციხის რაიონის სოფ. გიორგიწმინდაში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია არ დგას. ამას თავისი წინაპირობები აქონდა. გიორგიწმინდაში მაჰმადიანური მოსახლეობა იყო 1944 წლამდე, მათი ვასახლების შემდეგ იქ ჩამოსახლდა იმერეთიდან და მთიულეთიდან მოსახლეობა, რომელთაც ეკლესია არც კი დახედრიათ, მაგრამ სოფელს გიორგიწმინდა ერქვა და არც მუსლომანებს არც ახლად მოსულეებს და, რაც მთავარია, არც კომუნისტებს არ უფიქრიათ სოფლისათვის სახელის შეცვლა.

როგორც ჩანს, ტაძრის სახელი, რომელიც წმინდა გიორგის უკავშირდებოდა, დიდი ხნის წინ გადავიდა სოფელზე, რადგან იგი ამ სახელით უკვე მე-16 საუკუნის მიწურულს მოიხსენიება (ჯიქია, 1958:212). სამცხეში სხვა გიორგიწმინდაც იყო, რომელიც დღეს ნასოფლარია ურავლის ხეობაში (ჯიქია, 1958:212). ხოლო ნიალის აგარასთან, ერუშეთის მთებში, ვარძიის თავზე, ადრევე გაუჰკაცრიელდა გიორგიწმინდა. იგი უკვე მე-16 საუკუნეში იყო დაცლილი (ჯიქია, 1958:367).

გიორგი კაბადოკიელი ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული წმინდანია ქრისტიანულ სამყაროში. მის სახელზე ბევრი

ეკლესია იყო აშენებული საქართველოში. როგორც ვახუშტი ბრძანებდა – „ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამისა გიორგისანი ყოელისა ივერიისა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანი (ვახუშტი 1973:40)“. მიუხედავად ასეთი დიდი პატივისცემისა და წმინდა გიორგის სახელობის ტაძართა სიმრავლისა, სოფლის სახელად მხოლოდ საგარეჯოს რაიონში გვხვდება, დანარჩენი კი, როგორც უკვე ითქვა, ისტორიულ მესხეთში, კერძოდ სამცხესა და მის მიმდინარე ერუშეთის საზღვარზეა.

სოფ. ოთის სიახლოვეს ასპინძის რაიონში არის ნასოფლარი მამაწმინდა. ქრისტიანული მრწამსის თანახმად ღმერთი ერთია (მამა, ძე და სული-წმინდა). წმინდა სამების პირველი პირია „ყოელისა მკერობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა“. სწორედ მამა ღმერთის სახელობის ეკლესიის გამო უნდა შერქმეოდა ადგილს ეს სახელი.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელთან არის დაკავშირებული სამცხის უდიდესი ტაძრები: ვარძია, აწყური, საფარის ღვთისმშობლის მიძინების X საუკუნის ტაძარი და სხვა მრავალი მცირე ეკლესია, მაგრამ ადგილის სახელად იქცა მხოლოდ ერთგან მარიამწმინდა ღვთისმშობლის სახელი მარიამი თავიდანვე პოპულარული იყო სამცხეში და საქართველოში საერთოდ. „იგი ქალის უპეველესი ქრისტიანული სახელია საქართველოში. წარწერებში დასტურდება ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებიდან. ე.ი. იმ დროიდან რა დროიდანაც ქართული წერილობითი ძეგლები მოიპოვება (სილოგავა, 1997:26)“.

მარიამწმინდაში ჯერ იქნებოდა წმინდა მარიამის სახელობის ეკლესია და შემდეგ ეწოდა სოფელს ღვთისმშობლის სახელი. იგი მდებარეობდა ახალციხის მიდამოებში სოფელ ივლიტასთან ახლოს. XVI საუკუნეშივე უკვე ნასოფლარია, დღეისათვის მისი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ ხერხდება (ჯიქია, 1958:64).

წმინდანის სახელთან არის დაკავშირებული სოფლის სახელი მიქელწმინდა, სადაც აგრეთვე არ არის წმინდა მიქაელის სახელობის ტაძარი, იმავე მიზეზით, რომ ქრისტიანები იქ ახალ მოსახლეობამდე აღარ იყვნენ და მაჰმადიანე-

ბი ცხოვრობდნენ, თუმცა ეს სოფელიც ამავე სახით იხსნება მე-16 საუკუნეში.

სოფელი ელიაწმინდა ახალციხიდან 10-იოდე კილომეტრზეა, მის ჩრდილოეთით. სოფლის მახლობლად არის ერთნაიანი დარბაზული ეკლესია, რომელსაც პატარა აბსიდიანი ეკვდერი აკრავს. ეკლესია მოპირკეთებული იყო გათლილი ქვებით, რომელიც დღეს შემოძარცვულია, მცირე ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი კარიბჭიდან. არქიტექტურული ფორმებით, დეკორის მოტივებითა და შესრულების ხარისხით ეკლესია XIII-XIV სს. უგუმბათო ტაძრების რიცხვს მიეკუთვნება (ს.მ.ე.გ., 2007:299-300). ამ სოფლის სახელიც ძველია და მე-16 საუკუნეშია დადასტურებული. მართალია, დღეს არაინ იცის სოფლის ეკლესია ვისი სახელობისაა, მაგრამ შეიძლება, დაბეჯითებით ითქვას, რომ იგი წმ. ელიას სახელობისა უნდა იყოს. სამცხეში ელიობა და ელიაწმინდა არ აირევა ერთმანეთში. ელიობა წარმართულ ღვთაებას ელიას უკავშირდება. ელიობა მთა არის ანდრიაწმინდა-ანდის მიდამოებში. ელიას ხალხი შესთხოვს დარსა თუ აედარს იმის მიხედვით თუ რომელი სჭირდებათ. „ცა-ღრუბლის ღვთაებას, რომელსაც ტაროსის საქმე ეკითხება, თანამედროვე ხალხურ რწმენაში, მოადგილედ რამდენიმე ღვთაება აყვავს: ჩვეულებრივ მის ალაგს „ელია“ არის – იგი ითვლება ღრუბელთა ბატონად: მას შესთხოვს ხოლმე და ევედრება ქართველი ხალხი წვიმას, როცა გვალვა აწუხებს და ხრუკავს არემარეს და გამოდარებას და „მზის თვალს“, როდესაც დაუინებელი წვიმა-ავდარი ალპობს ჭირნახულსა, ...უეჭველია აქაც ძველი წარმართობის დროინდელი სარწმუნოებრივი შეხედულებაა შერჩენილი (ჯაუახიშვილი, 1979:116-117).“ ელია სამცხეში წმინდანად არ აღიქმება. ელიას შეიძლება დაემდურო, ეჩხუბო, უსაყვედურო, რატომ არის აედარი ან დარი და ა.შ. რასაც არ აკადრებენ ქრისტიანულ წმინდანებს. ელიობის მთაზე არის მხოლოდ სალოცავი ნიში.

ქრისტიანობის გავლენით ელიას კულტმა ზოგიერთი ქრისტიანული ელემენტი შეიძინა. ხალხმა წარმართული ღვთაება დაუკავშირა ცად ამალელებულ ბიბლიურ წინასწარმეტყველ ელიას, აგრეთვე წვიმისა და ჭექა-ქუხილის გამგებელს. ამ ორი კულტის მსგავსება სახელის გარდა არის იმაშიც, რომ ორივე ქრისტიანობამდელია. ელია წინასწარ-

მეტყველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX საუკუნეში ცხოვრობდა. ღმერთის ნებით ელია აყვანილი იქნა ზეცაში ცეცხლად, ცეცხლოვანი ეტლით. (ს.მ.ე.ელ., 2007:299). ეს ორი ღვთაება-წარმართული და ქრისტიანული-ოდითგანვე იყო აღრეული ერთმანეთში თუ ოდითგანვე ავსებდა ერთმანეთს. ამის კარგი მაგალითია ჩართული გიორგი ათონელის „იონანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“, რომელიც დაიწერა მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში.

ერთ ზაფხულს დიდი გვალვა დაიჭირა. მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო არ ეწვიმა. „დიდად მისჭირდა ქვეყანასა, ვიდრელა ფურცელი ხეთა და ვენახთაჲ გახმა და სკვიოდა. და დიდსა ურვასა შინა იყენეს კაცნი (ათონელი, 1982:394)“. მონასტრის მთაზე იყო აშენებული ეკლესია წმინდისა ელია წინასწარმეტყველისაჲ. და ვითარ მოიწია დღესასწაული წმინდისა ელიაჲსა“, იოვანემ უბრძანა ეფთვიმეს, რომ წასულიყვნენ „ეკლესიასა წმიდისა ელიაჲსა“, ღამე ეთიათ და ჟამისწირვა აღესრულებინათ.

შეიკრიბა ბერთა ძმობა, დაიწყეს ღოცვა და ღამისთევა. „ვითარ მოიწია ჟამისწირვისა ჟამი, შეიმოსა წმიდაჲ მამა ჩვენი ეფთვიმე და ვითარ იწყეს ღოცვად, პირველ სახარებისა წაკითხვისა გამოჩნდა მცირე ღრუბელი ერისონსა ზედა. და ვიდრე ჟამისა ზიარებამდე შეიქმნა წვიმაჲ საშინელი და დაათრო ყოველი ქვეყანაჲ (ათონელი, 1982:395).“

ელიაწმინდის მოსახლეობის ცხოვრების ხაზი რომ არ შეწყვეტილიყო, არ შეეცვალათ სარწმუნოება, შეიძლება კავშირი ელიობასა და წმინდა ელიას სახელობის დღესასწაულს შორის დღევანდლამდე მოსულიყო. დღეს ელიობა სხვაა და ნებისმიერი ქრისტიანული დღესასწაული სხვა. ჩვენ არ ვიცით, როგორ აღინიშნებოდა ელია წინასწარმეტყველის დღესასწაული ელიაწმინდაში 20 ივლისს.

ელიაწმინდა, გარდა ახალციხის რაიონისა, იყო ათონის მთაზე, სადაც ჩვენ მიერ მოყვანილი ამონაწერის მიხედვით, ეფთვიმე ათონელმა ილოცა და სასწაულებრივად მოიყვანა წვიმა. ეს ადგილი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ მასში კარგად ჩანს ეკლესიის სახელის ქცევა ტოპონიმად. წმინდა ელიას სახელობის ეკლესიამ მოგვცა ელიაწმინდა. ელია პქკია დღეს თბილისის უბანს, სადაც დგას სამების ტაძარი. სახელი შერქმეული აქვს ელია წინასწარმეტყველის სახე-

ლობის ტაძრის მიხედვით. სავარაუდოა, რომ თავიდან მასაც ელიაწმინდა ერქვა.

სობილისის ელია მახათას მთაზე გამოიკვლია თ. ბერიძემ. მეოცე საუკუნის სინამდვილე ასეთია: „უბან ელიაში რაიმე საკულტო ნაგებობის თუ სალოცავის ნიშანქვალი ჩვენს მიერ დღესდღეობით დამოწმებული არაა და მის არსებობაზე არც ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროები მიგვითითებენ (ბერიძე, 1977:189)“. მიუხედავად ამისა, მეცნიერს მოძიებული აქვს მრავალი ცნობა თბილისის ელიას შესახებ და ასევე აგრეთვე, რომ ილია და ელია ერთი და იგივე ღვთაებებია (ბერიძე, 1977:192). ასევე მითითებული აქვს მას საქართველოში ელიას სახელზე აგებული ეკლესიები: წითელწყაროში, სოფ. ქვემო ბოდბეში, სოფ. გამარჯვების ვსაზე და ელიას მთა ანაგაში (ბერიძე, 1977:192).

1595 წელს ურავლის ხეობაში, მისი მარცხენა ნაპირიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, სოფელ ბორჯომთან აღწერილია სოფელი ანდრიაწმინდა. იმ დროისათვის 42 კომლიანი სოფელი დიდ სოფლად ითვლება (ჯიქია, 1958:221). იქვე ჩამოთვლილია ორმოცდაორივე ოჯახის უფროსი, მათ შორის: დემეტრე, მამისა, ელია, ფასია, გრიგოლ, ზაქარა, პეტრე, საბია და სხვანი (ჯიქია, 1941:157).

ამ სოფელში მართმადიდებელი მოსახლეობის ცხოვრება არ შემწყდარა, ამიტომ შემოგვრჩა სოფლის შუაგულში მღვარი წმინდა ანდრიას სახელობის ეკლესია.

ანდრია მოციქული, პირველწოდებული, თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი, იესო ქრისტეს პირველი მოწაფე და ამიტომ „პირველ წოდებულად“ სახელდებული (ივ. ჯავახიშვილი) წარმოშობით იყო გალილეელი.

წმ. ანდრია მოციქული საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად წამოვიდა მარიამ ღვთისმშობლის ნაცვლად, გამოიარა, ტრაპიზონი, აჭარა, კლარჯეთი და მოვიდა სამცხეში.

სამცხეში ანდრია შემოდის ზეკარის უღელტეხილით და ოძრხის ხეობით. „ხოლო იგი წარმოემართა და გარდმოვლო მთა, რომელსაც ეწოდების რკინის-ჯუარი და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თვთ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმატებულ არს. ხოლო ვითარცა შთაველო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღვართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსაც ეწოდების ზადენ-გორა (ლეონტი მროველი, 1955:39)“.

ამბავი ეხება პირველ საუკუნეს, მაგრამ ცნობა ანდრიას საქართველოში მიმოსვლის შესახებ ჩნდება გვიან. იგი საქართველოში მოღვაწედ პირველად მოიხსენია ბიზანტიელმა ისტორიკოსმა ნიკიტა პაფლაგონიელმა, ხოლო ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველი ცნობა წმ. ანდრიას საქართველოში ქადაგების შესახებ დაცულია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ამსახველ თხზულებაში (XI ს.), როგორც ეს გარკვევა ივ. ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი, 2002:129).

ლეონტი მროველის თხზულებაში ჩართული ანდრია მოციქულის ამბებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გეოგრაფიული პუნქტები, რომელიც მან გაიარა. ზადენ-გორა – ასეთი დასახლებული პუნქტი დღეს სამცხეში არ არის და საინტერესოა, რომ არც მე-16 საუკუნეში ჩანს, როდესაც ოსმალებმა აღწერეს ეს მხარე. მაშინ ზადენი ცალკეა და გორა ცალკე სოფლად. ზადენი ნასოფლარის სახით ჩვენამდე მოვიდა და იგი „ვარხნის პირდაპირ“ მდებარეობს, მე-16 საუკუნეში კი ოც კომლიანი სოფელია (ჯიქია, 1958:173), ხოლო გორაში თერთმეტი კომლი ცხოვრობდა (ჯიქია, 1958:173).

ზადენი, როგორც წარმართული ცენტრი, ეტყობა, აერთიანებდა ამ ხეობის სოფლებს.

„სამცხეში ზადენ-გორის არსებობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მესხებს მცირე აზიიდან მოყოლებული ღვთაების საკულტო კერები მცხეთის გარდა მესხეთის ისეთ მნიშვნელოვან ადგილზე შეუქმნიათ, როგორიც არის ოძრხის ხეობის დასაწყისი (მაისურაძე, 1976:269)“. ამიტომაც იყო, რომ „მოხედნა მოციქულმან და იხილნა კაცნი მის ადგილისანი, რამეთუ უზურვიდეს კერათა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერანი დაემხუნეს და შეიმუსრეს (მროველი, 1955:39)“. სამცხეში, აწყურში მთავერობდა ქერივი სამძივარი, რომელმაც სასწაულის ხილვის შემდეგ (ანდრიამ გარდაცვლილი მისი შვილი გააცოცხლა), მოუწოდა მესხებს და მიიღეს ქრისტიანობა. ოძრხის ხეობაში აღმოსავლურ (ხეთურ-ურარტულ, გ. მელიქიშვილი) კერას ზადენს სცემდნენ ქართველები თაყვანს, იმავე სამცხეში, იმავე არეალში, სულ რაღაც ორმოც კილომეტრში, აწყურში „იყო ქალაქსა მასს შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი არტემიდა და აპოლონ (მროველი, 1955:41)“, ბერძნული კერაები.

ანდრიაშ უჩვენა ძალი ღეთისმშობლისა, რის საშუალებითაც გააცამტვერა აპოლონისა და არტემიდას კერპები (ჯავახიშვილი).

სხვადასხვა კერპთა თაყვანისცემა, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ქართველთა ერთიანობას. ამ კუთხითაც პროგრესული და აუცილებელი იყო მესხთათვის და საერთოდ ქართველთათვის ქრისტიანობა.

ანდრიაწმინდა ანდრიას გზაზე არ მდებარეობს. ზეკარი – რკინის ჯუარი–ოდრხე-ზადენ-გორა – აწყური – ეს გზა გადის ოცხის წყლის, ქვაბლიან-ფოცხოვის და მტკერის ხეობაში, ხოლო ანდრიაწმინდა უფრო სამხრეთით ურავლის წყლის ხეობაშია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანდრია პირველწოდებულის ეკლესია ააშენა ანდრიას რომელიმე მოწაფეთაგანმა ბევრად უფრო გვიან, მოციქულის მოგზაურობის შემდეგ, ბოლოს კი ეკლესიის სახელი გადავიდა სოფელზე.

კომპოზიტური ეკლესიონიმების მეორე ნაწილი არის ზედსართავი სახელი წმინდა, რომელიც ძველ ქართულში ნარის გარეშე იხმარებოდა. სულხან-საბა ორბელიანი ამბობდა: „წმიდა მოასწაყებს: დიდებულ იყავ, ქებულ იყავ და ამაღლებულ იყავ, წმიდა ითქმის ხოლოთა ღმრთისა ზედა და რომელნი ღმერთმან წმიდა-ყუნა მსახურნი და სათნომყოფელნი მისი; და მღღელნი რა მიიღებენ ღმრთისა მიერ კურთხევასა, წმიდა-პყოფენ პურსა, ღვინოსა, წყალსა, ზეთსა, კურთხევითა მით; ზეშთაწმინდა ითქმის წმიდისა სამებისა და ღმრთაებისათვის და წმიდისა ხორცისა და სისხლისათვის ქრისტესისა და მარიამ ღმრთისმშობლისათვის, უფროსად წმიდა ანგელოზთა და თავთა მოციქულთა (ორბელიანი, 1966:381)“.

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით წმიდა არის „სუფთა, უბიწო, წმინდა, აუღმღერეველი (აბულაძე, 1973:549)“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წმიდა იგივეა, რაც წმინდა, ხოლო წმინდა არის – შეურეველი, ხალასი, ანკარა, სუფთა (ქ.ე.გ.ლ. 1974:1157).

„წმიდა“ – ამ სიტყვით აღინიშნება ღირსი, განწმენდილი, კურთხეული, მართალი, ყოვლად სრულქმნილი (ღმერთი), სარწმუნოებრივი კანონებით მცხოვრები, ღეთის მსახური, მართლმორწმუნე, ძლიერი, მტკიცე, რჩეული (აღამიანები),

სადღესო მსახურებისათვის განკუთვნილი (ნიუთები) და ა. შ. (ს.მ.ე.ლ., 2007:966).

1. ზედსართავი სახელი წმიდა უსწრებს ან მოსდევს საზღვრულს. თანამედროვე და ძველ ქართულს შორის მსახურულ-საზღვრულის ადგილის შესახებ ერთგვარი სხვაობაა. „დღევანდელი ქართულის ნორმათა მიხედვით მსახურელისა და საზღვრულის რიგი ჩვეულებრივ ასეთია: ჯერ მსაზღვრელი, მერე კი საზღვრული... მაგრამ არაიშვიათია შებრუნებული რიგიც, – ჯერ საზღვრული, მერე კი მსახურელი...“

ძველ ქართულში უკანასკნელი რიგი სჭარბობდა (საზღვრულ-მსაზღვრელი), ახალში კი პირველი (მსაზღვრული-საზღვრული), მაგრამ ძველ რიგს დღესაც ფართო გამოყენება აქვს, განსაკუთრებით პოეზიაში (შანიძე, 1973:91)“.

აკ. შანიძის მიხედვით „წმიდა მოციქული“ არის ახალი ქართულის რიგი, ხოლო „მოციქული წმიდა“ – ძველი ქართულისა.

მსაზღვრულ-საზღვრულის ურთიერთობა და ბრუნება სპეციალურად შეისწავლა ივ. იმნაიშვილმა და არსებითად დაადასტურა აკ. შანიძის აზრი: „ზედსართავი სახელი ძველ ქართულში შეიძლება უსწრებდეს არსებით სახელს (დიდი სახლი), მაგრამ შეიძლება მოსდევდეს მას (სახლი დიდი). ძველი ქართულისათვის უფრო დამახასიათებელია მეორე შემთხვევა (სახლი დიდი), შემთხვევათა მეტი რაოდენობა მსაზღვრულს საზღვრულის ბოლოს გვიჩვენებს (იმნაიშვილი, 1957:545)“. როგორც ვხედავთ, მსაზღვრულ-საზღვრულის რიგი ძველსა და ახალ ქართულში არ არის მკვეთრად გამიჯნული.

არც ზედსართავი სახელი „წმიდა“ იჩენს ამ მხრივ რაიმე თავისებურებებს. მას დავაკვირდით გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ მიხედვით. ზედსართავი სახელი „წმიდა“ უსწრებს საზღვრულ სახელს:

„კეთილად ხსენებულ არიან წმიდათა ეკლესიათა შინა (324)“¹ „შეამკეს და აღუთქვეს ენამ ჩვენი და ქვეყანამ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა (372)“; „რომელი-იგი გა-

¹ გვერდები მითითებულია გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ მიხედვით, ქართული პროზა, წიგნი 1, 1982.

მოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩვენისა და მობაძავედ
 „წმიდათა მოციქულთა“ (372)“; „წმიდისა იოვანე მახარებლი-
 სა ეკლესიამ აღაშენეს“; „წმიდაო მამანო, მე ცოდვათა ჩემ-
 თათვის მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილა (377)“; „წმიდაო
 მამაო (377)“; „აწ ევედრები სიწმიდესა თქვენსა (377)“; „წმი-
 დასა მეფობას თქვენსა ურჩ ვერ ვექმნები (378)“; „იოვეს ად-
 გილი შეენიერი შუა მთაწმიდისა და აღაშენეს მონასტერი
 და ეკლესიანი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელსა ზედა
 და წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისასა (379)“; „ესე ყოვე-
 ლი გამონახეს წმიდათა მამათა (380)“; „წმიდაო, ღმერთშემო-
 სილო მამაო (382)“; „სწაელანი წმიდისა კვირილესნი (383)“;
 „ხატი ცვილიანი წმიდისა ვესტრატისი (383)“; „ესე ყოველი
 თვით წმიდისა მამისა ეფთვიმესი ხელთა ნუსხისაგან დაგვი-
 წერია (383)“; „წმიდანო მამანო, ჩვენ ღიღი სიყვარული
 გვაქვს სიწმიდისა თქვენისა (385)“; „არა ინებეთ ამას წმი-
 დასა და სახელოვანსა მთასა მოსლვამ, რათამცა თქვენი
 წმიდამ ლოცვამ მიგველო (386)“; „წარგიძღვიან წმიდასა ნე-
 ბასა მისსა და საღმრთოთა მისთა მცნებათა, მეოხებითა
 ყოველად წმიდისა ღმრთისმშობელისადა (388)“; „მოვიდა
 ჩვენთა წმიდასა ამას მთასა (388)“; „მოიხსენებდით წმიდათა
 ჟამისწირუთა შინა (388)“; „წმიდამ სული თვისი (388)“; „ზე-
 და ეკლესიამ წმიდათა მთავარანგელოზთამ აღაშენა (389)“;
 „წარვედ ტაძარსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და დაევარ-
 დი წინაშე ხატსა წმიდისა დედოფლისასა (389)“; „გააზრახეს
 წმიდასა მას ბერსა (392)“; „წმიდასა ბენეტიქტესა (393)“;
 „წმიდასა ბერსა დიდსა ლეონს (393)“; „არს მცირე მონ-
 ასტერი მონასტრისა ჩვენისა მთასა ზედა, სადა იგი შენ
 არს ეკლესიამ წმიდისა ელია წინამწარმეტყველისამ და ვი-
 თარ მოიწია დღესასწაული წმიდისა ელიამისი... (394)“; „წმი-
 დამან მამამან ჩვენმან ეფთვიმე (395)“; „წმიდამ არსი (395)“;
 „საყდარი წმიდისა ეპიფანე კვიპრელისამ (396)“; „წმიდათა
 წერილთაგან ასწაევბნ (402)“; „აღასრულა წმიდამ ჟამისწირ-
 ვამ (403)“; „შეუერდა წმიდათა ფერხთა (404)“; „წარველეს
 წმიდათა ყოველთა საწუთროი ესე (404)“; „უბრალონი და
 უბიწონი და წმიდანი ყოველისგანვე ცოდვისა (404)“; „წმიდაი
 ბერი იოვანე გრძელის ძე (410)“; „ტაძარი წმიდისა სვიმეონ
 მოხუცებულისასა (411)“; „წმიდათა წერილთაისამ (413)“; „მო-
 იწია დღესასწაული წმიდისა იოვანე ღმრთისმეტყველისამ
 (415)“; „მოეხსენა ხატი წმიდისა იოვანე მახარებლისამ (415)“;

„აღიძრნეს წმიდანი მამანი ჩვენნი იოვანე და ეფთვიმე და მას წმიდასა მთასა მოიწინეს (418)“; „წმიდანი კაცნი მოვიდოდეს (419)“; „წმიდამ ბერი გრიგოლ (420)“; „რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა გამოჩნდეს (423)“;

„სასუფეველსა ცათასა მკვიდრ გვიჩინენ მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაიდათა და წმიდისა ნეტარისა მამაისა ჩვენისა ეფთვიმესითა(423)“;

2. ზედსართავი სახელი „წმიდა“ მოსდევს საზღვრულ სახელს: „აღილო ქე თვისი რავედენიმე მოწაფენი და მთაწმიდას მოვიდა (375)“; „ფარულად გამოწველილა და ცნა, ვითარმედ მთაწმიდას არს (375)“; „შუა მთაწმიდასა აღაქენეს...(379)“; „სხვაი წიგნი სადღესასწაულოდ საჩინოთა წმიდათამ (383)“; „და მამანცა ეფთვიმე, ამის ზემო წერილისგან კიდე, მისცა თვისისა მონასტრისათვის ეფთვიმე-წმიდისა საშუალსა ორასი დრაჰკანი (384)“; „სულისა წმიდისა მადლითა აღიესო (389)“; „მთაწმიდას ოდენ ითარგმნა (391)“; „მთაწმიდელთა უფროდსნი საურაენი (391)“; „მოვიდა ექვსთა მოწაფეთა თვისთა თანა მთასა ამას წმიდასა ლოცვათ (392)“; „ვითარცა არს წესი მთაწმიდელთამ (395)“; „ხელთა შენთა წმიდათა მომიცემიეს (403)“; „არსენი ნინოწმიდელი (410)“; „იხარებენ ყოველთა წმიდათა თანა (411)“; „მეოხ არს ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთამსა წინაშე სამების წმიდისა (416)“; „არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი (409)“; „ყოველთა წმიდათაიდათ რომელნი საუკუნიტგან სათნო იყვნეს ღმერთისა (423)“.

გიორგი მთაწმინდელის „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ გვიჩვენებს, რომ ზედსართავი სახელი „წმიდა“ უმრავლეს შემთხვევაში იხმარება, როგორც თანამედროვე ქართულში – მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს. მას შეიძლება მოსდევდეს საზღვრულად: ეკლესია („წმიდათა ეკლესიათა“), წერილი („წმიდათა წერილთაიდათა“), მოციქული („წმიდათა მოციქულთაიდა“), ადგილი („წმიდასა ადგილსა“), მამა („წმიდანო მამანო“), მეფე („წმიდასა მეფობასა“), მთა („წმიდასა და სახელოვანსა მთასა“), ლოცვა („წმიდამ ლოცვაიდა“), ჟამისწირვა („წმიდათა ჟამისწირვათა“), სული („წმიდამ სული“), მთავარანგელოზი („წმიდათა მთავარანგელოზთაიდა“) და სხვა.

წმიდა ახლავს ატრიბუტულ მსაზღვრელად წმინდანებს: წმიდა ღმრთისმშობელი, წმიდა იოანე ნათლისმცემელი, წმი-

და ეფრემი, წმიდა კვირილე, წმიდა ევტრატი, წმიდა ეფთვი-
მი, წმიდა დედოფალი, წმიდა ბენედიქტე, წმიდა ელია წინას-
წარმეტყველი, წმიდა ეპიფანე კვიპრელი, წმიდა იოვანე
ღმრთისმეტყველი, წმიდა იოვანე მახარებელი, წმიდა გრი-
გოლ.

ბევრად ნაკლებია შემთხვევა, როდესაც მსაზღვრელი
მოსდევს საზღვრულს. ამ დროს სჭარბობს ტოპონიმები:
მთაწმიდა, ეფთვიმი-წმიდა, ნინოწმიდა. როდესაც ავტორს
სურს მიუთითოს ადგილის სახელი, უპყველად მოპყვება
წმინდანის სახელს მსაზღვრელი „წმიდა“, ხოლო, როდესაც
ეკლესიის სახელზეა საუბარი, წინ უსწრებს მსაზღვრელი.
„მოვიდა ჩვენთა წმიდასა ამას მთასა“, „წმიდასა ამას მთასა
მიიწინეს“. სხვა შემთხვევაში „მთაწმიდა“ და ის უკვე ადგი-
ლის სახელადაა ქცეული. ეკლესია არის „წმიდისა ელია წი-
ნასწარმეტყველისამ“, „წმიდისა ელიამსა“, რომელიც საბო-
ლოდ იქცა ელიაწმინდად (ს.მ.ე.ე., 2007:299).

სამცხეში მსაზღვრელ-საზღვრულის აღნიშნული ურთი-
ერთობა წესად არის ქცეული. ტაძრები და ეკლესიები არის
წმინდა ანდრიასი, წმინდა ელიასი, წმინდა საბასი, წმინდა
გიორგისა და ა. შ. ხოლო სოფლის სახელები არის ელიაწ-
მინდა, ნინოწმინდა, ანდრიაწმინდა, გიორგიწმინდა, მიქელ-
წმინდა, სტეფანწმინდა, ზაქარწმინდა და სხვა.

შარძია

ეკლესია-მონასტრები უდებენ სათავეს ახალ ტოპონიმებს.
ქრისტიანული ძეგლებით იქმნება ქრისტიანული პერიოდის
ტოპონიმია, მაგრამ არის ტაძრები, რომელთა მშენებლობის
შესახებ მოგვითხრობს მატთანე თუ ჰაგიოგრაფიული ლიტე-
რატურა. სახელი არსებობდა, ერქვა ადგილს და ამ ადგილ-
ზე აშენდა ტაძარი. ასეთი ერთ-ერთი უპირველესი ძეგლი
არის ვარძია.

ვარძია სამია საქართველოში. სამივე ჩვენი კულტურისა
და საეკლესიო ცხოვრების ისტორიასთან არის დაკავშირე-
ბული. ერთი მათ შორის არის სოფელი იმერეთში, ხარაგაუ-
ლის რაიონში, მდინარე ბორიშელის მარცხენა მხარეს, რაი-
ონის ცენტრიდან 18-კმ-ის დაშორებით. „სოფლის ტერიტორი-

აზე ყოფილა მონასტერი, რომლისაგანაც 1790 წლისათვის დარჩენილა ეკლესია და სამრეკლო. ამ წელს ლეკებს გადაუწვიათ სოფელი და ეკლესია დაუნგრევიათ. ძველი ეკლესიის ადგილზე ააგეს თეთრი თლილი ქვით მოპირკეთებული დიდი გუმბათოვანი ეკლესია, დასავლეთის მხარეს მოაშენეს და სარკმლის კედლებში ჩატანებულია ძველი ეკლესიის მონუქურთმებული ქვები, რის მიხედვითაც ჩანს, რომ მონასტრის ეკლესია დაახლოებით XI-XIII საუკუნეებს განეკუთვნებოდა. სამრეკლო, წარწერის თანახმად, 1777 წ. აღუდგენია ნიკოლოზ ყიფიანს, ნათლისმცემლის უდაბნოს ყოფილ წინამძღვარს, რომელიც შემდეგ ვარძიის მონასტრის (იმერეთში) წინამძღვარი გამხდარა (ს.მ.ყელ., 2007:324)“. ზემო იმერეთში არის აგრეთვე სოფელი პატარა ვარძია, მდინარის სახელი ვარძიულა, ვარძილელე და სოფლის სახელი ვარძაღეთი (ტოპონიმია, 1987:76).

ორი ვარძია მტკერის ხეობაშია, მის მარცხენა ნაპირზე, ერუშეთის ფერდობებზე, რომელიც დაქანებულია მტკერისაკენ. ზედა ვარძია ვიწრო ხეობის თავშია. ზედა ვარძიის წყალი მოედინება ამ ხეობაში და ერთვის კორისხეთან მტკეარს.

ისტორიულად ზედა ვარძია იყო სოფელი, რომლის ხუთი კომლი დაფიქსირებულია მე-16 საუკუნეში. დღეისათვის ზედა ვარძიაში არის დედათა მონასტერი.

ზედა ვარძიის მშენებელთა ამავე სახელწოდების ეკლესია, რომელსაც კარის თავზე მოთავსებული აქვს წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ქ. დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ ერისთავთ-ერისთავსა ლიპარიტს და შეილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულმოდგინებით აღგიშენა წმინდაჲ ესე ეკლესიაჲ (ცისკარიშვილი, 1959:35)“. წარწერაში მოხსენებული ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი არის ბაგრატ IV-ის დროინდელი კლდეკარის ერისთავი, რომელიც ბერად შედგომის შემდეგ ანტონად იწოდებოდა (ცისკარიშვილი, 1959:35).

როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, ერისთავთ-ერისთავი იყო ლიპარიტ IV ბაღვაში. იგი თავდაპირველად გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხის აქტიური თანამებრძოლია. მე-11 საუკუნის 30-იან წლებში დაუპირისპირდა ბაგრატ მეოთხეს, ბიზანტიის იმპერიის აქტიური მხარდაჭერის წყალობით არაერთხელ დაამარცხა ის და აიძულა ბიზანტიაში

გახიზნულიყო, მაგრამ იმპერიამ საბოლოოდ ბაგრატი ცნო საქართველოს მეფედ. მათ შორის დაპირისპირება არ ამოიწურა, ბიზანტიის მხარდაჭერას მოკლებული ლიპარიტი ადვილად დაამარცხა ბაგრატმა და ბიზანტიაში გააძევა, სადაც აღიკვეცა ბერად. სიცოცხლის ბოლო წლებში ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას (ჯაფახიშვილი, 2002:418).

წარწერაში მოიხსენიება მხოლოდ ლიპარიტი, მეფე არაა მოხსენებული, „რაც იმის მაჩვენებელია, რომ წარწერის ავტორი მეფესთან ცუდ დამოკიდებულებაშია და ფაქტიურად არ სცნობს მის უზენაესობას (ე. ცისკარიშვილი)“.

ამგვარად, წარწერა და ტაძარი ეკუთვნის XI საუკუნის პირველ ნახევარს.

ზედა ვარძია დიდ როლს თამაშობდა საქართველოს ცხოვრებაში, რადგან მის სანაცვლოდ შენდება შემდეგ ქვემო ვარძიაში ქვაბთა ქალაქი, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ დაეტეოდა ვიწრო ხეობაში.

„ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“ ამის შესახებ მოგვითხრობს: „ესევეითარი ნიჭი და პატივი მიმადლა მის მიერ შეეყვარებულმან ღმერთმან თამარსა, გარნა არცა ის უღებ იქმნა მოქმედებად საქმეთა სათნოთა ღმრთისათა. ამისათვის კელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა ზემთა-კუროხეულისა ვარძიისა ღმრთისმშობლისა, ზემო ვარძიის ქვემო ვარძითა მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოჰკუეთა... ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ (ქართლის ცხოვრება, 1959:90-91)“.

ვარძიას „დიდმან ამან“ შესწირა მრავალი სოფელი, რომ მდიდარი ყოფილიყო მონასტერი და მართლაც „შეჰკაზმა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი“. შეიქმნა იმდენად ძლიერი მონასტერი, რომ ყველაფრის მოთხოვნა თვით მემატიანისთვისაც ძნელია, ხოლო, „თუ ვისმე ნებავეს ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი კმნულნი და ნაშენები ქუამქმნილნი (ქართლის ცხოვრება, 1959:91)“.

ვარძიის მშენებლობა იმდენად რთული და ძნელი საქმე იყო, რომ ვერ დაასრულა გიორგიმ, ხოლო თამარისაგან მშენებლობის ბოლომდე მიყვანა, მონასტრის შექმნა, მისთვის შემოსავლის დაწესება, განსაკუთრებით ადიდებდა მეფეს - „ამისათვის უმეტეს პირველთა იდიდა მეფობა მისი“.

ყველაფრის საფუძველი და სათავე იყო ზედა ვარძია, საიდანაც წმინდა მადლის გადმოსვლის გარდა, მოედინებოდა წყალიც ვარძიისათვის. სავარაუდებელია, რომ ზედა ვარძიის ანალოგიით უნდა აშენებულიყო იმერეთის ვარძიაც, ალბათ უფრო ადრე, ვიდრე თამარის ვარძია. ლ. მენაბდის აზრით იმერეთის ვარძია ჯავახეთის ვარძიის დუბლიკატი ტოპონიმია. ჯავახეთიდან წასულთ დაუარსებიათ იგი (მენაბდე, I :504).

„ქვემო ვარძიაში გრანდიოზული სამუშაოების ჩატარება უკვე სახელოვანი სალოცავის (ზედა ვარძიის— მ.ბ.) გადმოტანას უფრო შეესატყვისებოდა... უნდა ვიფიქროთ, ვარძიის დიდი ტაძრის აგება—მოხატვას ჯერ ძველი ჯვარ-ხატების გადმოტანა მოყვებოდა, შემდეგ — ზემო ვარძიის მონასტრის მოშლა, ეკლესია კი სოფელს შერჩებოდა (ბერძენიშვილი :119)“.

საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ვარძიის მნიშვნელობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „იმ მაღალს და ნაყოფიერს გონებრივს განვითარებას, რომელიც მეცნიერების აყვავებით და საერო პოეზიის წარმოშობით დაგვირგვინდა, ქართული ხელოვნების (ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, ოქრომჭელობისა და მხატვრობის) სამაგალითო და საუცხოვო ქმნილებანიც მჭერმეტყველებით ამტკიცებენ. ამ დროს მაგ. ააგო დაეით აღმაშენებელმა დიდებული გელათის ტაძარი და თამარის დროს აშენებული იყო ვარძიის განმაცვიფრებელი, კლდეში გამოკვეთილი მონასტერი, რომლის მშენებნიერებით აღტაცებული იყო შაჰაბაზის დროსაც კი გამოჩენილი სპარსეთის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში და თვით ირანის მბრძანებელი (ჯავახიშვილი, 1983:301)“.

სულთნის „არა-საკადრებელი“ წერილის შემდეგ „მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსიით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს. და მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიის ღმრთისმშობლისა წინაშე, და ცრემლითა შევედრა სოსლან დაეით და სპა მისი და დროშა მისის სჯანი და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით (ქართლის ცხოვრება, 1959:91)“.

ბასიანის ბრძოლას რომ იგებს ქართველთა ლაშქარი, ამაში დიდია ვარძიის ღვთისმშობლის როლი. ასევე შეავედრა ვარძიის ღვთისმშობელს ქართული მხედრობა თამარმა სპარსეთში ლაშქრობის დროს.

თამარის განსაკუთრებული დამოკიდებულება ვარძიისადმი ბუნებრივია, რადგან მისი აშენებული და სრულყოფილი იყო იგი. თამარის მიერ ქვეყნის ყველაზე კრიტიკულ სიტუა-

ციაში იქ ჩაბრძანება და ლოცვა ღვთისმშობლის წინაშე სხვაგვარად შემორჩა ხალხის მეხსიერებას. ყველაზე გამორჩეულ ქვებს ვარძიისას თამარის ოთახი ჰქვია. ასევე დაუკავშირა ხალხმა თამარის სახელს ვარძიის სახელის ეტიმოლოგიაც. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ პატარა თამარი დაიკარგა ვარძიაში და მის საძებნელად წამოსულთ აქ ვარ ძი-აო - უთხრა თამარმა.

ჩვენ ვნახეთ, რომ ვარძია დიდი ხნით ადრე, XI საუკუნის პირველ ნახევარში, უკვე არსებობდა ზედა ვარძიის სახით, ამიტომ ეს ლეგენდა ლამაზი გადმოცემაა მხოლოდ.

ილია მაისურაძის აზრით ვარძია იყოფა ორ ნაწილად - ვარძ-ია, რომელშიც ვარძ- არის ძირეული ნაწილი, ხოლო -ია - დაბოლოება (მაისურაძე, 1967). ვარძია „ვარძ- ძირისაგან - ია სუფიქსის დართვით მიღებული მამაკაცის სახელი უნდა იყოს (მსგავსი წარმომავლობისაა სხვა სახელები: მამია, ვაჟია, დათია, ვეფხია, კაცია) თავისი შინაარსით (მამრობითობის ცნებაზე მითითებით) „ვარძია“ ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იმ ფაქტზე, რომ ამ მონასტერში სასულიერო მამათა საძმო იყო დასადგურებული მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ვარძ - ძირი ვერძთან იყოს პირდაპირ კავშირში და ამ სახელის სახელდება წინაქრისტიანული რელიგიური ცნებით ვერძის საკულტო დანიშნულებით იყოს განსაზღვრული (მაისურაძე, 1967)“.

ამ მოსაზრებას გარკვეული წინააღმდეგობა ახლავს. -ია სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებს აფორმებს, მაგრამ, საქართველოში -ია დაბოლოებანი არც ერთი ტოპონიმი არა გვაქვს, ადამიანის სახელი რომ ედოს საფუძველად. ამ შემთხვევაში სხვა სუფიქსებს იყენებს და იყენებდა ენა, ვთქვათ: ქობული ადამიანის სახელი და ქობულეთი ადგილის სახელი. თამარ - და თამარ-ის-ი და ა.შ.

ასევე საეჭვოა, ვარძიის მამათა მონასტრის გადამწყვეტი როლის თამაში მისი სახელწოდების შინაარსის განსაზღვრისას და ამდენად, ტოპონიმის სემანტიკის მამაკაცთან დაკავშირება, რადგან ვიდრე მშენებლობა დაიწყებოდა, სახელი მანამდე არსებობდა, როგორც უკვე დავინახეთ, ზედა ვარძია, რომლის გამოც და რომლის „მიცვალებითაც“ აშენდა ქვაბთა ქალაქი და შეიქმნა იქ მამათა მონასტერი.

ვარძიის ეტიმოლოგიის შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული ლ. მელიქსეთ-ბეგს, რომლის მიხედვითაც შეუძ-

ლებელია ვარძიის ეტიმოლოგიის დაკავშირება ვარდციხესთან, ვარძციხესთან და საერთოდ აპელატივებთან, ამიტომ ასკენის მეცნიერი, რომ „ჩვენ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი „ვარძიის“ ახსნა-განმარტება რომელიმე ტომობრივ სახელწოდებაში ვეძიოთ (მელქისეთ-ბეგი, 1934:160)“.

ლ. მელქისეთ-ბეგის ვარაუდით ვარძია მიღებულია ორძიძირისაგან ისევე, როგორც ოძრქე და ოცხე. მეცნიერის აზრით ორძიადან ვარძია მივიღეთ ო-ს „კანონზომერი“ გაშლით და ვარძია ისეთივე წარმოშობისაა, როგორც „ივერია“, „ალბანია“, „არმენია“, „გურია“... ე.ი. „ბერძნულ-ლათინური დაბოლოება -ია-ს მეშვეობით (მელქისეთ-ბეგი, 1934:160)“.

ასეთ ახსნას სერიოზული ფონეტიკური და ისტორიული წინააღმდეგობები ახლავს (ბერიძე, 1977:78-80).

ვარძია რომ ისეთი ლოკალობის ტოპონიმი ყოფილიყო, როგორც ოძრხე (შედრ. ლეონტი მროველი, სადაც ოძრახოსი უფლოსთან და ჯავახოსთან ერთად მცხეთოსის შეილადაა გამოცხადებული), სამცხე, ან თუნდაც ხორძენე, ე.ი. სახელი გამოყენებულიყო არა მხოლოდ დასახლებული პუნქტის, არამედ მთელი პროვინციის, „მაზრის“ აღსანიშნავად, ის უეჭველად იქნებოდა მოხსენიებული ქართულ (და არამარტო ქართულ) წყაროებში. ვარძია, კი ჩვენი ისტორიისათვის ცნობილი ხდება მას შემდეგ, როდესაც იქ ციხე-ქალაქის მშენებლობა იწყება, მანამდე არსებობდა ზედა ვარძია. ასევე არის ვარძია ზემო იმერეთში, როგორც უკვე ითქვა. ამგვარად, ვარძია ჩვეულებრივი, რიგითი ტოპონიმი იყო საქართველოში. აქ აღმოჩნდა ისეთი ბუნებრივი პირობები, რომ აშენებულიყო ისტორიული ძეგლი.

ვარძიისმაგვარად -ძია დაბოლოებანი აქვს სხვა სახელებს საქართველოში: ტანძია, ალანძია, ტორნაძია, ხორძია, ხურძია და სხვა.

ზოგ შემთხვევაში -ძია კომპონენტს აქვს პარალელური ფორმა-ძა. მართალია, ნასოფლარს ასპინძის რაიონში ალანძია ჰქვია, მაგრამ მის მიკროტოპონიმაში არის სახელები, რომლებიც მიგვანიშნებს -ძა კომპონენტის არსებობაზე ალანძის წყალი და არა ალანძიის წყალი, ალანძიხევი. ეფიქრობ, ამავე რიგში უნდა ჩადგეს ტრანძა. ასევე არის სოფლები საქართველოში, რომელთაც - ძა დაბოლოება გააჩნიათ: ბრძა, ბანძა, წყორძა და სხვა. ნასოფლარის სახე-

ლია ახალქალაქის რაიონში - ვარძა, ვარზა (შედარ. გვარი ვარძელაშვილი, სადაც აგრეთვე ვარძა ფორმაა, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა ვარძიელაშვილი). იგივე ვარძა ფორმაა ივანე ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულ ვარძაგარაში (ჯავახიშვილი, 1930:55).

„ვარძაგარა თავისი მდებარეობით კარგად შეესატყვისება ჰამამლუს სოფლის ტერიტორიას (ბერძენიშვილი, 101)“. დ. ბერძენიშვილი გვაძლევს ვარძაგარის ეტიმოლოგიას, რომელიც უკავშირდება ვარძიასაც. კერძოდ მეცნიერი წერს: „ვარძაგარა შედგენილი სახელი ჩანს ისევე, როგორც დმანისხევის მეორე სოფლის სახელწოდება სამაგარა, ან წინაგარა მეჯუდის ხეობაში. ამ სიტყვის მეორე ნახევარში მოჩანს აგარა, ე.ი. ვისიმე კუთვნილი სოფელი, ყანა, ეკლი. ვარძ ფუძე თავს იჩენს ტოპონიმებში: ვარძა, ვარძია და ვარძანეთი, ასევე სიტყვაში სავარძელი. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ძველად ვარძ - ვერძი მამაკაცის და მამალი ცხოველის გამოძხატველი ყოფილა (ბერძენიშვილი, 20006:107)“. საბოლოოდ ვარძაგარაში ვარძ- ნაწილს დ. ბერძენიშვილი უკავშირებს მინერალური წყლის აღმნიშვნელ ვეძა - ვერძა ფორმას. ე.ი. ვეძა // ვერძა გვაძლევს ვარძას და ეს უკანასკნელი კი - ვარძაგარას (ბერძენიშვილი, 2006:107).

ვარძია გამოქვაბულთა სინონიმია საქართველოში. ხერთვისიდან ნაქალაქევისკენ მიმავალი გზის პირას კლდეს, რომელსაც ქვაბთა თხრის კვალი ამჩნევია, ჰქვია ნავარძიებდ. მთქმელმა ასეთი განმარტება მოგვაწოდა: „აქ ვარძია უშენებიათ, მაგარი ყოფილა და დაუგდიათ, მერე გადასულან ვარძიას“.

საფარიდან მიმავალი სატალაოს გზიდან ჩანს ურავლის მარჯვენა ნაპირის გამოქვაბულები, რომელთაც ღრეულელები სავარძიებს უწოდებენ. ამ სახელს აქვს ვარიანტები - სავარძები, სავარწე, სავარძე. ვარძობა ნიშნავდა კლდის გამოჭრას, კვეთას. სახერეტ კეტს მათხაფი ერქვა. მათხაფი ჰქონდათ სხვადასხვა ზომისა. იგი იყო ბრტყელპირიანი რკინის გრძელი სატრეთელი, რომელიც ეკავა ერთ კაცს, ურტყამდა მეორე უროს. ვარძობა ორი კაცის საქმეს, მუშაობას ნიშნავს.

მართალია, ინფორმატორთა მტკიცებით, იარაღს, რომლითაც კლდეს კვეთდნენ, მათხაფი ერქვა და ვარძობა ორი კაცის მუშაობას გულისხმობდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ მათხაფი ახალი სახელია ლითონის იარაღისა, რომელსაც მანამდე ვარძი უნდა რქმეოდა.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებული აქვს ვაზრი – „მახვილია ცელივით“. იქვე უთითებს მის ფონეტიკურ ვარიანტს – ვარზი. ამ ორთავან რომელი რომლის ვარიანტია, ძნელი გასარკვევია, თვით სულხან-საბაც სვამს კითხვას – ვაზრი თუ ვარზიო (ორბელიანი, 1965:256). ამავე სიტყვას სულხან-საბაზე დაყრდნობით და იერემია წინასწარმეტყველის დამოწმებით ერთმანეთის ვარიანტებად განმარტავს დაყთო ჩუბინაშვილი – „მახვილი ცელივით (ჩუბინაშვილი, 1984: 499, 502)“.

ძველი ქართული ძეგლების მიხედვით ილია აბულაძეს განმარტებული აქვს ვაზრი – საფხეკი, ქლიბი, კეტი, კომბალი (აბულაძე, 1973:153). ივანე გვარამაძეს ვარზი აქვს განმარტებული, როგორც „ცელისნაირი მახვილი“ 1907 წელს შედგენილ ლექსიკონში (გვ. 101).

ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვარზი და ვარძი ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. შდრ. ზროხა და ძროხა (აბულაძე, 1973:169); ზრახვა – ძრახვა; ზორვა – ძორვა (აბულაძე 1973:168) და სხვა.

ვარძიის ქვაბებში ბევრგან ეტყობა ვარძით თუ ვარზით ნამუშევარი, გრძელი ნაკვეთი რომ გადასდევს ჭერს. ეს ნაკვეთი იქცევა ხოლმე ხალხის ფანტაზიის წყაროს სათავედ. თითქოს ისეთი ძლიერი კლდის მკაფავეები იყვნენ მაშინდელი მუშები, რომ ერთი მოქნეული წერაქვით დიდი მანძილი გაჰქონდათ. სინამდვილეში ეს ვარძით ნაკაფი კლდეა. ერთს ეჭირა ხელთ იარაღი, ხოლო მეორე უროს ურტყამდა. იარაღიც განსაკუთრებული ფორმისა იყო – გრძელი ცელისნაირი პირით, რომელსაც შედარებით მოკლე ტარი ჰქონდა. იქნებ სწორედაც ეს სიტყვა დაედო საფუძველად ვარძიის სახელდებას?!

ვანის ძვაბები

ვარძიას ტოლს არ უდებს თავისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით მასზე უფრო ადრე აშენებული, კლდეში ნაკვეთი შესანიშნავი ძეგლი ვანის ქვაბები.

ვანი გავრცელებული სიტყვაა ქართულ ენაში. მისი მნიშვნელობა იყო: სადგომი, „სახლი“, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი, „საყოფელი“, „ბუნაგი“ (აბულაძე, 1973:153). სულ-

ხან-საბას მიხედვით: სადგომი, სავანე (ორბელიანი, 1965:257). მისი პარალელური ფორმაა ვანა - სადგომი (ორბელიანი, 1965:257).

ვანისაგან არის წარმოქმნილი სავანე - „სადგური“, სადგომი, ქარვასლა, ბანაკი (აბულაძე, 1973:356), სავანის დადება- დაბინალება, სავანის-ყოფა - დადგომა, ბინის დადება (აბულაძე, 1973:356); დავანება- „დადგინება“, „ყოფა“, „დადგრომა“, დადგომა, დასახელება, დაბინალება; დავანებული - „დაბანაკებული“ (აბულაძე, 1973:108).

ასევე ბევრია ამ ფუძისაგან ნაწარმოები ტოპონიმები საქართველოში: ვანი არის სოფლების სახელად აჭარაში, გურიაში და იმერეთში (ჭიათურისა და ხარაგაულის რაიონებში). ვანათი (ცხინვალის რ.), ვანეთი (თეთრიწყაროს რ.), ვანელი (ჯაეის რ.), ვანთა (თელავის რ.). დასავლეთ საქართველოშია ვანის რაიონული ცენტრი ქ. ვანი. სოფლები: ვანის-ქედი (ოზურგეთის რ.), ვანისჭალა (წყალტუბოს რ.), სავანე (საჩხერის რ.), სავანისუბანი (ხაშურის რ.). „ტაოშიც ყოფილა ვანისხევი, ჭოროხის ხეობაში (პარხალის სამხრეთით) (მუსხელიშვილი, 1939:9)“.

ისტორიულ მესხეთში იყო სოფ. ვანი ერუშეთის მთებში, შოლოს წყლის სათაეებში, ბუზმარეთთან ახლოს. ვანში დღევანდლამდე შემორჩენილია წარწერიანი ეკლესიის ნანგრევი. ბოლო დრომდე იქ სოფ. ხიზაბაერის ფერმა იყო. მე-16 საუკუნეში ვანში 8 კომლი ცხოვრობდა (ჯიქია, 1958:300). ეს ის ვანია, რომლის შესახებაც ლ. მუსხელიშვილი წერს: „ვანი არის კიდევ მდინარე ტაშლიყაშიას (მტკვარს მარცხნიდან ერთვის ტოლოშთან) ზემოწელზე, თმოგვიდან ჩრდილო-დასავლეთით. არ ვიცი, არის აქაც ქვაბები თუ არა (მუსხელიშვილი, 1939:11)“. ამ ვანის სიახლოვეს ქვაბები ნამდვილად არ არის.

ერთი ვანის დაარსების შესახებ მოგვითხრობს გიორგი მერჩულე: „ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება ყო გულმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობლად, ჯვარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათაი, რომელსა აწ ჰქვიან გუნათლეს ვანი (მერჩულე, 1982:232)“.

ბორჯომის ხეობაში სოფ. ფაფასთან ახლოს აღწერილი აქვთ ოსმალებს სოფ. ვანთა, რომელიც იმ დროსვე გაუკაცრიელებული იყო, მაგრამ გადასახადი მაინც შეწერილი ჰქონდა (ჯიქია, 1958:487). სოფელი ვანისხევი ვარძიის ხეობა-

ში მდებარეობდა და მისი სახელი დაკავშირებული ჩანს ვანის ქვაბებთან. იგი, მართალია, ნასოფლარის სახითაც კი არ მოღწეულა ჩვენამდე, მაგრამ „დაეთრის“ შედგენის დროს სამკომლიანი სოფელი იყო. ასევე დაფიქსირებულია, როგორც სოფელი მე-19 საუკუნის 30-იან წლებში (ჯიქია, 1958:365). კიდევ უფრო მეტია ვან - ფუძიდან მიღებული სახელები მიკრო ტოპონიმიში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვანი ცნობილი სახელია აღმოსავლეთ თურქეთში. იგი მდებარეობს ვანის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე. მის ადგილას მდებარეობდა ძვ. წ. IX-VI სს-ში ურარტუს ხელმწიფოს დედაქალაქი ტუშფა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნიდან ცნობილია ვანის სახელწოდებით. სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით ვანის სახელი მოდის ეპიგრაფიკულ წარწერებში დადასტურებული ბიაზინლის სახელწოდებიდან. ხალხური გადმოცემით ვანის დაარსება მიეწერება ასურეთის დედოფალს შამირამს. სინამდვილეში კი ის დაუარსებია ურარტუს მეფე სარდურს.

მ. ანდრონიკაშვილი ვან სიტყვას საშუალო ირანულიდან შემოსულად მიიჩნევს: „იმის გამო, რომ ქართულსა და სომხურს თითქმის იდენტური ფონეტიკური სისტემა აქვთ, მსგავსი სიტყვების შესახებ არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ისინი უშუალოდ არიან შემოსული ქართულში თუ სომხურის მეშვეობით. ქართულსა და სომხურს ამ შემთხვევაში ერთგვარი შესაძლებლობები აქვთ საშუალო-ირანულ ბგერათა გადმოსაცემად (ანდრონიკაშვილი, 1966:168)“. საშუალო ირანული ვანი წარმოდგენილია Vahan (ვაჰან) ფორმით (ანდრონიკაშვილი, 1966:168). „საშუალო სპარსულში გადმოცემულია ვ და ხ თანხმოვნით. მეტწილ შემთხვევაში კი იკარგვის (ანდრონიკაშვილი, 1966:214)“.

ქართული ტოპონიმი საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ ამ სიტყვის ქართულში შემოსვლის პროცესს და დავადასტუროთ სამივე ფორმა – როგორც ხ-ანიანი, ისე ვ თანხმოვნით და ამ თანხმოვნის გარეშე. მხედველობაში გვაქვს ვარძიის ხეობაში, ვარძიამდე ორ-სამ კილომეტრში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ვაჰანის ანუ ვანის ქვაბები. ვანის (ვაჰანის) ქვაბები VII-IX საუკუნეთა ძეგლია. IX-XI საუკუნეებში ხდება მონასტრის გაფართოება, ახალი ქვაბ-სენაკებითა და ცენტრში წმ. გიორგის ტაძრის გამოკვე-

თით. ორასამდე გამოქცეული 16 იარუსად არის განლაგებული. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულოები იყვნენ ვანის ქვაბების პატრონები, კერძოდ: გურგუნიძენი, თმოგველთა საგვარეულო, მხარგრძელები, ღარიბასძენი და რჩეულიშვილები (საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007:322). 1204-1234 წლებში ერისთავთერისთავ მხარგრძელს შეუდგენია ამ მონასტრის ტიპიკონი – „ვაჰანის ქვაბთა განგება“. სხვა მოსაზრებით – 1225-1230 წლებში (ტალახაძე, 1999:27).

ს. ჯიქია წერს: „ვანის ქვაბი საქართველოს სამონასტრო ისტორიაში კარგად ცნობილი ვაჰანის ქვაბია. „ვაჰაის ქვაბთა განგების“ გამოიკვამელმა ლ. მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ ვაჰანის ქვაბებს უკვე მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში ვანის ქვაბებს უწოდებენ. 3 დაიკარგა და ორი ა-ს შერწყმით მიღებულია „ვანის ქვაბები“ (ჯიქია, 1958:365)“. სესაძლებელია, ამ ადგილს უკვე „განგების“ შედგენის დროსაც აღარ უწოდებენ ვაჰანის ქვაბებს და წესდების დამდებნი ტრადიციას უწევდნენ ანგარიშს. ასეა თუ ისე „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ შემონახულია ჩვენთვის საინტერესო ირანული ფორმა ვაჰანი, უყრო ძველი, ვიდრე სომხურსა და ქართულში შესული ვანი.

ეფიქრობთ, ვაჰანი უნდა იყოს ამოსავალი ხარაგაულის რაიონის სოფ. ვახანისათვის, სადაც სპარსული 3 გადმოცემულია ქართულში ხ-დ. ხ ქართულში უყრო მდგრადი აღმოჩნდა, ამიტომ ეს სახელი დღესაც ამ ფორმით იხმარება. ვაჰანისა და ვახანის სახელთა იგივეობაზე მიუთითებს თ. ჟორდანიამ და „ვაჰანის ქვაბთა განგების“ გამოიკვამელმა ლ. მუსხელიშვილმა. „ვაჰანი“ საქართველოში დღეს აღარსად ჩანს. მხოლოდ იმერეთში არის ვახანი, ვახანის ციხე და ჩხერიმელას შემდინარე ვახანის ხევი. თ ჟორდანიამ 3 ეფიქრობდა, რომ მესხეთში თურქების გაბატონების შემდეგ (ხაზი ჩვენია-მ. ბ), ძველი ვაჰანიდან ჩხერიმელას ზემო წელში გადმოსახლებულებმა „ახალს სოფელს უწოდეს იგივე სახელი ძველის თვისის სოფლისა ვაჰანი ანუ ვახანი (მუსხელიშვილი, 1939:9)“.

ვანის ქვაბებიდან წასულთა მიერ ვახანის დაარსებას ისტორიული საფუძველი აქვს მოკებნილი. 1551 წელს შაჰ-თამაზის მიერ სამცხის აოხრების შემდეგ თურქთა გაბატონების გამო ეკლესია-მონასტრები შევიწროებისა და დენის შედე-

გად ცარიელდებოდა, მღვდელ-მონაზვნები იმერეთისა და ქართლს აფარებდნენ თავს. „ხარაგაულის რაიონში არსებობს სოფელი ვარძია, სადაც დაცულია სამრეკლო და ეკლესია. აქვე ახლოსაა ვახანიც. ეს ორი მონასტერი ვარძიისა და ვანის ქვაბებიდან გახიზნული ბერების მიერ დაარსებულად უნდა ვიგულისხმეთ (მელითაური... 1955:73)“.

1393 წლის ერთ-ერთი თარიღიანი მინაწერის მიხედვით ვაჰანი უკვე ვანის სახით მოიხსენიება (მუსხელიშვილი, 1939:10).

მე-15-მე-16 საუკუნეებში მხოლოდ ვანის ქვაბებად იწოდება ვაჰანი: „ორშაბათს ვანის-ქუაბს მივადექით და ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ“ - ვკითხულობთ „მესხურ მატრიანეში“ (შარაშიძე, 1961:14). ასევე მხოლოდ ვანის ქვაბის სახელით მოიხსენიებს ვახუშტი ამ ადგილს. შაჰ თამაზის შემოსევის შესახებ წერს იგი: „ჩამოვიდა ყეენი, აღიღო ვარძია, თმოგვი, ვანის ქუაბნი, ასპინძა, ვარენთა და სრულიად სამცხის ციხენი (ვახუშტი, 1973:716)“.

ასე რომ, ვაჰანიდან მისი სეხნია (ფონეტიკური ვარიანტი) ტოპონიმი ზემო იმერეთში თურქთა შემოსევამდე ბევრად ადრე უნდა წარმოქმნილიყო, ან მაშინვე, როდესაც ვაჰანის ქვაბებში მონასტერი იყო, ან – მანამდე, თუ იგი საერთოდ დამოუკიდებლად შექმნილი სახელი არ არის.

კომპოზიტის მეორე ნაწილი არის ქვაბი (ქუაბი), რომელიც ცნობილი სახელია, როგორც ძვ. ქართულში, ისე ტოპონიმიაში. ქუაბი სულხან-საბას მიხედვით არის „კლდე გამონაკაფი (ორბელიანი, 1966:235)“, ხოლო ძვ. ქართულში – „გამოქვაბული, ბუნაგი (აბულაძე, 1973:456)“, მისგან არის ნაწარმოები ქუაბოვანი, – გამოქვაბულები, ქვაბნარი (აბულაძე, 1973:456).

ქვაბი მრავალი ადგილის სახელდებაში მონაწილეობს, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა კომპოზიტის შემადგენლობაში. სამცხეში ცნობილი მდინარეა ქვაბლიანი (← ქვაბულიანი). ასევე ქვაბლიანი ჰქვია ნასოფლარს ალიგენის რაიონში (ჯიქია, 1958:155). ცნობილი სახელია ქვაბისხევი და სხვანი.

მე-19-მე-20 საუკუნეში მესხურ დიალექტში ქვაბი, გამოქვაბულის მნიშვნელობით, შეცვალა მალარამ, რომელმაც მრავალი ადგილის სახელი წარმოქმნა სამცხე-ჯავახეთში.

ამგვარად, ქრისტიანული ძეგლები სამცხეში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავიანთი სარწმუნოებრივი მისიით, ისტორიულ-კულტურული დანიშნულებით, არამედ დიდი ონომასტიკური დატვირთვითაც. სამცხეში ამოუწურავია ქრისტიანობის ეპოქაში შექმნილი ტოპონიმები და ისეთი სახელები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს ენობრივ და ისტორიულ წარსულთან.

კიდევ ერთი ეკლესიონიმი

ეკლესიონიმში ჩვენ ვიგულისხმებთ ქრისტიანულ ტაძრებსა და სალოცავთა სახელებს. ზოგჯერ სოფელთა სახელები თავისი წარმოშობით ეკლესიონიმებია, ამიტომ მათ განვიხილავთ ძველი შინაარსით. ძველი შინაარსი ნიშნავს შემდეგს: სოფელს შეიძლება ერქვა სხვა სახელი ან საერთოდაც, არაფერი ერქვა, უბანი იყო რომელიმე სოფლის და იქ აშენდა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. ხალხისთვის, სოფლისთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ტაძრის სახელი გადავიდა სოფელზე, მაგრამ ენამ ერთგვარად მაინც გამიჯნა სალოცავის სახელი და თუ ეკლესიას წმინდა გიორგის ეკლესია ერქვა, სოფელს გიორგიწმინდა დაერქვა. ონომასტიკოსები ამ მოვლენას მეტონიმიასაც უწოდებენ, მაგრამ ჩვენ არ უნდა გავემიჯნოთ ეკლესიის სახელი და სოფლის სახელი, რადგან საბოლოოდ სოფელი მოიცავს კიდევაც ეკლესიასაც. ეკლესიონიმი ეკლესიის სახელს ნიშნავს, ამიტომაც ვამბობთ, რომ სახელის პირვანდელი დანიშნულებით ვიხმართ ამ სიტყვას. პირვანდელი სახელდების ობიექტი, ანუ დენოტატი ხომ ეკლესია იყო.

ამჯერად შევეხებით ერთ შედარებით ნაკლებად ცნობილ წმინდანს, რომლისადმი თაყვანისცემა პოპულარული ყოფილა მესხეთში და რომლის სახელსაც უკავშირდება ეკლესიის სახელი. ეს არის ტოპონიმი მამაწმინდა.

მართალია, გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სწორედ მამა ღმერთის სახელობის ეკლესიის გამო უნდა შერქმეოდა ადგილს ეს სახელი,“ მაგრამ ამ მოსაზრებას ერთგვარ წინააღმდეგობას უქმნის ეკლესიონიმი სამება, რომელშიც იგულისხმება მამა ღმერთიც. აქ ცოტა სხვაგვარად უნდა იყოს

საქმე. მამაწმინდაში ამოსავალი შეიძლება გვექონდეს წმინდა მოწამე მამიას სახელი.

მამაი წარმოშობით იყო „ქვეყანაით ფლადონეთით, ქალაქით ღანლით (გიორგი მთაწმინდელი),“ წარწინებულს ოჯახიდან, „ეწამა ავრელიანეს (270-275) დროს; თავიდან იმპერატორს სურდა მისი ნებისყოფა გაეტეხა და კისარიის მახლობლად მდებარე უდაბნოში მალალ მთაზე ცხოვრება უბრძანა. მამაი დამორჩილდა. მალე მან წმინდა ცხოვრებით საოცარი ხელმწიფება მოიპოვა ბუნების ძალებზე. მის სამყოფელთან ყოველდღე იკრიბებოდნენ უდაბნოს მკვიდრი მხეცები და წმ.სახარების კითხვას ისმენდნენ. წმ. მამაი მხოლოდ გარეული თხებისა და ირმების რძით იკვებებოდა. მამაის სასწაულმოქმედების ამბავი გავრცელდა. განრისხებულმა იმპერატორმა მისი მოკვლა ბრძანა. მრავალი სხვადასხვა ტანჯვის შემდეგ წმ. მოწამე „ქეთა განიტევნა და ლახურითა განიგმირა.“ ქართულ ენაზე არსებობს წმ.მოწამის ცხოვრების სამი თარგმანი (ს.მ.ე.ელ. 2007:536).“

წმინდა მამის მოწამეობრივი სიკვდილი ტრაგიკულად განვითარდა: „ბოლო წამებისას წმინდანს მხეცები მიუსიეს, მაგრამ მოხდა საოცრება: დათვი თაყვანს სცემდა და ფეხთა ამბორს უყოფდა. ვეფხვი კი ენით წარჰხოცდა ოყულს და წყლულებს ულოკავდა. ლომმა წამების მაცქერალთაგან მრავალნი დაგლიჯა“ (მესხი 2009:45-46)“. წმინდა მოწამის სახელზე მრავალი ეკლესია და სამი მონასტერია აგებული კონსტანტინეპოლში, მათგან ერთ-ერთი VI საუკუნისაა (მესხი 2009:46).

წმ. მამა (მამად) ქართველთა ერთ-ერთი უსაყვარლესი წმინდანი ყოფილა. ამის დამადასტურებელია არაერთი გამოსახულება და ხატი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ისინი XI-XII საუკუნეებშია შექმნილი: 1. გელათური ტონდო, რომელზედაც წმინდანი ლომზე ამხედრებულია გამოსახული (XI ს-ის პირველი მეოთხედი). 2. მანგლისის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის (VI ს.) გუმბათის მოხატულობაში (XI ს.) ფერადოვან წრეში მოთავსებული კომპოზიცია, რომელიც იმეორებს გელათის ტონდოზე მოთავსებულ წმ. მამის გამოსახულებას; 3. გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა კრებულში (XII ს.) მოთავსებულია წმ. მამის გამოსახულება (მესხი, 2009:46).

ზემო თქმულიდან გამომდინარე, სრული უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მესხეთში, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია წმინდანთა სახელსუ აგებული ტაძრებითა და შესაბამისად სოფლის სახელებით, უნდა გექონოდა წმ. მამის სახელობის ტაძარი და სოფელი.

ს. ჯიქიას დაფიქსირებული აქვს სამი მამაწმინდა, სამივე ნასოფლარია. ამათგან ყველაზე ცნობილი ადგილი ამ სახელით არის ნასოფლარი სოფ. ოთასთან. იგი დასახელებული ყოფილა შემდეგ გარემოცვაში: ოთა, წირა, ქვემო ინთორა, მლაშისხევი, ზემო ბოგთა, ფერისხევი, კარკლოანი (კარკლიანი) მამაწმინდა, ხიდურეთი, შოროთა (შორეთი).

ჩამოთვლილთაგან სოფლის სახით მხოლოდ ოთამ მოაღწია დღევანდლამდე.

მამაწმინდის შესახებ ს. ჯიქია წერს: „დაწერილობას დიაკრეტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ისეთი ნათელი მოხაზულობისაა, რომ მის მამაწმინდად ამოკითხვაში ეჭვი არ ჩეპარება. ერთ საბუთში ონღორა, სახუდაბელი სოფლებთან ერთად იხსენიება *Куримамацминда*-დ, მაგრამ ამ შემთხვევაში რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან ყური და მამაწმინდა სიტყვები, მე არ ვიცი (ჯიქია, 1958:203)“

ყური ცალკე სოფელი იყო ორგორასთან ახლოს. მესხეთში გაერცელებულია ხალხური ლექსი, რომელიც ჩაუწერია სერგი მაკალათიას:

„რუსთავს აყვავდა გვირილა, ვაი მოუვა ზეელსაო,
ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახაშენსაო.“

ყური, ზველი, ახაშენი და ორგორა, ასევე ნასოფლარი მამაწმინდა, ახლომახლო მდებარე სოფლებია, ამიტომ შეიძლება ჩვენ გვაქვს ორი სოფლის სახელისაგან მიღებული კომპოზიტი ყურიმამაწმინდა, როგორც ეს გექონდა ზადენგორისა და ხიზაბავრის შემთხვევაში. ყური გეოგრაფიული ტერმინია, რომელიც ადამიანის სხეულის ნაწილების მიხედვით არის შერქმეული, როგორც მაგალითად: ზურგი, ყელი, თავი, წელი... თითოეული მათგანი ადგილს ახასიათებს, რომელთაც შეიძლება დაერთოს მსაზღვრელად ზემო, ქვემო და ა.შ. ყურიმამაწმინდის შემთხვევაში თუ ყურს გეოგრაფიულ ტერმინად მივიჩნევთ, მივიღებთ შემდეგი მნიშვნელობის სახელს: მამაწმინდის ყური, ისევე, როგორც გექონდა ყურიდა-

დღეში. თუ ეს ასეა, კითხვის ნიშანი მოეხსნება ს. ჯიქიას მიერ წაკითხულ ყურისსოფელს (ჯიქია, 1958:484).

ამგვარად, თუ ყურისა და მამაწმინდის ამგვარი ახსნა ახლო მდებარეობით შეიძლება, ამ მამაწმინდას ეუწოდოთ ყურისა და ორგორის მამაწმინდა, რადგან, როდესაც მამაწმინდაში ხალხი აღარ ცხოვრობდა, ორგორაცა და ყურიც სოფლები იყო.

დღევანდლამდე მოვიდა ტრადიცია, რომ მამაწმინდა ნასოფლარია ოთასთან ახლოს. ს. ჯიქიას, როდესაც ის „დაეთრის“ ტოპონიმის იდენტიფიკაციაზე მუშაობდა და სწავლობდა მესხეთის საკუთარ სახელებს, მას ეხმარებოდნენ საქმეში გარკვეული ადგილობრივი ადამიანები — ნ. ნათენაძე და ე. ტაბატაძე. მათ კარგად იცოდნენ სამცხისა და ჯავახეთის სოფელთა და ნასოფლართა სახელები, ამიტომ სარწმუნოა ს. ჯიქიას ნათქვამი: „ნ. ნათენაძის მიხედვით, მამაწმინდა პუნქტი სოფ. ოთასთან უნდა იყოს, ელენე ტაბატაძეც ადასტურებს ასეთი სახელწოდების პუნქტს, მაგრამ ადგილმდებარეობა არ იცის.“ ოთის სიახლოვეს მითითებულ სახელს ეუწოდოთ ოთის მამაწმინდა, ყურისა და ორგორის მამიწმინდის საპირისპიროდ. არის კიდევ მესამე, რომელიც იმავე „დავთარშია“ დამოწმებული: „*Действительно есть в Ацкурском санджаке две пустопорожние деревни... Персатхеви и Мамацминда.*“ თუ ოთის მამაწმინდა არ იგულისხმება ამ შემთხვევაში, მასაც ეუწოდოთ აწყურის მამაწმინდა. სამივე მათგანი დაკავშირებულია წმინდა მოწამე მამასთან, რომლის სიმბოლოც არის ღომზე ამხედრებული წმინდანი.

არის დიდი ალბათობა, რომ თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ამ სამი პუნქტიდან სადმე უნდა აღმოჩნდეს ღომი მხედრით, რომელიც ქვაში იქნება გამოკვეთილი ისე, როგორც წმ. გიორგის რელიეფია წუნდისა და ახაშნის ეკლე10,5

აწყურის ეტიმოლოგიისათვის

აწყური საქართველოს ერთერთი უძველესი ქალაქი იყო. პერაკლეს ლაშქრობის დროს (VII ს.) აქ საყდარი აუგიათ, რომელიც XII-XIII სს. სამცხის საეკლესიო ცენტრი გახდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ თანახმად უკვე გრიგოლის დროს (VIII-IX სს-ში) არსებობდა აწყურის საეპისკოპოსო და საკათედრო ტაძარი, რომლის მეთაური იყო ხანძთელის მოწაფე ეყრემ დიდი მაწყვერელი. დღეისათვის შემორჩენილია აწყურის გუმბათოვანი ტაძრის ნანგრევები. „ფართობით იგი ყველაზე დიდი ეკლესია ყოფილა საქართველოში (ს.მ.ე.ლ., 2007:119)“.

აწყური ფრიად მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. აქ გადიოდა დიდი გზა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა ქართლთან (მენაბდე, 1962:47).

ბოლო დროს აწყურში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც ბევრი ისტორიული ცნობა გააცოცხლა: „აწყურის ტერიტორიაზე არსებული ციხის ციტადელში მიკვლეულია ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის ანუ ანდრია მოციქულის აწყურში ყოფნის პერიოდის კედლის ნაშთი, რომელიც ანდრია მოციქულის მიერ ციხის ზედა ნაწილში მარიამ ღვთისმშობლის ხატის დასვენების შესაძლებლობას რეალურს ხდის. ციხე, როგორც ჩანს, წარმოადგენდა იმ მოსახლეობის აკროპოლისს, რომელიც მდინარეს მტკერის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს... უკანასკნელ წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი ფაქტი – ძველი სამოსახლო არსებობდა ძვ. წ. აღრით V საუკუნიდან ახ. წელთაღრიცხვით I საუკუნის ჩათვლით მდინარის მარცხენა ნაპირზე. ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან სამოსახლოს მდებარეობა შეიცვალა და იგი მთლიანად მტკერის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა. სწორედ აქ განვითარდა შუა საუკუნეების ქალაქი, რომლის არქიტექტურულ დომინანტს წარმოადგენდა ორი ხუროთმოძღვრული ძეგლი – ღვთისმშობლის ტაძარი და ციხე (ლიჩელი, 2008:№8(116))“.

მთელი ისტორიის მანძილზე აწყური მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრი იყო. აქ იქადაგა პირველად ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა პირველ

საუკუნეში და მოაქრისტიანა სამცხე. საქართველოში მირონის კურთხევის უფლება სწორედ აწყურის ეპისკოპოსის – ეფრემ მაწყურელის მცდელობით დაწესდა. იგი საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ეპარქიას წარმოადგენდა. „წმ. მოციქულ ანდრიას მიერ დაარსებული აწყურის საეპისკოპოსო, რომლის საკათედრო ტაძარში დაბრძანებული იყო ღვთისმშობლის ხელთუქმნელი, სასწაულმოქმედი ხატი. აწყურის უძველესი საეპისკოპოსო გაუქმდა თურქთა მძლავრობის დროს XVII საუკუნის ბოლოს. იმავე სახელწოდებით, მაგრამ უფრო გაზრდილი ტერიტორიით აწყურის ეპარქია აღდგა 1917 წელს (აბაშიძე, 2007:145)“.

სამცხის მთავრების მიერ სეპარატივული იდეების განხორციელების საქმეში იყო მცდელობა, რომ ეკლესიურადაც ჩამოეცილებინათ მესხეთი საქართველოს კათოლიკოსისათვის, ამიტომ კიდევ უფრო გაიზარდა აწყურისა და მაწყურელის როლი მე-14 – მე-15 საუკუნეებში.

აწყურის არსებობა ოდითგანვე დაკავშირებული იყო მტკვართან. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი წარმოადგენდა გზათშესაყარს. მტკვრის ხეობაზე გამავალი გზები ვერ ასცდებოდა აწყურს.

ძველ ტექსტებში ეს სახელი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ნ. მარის მიერ გამოცემულ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვაქვს „აწყური“ „სიწმინდესა შინა აწყურისა სასწაულთა მოქმედი (მარი, 1911:კბ)“. „რამეთუ დიდი ეყრემ უწინარმს მრავალთ წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა (მარი, 1911:მე)“. აწყურია აკაკი შანიძის რედაქტორობით გამოსულ „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესაბამის ადგილებში (შანიძე, 1949:258). აწყური მოიხსენიება ბასილ ზარზმელის თხზულებაში, აგრეთვე, როგორც საეპისკოპოსო ცენტრი: „განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღვდელთმოდუარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისაჲ (ვაჩნაძე, 1975:177)“.

აწყურის ეპისკოპოსი არის მაწყურელი: „ტომნი დიდისა ეფრემ მაწყურელ ეპისკოპოსისანი (მარი, 1911:დე)“.

„ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელი პირი და ენაჲ დიდსავე თანა გიორგის მაწყურელსა იყო ნეტარიცა მამაჲ სერაპიონ. ვინაჲცა ყოველნი ცრუ საწა-

ულნი და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკანამსკნელი ეხილენეს, შომითხრნეს პირმან მან უტყუველმან გიორგის ეკტყუ მაწყუერელსა (ვაჩნაძე, 1975:178)". „ხოლო მოვიდა ღმერთ-შემოსილი გიორგი მაწყუერელიცა ჯუართა ყოველთა თანამწყობრთა ეკლესიისათა (ვაჩნაძე, 1975:180)".

აწყური გეხვდება ლეონტი მროველის თხზულებაში ჩართულ ანდრია პირველწოდებულის ეპიზოდში: „აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოვლადწმიდისა აწყურისა ღვთისმშობლისა (ლეონტი მროველი, 1955:38)". იქვეა ფონეტიკური ვარიანტი აწყვერი „ხოლო წმიდა მოციქული წამოემართა და მოიწია აწყვერს ((ლეონტი მროველი, 1955:39)", რომელსაც სქოლიოში ვარიანტად აქვს აწყური. „დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყვერის ღვთისმშობლისა მცირესა მას ეკუდერსა (ლეონტი მროველი, 1955:43)". ჯუანშერთან ჩართულ იმავე ეპიზოდში გვაქვს აწყური (ჯუანშერი, 1955:224). „მატიანე ქართლისაში“ იხსენიება „აწყურის ციხის პატრონი (მატიანე ქართლისა, 1955:300)". ისევე, როგორც ჰაგიოგრაფებთან, მატიანეშიც მაწყუერელი გვაქვს: „გამოიყვანა მაწყუერელმან მესხნი (მატიანე ქართლისა, 1955:300)".

აწყურის სახელის ვარიანტულობამ დღევანდლამდე მოაღწია. მას ოფიციალურად, მართალია, აწყურს უწოდებენ, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მეოცე საუკუნეში აწყვერად მოიხსენიებდა. მესხეთში გავრცელებულ ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„აწყურის ხეობას შემოვჰყევე,
ჭაჭკარს ვნახე სახლი კლდისა,
აწალკული, დაწალკური ალაგური,
ქილდას ერთ გოგო ვნახე,
იმან დამიკოდა გული“...

აწყვერი, ჭაჭკარი, ალაგური, ქილდა სამცხე-ჯავახეთის სოფელთა სახელებია, ამიტომ მთქმელის ინფორმაცია სანდოა. ვინმე მესხს (ივანე გვარამაძეს) ჩაუწერია შემდეგი ლექსი;

„ბიჭი ვარ გოგიტაური,
თოფი მაგდია მხრიანი,
აწყვერში დავიარები,
როგორც ირემი რქიანი (თაყაიშვილი, 1918:110)".

„აწყურის უფრო ძველი ფორმა უნდა იყოს „აწყვერი“ ან აწყუმრი, ან აწყუერი (ჯიქია, 1958:121)“.

საბოლოოდ შეგვიძლია დაეასკვნათ, რომ აწყური შემდეგი ფორმებით გვხვდება: აწყური, აწყუერი, აწყვერი, აწყუმრი. ეპისკოპოსი კი იყო ან მაწყურელი ან მაწყვერელი. როგორც მოყვანილი ხალხური ლექსებიდან ჩანს, სახელი ნათესაობითი შეიძლება შეიკუმშოს და მივიღოთ აწყურის ფორმა. აქაც იგივე ფუძეებია გამოყენებული, რომელიც გვხვდება ძირეულ სახელში, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვ და უ ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. უმარცვლო უ-ს თავისი ნიშანი ანბანში არ ჰქონდა, როგორც ა. შანიძე ბრძანებს, ამიტომ ძველად ისევე იწერებოდა, როგორც მარცვლიანი უ. „ამაში გეშველის ზოგჯერ ახალი სალიტერატურო ქართული, სადაც ძველი უმარცვლო უ ვდარის წარმოდგენილი (შანიძე, 1976:20)“.

ერთმარცვლიან სიტყვაში უმარცვლო უ ინარჩუნებს მარცვალს, როგორც ეს მოხდა აწყურის შემთხვევაში, ხოლო აწყუერში იგი არის უმარცვლო, ამიტომ გვაქვს მისი პარალელური ე-ნიანი ფორმა – აწყვერი. ეს იყო წესი ძველ ქართულში: „უმარცვლო უ შეიძლება სრული ხმოვანი გახდეს და მარცვლიანობა შეიძინოს თუ მას არ ახლავს ხმოვანი და მარტო დარჩა ერთმარცვლიან სიტყვაში (შანიძე, 1976:21)“. აწყური ორმარცვლიანია, მაგრამ უ-სა და ე-ს ურთიერთობა უფრო ძველი ჩანს და იგი ფუძის შიგნით უნდა ყოფილიყო მომხდარი. ე.ი. იყო წყურ ფორმა, რომელშიც უ არის მარცვლოვანი და მას ჰქონდა პარალელური ფორმა წყურ, სადაც უ იყო უმარცვლო. აწყურში ა- პრეფიქსის სახით გამოყო ნ. მარმა (Mapp, 1935:163). ეს გამოყოფა რომ სწორია, ისიც მიუთითებს, რომ ისტორიული ფონეტიკური პროცესები ლექსიკური, ძირეული მორფემის ფარგლებში ხდება.

ე-სა და უ ბგერების ურთიერთმიმართება ძველ ქართულში შეისწავლეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა. მათი დასკვნა ასეთია: „ისეთი შემთხვევის ანალიზი, სადაც ერთსა და იმავე მორფემაში „ურედუქციო“ და „ნარედუქციალ“ ფორმათა მონაცვლეობა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს და სადაც ეტიმოლოგიური კავშირები უკვე დიდი ხნიდან არის გაწყვეტილი, გვაფიქრებინებს, რომ უ-სა და უ-ს მიმარ-

თება ქართული ენის განვითარების უძველეს პერიოდში არ უნდა ყოფილიყო იგივე, რაც ძველ ქართულში: კერძოდ, „ურედუქციო“ ფორმებში ხმოვნის წინ უნდა გეკონოდა [უ], ხოლო „ნარედუქციალ“ ფორმებში თანხმოვნებს შორის – მარცვლოვანი [უ] (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:49).

აწყურის შემთხვევაში „ურედუქციო“ ფორმაა აწყურერი/აწყვეერი. მართალია „[უ]-ს [უ] ბგერად დავიწროვებამ უმახვილო პოზიციაში გამოიწვია [ე] (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:53)“, მაგრამ ორივე ბგერა აგრძელებს არსებობას და ისტორიულ ქართულში (ლიტერატურული წყაროების მიხედვით VIII-LX საუკუნეებში) ორივე ფორმა დასტურდება, ისინი პარალელურად იხმარება.

აწყური და აწყვეერი/აწყურერი ბოლო დრომდე (მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე ძველი თაობის მეტყველებაში) თანაბარი მოქალაქეობის უფლებით არსებობდა. უმახვილო უ ხმოვნის წინ უ-დ იქცეოდა, როგორც კი შესაბამისი პოზიცია შეიქმნებოდა აფიქსების საშუალებით მაწყვერელის შემთხვევაში და ნათესაობით ბრუნვაში აწყვეერი/აწყურერი/აწყურის სახით. დღეისათვის ე-ინიანი ფორმა აღარ არსებობს და გვაქვს მხოლოდ აწყური, რომლიდანაც გვაქვს გვარი (ფსევდონიმი) აწყურელი (ამ გვარს ატარებდა მესხეთის თეატრის მსახიობი) და ყოველგვარი კუმშვის გარეშეა ნათესაობითი ბრუნვა: „აწყურის საშ. სკოლა“, „აწყურის მოსახლეობა“ და სხვ.

აწყურის ეტიმოლოგია პირველად მოგვცა ნ. მარმა. მან აწყური დაშალა ა-წყურ- ფორმით. წყურ- დააკავშირა kar//kor//ker skur ფუძეებს. მისი მნიშვნელობა ნ. მარის მიხედვით არის: დასახლებული პიუნქტი, სოფელი, ქალაქი, მხარე (Mapp, 1935:163).

აწყური მნიშვნელობით უფრო ახლოს უნდა იდგეს წყალთან. ქართულ წყალს შეესატყვისება მეგრული წყუ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:657). წყალ-თან შორს არ უნდა იყოს წყარ-ო, რომელიც მეგრულში გვაძლევს წყორ-ს (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:657). წყაროში ო არის სუფიქსი. მისი სუფიქსობის შესახებ „აზრთა სხვადასხვაობა არ გვაქვს (შენგელია, 2006:148)“.

წყარო და წყალ- სიტყვათა კავშირი აშკარაა. „წყარო სიტყვის არა მარტო შინაარსობრივი, არამედ მატერიალური

კავშირი წყალ სიტყვასთან იმდენად აშკარაა, რომ, ბუნებრივია, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არა გვაქვს (შენგელია, 2006:147)“.

აწყური თავისი „რედუცირებული“ (აწყურ-) „ურედუქციო“ აწყურ -აწყვერ-აწყვტრ ფორმით ისტორიამდელ პერიოდში გადადის. ამ აზრს ამაგრებს ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემები. ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამოსავალი უნდა იყოს „წყლის“ აღმნიშვნელი საერთო ქართველური ძირი წყ (ვ. თოფურია), რომელიც გარდა საკუთრივ წყალ ფუძისა გვაქვს წყურ- ფუძის სახით („წყურელი“), ნე-რ-წყ- , რ-წყ-ე-ა ფუძეებში (ჩუხუა, 2000-2003:370).

ამავე რიგში ჩადგება წყარო (+*წყლ-არ+*წყალ-არ) (შენგელია, 2006:149). ალბათ აქვე უნდა განვიხილოთ სოფლის სახელი ახალციხის რაიონში წყორძა, რომელშიც გამყოფენ წყორ-ს წყლის მნიშვნელობით (ნორაკიძე, 1971:137-141), ეს წყორ ქართული წყარ ფუძის შესატყვისი ჩანს (შენგელია, 2006:150).

საერთო ქართველურ წყ- ძირს ერთვის „რედუქციამდელ“ ფორმებში -ვ(წ)ერ, -უტრ ან „რედუცირებულში“ -ურ სუფიქსი.

აწყური წყლიან ადგილს, წყლის ადგილს უნდა ნიშნავდეს. უძველესი დროიდან მოყოლებული იგი გაშენებული იყო მტკერის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე.

სამსრის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

ამ სტატიის დაწერა განაპირობა ჯავახეთში 2005 წელს მომხდარმა ინციდენტმა, რომელიც სამსართან იყო დაკავშირებული. მოვიყვან ამონაწერს ახალქალაქისა და კუმურდოს ეპისკოპოსის მეუფე ნიკოლოზის ხელნაწერი შრომიდან – „მისიონერული პრაქტიკა პოლიეთნიკურ გარემოში“: „ექსპედიცია არ შედგა. სტუდენტები გამოქვაბულში არ შეუშვეს. მიზეზი იყო სომხური ექსტრემისტული დაჯგუფების მიერ ორგანიზებული ნაციონალური ხასიათის დაპირისპირება, რომელშიც, სამწუხაროდ, სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებმაც ითამაშეს არც თუ უმნიშვნელო როლი. უკიდურესი დაძაბულობისას მათ განუცხადეს, რომ ეს

არის XII საუკუნის სომხური მონასტერი, რაც გახდა საფუძველი ქართველი სასულიერო პირების, მონაზვნებისა და სტუდენტების მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფისა სოფლის მოსახლეობის მხრიდან. მოგვიანებით პრესამ გამოაქვეყნა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოს ერთობლივი განცხადება, სადაც სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოს მეთაურმა გულწრფელი წუხილი გამოთქვა და ბოდიში მოიხადა დაზარალებულთა წინაშე სოფლის მოსახლეობის არასწორი ინფორმირებისათვის“.

ბოდიში ყოველთვის საქმეს ვერ შეეღობა. სოფლის მოსახლეობის აგრესია სამსრის მონასტერს მანამდეც არ აკლდა, ოღონდ ისინი ძეგლს უპირისპირდებოდნენ, როგორც ქართული კულტურის კუთვნილებას, ახალი აგრესია კი გამოიხატა ქართველთა მიერ „სომხური ძეგლის მითვისების“ გამო. იმისათვის, რომ ჭეშმარიტება ყველასათვის ნათელი იყოს, გადავწყვიტეთ სამსრის შესახებ იფორმაციისათვის მოგვეყარა თავი და მოგვეცა სახელის ეტიმოლოგია.

სოფ. სამსრის ისტორია შეისწავლა ს. ჯიქიამ. მე-16 საუკუნეში ორი სამსარი იყო – ზემო და ქვემო (ჯიქია, 1958:286). ორივე სამსარი დაცლილია მოსახლეობისაგან (ჯიქია, 1941:206, 208).

ორივე სამსარი მთებშია ჩაფლული. ამიტომ უშუალოდ მხოლოდ სოფ. მერენია ესაზღვრება მას ჩრდილოეთიდან. „პატარა სამსარი მდებარეობს ტაბაწყურის მხარეს და იქით მთები შედარებით დაბალია. დიდი სამსარი მარჯვენა მხარეს, აქედან რო მივალთ, ხევის გამოღმა არის და რაკი სამსრის მთები მაღალია, ამიტომ დიდ სამსარს უძახიან. სოფელს აქვს ტბა, რომელიც არ შრება, ჭალები და მრავალი წყარო, რადგან სამსრის მთებზე გვიან შრება თოვლი, ის თოვლი იჟურება და წყალი მუდმივი არის“ (ვ. ხუციშვილი 84 წლის, სოფ. კოთელისის მკვიდრი).

ტყიანი ჯავახეთის ეს ადგილები, სადაც სამსრები მდებარეობდნენ, ეტყობა, რაღაც დიდი უბედურობის გამო განსაკუთრებით დაცარიელდა მოსახლეობისაგან. ნასოფლარად ქცეული 33 სოფელი აღწერეს ოსმალებმა სამსრების გარშემო. აი, ისინიც: ქვემო სამსარი, აკარანთა, ტაბისყური, შვიდეკლესია, ვარგავი, ქურდოვანი, გულუსუბანი, ოლდანი, ჭა-

რული, მოლითი, ხუმრისი, ზაქარწმინდა, ოძისი, გელთუბანი, ქადისხევი, ზემო სამსარი, ქართაშენი, ხარიანი, კურაშენი, ბალანთა, წინუბანი, მოდევანი. ზეოტა, ზერეონია, ხანჯაური, სესი. დანარჩენი ექვსი სახელის ამოკითხვა არ მოხერხდა (ჯიქია, 1941:206-209)

ვახუშტი ბატონიშვილი სამსრებს ცალკე სოფლებად არ აღწერს, იგი წერს: „ჯავახეთის მტკუარს მოერთვის ჩრდილოეთიდან ბარალეთის მდინარე, რომელი გამოსდის ფარავნის ტბასა და სანსრების შორისს მთას და მოდის აღმოსავლეთად“ (ვახუშტი, 1973:670) ვახუშტის მიერ სანსრებად მოხსენებული ადგილი მე-16 საუკუნეში ოსმალების მიერ აღწერილი სამსრებია. ე. ი. სწორი ფორმა ეს უკანასკნელია (ჯიქია, 1958:208). მ-ნ-ს მონაცვლეობა ჯავახურ დიალექტს ახასიათებს, ამიტომ, როგორც ჩანს, სამსარის ნაცვლად სანსარი ხალხურ მეტყველებაში ჩვეულებრივი ამბავია, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისში დაადასტურა ალ. ფრონელმა (ფრონელი, 1991:159).

ზემო და ქვემო სამსრების ნასოფლარებზე 1830 წელს ერზრუმიდან ჩამოსახლებული სომხები დასახლდნენ. და ნასოფლარებს ზემოსა და ქვემოს ნაცვლად დიდი და პატარა სამსარი დაერქვათ.

მე-19 საუკუნის ბოლოს სამსრები მოინახულა და აღწერა ი. როსტომაშვილმა. მან დააზუსტა სოფლების მდებარეობა, რომ ახალქალაქიდან 20 ვერსის დაშორებით მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს სამსარი, ამავე სახელის მდინარეზე, რომლის ნაპირებზეც ჩაყოლებულია სამსარის ქვაბები. აქვეა შესანიშნავი ეკლესია და მონასტერი (Ростомов, 1898:97).

ი. როსტომაშვილი წუხს, რომ ეკლესია ძალიან არის დაზიანებული მასზე გადმომდინრე წყლის გამო. წყალი გამჯდარია კლდის ნაპრალებში და კედლებში, რის გამოც ნესტი გასჯდომია გამოქვაბულს (Ростомов, 1989:97).

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სამსარი მოიხილეს ნ. ბერძენიშვილმა და ს. ჯიქიამ: „1933 წელს პროფ. ნ. ბერძენიშვილი და მე ბარალეთიდან გავემგზავრეთ, გზად გავიარეთ სოფელი ღრტილა (იხტილა) და ავედით სოფ. სამსარში. აქ ჩვენ დავათვალიერეთ მალაროებიანი მონასტრის ნანგრევები. კლდეზე, რომელიც ეკლესიის ყოფილა, ცნობილი

წარწერა ამ ადგილებში ტყეების არსებობის შესახებ. ეს და სხვა წარწერები შეისწავლა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა“ (ჯიქია, 1958:287).

„მონასტრის სამხრეთის მხრით მდინარე ჩამოუვლის. ის აქვე სამსრის მთებიდან გამოდის. არც ამ მდინარეს აქვს სახელი. ვახუშტი მას ბარალეთის წყალს უწოდებს, ვფიქრობთ, უმართებულოდ. ბარალეთი ამ მდინარის არც გამოსავალშია, არც შესართავში. აქ არც ბარალეთის წყალი გაუგონიათ. გადასახლებულმა ჯაგახებმა თან წაიღეს ქვეყნის ტოპონიმოკაც. მოსულთ კი ახალი სახელების დარქმევა ვერ მოუხერხებიათ. როგორც ჩანს, ეს არც თუ ადვილი საქმეა და ამას ვგრძნობ ყველგან ჯაგახეთში“... (ბერძენიშვილი, 1964:150)

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კიდევ ერთხელ აღვწერთ სამსრისა და ბარალეთის წყალს. ბარალეთის წყალი სათავეს იღებს სოფ. ბეჟანოსთან, გამოივლის ალათუმანს, კოჩიოს, ნასოფლარ სირგვის ქვემოდან ჩამოდის ბარალეთში, რომლის შემდეგაც ერთვის მას ღრტილის (იხტილის) წყალი, შემდეგ მერენის წყალი, შემდეგ ჩადის სოფ. ზაკეში, არაგვაში, სადაც სოფელს შუაზე ჰყოფს ბარალეთის წყალი, ჩავა ორჯვაში, სადაც ატრიალებს წისქვილებს და ორჯვის ხიდთან უერთდება ჯაგახეთის მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან, ბარალეთის წყალი არის პირველი შენაკადი ახალქალაქის ქვეყით. ბარალეთის წყალს სხვა სახელიც აქვს ადგილობრივთა თქმით „კოთუღიელები ამ წყალს ვეტყვიან დიდწყალს, დორეთ რომ მიდის და ღრმა არის, ამიტომ ჰქვია დიდწყალი. დიდი წყალი მდორე წყალი არის, ლამაზათ მიდის და კარგი საბანაო არის, ქვა შიგ არ არის“.

სწორედ ბარალეთის წყლის მარცხენა შენაკადის მერენის წყლის შენაკადია სამსრების წყალი, რომელიც სათავეს იღებს სამსრების მთებიდან, გამოივლის სამსრის ტბას და შემდეგ შემოდის დიდ და პატარა სამსრებში, რომელთა გაულის შემდეგ უერთდება მერენის წყალს და მასთან ერთად ერთვის ბარალეთის წყალს.

თავისთავად სამსარი რიგითი ჯაგახური სახელი იქნებოდა, რომ არა კლდეში ნაკვეთი ტაძარი, ქვაბები და წარწერები, მათ შორის, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარწერა, რომელიც გვამცნობს: „სახელითა ღვთისაჲთა, წმინდისაჲ

ღმრთის მშობლისაგან, ესე წმინდა ეკლესიაჲ ოდეს აშენდა, მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩანდა“ (Ростомов, 1898:99).

კარგად აღწერს ჯავახეთის უტყეობას მე-19 საუკუნის ბოლოს ილია ალხაზიშვილი: „ურემი გავანერეთ, სერზე გადმოვდექით და გადმოვხედეთ ჯავახეთის დაცემულ, უტყეო ვაკეს, ტიტველა მთებით შემოზღუდულს (ალხაზიშვილი, 1978:37)“. მოგზაური ტაბაწყურისაკენ მიდიოდა და სწორედ ჩვენთვის საინტერესო მიდამოებს დასცქეროდა, დასვენება რომ მოუნდა, ხე ვერ იპოვა, ქვის ჩრდილს შეეფარა და დაწერა: „მართლა და რა უბედურებაა ეს მოტიტველებული მთები! ჩვენი ცოდო ეკითხოს, ვინც აქაური ტყეები გაჩეხა და ძირიან-ფესვიანად ამოაგდო! აბა, რაა! კაცო ერთ ხეს, ერთ ბუჩქს ვერ იპოვის, რომ პაპანაქებაში მზეს თავი მოარიდოს, ჩრდილს შეაფაროს. აბა, ამისთანა ბუნებამ რა კეთილი გავლენა უნდა იქონიოს აქ მცხოვრებთა ხაიათზე, სულიერ მხარეზე!“ (ალხაზიშვილი, 1978:72.)

ღღეს ჯავახეთი უტყეოა, მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ჯავახეთის იმ ნაწილს, სადაც სამსარია, ტყიანი ჯავახეთის ღივა (ანუ რაიონი) ერქვა, რაც დამაჯერებლობას მატებს წარწერებში დადასტურებულ ფაქტს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ტყე აღარ იყო, მაგრამ შემორჩენილი იყო დაბალი ბუჩქნარი: „დღევანდელ ჯავახეთში მხოლოდ ტყეები აღარაა, აქა-იქ მოიპოვება მხოლოდ ჯაგნარი, მაგალითად, სანსარის მთის და ციხისჯვრის ფერდობსა და ძირობებზე“ (ფრონელი, 1991:159).

იმავე პერიოდში ჯერ კიდევ იყო ხსოვნა სამსარის მიდამოების ტყიანობისა: „მე ჩემი თვალთ მინახავს ს. იხტილაში თავზე, იქვე, სოფლის ახლო შეთხელებულ ფრთონის ტყეში მოჭრილი. კოთელიელები ამბობდნენ, რომ ტყეები ჯავახეთში არზრუმიდან მოსულმა სომხებმა ამოაგდესო. რაკი სამშობლოში ტყის მოვლა-პატრონობა არ იცოდნენ და თვალთაც კი არ ენახათ, აქ რომ დაბინავდნენ, მიესივნენ ტყეებს და სულ გაანადგურეს. ჯირკებსა და დიდრონ ხის ფესვებს ახლაც ვპოულობთ ხენის დროსო“ (ფრონელი, 1991:160).

მე-20 საუკუნეში, როდესაც სატყეო მეურნეობები ფუნქციონირებდა, ამ მიდამოებში ფიჭვის კორომები გაშენდა. ფიჭვა კარგად იხარა.

დღევანდელ ჯავახეთში რამდენიმე სოფლის მიხედვით მოიხსენიება ტყე. ესენია მერენის ტყე, რომელიც არის ახლად გაშენებული დიდი ტყე ფიჭვისა. ტრადიციულად კი მოიხსენიებოდა აგანის ტყე, სამსრის ტყე და იხტილის (დრტილის) ტყე. ადგილობრივთა თქმით: „აგანაში ტყე იყო, ტყე იყო სამსარში, ტყე იყო იხტილი ზემოდან და მანდ ეტყობა ძველი ფესვები... ჩვენ რო მთებში მივდიოდით, გზის პირს ამოდიოდა ფესვები და მოჭრილ ფესვებზე დგებოდა ურემი...“

სათხილეს ვეძახდით, თხილის საკრეფათ მიდიოდნენ გვიან შემოდგომით ბავშვები, თხილი მოჰქონდათ, მაგრამ არ იყო დამწიფებული“. (ვ. ხუციშვილი, 84 წლის).

სამსარის წარწერების პალეოგრაფიული ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ ძველი X-XII საუკუნეებით დათარიღდეს (ვისკარიშვილი, 1959:44).

მე-19 საუკუნეში ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობის დამოკიდებულება ძველისადმი ყოველთვის უარყოფითი იყო. ისინი არა თუ არ უფრთხილდებოდნენ ძველს, იყო მისი შეგნებული დაზიანების ფაქტებიც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში (ბერიძე, 2002:381). არც მე-20 საუკუნის ბოლოს ჩანს უკეთესი მომავალი ეკლესიისთვის: „ერთ დროს მოხატული ეკლესია ახლა სავალალო მდგომარეობაშია. მის ავარიულობაზე ჯერ კიდევ ასი წლის წინ მიუთითებდა ივ. როსტომაშვილი. მიუხედავად ამისა ტაძარმა ჩვენამდე მოაღწია, თუმცა დაზიანებული კედელ-კამარა და გუმბათი მას კარგს არაფერს უქადის (ჯ.ი.ხ.გ., 2000:67).

სოფლების სიახლოვის გამო შეერქვა სამსრის ქვაბები, სამსრის მთები და ა.შ.

„სოფელმა მისცა სახელი ქედს და მდინარეს, რაც ამ დასახლებული პუნქტის მნიშვნელობაზე და ქედთან სიახლოვეზეც მიუთითებს“ (ჯ.ი.ხ.გ., 2000:67).

„შემომეყარა ყივჩაღის“ ჯავახური ვარიანტი სამსრის მინდორსაც მიგვანიშებს: „შემომეყარა ყივჩაღი მინდორსა სამსარისასა“...

სომეხი ტოპონიმისტები სამსარს მიუთითებენ სამსორ (მ. ხ. ჯაკიძე, სთ. S. მსხიძე-ჩაჩუკიანი, ზ. ხ. ჩარსიანი, 1998.) ფორმითაც, როგორც მთის მწვერვალს.

დიდი და პატარა სამსარის შესახებ სომეხი ტოპონიმისტები წერენ, რომ ძირითადი ნაწილი მოსახლეობისა გადმოსახლებულია ერზრუმის სოფლებიდან. ძირითადი ნაწილი, ამ შემთხვევაში, პირობითია, რადგან ადგილზე მათ არაეინ დახვედრიათ. როგორც ვნახეთ, ოსმალებმა ეს სოფლები აღწერეს როგორც ნასოფლარები, ხოლო მე-16 საუკუნის შემდეგ თუ ვინმე ჩამოსახლდა აქ, ამის შესახებ არაეითარი დოკუმენტი არ არსებობს. ამგვარად, ამ სოფელში მცხოვრებნი მთლიანად ჩამოსახლდნენ ერზრუმიდან და მე-19 საუკუნეში ააგეს კიდეც წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესია (მ. ხ. ჯაკიქიან, სთ. S. სელიქ-ჩაქიან, ჯ. ხ. ჩარსიქიან, 1998 გვ. 489).

ეტყობა, ეს არის „1891 წ. აგებული დარბაზული ეკლესია ძველქართულ ნაეკლესიარზე დაშენებული და მის ფრაგმენტებს შეიცავს. ეკლესიის ეზოში ძველი სასაფლაოა, სადაც გამოირჩევა ყონებისა და ცხენის ქანდაკებანი“ (ჯ.ი.ბ.გ., 2000:67).

კლდეში ნაკვეთ ქართულ ეკლესიას სომეხი ტოპონიმისტები უწოდებენ უმზეოს (მ. ხ. ჯაკიქიან, სთ. S. სელიქ-ჩაქიან, ჯ. ხ. ჩარსიქიან, 1998, გვ. 498), ასევე მიუთითებენ, რომ ხევში არის წმინდა ადგილები, რომლებიც ხშირად დაზიანებულია მიწისძვრისაგან. სამწუხაროდ არ აღნიშნავენ იმას, რომ ეს არის ქართული ეკლესია და არაფერს ამბობენ წარწერებზე.

სამსარის ორი ეტიმოლოგია დამოწმებული აქვს ს. ჯიქიას. 1846 წლის ერთ დოკუმენტში სამსარი მოხსენებულია, როგორც ...Самсхარ-ი, რაც საში წყარო უნდა იყოს, ხოლო კ. განი სამსარს უკავშირებს სამსალს. ორივე ეტიმოლოგია სამსარის დამახინჯებულ ფორმად არის მიჩნეული (ჯიქია, 1958:287).

ადგილობრივ სომეხთა განმარტებით სამსარში გამოიყოფა -სარ, რომელიც მთას ნიშნავს სომხურად. ეს განმარტება სიმართლისაგან შორს დგას, რადგან მაშინ ვლდებულობთ ქართულ-სომხურ კომპოზიტს სამ-სარი. ასეთი კომპოზიტი ოიკონიმიში (და საერთოდ) არ გვხვდება. თანაც იმ დროს როდესაც სამსარი გვაქვს დაფიქსირებული აქ სომხური მოსახლეობა არ ყოფილა.

სამსარი კომპოზიტიური წარმომავლობის სახელი ჩანს. მისი პირველი ნაწილი არის სამი, ხოლო სარი ე-ს პროგრესული, დისტანციური ასიმილაციის გზით მიღებული სერია.

ამგვარად, სამსარი←სამსერი. ამ ტიპის ასიმილაციის მსგავსი მაგალითებია: სამახარაბლო (ძიძიგური, 1954:134). გარამოება (გარემოება) (ჟღენტი, 1965:284). სანახვე, საყუდაბელი (ბერიძე, 1992:75).

რიცხვითი სახელი სამი რეალური რიცხვის აღნიშვნით თუ საკრალური მნიშვნელობით ცნობილია ტოპონომიაში, ხოლო სერის შესახებ სულხან-საბა ორბელიანი ამბობს: „სერს უწოდებენ მოგრძოდ წამოზიდულს გორასა“ (ორბელიანი, 1966:84).

ასეთივე კომპოზიცია სამგორი (დაბა, გარდაბნის რაიონი), რომლის მეორე ნაწილიც აგრეთვე რელიეფთან არის დაკავშირებული.

სამი კომპოზიტის შემადგენლობაში კარგავს სახელობით ბრუნვის ნიშანს, გარდა სამსარისა და სამგორისა, სხვა შემთხვევაშიც: სამწყარო, სამჩანჩქერი, (ღლონტი 1981:64) სამსარეკი (ღლონტი, 1990:75), სამკაკლები (ღლონტი, 1985:80) და სხვა.

გეოგრაფიულმა ტერმინმა სერი, დაუდო საფუძველი სოფლის სახელწოდებას: სამი სერი→სამსარი, საიდანაც მივიღეთ ზემო სამსარი, ქვემო სამსარი, დიდი სამსარი, პატარა სამსარი, სამსარის ქედი, სამსარები→სამსრები, სამსარის წყალი, სამსარის მინდორი და სხვ. გვაქვს დიალექტური, რედუცირებული და ნარიანი ვარიანტები: სანსრის ქედი, სანსრის წყალი და სხვა, რომელიც პარალელურ ფორმებად იხმარება.

ს ა თ ხ ი ს ეტიმოლოგიისა და ისტორიისათვის

სოფელი სათხე მდებარეობს ნინოწმინდიდან თავფარავენისაკენ მიმავალ გზაზე 5 კმ-ის დაშორებით. იგი არის სასოფლო საბჭოს ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედის დიდი და პატარა არაქალები და ოროჯალარი.

სოფლის შუაში გადის მდინარე, რომლის ერთი ტოტი სათავეს იღებს ბუღდაშენის ტბის მიდამოებიდან, ხოლო მეორე ხანჩალების მთებიდან, ისინი ეფრემოვკასა და გორელოვკას შორის ერთდებიან. ამ მდინარეს სათხელები ღარაღალა ჯურს უწოდებენ. ღარაღალას სათხელები უწოდებენ აგრეთვე სპასოვკას, რადგან მდინარე, ვიდრე სათხეში მოვა, გამოივლის სპასოვკას, ანუ ღარაღალას, სახელიც აქედან შერქმევია მდინარეს. მდინარის მეორე სახელია ჩაი. ღარაღალა არის თურქული, მისი არმენიზებული ვარიანტი, რომელიც ქართველებმა მესხურ დიალექტში მიიღეს karakala, როგორც ყარაყალა, ნიშნავს „შავ ციხეს“. ასევე თურქულია მდინარის მეორე სახელი „ჩაი“ და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჯავახეთის სომეხთა მეტყველებაში სჭარბობს თურქული ლექსიკა, რომლითაც არც მესხური (ჯავახური) დიალექტი არის ღარიბი. ეს სახელები ახალი შერქმეულია, რადგან, როდესაც 1933 წელს ნ. ბერძენიშვილმა მოინახულა სათხე. ამ მდინარეს უსახელო მდინარეს უწოდებს და კითხვის ნიშნით გეთაყაზობს ბუღდაშენი წყალს (ბერძენიშვილი 1964:69), თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაშინ გამოჩენილ მეცნიერს არ ჩააწერინეს არავითარი ცნობა სოფლის შესახებ. „აქ არაფერი სიძველეები არაა, რა სიძველეები უნდა იყოს აქ, ჩვენ არაფერი ვიცით“ – უთხრეს მას.

ბუღდაშენის წყალი მართლაც ამ მდინარის ერთ-ერთი ტოტის სათავეა, კერძოდ, იმ ტოტისა, რომელიც სათავეს იღებს ბუღდაშენის ტბიდან. ამავე მდინარეს მადათაფის წყალს უწოდებს სათხის მკვიდრი არტუშ სანოსიანი (სასიყას, 1992:174)..

აქვე, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, არის ორი მთა – ყარაჩალი და ყარათაფა. შავი ფერის აღმნიშვნელი სიტყვები შეიძლება მთებს შეერქვას რეალური ფერის გამოც და გადატანითი მნიშვნელობითაც.

1829 წელს სათხის მოსახლეობა გადმოსახლეს არზრუმ-მიდან, კერძოდ, როგორც სომეხი ტოპონიმისტები მიუთითებენ, სოფლებიდან: სოგიუთლიდან, წალკიდან და ჯენიდან (Արմասტუკას 2006:430).

სომეხთა ჩამოსახლება და ადგილობრივ მუსლიმ ქართველთა გასახლება ხდებოდა ადმინისტრაციული წესით და არა სტიქიურად. ვიდრე სომხებს შემოასახლებდნენ, რუსეთის ხელისუფლებამ მოამზადა საფუძველი, ყველაფერი გააკეთა, რომ ადგილობრივ მაჰმადიანებს, ვინც არ გაიქცა, გაეყიდათ მამულები. ცნობილია, რომ ახალქალაქის ხანჯაყბეგმა მუთიბეგ ფალაყანდიშვილმა ჯავახეთის 29 სოფელი ხაზინას 3600 მანეთად მიჰყიდა (ლომსაძე, 1975:353). მისი შთამომავლები სოფ. ხოსპაოში მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე ცხოვრობდნენ.

1830 წ. მაისში დაიწყო გადმოსახლება არზრუმის სომხებმა. მათ მიიღეს რუსეთის ფარგლებში შემოსასვლელი პასპორტები. გადმოსახლებულ არზრუმელებს და ბაიაზეთელებს გამოუძღვნენ მათი მწყემსმთავრები: არზრუმელი არქიეპისკოპოსი კარაპეტ და არქიმანდრიტი სერაფიმ. არზრუმელი კოლონისტები ერთხანს მდ. არფაჩაზე გააჩერეს, სადაც გაიარეს კარანტინი – აქვე მიიღეს განაწესი, თუ ვინ სად დასახლდებოდა. გადმოსახლების დაწყებისთანავე კომიტეტმა ახალციხეში მიაღწინა კაპიტანი ჭილაევი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა წესრიგისათვის, მართლაც გადმოსახლების დროს შეიქმნა მკაცრი წესრიგი..... ბოქაულ ჭილაევს (ჭილაშვილი) დაევალა მიეზომა კოლონისტებისათვის მიწა. მასვე მიჰყავდა გადმოსახლებულები შერჩეულ ადგილზე და სოფლებს აბარებდა ოქმით (ლომსაძე, 1975:356).

ასეთ პირობებში რაიმე ტოპონიმურ ან ონომასტიკურ ინიციატივაზე, როგორც ეს შემდეგ რუსეთიდან ჩამოსახლებულებმა დუხობორებმა გააკეთეს, ლაპარაკი ზედმეტი იყო. საორიენტაციო, სამისამართო ფუნქცია გაუცხოველდა ცარიელ სოფელთა სახელებს. სოფლები, სადაც ხდებოდა კოლონისტების შესახლება, ბარდებოდა მათ სახელითა და ოქმით.

შემდგომისათვის მოხდა ბევრი ახალი სახელის შექმნა, მაგრამ ეს შეეხო ზოგიერთ მთას, მინდორს, ან ითარგმნა სახელები. ეთქვათ, შავმთა გახდა ყარათაფა და სხვა. ან

ამირანის გორას დაერქვა ტაფაშანთაფა. ახალი, რაც იქმნებოდა, იყო მიკროტომონიმია.

ჯავახეთი, მართალია, წყალუხვი მხარეა, ბევრი მდინარე და ტბა არის მის ტერიტორიაზე, მაგრამ საწისქვილე ადგილი ნაკლებია. სათხის მიდამოებში კი შეიდ ნაწისქვილარს მიუთითებენ, რომელთაგან მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ერთი კვლავ მოქმედებდა. ასე შეიქმნა მიკროტომონიმიაში წისქვილთა სახელები, რომელთა კომპოზიციის დროს მსაზღვრელად გამოიყენებოდა მეპატრონის გვარი: სანოსიენც ჯალაცენერ (ორი წისქვილი იყო).

ლაფონც ჯალაცკ (ლაფონსე ჟალაცს)

ასონც ჯალაცკ (ასონსე ჟალაცს)

ანანიგენც ჯალაცკ (ანანისენსე ჟალაცს)

ცარუგენც ჯალაცკ (ცაროგენსე ჟალაცს)

სიქასენც ჯალაცკ (სიქასენსე ჟალაცს)

დერდერანც ჯალაცკ (დერდერანსე ჟალაცს)

ხანონც ჯალაცკ (ხანონსე ჟალაცს)

მიკროტომონიმის შექმნისას მდინარისპირა დასახლებებს, ბუნებრივია, წისქვილის სახელებთან ერთად სჭარბობს ხიდების სახელები. ცენტრალურ გზაზეა ხიდი, რომელიც სათხის ტერიტორიაზეა, გაკეთდა 1941 წელს, იგი ჯარისკაცებმა გააკეთეს, ამიტომ მას სალდედინ კარმუჯს (სალიტინსკარმიჯს) უწოდებენ („სალდათის ხიდი“).

გომერუნ კარმუჯ, სალდედინ კარმუჯიდან მდინარის დინების საწინააღმდეგოდ არის გადებული. მას აქვს პარალელური ფორმა გომურიც. სათხელების მეტყველებაში გომური არის საქონლის სადგომი. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში იქ ფერმები იყო საქონლისა.

ჯეჰკოიანებს გაუკეთებიათ ხიდი, ამიტომ ამ ხიდს ჯეჰკოიენც კარმუჯ ჰქვია. გამკეთებლებიც ხიდთან ახლოს ცხოვრობენ. ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხიდი სოფელში არის ხიდი, რომელიც სკოლასთან ახლოს არის და საბჭოს შენობასთანაც, მაგრამ მას დებროცინ კარმუჯ ჰქვია, რაც „სკოლის ხიდს“ ნიშნავს. ასევე არის ხიდები, რომელთაც გამკეთებელთა გვარების მიხედვით ჰქვია: ძარუგენც კარმუჯ და სიქასიენც კარმუჯ.

წყაროების სახელებიც ან მათი გამკეთებლის გვარის მიხედვით არის შერქმეული ან საცხოვრებლის სიახლოვის გამო. აი, სოფლის წყაროთა სახელები: ღაბაენც ახპურ, სუქა-

სიენც ახპურ, ლაფოენც ახპურ და სალდედინ კარმუჯთან არის წყარო, რომელსაც სალდადინ ახპურ („სალდათის წყარო“) კქვია. მოტივაცია სახელდებისა ადვილი ასახსნელია, რადგან წყაროც ისევეა „სალდათების“ მიერ გაკეთებული, როგორც ხიდი.

მიკროტოპონიმები, რომელიც წარმოადგინეთ, ჩაწერილია მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. მაშინდელი ინფორმატორები იყვნენ: ხაჩატრიან ხაჩიკ ავეტისის ძე დაბ. 1934 წ.; საირატიან კარაპეტ საირატის ძე დაბ. 1921 წ.; ბროიან პარუტუნ ზორიგის ძე დაბ. 1927 წ.

შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც მოვიდნენ არზრუმიდან კოლონისტები და გამოანაწილეს სათხეში, მათ უკვე აღარავინ დახვდათ ადგილობრივ მოსახლეთაგან, რადგან არც ერთი გაუმჭვირვალე მიკროტოპონიმი არ შეგვხვედრია. ყველა სახელი შექმნილია ჩამოსახლების შემდეგ. რატომ არ შეიცვალა სოფლის სახელი? როგორც უკვე ითქვა, აღმინისტრაციული ხასიათის მიგრაციებს ახასიათებთ ასეთი რამ – რჩება აბორიგენტა ოიკონიმი, ისპობა მიკროტიპონიმია.

რა შეიძლება ითქვას სოფლის ისტორიის შესახებ? სათხე მოხსენიებული არ არის ამ მხარისათვის ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტში, როგორიცაა ოსმალეთის მიერ 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, მაშინ, როდესაც მის გარშემო არსებული სოფლები აღწერილია დეტალურად? პასუხი შეიძლება შემდეგნაირად გაეცეს ამ კითხვას: ან გამორჩა ოსმალთა მოხელეს, ან თავისთვის „შეინახა“, ე.ი. სოფლიდან აკრეფილ გადასახადს უმაღლავდნენ ხელისუფლებას. სოფელი რომ გაუკაცრიელებული ყოფილიყო „დავთარში“ აისახებოდა სათანადო ფორმით ისე, როგორც მრავალი ნასოფლარი. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს იმავე ოსმალთა მიერ შედგენილი „ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი“ რომელიც 1694-1732 წლების პერიოდს მოიცავს და, სადაც აკუმპირის ნაჰიდეს ახალქალაქის ლივაში სათხე ჩვეულებრივ არის აღწერილი (ჩ. ე. ჯ. დ., 1979:139). ხომ არ გაჩნდა სოფელი 1595 წლის აღწერის შემდეგ? ამ კითხვასაც უარყოფითი პასუხები უნდა გაეცეს, რადგან მის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ.

სახელის ფორმა და მნიშვნელობა იწვევს გარკვეულ ინტერესს, რადგან იგი რამდენიმე სახით არის შემონახული.

მისი ძირითადი ფორმა არის სათხე, რომლის რუსული რუკების ვარიანტები დამოწმებული აქვთ სომეხ ტოპონიმისტებს სატხეს სახით. გვაქვს აგრეთვე ფონეტიკური ვარიანტი სათხა და რუსული ფორმა სატხა. ასევე ფონეტიკური ვარიანტებია: საბხა, სადხა, სათღა. (Заслуженный, Мхитарян, Арутюнян, 1998:463). აშკარაა, რომ სახელი საქართველოს ფაუნის სამყაროს უკავშირდება, კერძოდ ამოსავალი არის თხა, რომელიც გაფორმებულია სა-ე აფიქსებით. თხა სიტყვისგან საქართველოს ტოპონიმიაში მრავალი ტოპონიმია ნაწარმოები: მოვიყვანთ მაგალითებს „საქართველოს ტოპონიმის (მასალები) III ტომიდან, 2003 წ. რომელშიც მოცემულია ქვემო იმერეთის ტოპონიმები: თხამაკილა (სადოვარი) თხადაწვია (სახნავე, ტყე) თხაწითელა (სადოვარი), თხებისკლდე (ტყე)...

აფიქსებით ნაწარმოები სახელები იმავე არეალში გვაქვს სათხებით სახნავეს სახელად და სათხია მალლობი. ჩამოვთვლით სა-ე აფიქსებით ნაწარმოებ ცხოველ-ფრინველთა სახელებს, რომლებიც მრავლად მოგვეპოვება იმავე არეალში და არ მიეუთითებათ გვერდებს, რადგან შრომას ლექსიკონის სახე აქვს და მოძებნა არ გაჭირდება, ასევე არ მიეუთითებათ ობიექტის სახელებს, რადგან ისინი ძირითადად ტყის, მინდვრის, მთათა და სავარგულების სახელებია. აფიქსებს გამოეყოფთ და ამით გამოიყოფა შესაბამის ცხოველ-ფრინველთა სახელები: სა-არჩე-ე, სა-ფუტკრ-ე, სა-ქათმ-ე, სა-ქორ-ე, სა-გუგულ-ე, სა-ირმ-ე, სა-იხე-ე, სა-მტრედ-ე, სა-სირ-ე, სა-წურბლ-ე, სა-ღორ-ე, სა-კალმახ-ე, სა-კვერნ-ე, სა-შაშე-ე, სა-ცხენ-ე, სა-წიწილ-ე, სა-ჯი-ე, სა-ხარ-ე, იმავე მნიშვნელობით, ხშირად პარალელურ ფორმად გვერდიგვერდ არის გამოყენებული სა-ია აფიქსები: სა-ბატ-ია, სა-ტურ-ია, სა-ქორ-ია, სა-შაშე-ია, საბზიკ-ია, სა-გველ-ია, სა-ყანჩ-ია, სა-გოჭ-ია, საჩ-ხიკე-ია, სა-მგლ-ია, სა-თიკნ-ია, სა-ირმ-ია, სა-წურბლ-ია, სა-ღორ-ია, სა-ლეკე-ია, სა-მამლ-ია, სა-მარე-ია, სა-ჩიტ-ია, საკეატ-ია, საკვერნ-ია, სა-კურდღლ-ია, სა-კატ-ია, სა-კამბერ-ია, სა-კაკბ-ია, სა-თაგე-ია, სა-დათე-ია. სა-მერცხლ-ია, სა-მტრედ-ია— გვაქვს სხვა აფიქსებითაც ნაწარმოები, მაგრამ აღარ გავაგრძელებთ. სა-ე აფიქსების პარალელურად გეხდება სა-ა აფიქსები იმავე დანიშნულებისა. ბუსაგან არის ნაწარმოები სოფლის სახელები სა-ბუ-ე ახმეტისა და ყვარლის რაიონებში. ქვემო იმერეთის „მასალებში“ კი გვხვდება როგორც სა-ბუ-ე, ასევე სა-ბუ-ია და სა-ბუ-ა. ფუტ-

კრისაგან – სა-ფუტკარ-ე და სა-ფუტკარ-ა. გველისაგან – სა-გველ-ა-ს წყარო (საქართველოს ტოპონიმია, 1989:156.) არის მაგალითები, სადაც ფრინველ-ცხოველთა გარდა გხედება სხვაგანაც სა-ა მწარმოებლები იმავე „მასალებში“: სა-რეკ-ა, სა-რეკ-ი, სა-რეკ-ებ-ი, სა-ბზეურ-გ, სა-ბზეურ-ა; სა-ბეკ-ა (ბეკი ფერდობი); სა-თიბ-ე, სა-თიბ-ა; სა-გრიალ-ა და სხვა. ჩვენ შემოვიფარგლეთ ძირითადად იმ ტოპონიმური მასალით, რომელთაც პარალელური ფორმები გააჩნიათ.

ამგვარად, სა-თხ-ე და სა-თხ-ა, ორივე ერთი და იმავე ენობრივი არეალის ფარგლებში განიხილება, ორივე ერთი და იმავე დანიშნულების სა-ე და სა-ა აფიქსებით არის გაფორმებული. ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია ტოპონიმიაში. ვთქვათ, იმავე ჯავახეთის ცნობილი სოფელი ბარალეთი გვხვდება როგორც ბარალეთის, ასევე ბარალისის ფორმით. არ არის გამორიცხული თურქული ენის გავლენაც. მაგალითად, თურქებმა -ე ხმოვანზე დაბოლოებული ცნობილი ქართული სახელი ახალციხე აქციეს ახსხად, ახელციხად (ჯიქია, 1958:42)

სხვადასხვა ოჯახთა ენების შეხვედრის დროს, როდესაც ერთი ენის ფონეტიკური არსენალი განსხვავდება მეორისაგან, ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია, მით უმეტეს, თუ ენობრივ ფაქტორებს დაემატება ადმინისტრაციული ზეწოლაც.

გზიდან შორიდანვე ჩაჩის სოფლის შუაგულში 1877 წელს აგებული სომხური გუმბათიანი ეკლესია (ჯ. ი. ხ. გ. 2000:26). იგი 1830-იან წლებში გადმოსახლებულმა სომხებმა ააშენეს. სომეხი ტოპონიმისტები ამის შესახებ წერენ, რომ სოფელში ძველი ეკლესიის ადგილას აშენდა ახალი ეკლესია. მის გვერდზე 1875 წელს მოქმედებდა დაწყებითი სკოლა 55 მოსწავლეთ. ძველ ეკლესიაში თუ 1830-იანი წლებიდან 1875 წლამდე რამე იყო აშენებული, ალბათ ის იგულისხმება. კარგი იყო მითითებულიყო სულ სხვა რამ, რომ „სოფელში შემორჩენილია ძველი ისტორიული ძეგლები-ციკლოპური ციხის ნაგებობა, რომელსაც მტკვარ-არაქსის ეპოქით (ძვ. წ. აღლ-ით III ათასწლეული) ათარიღებენ მკვლევარები. აქვე დგას XI საუკუნის ქართული ეკლესია. ციხის კედლების დიდი ნაწილი დარღვეულია, გადმოსახლებულებს მისი ქვები სახლების ასაშენებლად მოუხმარიათ, ხოლო სახურავნაქცეული და ნაწილობრივ კედლებგამორღვეული ეკლესია გაპარტახებულია და რესტავრაციას საჭიროებს, ქართული ეკ-

ლესიისათვის XIX საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთიდან სომხური ეკლესია მიუშენებიათ, რომელიც ასევე მოუვლელია და დაზიანებული (სილოგავა, 2001:127).

1933 წელს სათხეს დასცქეროდა უზარმაზარი ციხის ნანგრევები, რომლის ქვებსაც სამშენებლოდ იყენებდნენ. ამ ციხის სახელად ნ. ბერძენიშვილს ჩაწერილი აქვს იშვალა (ბერძენიშვილი, 1964:72).

ქართულ ეკლესიაზე თავის დროზე იყო ბევრი ქართული წარწერაც. თითქმის იმავედროულად, როდესაც აშენებენ სომხურ ეკლესიას, სათხეში იწყება ქართული ეკლესიისა და წარწერების მეცნიერული შესწავლა.

შეიძლება ამაზე არც გამახვილებულიყო ყურადღება, მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, როდესაც ლამის მთელი ქართული ეკლესიები ცხადდება არაქართულად და მითვისებულად, საინტერესოდ გვეჩვენება სათხის წარწერების ბედი. ჩვენს მიზანს, რა თქმა უნდა, არ შეადგენს სათხის წარწერების ანალიზი, მაგრამ მივუთითებთ კიდევ ერთხელ იმ წარწერებზე, რომლებიც მე-19–მე-20 საუკუნეებში დააფიქსირეს ქართველმა მეცნიერებმა: ი. როსტომაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ე. ცისკარიშვილმა და ვ. სილოგავამ: „ქრისტე შეიწყალე ერემია“, „ქრისტე შეიწყალე ხარაისკე“, „ქრისტე შეიწყალე გიორგი“, „ქრისტე შეიწყალე ბეშქენისა“, „ქრისტე შეიწყალე იოვანე“, „ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ ერისთავი: აღაშენა ესე ეკლესია სადიდებლად მათდა და მშობელთა მათდა სალოცავად“; „ქრისტე შეიწყალე ცხორებაი“.

„სამწუხაროდ, სათხის ეკლესიის კედლებზე, ცხორებას წარწერის გარდა, ამჟამად არცერთი ზემოთდასახელებული წარწერა აღარ მოიპოვება (სილოგავა, 2001:128). 1979 წელს კი ჯერ კიდევ ოყო გიორგის წარწერაც.

ზემოთ ჩამოთვლილი წარწერებიდან ერთი, ფარსმან ერისთავთ ერისთავისა, არის სამშენებლო წარწერა და ეკუთვნის XI საუკუნის ცნობილ მოღვაწეს, ბაგრატ IV-ის დროინდელ ფარსმან თმოგველს, რომელსაც ეკუთვნის ამ მხარეში კიდევ ორი წარწერა ზედა თმოგვისა და მირაშხნისა, რომლის ცნობით ფარსმანი 1064 წლის ზაფხულში თურქ-სელჯუკთა სულთან არფ-არსლანის შემოსევისას, ახალქალაქის ციხის გარემოცვის აღებისა და გადაწვის დროს დაიღუპა (სილოგავა, 2001:129), ამგვარად, ვიცით, ვინ

არის ეკლესიის მშენებელი და როდის არის აშენებული, ვიცით აგრეთვე „მლოცველების – ცხოვრებას, გიორგის, იოვანეს, ხარაისძის, ბეშქენის ძის წარწერები“, რომლებიც მე-11-მე-12 საუკუნეებში ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ ამ ტაძარში. სათხის ტაძარს მლოცველები ჰყავდა, ვიდრე გამუსულმანდებოდა ჯავახეთი, ხოლო შემდეგ მუსულმანები არ ანგრევენ თავიანთ წინაპართა სალოცავს და ისე გადასახლდებიან ჯავახეთიდან 1829 წელს, რომ ტაძარი და წარწერები ცოცხლობს. თავდაპირველად არც ჩამოსახლებული კოლონიტები ახლებენ ხელს ქრისტიანულ ტაძარს, მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ნადგურდება ძირითადად სათხის ეპიგრაფიკა.

1933 წელს ჯავახეთში მოგზაურობის დროს ნ. ბერძენიშვილი წერს: „სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ აქ მრავალი წარწერა განზრახ ამოუფხეკიათ. ზოგი მათგანი ივ. როსტომიშვილის აქ ყოფნის უწინარეს უკვე ამოფხეკილი ყოფილა. მას არ მოყავს ის წარწერანი, რომელთა ნაკვალევი აშკარად ჩანს, ეტყობა ეს სამწუხარო ფაქტი მას ვერ შეუნიშნავს... მაგრამ ასეთი საქმიანობა ამ მკვლევარს აქ ყოფნის შემდეგაც გაგრძელებულა და მის მიერ გადმოღებულ წარწერათა უმრავლესობა ამოშლილ განადგურებულია (ბერძენიშვილი, 1964:70).

ქართული ეკლესიის სამხრეთის კედელზე მიშენებულმა სომხურმა ეკლესიამ ერთი სასიკეთო შედეგი გამოიღო. გადაარჩინა ვრცელი წარწერა, რომელიც მაშინ შელესეს. „1990 წლის გაზაფხულზე სომხური ეკლესიის სახურავი ჩრდილოეთ მხარეს ჩაინგრა, ამის შემდეგ ნაწილობრივ გაშიშვლდა ქართული ეკლესიის სამხრეთი კედელი, ჩამოიშალა კირის სქელი ფენა, ზოგი ჩამორეცხა წვიმამაც და აქ, დიდი ზომის ქვის ფილაზე ამოკვეთილი აღმოჩნდა ნუსხახუცური დამწერლობით შესრულებული ქართული წარწერა 11 სტრიქონად (სილოგავა, 2001:131)“.

საბედნიეროდ მე-20 საუკუნის მიწურულს სათხის ინტელიგენტმა ადამიანებმა არ იკადრეს წარწერის გადაფხეკა და შესაძლებელი გახდა მისი წაკითხვა. წარწერა გამოსცა პროფესორმა ე. სილოგავამ. წარწერის მნიშვნელობიდან გამომდინარე მოვიყვანთ მას სრულად. ქარაგმების გახსნითა და გამომცემლისეული წაკითხვა-შესწორებებით: „გიორგი შაზელისძესა და ძეთა მისთა შეუნიდვენ ღმერთმან. დაიდევს

ორი დღე აღაპი, რომე რაეცა ზედაშე და სეფისკუერი გამოვიდეს, ბარბარობაე და მეორედ მოსლუაე, ამა საყდარსა შიგან მყოფა ვერავინ დააკლოს წირვაე, ჩუენმან მომავალმან და ვინცა დააკლოს, კანონსა-მცა ქუეშე არს; ამენ“.

წარწერა XII-XIII საუკუნის მლოცველთა წარწერების ოდნავ მომდევნო ხანისაა (სილოგავა, 2001:131) თითქოს გული უგრძნობდათ გიორგი შაზელისძესა და მის შვილებს ტაძრის მომავალთან დაკავშირებით, რომ სააღაპე წარწერა წყველით დაამთავრეს: „ვინცა დააკლოს, კანონსა-მცა ქუეშე არს“.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. თანდათან ხდება არა მარტო ქართული ეკლესიის წარწერების საბოლოო კვალის წაშლა, კეთდება სომხური წარწერები. 1979 წელს უკვე განინდა ახალი სომხური წარწერები ქართული ეკლესიის დასავლეთის კედლის თავზე. ასე იკითხება ისინი: 1. მოიგონებდით პოლოსიან ბაგრატს; 2. მოიგონეთ ბეროიან სარქის. „ტრადიციად მკვიდრდება სათხეში შესანდობრის თხოვნა ქართული ეკლესიიდან, რადგან ერთი ქვა, რომელიც დაბლა დაუმუშავებიათ, ე. ი. ამოუკეეთიათ საკმაოდ ღრმად და შემდეგ შეუდგამთ კედელზე, უკვე „დაძველებულა“, ხავსი მოსდებია (თუმცა შეიძლება პერანგის ქვაც იყოს), ხოლო მეორე ჯერაც ახალია, ჩაცემენტებისას გადმოდვენთილი ცემენტი ისევე თეთრი ფერისაა. ჩვენ ბაგრატიცა და სარქისის შენდობის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ ერთ დროს საეჭვოა, სამტკიცებელი არ გახდეს უძველესი ეკლესიის ქართულობა (ბერიძე, 2002:380)“.

თითქოს ყველაფერი ნათელია, სოფლის სახელი სათხე გამჭვირვალეა, მაგრამ არის ზოგი გამრუდებული შეხედულება სახელის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, რაზეც გვინდა მივუთითოთ: ე. ლალაიანი (1864-1931) კარგად იცნობდა ჯავახეთს. იგი მოღვაწეობდა ახალციხესა და ახალქალაქში. ახალქალაქში მასწავლებლად ყოფნის დროს 1880 წ. შეაგროვა მასალა ჯავახეთის შესახებ. პირველად სწორედ ე. ლალაიანმა აღწერა სათხე და მოგვცა სახელის ხალხური ეტიმოლოგია. მისი თქმით, თვითონ სოფლელები ამბობენ, რომ ბატონს რქმევია სახელი სათდ, საიდანაც ეწოდა სოფელს სახელი. სოფელში სომხური მოსახლეობა გაჩნდა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში. 50 წლის შემდეგ ე. ლალაიანს ჩამოსახლებული კოლონისტები აწვიდნან სოფლის სახელის

ეტიმოლოგიას, რომელიც თურქების მიერ დაფიქსირებულია მე-18 საუკუნის დასაწყისში და, რომლის ტერიტორიაზე მდგომი ქართული ეკლესია XI საუკუნისაა, მას აქვს სამშენებლო წარწერა იმ პერიოდის, ამიტომ ეს ეტიმოლოგია არის გულუბრყვილო ხალხური გააზრება სახელისა.

სათხის ე. ლალაინისეული ეტიმოლოგია გაიმეორა სამველ კარაპეტიანმა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივებმა სოფელს სახელი უწოდეს ადამიანის სახელის მიხედვით.

სტეფანოს ორბელიანი (სტეფანოს განძაკელი) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-13 საუკუნეში (1258-1309). მას ეკუთვნის ცნობილი თხზულება „ცხოვრება ორბელიანთა“. სტეფანოს ორბელიანი ცნობილია აგრეთვე სიენიელის სახელითაც, როგორც სიენიეთში ანუ სისასაკანში მოღვაწე ეპისკოპოსი. სტეფანოს ორბელიანის თხზულების ქართული თარგმანი შემონახულია მე-18 საუკუნის ნუსხებით, მათ შორის დედანთან ახლოს დგას 9-3428 ნუსხა, რომელიც 1682 წლის ნუსხიდანაა გადმოწერილი (ორბელიანი, 1978:19).

ორბელები საქართველოში ფეოდალური საგვარეულო იყო XII-XIII საუკუნეებში. მამულობით ფლობდნენ ორბეთის ციხეს ქვემო ქართლში, საიდანაც მოდის მათი გვარი. ორბელთა დაცემა დაკავშირებულია მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დამარცხებასთან. ორბელთა ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ნაწილი კი სამშობლოდან გააძევეს. ორბელიანთა ნაწილი გასომხდა, ზოგიერთი კი თამარ მეფის დროს საქართველოში დააბრუნეს და ორბეთი და სხვა მამულიც დაუბრუნეს (იე. ჯავახიშვილი).

1178 წელს გიორგი III-მ შეძლო აჯანყების ჩახშობა. განსაკუთრებით სასტიკად მოექცა იგი ორბელებს. როგორც უკვე ითქვა, დემეტრე უფლისწული დასაჯეს და თვალები დასთხარეს.

სტეფანოს ორბელიანი „ცხოვრება ორბელიანთას“ ქართულ თაგმანში ამ ფაქტის შესახებ ვკითხულობთ: „ხოლო გიორგი მეფემან შურითა აღმოხოცნა იგინი ნათესავითურთ ქვეყანისაგან ქართლისა, რამეთუ აღმოხოცნა სახელნი მათნი ცხოვრებათაგან თვისთა და ყოველთაგან წიგნთა და ეკლესიათაგან (ორბელიანი 1978:30)“.

ა. სანოსიანი ამ აჯანყების დეტალებზე მსჯელობისას ცდილობს სათხის ლოკალიზაციას. თითქოს გიორგი მეფე

სათხეში (სათხაში) იმყოფებოდა, როდესაც დემნას (დემეტრე დავითის ძე) აჯანყება მზადდებოდა.

სტეფანოს ორბელიანი წერს: „ხოლო ასაკონობასა ჭაბუკობისა დიმიტრისას მჯდომარე იყო იოვანე ძმითა და ძითურთ თვისით აგარაკად, სახელდებულსა მას დარბაზს და მხიარულ იყვნენ ერთობით. და მოვიდნენ მისა დიდთა დიდებულთაგანი და მოვიდა დიმიტრიცა და ეტყოდა მას: „მოიხსენე იოვანე, აღთქმა შენი და ფიცი, რომელ ეფუცე მეფესა დავითს და ნუ თანა-წარხდები აღთქმასა. რამეთუ ამა მოწვენილ არს ჟამი მეფობად ყრმისა დიმიტრისა, და გიორგი მჯდომარე არს მცხეთას კაცთა მიერ მცირეთა და ჩვენ ყოველი მტკიცე ვართ ფიცსა მას ზედა, რომელ ეფუცეთ მამისა ამისა (ორბელიანი, 1978:44).“

მოყვანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ გიორგი ზის მცხეთას „კაცთა მიერ მცირეთა.“ ხოლო შეთქმულები, კერძოდ, იოვანე ორბელიანი „მჯდომარე იყო“ „აგარაკად სახელდებულსა მას დარბაზს და მხიარულ იყვნეს ერთობით“. სად იყო ეს აგარაკად წოდებული დარბაზი. 1123 წელს ბრძოლებში დამსახურებისათვის დავით აღმაშენებლისაგან, სტეფანოს ორბელიანის ცნობით, „მიეცა მას მეფისაგან ღორე სოფლითა და აგარაკითა თვისითა და ადგილად დარბაზისა სამშვილდე (ორბელიანი, 1978:39)“ შეთქმულებისათვის სამშვილდეში სადარბაზო პირობები იყო. სამშვილდე საქართველოს ისტორიაში ცნობილი ციხე-სიმაგრეა. ლეონტი მროველის ცნობით სამშვილდე გაშენებული იყო სამკუთხა კონცხზე, რომლის ზედაპირი ეაკეა. გვერდების, ღრმა ხეობებში მდინარეები მიედინება, სამხრეთით ხრამი და ჩრდილოეთით – ჭივჭივა (ზაქარია, 2002:61).“

მოქმედება ხდება თბილისის გარშემო, მცხეთასა და სამშვილდეში.

სამშვილდეში შეკრებილი შეთქმულების „ესმა განზრახვა ესე შეურაცხსა ერთსა, ყრმასა და წარვიდა ღამე და ამცნო მეფესა. ხოლო იგი ამხედრდა ცხენსა და ილტვოდა მყის, და შევიდა ტფილისს, და მუნ მტკიცე იქმნა (ორბელიანი, 1978:45)“.

თხრობა მარტივი და დამაჯერებელია სამშვილდიდან მცხეთაში ერთ ღამეში ჩადის „ყრმა“, გიორგი მეფის კაცი, შეატყობინებს შეთქმულების ამბავს და გიორგი მეფე გამაგ-

რდება თბილისში, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდება აჯანყების შემდგომ ბედზე.

დამაჯერებელი არ არის და საფუძველს მოკლებულია შემდეგი მტკიცება „დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი მეფე იმყოფებოდა თავის სამფლობელოში, თავის ციხეში, რომელიც მდებარეობდა ჯავახეთში. ეს ციხე სწორედ „სატხე“ იყო, რომელსაც ამჟამად „სათხა“ ეწოდება (სანოსიანი 1992:176)“.

ზემოთ მოყვანილი აჯანყების ეპიზოდის თარგმანი ქართულად ორი ნუსხით არის მოღწეული. პირველში, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ, გიორგი მეფე აჯანყების მომენტში ზის მცხეთაში, ხოლო მეორე ნუსხაში ეს ადგილი ასეა თარგმნილი: „აჰა, მოწვენილ არს ჟამი მეფობისა ყრმისა ამის დემნასი, და გიორგი ზის სახატესა მას მცირედითა კაციტა და ჩუენ მტკიცედ ვართ ფიცისა მამისა ამის ზედა (ორბელიანი, 1978:44)“.

დედნის ტექსტს ამ შემთხვევაში უფრო ზუსტად იმეორებს მეორე ვარიანტი. დედანში არის სახატე (ორბელიანი, 1978:122)

როგორც ჩანს, პირველი ნუსხის მთარგმნელმა თუ გადამწერმა გიორგი მესამის ადგილსამყოფელი დააზუსტა უფრო ცნობილი ტოპონიმით, როდესაც სახატე შეცვალა მცხეთით, სახატე ნიშნავს ხატის ადგილს, წმინდა ადგილს. მართალია დღეს ამ სახელის გეოგრაფიული პუნქტი მცხეთაში არ შემოგვრჩენია, სამაგიეროდ გვაქვს ხატის ქედი. მცხეთასაგურამოს შორის (ღლონტი, 1975:76). ამავე რაიონში გვაქვს ხატიკარი, ნასაყდარი ხატიკრის ქედზე. ხატიკრის ქედი, ხატის ქვა, სალოცავი და სხვა (მელიქიძე, 2007:174). სახატე ისევეა ნაწარმოები, როგორც იმავე მიდამოებში უძველესი ტოპონიმი სარკინე.

აუხსნელია, როგორ შეიძლება დაუკავშირდეს სახატე სატახეს, როგორც ეს მითითებული აქვს ბატონ ა. სანოსიანს. რამდენად მისაღებია ასეთი ბგერათა გადასმა. ქართულში ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან აბსოლუტურად იცვლება სიტყვის სემანტიკა. სახატე თუ ნიშნავს ხატის ადგილს, სატახე არის ტახის ადგილი, ამიტომ მსგავსი მეტათეზისი ქართულს არ ახასიათებს.

უფიქრობ, ეს დაკავშირება ხელოვნურია და მიზანმიმართული, რომ როგორმე სათხეს დაუკავშირდეს სატახე და ბოლოს ითქვას, რომ სათხე იგივე სატახეა.

ასევე არის სატახა და ბოლოს სათხა, რომელიც დამოწმებულია თითქოს სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში. რეალურად სათხა ამ წყაროში არ არის დამოწმებული. მცდარია ლოკალიზებაც. შეუძლებელია, რომ რაგინდ კარგი ცხენი ჰყავდეს, სათხიდან ყრმა ჩავიდეს თბილისში, გაიაროს ერთ ღამეში 150 კილომეტრზე მეტი.

ამგვარად, სოფელ სათხის სახელი გამჭვირვალეა, იგი მიეკუთვნება ქართულ გეოგრაფიულ სახელთა რიგს, დარქმეულია ქართველთა მიერ რასაც სოფლის ტაძრის ეპიგრაფიკა უეჭველს ხდის.

ჭულევი

მას შემდეგ, რაც აღდგა მონასტერი ჭულევეში, შეკეთდა ტაძარი, აშენდა კელიები, გაცოცხლდა ცხოვრება, გაჩნდა კითხვა: რომელია სწორი ფორმა – ჭულევი თუ ჭულე? ამ კითხვას აქვს ისტორიული საფუძველი, რადგან ორივე ფორმა იხმარება ტრადიციულად წყაროების მიხედვით. ამასთანავე ორივე ფორმას ხმარობს ადგილობრივი მოსახლეობა, ასეა დიალექტშიც და ჭულევესა და ჭულეს იყენებენ ის მეცნიერები, რომლებიც სწავლობდნენ ტაძარს. არის კიდევ ერთი ფორმა – ჭულევი. იგი შედარებით ნაკლებად, მაგრამ ასევე იხმარება ტაძრის სახელის პარალელურ ფორმად.

მე-20 საუკუნის ბოლოს ახალციხის, ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის ეპისკოპოსის მეუფე თეოდორეს ლოცვა-კურთხევით დაიწყო მონასტრის შექმნა ჭულევეში. პირველი წინამძღვარი და მშენებელი იყო მამა სტეფანე. თსუ მესხეთის ფილიალსა და ახალციხის ეპარქიას მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ. ერთად ვაკეთებდით ეროვნულ საქმეს, ამიტომ, როდესაც მონასტრის სწორ სახელზე და არჩევანზე მიდგა ჯერი, მე მხარი დავეჭირე ჭულევეს, როგორც უფრო მისაღებ ფორმას.

მონასტრის სახელთან საქართველოს ისტორიაში ბევრი მოღვაწის წოდება არის დაკავშირებული. როგორც წესი, მო-

ნასტრის სახელს ემატებოდა -ელ წარმომავლობა-კუთვნილებების სუფიქსი და ვლებულობდით ანთროპონიმს, რომელშიც აისახებოდა მოღვაწის სახელიც და ის ადგილიც, სადაც ესა თუ ის პიროვნება იღვწოდა. ასე შემორჩა ჩვენს ისტორიულ ხსოვნას გრიგოლ ხანძთელი. ე. ი. გრიგოლი, რომელიც ხანძთაში მოღვაწეობდა (ცნობილი ფაქტია, რომ გრიგოლმა ააშენა ხანძთის მონასტერი და იყო მისი პირველი წინამძღვარი). მონასტერი ტბა და ტბელი, ოპიზა და ოპიზელი, კუმურდოელი, ანჩელი და სხვ.

ასეთი ტოპონომები მხოლოდ სასულიერო წრეებში არ იქმნებოდა. ასეთივე სტრუქტურით ხდებოდა საგვარეულო სახელების ჩამოყალიბება. მაგალითად: თმოგველი, ორბელი და სხვანი. -ელ სუფიქსიანი წარმოება ცნობილია ქართული გვარების სისტემაში და იგი ერთ-ერთ უძველეს ფენად ითვლება.

აი, ამ პოზიციიდან ამოვდიოდი, როდესაც მხარი დავუჭირე ჭულევს, როგორც დასაკანონებელ ფორმას, რომ იქ მოღვაწე ბერი იქნება ჭულეველი და არა ჭულელი, რომ მონასტერი იქნება ჭულევის მონასტერი და არა ჭულეს მონასტერი. ის წყაროები, რომელნიც ჭულეს უწოდებენ ტაძარს, ნათესაობით ბრუნვაში ხმარობენ ჭულის ფორმას და არა ჭულეს, მაგრამ, რატომღაც დღეს არის ტენდენცია, რომ -ეზე დაბოლოებული სახელები არ შეეყვანონ ნათესაობით ბრუნვაში, მაგალითად, ამბობენ - ვალეს საშუალო სკოლა და არა ვალის სკოლა. აქა-იქ უკვე გვხვდება უდეს სკოლაც უდის სკოლის ნაცვლად და მრავალი სხვა. ყოველივე ამისგან თავის დაზღვევის მიზნით, რომ ენობრივი და ისტორიული ნორმები ყოფილიყო დაცული, უპირატესობა მივანიჭე ჭულევს. რატომღაც ზოგიერთს ეს არ მოეწონა, აქტიურად დაუჭირეს მხარი ჭულეს, გამოვიდა სპეციალური ბროშურა. ეს ბროშურა იყიდება მონასტერშივე. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ყოველგვარი რეაგირების გარეშე დაგვეტოვებინა საკითხი, მაგრამ ავტორებს ისე გამოჰყავთ, თითქოს მე მცდარ ფორმას ვთვლი სწორ ფორმად, რაღაცას ვამრუდებ. სინამდვილეში მცდარზე და სწორზე არ არის საუბარი. საუბარია გემოვნებაზე, პოზიციაზე, რაც საბოლოოდ საზოგადოებაზეც გადადის.

ეტყობა ჭულევის მოწინააღმდეგეთა განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია 2008 წელს მონასტრისადმი მიძღვნი-

ლი ცნობარის გამოცემამ (შემდგენლები: ილუმენი დიმიტრი (კაპანაძე), მარინა ხუციშვილი, ირინე სტროგანოვა, მანანა მათიაშვილი, გიორგი ჩერქეზიშვილი), რომელსაც სათაურად „ჭულევი“ აწერია და იქვეა მითითებული, რომ „მონასტრის სახელი სამი ვარიაციული ფორმით იხმარება: ჭულე“, „ჭულევი“ და „ჭულები“. დღეისათვის დამკვიდრებული სახელწოდებაა „ჭულევი“ (გვ. 1). ამიტომაც კიდევ ერთხელ შევეხებით ჭულევის ეტიმოლოგიას.

ცნობარის მიხედვით „სახელწოდება „ჭულევი“ მომდინარეობს სიტყვიდან „ჭური“, რომელიც ძველ ქართულში ჩაყარდნილ ჩაფარებულ ადგილს ნიშნავდა. ჭულევის ადგილმდებარეობა სავსებით შეესაბამება ამ სახელს (გვ. 1). რადგან შემდგენლები უკვე არსებულ აზრს იყენებენ, ამიტომ საუბარი გვექნება ეტიმოლოგიის ავტორების გურამ კუტალაძისა და ოთარ მაისურაძის მსჯელობაზე ჭულ-ფუძის შესახებ (კუტალაძე, მაისურაძე, 1994:7-8). იგივე მსჯელობა მოცემულია იმავე სახელწოდების მეორე შევსებულ გამოცემაში (2008:14-17).

ავტორები ვერცნობიან ბატონი გურამ ბედოშვილის აზრს, რომ ძველ ქართულში „ჭური საერთოდ სამალავს, საფარს, საცავს ეწოდებოდა“ (ბედოშვილი 1980:172).

ძველ ქართულში ჭური ნიშნავდა „ჯაჭვთა და ჯაფშანთა, რომელი არს საცაეი სხეულისა და სულისა, რომელ არს ყოველთა უტკბესი“. იქვე განმარტებულია ჭური როგორც აბჯარი. ნ. იარალი, საჭურველი, სპილენძ-ჭური, შეჭურვილი, ჭურვილი“ (ორბელიანი, 1966:406). ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით ჭური არის „იარალი, ჭურჭელი, ჭური, ქვეერი, მოკაზმულობა“ (აბულაძე, 1973:559), ხოლო საჭურველი – „ჭურჭელი“, „ჭური“, იარალი, შეჭურვილობა, აკაზმულობა“ (აბულაძე, 1973:383).

ბ-ნ გ. ბედოშვილს იმის დამამტკიცებლად, რომ ძველ ქართულში სამალავს, საფარს, საცავს ეწოდებოდა ჭური, მოჰყავს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისადან“ შემდეგი ადგილი: „და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა“. საჭურედ ამ შემთხვევაში უნდა ნიშნავდეს – „აბჯრად“, „საჭურველად“, „დამცველად“.

„ჭულეს“ ავტორებს ყველაფერი მიჰყავთ იქეთკენ რომ ჭური და ჭულე დაუკავშირონ ერთმანეთს და საბოლოოდ წერენ: „თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს ჭულის ადგილმდებ-

ბარეობასთან შესაბამისობაში გავითვალისწინებთ და ამასთან ქართულში „ულ-ურ“ სუფიქსების მონაცვლეობასაც ვიქონიებთ მხედველობაში, ვფიქრობთ. გვექნება საფუძველი „ჭულ“ და „ჭურ“ ფუძეები ერთმანეთს დავეუკავშიროთ (კუტა-ლაძე, მაისურაძე, 2008:16).

შედეგი ასეთია: საჭურე, საჭურისთავი, საჭურულა, საჭურისხვევი და ჭულე ერთნაირი წარმოშობისანი არიან, ერთი ფუძე აქვთ ამოსავალი, ე. ი. მათი აზრით, ჭური და ჭული ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვებია. ეს კი სერიოზული უხერხულობის წინაშე გვაყენებს, რადგან გამოდის, რომ ასევე შეგვიძლია ერთნაირი წარმოშობისად მივიჩნიოთ ყური და ყული, ცური და ცული, წული და წური, პური და პული და ა. შ.

ის, რაც ნათქვამია „ჭურის“ შესახებ გ. ბედოშვილთან არის სხვა მსჯელობა და არავითარ კავშირში არ არის ჭულესთან. ყოველგვარი მტკიცების გარეშე, ერთნაირ ფონეტიკურ გარემოში, ერთი ფუძის შიგნით, ორმა სუფიქსმა მოგვცეს ერთი მნიშვნელობის სიტყვა, მიუღებელია.

-ულ სუფიქსი შეიძლება მოგვცეს -ურ სუფიქსმა თუ ფუძეში რ ურევია. ან -ულ-ი არის დამოუკიდებელი სუფიქსი, ან იხმარება პრეფიქსთან ერთად (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:389-392).

ბროშესის ავტორთა აზრით, ხან -ულ-ი ერთვის ჭა-ს, ხან -ურ-ი და იძლევა ორივე შემთხვევა ერთ მნიშვნელობას. -ულ სუფიქსი ნამდვილად არის მათ მიერვე დამოწმებულ ჭურულაში და საჭურულაში. ფონეტიკურადაც ყველაფერი რიგზეა, ფუძისეული რ-ს გამო, -ურ სუფიქსი იქცა -ულ სუფიქსად დისიმილაციით, მოხდა ჩვეულებრივი ფონეტიკური პროცესი. ამ ტიპის სახელთა ეტიმოლოგიის თუ ეტიოლოგიის დროს საჭიროა ფუძის გამჭვირვალობის ძიებასთან ერთად სუფიქსთა განხილვაც, მაგრამ აქ ჭულე არაფერ შუაშია.

ჭულევის ეტიმოლოგიის დროს საჭიროა განვიხილოთ ეს სახელი მსგავსი სტრუქტურის სიტყვებთან ერთად. პირველ რიგში გამოსაყოფია -ევ სუფიქსი, რომელიც მიჩნეულია რიგ ტოპონიმებში მრავლობითი რიცხვის სუფიქსად. აკ. შანაძე წერს: „გეოგრაფიულ ნომენკლატურაში დაცული გვაქვს თერთმეტი სიტყვა, რომელთაც მრავლობითის საწარმოებლად შემოუნახავს -ევ სუფიქსი; ესენია: ვაშლ-ევი, ძეგლ-ევი

ი, ბოსლ-ევი, (მ)ღვიმ-ევი (=ღვიმე-ევი), ველ-ევი, ველტყ-ევი (=ველტყე-ევი), ვაკე-ევი (=ვაკე-ევი) ქე-ევი, იფნ-ევი, ტბ-ევი. ევი-ის ფუნქცია ამ სიტყვებში უდავოა“ (შანიძე, 1981:440). თუმცა აკ. შანიძე იქვე მიუთითებს, რომ „მე სრულიადაც არა ვარ იმ აზრისა, თითქოს ყველა სახელში, რომელსაც ბოლოში -ევი მოუდის, მრავლობითის ფორმა გეკონდეს“ (შანიძე, 1981:440).

უდავო ფაქტად თელის მეცნიერი იმ შემთხვევას, როდესაც სუფიქსი დაერთვის გამჭვირვალე ფუძეს. ზემოთ ჩამოთვლილი თერთმეტი ტოპონიმი სწორედ ასეთია. მათ რიგს ემატება იქვე მითითებული სხვა სახელებიც: ეხვევი, კნოლ-ევი, ჭიბრევი, ატრევი, მეჯევი, ქოლევი, რომელთა ფუძეებსაც შესაბამისი ახსნის, „თარგმანის“ მოძებნა უხერხდებათ.

სად არის ჭულევის ადგილი? -ევი ნამდვილად სუფიქსია, რადგან მას აქვს პარალელური ფორმა – ჭულეები. კითხვაზე, რატომ განიდა მრავლობითის ორი სუფიქსი, პასუხს გვაძლევს აკ. შანიძის დასახელებული წერილი „ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“ და საერთოდ ორგვარი მრავლობითი – -ებიანი და -ნარ-თანიანი ქართულში. ქართულ ენასა და დიალექტებში მხოლოდ -ები არ გამოხატავენ მრავლობით რიცხვს. ამგვარად -ევი სუფიქსი ნამდვილად მრავლობით რიცხვს გამოხატავს. რადგან არსებობს მესამე ფორმა ჭულე, უეჭველია, რომ დგას -ე ხმოვნის საკითხი. ის შეიძლება იყოს ფუძისეული და მრავლობითის სუფიქსთა დართვით იკარგვის, როგორც მითითებული – მღვიმევის, ვაკევის, ველტყევის შემთხვევაში მოხდა (აკ. შანიძე) ან მრავლობითი რიცხვის ნიშანთა ხმოვნითი ნაწილია დარჩენილი.

ჭულე-ში ე უნდა იყოს -ევი მრავლობითის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი, სწორედ ისე, როგორც მოხდა ნოსტეს შემთხვევაში: ვახუშტი ბატონიშვილი წრს: „მსმენელი მოურავი მყის შეჯდა ჩულიანსა ცხენსა ზედა და იელტოდა ფიცხალ, და მოვიდა ნოსტეს, აჰყარნა დედაწულნი თუსნი და შევიდა მთასა შინა. მასვე ჟამსა მოკუდნენ სპანი მეფისანი და დაწუეს ნოსტევი და ეძიებდნენ მოურავსა და შეუკრნეს გზანი ყოველნი“ (ვახუშტი, 1973:423-424). აშკარაა, რომ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ პუნქტზეა საუბარი. ასეა საძიებელშიც მითითებული. ასევე ხოვლე მიღებულია ხოვლევისაგან (ბედოშვილი, 2002:362). აქაც დაკარგულია ე თანხმოვანი.

ამგვარად, -ე ცალკე სუფიქსი არ არის, არც ფუძისეული ხმოვანია, ის არის ჭულეში -ეგ-ის ხმოვნითი ნაწილი. დაიკარგა ე და დაგერჩა ე. ე.ი. ფუძე გვაქვს ჭულ-, რომელსაც დაერთო მრავლობითის ნიშანი -ეე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ -ეე-მა მოგვცა -ე და არა პირიქით, ამიტომაც ამოსავალი არის სრული ფორმა და არა თანხმოვანწამოცილებული ნაწილი.

ბ. კუტალაძე წერს: „მ. ბერიძის აზრით, ჭულე უფრო ხალხური ვარიანტია, ხოლო ჭულევი – თავდაპირველი ლიტერატურული ფორმა (კუტალაძე, მაისურაძე, 2008:15). გარკვეული მსჯელობის შემდეგ კი ასკენის, რომ „ვგონებ, სრულიად სამართლიანად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში „ჭულე“ ფორმა. ფრესკული წარწერაც ხომ სწორედ ამას აკონკრეტებს. ამდენად „აღდგენილი მონასტრისათვის მოსახსენიებლად უკეთეს და სრულ სახედ ჭულევის მიჩნევა არ მიგვაჩნია გამართლებულად (კუტალაძე, მაისურაძე, 2008:17). „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ დაფიქსირებული ფორმა (როგორც ავტორები მიუთითებენ), არ ნიშნავს სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოო დამკვიდრებას. მთავარი კი არის ის, თუ აღდგენილი მონასტრისათვის და იქ მოღვაწე პიროვნებებისათვის რომელი სახელი იქნება ტრადიციული და კომფორტული. ავტორები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ტაძრის წარწერას, რომელიც მხარს უჭერს „ჭულეს“. წარწერაში დაფიქსირებულია „ჭულ“– ფორმა. „შეწვევითა ღვთისაჲთა და წმიდისა გიორგი ჭულისაჲთა სრულ იქმნა ეკლესია ესე ჭულისაჲ... (ბერიძე, 1955:150). წარწერის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორც ჭული, ისე ჭულე ფორმები, ხოლო ჭულევი დადასტურებულია ბევრად უფრო ადრე. ჭულევის ტაძარი აგებულია მე-14 საუკუნის ბოლოს (ბერიძე, 1955:151).

ავტორებიც მიუთითებენ და ცნობილია, რომ მე-11 საუკუნეში შაე მთაზე მოღვაწეობდა სტეფანე ჭულეველი (მენაბდე, 1980:162). ეს ფაქტი მთელი სამი საუკუნით უსწრებს ტაძრის წარწერას და დადასტურებულ ჭულეს. ჭულევი დასტურდება ტაძრის მშენებლობის დროს 1381-1386 (კუტალაძე, მაისურაძე, 2008:37).

როდესაც მხარს ეუჭერთ უფრო სწორ ლიტერატურულ ფორმას ჭულევის და არა ჭულეს, ეს არ ნიშნავს, რომ უარყოფთ რომელიმე ფორმას. მე მხარს ეუჭერ მონასტრისათვის სწორი ლიტერატურული, გამართული ქართული გარე-

მოს შექმნას, კერძოდ, მონასტრის წინამძღვარი უნდა იყოს ჭულეველი და არა ჭულელი. ჭულევის მონასტერია და არა ჭულისა. თორემ იძულებული ვიქნებით დავამკვიდროთ ისეთი უგემოვნო და არასწორი ფორმები, როგორსაც ცდილობენ და ამკვიდრებენ „ჭულეს“ ავტორები. მოვიყვანთ ორ მაგალითს: „ნამდვილი ცხოვრება ჭულესი, ვითარცა ღეთის სახლისა 1999 წელს იწყება“ (კუტალაძე, მაისურაძე, 2008:10). სწორი ფორმაა „ჭულისა“. ავტორები იძულებული არიან დვარჯნილი სიტყვა იხმარონ, რადგან მათთვისაც კი, მთელი ბროშურის მანძილზე რომ „ჭულის“, „ჭულისაო“, ბრძანებენ, მიუღებელია ეს სწორი, მაგრამ დღეისათვის „შეუფერებელი“ ფორმა. ასევე ჭულის უნდა იყოს შემდეგ ციტატაში: „ჭურობი“ – მართლაც ზედმიწევნით ახასიათებს ჭულეს მიდამოებს“ (კუტალაძე, მაისურაძე, 2008:16). ჭულეს არის მიცემითი ბრუნვა, ე. კუტალაძეს ნათესაობითი ბრუნვა უნდა გამოეყენებინა, რასაც გვერდს უვლის. ქართველი კაცი კი იტყვის – ჭულის, როგორც წარწერის გამკეთებელი ქართველები წერდნენ. ეს ყველაფერი კი არის ჩვენი აზრის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი. მე განა უარყოფ „ჭულეს“, როგორც ასეთის არსებობას, ან განა ვებრძვი ამ ფორმას, პირიქით, საჭიროა სამი ვარიანტიდან შეირჩეს ისეთი თანამედროვე ფორმა, რომელიც აღარ მოითხოვს დამატებით წვალებას ამა თუ იმ სახით მისი გამოყენებისას, ასეთია ჭულევი. ასე გაიმართებოდა ავტორთა ციტატები: 1. ნამდვილი ცხოვრება ჭულევისა, ვითარცა ღეთის სახლისა, 1999 წლიდან იწყება; 2. ჭურობი – მართლაც ზედმიწევნით ახასიათებს ჭულევის მიდამოებს, მის რელიეფს.

ამჯერად ამით შემოვიფარგლებით, რაც შეეხება ჭულეს და ჭურ- ფუძეთა ურთიერთობის საკითხს, საინტერესო საკვლევ საგნად გვეჩვენება, ამიტომ მის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.

საროს ციხე და ტაძარი

სოფელი სარო მდებარეობს ჯაეახეთის ზეგანის განაპირა ქარაფის პირას, ვაკეზე. სამხრეთიდან მას ესაზღვრება სოფელი ნიჯგორი, რომელიც იყო საროს ბაღები და სოფლად იქცა მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, როდესაც საროს მოსახლეობა ჩავიდა და დაემკვიდრა იქ. ჩრდილოეთიდან საროს ესაზღვრება სოფელი ხიზაბავრა, ხოლო აღმოსავლეთიდან – ვარგაფი.

სოფელში, როგორც ნიკო ბერძენიშვილი იტყვოდა, „მოსახლეობა ძველ ჯაეახურია“, ცხოვრობენ შემდეგი გვარები: გიორგაძე (გორანაანი, აბუშაანი, ღვინიაანი, ტიმონი, კაკაბესაანი), ბერიძე (კიკოლაანი), მადრაძე (ბერეიენი), ღონდარიძე (ჭიჭიკაანი, კორიკაანი, კოტიენი, ტატაანი, ბრიშოონი), ასპანიძე (მანსულაანი, მღვდელიენი), სანდოძე (იესაანი), წითლანაძე (მამულაანი, თავერიენი), იველაშვილი (იველაანი), გურგენიძე (მოსიენი, კახმიხაანი). მჭედლიშვილი (მჭედლიენი), ხუციშვილი, ზედგინიძე, ივანიძე, დიასამიძე.

დღევანდელი საროს მცხოვრებთა წინაპრები მე-16 საუკუნეში 30 კომლად ცხოვრობდნენ. სოფლის ტერიტორიები ზეგანის გარდა ვრცელდება მტკერის ხეობაში, ალბათ, ორმოცის მიმართულებით, რადგან ნიჯგორში უფრო მეტი იყო მოსახლეობა. ვენახებს უკვე დაპატრონებიან მაჰმადიანები: „ვენახი ცნობილი ვარძიელის ენუქასძისა 3 ნაკვეთი, აწ ხენდანის მფლობელობაში მყოფი, იჯარის წესით წელიწადში 6 ახნას იძლევა (ჯიქია, 1941:188)“. სხვა მიწაც გადადის ახალი პატრონის ხელში: „მიწა ჩაირითურთ 1 ნაკვეთი, ვარძიელის მიწად ცნობილი, აწ ზემოხსენებული ზაყიმ ხენდანის მფლობელობაში მყოფი იძლევა ყუშურს (ჯიქია, 1941:188).“

ოცივე ოჯახი საროში იხდის გადასახადს ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვეზე, მუხუდოზე, ოსპზე, სელის თესლზე, შირაზე და კაკალზე. ასევე იხდიან გამოსაღებს იონჯაზე, თივაზე, ფუტკარზე, ცხვარზე, ღორზე, ბოსტანზე, ხილზე, იალალზე და საქორწინოდ, თუკი ცოლის მოყვანას მოინდომებენ (ჯიქია, 1941:188).

სოფლის მოსახლეობა მთლიანად ქართულია, რასაც ადასტურებს მათი სახელები და მამის სახელები. სარო ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, სადაც ბერძენთა გვარის ხალხი ან სათაეის დამდებნი ცხოვრობენ. აქუარია გულა ბერის-

ბე (შდრ. გვარი გულაბერიძე), რომელსაც გამოჰყოფია ცალკე ოჯახად მისი შვილი ვარძელი (ჯიქია, 1941:187).

მართალია, ნათქვამია, რომ გულაბერ არის „ვარდის შვილი“, აქედანაა გვარი გულაბერიძე (ჭუმბურიძე, 2003:144), მაგრამ საროში მცხოვრებ ოჯახის უფროსს სახელად აქვს გულა და მამის სახელად, გვარად, ბერიძე.

ერთი ოჯახის უფროსია შალიკა, რომლის მამის სახელი ამოუკითხავია და ასევე არ იკითხება შვილის სახელი, რომელიც ცალკე ოჯახის უფროსია. საროში უფროს თაობაშიც ყოფილა ეს სახელი გავრცელებული. ერთი ოჯახის უფროსი არის პაპუნა შალიკასძე. ასე რომ, ორი შალიკა ყოფილა იმ დროს სოფელში.

შალიკა არის ქართული სახელის შალვას მოფერებითი ფორმა. შალვა შეიძლება „შავლეგ-ის ვარიანტს წარმოადგენს... შალვა-ს ადრინდელი ფორმა შაველა → შაველა შემონახულია გვარებში: შავლაძე, შაველიძე, შაველაშვილი, შავლიშვილი. შალვა თორელთა საგვარეულო სახელი იყო. ცნობილია თამარ მეფის დროინდელი გამოჩენილი მეომარი და სარდალი შალვა თორელი (ახალციხელი)... შალვას მოფერებითი ფორმებია: შალიკა, შალიკო, შალუტა. ამათგან ნაწარმოებია გვარები (ზემოსხენებულთა გარდა): შალვაძე, შალვაშვილი, შალიკაშვილი, შალიკავა, შალიკაძე, შალიკიანი, შალუტაშვილი (ჭუმბურიძე, 2003:210-211).“

უშუალოდ შალიკადან მოდის შალიკაშვილი, რომელიც მაღალ ფეოდალურ წრეს ეკუთვნოდა მესხეთში და რომელთა საპატრონოც იყო ოთა. შალიკაშვილი „მსხვილი ფეოდალური საგვარეულო ძველ საქართველოში. წინარე გვარი როჭიკაშვილი ყოფილა, „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან (ვახუშტი) (მაისურაძე, 1990:188-189).“

ერთ-ერთი ოჯახის უფროსი არის პაპუნა, რომლის მამასაც შალიკა რქმევია და ის არის შალვასძე (შდრ. გვარი შალიკაძე). პაპუნა ძველი ქართული სახელია პაპ-ფუძისაგან ნაწარმოები, —უნა სუფიქსით. პაპუნას ჰყავს მეორე ძმა — ბაბუნა, რომელიც აგრეთვე ძველი ქართული სახელია და გაფორმებულია —უნა სუფიქსით. ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები სახელები ბაბუნა (შდრ. გვარი ბაბუნაძე, ბაბუნაშვილი), ბაბულა (შდ. ბაბულაშვილი), ბაბილა (შდრ. ბაბილაშვილი), ბაბუცა, ბაბუტა და სხვა.

ერთ პაპუნას მამა ზეინკალი ჰყოლია, ამიტომ მისთვის მამის სახელის ნაცვლად მამის ხელობა ჩაუთვლიათ უფრო მნიშვნელოვნად და ზეინკალიშივლად ჩაუწერიათ (ჯიქია, 1941:188).

მესხეთში გავრცელებული სახელი იყო იმ დროს ვარძელი (ვარძია → ვარძა → ვარძელი), თითქმის ყველა სოფელშია ამ სახლის კაცი. აქედანაა გვარი ვარძელაშვილი, ვარძელაძე. ვარძ- ფუძეს უკავშირდება აგრეთვე გვარები: ვარძიაშვილი, ვარძიელი, ვარძუკაშვილი (მაისურაძე, 1990:64).

გულა ბერისძეს ჰყავდა შვილი ვარძელი და ერთ ვარძელს თავისი შვილისათვის დაურქმევია, უკვე მოდაში შემოსული აღმოსავლური სახელი იალღუზა.

სპარსული სიტყვა შაქარი (ქ.მ.ლ., 1962:633) უძველესი დროიდან არის შემოსული ქართულ ლექსიკაში, ამიტომ მისგან ნაწარმოები ქართული გვარ-სახელები ასევე ძველია. საროში ცხოვრობდა რომანოზი, რომელიც იყო შაქარაძე. ამ სიტყვამ მოგვცა შემდეგ აგრეთვე საკუთარი სახელი შაქრო. მისგან არის მიღებული გვარები შაქარაშვილი, შაქარიშვილი და შაქარაძე. სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება დასაველეთ საქართველოში ეს სიტყვა, როგორც გვარსახელი: შაქარა, შაქრი, შაქარგ, შაქარია, შაქარიტა და სხვა (ჭანტურია, 2006:74).

მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სახელის მატარებელი ოჯახის უფროსებია მაშინდელ საროში: ბასილა არსენაძე, იოსებ მოსესძე. ქრისტიანული და აღმოსავლური სახელები შერეულია ერთსა და იმავე ოჯახში, ასეთებია: ნურყულ პავლესძე, მირალი პეტრესძე. მხოლოდ ერთი მამაშვილია, რომელთაც ორივეს მოდაში შემოსული აღმოსავლური სახელი ჰქვიათ – ყანდურალი მირზასძე.

მე-16 საუკუნეში საროში ფუნქციონირებდა ეკლესია, მრევლს ჰყავდა თავისი მღვდელი, რომელსაც ზაქარა ერქვა, ამიტომაც იგი, როგორც ოჯახის უფროსი, მითითებულია, ზაქარა მღვდლის შვილი.

მე-16 საუკუნის საროს მოსახლეობა, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში“ არის დაფიქსირებული, მნიშვნელოვანია ამ სოფლის ონომასტიკის შესწავლისათვის.

დღეისათვის სოფელში შემორჩენილია მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და ციხე. ეკლესია „ორნაეიანი ტა-

ძარია გარედან შეთეთრებული და ინტერიერგალესილი". „ეს დიდი ტაძარი მორთულიც იყო. დღემდეა დარჩენილი სამხრეთი ფასადის ბურჯის დიდრონი კაპიტელი, გვიან გაფართოებული სარკმელების მორთულობა, მათგან ერთ-ერთი ყორე გალავანში უკუღმაა ჩატანებული. აღსანიშნავია დასავლეთის ძველი ხის კარი ხისავე გასაღებიანი უცნაური საკეცით (ჯავახეთი, 2000, გვ. 86)".

1933-1934 წლებში გ. ბოჭორიძე ჯავახეთში მოგზაურობისას წერს, რომ საროს „მთავარანგელოზის ეკლესია 12,8×7,2 მ. ნაგებია თლილი ქვისაგან, ახურავს კრამიტი ღარისებური, კარი აქვს დასავლეთით 1, სარკმელი აღმოსავლეთით 3, სამხრეთით სარკმელი 1 და სანათურიც 1, დასავლეთით სარკმელი 1 და სანათური 1, დასავლეთით სარკმელი 1. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილია კირით, იატაკი თლილი ქვაა, ტრაპეზი სამია, საკურთხეველის ტრაპეზი დაცილებულია კედელს (ბოჭორიძე, 1992: 225)".

ამ აღწერაში უცნაური და მნიშვნელოვანი არის ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის საკურთხეველის მთავარი ნაწილის ტრაპეზის სიმრავლე. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო ღეგენდა აქვს ჩაწერილი ივ. როსტომაშვილს მე-19 საუკუნის ბოლოს საროში, რომ ოდესღაც სოფელში უცხოვრია სამ ძმას, ძლიერ თავადიშვილებს, რომელთაც აუშენებიათ როგორც ციხე, ისე ეკლესია. რადგან თითოეულს ცალცალკე მოძღვარი ჰყავდა, გაუკეთებიათ სამი ტრაპეზი, რომ ცალ-ცალკე შეესრულებუნათ ღეთისმსახურება (Ростомов, 1898:102). იმავე როსტომაშვილის მიხედვით ეკლესიაში იმ დროს ყოფილა ხატი 1747 წლის წარწერით: „იესო ქრისტე, ადიდე შენ მაცხოვარო, მადიდებელი შენი აბაშიძე ლეონი (Ростомов, 1898:103)". მკვლევარი უკავშირებს ერთმანეთს ხატის წარწერაში მოხსენიებულ აბაშიძეს სოფ. თოკში მცხოვრებ აბაშიძეთა გვარს.

ნიჯგორსა და საროს შორის არის საცალფეხო-საჭაპანო გზა, რომელიც პირჯვრისაწერის შემდეგ ორი მიმართულებით მიდის: ერთი არის ეკლესიის გზა, ხოლო მეორე – ციხიყელის გზა. ციხიყელი ის ადგილია, ქარაფს, რომ ავივლით, ვიდრე ციხის ტერიტორიაზე შევალთ. საროს ციხე მნიშვნელოვანი ისტორიული ნაგებობაა. იგი ქარაფის პირზე

არის აშენებული, გადასცქერის ერუშეთის მთებსა და მტკვრის ხეობას.

სარველთა მტკიცებით ციხიდან ჩადიოდა დარანი ქვაბი-კარში, კერძოდ, საწველელას გამოქვაბულში. ეს დარანი გამოირჩეოდა ოთახების სიმრავლით და სიფართოვით. იმდენად ფართო იყო დარანი, რომ ურემი გაეტეოდაო, – იხსენებენ სოფლის მცხოვრებნი. 1933 წლის ექსპედიციის დღიურში ნ. ბერძენიშვილი წერდა: „სარო მეტად საინტერესო ადგილია ისტორიულ-არქეოლოგიურად. მტკვრის პირიდან ჯავახეთში შემავალი გზის ჩამკეტავი უძველესი ციხეები (სამი), მღვიმე – „სახიზრები“ უეჭველია საინტერესო ისტორიულ გადმოცემებთან იქნება დაკავშირებული (ბერძენიშვილი, 1964:172)“. 1933-1934 წლებში გ. ბოჭორიძემ აღწერა საროს ციხე: „ეკლესიის დასავლეთით არის ორი ციხის ნანგრევი. იგი ნაშენია უზარმაზარი ლოდებისაგან. პირველში არის კირით გალესილი ორმო, ამ შენობებს კირი არა აქვს. ეკლესიის ჩრდილოეთით არის კოშკი ქვითკირით ნაშენი, მასზედ არის 12-ბათიანიანი ქვევრი, ქვის სარქველით. აქედან ჩამოგდებულია წარწერიანი ქვა. ეს კოშკი დგას ციცაბო კლდეზე, რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს ღრმა ხეობები. მის ქვეშით არის მრავალი მაღარო კლდეში. ზოგი ქვითკირით ნაშენი, ზოგში დარჩენილია ხისა და რკინის ნაწილები (ბოჭორიძე, 1992:225)“ დღეისათვის ციხის ნანგრევებიდან შემორჩენილია „ზურგიანი კოშკი, რომლის მომრგვალებული მხარე ხეობიდან ამომავალ გზას გადაჰყურებს; სამი მოზრდილი ოთხკუთხა დარბაზიდან, ერთი ოროთახიანია. ციხესიმაგრის კედლები 3 მ-მდე სისქისაა, ზოგან მშრალი ნაწყობი, ზოგან კირხსნარზე. აქვეა დარნები და ხაროები (ჯავახეთი, 2000:86)“.

მნიშვნელოვანია საროს წარწერა, რომელიც მ. ბროსედან მოყოლებული რამდენიმეჯერ გამოიცა. ეს წარწერა, პირველი ციხის კედლიდან ჩამოვარდნილი, ეგდო კედლის ძირშივე, როდესაც იე. როსტომაშვილმა ნახა მე-19 საუკუნის ბოლოს. იმავე ადგილზე ნახეს იგი მე-20 საუკუნის ექსპედიციების დროს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბოჭორიძემ. ბოლოს წარწერა 1958 წელს გადაიტანეს თბილისში ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. წარწერა მიჩნეულია XII საუკუნეში შექმნილად (ცისკარიშვილი, 1959:46).

ჩვენთვის საინტერესოა წარწერაში დადასტურებული სა-
კუთარი სახელები. მეფეთა მეფე დემეტრე პირველის მოხსე-
ნიება საროს წარწერაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს
მისი დათარიღებისათვის. არსებობს წარწერის სხვადასხვა
წაკითხვა. ყველაზე ბოლო ეკუთვნის დევი ბერძენიშვილს:
„ქრისტე, ადიდე ძლიერი და უძლეველი მეფეთა მეფე დემეტ-
რე, რომელმან რეკი მამულობით გებოძა და მაჭას მაჭული.
მას ჟამსა ესე ციხე ავაგეთ. მე ვაჩე დაწერე ძემან გურგენი-
სამან (ჯავახეთი, 2000:86)“.

საროს წარწერის გამომცემელი ე. ცისკარიშვილი რეკსა
და მაჭას ჯავახეთის გარეთ არსებულად მიიჩნევს: „საროს
წარწერაში მოხსენებული რეკი და მაჭა სხვა წერილობითი
წყაროების მიხედვით ამ მხარეში არ არის ცნობილი (ცისკა-
რიშვილი, 1959:45)“.

საროს ძველ სახელად რეკი მიიჩნია ნ. ბერძენიშვილმა:
„წარწერიდანვე ჩანს, თითქოს, რომ ამ ადგილს მაშინ რეკი
ეწოდებოდა. ვინ არის წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ
ერისთავი (შეიძლება კახა?), ვინ არის ეს დამწერი ვაჩე ან
ეს მაჭა – არ ვიცი (ბერძენიშვილი, 1964:173)“.

რეკი საროს სიახლოვეს არსებულ ადგილად მიიჩნია დ.
ბერძენიშვილმა: „საროს ციხის წარწერაში ნათქვამია, რომ
მეფეთა მეფე დემეტრემ ვაჩეს უბოძა რეკი მამულობით, მან
კი ციხის შესავლად აქცია მამული – წარწერა XII საუკუნი-
სა უნდა იყოს, რეკი კი შესაძლოა საროსთან ადგილის მახა-
სიათებელი სახელწოდება ყოფილიყო. რეხი – ქვიანი გზაა
კლდოვან კალთებზე (ჯავახეთი, 200:86-87)“.

სხვაგან რეხი, რეხა მიჩნეულია გეოგრაფიულ ტერმინად:
„რეხი, რეხა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებ-
ულია, როგორც დამოუკიდებელი სახელწოდება: ქართლში
რეხულასა და ლიახვის ხეობაში, ლეჩხუმში, ჯავახეთში (იხ.
საროს ციხის წარწერა), თრიალეთში. იგი ჩანს შედგენილ
სახელებშიც: წინარეხი, შუარეხი, გუდარეხი... უკვე ამიტო-
მაც ის ადგილის დამახასიათებელი, ზოგადი ტერმინი ჩანს.
მართლაც ქართულ კილოებში იგი ქვიან გზას, მთის კლდო-
ვან კალთებს აღნიშნავს (ბერძენიშვილი, 2006:72)

თუ რომელიმე ადგილს ერქმეოდა რეხი, რომელიც თავი-
სი სემანტიკით კაპანს ენათესავება, ოღონდ მეტია კაპანზე
(მძიმე ქვიანი გზა, ურემს რომ გავლა უჭირს, ქვიანი ადგი-
ლი, უფრო გზაზე იტყვიან, მთის კლდოვანი კალთები

(ღლონტი, 1984:452), უნდა იყოს გზა ნიჯგორსა და საროს შორის ხევი და ქვაბიკარი, რომელსაც ივ. როსტომაშვილი საროს ხევს უწოდებს, რომელშიც ხმაურით ეშვებოდა ღრმა და დიდი ჩანჩქერი და რომლის გარშემოც მიუწვდომელი ქვაბები იყო (Ростомаш898:101). ციხის კოშკიც დგას იმ ციცაბო კლდეზე, რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს ღრმა ხეხები, მის ქვემოთ არის მრავალი მაღარო კლდეში, ზოგი ქვითკირით ნაშენი, ზოგში დარჩენილია ხისა და რკინის ნაწილები (ბოჭორიძე, 1992:225)". ეს მიდამოები უნდა ყოფილიყო საროს რეხი, რომელიც მეფეთა მეფე დემეტრემ უბოძა მამულობით ვანეს. ეს ადგილები კი იქნებოდა ნიჯგორის ხევის (ქვაბიკარის ხევის) ბოლოს – ნიჯგორი, სადაც იქნებოდა აგრეთვე მაჭას მამულიც.

მაჭა –ა სუფიქსით ნაწარმოები საკუთარი სახელია. მაჭ-ფუძე პროდუქტიულია ქართულ ანთროპონიმიაში. ალ. ღლონტს დადასტურებული აქვს ამ ფუძით ადამიანის საკუთარი სახელები ძირითადად დასავლეთ საქართველოში:

მაჭ-ი

მაჭ-ა

მაჭ-იჭ-ა

მაჭ-უ-კაც-ა (ღლონტი, 1986:159)

რომელთაც დაემატება ა. ჭანტურიას მიერ ჩაწერილი "შემდეგი სახელები:

მაჭ-ა-ჭუა

მაჭ-იჭ-ი

მაჭ-უ

მაჭ-უჭ-ი

მაჭ-უჭ-ია (ჭანტურია, 2006:49)

ჩამოთვლილთაგან –ა, -იჭ-ა, -უ, -იჭ, -უჭ, - ჭ-ია საკუთარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსებია, რომლებიც სხვა ფუძეებთანაც გვხვდება.

მაჭ- ფუძიანი საკუთარი სახელები გავრცელებული ყოფილა ჯაეახეთში იმდენად, რომ მისგან ნაწარმოებია ტოპონიმი მაჭატია. მასში გამოიყოფა მაჭ- ფუძე –ატ, კნინობითობის სუფიქსი და –ია ტოპომაწარმოებელი.

მაჭატია ახალქალაქის რაიონში მდებარე სოფელია მე-16 საუკუნეში რამდენიმე მაჭატია (დიდი, პატარა) იყო. მაჭატი-ებში არზრუმიდან გამოსახლებულთა დაბინადრების შემ-

დღე უკვე ერთი მაჭატია ჩანს. ამჟამად აღმინისტრაციული დაყოფის თაველსაზრისით მაჭატიის ვითარება ასეთია (იგულისხმება 1951წ. - მ.პ.): მთაერობის დადგენილებით „არაგვის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები მაჭატია, კორხი და თოთხამი, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს - სოფ. ოლავერდი და შეიქმნა მათგან მაჭატიის სასოფლო საბჭო ცენტრით მაჭატიაში (ჯიქია, 1958:313).

მაჭატიას არმენიზებული, თურქიზებული ფორმაა მაჯალია, როგორც დღევანდელი სომხები უწოდებენ მას (ჯიქია, 1958:312).

ამგეარად, საროს ციხის წარწერაში დასახელებული მაჭა გავრცელებული სახელია საქართველოში. მაჭას მამული, რომელიც რეხთან ერთად უბოძებია დემეტრე მეფეს მე-13 საუკუნეში სარეელებისათვის, რასაც საროს ციხის აგება მოჰყოლია, სოფლისავე სიახლოვეს მდებარეობდა.

შეიძლება, მე-13 საუკუნის გამოძახილია, რომ საროს ნიჯგორსა და ორმოცზე ჰქონდა პრეტენზია (შდრ. ჯიქია, 1958: 252).

სოფლის სახელი სარო დაკავშირებული უნდა იყოს მცენარეულობასთან. საროს სხვაგეარად ლაშქარა ჰქვია. მას რუსები окопник кавказкий -ს უწოდებენ. ქართლურ, მესხურ, ჯავახურ, რაჭულ, ლეჩხუმურ დიალექტში ლაშქარას სარო ჰქვია. ეახეთში -პატარძალას, მთიულურში-წენგარას, ქალბატონებს, პატარძლის კაბებს (ამ მცენარის ყვავილებს უწოდებენ ასე), თუშურში - შალდაყს, ფშაურსა და ხეესურულში - შალარს, შალანს, მეგრულში - საროს, სვანურში მელენს (მაყაშვილი, 1961:43). არის აგრეთვე ტყის სარო, რომელსაც ფუტკარაც ჰქვია. ეს ისეთი მცენარეა, რომელსაც გვირგვინი გრძელბოლოიანი აქვს (მაყაშვილი, 1961:70).

სულხან-საბა საროს ორნაირ განმარტებას იძლევა. 1. ბალახი, არ მიუთითებს, როგორი და რომელი ბალახია და 2. კვიპაროზი (ორბელიანი, 1966:54). „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით სარო შემოსულია სპარსული ენიდან, სარე არის ამოსავალი ძირი და ნიშნავს კვიპაროსს (ქ.ე.მ.ლ. 1960:786). ქართულში საროს აქვს სხვა მნიშვნელობაც. კარგად მოყვანილი წერწეტი (ტანი)“ და კუთხ. რაჭული, ლეჩხუმური, ჯავახური, მესხური იგივეა, რაც ლაშქარა (ქ.ე.გ.ლ. VI, 1960:787).

კვიპაროსთან არის დაკავშირებული კომპოზიტი საროტანი „ტანად საროს მსგავსი, – მაღალი და კარგი, ტანადი, ტანწერწეტი (ჩვეულებრივ ქალზე იტყვიან) (ქ.ე.მ.ლ. VI. 1960:287)“. ცნობილია აგრეთვე ავთანდილის რუსთველისეული დახასიათება, რომელიც აგრეთვე კვიპაროსს უკავშირდება: „საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“.

ჯავახეთის სოფელ საროს ეტიმოლოგია ვერ იქნება დაკავშირებული საროს იმ მნიშვნელობასთან, რომელიც კვიპაროსს გულისხმობს, რადგან ეს მცენარე არც არასოდეს ყოფილა ამ მხარეში.

სარო უნდა უკავშირდებოდეს ბალახის მნიშვნელობას. გრიგოლ ბერიძის მიხედვით სარო ბალახია, ჭრილობის წამლად ხმარობენ. გაჭრილისთუნ სარო კარგია, ხელათ მოურჩენს (ბერიძე, 1981:113)“. ბალახის სახელის შერქმევა ამავე არეალში უცხო არ არის. მაგალითად, ასპინძის რაიონში ნასოფლარ ღობიეთის სიახლოვეს არის სერი, რომელიც იწყება ღობიეთის განაპირა დასაველეთით და ჩადის მტკვრის პირამდე. სერს აქვს ორი სახელი, ერთი – ჩაგრძელა/ჩაგძელა, შერქმეული აქვს ყანების გამო, რადგან ეს ყანები ეშვება ზევიდან ქვევით მტკვრისაკენ და მეორე სახელი ძაღლისენა მცენარის, კერძოდ, ბალახის გამო დაერქვა. ძაღლის ენას ოსეროც ჰქვია რუსულად მას чернокорень-ს, цинданик-ს ეძახიან. ამ მცენარეს მესხეთში სხვა სახელითაც, მგლისყურათი, ლოსტოკით იცნობენ. ამავე მცენარეს სხვა დიალექტში ფუტკარაც ჰქვია. ტოპონიმიაშ შემოგვინახა მცენარის სახელი, რომელიც დღეს აღარ არის ცნობილი მესხეთში, მაგრამ გვხვდება სხვა დიალექტებში.

სარო მცენარეს დაუკავშირეს ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევის „ჯავახეთის“ ავტორებმა: „სარო სპარსულიდან შემოსული სიტყვაა კვიპაროსის აღსანიშნავად, მაგრამ სამხრეთ ქართულ კილოებში მცენარესაც აღნიშნავს; ალბათ, ამიტომ დაერქვა სოფელსაც ეს სახელი (შდრ. ნაი-ნაისა) (ჯავახეთი, 2000:87)“. ჩვენ შევეცადეთ მის დასაბუთებას.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ონომასტიკისათვის

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ დანერის თარიღის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ამ პრობლემას მრავალი ქართველი მეცნიერი (ექ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, გ. ჩუბინაშვილი, ა. ბოგვერაძე, ვ. ბერიძე და სხვ.) შეეხო¹.

„რომელ საუკუნეშიც არ უნდა მოვაქციოთ სერაპიონის მოღვაწეობა, იქნება ეს მეცხრის პირველი და მეორე ნახევარი თუ მერვე საუკუნე, ეს მაინც ის ეპოქაა, როდესაც საქართველოს სამხრეთი ნაწილი გამოღვიძებასა და სწრაფ კულტურულ დანიშნულებას იწყებდა“².

რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება ინტერესი სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებისადმი“. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი ნათელია, თხზულება არის პირველწყარო ჩვენი ისტორიისა. იგი, შეიძლება ითქვას, უპირველესი ძეგლია ქართულ პაგიოგრაფიაში ისტორიული ონომასტიკის შესასწავლად.

კ. კეკელიძის აზრით, „თხზულებაში გადმოცემული ფაქტები და ამბები უაღრესი ნდობის ღირსია. ამ წყაროების (იგულისხმება მიქაელ პარეხელის „ცხოვრება“, გიორგი მანყვერელის მონათხრობი, სერაპიონის თანმხლები საერო პირნი, მონაფენი და ნათესავნი – მ. ბ.) გამოყენებით, მის მიერ ნაწახისა და განცდილის საფუძველზე, რომელშიც სასტიკი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოთხრობილია სამცხის სამონასტრო კოლონიზაციის ამბები თითქმის მთელი ერთი საუკუნის მანძილზე“³. მართალია, ძეგლს მეტაფრასტის ხელი მოხვდა, მაგრამ ეს, ძირითადად, დაეტყო თხრობის სტილს და არა ფაქტებს. მით უმეტეს ავტორისეული ჩანს ძეგლის ტოპონიმები, პირთა თუ გვარსახელები.

კ. კეკელიძემ, თხზულების შესწავლის საფუძველზე, დაასკვნა: „მიუხედავად იმისა, რომ ბასილის შრომას მეტაფრასტული ოპერაცია განუცდია, ის მაინც რჩება ისეთ ძეგლად, რომელიც უტყუარ სურათს იძლევა თანამედროვე ეპოქისა და ამ მხრივ დიდად არ ჩამოუვარდება გიორგი მერჩულის შრომასაც კი“⁴.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ დათარიღებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ნაწარმოების ონომასტიკა, განსაკუთრებით, მასში მოხსენიებულ პირთა სახელები: ბეშქენ, ბაჰლაუნდი, ამასპო, ია, ლატავრი, გარბანელი და სხვ⁵. მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიის შესასწავლად თხზულებაში დამონმებული საკუთარი სახელები. განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება ტოპონიმებს. «თუ ქართულ საისტორიო წყაროებში ზოგი რამ მაინც მოთხრობილია სამცხეში არსებული პუნქტების: თორის, ციხისჯუარის, აწყურის, რკინის ჯუარის, დემოთის, ლომსიანთას შესახებ, სრულიად არაფერია ნათქვამი ისეთ გეოგრაფიულ პუნქტებზე, როგორცაა ბობლა-ბობხა, ცხროჭა, უმნაჲ, ძინძე, უტყყსა, ზანავი, ჩორჩანი, ძარლუას სოფელი და ბერას ჯუარი. ამ ადგილებს მხოლოდ სერაპიონ ზარზმელის «ცხოვრება» ასახელებს. ამგვარად, ეს ძველი ერთგვარად ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ამ მხრივ ქართულ საისტორიო წყაროებს გააჩნია»⁶.

შეიძლება ითქვას, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება ტოპონიმური კვლევის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. ბასილი ზარზმელი კარგი მხატვარი და კარგი ტოპონიმისტიც არის. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნანარმოების ის ადგილები, სადაც ახსნილია ტოპონიმთა წარმომავლობა. პ. ცხადაიას აზრით, «მწერლისეული ეტიმოლოგიების ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური საბუთიანობა ყველა შემთხვევაში მეცნიერულია, მოტივაცია დამაჯერებელი. ეპიზოდი პირველი: სერაპიონი იკითხავს: რა ენოდების ადგილსა ამასა?» მასპინძელი (სახელად ია) უპასუხებს: «რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათაჲ და ბაკთა ენოდების». ტოპონიმი წარმოქმნილია საზღვრული კომპონენტის დაკარგვით: «ბაკთა+ადგილი ბაკთა (ბაკი საჩხია). ეპიზოდი მეორე: სამონასტრე ადგილის მაძიებელნი მიეახლნენ ტბას. ია განმარტავს: «ესე არს ტბაჲ მღრვე ყოლადვე, რომელსა ენოდების სათაჴუე. და არს ამას შინა სიმრავლე თაჴუთა...»

აქ ტოპონიმი (ჰიდრონიმი) მოტივირებულია... სათახჴუ წარმოქმნილი სახელწოდებაა. ეპიზოდი მესამე: სერაპიონი დაინტერესდება მთით, რომელიც მათ წინაშე აღიმართება. მასპინძელი განმარტავს: «მთაჲ ესე მალალი არს, თავი ყოველთა ამათ ქედთაჲ, რომელსა ჰრქვან თავი შეშათაჲ, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მალწართაჲ, ამისთვის შეშის-თავ ენოდების». შეშის თავი ტყის თავს ნიშნავს. სახელდებისათვის გამოყენებულია სიტყვათშეერთების მეთოდი⁷.

მთავარი მაინც ზარზმის ავტორისეული ეტიმოლოგიაა: სათახვის ტბაზე ბერებს მონადირეებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და არ გაატარეს, «... რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ». მეგზურმა ვერ გადააფირებინა უკეთურ კაცებს განზრახვა, ამიტომ სერაპიონმა ბრძანა: «... ადრე იხილო მისაგებელი კაცთა ამათ შფოთის-მოყუარეთაჲ». მართლაც, «... განიპო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბისა მის, და წარვიდეს წყალნი იგი

მრღვენი". „ხოლო ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდროაჲ ადგილი იგი ტბისაჲ იხილვების ველად ლოდოანად, ხოლო ადგილი იგი ნისქელ-სახლთაჲ კუალად წარლუნულ და უჩინო“, ე. ი. სასწაული მოხდა, სამაგიერო მიეზლოთ უკეთურებს, რამაც საყოველთაო შიში და ძრწოლა გამოიწვია დიდსა თუ პატარაში. ავტორი აღტაცებულია სასწაულით. იგი ამბობს: „ესე სასწაულნი თანამოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განპებასა ზღვასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა“... ამიტომაც „მიერთგან ენოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ენოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“.

ზარზმის ეტიმოლოგიას კიდევ ერთხელ შეეხო ავტორი, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ დიდი „მიქაელ და სერაპიონ“; სერაპიონი თავის მოძღვარს ეტყვის, „... თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ენოდა ზარზმა ერთა მიერ, სასწაულთა საკრველთა ზარ-განჯდილთა“.

ამ სასწაულს ეჭვქვეშ აყენებს კ. კეკელიძე და მას სოციალური ფონის გამო შექმნილად მიიჩნევს: „ბერმონაზნური იდეოლოგიის მატარებელსა და მოტრფიალე ავტორს, ბასილს, ვერ მოუნელებია ბერების ასეთი შეურაცხყოფა და ის შეურაცხყოფის მიმყენებელ მთავრებს, გლეხებს და მონადირეებს არა მარტო „ცოფს, უკეთურს და მხეცს“ ეძახის, არამედ სამაგიეროსაც მიაგებს ღეთისაგან. მისი გადმოცემით, ღამე სასწაულებრივ განიპო კლდე, მაყენებელი წყლისა, რომელმაც სულ ერთიან წალეკა იქაურობა ისე, რომ კვალიც აღარ დარჩა დაბისა და მისი უხეში და უგუნური მცხოვრებლებისა. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ „სოციალური დაკვეთა“ თხზულებისა, როგორც კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი იარაღისა“⁸.

რადგან ბასილი ზარზმელის ყველა ეტიმოლოგია მისაღები და მეცნიერულია, არა გვაქვს უფლება, არ ვირწმუნოთ ის სასწაული, რომელიც ღმერთმა მოუვლინა სამცხის ამ ხეობას. აქ, ტოპონიმური ლოგიკით, ყველაფერი რიგზეა: ე. ი. ზარზმა კომპოზიტიური წარმომავლობის სახელია და ორი სიტყვისაგან (ზარი და ზმა) შედგება. ეს კომპოზიტი სრულად ასახავს იმ შედეგებს, რაც სასწაულის მოხდენას მოჰყვა: ზარი (რომელიც, ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით, არის შიში) და ზმა – ქმნა, ყოფა. ამგვარად, ზარზმა ნიშნავს შიშის ქმნას.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ ზარ-ზმა-ში ზმა მიღებულია უამ სიტყვის კუმშვის საფუძველზე: ზარის უამა||ზარ-უმა ზარ-ზმა⁹.

ზარზმასთან ახლოს ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის. შერთვის ადგილას იყო ... ნისქელი, „სახლი რაიმე“. წყალთა შესაკრებელს ძველ ქართულში ხერთვისი ჰქვია, მაგრამ ავტორი ამ ადგილის სახელად ასახელებს საძმოს, სადაც „... იყვნეს კაცნი რაიმე უკეთურნი, ყოლად მწეცებრივნი“. ერთ-ერთ მდინარეს სამხრეთით შეუყვებიან ბერები, სადაც ნისქელის-შესაკრებელი სახლის-გარდა, იყო დაბაც, დასახლებაც. იმდენად გამჭვირვალეა სახელი საძმო, რომ ავტორი საჭიროდ არ თვლის აჩვენოს მისი ეტიმოლოგია, თანაც სახელი საეროა, მაშინ როდესაც ბერთა საძმო-მონასტერი – „ზეცის კაცთა“ – ადგილსამყოფადაა განსაზღვრული. სხვაგვარი საძმო ჰქონდათ „უკეთურ“ და „მწეცებრივ“ საერო მცხოვრებთ. მათ „ინყეს ყენებად“ ბერებისა და „ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს“. აი, ამ საძმოს აღმნიშვნელმა ტერმინმა მოაღწია ჩვენამდე, რომელიც, სამწუხაროდ, ეტყობა, ტოპონიმად ვერ ჩამოყალიბდა და ამიტომ სოფლის სახელად ან ნასოფლარად არ შემოგვრჩა.

საძმოს კ. კეკელიძე ტოპონიმად მიიჩნევს: „არასასურველი სტუმრები გამხდარან სერაპიონი და მისი თანამგზავნი გიორგი ჩორჩანელის საბრძანებელში იმ სოფლის მცხოვრებთათვის, რომელსაც საძმო ეწოდებოდა“¹⁰.

ცხროჭა იყო გიორგი ჩორჩანელის სანადირო ადგილი. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მიხედვით, „ცხროჭა“ სოფლის სახელი არ ყოფილა. ოსმალებს მე-16 საუკუნეში ტერმინი დაუმახინჯებიათ და ამ ადგილისთვის სიხრუჯი უწოდებიათ.

ცხროჭის ლოკალიზაცია და ეტიმოლოგია მოგვცა ს. ჯიქიამ¹¹: სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მიხედვით, X საუკუნის ცხროჭა დასახლებულ პუნქტად არ ჩანს. იგი „სადგურია“ მონადირეთათვის, ღამის გასათევი ადგილი. „დავთრის“ შედგენის დროისათვის (XVI საუკუნის ბოლოს) ცხროჭა უკვე ოთხკომლიანი სოფელია.

ს. ჯიქია ჩხროჭაში ცხრანყაროს ზანურ ვარიანტს ხედავს და ცხროჭას ჩხროჭადან ან ჩხროინჭადან მიღებულად მიიჩნევს.

საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ნერისას ივ. ჯავახიშვილი ფართოდ იყენებდა სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მონაცემებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა ბასილი ზარზმელის თხზულება გეოგრაფიული ტერმინების შესასწავლად¹².

სანახები – განსაკუთრებულ საზღვრებს შუა მოქცეული ქვეყნის აღსანიშნავად. ასევე საზღვრების კიდების მნიშვნელობით არე, ქვეყნის კუთხის მნიშვნელობით.

ველი, მცირე ველი, ლოდიანი ველი.

ბორცვ – „უმალღესი სხუათა მათ ადგილთა“.

მთა - მაღალი მთა, სადაც თუ კაცო ავიდოდა, იგრძნობდა თავს, „ვითარცა სიმალლესა ცისასა ასული“.

ქედი, მაღალი და დაბალი. „თავი ქედთა“ ბორცვები, მთები და ქედნი, ზოგჯერ არიან „შეცვული ტყეთა“, ტყიანი“.

მალნარი - ტყით შემოსილი ადგილების ზოგადი სახელი.

„ადგილი კლდოვანი“, წვეი, თავი წვეისა და დასასრული წვეისა. ხევი იყო „ღრმა და უღალი“.

ჩამოთვლილთაგან თითოეული შეიძლება დადებოდა ადგილის სახელდებას საფუძვლად, ქცეულიყო ტოპონიმად. ბევრ შემთხვევაში ასეც მოხდა. ამჯერად მივუთითებთ სხვა ისეთ ტერმინებზე, რომლებიც იმავე არეალში ან საქართველოს სხვა კუთხეში გვხვდება დღეს სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტის სახელად.

გოდერძის ხევის თავზე ასულ ბერებს დახვდებათ „მცირენი რაიმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ“.

ყანობირი ცნობილი სიტყვაა ძველ ქართულ მწერლობაში და ყანას ნიშნავს: „იხილეთ ყანობირი იგი“, „განწმიდე ყანობირი იგი“, „რაჟამს მოვიდეს ყანობირად“ და ა. შ.¹³

ყანა მანარმოებლის ან მსაზღვრელის გარეშე ქართულ ტოპონიმიში იშვიათად გვხვდება, მსხვილი ობიექტების ან ორონიმთა სახელად საერთოდ არ გვაქვს. ყაზბეგის რაიონში სოფლის სახელია ყანობი, რომელიც შეიძლება მარცვალ-დაკარგული ყანობირი იყოს ან -ობ მანარმოებლიანი ყანა (შდრ. ველობი, დაბლობი და ა. შ.).

ნ. ვაჩნაძე წერს: „მემინდერეობის არსებობაზე მეტყველებს ტერმინი „ყანობირი“, რომელიც აღნიშნულ ძეგლშია დაცული... ყანობირი უძველესი ტერმინია. იგი ქართული ოთხთავის ტექსტში რამდენჯერმე გვხვდება. ამ უკანასკნელის სიმფონია-ლექსიკონში ის ახსნილია, როგორც ყანები. სულხან-საბა ორბელიანთან ვკითხულობთ: „ყანობირი-ყანები“. აღნიშნული ტერმინის ამგვარივე ახსნა გვაქვს ი. აბულაძისეულ „ლექსიკონში“¹⁴.

მართალია, მითითებულ ლექსიკონებში ყანობირი ყანებად არის განმარტებული და თითქოს ეს უტყუარია, მაგრამ ჩვენს ძეგლში განსხვავებული ფორმაა, თავად ყანობირია მრავლობითში - „ყანობირნი“, რაც ეჭვქვეშ აყენებს ლექსიკონთა მონაცემებს. ასევე, უძველესი ტერმინია ყანა, რომელსაც, ბუნებრივია, თავისი მრავლობითი გააჩნია. ამკარაა, რომ ყანობირი ნანარმოებია ყანისაგან, ოღონდ როგორ, ეს აუხსნელია.

იმავე არეალში, ადიგენში, გვაქვს ტოპონიმი ყანობილი. ყანობილის მთაზე, ზღვის დონიდან 1700 მეტრზე მდებარეობს ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. მის ჩრდილო-დასავლეთით არის ფერსათის

მთები, ჩრდილოეთით – ზეკარის გადასასვლელი. ყანობილის მთის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 30 კმ-ზეა გოდერძის უღელტეხილი, რომელზეც ბასილი ზარზმელი მიუთითებს ყანობირს, ოღონდ როგორც აპელატიურ სახელს და არა ტოპონიმს. ყანობილიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 12-15 კმ-ზეა მეფის წყაროს მთა. ამ მთის ძირიდან სათავეს იღებს კურცხანის წყალი, რომელიც აბასთუმანში, „მზიურთან“, უერთდება მდ. ოცხეს.

ყანობილის მთაზე, ობსერვატორიის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 3 კმ-ზე არის ხეხილის დიდი და ჰატარა ბაღები. შესაძლოა, ერთ დროს სწორედ აქ იყო ყანები, რომელთა გამოც შეერქვა მთას ყანობილი. ის, რომ ყანობილში რ-ს ნაცვლად გვაქვს ლ, პრობლემას არ წარმოადგენს, ასეთი რამ ნ-ს მეზობლობაში ხშირად გვხვდება.

კიდევ ერთი სახელი, რომელიც სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ არის აპელატივი და სხვაგან გვხვდება ტოპონიმად, არის უღალი.

ბერების დაყინებას, მონასტრის აშენების ადგილთან დაკავშირებით, ნინაალმდეგობა გაუნია გიორგი ჩორჩანელმა (აღნიშნული ადგილის მიუვალობისა და არაპრაქტიკულობის გამო), რისთვისაც მას სერაპიონმა მოსეს მაგალითი მოუყვანა: „ღმერთმან, რომელმან უბრძანა მოსეს კუერთხითა განპებაჲ ზღვსაჲ და კუალად უდაბნოს კლდისაგან უღალისა აღმოცენებად წყალი“...

ბერების სვლა გოდერძის ხევი ავტორს შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „... აღვჰყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწინით ჴევსა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების“.

უღალი ტოპონიმიასთან დააკავშირა პ. ინგოროყვამ: „უღალნი“ ყოფილა სახელწოდება სიმაგრისა, რომელიც მდებარეობდა გაგრის რაიონში. მე-14 საუკუნის ძველ ქართულ წარწერაში ერთად მოიხსენებიან „სიმაგრენი გაგარი და უღალნი“.

სახელწოდება „უღალნი“ წმინდა ქართულია. ძველ ქართულში „უღალი“ ჩვეულებრივი სიტყვაა. ლექსიკოგრაფები მას ასე განმარტავენ: საბა – „უღალი – ძნელსავალი“; დ. ჩუბინაშვილი – „უღალი – ძნელად სავალი მთა“¹⁵.

ამას დაუჟმატებთ, რომ უღალი ილ. აბულაძის განმარტებით არის „მაგარი“. „ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან“, – წერს ბასილი ზარზმელი.

პარეზი ცნობილი სახელია ქართულ ტოპონიმიაში. ავტორის განმარტებას მხარს უჭერს ძველი ქართულის მონაცემები: პარეზი – „ნაპრალი კლდეთა შორის, კიბის საფეხური“¹⁶.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ დადასტურებული პარეზის ტოპონიმობა ეჭვქვეშ დააყენა ი. აბულაძემ: „ერთი ნათელია: ხანძთელის ცხოვრების პარეზთა გეოგრაფიული სახელია, ხოლო სერაპიონის ცხოვრებისა კი – საზოგადო უნდა იყოს, რადგან იქ იგი, ან მისი ფუძე, იხმარება არა მრავლობითი რიცხვის ფორმით, რაც, საგნის სახელთაგან წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელთათვის დამახასიათებელია, არამედ მხოლობითით („პარეზ უნოდთან“). ამასთანავე, ზარზმელის „ცხოვრების“ „პარეზის“ შემცველი ადგილი დამოუკიდებლად იმისა, იქნება ის საკუთარი თუ საზოგადო სახელი, საგულისხმოა იმითაც, რომ იქ მოცემულია იმ სახელის მნიშვნელობა: „ადგილი კლდოანი და უვალი კაცთაგან“¹⁷.

გვინდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც ესა თუ ის სახელი გეოგრაფიული ტერმინია, არ არის აუცილებელი იგი ყოველთვის მრავლობით რიცხვში იყოს. ამის მაგალითი იმავე ნაშრომში თავად ი. აბულაძესვე აქვს დამონმებული ლაღოს შემთხვევაში¹⁸.

თხზულებაში დასტურდება უძველესი „საგეოგრაფიო სახელი“ (როგორც ივ. ჯავახიშვილი უნოდებს) აგარაკი, იგივე აგარა. აგარის მრავალ მნიშვნელობაზე მიუთითებს ძველი ქართული ენის მონაცემები: აგარაკი, აგარა – „ქუეყანაჲ საქმარი“, „დაბა“, „სოფელი“, „ყანა“, „ველი“¹⁹.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს იმონმებს, აგარა არის „სადგური საზაფხულო“, „ადგილი საყანური“, გინა სავენაჲ, გინა დაბა“, ამ გეოგრაფიულ ტერმინს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და „სოფელზე ყოფილა დაკავშირებული“. „მხოლოდ მაინც ნათლად არა ჩანს, რით განსხვავდება აგარა სოფლისაგან და დაბისაგან. ვგონებ აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგური იყო, ან სახნაჲ-სავენაჲ, რომელიც თუმცა სოფელსავეთ დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ოროლა იქნებ ყურის მგდები ოჯახობა შეიძლებოდა ყოფილიყო“, – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი²⁰.

აგარა, აგარაკი სერაპიონის მოსვლის დროს ჯერ გატოპონიმებული არ ჩანს. მათი ტოპონიმებად ქცევა გვიან მოხდა. დღეისათვის სამცხე-ჯავახეთში ბევრი ნასოფლარი აგარა გვაქვს. სოფელი აგარა დღესაც არის ახალციხის რაიონში.

ივ. ჯავახიშვილი იძლევა სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ დასახლებულ ტოპონიმთა ლოკალიზაციას:

ლადო: „ლადო მთის სახელი ეხლაც არის შენახული და თანამედროვე ტოპოგრაფიული აღწერილობისდა მიხედვით ლადოდ, ანუ სამცხის მთებად იწოდებიან მთები ანყურითგან(?) მოყოლებული წყალნითელის მთამდე, რომელიც ოძრქეს მახლობლად აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს. წინათ-კი, როგორც ჩანს, ლადოდ იწოდებოდა მთა ლიხითგან მოყოლებული ვკონებ არსიანამდის სამცხის მთისაგან იქვე, სადაც იწყება აჭარის მთები, შტოდ გადის „მთა არსიანი“, რომელსაც მიმართულება სამხრეთისაკენ აქვს“²¹.

არსიანი: „...ვითარცა გარდავლეს მთა იგი არსიან წოდებული და მივიდეს ჴევსა ყველისასა“.

ყველის ციხე: ივ. ჯავახიშვილისეული ლოკალიზაციის საფუძველზე შეიძლება განესაზღვროთ ყველის ციხის მდებარეობაც. დღევანდელი ფოსოფიდან არტაანისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ხევის პირზე, უნდა იყოს ისტორიული ციხე ყველისა და შეიძლება სერაპიონ ზარზმელის ძმის, იოვანეს, მიერ აშენებული მონასტერიც სწორედ ციხის კალთებზე მდებარე ეკლესიის ნანგრევები იყოს. ამ ციხეს დღეს ყელიყააას უწოდებენ ადგილობრივნი. ახალციხიდან ფოცხოვამდე მიმავალ გზაზე ჯაყის ციხის შემდეგ იგი მეორე ციხეა.

„თხზულებაში მოხსენებულია საქართველოს ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ხევები: „ჴევი გოდერძისა“, „ჴევი ყველისა“, „ჴევი შუარტყლისა“ და „ჴევი უტყყსა“, რომელზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. „და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჴევისასა, რომელ არს უტყყსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელდებულსა“. რადგან ჩამოთვლილ ხევთაგან ყველა გეოგრაფიულ პუნქტს უკავშირდება (გოდერძი – გოდერძის ხევი, ყველი – ყველის ხევი, შუარტყელი – შუარტყლის ხევი), უნდა ვიფიქროთ, რომ უტყყც ადგილის სახელი იყო.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ამ სახელწოდების დასახლებული პუნქტი არ გვხვდება, მაგრამ დოკუმენტურად დადასტურებული ასეთი სოფელი ბოლო დრომდე არსებობდა.

ბერების ზარზმაში მოსვლის ზემოთ მოყვანილი ადგილის შესახებ ს. ჯიქია წერს: „დღევანდელი სოფელი უტყუსუბანი სწორედ „დასასრულსაა“ იმ ხევისა, რომელიც ზარზმასთან გამოეყოფა ქობლიანის ხეობას და მიემართება აჭარისაკენ (გოდერძის უღელტეხილისაკენ). გარდა იმისა, რომ ამ ხევს „უტყყს“ ხევი რქმევია, ისიც ირკვევა, რომ სამცხეში მომავალი ძმანი გოდერძის უღელტეხილით გადმოსულან, ამ უღელტეხილთან ყოფილა და ეს ხევი, საერთოდ ზარზმად წოდებულ ადგილამდე, X საუკუნეში დასახლებული ჯერ კიდევ არ ყოფილა („რაშეთუ უდაბნო იყო“). შემდეგში სწორედ ამ ადგილას

სოფ. ძინძის ერთ-ერთ მაჰალეს (უბანს) დარქმევია უტყუსუბანი²².

„უტყვ“ გამჭირვალე სემანტიკის მქონე სიტყვაა: იმავე სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ მოყვანილია ციტატა ფსალმუნიდან: „უტყუ იყავნ ენაჲ მზაკუარი, მეტყუელი მართლისათვს უმჯულოებასა“, სადაც „უტყუ“ ნიშნავს დადუმებულს, არამეტყველს, მუნჯს²³.

ამ სიტყვას „მუნჯად“ განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი²⁴.

როგორც ჩანს, „უტყვ“ იყო ადამიანის სახელი ან მეტსახელი, რომელიც დაედო სახელდებას საფუძვლად.

ძინძე იმ გზაზე მდებარეობდა, რომლითაც სერაპიონი მივიდა ზარზმას: „და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჴევისასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელდებულსა, განიმსტურეს რაიმე და განიცადეს და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და ჴევთა“.

აქვე უნდოდათ დაბინავება, იმდენად მოეწონათ ადგილი, და მშენებლობის დაწყებაც, მაგრამ მოძღვრის მინიშნებები – „სასნაულნი“ – არ იყო და მხოლოდ მცირე „ტალავარი“ ააშენეს.

ძინძე ტყითა და ხეებით „შეცვული“ ადგილია, „უდაბნო“ ანუ დაუსახლებელი, მაგრამ გარშემო, როგორც ჩანს, მოსახლეობა მრავლად არის. შესაძლებელია ძინძე ნასოფლარიც კი იყო, რადგან მის უდაბნოობას ხაზს უსვამს ავტორი. ამას გვაფიქრებინებს შემდეგ განვითარებული მოვლენები: როდესაც „... ეუნყა რაჲ უფალთა მის დაბისათა“, რომ მოსულებს მონასტრის აშენება სურდათ, „... მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მვეცებრივ, უნირაჲ და ბოროტ“...

მართალია, ძინძე დაუსახლებელია სერაპიონის მოსვლის დროს, მაგრამ მასზე პრეტენზიას იმდენად სერიოზულად აცხადებენ ადგილობრივნი, რომ იქ მშენებლობის დაწყების საშუალებას არ აძლევენ მოსულთ; ამიტომ შემთხვევითი არ იყო, როდესაც სამონასტრო ადგილი შეირჩა ნიშნებით და სასნაულებით, ხალხი და „სხუანიცა მთავარნი“ შეიკრიბნენ და ინონებდნენ შერჩეულ სამონასტრო ადგილს, მოვიდა „... კაციცა იგი, რომელ პირველ იოტა ძინძედ ნოდებულისა მისგან ადგილისა, მონლედ შეუვრდებოდა და ანუეჲდა, რაითა მუნ აშენებდენ“. ბუნებრივია, ბერებისაგან მიიღო მან უარი, რადგან „... არცა ჯერი-იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღორთა“.

დღეს ამ სახელწოდების სოფელი ზარზმის მიდამოებში აღარ გვხვდება, მაგრამ 1930 წელს ამ სახელის და ადგილის არსებობა დაადასტურა ს. ჯიქიამ. იმ დროისათვის ძინძეში 1 კომლსდა უცხოვრია, ხოლო დავთრის შედგენის დროს – 16-კომლიანი სოფელი ყოფილა. ძინძესთან არის დაკავშირებული და მისი

უბნობის გამო დარქმევია უტყუსუბანი სოფელს და ყოფილა ამ სოფლის კიდევე ერთი ადგილი, აგრეთვე უბანი ძინძისა, რომელსაც მე-16 საუკუნეში რქმევია ნათენათუბანი²⁵.

ადგილის სახელს, ძინძეს, განვიხილავთ როგორც ანთროპოოიკონიმს. ტოპონიმს, რომლის სახელდებაში ძირითად როლს თამაშობს ადამიანის ძე-ზე დაბოლოებული გვარი.

ერთი შეხედვით უცნაურია, როდესაც ადგილს ერქმევა გვარი სახელად ყოველგვარი მანარმოებლის გარეშე, მაგრამ სწორედ ეს არის საინტერესო და მიუთითებს მის სიძველეზე. ამდენად, რომელ საუკუნეშიც არ უნდა აღმოჩნდეს სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“ დანერილი, -ძე-ზე დაბოლოებული ეს ქართული გვარი ძინძე ყოველთვის მასზე ადრეული იქნება. ამ ტიპის (მანარმოებლის გარეშე) ტოპონიმები ცოტაა, მაგრამ არის.

„სამცხეში გვექონდა და არის სოფელი მინაძე, რომელიც თავის დროზე მინაძეებით იყო დასახლებული“²⁶.

მინაძისა და ძინძის გარდა, დევასახელებთ მხოლოდ -ძე-ზე დაბოლოებულ ტოპონიმებს, რომელნიც გვხვდება ს. ჯიქიას მიერ გამოცემულ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“: ჯუჯულაძე, ჭიდალაძე, ლონლაძე, სალრაძე, ოსიძე, მელქუაძე, კოპაძე.

ტოპონიმთა ასეთ გაფორმებას სოციალური საფუძველი უნდა ჰქონოდა. -ძე-ზე დაბოლოებულმა ტოპონიმებმა შემოგვინახეს მონოგენური დასახლების უძველესი ფორმები: როდესაც -ძე-ზე დაბოლოებული გვარები არ დაირთავენ ტოპომანარმოებლებს ან სიმრავლის ნიშანს.

მართალია, არის მოსაზრება, რომ -ძე-ზე დაბოლოებული გვარებისათვის -ძე-ს წინ ხმოვანი აუცილებელია²⁷, მაგრამ ასეთი გვარების არსებობა ფაქტია, მაგ., ლორძე, სალრაძე, ძინძე უძველეს გვართა რიგს უნდა მიეკუთვნებოდეს. ხმოვნის გარეშე გვარები იმ დროისაა, როდესაც ფუძე არ გაივრცობოდა და არ იწარმოებოდა. წინ კი საკუთარი ან სხვა სახელი უნდა ჰქონოდა.

ისეთ გვარებში, რომლებიც -ნძე-ზე ბოლოვდება, მაგალითად, გოდაბნძე, ჯაფანძე, ქათლანძე, კვიტანძე, ბუსაკანძე, აბსანძე, ბასლანძე და სხვ., ნ ჩართულად ითვლება²⁸. -ნძე კომპლექსს მოეპოვება ნ-ს გარეშე ვარიანტები: გოლანძე – გოლაძე, ქვარანძე – ქვარაძე, ბუსკანძე – ბუსკაძე და სხვ.

„გვაროვნული სახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, ქართულ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულია და VII-VIII საუკუნეებში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს“²⁹.

ძინძე, როგორც უძველესი ფიქსირებული ანთროპოოიკონიმი, ერთ-ერთი უძველესი გვარია და ქვეგვართა სათავის

დამდებია. ანთროპონიმისა და ოიკონიმის ეს კავშირი კარგად აქვს შენიშნული ალ. ლლონტს, როდესაც წერს: „მნიგნობრობის წყაროთა მიხედვით, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული გვარების განვითარების ისტორიას გრძელ მანძილზე. ჩვენს ხელთ არსებული მასალა მონიშნავს არა მარტო გვაროვნულ სახელთა დიდ ტრადიციას, არამედ ქვეგვართა, გვარების განშტოებათა, რაც ტოპონიმებსაც უკავშირდება, უძველეს ტრადიციას“. სწორედ ამ კავშირის კარგი მაგალითია ძინძე.

ს. ჯიქიამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთმანეთთან დააკავშირა ძინძე, უტყუსუბანი და ნათენათუბანი, რაც მონოგენურობის და მისგან მიღებული ახალი ქვეგვარების საუკეთესო მაგალითია. ჩვენი აზრით, ძინძეთა გვარის განაყოფები ჩანან ტოპონიმებში შემონახული უტყუძნი და ნათენაძენი, რომელნიც გამოყოფის შემდეგ ქმნიან მიკროოიკონიმებს, უბნებს. „ქართველთა (კერძოდ, ქართვების, სვანების, მეგრელთა, ლაზთა ტომების) სოფლები ჩვეულებრივ შედგება ერთმანეთის მიმდებარე ან გეოგრაფიულად მცირედ ისტორიულ მიკროდასახლებათაგან – უბნებისაგან“. პ. ცხადაიამ ამ ტერმინის აღსანიშნავად შემოიტანა ტერმინი მიკროოიკონიმი, რომელიც კარგად ასახავს ჩვენს შემთხვევას და რომელსაც ქვეუბნებს უწოდებს ალ. ლლონტი ქიზიყის რეგიონის მაგალითზე.

ასეთი ქვეუბნები, მიკროოიკონიმები, რომლებიც ადრეულ საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ, შეიძლება იქცნენ ოიკონიმებად და შეიძლება გაქრნენ კიდევ, როგორც უტყუსუბანი და ნათენათუბანი.

ძინძის ამოსავალი ფუძე არის ძინ-, რომელიც სხვადასხვა აფიქსით გაფორმებული დასტურდება ქალთა საკუთარ სახელებში: ძინა, ძინე, ძინი, ძინო, ძინობია, ძინოვ, ძინოფ. ეს სახელები, ძირითადად, სვანეთშია გავრცელებული³⁰.

გარბანელის ხუროთმოძღვრობით შენდება ზარზმის ეკლესია, მშენებლებს გასაჭირი ადგათ. სამშენებლო ქვა ახლომახლო არ არის, ამიტომ მდინარიდან ამოაქვთ „ჭირით და შრომით“, თანაც ცნობილია, რომ მდინარის ქვა (რიყის ქვა) ტაძართა საშენებლად მაინცდამაინც კარგი არ არის. გაჭირვებასა და შრომაში მყოფ ბერებსა და მშენებლებს გიორგი ჩორჩანელი სთავაზობს: „... არს ადგილი ერთი, სადა ეკლესიაჲ მისი დაცემულ არს ძრვისაგან“, ხომ არ აჯობებდა, ამ ეკლესიის ქვები გამოგვეყენებინაო. მშენებლები თანხმდებიან, „... რამეთუ უწმრად მდებარე არს ეკლესიაჲ იგი“. დანგრეული ეკლესიის კამარისა და კუთხის ქვები ძალიან გამოადგათ სერაპიონსა და საძმოს წევრებს. „ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმწაჲ, რომელი შორავს ათორმეტ მილიონ“.

სერაპიონის დროინდელი უმნაა არის დღევანდელი უნნა ადიგენის რაიონში. ბასილი ზარზმელის თხზულებაში დამონმებული სახელის იდენტიფიკაცია ადიგენის რაიონის უნნასთან მოგვცეს ს. ჯიქიამ და ნ. ვაჩნაძემ. ის, რომ ერთ შემთხვევაში გვაქვს მ, ხოლო მეორეგან - ნ, ჩვენი აზრით, არაფერს ნიშნავს, რადგან მესხურ დიალექტში ეს ბგერები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმნა||უნნა უნდა იყოს მეგრულში შემონახული უნნი, ტყის პატარა ცხოველი, რომელიც ჯერ კიდევ 1910 წელს იოსებ ყიფშიძემ დააფიქსირა³¹. ი. ყიფშიძე უნნის პარალელურად მიუთითებს მუნნი ფორმაზეც.

უნნისა და მუნნის შესახებ ო. ქაჯაია წერს: „ტყის რაღაც პატარა სულდგმული. გამოსცემს ერთგვარ სუნს, რომელიც, ხალხის თქმით, ძლიერ მარგებელია ზოგ ავადმყოფთათვის (პ. ჭარ.), შდრ. „ლაზური მუნჭყი“ (ნ. მარი)³².

უმნაში -ა არის წარმოქმნის ნიშანი, რომელიც ტოპონიმარმოებლადაც შეიძლება შეგვხვდეს. მით უმეტეს, რომ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ ცხოველის სახელიც გვხვდება, კერძოდ, თახვი, რომელიც საფუძვლად უდევს ტბის სახელწოდებას („სათაყუე“).

სერაპიონი იყო კლარჯეთიდან, ღირსი და პატიოსანი მშობლების შვილი. მამას ერქვა კვიპრიანე, ხოლო დედის სახელი არ იცის ავტორმა, რისთვისაც ბოდიშს იხდის: „... ხოლო სახელსა დედისა მისისასა, უმეცარ ვართ, არა თუ სახე ბოროტებისა რახსათვსმე, არამედ უამთაგან დაფარვისათვს“.

სერაპიონის დედამ თავისი დედური ვალი შვილების გაჩენით მოიხადა და მიიცვალა: „სახელ-მოუწესნებლად დაიფარა სოფლით“. შვილები მამამ აღზარდა. კვიპრიანე თავისი მშობლიური მზრუნველობით „... ვითარცა შეჰგავს მამასა შვილთ-მოყუარესა“.

ავტორის ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო აცხოველებს ნაწარმოების ანთროპონიმიისადმი ინტერესს. ბასილი ზარზმელს მიზნად აქვს, თავისი თხრობა საინტერესო გახადოს იმ ცოდნით, რომელსაც ანთროპონიმიში იჩენს. იგი ვალდებულია თვლის თავს, რომ იცოდეს იმდროინდელ ისტორიულ პირთა სახელები, ხშირად უბრალო ადამიანთა სახელებსაც გვანვდის და ამით ამდიდრებს თხრობას, რადგან მისი ონომასტიკური ცოდნა ხშირად მეცნიერულია და ახლოსაა ჭეშმარიტებასთან.

ბასილიმ, როდესაც სერაპიონის ცხოვრების აღწერას მოჰკიდა ხელი, მიზნად დაისახა მოღვაწეთა, ადამიანთა სახელთა განდიდება: „რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“,

იმონმებს ლუკას სახარებას ავტორი და ჩვენთვის უძვირფასეს ინფორმაციას ტოვებს.

ბასილი ზარზმელის თხზულების გამორჩეული პერსონაჟია გარბანელი.

სერაპიონ ზარზმელსა და მის საქმეს სამცხის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუპირისპირდა, ნაწილი მოსახლეობისა თანაუგრძნობდა. ადამიანები, ძირითადად, ოფიციალური ხელისუფლების მომხრეები იყვნენ და ხელს უწყობდნენ სამონასტრო კოლონიზაციას. მათ შორის ყველაზე აქტიური იყო სახელოვანი და კეთილი კაცი, „... რომელსა ეწოდა გარბანელ“. იგი იას რეკომენდაციით გაიცნეს ბერებმა. გარბანელი დაუახლოვდა ბერებს, შინ მიიპატიჟა ისინი, გააცნო მეუღლესა და შვილს.

გარბანელი არის განათლებული და ერთგული კაცი, რომელზეც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენს სათახვის ტბის „დანთქმის“ ამბავი და ორ თანამემამულესთან ერთად შედგება მონაზვნად, საბოლოოდ კი ზარზმის მონასტრის მშენებელი, ხუროთმოძღვარი და ზედამხედველი გახდება.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ შედარებით დაბალი ფენის წარმომადგენლები ან მხოლოდ სახელით არიან ცნობილნი, ან თავიანთი საქმიანობის მიხედვით (მოძღვარი (მეგზური), ჭაბუკი...).

გვარსახელით ან წოდებით მხოლოდ წარჩინებული პირები არიან ცნობილი, რომელნიც -ელ წარმომავლობის სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელით მოიხსენიებიან: ჩორჩანელი, მანყვერელი...

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ -ელ სუფიქსი პერსონაჟთა სამი კატეგორიის წარმომავლობას გვიჩვენებს: 1. ცნობილ სასულიერო მოღვაწეთა წარმომავლობას: გერასიმე იორდანელი, გრიგოლ აკრაკანტელი, პავლე თებელი. ამ შემთხვევაში -ელ სუფიქსი ცვლის ამავე ფუნქციის მანარმოებელს იმ ენისას, საიდანაც თარგმნილია შესაბამისი თხზულება. 2. ქართველი სასულიერო პირების სამოღვაწეო, საპატრონო ადგილების სახელებს: მიქაელ პარეხელი, გიორგი მანყვერელი, რომელიც თავისი წარმოშობის ადგილითაც არის ცნობილი - შუარტყლელი. 3. საერო პირების წარმომავლობას: გიორგი ჩორჩანელი და გარბანელი.

გარბანელი სახელით არ არის მოხსენიებული, იგი მხოლოდ გვარსახელით იხსენიება, რადგან არეალში სხვა გარბანელი არ უნდა ივარაუდებოდეს: „ამ სახელს ატარებს ერთ-ერთი დაბის მცხოვრები (როგორც ჩანს, არანარჩინებული)“. ამ გვარსახელის არსებობა გარბანიელის ფორმით ცნობილია სომხურში³³.

გარბანელის ეტიმოლოგია პრ. აჭარიანისთვის უცნობია. ნ. ვაჩნაძე მას ქართულიდან შესულად მიიჩნევს, რადგან ქართული წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსი ახლავს.

რადგან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი -ელ-სუფიქსიანი სახელი ტოპონიმიდან არის წარმოქმნილი, უნდა ვიფიქროთ, რომ გარბანი არსებობდა ძველ საქართველოში და ცნობილი სახელიც იყო.

ივანე ჯავახიშვილი საისტორიო გეოგრაფიის მიმოხილვისას ამბობს: „უკიდურესი ჩრდილოეთი ადგილი არის „სტეფანე ნმიდაჲ არაგუსა ზედა“ (მქ ცე ქა, II, 721), ანუ ეხლანდელი სტეფანნმინდა, რომელიც ნამდვილად თერგის ხეობაშია... მეორე ადგილი უკაეია სოფელ გარბანს, რომელიც აგრეთვე თერგის ხეობაშია: ამ სოფლის მცხოვრებთ „გარბანელნი“ (მქ ცე! ქა, II, 726-727) ერქვა; უძველესი ქართული მატთანე მოგვითხრობს, რომ „გარბანელნი მოაქცივნა“ ვარაზ-ბაკურ აპაჲ-პატრიკიოზმან“³⁴.

ივ. ჯავახიშვილის მიერ დამონმებული ადგილი „ქართლის ცხოვრებაში“ გარდაბნად არის ცნობილი: „და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი, ანთიპატოსი, რომელმან გარდაბანელნი მოაქცივნა“³⁵.

გარბანელს იცნობს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, როგორც ვარიანტს და მითითებულია სქოლიოში. ასევეა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც გარდაბანელებზეა საუბარი „ქართლის ცხოვრებაში“, ვარიანტად გვაქვს გარბანელი, ამიტომ ჭირს გარბანის ლოკალიზაცია.

გარდაბანი ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინცია იყო და უფრო მოსალოდნელია, რომ გარბანელები გარდაბანელები ყოფილიყვნენ. თუმცა ივანე ჯავახიშვილი გარბანელებს, გარბანის მკვიდრთ, თერგის ხეობაში მიუთითებს.

თანამედროვე გარბანის ლოკალიზაცია და ეტიმოლოგია მოგვცა გ. ბედოშვილმა: „გარბანი სოფელია ხევში (ყაზბეგის რ-ნი), გაშენებულია საქართველოს სამხედრო გზის პირას, მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე. გარბანი, სიონთან ერთად, ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია მთელ ყაზბეგის რაიონში. აქ შემორჩენილია IX-X საუკუნეებში ნაგები ეკლესიის და სხვა უძველესი მატერიალური ძეგლების ნაშთები“. გარბანის ეტიმოლოგია უკავშირდება გარე უბანს³⁶.

გ. ბედოშვილს დამონმებული აქვს სხვადასხვა ავტორთა მოსაზრება გარდაბანის ეტიმოლოგიის თაობაზე. ქართველთა მითოლოგიური წინაპრის, გარდაბოსიდან დანყებული, გარდა უბანით და გარე დაბანით დამთავრებული³⁷.

რადგან „ქართლის ცხოვრება“ გარდაბანსა და გარბანს ვარიანტებად იცნობს, ხოლო დღევანდლამდე მოღწეულია

გარდაბანიც და გარბანიც, შეიძლება მათ საერთო წარმომავლობაზეც ვიფიქროთ. სერაპიონის დროს გარბანი სამცხეში არ უნდა ყოფილიყო და რადგან გარბანელი, ზარზმის მონასტრის ხუროთმოძღვარი და მშენებელი, გარბანიდან იყო, რეალურად კი სამცხის სოფელში ცხოვრობდა „მცირესა რასმე დაბასა“, რომელსაც ბოზხა ეწოდებოდა, აქედან გამომდინარე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისი წარმომავლობის აღნიშვნის შემთხვევაში გვექნებოდა ბოზხელი. ამიტომაც იგი მოიხსენიება მხოლოდ გვარსახელით, სახელის გარეშე. საფიქრებელია, რომ გარბანელი აქ არის უკვე გვარი და მისი შვილებიც, მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, გარბანელებად იწოდებოდნენ.

ამგვარად, ბასილი ზარზმელის თხზულება უძვირფასეს ცნობებს გვანდის ქართული ონომასტიკის შესასწავლად. სერაპიონ ზარზმელის ეპოქაში სამცხეში ბატონობს ქართული სახელები, მათი წარმოქმნა ქართულ ნიადაგზე ხდება.

შენიშვნები:

1. საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა და ანალიზი იხ.: ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 5-31.
2. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 118.
3. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 71.
4. იქვე, გვ. 73.
5. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 27-30.
6. იქვე, გვ. 36.
7. პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 34.
8. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 80-81.
9. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 159.
10. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 80.
11. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 115-119.

12. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 6-10.
13. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 465.
14. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 37.
15. პ. ინგოროსყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 150
16. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 337.
17. ი. აბულაძე, ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის, შრომები, II, თბ., 1976, გვ. 139.
18. იქვე, გვ. 135.
19. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 1.
20. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 15.
21. იქვე, გვ. 18.
22. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 102.
23. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 234.
24. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV, 2, თბ., 1966, გვ. 172.
25. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 101.
26. რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997, გვ. 25.
27. ს. მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, I, თბ., 2005, გვ. 51.
28. პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 19.
29. ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 48.
30. იქვე, გვ. 313.
31. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. 322.
32. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002, გვ. 337.
33. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 105.
34. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 45.

35. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 376.

36. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 92.

37. იქვე, გვ. 94.

ღრელის, საზარისა და ლაშხევის ტოპონიმია

ღრელი დღეს არის ნასოფლარი. იგი მდებარეობს ახალციხიდან საფარისაკენ მიმავალი გზის პირას კლდიან ფერდობზე, ხოლო სოფელს, რომელსაც დღეს ღრელი ჰქვია, ადრე ლაშხევი ერქვა. იგი ქახალციხიდან ორიოდე კილომეტრზეა დაშორებული და თითქმის მის უბნადაა ქცეული. ისტორიულად ლაშხევი, ანუ მლაშისხევი, ცალკე სოფელი ყოფილა, რომელსაც ს. ჯიქია „ჭაჭარაქის მლაშისხევს“ უწოდებს (ჯიქია, 1958:235), განსხვავებით ასპინძის მლაშისხევისაგან, სოფელს ადრევე შეეწყვიტია არსებობა და ქცეულა ღრელის ბაღებად. შევნიშნაეთ, რომ მლაშე წყალი, ანუ ხევი, დღესაც ჩაუდის სოფელს. აი, ამ სოფელ ლაშხევის, ანუ მლაშის ხევის (ს. ჯიქია) სახელად იქცა დღეს ღრელი. ღრელი კი მდებარეობდა ლაშხევიდან 5-ოდე კილომეტრზე, საფარასთან ახლოს. რადგან ღრელელების ბაღები ლაშხევიში ქალაქს ემეზობლებოდა, ღრელთან კი ნორმალური გზა არ მიდიოდა, XX საუკუნის შუა წლებში დაიცალა ღრელი და გაშენდა ლაშხევი.

ლაშხევი, როგორც ხევი და არა როგორც სოფელი, დაფიქსირებულია 1919 წელს. „ქ. ახალციხის ახალნაწილის აუარებული ქუჩებიდან მხოლოდ ერთ ქუჩას ჰქონდა ქართული სახელი, სახელდობრ, „ლაშხევის ქუჩა,“ რადგან ამ ქუჩას გვერდით ჩაუდის მლაშე ხევი (გაზ. „სახალხო საქმე,“ 1919წ. №534:4).

ღრელი აიყარა და ჩამოვიდა თავისსავე ბაღებში, სოფლიდან მოშალეს სახლები, ქვა წამოიღეს და დაბლა ააშენეს. ლაშხევს დაერქვა ღრელი, ხოლო როდესაც უნდათ გადმოსახლების ადგილი აღნიშნონ, ამბობენ ზედა ღრელს ან ძველ ღრელს. მიუხედავად ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგობისა, სოფლის ჩამოსახლების პროცესი დაიწყო 1956 წელს და დასრულდა 1963 წელს. საბჭოთა პერიოდში სოფელს ჰქონდა დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც შეიქმნა 1935 წელს – პირველი თავმჯდომარე იყო კირილე ნებაძე.

მე-20 საუკუნის 30-იან წლების ბოლოს ასე აღწერს ვ. სულაძე ღრელს: „სოფელი ღრელი ეკუთვნის ახალციხის რაიონს, მინაძის სასოფლო საბჭოს, ახალციხიდან 5 კილომეტრის დაშორებით, მინაძიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით. სოფელი ახალციხის სამხრეთით მდებარეობს. სოფლის ჩრდილო მხარე უფრო ნაყოფიერი და ვაკე ადგილებია, გამოუყენებელი სახნავე-სათესად.

დასაველეთი, აღმოსაველეთი და სამხრეთი მხარეები მთაგორიანია, დასერილი ღრმა ხეებით. თვით სოფელი გაშენებულია პატარა ვაკე მინდორზე (აღწერიდან სოფლის ლაშხევეში ჩამოსახლებაამდე ღრელი მეორედ გაფართოვდა სამხრეთით ხევის მხარეს და ტერასული განლაგება მიიღო მ.ბ.). სამხრეთით და დასაველეთით შემოსაზღვრულია კლდიანი გოხებით..

სოფელს აღმოსაველეთით საზღვრავს სატალაოს ხევი, ჩრდილოეთით სულთმეწიას შარა გზა (ეს გზა ამჟამად გაუქმებულია, ვინაიდან კისათობის ახალი შროში (ასეა! – მ.ბ.) გზი გაყენამ სულთმეწიას გზის მანძილი შეამოკლა). დასაველეთით საზღვრავს აბანოს წყალი, ჩრდილოეთით – „ყორულის სერი (სულაძე 1937:1)“.

სოფელი ღრელი 1937 წელს (საერთოდ ვიდრე ლაშხევეში ჩამოსახლდებოდნენ და სოფელი გაუქმდებოდა) ვ.სულაძის მიხედვით ორ უბნად იყოფოდა: ზედა უბანი და ქვედა უბანი. ჩემი აღწერის მიხედვით ღრელს ჰქონდა აგრეთვე შუა უბანი და უბნები გვართა დასახლების მიხედვით: უკუღმენი, ნებაძეების უბანი. სახელი დაერქვა „იობ პაპას მიხედვით, ყველას სახლი გაშენებული იყო მზის გულის მხარეს, იობს კი ჩრდილოეთისაკენ გაუშენებია. „უკუღმა.“ საბიენთი უბანი, ბადალიენთი უბანი, ტრელვიენთი უბანი, ქუნცულიენთი უბანი, დადიენი, ჯავახიენთი, წმინდა გიორგის ეკლესიის გარშემო ეკლესიის უბანი იყო. 72 კომლიდან 2 კომლი მამამდიანი ქართველი ცხოვრობდა. ვ. სულაძეს დაფიქსირებული აქვს მხოლოდ მართლმადიდებელთა გეარები (სულაძე, ნებაძე, ალავიძე, იაძე, მურვანიძე, კუჭუხიძე, შადრაძე, ხმალაძე, შაყულაშვილი). მისივე ცნობით: „ეს თათრები ძველი მამაპაპიდან არიან ჩვენთან, ძალიან კარგი მეზობლობა გვაქვს. დიდებიც და პატარებიც ქართულად ლაპარაკობენ (ვ.სულაძე).

მე-16 საუკუნის ბოლოს ღრელში ცხოვრობდნენ ელია ჯირუას ძე, ზაქარა ბასილას ძე, საბია, გაბრიელ ამირინდოს ძე, გრიგოლ, არსენა მღვდელი, ელია, მახარა ღვინიას ძე, საბია, შალიკა ყარაფითის ძე, კვირიკა, მაცაცა, გოგიჩა, კაკალო (ჯიქია, 1941:161).

ღრელში მეოცე საუკუნის ბოლოს ცხოვრობდნენ: ნებაძეები, ალავიძეები, იაძეები, მურვანიძეები, ხმალაძეები, სულაძეები (სულა-

ძეების ერთი შტო (აფრამიენი) ოხერიდან გადავიდნენ ღრულში, ხოლო მეორე შტო (დადიენი)—ცხოვრობდნენ ტობაში, საიდანაც სოფლის გაუქმების შემდეგ მოვიდნენ ღრულში და მათ ტობელები-ანთ ეძახიან. კუჭუხიძეები დღეს ღრულში აღარ ცხოვრობენ. ახალ ღრულში, ანუ ლაშიხეში, ღრულს შემოემატა შემდეგი გვარები: ნათენაძე, გოხაძე გოგაშენიდან, ტაბატაძე, ინასარიძე, ბერიძე ანდრი-აწმინდიდან, თარხნიშვილი თოკიდან, დიასამიძე ქუნიციდან, კედე-ლაშვილი რუსთაიდან, ბურდული ასპინძიდან, ზედგინიძე ზეკლი-დან. ასევე — ხმალაძე, ნათენაძე, მელიქიძე, კოპაძე, კაჭკაჭიშვილი, გვირჯიშვილი, ზაზაძე და სხვ.

ზოგიერთი გადმოცემა თუ ინფორმაცია შეიძლება დაფიქსირ-დეს გვარების შესახებ. ინფორმაციათა მიხედვით ალავექე 7-8 კომლია, გიგოონი და ჩაუშიენი (მოსამართლე). პირველად გიგოონთ შტო მოსულა ღრულში და მოუყვანია თავისივე ბიძაშვილი ჩაუშიე-ნი. ალავექეებთან ერთად უცხოვრიათ სელიმიენთ. ალავექეები და სელიმიენი თავდაპირველად ცხოვრობდნენ ბუნელებში ფიჭუნარას-თან. ლაშიხეში შეხვედრია მონადირე და ასულა ღრულში. ის ად-გილი ყოფილა გატყევებული. იმ მონადირეს უცხოვრია ბორჯომში, ანდის გვერდით. ეს ის პერიოდი ყოფილა, როდესაც ბორჯომი იც-ლებოდა, ხალხი იყრებოდა. ზოგი გადავიდა ოდუნდაში, კისათიბში, ორი კომლი ჩამოვიდა ღრულში, რომელთაც დახვედრიათ ნებაძე და ალავექე. ასე გაჩენილა ნასოფლარ ღრულში ახალი მოსახლეო-ბა. ისინი დასახლდნენ ხეთან, წყალთან ახლოს, კლდიძირებში, რომელიც მზიგულიც იყო და წყალიც ახლოს ჩაუდიოდა. ბადალი-ენთ ერთმა ნებაძემ ქუნიციელი ქალი მოიყვანა, რომელიც სიბერეში მარტო დარჩა და მის შთამომავლებს ეწოდათ ქუნიციელი. ჭრე-ლონიც ნებაძეები არიან. ნებაძეების ერთმა შტომ ზედსიძედ მო-იყვანა რაბათელი კაცი, რომელმაც გვარი შეიცვალა და ნებაძედ დაეწერა. გვარი აჭრელდა და ჭრელონი ეწოდათ მათ.

მურვანიძე გვხვდება ღრულის გარდა ხეითში, სადაც ღრული-დან არიან გადასულები. მურვანიძეებს მეტსახელად მოკლეპერან-გიანებს ეძახიან, ხოლო საგვარეულო სახელი მათი იყო ჯაფახიენი, ნატუსიენი.

შაყულაშვილი და კუჭუხიძე ზედსიძედ იყვნენ მისული ღრულ-ში. შაყულაშვილი ალავექეებში და იაძეებში — კუჭუხიძე. ისინი გვიან მოსულებია და დარჩნენ თავის გვარზე, თორემ ადრე მოსუ-ლი აუცილებლად ცოლის გვარზე ეწერებოდა.

მაჰმადიანი ქართველი ღრულში ცხოვრობდა შადრაძე, მას ქრისტიანი გოგო ჰყვარებია, მონათლა ქრისტიანად და დარჩა

ღრელში. მისი ორი ვაჟი დაიღუპა სამამულო ომში და შეწყდა გვარი. მანძულენთ ქალი იყო მოსული ამ გვარში რძლად დადგმიდან.

ზოგი მათგანის საგვარეულო სახელებია: ნებაძეები; ქუნცულიენი, უკუღმიენი, ბადალიენი, ჭრელეიენი. ბადალიენთ გამოეყო ქუნცულიენი, ჭრელოინი, უკუღმიენი.

სუდაძეები: აფრამიენი, დადიენი. იაძეები: საბიენი. ალაიძეები: ჩაუშიენი. მურვანიძეები: ჯავახიენი, ნატუსიენი (გადმოსულები არიან ჯავახეთიდან). დღეისათვის ღრელში ასამდე ოჯახი ცხოვრობს.

ეს არის ინფორმაცია, რომლის მოძიება ჯერ კიდევ შეიძლება ღრელში. ერთი რამ აშკარაა, რაღაც უბედურების გამო სოფელი გაუქაცრიელებულა და შემდეგ ისევ მოშენებულა. მე-20 საუკუნეში, 1937 წელს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყო ექსპედიცია მხარეში და შემოგვინახა ბევრი ძვირფასი მასალა. ზოგიერთი ინფორმატორი ცოცხალი მატეანეა თავისი ასაკითა და ამბის წყაროს ასაკის გამო, ამიტომ გადმოცემას ღრელის შესახებ მოვიყვან ე. სუდაძის ერცელი ჩანაწერის მიხედვით: „98 წლის ბებიანემი იტყოდა: 1848 წელს მოვედი ამ სოფელში რძლათ სუდაძე პავლეს ოჯახში. მაშინ ამ სოფელში შეიდი კომლი იყო სულ, ხუთი მოგვარეები: 1. სუდაძეები, 2. ნებაძეები, 3. იაძეები, 4. მურვანიძეები და 5. ალაიძეები. ჩემი მამანთილი იტყოდა – ჩვენ, როცა მოველით ამ სოფელში, ნასოფლარი იყო, მხოლოდ ამ ჩვენ დარბაზში ცხოვრობდა ერთი ბერიკაცი და ის ასე იტყოდა, მე ნაღირობისას ეს სახლი ასე გაშენებული ვნახე ტყეში, მის გარშემო გავჩეხე ტყე, გავაკეთე ყანები და აქვე დავიწყე ცხოვრებაო. აღნიშნული დარბაზი 1934 წლამდე უვნებლად იდგა. ამ დარბაზში ედგაფლით წარმოდგენებს. სასოფლო საქმის შესახებ ხალხი ამ დარბაზში იყრიდა თავს. 1934 წელს ეს დარბაზი დაევანგრიეთ და მის მასალით ავაშენეთ ორი ოთახი. დარბაზის სიძველე იქიდან ჩანს, რომ გასაყარი ხეები ადგილობრივ ყოფილა მოჭრილი, ეინაიდან ხეს ნათრევი არ ეტყობა (სუდაძე, 1937:3-4)“.

მონათხრობის მიხედვით ღრელის ახლად მოშენება შეიძლება გამოეთეალოთ დაახლოებით ასე: სუდაძე პავლეს რძლად მოვიდა სოფელში 1848 წელს, როდესაც 5 კომლს უცხოვრია. მამანთილი ამ ხუთეულში იგულისხმება. ის იყო მოსული და დასახლებული დანარჩენებთან ერთად, რომელთაც ადგილზე ერთი დარბაზის პატრონი დახვედრიათ (სამწუხაროდ, მის გვარს არ გადმოგვცემს მთხრობელი – მ.ბ.). მამანთილი მე-18 საუკუნის ბოლოს უნდა იყოს

მოსული, ხოლო დარბაზის მშენებელი კაცი - მე-18 საუკუნის შუა წლებში.

ფიქრობ, ეს მაინც ლეგენდის დონეზე უნდა განვიხილოთ და არა, როგორც უდაო ფაქტი, რადგან მე-18 საუკუნეში ღრელი ჩვეულებრივი სოფელი ჩანს. კერძოდ, 1779 წელს „ახალციხურ ქრონიკებში“ ღრელი სოფლად არის მოხსენიებული: „პატრი ფრანჩისკესთან ღრელისკენ წავედით (ლომსაძე, 1979:158)“. ასევე 1784 წელს იმავე ქრონიკებში ვკითხულობთ: „შკათათ პატრი, ტერ გრიგოლი და ტერ ფრანჩისკე ღრელს ზევით სასმელად წაეიდნენ (ლომსაძე, 1979:163)“.

ღრელის ისტორია, მისი ოსმალების მიერ მე-16 საუკუნის ბოლოს დაფიქსირების შემდეგ, უწყვეტად ვითარდება და ხელახლა მონადირის მიერ ადგილის აღმოჩენა-აშენება მესხეთში გაერცვლებული ტიპური გადმოცემა უნდა იყოს. ასეა, მაგალითად, ტობის აშენების ამბავი და სხვ.

სოფლის უმთავრესი სიმდიდრე არის მიწა, ხოლო მიწის მფლობელი, პატრონი ბევრად განსაზღვრავს ადგილის სახელდებას. ღრელი მთაგორიანი ადგილია, ამიტომ მის ტერიტორიებს უფრო მეტად დაქრავს არქაული იერი. ძველი სახელები მოიხმარებოდა კომუნისტების პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ მიწა საკოლმეურნეო საკუთრება იყო, მისი დანაწილება და სახელდება კომლურ-პიროვნული საკუთრების მიხედვით ხდებოდა. მთელი ტერიტორია დანომრილი იყო, მაგრამ მოსახლეობა მაინც ადგილის სახელებს ძველებურად მოიხსენიებდა. ტრადიცია გრძელდებოდა იმით, რომ საკოლმეურნეო საკუთრების დროს გლეხის დროებით საკუთრებაში მყოფი მიწა უფროა მონაწილე ადგილის სახელები-სას, ვიდრე საერთო-საკოლმეურნეო.

ამის კარგი მაგალითია ახალციხის რაიონის მიწის მართვის არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 1937 წელს და სადაც შეტანილია გრაფა - ადგილის სახელი (სად გაიცა) და არა ნომერი ნაკვეთისა.

გეარის სახელი	სად გაიცა	ვისი ყანა	რამდენი
შაყულაშილი დათიკო	ლარები	დათიკო სულაძე	0.60
	აბანოს გზაზე	იამე ზურაბ	0.45
	გაღმა 2-ალაგ	ნებაძე კირილე	0.86
	აბანოს ყანა	ალაგიძე ვანო	0.50
სულაძე ლევან	აბანოს ყანა	თაყისი	0.30
	ქორდარა	იობ სოლომან	0.50

	"_"	იობ ვასილის ძე	0.10	
საგარელო ნიკოლოზ	გაღმიები	თაეისი ყანა	0.30	
	ქორდარა	სუდაძე მიხეილას	0.95	
	ძერის ქვა	ალექს მურმანიძე	0.40	
კუჭუხიძე ნიკოლოზ	ყორული სერი	თაეისი	0.25	
	ნაცრის ყანა	"_"	0.15	
	უკანლარები	"_"	0.10	
	კაპნები	"_"	0.90	
	ქორდარა	"_"	0.70	
ალაეიძე გერმან	ლარები	თაეისი	0.40	
	ლოდები	იაძე ტოფოსი	0.30	
	ქორდარა	მურმანიძე ლაზარე	1.30	
	შილიმ კატარი	ნებაძე კირილე	0.30	
ნებაძე მოსე	საგუბარა	თაეისი ყანა	0.20	
	ქორდარა	იაძე იორდან	0.40	
	აბანოს ყანა	იაძე იორდან	0.75	
	უკანა ლარები	ნებაძე ოქროსი	0.45	
	გაღმა ყანა	სუდაძე ბასიკო	0.35	
	კაპნები	თაეისი	1.15	
მურმანიძე სერგო	წითელი კლდე	თაეისი	0.40	
	გაღმა ყანა	თაეისი	0.40	
	საგუბარა	თაეისი	0.50	
	ნაცრის ყანა	თაეისი	0.20	
	უკანა ლარები	თაეისი	0.50	
	კაპნები	თაეისი	0.22	
	ალაეიძე პაშა	ჯაფოსყანა	თაეისი	1.00
		უკანა წყარო	ნებაძე გიო	0.50
მკედლიწყარო		მიხეილ სუდაძე	0.40	
აბანოს ყანა		თაეისი	0.80	
უკანა ლარები		ნებაძე პაელე	0.45	
	ყანაში	თაეისი	0.50	
სუდაძე ნიკოლოზ	შილიმ კატარი	თაეისი	0.30	
	თხილის ძირი	თაეისი	0.25	
	აბანოს ყანა	თაეისი	0.20	
	აბანოს ყანა	მურმანიძე ლეო	0.60	
	შილიმ კატარი	ნებაძე გიო	0.85	
სუდაძე არხიოზ	აბანოს გზაზე	თაეისი	0.30	
	აბანოს გზაზე	დათას ყანა	0.20	
	გაღმა ყანა	ხმალაძე ლეო	0.40	

	ყორელისერი	გივიშასი	0.30
	საგუბარა	მიხეილასი	0.20
	შილიმ კატარი	ნებაძე იობასი	0.60
შექათ ბაირამილლი	შილიმ კატარი	ნებაძე კოლასი	0.20
	აბანოს ყანა	თოფილ	0.30
	საგუბარა	ლუასი	0.30
	გაღმიები	შადრაძე ისი- ლორ	0.20

ადარ არის მითითებული ადრე მფლობელი

გვარი და სახელი. ნაკვეთის ადრე მფლობელისა	ნაკვეთის დასახელება	რაოდენობა
ნებაძე მოსე	საგუბარა	0.20
იაძე იორდან	უკანა ლარები	0.25
ნებაძე თედორ	შილიმ კატარი	0.25
ნებაძე ბასიკო	შილიმ კატარი	0.50
იაძე ნატასი	თხილიძირი	0.17
ნებაძე ოქრო	უკანლარები (გაღმაყანა)	0.50
მურმანიძე ილიკო	ქორდარა	1.13
იაძე პანტელ	ნაცრიყანა	0.30
იაძე ზურაბ	ნაცრიყანა	0.20
იობ ნებაძე	საგუბარა	0.90
სულაძე სოლომონ	ქორდარა	0.70
ნებაძე ალექ	შილიმ კატარი	0.60
ნებაძე გიო	უკან წყარო	0.40
იაძე არხიოზ	ქორდარა	0.40
სულაძე მიხეილ	საგუბარაი	0.40
ნებაძე ოქრო	შილიმ კატარი	0.25
ზაზაძე სანდრო	გაღმა ყანა	0.20
სულაძე თედორ	საგუბარა	0.30
ნებაძე ევგენ	ლოდები	0.50
სულაძე ბასიკო	აბანოს საზ.	0.30
ნებაძე კირილე	ყორნალა	0.50
ზაზაძე სანდრო	კაპნები	0.30
ნებაძე იობ	ლოდები	0.90
ნებაძე მოსე	გომარეთები	0.20
	გომარეთები	0.25
	გომარეთები	0.45
	სერიფერდა	0.50
	ურის (ასეა!) საყლავეი	0.50
მურმანიძე სერგო	სულთმეწია	1.00

	ლაშიხევი	1.00
	წყაროსთვალი	0.50
ალავეძე ალექსანდრე	ნატბეურა	1.00
	პალიაშვილი	0.50
	პალიაშვილი	0.40
	ურის (ასეა) საფლავი	0.50
სუდაძე ნიკოლოზ	ქალაქისერი	0.30
	ნატბეურა	0.30
	ვანის თავი	0.30
	პალიაშვილი	0.50
შაქვათ ბაირამოღლი	ნატბეურა	0.50
	ფიჭენარა	0.30
	კლდეკარა	0.30
	გომარეთი	0.40
	კლდეკარა	0.40
	ქალაქი სერი	0.20
იაძე ირაკლი	კონდარაი	1.50
სუდაძე დათა	საგუბარაი	0.40
ნებაძე ყეგენ	ქორდარაი	0.80
სუდაძე მიხეილ	კლდის თავი	0.60
სუდაძე ონისიმე	გალმეები	0.80
იაძე ნატა	უკანლარები	0.20
ნებაძე იობ	საგუბარი	0.40
სუდაძე სანდრო	უკან ლარები	0.20
იაძე ზურაბ	გალმა	0.50
ნებაძე კირილესი	უკან ლარები	0.30
სუდაძე სანდრო	საგუბარაი	0.40
მურვანიძე ლაზარ	საგუბარაი	0.80
ნებაძე თედორი	კლდის ძირი	0.80
იაძე პანტელ	კაპნები	-
იაძე ტოფო	კაპნები	0.20
ნებაძე კირილე	უკან ლარები	0.20

დარწმუნებული ვარ, თუ სამომავლოდ შეიქმნა ახალი ტოპონი-
 მია ღრეღის ტერიტორიაზე, იგი დაკავშირებული იქნება მიწების
 ახალ გადანაწილებასთან, მიწის პირად საკუთრებაში გადასვლას-
 თან, რაც მე-20 საუკუნის მიწურულს განხორციელდა. საარქივო
 მონაცემებზე დაყრდნობით მოხერხდა მე-20 საუკუნის 40-იანი წლები-
 ბიდან მოყოლებული ღრეღის კოლმეურნეობის, მისი მიწის ფარ-
 თობების მატება-კლების დინამიკის ჩვენება. იგი დოკუმენტის

როლს შეასრულებს, რადგან ამ საქმის პროფესიონალის, დოც. გ. ბუცხრიკიძის დახმარებით გაკეთდა.

ეს მონაცემები კარგად გვიჩვენებს, თუ რაოდენ არასტაბილური, არასერიოზული მიდგომა იყო სახელმწიფოსაგან მიწის მყუდობელი სოფლის მიმართ. აშკარაა, რომ ვიღაცეების ინტერესების მიხედვით ხდებოდა კოლმეურნეობის ე.წ. მიწების მიკუთვნება სხვა სოფლისადმი. უგულვებელყოფილი იყო სოფლის ტრადიცია. ერთადერთი, რაც არ იცვლებოდა და სოფლის საკუთრებად რჩებოდა, იყო ტოპონიმი, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით:

სოფელ ღრელის მიწათსარგებლობის მონაცემები:

წელი	სულ ფართობი კა-ში	მათ შორის				
		სახნაუ	მრ. წლიანი ნარგავი	სათიბი	საძოვარი	საკარმიდამო
1937	898,0					
1945	807,80	176,00	3,00	1,27	229,24	29,01
1949	807,30	176,25	3,10	1,22	229,24	18,56
1966	991,36	134,36	11,51	71,60	359,72	22,00
1991	1029,00	136,00	7,00	33,00	630,00	36,00

მონაცემებთან დაკავშირებით აუცილებლად მიმაჩნია შემდეგი განმარტებები:

1. ფართობის მკვეთრი ცვლა 1966-1991 წლებში გამოწვეულია საზაფხულო საძოვრებისა და სათიბების მუდმივ სარგებლობაში გადაცემით.

2. სოფელი ღრელი 1968 წელს შეუერთდა ახალციხის მებოსტნეობა - მეხილეობის საბჭოთა მეურნეობას.

3. 1970-1971 წლებში გაიყო ახალციხის საბჭოთა მეურნეობა და ღრელი შეუერთდა მინაძის საბჭოთა მეურნეობას.

4. 1991 წელს გამოიყო მინაძის საბჭოთა მეურნეობას და ჩამოყალიბდა ცალკე საბჭოთა მეურნეობად

5. 1993 წელს ღრელის მეურნეობას შეუერთდა აბის დასახლება და მისმა საერთო ფართობმა შეადგინა 2408 ჰექტარი.

6. 1995 წელს შეიქმნა მინაძის სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმო. სოფ. მინაძის, ჭაჭარაქის, ღრელის და აბის ბაზაზე.

7. 1997 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სასოფლო სამეურნეო საწარმოები და მიწები, რომელიც არ იყო კერძო საკუთრებაში გადაცემული, გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად და იგი გაიცა

იჯარით, მიწების აღრიცხვა ხდება საკრებულოების მიხედვით, ხოლო სოფ. ღრელი შედის მინაძის საკრებულოში.

8. სოფელ ღრელში 94,49 ჰექტარი მიწა მიიღო კერძო საკუთრებაში სოფელში მუდმივად მცხოვრებმა 155-მა კომლმა, ხოლო ქალაქების 115-მა ოჯახმა - 10,94 ჰექტარი.

ღრელის ეტიმოლოგია, ჩვენი აზრით, უნდა დაუკავშირდეს ღრე-ს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ღრე არის „დაფლატული ადგილი და სოროვანი,“ სხვა ვარიანტით - „დაფლატული ადგილები (ორბელიანი, 1966:255)“. 1. „დიდად და გრძლად ჩაღმავებული ადგილი“..2. „რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. კლდე-ღრე, ტყე-ღრე (ქ.ე.გ.ლ 1962:471)“. „ფლატეებიანი და დახრამული ადგილი (დლონტი, 1984:595)“. სახელს ეყოფთ შემდგენიარად: ღრ-ელ-ი, რომლის გამარტივებული, უფრო სწორედ, ღ- დაკარგული ფორმა ჩვენ გვაქვს სიტყვაში ღრე. „დაფლატული ადგილი და სოროვანი (ჩიქობავა, 1942)“. -ლ ხმოვანდაკარგული -ელ სუფიქსია, რომელიც ამ შემთხვევაში გარკვეული თვისებების აღმნიშვნელი უნდა იყოს. ე. ი. ღრელი ფლატეიან, ღრეიან ადგილს ნიშნავს, „სოროვანსაც.“ ძველი ღრელის მღებარეობა ამართლებს ასეთ ახსნას.

ღრელი გამოირჩევიდად „ღრე ადგილია.“ ნასოფლარის წინ ჩადის „ღრელის ჳევი“ „დაფლატული“ და „სოროვანი,“ „დიდად და ღრედად ჩაღრმავებული ადგილი.“

„სახელის ფუძეთა ბოლოკიდურად ყველაზე ხშირად გეხვდება: თანხმოვანთაგან -ლ, -რ, -ნ, -ვ. ხმოვანთაგან -ა, -ე. - ბოლოკიდური-ა, -ე, ხმოვნები. სუფიქსები აღმოჩნდება იქ, სადაც ძირძველი ჩანდა“. -ელ სუფიქსი გამოყოფილია როგორც არსებით, ზედსართავ სახელთა ფუძეებში (ჩიქობავა, 1942:58), ისე მიმღობებში (ჩიქობავა, 1942:61-62) და გარდა აღნიშნულისა, ცნობილია -ელ-ის გამარტივებულ ვარიანტად -ე (ჩიქობავა, 1942:62).

მესხეთის სოფლების ტერიტორიები საუკუნეებით იყო დაკანონებული, ამიტომ საჭიროდ ეცანით ღრელის საზღვრების აღწერა. ღრელის საზღვრების შესახებ საინტერესოა ერთ-ერთი განმარტებითი ბარათი ახალციხის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს არქივიდან, რომელიც დათარიღებულია 1945 წლით. მას ყოველგვარი ცვლილებების გარეშე მოვიყვან, როგორც დოკუმენტს:

„სოფელ ღრელის ამხ. დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის შიდა სამეურნეო მიწათმოწყობის და თესლთა ბრუნვის პროექტზე

ბანმარტივითი ბარათი

გეოგრაფიული მდებარეობა:

I ა.სოფელი ღრელი მდებარეობს რაიონული ცენტრიდან ოთხ კილომეტრზე. აერთიანებს სასოფლო გზა. რკინის გზიდან დაცილებულია 7 კილომეტრზე.

ბ.სოფელ ღრელის მოსაზღვრეებათ ითვლებიან: აღმოსავლეთიდან სოფელ მინაძის, ჭეჭერეჭის კოლმეურნეობების მიწები. დასავლეთიდან სოფ. აბის ქ.ახალციხის ამხ.სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწები. ჩრდილოეთიდან სოფ. ანდრიაწმინდის კოლმეურნეობას და სამხრეთიდან კი ქ. ახალციხის ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწები.

გ. კოლმეურნეობის ტერიტორია განლაგებულია ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე. მთლიანი ტერიტორია კოლმეურნეობის დასერილია ხეებით, რომლებიც ძირითადად წარმართულია ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

II. არსებულ პირობებში მიწათსარგებლობის დახასიათება:

ა. კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის მთლიანი ფართობი უდრის 802 ჰექტარს. თესლთა ბრუნვის პროექტის შედგენის დროს მიწის ფართობები იყოფა შემდეგ სანახებათ.

საერთო ფართი:

1. სამოსახლოები 7.06
2. ბოსტანი 0.35
3. ბაღები 3.10
4. განსაზღ. ნაგებობანი 0.40
5. სახნავი 193.66
6. კლდეები 310
7. ნახატი და ნასვენნი 25.0
8. ბუჩქნარი 35.0
9. კ. წვერთა საკარმიდამო 25

ბ. ცალკეული სანახების განლაგების დახასიათება:

10. სუფთა საძოვარი 203
11. ქვიანი საძოვარი
12. ჭაობიანი
13. გზები 12.92

14. არხები
15. ხეები 5.0
16. ბუნებრივი მდგელო 123
17. წყლის ქვეშ 5.50

ყველა სახის სანახები ტიპიურია როგორც მთიანი რაიონისათვის.“

მიწის ათვისების სახელმწიფო მიდგომა ჩანს იმავე მიწის მართვის სამმართველოს არქივის ერთი დოკუმენტიდან, საიდანაც დასტურდება, რომ ზოგადად სახელი ჯერაც არ ჩამოყალიბებულა ტოპონიმად და შეიძლება ისე გაქრა, ვერც ჩამოყალიბდა, სამაგიეროდ გამძლეობით გამოირჩევა ტრადიციული ტოპონიმები, რომელთაც გაქრობა ემუქრება მხოლოდ გლობალიზაციის პირობებში.

„სოფ. ღრელი“

1. სოფლის გაღმა ფერდობი - ნასვენებიდან 3ექტარი ნატყეურ ნიადაგზე;

2 გომარეთი - ნასვენი 3 ექტარი ნატყეური;

3. ლაშქრები - ნასვენი 2 ექტარი ნატყეური ნიადაგები;

4. ღარები - ნასვენი 2.5 ექტარი;

5. აბანოები - ნასვენი ნატყეური ნიადაგები 8 ექტარი;

6. სასროლეთი - ნასვენი 3 ექტარი ნატყეური ნიადაგები;

7. წყაროსთავი - 4.5 ექტარი ნასვენი;

8. ახალციხის ბოსტნებთან - დელევიალური ნიადაგები 1 ექტარი;

9. კლდეკარა - 1.5 ექტარი ნასვენები;

10. ნაცარყანა - 0.15 ექტარი ნასვენი ნატყეური;

11. ლაშიხევიგამხმარიბალები - 6.5 ექტარი;

12. საფარის გზაზე - სათიბი 1.5 ექტარი;

13. საფარასთან სატყეოს სანერგე - 2 ექტარი;

14. მეშაბაში - საძოვარი 30 ექტარი მდგელოს ნიადაგები.

ამგვარად ღრელი 1950-1957 წწ. ათვისებს სულ 71 ექტარს. მ.შ.

1950. წელს - 5 ექტარს

1951 წელს - 9 ექტარს

1952 წელს - 9 ექტარს

1953 წელს - 9 ექტარს

1954 წელს - 9 ექტარს

1955 წელს - 10 ექტარს

1956 წელს - 10 ექტარს

1957 წელს - 10 ექტარს

ღრელის ტერიტორიის საზღვარი აღმოსავლეთით დევს ურავლის წყალზე ანუ ფუნდურაზე, რომელიც სათავეს იღებს ორი ტოტით. მარჯვენა ტოტი ჩახრახის მთიდან იწყება (რომლის გარშემო ტერიტორიებს ჩახრახები პქვია), ამიტომაც მას ზოგჯერ ჩახრახის წყალსაც უწოდებენ. "ეს წყალი გამომდინარეობს ჩახრახის მთიდან, შემდეგ ჩამოივლის სოფელ ხეთსა და ურავლის მიდამოებს, მას უერთდება სხვა შენაკადებიც. აადგილობრივი მოხუცების გადმოცემით, ამ წყალს ჩახრახის წყალს უწოდებენ (ხოსიტაშვილი, 1971:62). ხოლო მარცხენა შენაკადი იწყება ნასოფლარ ტბეთის სიახლოვეს ჭარხალეთის მთასთან, ადგილიდან, რომელსაც სამეფო პქვია. ურავლის წყლიდან, ნასოფლარ ოხერიდან ნახევარ კილომეტრზე (ინფორმატორთა მტკიცებით ოხერას ხერო ერქვა) შემოუყვება საზღვარი ჭალხევს და სულთმეწიის გზას, რომელიც იწყება ჭალხევის ურავლის წყლის შესართავეთან, ამოივლის კლდეებს, „ყიშლიკლდეებს“, მოდის ჩრდილოეთისაკენ, ამოაყვება დამპალიებს (დამპალო წყარო), გზისპირებს (შერქმეულია სულთმეწიის გზის გამო), გაუელის ბურმა დელეს, მიდის ჭედლის წყარომდე, გადის სამხედრო სადგომებამდე, გორამდე, რომელსაც შალუტა//შალუტაი პქვია („შალუტა გორა, შალუტა ფერდი“), გარშემო ყანები შალუტები//შალუტიები (გორაზე სამხედრო სათვალთვალო კოშკი იდგა) და ჩადის ლაშიხევის წყლამდე. ლაშიხევს საზღვარი შეუყვება ჩრდილოეთიდან კარჭალამდე (კატწალი ადგილობრივთა განმარტებით არის „ფხაწი კლდეები, წიწკი ტყე, ფხაკუნა ქვიანი ადგილები“), ზოგიერთ ადგილზე გადადის დელის მეორე, მარცხენა ნაპირზეც, მაგ. ყორნალში, აბის საზღვრამდე.

კარჭალთან მთავერდება დასავლეთის საზღვარი და იწყება სამხრეთის საზღვარი, რომელიც მიუყვება ბორჯშივაკეს, საქორია სერს, მანკარიებს. მანკარიებიდან გადააყვება ქედ-ქედ, რომელსაც საფარის სერი პქვია, ჩაუყვება გოგოლაურის დელეს, რომელიც ერთვის ურავლის წყალს არჩილას ხილთან (დელეს ნახიდარია).

ზემოთ მითითებული ლაშიხევი, რომელიც საკმაოდ დიდ მანძილზე წარმოადგენს ღრელის საზღვარს, სათავეს იღებს ორი შენაკადით. მარჯვენა შენაკადი იწყება ანდის, ხოლო მარცხენა აბის მთიდან. ერთდებიან ანდასთან, გამოივლის ნასოფლარ არჯულს, ჩამოივლის კარჭალს, ჩაკიდულას, ამაღლების ეკლესიას(ნაეკლესი-

არი), აბანოებს, ნაწისქვილა ხეებს და ჩადის ახალციხეში, სადაც მას ღრელის წყალს უწოდებენ და ერთვის ფოცხოვს მარჯვენა ნაპირიდან ქალაქის ქვეშ.

ლაშიხევს უწოდებენ ლაშიდელესაც. ასევე ჰქვია მას აბანოს ხევი და წისქვილის დელე, შესაბამისი ადგილების მიხედვით, ასევე უწოდებენ აბანოს წყალსაც.

არის ვერსია, რომ ლაშიხევი აბანოს ხევის სახელად იქცა მოგვიანებით. ლაშიხევი ზოგი ინფორმატორის მტკიცებით ერქვა ნატბურას დელეს, რომელიც სათავეს იღებს ფიჭვნარიდან, კერძოდ, ფიჭვნარის თავზე. ფიჭვნარის წყაროდან. ფიჭვნარა მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით დღევანდელი სასაფლაოს თავზე. მართალია ფიჭვნარში დღეს ფიჭვი აღარ არის, გადმოცემით სომხური მოსახლეობის ჩამოსახლების შემდეგ გაიჩეხა აქ ტყე და გაშენდა მოსულთა სახლები ახალციხეში. ფიჭვნარადან ნატბურა ჩამოუვლიდა სოფ. ლაშიხევს მარჯვნიდან ნასაყდრეთან. იქვეა ადგილი, რომელსაც ანღალადოები ჰქვია. ახალციხიდან სოფლის შესასვლელში პატარა გორაკია, რომლის დასავლეთით ნატბურას დელესა და ლაშიხევის შესართავში დღესაცაა ყორეები, რომელსაც ჰქვია ნასაყდრევი. ადრე შეიდი ძმის ეკლესია ერქვა. ერთ ბრძოლაში დაღუპულა შეიდი ძმა და მათ სახელზე აუგიათ ეს ეკლესია. ს. ხოსიტაშვილი წერს: “ახლად დასახლებული სოფ. ლაშიხევის (ნაკადული მლაშის) არის მეორე ძველი ეკლესია შეიდ ძმათა სასაფლაოთი. ეს შეიდი ძმა, ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით თათრებთან ბრძოლაში დახოცილა და აქვე დაუსაფლავებიათ. აქვე არის ძველი ნასოფლარი, ძველი მარანი და თონე (ხოსიტაშვილი, 1972:63)” ღრელის (ლაშიხევის) ნასაყდრევი სასწაულთმოქმედია, ხალხს მისი სწამს. 1930-იან წლებში ჩაწერილი მასალა წინა საუკუნის ამბებს გადმოგვცემს: “მარიუბათ სწორეს გადმოცემით ერთი ქართველი შეეკითხა, აბა, ერთი სასწაულის ძალებზე მელაპარაკეო. სწორემ სთქვა: მამაჩემი ახალციხიდან მიმავლებულა, ნასაღდრეთან გამოჩენილა დელიბაშები ცხენებით. მამაჩემს პირჯვარი გადაუწერია, ღმერთო, თუ ძალა გაქვს ეხლა გადამარჩინეო. რომ მოგვიახლოვდა დელიბაში, უნდა ეძრო ხმალიო და ნახევრამდე მეტი ვერ ამოაძროეო. მითხრა: თქვენ რა ქენით, რო ჩემი ხმალი არ ამოდისო? მამაჩემმა უოხრა: ამ ეკლესიას შევებეწე და იმან მომარჩინა. ამ დროს მხარზე ხელი დამკრა, ყოჩაღ, თავისუფალი ხარო (სუდაძე, 1937:5)”. რაც შეეხება ანღალადოებს, რადგან თავის დროზე ყანები ყოფილა, მიუთითებენ, რომ შეიძლება იყოს აღალადოები. ანუ აღალადოს ყანები. ასეთ შემთხვევაში ასახსნე-

ლი იქნება ნ-ს გაჩენა. ლაში თუ ლაშე ხევი თუ ღელე პქეია იმი-
ტომ, რომ ამ ხევის სათავეში, შემდეგ გარშემო ჩამდინარეებიც
მხოლოდ მლაშე, „ღამპალი“, „მტუტე“, მუავე წყლებია.

ღრელს, უფრო სწორედ, „ღრელის ჳევის“ აღწერს ვახუშტი ბა-
ტონიშვილი: „ამ ჳევის ერთვის ღრელის ჳევი, მისსივე მთის კალ-
თის გამომდინარე (ვახუშტი, 1973:665-666)“. იქვეა „ცუნქა – ღრელის
ჯევი.“ ღრელის ხევის ვახუშტი უწოდებს სოფლიდან ჩამომავალ
ხევის.

ღრელში მიუთითებ ერთ ხევის, რომელიც დღეს აღარ დასტურ-
დება: „ახალციხის წყლის მტკურის შესართავს ზეით მტკურს მო-
ერთვის ცუნქის ჳევი, გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმო-
საველეთ-ჩარდელოს შორის. ამ ჳევის ერთვის ღრელის ჳევი, მისვე
მთის კალთის გამომდინარე. ამ ხეზედ არს საფარის მონასტერი
(ვახუშტი, 1973:663-666)“.

ვახუშტი ბატონიშვილი ურავლის წყალს უწოდებს ცუნქის
ჳევის და საფარის მონასტერს მიუთითებს ღრელის თაეზე, რაც გა-
მორიცხებულია (ბერიძე, 1992:28).

ღრელი ყოველთვის, ვიდრე ლაშიხევის არ გადმოვიდნენ, იყო
იქ, სადაც ზემოთ აღწერეთ, ე.ი. ღრელის ხევი არის დღევანდელი
ნასოფლარის ძირში მთის სამხრეთით დაწყებული ხევი.

დასახუსტებლად აღწერეთ ყველა ხევისა თუ ღელეს, რომე-
ლიც ღრელიდან საფარამდეა.

ღრელის ხევის ორი ძირითადი მონაკვეთია საფრიალო და ჩან-
ჩხარიები. აქედან საფრიალო კლდეებია, ჩანჩხარიებში საბოსტნე-
ვიც იყო, რომელსაც ქვეშა ბოსტნები და ჳყუმჳულაი („გამოქეა-
ბულში წყალი წვეთ-წვეთად ჩადის, ჳყუმჳულენს და იმიტომ პქეია
ჳყუმჳულაი. გადმოცემით ღრელიდან ჳყუმჳულამდე გვირახი გადიო-
და და გვირახით ამოპქონდათ წყალი“) პქეია, სათავეში ძველი
სოფლის წყარო იყო, ქვეშა წყაროს ეძახდნენ. ამ მონაკვეთების
გაელის შემდეგ შეუერთდება ღრელის ხევის მარჯენიდან სანგლია-
ხევი და ერთვის ჳალიხევის, რომელიც ერთვის ბოლოს ურავლის
წყალს.

ჳალიხევი, მოხსენიებულია ნასოფლარადაც: „ღრელსა და სა-
ფარის მონასტერს შორის [არის] ნასოფლარი ჳალისხევი, ძველი
ეკლესიის ნანგრევებით და სასაფლაოთი. აქვე არის ცივი წყარო,
რომლითაც ეს სოფელი სარგებლობდა (ხოხიტაშვილი, 1972:63)“.

სოფელი ღრელი მოქცეულია ორ ხევს შორის, რომელნიც დასაფლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ბოლოს სამხრეთისაკენ მიემართებიან. ერთი მათგანის შესახებ მოგახსენეთ. მეორე არის ახუათების ღელე, რომელიც სათავეს იღებს ძველი ღრელის ჩრდილოეთით ქალაქისერების ძირშივე, ვაკეში ათო პაპას ბაღთან, "ათოს ბაღთან". აქვეა წყარო (გუბე), რომელსაც ახუათების წყარო ჰქვია. აქედან დაწყებული ხევი სოფლის ბოლოს, მის აღმოსავლეთით, გაივლის ყიშლებს (ზამთრის საძოვრებს) და შეუერთდება ღრელის ხევს ტიპტიპა წყაროსთან, ამ შენაკადების გაგრძელებას (სანგლიახევი, ღრელის ხევები და ახუათების ხევი) ეწოდება ჭალის ხევი (ჭალის ხევი ჰქვია მცირე წალის გამო, რომელიც მის შეაწელში მარცხენა ნაპირზე იყო და პორფილეს ჭალა ერქვა. წალაში იდგა რამდენიმე ტირიფი და ჭადრის ხე).

კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, ახუათრბში სათავეს იღებს ახუათების ღელე, რომლის მარცხენა ნაპირი არის სააკაბე, ჩაუდის ჩაგძელიებს (ჩაგძელაი), ტიპტიპას (ჩაგძელიების ღელე/ტიპტიპას ღელე). იკრიბება ორი ღელე და იქმნება ჭალის ხევი.

სანგლია ხევი სათავეს იღებს კეკეწყაროდან და ცივწყაროდან. ეს ხევი ღრელიდან საფარის მიმაჯალ გზაზე პირველია. წყალი, რომელიც მასში მოდის მთელი ზაფხულის განმავლობაში, ქმნის კარგ გარემოს პიენიკისათვის იქ, სადაც წითელი კლდეებია.

ამ ხეველესში არის წვრილ-წვრილი ადგილები, რომელთაც სახელები ძირითადად პატრონების მიხედვით შერქმევიათ და რომელთაც გაქრობა ემუქრებათ., რადგან დღეს აღარ ხდება ამ მამულების დამუშავება და თანდათან ტოპონიმებიც კარგავენ საორენტაციო ფუნქციას: უბნის წყარო//უბნის წყაროები. წყაროსთვალის ღელის მარჯვენა შესართაეი, საქორია ხევიდან იღებს სათავეს. აქ სოფლის უბნობის გამო არ არის სახელი შერქმეული, რადგან სოფლიდან მოცილებულია, ამიტომ ძნელია სახელდების მოტივის განსაზღვრა. შეიძლება ისტორიულად იყოს ცალკე უბანი ადგილის სახელად(შდრ. სათესველების და უბნების სიხშირე „გურჯისტანის ვილეიეთის დიდ დაეთარში“, ასევე მჭედლის უბანი ცალკე სოფლად და სხვ...) სანგლიახევის მარჯვენა ნაპირის ტყეა ძირითადად ამ ადგილზე. იმავე სანგლიახევის მარჯვენა ნაპირზეა ბაირამაჭალა. ალავიძე იყო ბაირამა და მისი სახელის გამო შერქმევი.

სანგლია საინტერესო ფორმაა. აშკარაა, რომ ძირეული სიტყვა მგელია, რომელიც ყოველთვის მ-ს გარეშეა მესხურ დიალექტში, აქ კი მ-ს ნაცვლად ნ გეხედება, რაც ასევე დამახასიათებელია

მესხურისათვის, ოღონდ ნაკელი ფორმა არა გვაქვს. წარმოქმნის დროს კი ნ ჩაენაცვლა მ-ს.

ჩანჩხარაში ნებადებების განაყრებს ქქონიათ აღვილები: ჭრელვი-
ენთი ბაღები, მათეენთი ბაღები. იქვე იყო ორფილანთი ბაღები, ოქ-
როს ბაღი, მათეს ბაღი, ტოფოს ბაღი. წყაროსთვალის დელეში
იყო დარაიორხრინთი ბოსტანი, ხოლო ამავე დელის პირას ჩაუყ-
ებოდა: ფაშას ბაღი, პალეს ბაღი, ორფილს ბაღი, ოლისიმეს ბოს-
ტანი და აფრამიენთ ბაღები. იყო წყაროებიც: პალეს წყალი, ორფი-
ლას წყალი ბიზოწყალი. ბიზო სუდაძე ყოფილა აფრამიენთი. აშკა-
რაა, რომ ეისი მამულიც იყო, სადაც წყალი გადიოდა, აკეთებდა
და უვლიდა წყაროს, სახელიც მისი დარქმეოდა.

სანგლია ხევის სამხრეთით საფარის მხარეს ჭალის ხეეს ერ-
თვის დაბურული დელე, რომელიც საფარის გადასახედიამდე გზის
ქვეშ უბნის წყაროდან იღებს სათავეს. ამ მოკლე ხევის პირდაპირ
ერთვის წალის ხეეს პატარა ხევი, რომელსაც სირონის დელე
ქქვია. წყაროსთვალის დელეა აქვე, რომელიც ჩადის ჩანჩხარიების
დელეში სანგლიხევის შესართავეთან. ეს ხეე-დელეებია საფარასა
და ღრელს შორის. 1. ღრელიდან შესასვლელშივე, საფარის ჩრდი-
ლოეთით არის ციხიყელის დელე, რომელიც მიემართება აღმოსა-
ვლეთისაკენ. 2. საფარის დელე მონასტრის სამხრეთით, რომელიც
სათავეს იღებს მანკარიებიდან. ასე ქქვია ყანებს, სადაც არის მან-
კარიწყარო ანდრიაწმინდისა და ღრელის საზღვარზე, შემოვა სა-
ფარის ციხის გაღაგანში, უერთდება კურდღლის წყაროს, შემდეგ
საფარის წყაროს (მონასტრის სასმელი წყალი), ჩაივლის ციხიყე-
ლის დელეს მარჯვნიდან, გააგრძელებს გზას და შეერთვის ურაე-
ლის წყალს მარცხენა ნაპირიდან.

ღრელში სინონიმებად იხმარება ხევი და დელე. ამის საილუს-
ტრაციოდ მოვიყვან ღრელელთა რამდენიმე განმარტებას: „დიდი
ხრამი ხევია; „დელე უფრო დიდია, ვიდრე ხევი“; „ხევი ჩახრამული
ადგილია“; დელე წყლიანს ნიშნავს, ხევი კი უწყლოს ან ჩახევრად
წყლიანს“. „ხეეს აქვს დელეები, დელეს ხეეები“.

ხეობების, ხეე-დელეების მიხედვით ტერიტორიათა აღწერა ვა-
ხუშტი ბატონიშვილმა დააკანონა ქართულ სინამდვილეში. მიუხე-
დავად იმისა, რომ დღეს მრავალი სხვა ხერხი არსებობს ტოპონიმ-
თა ჩაწერისა, ღრელის სინამდვილეში უპირატესობა მივიანიჭე ვა-
ხუშტი ბატონიშვილის მეთოდს.

ღრელის ტერიტორიაზე ბევრი ხეე-დელეა. მათი საშუალებით
შეიძლება სწორი ორიენტაციის აღება და დანარჩენი საკუთარი სა-
ხელების აღწერა. ამასთანავე ხევთა სახელები დაკავშირებულია

ყანების, მათათა, ტყის და სხვა სახელებთან, ამიტომ ეეცდები ზოგიერთი სახელის განმარტებასაც.

ზარაბები. ყანები სოფლის აღმოსავლეთით შალუტასა და სასაფლაოს შორის, ნატბეურას თავზე.

ზარაბი, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენი ზარაბებია, ნასოფლარადაც არის მოხსენიებული, თუმცა დღეს კვალის დადგენა ჭირს: „ღრელის ბაღების--ლაშიხევის სამხრეთ -აღმოსავლეთით მდებარეობს ნასოფლარი ზარაბი, ძველი ნანგრევი ეკლესიით (ხოსიტაშვილი, 1972:63)“. 1988 წელს ჩამიწერია: ზარაბი -ყანები, ითყესება სიმინდი. შუა ადგილზე ყორღანის ტიპის ქვაყრილია, რომელსაც წმინდა ადგილად თვლიან“.

ბუნელები. დღეს ყანებია, მაგრამ აქვე მიუთითებენ ნასოფლარსაც, რადგან ხენის თუ სხვადასხვა დანიშნულებით გათხრის დროს ამოდის ძელები, არის, როგორც ჩანს, საფლაოები, აქვე ამოულიათ ჯვრიანი ქვა. ბუნელებში არის ბუნელის გვერდი და ბუნელის წყარო. სოფლის აღმოსავლეთით, ახლოს.

აქვეა ადგილი, რომელსაც ღარაბები ჰქვია. ეს სახელი შედარებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისაგან ჩაეიწერე და შეიძლება გარკვეულ გადააზრებასთან გუქონდეს საქმე. ღარაბებს განმარტავენ, როგორც ყორის გარეშე ტერასებს, ყანებში რომ გამოყოფილია ზღვეს საშუალებით. ასევეა თაფიყანები. ხალციხის საავადმყოფოს ზემოდან „ზღვარი და ზღვარი ყანაა“. თაფა თურქული სიტყვაა, რომლის მნიშვნელობაც ღრელში არ იციან და გორაკს, თავს ჰქვია.

როგორც ადგილობრივნი მიუთითებენ, ქალაქიდან მოცილებით, მინდორში ყოფილა სამჭედლო, რაც ნაკლებ დასაჯერებელია და ამ სამჭედლოსა და მისი მჭედლის მიხედვით შერქმევია წყაროს ჭედლისწყარო, სახელს უკავშირებენ ჭედილასაც, რომ წყაროზე ჭედილა დაუკლავთ. მართლაც 1988 წელს ჩამიწერია: „ჭედილწყაროს ღელე -ქონდარიების პარალელური ღელე, სათავეს აღებს ქონდარას ყანებიდან“. ხოლო თაფიყანები მითითებულია „ჭედილწყაროების სათავესთან“. ჭედილწყაროს ღელის სათავეში არის ცალკე ჭედილწყარო, ხოლო ჭედილწყაროს ღელის ნაპირებზე იყო ყანები: ალექსოს ყანა, სანდროს ყანა, ქუნცულიენთი ყანა. ჭედილწყაროების გორა დასცქერის ახალციხეს.

სოფლის აღმოსავლეთით, საიდანაც სათავეს იღებს ჭედილწყაროს ღელე, ჩაივლის დღევანდელ უნივერსიტეტსა და სკოლაინტერნატს შორის და შეუერთდება ფოცხოვს მარჯვნიდან. აქვეა შალუტა/შალუტიები, ნატბეურადელის მარჯვენა ნაპირის ყანები. ჭე

დიღწყარეებამდე შალუტიებში მე-20 საუკუნის ბოლოს აშენდა ახალი ფერმა და მწყემსების სახლები. სახელი უნდა მოდიოდეს შალუტაშვილიდან, ისევე, როგორც ჩოლაღები ჩოლაყაშვილიდან-ჭედლიწყაროსა და ბურმაღელეს შორის ყანებს სვილიაყანები ჰქვია. ჭაჭარაქსა და ღრელს შორის ბურმაღელის თავეში გადის გზა ჭედლიწყაროსაკენ. ეს არის სულთმეწია (იხილეთ მ. ბერიძე-2006:152) და მის გარშემო ყანებს გზიპირები ჰქვია. ბუნელებისა და თაფიყანების თავზე ორ ადგილას ერქვა სერიყანები. დუბიყანები, რომელიც სულთმეწიის ნაპირას გაუყვებოდა, ჩაეარდნილი, დუბე ადგილია. მიუხედავად იმისა, რომ სულთმეწია საქმაოდ გრძელ მანძილზე გაუყვება გზას, სოფლის აღმოსავლეთით დუბიყანების გაგრძელებას სულთმეწიყანები ჰქვია.

სულთმეწია/სულთმეწიები ერთნაირად იხმარება. „ძველი საფარის გზა აგრე ყოფილა. ამ გზიდან დადიოდნენ ბერები. ასე იყო ღრელის გზაც. იტყოდნენ: „მუშაობს სულთმეწიებში. სულთმეწიაში ითესებოდა ხორბალი, ქერი, კარტოფილი.“ დუბიყანებში ცალ-ცალკე ყანებს სახელები ერქვა: ისიდორას ყანა, კოროს ყანა. „კორო ერთ თათარს ერქვა, ბიჭა-ბინალას ეძახდნენ.“ იქვე იყო ბადალიყანები (ნებაძეები). აფრამიყანები (სულაძეები). ქურცულიყანები (ნებაძეები). გზიპირებიც ყანები იყო, რომელიც გასდევს ჭაჭარაქში მიმავალ გზას, რომელსაც ჭაჭარაქის გზა ჰქვია.

აქვეა ხევი, რომელსაც რამდენიმე პარალელური ფორმა აქვს სახელად. ბურმა ღელე//ქორდარა//ქონდარა//ქონდარიები სათავეს იღებს გზიპირების ყანებიდან, ჩაივლის ქორდარიებიყანებს და ებტევისის გზასთან ჩადის სოფხოზის ყანებთან. აქვეა ქონდარას გორა, სერი ჭაჭარაქის საზღვარზე.

ობოლ კლდესთან იყო ყანა, რომელსაც ობოლკლდიყანა ერქვა. ობოლი კლდე მარტომდგომი კლდეა. სირონებითავე ყანებს ჰქვია, რომელიც სირონიღელის თავეში მდებარეობს (სირონი|სინორი თურქული თუ ბერძნული სიტყვაა და საზღვარს ნიშნავს). ამ ადგილზე რაიმე მიჯნა, საზღვარი „გამორჩეულად რომელიმე ობიექტებს შორის“ არ შეიმჩნევა. როგორც ჩანს, შიდა სამეზობლო საზღვარი უნდა ყოფილიყო.

ღღეისათვის ღრელის მიდამოებში კაკაბი საერთოდ აღარ იცის. საკაკაბი|საკაკაბიები, რომელიც სულთმეწიიდან ძვ. ღრელს შორის, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და ქვიანი ადგილია, მიგვითითებს კაკაბის არსებობაზე წარსულში. საკაკაბის გაგრძელება ძვ. ღრელისაკენ, უფრო სწორედ, ქალაქის სერისაკენ იყო საკა-

ქიასაკაუები, საიდანაც იკრიფებოდა კაუი. დღეს, ბუნებრივია, კაცს აღარავენ ხმარობს და არც აღარავენ იცის მისი არსებობა.

საკაუის გაგრძელება დასავლეთით ქალაქისერის ძირში, რომელიც ემიჯნება ფიჭვნარის ყანებს, იყო ჩოლაღამ/ჩოლაყამ/ჩოლაღები. ეს ყანები ჩოლოყაშვილების კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ფიჭვნარში კოროს ყანები შერქმეულია ადამიანის სახელის კოროს მიხედვით. შეიძლება ასევე კაცის სახელით აიხსნას ასპინძის რაიონის კოროსანაი, საინტერესო ან-ა სუფიქსი, ამ პოზიციაში და კორის ხევი ასევე ასპინძის რაიონში. ფიჭვნარაში იყო კაცის სახელის მიხედვით შერქმეული კიდევ ორი სახელი. ლუას ბოსტანი და ტოტოს ყანა. ორივე მეტსახელის მიხედვითაა შერქმეული, ოღონდ პირველ შემთხვევაში იგივე ფუძეა გამოყენებული, კერძოდ – ლუ-არსაბი, მისი შემოკლებული ვარიანტია, ხოლო მეორე სულ სხვა სახელია (ნამდვილი სახელი ერქვა ყანის პატრონს გერმანე და მისი სიმამლის გამო ეძახდნენ ტოტოს („ზღაროვი კაცი იყო, ერთი ურემი გამოვიდოდა მისი ძეალებული“). ახლა ღრელის სამხრეთით არის პალიაშვილები, რომელიც ადრე იყო ყანა, დღეს კი მხოლოდ საძოვრებია. ამ გეარს დღეს ევლარ შეხედებით მესხეთში. ასევე საძოვარია დღეს პალიაშვილების გაგრძელება დასავლეთით. ქალაქის სერისაკენ – ბარაკეულა/ბარაკეულები. ბარაკეულაში გამოიყოფა ორი ადგილი: ბარაკეულას ყანა და ბარაკეულას ფერდა/გვერდა. მართალია ადგილობრივნი „ბარაკებს“ უკავშირებენ, მაგრამ „ბარაკის“ მაგვარი აქ არაფერია და არც უნდა ყოფილიყო. სახელი ასე უნდა დაიშალოს: ბარ-აკე-ულ-ა. სადაც ბარაკა ადამიანის სახელია, ვისიც უნდა ყოფილიყო თავის დროზე ეს ადგილი. –ულ-იანი წარმოება მესხეთის ტოპონიმისას ახასიათებს. რაც შეეხება ქალაქისერს, იგი იწყება საკაუებიდან და გადადის ბარაკეულამდე და უჩხაებამდე. ამ სერიდან კარგად ჩანს ახალციხე, ქალაქის გზაც (ღრელიდან) აქ გადის. ხოლო ჩოლაღების გაგრძელებაა ფიჭვნარი, რომელსაც აქვს მეტათეზისით მიღებული ვარიანტი ფიჭვრანა. ფიჭვნარაში დღეს ფიჭვი აღარ დგას, მხოლოდ ძეწნებია. იქვეა ფიჭვრანაწყარო/ფიჭვრანას წყარო და ფიჭვრანას ყანები.

ვანიები დღეს უბანია ღრელისა (ლაშხევი), სამხრეთ-დასავლეთით. აქ გამოდიოდა მლაშე სამკურნალო წყალი და ტალახის „ვანებს“ ღებულობდნენ. ამიტომ შეერქვა ადგილს სახელი. ეფექტობ ეს ახსნა მისაღებია. ყონეტიკურად შეიძლება ახსნა ვანა-ები, ვანი-ები. ასეთი ფორმები ბევრია ღრელის ტოპონიმიაში. დღეს წყალი აღარ გამოდის ამ უბანში, მაგრამ ინფორმატორები მომსწრენი არიან სამკურნალო წყლისა (ვანიებში სამი ფენა სამკურნალო ტა-

ლახია, რომელსაც ისევამდნენ ავადმყოფები, ამის დასადასტურებლადაც ერთ ღიმილის მომგერელ ამბავს ჰყვებიან: „მწყემსები – მათეი, პეტეი და ლუკაი (ნებაძე, იაძე, ალაიძე) აძოვებდნენ ცხვარს ვანიებში, სადაც ბანაობდნენ ქალაქელი ქალები. ლუკამ უთხრა პეტეს: თუ რომელიმე ქალს დაიჭერ (ე.ი. „დაითრე“), ყოჩს გაიუქებო. პეტესაც მეტი რა უნდოდა, ჩავიდა, ჩააელო ერთ ქალს თიებში, რომელიც მოეწონა. დიესივნენ სხვა ქალები, დაუშინეს პირსახოცები, მაგრამ პეტეს ვერ გააგდებინეს ხელიდან. დაჭერილ ქალსაც ეტყობოდა, უარის თქმა არ უნდოდა და დააცა-ე ძიასკესოს - უსხრა ქალებს. პეტემ ყოჩი მოიგო.). ვანიებში იყო ვანიების გვერდი/ვანიგვერდი.

ახალციხეში ბევრი ებრაელი ცხოვრობდა, რომელთაგან ცოტანილა დარჩნენ. ტოპონიმამ შემოგვინახა დღეს უკვე ყანების სახელად ქცეული ურიის საფლავი, რომელიც უპატრონო ებრაელის საფლავე იყო. დღეს ახალი ღრელის სასაფლაო მიუახლოვდა მას.

უჩხავები/უჩხავების დელე/უჩხავის დელე საძოვრისა და დელის სახელია, რომელიც სათავეს იღებს ქალაქის სერის ძირში დასაველეთით, სამარილიებიდან, ადგილიდან, რომელსაც უჩხავეთავეი ქქეია და უერთდება ლაშიხევეს მარჯვნიდან. შუაწელზე არის ცივი, კარგი უჩხავეის წყარო. სახელის წარმომავლობის შესახებ ვერაფერს გვეუბნებიან ადგილობრივნი, ოღონდ მიუთითებენ, რომ ღრელში ბევრია „ჩხართი,“ რომელსაც შაშვისაგან განსხვავებით ოდნავ მოწითალო ფერი გადაჰკრავს, შაშვი, ჩხიკვი. უჩხავეას ნასოფლარადაც მიუთითებს ს.ხოსიტაშვილი

ჭოროხევი/ჭოროხევი/ყინულიანი დელე სათავეს იღებს ტყეში დიდუბიდან, უერთდება ლაშხევეს მარცხნიდან. ამ დელის წყალი გამორჩეულად ღურჯია, ეტყობა მიწაში გადის რომელიღაც ფენას. რომელიც ფერს აძლევს.

მესხეთში -ებ და -ევ სუფიქსები ხშირად ენაცვლება ერთმანეთს, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჭოროხევიში ხევი არ ვიგულისხმოთ და გამოიყოს ფუძედ ჭოროხი, რასაც სახელის პარალელური ფორმაც ადასტურებს. ჭორო მეტსახელად გვხვდება ღრელში ძალიან მაღალის მნიშვნელობით.

ძველი ღრელის დასაველეთით და უჩხავების სამხრეთით არის კლდეკარაი/კლდეკარიები, რომელსაც ქარხანასაც ეძახიან. აქედან გამოზიდული ქვით აშენდა ძველი ღრელი. ქვა რბილია და სამშენებლოდ გამოსადეგია. აქვეა კლდეკარას ყანები, კლდეკარას დელე, რომელიც სათავეს იღებს კლდეკარიებიდან/ქარხნიდან (კლდეკარას ყანებიდან უჩხავეის დელისაკენ გასასვლელი სამარილიებთან

არის კლდის კარები, ვიწრო კლდეა გაკვეთილი, კლდეკარიებს უფრო ყანებს უწოდებენ. კლდეკარას – გზას), ერთვის ღოდების დელეს ოთეს ბაღჩასთან და ორივე ერთვის ღაშიხეეს მარჯვნიდან. ძეღრელის დასაველეოთ ღოდებიდან სათავეს იღებს ღოდების დელე, ჩაივლის ჭახებოსტანს (ჭახე – ქალის მეტსახელია „ქუნცულიენტ ქალი იყო.“), ტრინკოს ბოსტანს, ნიკალას ბოსტანს და ერთვის ოთეს ბაღჩასთან კლდეკარის დელეს (ოთეს ნამდვილი სახელი იყო ოთანე, შდრ. გვარი ოთანაძე). ოთეს ბაღჩას სიღნარის გამო სილაბაღჩასაც უწოდებენ.

სოფელ ღრელში (ღაშიხეეში) ღაშიხევის წყალზე თავისებური მეურნეობა ჩამოყალიბდა. უპირველესად აქ იყო წისქვილები. ქუნცულიენტო წისქვილები (ნებაძეებისა) და აფრამიენტ წისქვილი (სუდაძეები). ქუნცულიენტო რამდენიმე იყო და მის გარშემო შემდგომი ბაღები იყო: ქუნცულიენტ ბაღები, იობას ბაღი, ილიკოს ბაღი, ბერძას ბაღი, არჩილას ბაღი. ეს ბაღები ღაშიხევის ორივე მხარეს იყო გაშენებული და ნებაძეებს ეკუთვნოდა, ხოლო აფრამიენტ წისქვილის გარშემო გაშენებული იყო სუდაძეების ბაღები: აფრამიანთ ბაღები, ლევანის ბაღები, ევგენის ბაღი, ბასილას ბაღი, არხიოზას ბაღი, ონისიმეს ბაღი, აგრეთვე: ირაკლის ბაღი, ბაირამას ბაღი, ყარყარას ბაღი (მურვანიძე), ნიკალას ბაღი, ათოს ბაღი, არჩილას ბოსტანი. ღაშიხევის დასაველეოთ ღაშიხევის წყალზე იყო ორი მორევი: ჭოლომორევი და ფაშამორევი. ფაშა და ჭოლო კაცის სახელებია.

მართალია, დღევანდელი ღრელი (ღაშიხევი) ფლობს ვრცელ ტერიტორიებს, მაგრამ ტოპონიმთა სიმრავლით მაინც ძეღრელი გამოირჩევა.

ნაცარგორებთან და ნაცრიან ადგილებთან ბევრი საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენაა დაკავშირებული, მაგრამ მხოლოდ ნაცრის გამო არ შეერქმევა ხოლმე ადგილს სახელი. ნაცრიყანები ძეღრელის დასაველეოთ მდებარეობს. სუსტი ყანები იყო, მტვერი ასდიოდა, მოსაგალი არ მოდიოდა და ამიტომაც შეერქვა ეს სახელი. აქედან იწყებს სათავეს ნაცრიყანების დელე. ჩაივლის ისიდორას ბაღს, ქოროსმანას (ზაზაძე) ბაღს, კრეჭოს ბაღს და ერთვის ღაშიხეეს მარჯვნიდან. აბანოების წყალი სათავეს იღებს ნაცრიყანების სიახლოვეს. ის არის სოფლის სასმელი წყალი და ვალოდია ალაივის (პაქო) თავმჯდომარეობის დროს გაიყვანეს.

უკანწყარო. გამოდის ძე. ღრელის სამხრეთ-დასაველეოთ. „სოფლის უკან“ გამოდის და იმიტომ ჰქვია სახელი. აქედან იღებს სათა-

ეეს შილიმკატრების ღელე, ჩაიელის ღაერენტის ჭალას, პაქოს ყანას, ჩადის ყარყარას ბაღში და უერთდება ღაშიხეეს მარჯენიდან.

ორი კლდითავები იყო. ძეველი ღრელის დასაველეთით: აბანოს კლდითავები და კლდითავები. ამაღლების ღელე სათავეს ამაღლებიდან იღებს. ჩაიელის ქოროსმანას ყანას, ჩაკიდულას. პირდაპირ უერთდება ღაშიხეეს, ანუ ნაწისქვიღარის ღელეს.

ამაღლება - მღებარეობს ძე. ღრელის სამხრეთით, ღრელ-ანდის საურმე გზაზე, საქორია სერის კალთაზე. იქვეა ძერიქვა, წოწოლა ქვა. ამაღლებას ამ მთაზე დადიოდნენ. ღრელის გარდა, ანდრიაწმინდის, ანდის, არჯულის, კისათიბის, ღრომის, ოღუნდის, ტრიბონის, ხრიანის, კანტიეთის მოსახლენი. ამათგან ყველა არ იყო ქრისტიანი. ამაღლებას ღღესასწაულობდნენ მამაღლიანებიც, რადგან ჭონაზე, ღღესასწაულამდელ ჩამოველაზე, არა მარტო ქართველები და არა მარტო ქრისტიანულ სოფლებში დადიოდნენ. როგორც ინჟორმატორები ირწმუნებიან, მამაღლიანები მხოლოდ ქეიფსა და ღროსტარებისათვის მოდიოდნენ, ბუნებრივია, რომ ისინი არ ღოცულობდნენ. თუმცა, გარდა ღროსტარებისა, ისინი ძეველ ტრადიციებსაც აგრძელებდნენ.

კარჭალი ღელე სათავეს იღებს ინდუშაქვის ველიდან (ძე. ღრელის დასაველეთით), იმავე ბორჯომის ვაკიდან, გაიელის ტყეს, ყიშლას და ერთის ღაშიხეეს მარჯენიდან არჯულის პირდაპირ. კარჭალს ღრელში უწოდებენ „ღელეს, ტყეს, ყიშლას, რომელიც წერილქვიანია, კრიჭიანი ადგილია (სიტყვიდან „კრიჭა“, „იკრიჭება“). კარჭალი შეიძლება დაეუკავშიოთ კაჭარს, რომელსაც სულხან-საბა განმარტავს: „უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვა.“ კარჭალში ჯერ რ არის განვითარებული და შემდეგ დისიმილაცია მომხდარი.

ძეველი და ახალი ღრელის გამყოფია ქალაქისერი. სახელი ახალციხის გამო შეერქვა. ღელიდან გაღმოსახელია ქალაქისაკენ. ქალაქიდან ღრელისაკენ მარჯვენა მხარეს, ახალშენ ტყემდე ადგილს ქვეია ურუმის კლდე. ბერძენი მომკედარა ამ ადგილზე, სადაც ადრე პატარა გამოქვაბული იყო, იქ გზის გაყვანისას გამოქვაბული მოიშალა, მაგრამ ადგილს შერჩა სახელი.

ახუათების ღელის სათავეს ძე. ღრელში ახუათები ქვეია. სახელი ახუანთებიდან უნდა მოდიოდეს. ფუძედ გვარი ახუაშვილი იქნებოდა. ამ გვარს ღღეს მესხეთში აღარ ეხედებით. ახუათების ღელის მარჯვენა ნაპირზე იყო ტატოკორდები.

ნაფუზარი ერქვა ძე. სოფლის წყაროს ძირის სახნავ ადგილს. ეს სიტყვა მესხეთში თავისი ტრადიციული მნიშვნელობით „ნაფუ-

ძარი, „ნასახლარი“ (სულხან-საბა ორბელიანი) არ იხმარება. ასევე სულხან-საბას განმარტების მეორე მნიშვნელობით გვხვდება მესხეთში — „ახალნი სახნაენი.“ თუმცა ნაყუძარში ზღერების გადასწორებისას ამოვიდა საფლავეის ქეები. გადმოცემით ეს ყოფილა საფლავეი, მდიდართა სამარხი. ნაფუზრის აღმოსავლეთით არის ყანები, რომელსაც მახარაული ქქეია. ხალხური ეტიმოლოგიით „სამახარობლო, სოყელში შემოსასვლელი ადგილია, მზე იქიდან ამოდის, პაერი იქიდან მოდის და სახელიც იმიტომ ქქეია.“ მახარაულში გამოიყოფა — ულ სუფიქსი, რომლითაც დღეს აღარ იწარმოება მესხეთის ტოპონიმები, მაგრამ ისტორიულად პროდუქტიული იყო (მბერიძე, 1972:50). დღეს არც სახელი მახარა არის პოპულარული ღრელში, მაგრამ სწორედ მახარა ღვინიას ძეს უცხოვრია ამ სოფელში მე-16 საუკუნის ბოლოს (ჯიქია, 1941:161) და სწორედ მის სახელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ამ ყანის სახელი. მესხეთში, მამადიანებში გვხვდება გვარი მახარაშიელიც.

ყიშლის ღელესა და ნაფუზარს შორის ყანას ქქეია ჩაგძელა, წაგრძელებულობის გამო შერქმევეია სახელი. ჩაგრძელას შემდეგ გაგრძელება არის ნიკალას ყანა. ზედსიძე ყოფილა ნიკალა.

ყიშლა ოსერასა და ღრელს შორის დიდღელის პირია. იქვეა ყიშლის თავებიყიშლითავები (სათესი), რომელიც არის სულთმეწიის გაგრძელება ღრელის მიმართულებით, იქვეა ჩოლაღები, გზის პირის ყანები ღრელისაკენ და ნაფეტვრები, ასევე ყიშლის თავების გაგრძელება ღრელის მიმართულებით. ამავე ყიშლის გაყოლებაზეა საკაკბიები.

სოფელი ღრელი, როგორც უკვე აღინიშნა, კლდიან ფერდობიან ადგილზე იყო გაშენებული. სოყელს მუდამ მზე ადგა, რადგან სამხრეთის მხარეს წარმოადგენდა. სოფლის მოპირდაპირე მთას გაღმეები ერქვა. ადრე გაღმეებში (გაღმეებზე გაღმეები) სახნაუ-სათესი იყო, შემდეგ ტყე გაშენდა.

ძე. ღრელის სასმელი წყალი სათავეს იღებს ადგილიდან, რომელსაც საგუბარი ქქეია, ამიტომ მას საგუბარას წყალს უწოდებენ.

ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს სუდაძე სანდროს ინიციატივით გამოიყვანეს წყალი ჯერ ხის მიღებით, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შეიკვალა თიხის მიღებით, ხოლო 1956 წელს ნ. ალაიძის თავმჯდომარეობის დროს ჩაყარეს თუჯის მიღები.

აძაღლების თავზე არის საქორთა სერო, რომელიც აშკარად ქორთან არის დაკავშირებული, ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ სა-ია ტიპის წარმოება, როდესაც ცხოველის ან ფრინველის სახელი ფუძედ გამოიყენება, მესხეთში დღეს აღარ გვხვდება. ამ ფუნ-

ქციებს ასრულებს სა-უ აფიქსები, რომელიც მესხური დიალექტისათვის იყო დამახასიათებელი.

ამავე მიდამოებში არის ფრინველის სახელთან დაკავშირებული სხვა ტოპონიმები: ძერიქვა, კლდე პირდაპირების თავზე, სადაც ძერები სხდებოდნენ. ახუათების ღელის მარცხენა ნაპირზეა ძერიბულიები.

არც კლდეები აკლია ღრელს. ახუათების ღელეში იყო შაგკლდე/შაგკლდეები, თბოლი კლდე, შაგკლდეძირი, შაგკლდითავი და ურმიკლდე – ქალაქის სერიდან ამოსასვლელი.

სანგლიახევი, რომელიც გვხვდება სანგლახევი, სანგლიხევი ვარიანტებით, ზემოთ უკვე აღვწერთ, მის სათავეში რამდენიმე წყაროა, რომელთაც ციფწყაროები ჰქვია, საიდანაც იწყება ჯაფოყანები და გრძელდება საფარის გადასახედამდე. ჯაფო კაცის სახელია, შეიძლება ჯაფარას შემოკლებული ვარიანტიც.

საფარის გადასახელიდან კლდიან ადგილებს კოპინეები ჰქვია. კოპინას ღრელები ასე განმარტავენ: „კლდეზე ჰიპი რომ ამოვარდება, პატარა ჯამივით ადგილი რჩება, სადაც წყალი დგება, ახალ ნაწვიმს ესვამდით, ისე ყვაუვისა იყო.“

გაღმების გაგრძელება საფარისაკენ არის ლარები, სადაც დღეს ტყეა. ლარებს მესხეთში წყვილ პარალელურ ყანას უწოდებენ. სანგლიხევეში, საფარის მხარეს არის ორი პატარა ჭალა – ლუას ჭალა და ბაირამას ჭალა. ამ სახელის ყანებიც გვხვდება და ბაღებიც, ერთი და იმავე პიროვნებანი არიან. სანგლიხევის შერდგე გასდევს წითელკლდეები საფარის გადასახედამდე, ხოლო საფარის გზის მარჯვენა მხარეს ტყეში არის რამდენიმე ყანა, რომლებიც ბადალიენტ (ნებაძეები) ეკუთვნოდან და თხილიყანებს ეძახდნენ.

საფარიგაკე ჰქვია თხილიყანების მოპირდაპირე მხარეს, გზას და მის მარცხენა ნაპირს. დღეს აქ ფიტვის ტყეა, რომელიც გაშენდა 1956 წელს, მანამდე აქ ყანები ჰქონდათ ღრელებს: ტატოს, ირფოს, მათეს, კოლას (ნებაძეები).

საფარიგაკის ქვემოთ, ჩრდილოეთით არის ზბნის წყარო, ხოლო მის აღმოსავლეთით, ვიდრე საფარას გადავხედავთ, ამოდიოდა ლაშქარადან გზა, გზაჯვარედინი იქმნება და ამ ადგილს საჯვარე ჰქვია. საჯვარიდან 200-ოდე მეტრია ამ ადგილამდე, საიდანაც პირველად გამოჩნდება საფარა. საჯვარე ჰქვია გზას, ლაშქარას შესაყართან (მინაძიდან ამოდის). საჯვარეს საფარის გზა პყოფს ორ ნაწილად, ზემო და ქვემო ნაწილად. გზიდან მის ქვედა მხარეს დგას მუხა, მიმდებარე ტერიტორია არის ტაფობი, ბორცვზე, რომელზეც მუხა დგას, ნასახლარი ეტყობა. საჯვარის ცენტრად აღიქმება ბორ-

ცვი მუხით. საჯვარის შესახებ არსებობს გადმოცემა: „პაპაჩუმი იტყოდა: სუდაძეებს უცხოვრიათ ჭობის ხეში, შეიდი ძმანი ყოფილან, ყველა ცოლშეილიანი, უნცროს ძმას ქორწილი რომ ჰქონია, ბატონს მოუთხოვია პატარძალი. ძმებს ეს შეურაცხყოფა ვერ აუტანიათ და ბატონი მოუკლაუთ. იქიდან ეს შეიდიეუ ძმა გამოქცეულან ქორწილითეუ, სადაც მთელი მაყრები და ღვედელიც იქნება. რამე წამოსულებს გაუთენებიათ ღრელის ადგილებში, საფარის გადასაველ გზასთან. გათენებისას მექორწილენი იქ პურს ჭამენ. ღვედელი აეთ გახდება და ეტყვის მექორწილებს: შეილო, ვაითუ მოუკედე და რომ ჯვარდაუწერელი არ დარჩეთ, სჯობია ჯვარი დაგწეროვო და დასწერს ჯვარს. ამიტომაც ამ ადგილებს ახლაც საჯვარეს ეძახიან (ე.სუდაძე, №104:12-13). საფარა-ღრელს შორის იყო ნასოფლარები – დიდი გომარეთი და პატარა გომარეთი. დიდსა და პატარა გომარეთებს აყოფს სანგლიახევისა და ჩანჩხარას ღელის შესართავი. დიდ გომარეთში ადრე იყო ყანები, დღეს ტყეა, რომელიც გაშენდა 1950 წელს. ნებაძეებს, მურვანიძეებსა და იაძეებს ჰქონდათ ყანები. დიდი გომარეთის აღმოსავლეთით არის დაბურული ღელე. გაღმა დასავლეთით არის პატარა გომარეთი, ყიშლის ღელესა და ჩანჩხარა ღელეს შორის, ნაყანევი, გაყამირებული ადგილია, აქვეა ნასოფლარის კვალი. დიდ გომარეთში ნასოფლარის კვალი აღარ არის. პატარა გომარეთი ებჯინება მახარაულს და ჩაგძელას. ზედა ღრელიდან ჩადის საურმე გზა პატარა გომარეთში – საფარიეაკიდან ჭახეყანაზე ჩავლით. „ჭახე ქუნცულა იყო“. ადრე ძირითად ორიენტირად გომარეთები იყო. „ცხვარი წაეასხი გომარეთებში...“ დღეს უფრო ჭიპჭიპას არეალი გაფართოვდა და ორიენტირად ძირითადად ჭიპჭიპას ხმარობენ.

ლაშკარიებში იყო სახნავი და არის დღეს საძოვარი. 60-იან წლებში გაშენდა ტყე. ლაშკარიებსა და დიდ გომარეთებს აყოფს დაბურულის ღელე. იქვეა ადგილი, სადაც „ლაშე“ წყალი ამოდის. წყაროსთან არის „კარიები“ კლდისა. ქედს ჩაუყვება გზა. „კარილია.“ ლაშკარიები ერთცელი ტერიტორიაა, იწყება დაბურულის ხევიდან ჭალახევის ჩაყოლებით, მარჯვენა მხარეს, ურავლის წყლამდე. ლაშკარიებში არის იორდანე ბუნე (ბუნე გამოქვაბულს–ხელოვნურს ან ბუნებრივს აქვია. იორდანე მურვანიძის მოუტაცებია იაძეების 7 ძმის ერთი და, წაუყვანია ამ ბუნებში შერიგებამდე), გამოქვაბული.

ს. ხოსიტაშვილს დამოწმებული აქვს ლაშქარა, რომელიც მდებარეობის და ყველა გარემოების მიხედვით ჩვენი ლაშკარიებია, ოღონდ ამ უკანასკნელის – ებ სუფიქსი იმ ყანებისა და მინდვრე-

ბის გამო აქვს დართული, რომელიც ამ ადგილს ახლავს. ვუიქრობ, ასევე სწორი ფორმა ლაშქარა უნდა იყოს. „სოფ. ღრელიდან 1 კმ საფარის გზის ქვეშ მდებარეობს ნასოფლარი გომარეთი. მის გარშემო ამჟამად ტყე არის გაშენებული. საფარის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ურავლის მხარეს არის ნასოფლარი ლაშქარა (ხოსიტაშვილი. 1972:63)“.

საჯვარე ტყე ფოთლოვანი ტყეა უხრაიისა, იწყება საჯვარიდან და ჩადის ციხიყელის ღელეში.

აქამდე უეტრიალეთ საფარა-ღრელის ხე-ღელეებს, ყანებს და ტყეებს. ამჯერად უნდა შევეხო უშუალოდ საფარისა და მისი მიდამოების ტოპონიმებს. ზოგი მათგანი უძველესია და ძეგლებში არის დადასტურებული. სამწუხაროდ ამ ტიპის აღწერა შედარებით გვიან ჩნდება ჩვენს ისტორიაში. რომელიმე ტოპონიმის დადასტურება რომელიმე ისტორიულ მოვლენასთან კავშირში ხდება მხოლოდ.

საფარის თავი/საფართაუი ორია. 1. ღრელსა და საფარას შუა მთა ღრელიდან 2-3 კმ-ზე საფარამდე 1-1,5 კმ-ზე. საფარიდან დასავლეთით თხილიყანებისა და ჯაფოყანების გაგრძელება სერი, რომელიც გადასცქერის საფარას, აქ დღეს არის მე-20 საუკუნის 50-იან წლებში გაშენებული ფიჭვნარი ტყე. ადრე აქ შიშველი სერი და ერთი ყანა იყო, რომელსაც ყარყარას ყანას ეძახდნენ, ხოლო საფარისთავის ფერდზე, საფარის მხარეს იყო სიმონას ყანა. აქ „ქედი ჩადრეკილია,“ ყარყარას ყანის გარშემო ფერდებია, რომლებიც ამ ფითეატრის შთაბეჭდილებას ქმნის.

მე-2 საფარის თავი არის საფარის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქ არის მთა, ძველი ტყე. ეს ადგილი გადასცქერის ერთი მხრივ ურაველსა და ნასოფლარ ფულას, ხოლო ჩრდილოეთით საფარას. ესეც იმავე მანძილითაა დაშორებული მონასტერს.

საფარის თავი მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილია. XV საუკუნის 50-60-იან წლებში ურთიერთობა გართულდა სამცხის სასულიერო პირთა და ყვარყვარე ათაბაგს შორის, რაც ასევე ქართლის კათალიკოსსა და ყვარყვარე დიდს შორის დაპირისპირებით გამოიხატა. ქართლის კათალიკოსი ილაშქრებს ყვარყვარეს სასულიერო პოლიტიკის წინააღმდეგ.

„აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვით ხერხი, ფორმა, რომელიც მას ათაბაგთან ბრძოლაში გამოუყენებია. დავით ქართლის კათალიკოსი, უეჭველია, შესაბამისი ცერემონიალის დაცვით, მცხეთიდან წასულა, გადაულახავს სამცხის საზღვარი და საფარის მონასტერში მისულა. აქ მას ჩაუტარებია ყვარყვარეს კანდიდატების – მაწვეერელისა და სამცხის სხვა ეპისკოპოსის უჯვაროდ და შე-

უნდობლად გამოცხადება. მაგრამ ეს აქტი კათალიკოსს შეუსრულებია არა საფარის მონასტრის ტაძარში, არამედ „საფარის თავზედა...“ ღია ცის ქვეშ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (შარაშიძე, 1961:92-93)).

როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო ინტერესი და იმდენად ბევრი იყო ხალხი, რომ დავით ქართლის ეპისკოპოსმა ჩვენ მიერ აღწერილი ორი საფარის თავიდან ერთ-ერთზე შეკრებილ მრევლს — ყვარყვარეს მომხრეთაც და მოწინააღმდეგეებსაც, მიმართა სიტყვით, გამოუცხადებია უჯვაროდ და შეუნდობლად ისინი, ვინც ეწინააღმდეგებოდნენ მას და ეხმარებოდნენ ყვარყვარეს. ეს მოიმოქმედა მან საფარის თავზე და არა აწყურში, რომელიც მან გზად გაიარა, ვიდრე საფარაში, სადაც, ეტყობა, თავად ჯაყელთა საგვარეულო მამულში მომხრეები მეტი ჰყავდა.

იმავე პერიოდის კიდევ ერთ საბუთზე მიუუთითებ: „მარიამობისთუმს კჳ პატრონი დედისიმედი გააცხელა ხუთშაბათს დღესა და ორშაბათს დღესა ბურის პატრონის ბასილის ჟამით გაცხელუბას მოვიდა, საფარას საბურთეზე გაეცხელებინა. იმწამს წაბრძანდა პატრონი დედისიმედი. ორნი დედაშვილნი ერთს კარაჟში დაწვეს. ენკენისთეუმს გ. პარასკევი გათენდებოდა, ღმერთი გარისხდა, ბატონი ბასილი მიიცვალა იეწლისა და ოცდაორის დღის (შარაშიძე, 1961:52)“.

საფარას საბურთე ჰქონია და, ბუნებრივია, კარვის გაშლა იქ იქნებოდა ყველაზე უფრო შესაძლებელი. იქვეა საფარაც, მაგრამ დედა ვერ შევიდოდა ცხელებიან შვილთან ერთად მონასტერში, ამიტომ საბურთეზე მიეშველა მას, მაგრამ ამანაც არ გამოიღო შედეგი და ბასილი გარდაიცვალა.

როგორც ჩანს, ასეთი საბურთეები ბევრი იყო. იქ გამოიცდებოდა ვაჟკაცობაში ახალგაზრდა.

მზეჭაბუკ ჯაყელის (1549-1572) გარდაცვალებისას „მესხური დავითონის მატინანის“ ავტორი წერს: „ხოლო იცოდა სპარსული წიგნი და წიგნი და წერა და ენა თათრული. სპარსული და არაბული. მობურთალ მოასპარეზე ქეყანასა ზედა მისებრი არ გამოჩენილა (შარაშიძე, 1961:40)“.

თუ გავიხსენებთ რუსთაველსაც, ნათელი გახდება, რომ საასპარეზო-საბურთეები სპეციალური მოედნები იყო და ერთ-ერთი მათგანის სახელი შემოგვინახა საფარის ისტორიულმა მიკროტოპონიმიამ.

ამ მადამოვებში უნდა ყოფილიყო ნასაფარიევი, რომელიც აღწერილი აქვს ი.მაისურაძეს: „ნასაფარიევი, ანუ ნასაფარიები. ადგილი, სადაც, ხალხის გადმოცემით, საფარის მონასტერი კეთდებოდა. საძირკველი უკვე ჩაყრილი იყო, მართლაც მომზადებული, მაგრამ, ვითომ განგების ძალით, სამუშაო ადგილზე გადადიოდა. როდესაც ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე განმეორებულა, მაშინ აქ თავი მიუწებებიათ მუშაობისათვის და მონასტრის მშენებლობა დაუწყიათ იქ. სადაც იარაღი გადადიოდა, ე.ი. დღევანდელი მონასტრის ადგილას.

ნასოფლარი მდებარეობს ს.ღრელიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 2კმ-ზე ანდის წყლის ღრმა ხეობის მარჯვენა ფერდობზე. მთელ ამ მდლლობს ამალლების სერს უწოდებენ და დიდ დღეობასაც იხდიან ამალლების დღეს.

გ'ხის პირზე, ხრიოკ ადგილას მრავალი ქვა ჰყრია. ქვაყრილის შუაში სამ ადგილას წარმოიგარია თლილი ქვისაგან მოწყობილი ყორეები, სამლოცველო ნიშები, რომელთაც მლოცველები სანთელს უნთებენ.

ნასაფარიევის პირდაპირ, გაღმა მხარეს ტყიანი ფერდობია, სადაც სახნავ-სათესი მიწებისა და ტყის ახეობებში მოსჩანს სოფელი არჯული (ამჟამად გაუქმებულია), იმის ქვემოთ ნასოფლარია, რომელსაც ჩაკიდულას უწოდებენ (მაისურაძე, 1945:58)“.

საფარის თავის ძირზე, საფარის მხარეს არის ბერების ყანები. დღეს აქაც ტყვა გაშენებული. ბერების ყანების მიჯნაზე, მონასტრის მხარეს, არის ბერების სასაფლაო ნაძვენარში, სადაც გადმოცემით, იმარხებოდნენ ქართველები და შემდეგ რუსი ბერები. ბერისყანები/ბერებისყანები კოლექტივისაციის დროს იყო სოფ. ანდრიაწმინდის მფლობელობაში. მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც მონასტერი აღდგა საფარაში, სადაოდ ქცეული პრობლემა გადაწყვიტა ადგილის სახელმა – ბერისყანები, რომ ადგილი მონასტერს დარჩენოდა. საფარიდან საურმე გზა გადიოდა ურავლისაკენ. გაიყვლიდა ხარისაწოლს, სატალაოს და ჩადის ურავლის გზაზე. აქვეა სატალაოს ანუ ბერების ყანები. აქ ბერებს ბოსლები ჰქონიათ და პირუტყვი ჰყოლიათ. სატალაოში ჩასაკეტი ადგილია კლდეებს შორის, ვიწროებში გადის.

საფარიდან მომავალი სატალაო გზიდან ჩანს ურავლის წყლის მარჯვენა ნაპირის გამოქვაბულები, რომელთაც ღრულელები სავარძიებს უწოდებენ. ამ სახელს აქვს ვარიანტები: სავარძიები, სავარწე, სავარძე. ვარძობა ნიშნავდა კლდის გამოჭრას, კეთას. კერტს მათხაფი ერქვა. მათხაფი ჰქონდათ სხვადასხვა ზომისა. იგი იყო

ბრტყელპირიანი რკინის გრძელი საჭრეთელი, რომელიც ეკავა ერთ კაცს, ურტყამდა მეორე უროს. ვარძობა ორი კაცის საქმეს, მუშაობას ნიშნავს. საგარძიებში ბუ ცხივრობს, ნადირთაგან ფოცხვერი ბინადრობდა. ზოგის თქმით, არწივიც ბუდობს, მაგრამ ინფორმატორთა განცხადებით, „ამ სიდაბლეზე არწივი არ ჩამოვა, სხვის მოკლულ კურდღელს არ შესჭამს, თვითონ-ნა მოკლას.“

ურავლის გზის პირას, კლდის ძირში არის წყარო, რომლის გაკეთებაში მუხსხელ კაცს სიმონა ოქრომელიძეს ერთი ძროხა მიუცია, ამიტომ მას სიმონას წყაროს უწოდებენ. აქედან იწყება ფეხის გზა საფარისაკენ. გამოივლის ნაძვნარს. სახელი ძველია, დღეს მხოლოდ რამდენიმე ნაძვია დარჩენილი. შეჭამა ლაფანჭამიამ და გაინდა ფოთლოვანი ტყე, მაგრამ ადგილს ისევ ნაძვნარი ჰქვია. მონასტერი დგას საფარის ანუ ნაძვნარის დელის პირზე.

ღრელიდან საფარისაკენ მიმავალ გზაზე, საჯვარის შემდეგ, როდესაც პირველად გამოინდება საფარა, საფარის გადასახედი ჰქვია. გადასახედის ქვედა მხარეს არის წოწიოლა, ბოთლის, ბზრი-აღის ფორმის ქვა, რომელსაც ყვევს ბზრიალა ჰქვია. ქვაზე ადიო-და ხოლმე ყვევე (ნებაძე).

საფარის გზის ზემოთ, წითელი კლდის ძირში არის გამოქვაბული, რომელსაც ფაშას ბუნეს უწოდებენ. ფაშა მეტსახელად ერქვა ალექსანდრე ალავეიძეს, რომელსაც ღრელიდან ქალი მოუტაცია და აქ მოუყვანია, რის გამოც შერქმევია ეს სახელი.

მონასტრის ბერების საცხოვრებლის გაგრძელებას ბერების კალო ჰქვია, ხოლო „კალოს“ ზედა მხარეს ტყეში დგას პატარა ქვა, რომელსაც კურდღლის საფლავს ეძახიან. შემთხვევით არ ჰქვია კურდღლის წყაროც.

მონასტერს დღევანდლამდე შემორჩა გალაენის ნაწილი, რომლის გაყოლება ფერდობს, ტყეს ციხისყელები ჰქვია. აქ იყო ძველი გალაენის კარები, რომელიც ამოშენებულია, ხოლო მონასტრის ძირში არის ბუნეების გამოქვაბულები.

დღეს ერთი მთავარი გზა აკავშირებს ამა თუ იმ სოფელს სხეებთან, ხოლო წინათ ბევრად მეტი სიმრავლე იყო გზებისა, ძირითადად საურმე და საცალფეხო ბილიკები, რომლებიც თანდათან კარგავენ თავიანთ ფუნქციებს. ამიტომ საჭიროდ ვცანი მათი ცალკე გამოყოფა.

ამაღლების გზა//კაპნების გზა - საურმე გზა, რომელიც მიდის ანდაში და ანდრიაწმინდაში.

პატარა კაპნები-ღრელიდან საფარისაკენ მიმავალ გზაზე საცალფეხო ბილიკი, სანგღია ხევის გაცდენის შემდეგ ჩამოდის საფარაში.

ნაცრიყანებებგზა - ძველი ღრელიდან ნიალაში მიმავალი საურ-
მე გზა ანდის მიმართულებით.

კაკლისყანების გზა, ძველ ღრელში ქვეშა წყლის დელის თაე-
ზე მიმავალი ბილიკია.

ანდრიაწმინდებგზა - ღრელიდან ანდრიაწმინდამდე.

ლოდების გზა/აბანოების გზა - ძველი ღრელიდან აფრამიენთ
და ქუნცულიენთ წისქვილებში, დღეს უკვე ნაწისქვილარებისაკენ
მიმავალი საურმე გზა.

ახალი ღრელიდან აბანოებისაკენ მიმავალ ბილიკს, რომელსაც
უერთდება ქალაქიდან მომავალი ბოშის ბილიკი, ქვეია უჩხავის/უჩ-
ხავების ბილიკი.

ძველი ღრელიდან გაღმებებისაკენ, ციფწყაროზე, საფარის თაეზე
გადადის კრავის ბილიკი.

ქვედა ბილიკი/ლარების ბილიკი ძველი ღრელიდან ლარებზე
გავლით მიდის ბაირამაჭალაში.

საქორიასერის გზა, საურმე გზა, რომელიც ძველი ღრელიდან
მიდის ჯაფოყანებში.

არის ორი ჩანჩხარის ბილიკი. ერთი, რომელიც ჩანჩხარის ბოს-
ტანში მიდის, ხოლო მეორე გაივლის დარნითაეებს და ჩადის ჩან-
ჩხარას ბოსტნებში.

დიდი გომარეთის ბილიკი ჩანჩხარიდან გაივლის გომარეთს,
დაბურულებს და გადის ლაშკარაში.

ლაშკარიდან ურავლის წყალზე ჩამავალ ბილიკს ლაშკარას
ბილიკი ქვეია.

საკაკობიდან ობოლკლდის გავლით ჭიკჭიპასთან მიდის ობოლ-
კლდის ბილიკი.

სირონების ბილიკი სულთმეწიის ყანებიდან ჩადის ჭალიხეეში,
ადის ლაშკარაში და ჩაგლეჯილებში (მცოცავი მიწა).

შაეკლდის ბილიკი ქალაქის სერიდან გაივლის შაეკლდეს და
ჩადის ყიშლიდელეში. შაეი კლდე ახუათების გაგრძელებაა. არის
დელე და კლდე, რომელიც შაეი ფერისაა ნესტიანობის გამო. მიუ-
ხედავად იმისა, რომ წყარო არ გამოდის.

საკაეიეს გზა საურმე გზაა, რომელიც აკაეშირებდა სოფ. მინა-
ძესთან ღრელს. ეს გზა იყოფა ქალაქის სერიდანეე. ჩოლადების
გავლით ჩადის სოფ. ჭაჭარაქში, ხოლო ჩოლადებში განაყოფი მი-
დის სვილიაყანებამდე.

საფარის გზა ქვეია გზას ახალციხიდან საფარამდე. ადრე ერ-
ქვა ღრელის გზა, ღრელიგზის პარალელურ ფორმად აქვს ქალაქი-
სერის გზა. ვიდრე ღრელი ჩამოვიდოდა ლაშხეეში, მაშინ საფარის

გზად იწოდებოდა ღრელიდან საფარამდე გზა. ამავე გზას ღრელელები ქალაქის გზას ეძახდნენ. საყარის გზა ერქვა აგრეთვე გზას ურავლის გზიდან სატალაოს გაულით საფარამდე. არის აგრეთვე საფარის საურმე გზა ანდრიაწმინდიდან, ანდიდან საფარამდე.

სულთმეწია ერქვა მხოლოდ გზას, რომელიც იწყება ურავლისა და ჭალისხევის შესართავიდან, გადის ყიშლის კლდეზე, ადის დაუკებაზე, რომელიც გრძელდება ჭედლიწყარომდე (იგივე ჭედლის წყარო). გაივლის ლაგერს (სამხედრო ნაწილი იყო) და ჩადის ქალაქში. სულთმეწია ძვ.ღრელში და ლაშხეუში არ გადიოდა. სულთმეწია, ინჟორმატიურთა მტკიცებით, აღმართთან, დაღლასთან არის დაკავშირებული.

ურში გზა ფიჭურანიებზე გამავალი გზაა ლაშიხევიდან ძველი ღრელისკენ. ასევე არის ფეხიგზა/მოკლეგზა ურისაფლაიეგზა.

ფეხიგზა მეორეც გვაქვს ღრელიდან საფარამდე.

შუაყარავის მთაზე მიდიოდა ღრელი მთად, სადაც იყო ჩახრიალი, ჭალები და მიწები, ასევე ჭალები და მიწები იყო ქვანსობილა და წყარო – წითელწყარო.

დღეისათვის გაქრობა ემუქრება საფარა-ღრელის ტოპონიმის, რადგან მომხმარებელი თანდათან მცირდება, ამიტომ საჭიროა თითოეული სახლის დაფიქსირება და მომავალი თაობისათვის შენახვა.

საფარა-ღრელისა და მისი შემოგარენის ტოპონიმია და ანთროპონიმები ქართულია. გეხედება ზოგი თურქული სახელიც. თურქული სკარბობს განსაკუთრებით ადამიანის საკუთარ სახელებში, საიდანაც მიღებული გვაქვს მეტგეარები. მაგ. ნებაძეების ერთი შტო იწოდებოდა ბადალაანთ ყორმით. დიალექტში შემოვიდა თურქული სახელები და ისინი, როგორც ტრადიციული ქართული, ბერძნული, სპარსული, არაბული და სხვა წარმომავლობის ანთროპონიმები, სათავეს უდებენ საგეარეულო სახელებს. ასევეა ზოგიერთი ტოპონიმი. მესხურ დიალექტში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე თურქულად მოლაპარაკე მაჰმადიანი ქართველებიც ცხოვრობდნენ, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა ონომასტიკაზე.

ა) ძველი და ახალი ჭობარეთი

დღევანდელ ჭობარეთს ახალ ჭობარეთსაც უწოდებენ. ძველი ჭობარეთი იყო ვერანა ჭობარეთი. „ვერანა“ სპარსული სიტყვაა და აოხრებულს, გაპარტახებულს, გატიალებულს, უპატრონოს, მიუფლელს, დაუშუშავებელს ნიშნავს (ქ.ე.გ.ლ. 1955:50). ჩვენს მხარეში ვერანა ნასოფლარის მნიშვნელობით იხმარებოდა და, რა თქმა უნდა, გაპარტახებულს, გატიალებულს გულისხმობდა. 1933 წელს ჯაგახეთში მოეწყო ექსპედიცია, რომლის დროსაც ნ. ბერძენიშვილი სპეციალურად სწავლობდა „ვერანებს“, ნასოფლარებს. „ექსპედიციის დღიურში“ იგი წერდა: „სწრაფად ქრებიან ვერანები და ეს განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ამიტომ აუცილებელია მათი სასწრაფო შესწავლა. შესაძლებელია ცოცხალი ჯაგახური კომლის ტიპისა და ვერანას შედარების შესწავლის ნიადაგზე გაირკვეს ძველი ჯაგახური კომლის ნადგომის რაოდენობა — როგორობა (ბერძენიშვილი, 1964:165).“ მეცნიერს ვერანათა აღრიცხვა-შესწავლის საფუძველზე სურდა ჯაგახეთის მოსახლეობის რაოდენობის დადგენა. ვერანა ჭობარეთი ჩვენ გვაინტერესებს ჭობარეთის ისტორიული გეოგრაფიის, ონომასტიკის შესასწავლად. ამ მხრივ საინტერესოა ეთნოგრაფიული მონაცემები მის შესახებ. „სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით ერთ კილომეტრზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ნასოფლარი „ვერანაჭობარეთი“, რომლის მოსახლეობაც მტერთან ბრძოლაში მთლიანად გაწყვეტილა (ივანიძე..., 2007:95).“ სოფლის ვერანად ქცევა, გავერანება შლის ძველი ცხოვრების კვალს, მაგრამ ზოგი რამის „წაკითხვა“ მაინც არის შესაძლებელი. ვერანა ჭობარეთმა თავისი ნასახლარების და სტრუქტურით შემოგვინახა ძველი უბნები სახელების გარეშე: „ცნობილია, რომ მესხურ-ჯაგახური სოფლებისათვის დამახასიათებელი ყოფილა ერთნაირი გვარების ცალკეულ უბნებად ცხოვრების წესი.

ეს მომენტი მართლაც კარგად იკითხება ძველი ჭობარეთის ე.წ. „ვერანას“ ტერიტორიაზე. მიწის საკმაოდ დიდ ფართობზე გაშენებული „სოფლის უზარმაზარი კვარტლები

მოწმობს, რომ თითოეულ კომპაქტურ დასახლებაში, რამდენიმე საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა არსებობდა, რომელსაც აქონდა საკუთარი სალოცავი, სასაფლაო, მოედანი, სახნავ-სათესი და სხვა. იგი უთუოდ ერთი გეარის რამდენიმე ოჯახის დასახლება უნდა ყოფილიყო (მოხევიშვილი, 1990:22).“ სამწუხაროდ, დღეს ჩვენ არ შეგვიძლია ვერანა ჭობარეთის იმ უბნებისა და იქ მოსახლე გეართა ჩამოთვლა, მაგრამ მათი მემკვიდრეები კი სხვაგვარი სისტემით და უბნებით ცხოვრობენ დღევანდელ ჭობარეთში. ნ. მოხევიშვილი მიუთითებს, რომ „დღევანდელ ჭობარეთში გეარების ცალკეულ უბნებად დასახლების წესი თითქმის დარღვეულია და სოფლის განსახლებაც არა გეგმიურია“.

ვერანა ჭობარეთის მოშლის შემდეგ სად „აღდგა“ დღევანდელი ჭობარეთი, ისეთ ადგილზე, სადაც დასახლება არ იყო? მესხეთში ხომ მტკიცედ იყო გამიჯნული სამოსახლო და სეარგული. ზოგიერთი მტკიცების მიუხედავად, ძველ სოფლებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სამოსახლო ადგილი ფერდობებზე, მზის გულზე აქონდათ, ამიტომ მნიშვნელოვან მონათხრობად მიგვანჩნია გ. ივანიძისა და მ. ივანიძის მიერ ჩაწერილი მასალა: „როცა ახალ სახლს ვაშენებდი, ძველის ადგილი მოვშალე და მოვანგრიე მთლიანად ძველი, მიწა გავასწორე და როცა საძირკველს ვიღებდი, რამდენიმე მეტრის ქვემოთ ამოვიდა ხის დამწვარი ძელი, ძველი სახლის ნარჩენი. აქვე ამოვიდა ძველი კვერის ნაწილი, მოყვანილობით სულ სხვანაირი იყო... ეტყობა ეს ძველი ნასახლარი უფრო ადრე სხვა ნასახლარზე ყოფილა დაშენებული, მე კი მესამე სახლს ვდგამდი ორ ნასახლარზე (ივანიძე..., 2007:95).“

დღევანდელი ჭობარეთი თითქოს ახალი ჭობარეთია და, ადგილობრივთა მტკიცებით, აშენებულია ძველი ჭობარეთის, ანუ ვერანა ჭობარეთის განადგურების გამო, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მონათხრობი გვიჩვენებს, რომ ჭობარეთი ყოველთვის იყო დასახლებული და თუ იქ დროის რაღაც მონაკვეთში ცხოვრების წყვეტა მოხდა, ძალიან მცირე ხნით. ჭობარეთს რომ მზიანეთს უწოდებენ, ეს არ უნდა იყოს ცალკე სოფელი. „ადრე „მზიანეთი“ რქმევია. ეტყობა ეს სოფელიც განადგურებულა მტერთან ბრძოლაში და კვლავ აღორძინებულია, სადაც სხვადასხვა სოფლიდან მოსული ახალმოსახლენი დასახლებულან და ამ ახალ სოფელსაც ჭობარეთი დაარქვეს (ივანიძე..., 2007:96).“

ძველი (ვერანა) და ახალი (ძზიანეთი) ჭობარეთი ეფიქრობ, ერთი და იგივე დიდი სოფელია. ეს არის ჭობარეთის უბნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზიანეთი ან ზემო ან ქვემო ჭობარეთი უნდა ყოფილიყო და რაღაცა ფორმით მაინც აისახებოდა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში.“ ტერიტორია არ არის იმდენი, რომ ახალი სოფელი გექონოდა. იქვეა მიმდებარე უძველესი სოფლები მუსხი და ზეელი.

სოფელი ჭობარეთი ორ ნაწილად იყოფა — ჭობარეთის წყლით, ანუ ჭობარეთის ხევით: „სოფელი გაშენებულია ჭობარეთის ხევის ორივე მხარეს. დასახლების ძველი ნაწილი შეფენილია კლდოვან ფერდობზე. რაც შეეხება ახალს, იგი ხევის მარცხენა მხარეს — ვაკე ადგილზეა გაშენებული (მოხევიშვილი, 1990:23).“

მიუხედავად იმისა, რომ ჭობარეთში გვართა ერთ უბნად ცხოვრების პრინციპი დარღვეულია, ზოგი კანონზომიერება მაინც შეინიშნება, მაგრამ ეს იყო „წინათ.“ რა იგულისხმება ამ სიტყვაში, რა დროა „წინათ?“ „წინათ ჭობარეთში გვარების მიხედვით უბნებად ცხოვრობდნენ და ყველა გვარს თავისი ზედმეტი სახელით იხსენიებდნენ. ზოგჯერ ერთი და იგივე გვარი რამდენიმე უბნად ცხოვრობდა და ამდენივე ზედმეტი სახელი ჰქონდათ. მაგალითად, ზედგინიძეები ცხოვრობდნენ სამ უბნად და მათ ეძახდნენ: თომიენი, ბარაგანიენი, ქუმელიენი (ივანიძე..., 2007:101).“

ბარაგანიენი, თომიენი, ქუმელიენი უბანში მცხოვრები გვარები იყო, თორემ უბანს ეძახდნენ: თომიენტ უბანს, ბარაგანიენტ უბანს, ქუმელიენტ უბანს. უბანი იყო ორიენტირი, ორიენტირი იყო ოჯახიც და მასში მცხოვრებნიც, ამიტომ, როდესაც იკითხავდნენ: სად მიდიხარ? ბარაგინენტ უბანში, თომიენტ უბანში და ქუმელიენტ უბანში — იყო პასუხი, ხოლო კითხვაზე — ვისთან მიდიხარ? — თომიენცა, ბარაგანიენცა, ქუმელიენცა — გიპასუხებდნენ.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სიტყვაში „წინათ,“ როდესაც სოფლის უბანზეა ლაპარაკი, იგულისხმება კოლმეურნეობამდე პერიოდი, ე. ი. პერიოდი კოშენისტებამდე, ვიდრე იყო ეერძო საკუთრება. კოლექტიურმა საკუთრებამ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შეარყია უბნებად დასახლების პრინციპი და მე-2 ნახევარში მოშალა კიდევ, რადგან კოლექტივამდე, როდესაც დიდი ოჯახები იყოფოდა, განაყარი მათ საკუთრებას, ოჯახის საკუთრებას ინაწილებდა, ხოლო

კოლექტივიზაციის პერიოდში მიწა რიგდებოდა პიროვნებებზე და ეძლეოდათ დამსახურების მიხედვით და არა გვარის მიხედვით, ამიტომ უბნებად დასახლება აღარ ხდებოდა, მაგრამ ძველი ტრადიცია გრძელდებოდა და უბანთა სახელებიც ძველი რჩებოდა. მოიშალა სოფ. ჭობარეთის საზღვარიც და განსახლება აღარ იყო დამოკიდებული სამალაევებსა და დარნებზე, მიწისქვეშა კაეშირებზე, აღარ სჭირდებოდათ მიწური სახლები და ერთმანეთში გამავალი კაეშირები. რადგან მტრის საშიშროება მოისპო, სოფელმაც ამოისუნთქა, მოიშალა ბევრი სამშენებლო ტრადიცია და გვარების დასახლების ნაცვლად იწყო გაფართოება სავარგულებში, ბაღებში და ა.შ. მიწური სახლების ნაცვლად გაჩნდა ფანჯრიანი თანამედროვე შენობები. პრინციპი კი ოჯახის გვართან მეტგვართ (თუ გვარის ვარიანტით) მოხსენიებისა გაგრძელდა.

შემთხვევითი არ არის, რომ უბნებს, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, სახელები შერქმეული ჰქონდათ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. რელიეფურად, ზემო და ქვემო ნაწილებად იყო დაყოფილი. როგორც ყველგან, გამორჩეულ ადგილზე დგას ეკლესია ჭობარეთშიც, ამიტომ იგი ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია თავისი დანიშნულებითაც. ეკლესიის ქვედა უბანში ძირითადად ზედგინიძეები ცხოვრობენ, ხოლო ეკლესიის ზედა უბანში — გვირჯიშვილები. ცალკეა გამოყოფილი ნახირიგზა, სოფლის ერთ-ერთი მთავარი არტერია, სადაც დილა-საღამოს მიდის და მოდის საქონელი, იმ უბანს ნახირიგზის უბანი ჰქვია. წყაროც არის ზედა და ქვედა: მათ მიხედვით ყოფენ აგრეთვე ზედა წყაროს უბნად და ქვედა წყაროს უბნად. მნიშვნელოვანია გზა, რომლითაც სოფელი უკაეშირდება ქალაქს. იქ ცხოვრობენ ქალაქის გზის უბანში. სოფლის ცენტრალურ ნაწილს შუა უბანი ჰქვია. წყარვების უბანს უწოდებენ ერთ უბანს. უბანი ზოგჯერ მხარესაც აღნიშნავს. ასეა ვერანა ჭობარეთის უბანი და გომარლების უბანი. უბნის სახელები შეიძლება პარალელური ფორმითაც იხსენიებოდეს და საგვარეულო სახლითაც: ბულბულაანთ უბანი, მარკოზიენტ უბანი, დიდინაანთუბანი, ქვეშაწყაროს უბანს მაზმიენტ უბანსაც უწოდებენ.

ბ) სოფლის ზოგიერთი
ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის

ჭობარეთის ონომასტიკა სპეციალური მიმოხილვის საგანი ჯერ არ ყოფილა. სახელის ეტიმოლოგიას, მას შემდეგ, რაც გურამ თოფურიას სტატია დაიბეჭდა (თოფურია, 1968), ყველა ავტორი იმეორებს მის ზანურ წარმომავლობას. აღნიშნული სტატიის შესახებ ნ. ნორაკიძე წერს: “გ. თოფურია თავის ნაშრომში... ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის საფუძველზე ადგენს, ჭობ ძირი, რომელიც შედის ტოპონიმებში: ჭობარეთი, ჭობური, ჭობისხევი, ვერანა ჭობარეთი, ჭობურა და სხვა არის ზანური, მეგრულ-ჭუბურ და ქართულ-წაბლ ძირის კანონზომიერი შესატყვისი (ნორაკიძე 1971:137-138). ასევე მიაჩნია ც. ლაფაჩის: “რადგან მეცნიერებაში ტერმინ ჭობარეთს ზანური ენის საფუძველზე პოვებს თავის ახსნას, უდავოა, რომ სამცხეში იგი ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული სახელის მატარებელი სოფელი ყოფილა, რომელიც წინარე ქრისტიანულ ხანაში იგი უკვე დასახლებული პუნქტი უნდა ყოფილიყო (ლაფაჩი 1990:5).” ც. ლაფაჩის მოყვანილ ციტატას სიტყვა-სიტყვით იმეორებენ გ. ივანიძე და მ. ივანიძე, ოღონდ უთითებენ გ. თოფურიას (ივანიძე ..., 2007:95) მაგრამ აღნიშნულ ავტორებს თავიანთ კვლევებში სხვა მიზანი ჰქონდათ, ამიტომ ისინი მხოლოდ იმდენად შეეხნენ ჭობარეთს, რამდენადაც მათ ინტერესებში შედიოდა.

სატიკნე გვხვდება სათიკნე ფორმითაც. მაგ.: კ. თორდია წერს: “გადმოცემის მიხედვით “სატიკნე” ანუ სათიკნე მთა ჭობარეთსაც აქვს და მის ახლო მდებარე სოფელ ზველსაც. ეს ორი მთა ერთნაირ სახელს რომ ატარებს, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ მთებზე თიკნებს აბალახებდნენ... გარკვეულ პერიოდში იცოდნენ ცხერის ფარის დარჩევა. თიკნების ფარა უნდა ცალკე გასულიყო და ხშირად მას სოფლის ახლო საბალახოებზე ამყოფებდნენ. ჩვენს ვარაუდს ის გამართლება აქვს, რომ ორივე “სატიკნე” სოფლის სიახლოვეს არის (თორდია, 1990:131)”. ამაღლები დღესასწაულის აღწერისას კ. თორდია მხოლოდ “სატიკნეს” ხმარობს, რაც, ვფიქრობთ, სწორია და ზუსტად აფიქსირებს ჭობარელთა ნათქვამს. თანაც სატიკნეს ეტიმოლოგიზირებული ფორმაა სათიკნე. თითქოს სათიკნე არის სახელი და არა სატიკნე.

სათიკნე მთა არის ფიქსირებული იმავე კრებულში ც. ლაფანის სტატიაში “სოფელ ჭობარეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა”: “სათიკნე მთის ძირებს, რომელიც სოფლის თავთანაა გადმომდგარი, ბაირისთავი ჰქვია (ლაფანი, 1990:3)”.

სათიკნე მთად არის წარმოდგენილი სატიკნე გ. ივანიძესა და მ. ივანიძესთან: “ჭობარეთ-ყალაჯულის მთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილი – სატიკნის მთა უშუალოდ სოფელს გადმოჰყურებს, ხოლო სატიკნის ძირს, ბაირის თავე უშუალოდ სოფლის თავსეა გადმომდგარი (ივანიძე..., 2007:92)”.

ამ შემთხვევაში ერთგვარი გალიტერატურული ფორმები გვაქვს დიალექტური ლექსიკისა, რადგან ტიკანი მნიშვნელოვანია თავისი ფორმით და იგი ჭანურთან ავლენს სიახლოვეს, თანაც ჯავახურმა მხოლოდ ტიკან ფორმა იცის, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სატიკნეზე ორი სოფლის რელიგიური დღესასწაული იმართება და მთას რომ ეს სახელი ჰქვია, არაერთარი ფონეტიკური გარემო იმისთვის რომ თიკანს მოეცა ტიკანი, დიალექტში არ არის. თიკანმა პალატალიზაციის გზით მოგვცა აფრიკატიზაცია და მივიღეთ ციკანი, თ→ც. ისევე როგორც დევს→ძევს, დ→ძ.

ს. ჯიქიას მოყვანილი აქვს არქივის ცნობა, რომ ჭობარეთი “სახაზინო სოფელია, მდებარეობს ბაღჩიან მლაშე წყაროზე და სოფლის წყაროზე, მთა კალაჯუკის ფერდობზე, მანღალის ხეობაში (ჯიქია, 1958:224)”. მანღალის ხეობა დღევანდელი მანგალაა.

1979 წელს, როდესაც პირველად აღეწერე სოფ. ჭობარეთი, ჩაწერილი მაქვს რამდენიმე ვარიანტი: მანგალა, მანგალიები, მანგალახევი. მანგალა და მანგალის ყანა ანუ მანგალები ხევის პირზე მდებარეობს, საიდანაც მიიღო ხევა სახელი. ხეე-ღელები, საერთოდ, სახელს ღებულობენ იმ ობიექტების მიხედვით, რომელსაც ჩაუვლიან, ამიტომ ერთი და იმავე ხეეს შეიძლება რამდენიმე სახელი ჰქონდეს. ყანებს თავიანთი ფორმის მიხედვით შეიძლება ეწოდოს ესა თუ ის სახელი. მაგალითად ლარები შეერქვა სწორ და გრძელ ყანებს, ხოლო მანგალა – რკალისებურ ყანებს. მანგალი ძველ ქართულში ერქვა ნამგალს. აქედან არის მიღებული ცნობილი სახელი ქართლში – მანგლისი. ამგვარად, მანგალა, მანგალიები ყანების სახელია და ნამგალისებური რკალური

ფორმის ნაკვეთს ჰქვია, ამიტომ არასწორი ფორმაა მანდალა, რომელიც საარქივო მონაცემებიდან აქვს აღებული ს. ჯიქიას. მანგალა სათავეს იღებს ორი ხევიდან, ზეელის ფიქრულიდან მოდის ფიქრულის წყალი, უერთდება ჩარდალადან მომავალ ჩარდალის წყალს და მანგალის ყანებამდე უკვე იქცევა მანგალად ანუ მანგალის წყლად. მანგალის ყანები მის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, მანგალის წყალი ჩადის ჭობარეთში, სადაც მას უკვე სოფლის დეღედ ანუ ჭობარეთის წყლად მოიხსენიებენ, ასე მიდის იგი მაჭიხეთამდე, სადაც უერთდება მაჭიხეთის წყალს. მანგალამ, როგორც ყანების სახელმა, რომ მისცა მანგალის წყალს სახელი, იქიდანაც მტკიცდება, რომ გ. ივანიძე და მ. ივანიძე კიდევ ერთ ხევს ასახელებენ, რომელსაც თარლა დარა ანუ ყანების ხევი ჰქვია (ივანიძე..., 2008;92-93). მაჭიხეთში აღნიშნული ავტორები ასახელებენ ბუზიყლაპიას დეღეს, რაც ალბათ ჩვენი მითითებული მაჭიხეთის წყალია. ამის შემდეგ ასახელებენ მდინარე წყალწმინდას, რომელიც მარჯვენა ნაპირიდან უერთდება მდინარე ურაველას.

ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს ჭობარეთის ხევს საფარის შემდეგ. “ამავე კვეს ზეით, ცუნქის კვეს მოერეთის ჭობარეთის კვეი, გამომდინარე მისივე მთისა და მომდინარე ეგრეთვე (ამას ევონებ ხინგის მდინარედ) (ვახუშტი, 1973:666)”. “გამომდინარე მისივე მთისაში” იგულისხმება ერუშეთის მთა, საიდანაც სათავეს იღებს ჭობარეთის წყალი, ხოლო ცუნქის ხევი არ უნდა იყოს ნამდვილი სახელი. აქ ერთგვარ შეცდომასთან გვაქვს საქმე და ურაველის წყალი იგულისხმება. ვახუშტისეული ჭობარეთის ხევი დღევანდელი მანგალის წყალი, სოფლის დეღე თუ ჭობარეთის წყალია.

გ) ჭობარეთის ეტიმოლოგია

ასპინძის რაიონში ორი ჭობარეთია. ერთი სოფელი და მეორე ტყე და ნასოფლარი, რომელსაც თეთრობ-ჭობარეთის „თეთრ ჭობარეთს“ უწოდებენ ხიზაბავრელები. ხიზაბავრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფიჭვნარი ტყეა, რომელიც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ზედაველის სატყეოს ეკუთვნოდა. ჭობაურას წყალი გამოდის თეთრობ ჭობარეთიდან. იგი სათავეს იღებს სანისლაოდან, ერთვის ერბოს წყალი და ბა-

ლათხევი. ხიზაბავრა ამ წყალს იყენებს სარწყავად. ჩადის მტკვარში მარჯვენა ნაპირიდან.

ნ. ბერძენიშვილს 1933 წლის ექსპედიციის დროს ჭობარეთი და თეთრობი ცალ-ცალკე ნასოფლარებად აქვს დასახელებული (ბერძენიშვილი, 1964:156). ამ ორთაგან ცნობილია ისტორიულად სოფელი, რომელიც აღწერილი აქვთ ოსმალებს მე-16 საუკუნეში.

ს. ჯიქიამ შეისწავლა ჭობარეთთან დაკავშირებული ისტორიული მასალები. იგი წერს: „ეახუმტის რომ ჭობარეთის ჰევი აქვს ნახსენები, ამ ხეზეა სოფ. ჭობარეთი. არქივში ჭობარეთზე შემდეგი ცნობაა: „სახაზინო სოფელია, მდებარეობს ბაღჩიან მლაშე წყაროზე და სოფლის წყაროზე; მთა კალაჯუკის ფერდობზე, მანღალის ხეობაში... 1897 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „სოფ. ჭობარეთში მცხოვრებთა რიცხვი ძლიერ გამრავლდა, ამიტომ ჭობარეთიდან ბევრი მოსახლე მიდის სხვა ადგილებში. ნაწილს მოსახლეობისას მიუმართავს მთავრობისათვის, რომ ნება მოგვეცი ყარსის ოლქში გადაესახლდეთ, იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება „სამოთხეო.“ (ჯიქია, 1958:224). ამონარიდში მითითებული მანღალის ხეობა დღევანდელი მანგალის ხეია, ხოლო სამოთხე არტაანის გუბერნიის სოფელია.

დამალა-ასპინძა-ხიზაბავრის ჭობარეთის ტყე (თეთრობ-ჭობარეთი) დასახლებული პუნქტი არ ყოფილა, თორემ ან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხვდებოდა ან ეახუმტი ბატონიშვილთან. სოფელ ჭობარეთსაც აქვს თავისი ტყე. შეიძლება გვეფიქრა, რომ თეთრობ-ჭობარეთიც სოფ. ჭობარეთის გამოა შერქმეული, გამოხატავს რაიმე ისტორიულ კუთვნილებას ან გადატანილი სახელია, მაგრამ ასე არ უნდა იყოს, რადგან ჭობ- ძირი, რომელიც არის ამოსავალი ჩუენი სოფლის სახელისათვის, გაერცვლებულია სხვაგანაც. სიფ. უდის მიდამოებში დასახლებულია ნასოფლარის სახელად ჭობაშენი (უაეტორო, ხელნაწერი. უდის ისტორია, 2006:7).

გ. თოფურიას ეკუთვნის ჭობარეთის ეტიმოლოგია, ამიტომ მან თავი მოუყარა ყველა სახელს, რომელიც დაკავშირებულია ჭობ- ძირთან. მასვე მითითებული აქვს ი. მაისურაძის მიერ აღწერილი ჭობაურა „მთის წყალი.“ ჭობაურა ასპინძის რაიონშია. ჭობა, ჭობაური, აჭარაში და ჭობის ხევი

ბორჯომში. მანვე დაუკავშირა ჭობ- ძირი ზანურ ჭუბურს (თოფურია, 1968:168).

წაბლისა და ჭუბურის საერთო წარმომავლობაზე და შე- სატყეისობაზე ორი აზრი არ არსებობს (ნ. მარი, არნ. ჩიქო- ბავა, ს. ულენტი, გ. როგავა, ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, გ.მა- ჭავარიანი, გ. კლიმოვი, კ. შმიდტი), მაგრამ ჰიპოთეტური იყო დაშვება, რომ, რადგან ქართულ ა-ს ზანურში შეესატყეისება ო, ხოლო ჭუბურის შემთხვევაში გვაქვს უ, ეს უ არ უნდა ყოფილიყო თავდაპირველი. ამოსავალი უნდა ყოფილიყო ო. ეს იყო ვარაუდი, ჰიპოთეზა, გ. თოფურიამ კი ჭობარეთის მა- გალითით დაადასტურა ო ხმოვანიანი ძირი. გ. თოფურია ას- კენის: „ჭობ ძირის დადასტურებას კი სამცხის ტერიტორია- ზე ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი გამოაყოფს ზანური ენის უძველეს ფენას საქართველოს ამ ნაწილში, მის სიძველეს მისი ლინგვისტური ანალიზი მოწმობს. ამაშია ამ სახელწო- დების ენათმეცნიერული ღირებულებაც, რამდენადაც ნათ- ლად ჩანს, რომ ზანური ენის განვითარების გარკვეულ მო- ნაკვეთზე არ ხორციელდებოდა პროცესი ო→უ (თუმცა შე- საბამისი პირობა არსებობდა — ლაბიალური ბ-ს მეზობლო- ბა), რაც ტოპონიმმა წარმოაჩინა. ის ხალხი, რომელსაც ეს სიტყვა ეკუთვნოდა, „წავიდა“, სახელწოდება კი დარჩა, გაი- ყინა, რადგან აღარ იყო საფუძველი (ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი) განხორციელებულიყო შემდგომი ჩვეულებრივი პრო- ცესი. ზანური ენისათვის და მახასიათებელი: ო→უ (ჭო- ბურ→ჭუბურ) (თოფურია, 1968:171).“

გ. თოფურიას აზრით, ჭობარეთი არის არა მხოლოდ ენობრივი ფაქტი, არამედ სუბსტრატის მარევენებელი, რომ ცხოვრობდა „ზანური“ მოსახლეობა, რომელიც „წავიდა“ და ტოპონიმამ შემოგვინახა მათი კვალი, უღონდ პატივცემული მეცნიერი, სამწუხაროდ, აღარ მიუთითებს ამ მოძრაობის დროს, როდის მოხდა ერთის „წასვლა“ და მეორის „მიო- ვლა.“ არც იმას, თუ რამ განაპირობა ასეთი „წასვლა“ და „მიოსვლა.“ ასე რომ, ჭობარეთის ეს ცნობილი ეტიმოლოგია გარკვეულ წინააღმდეგობებს შეიცავს და ჰიპოთეზის დონეზე რჩება.

დ) ჭობარეთის მოსახლეობა მე-16 საუკუნეში

მე-16 საუკუნეში ჭობარეთი 29 კომლიანი სოფელია. მოსახლეობის ეს რაოდენობა ჭობარეთს დიდ სოფლად წარმოაჩენს. ვიცით მაშინდელი ოჯახის უფროსები (ჯიქია, 1941:159-160). მოსახლეობა მთლიანად ქართულია. სახელები, როგორც მაშინდელ ყველა სოფელში, სხვადასხვაგვარი ჰქვიათ. ტრადიციული ქრისტიანული, აღმოსავლური, წიგნიერი თუ ხალხის მიერ შერქმეული მეტსახელი. მე-16 საუკუნის მეორე ნახევარს ასახავს მაშინდელი სოფლის ონომასტიკონი. ისეთი ტრადიციული მესხური სახელისა და მამის სახელის მქონე კაცს, როგორც ვარძელ მამუკას ძეა (შდრ. გვარები: ვარძელაშვილი, მამუკაშვილი) შეიღებისთვის დაურქმევია აბიათარ და აბისონ. ეს სახელები მაშინდელი მესხეთის სხვა სოფლებშიც ბევრს ჰქვია. ვარძელს ჰყავს ძმა ირაკლი (მესხეთსა და სრულიად საქართველოში გავრცელებული სახელი). ამიტომ აბიათარისა და აბისონის შესახებ სახელების მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ სხვა ეროვნებაზე. ისინი ჩვეულებრივი ჭობარელი ქართველები არიან. ასევეა თურქული სახელი ყარა, რომელიც შავს ნიშნავს და ფერის მიხედვით დარქმევია ხარებას შეიღს.

მესხეთში და განსაკუთრებით ურაველის ხეობაში პოპულარული იყო და არის ელიას კულტი, როგორც წარმართული ღვთაებისა და როგორც ქრისტიანული წინასწარმეტყველისა. იქვეა ანდრიაწმინდა-ანდას შორის ელიას მთა — ელიობა. ამავე არეალშია სოფელი ელიაწმინდა და ა.შ., ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმ დროის ჭობარეთში ოთხი ელიაა, მათ შორის ორ ძმას ჰქვია ეს სახელი: ელია კუპარასძე და ელია ძმა მისი. შეიძლება რომელიმე მათგანს ილია ერქვა, ელიას სეხნია სახელი და ოსმალო მოხელემ დააფიქსირა ასე. მესხეთში უკვე მე-9 საუკუნეში გეხედება კაცის სახელი ია. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ცნობილი პერსონაჟია იგი. ერთი ელია იას ძეა. ერთი ელიას მამას ბატატა ერქვა, ასევე გავრცელებული სახელი იმ დროინდელ მესხეთში.

ზოგიერთ ჭობარელს მშობლის ემოციები გამოუხატავს შეიღისთვის სახელის დარქმევის დროს. ცხოვრობდა ორი მახარებელი, ერთი — ზაქარას ძე და მეორე — გარსევანის ძმა. იმავე სიხარულთან, ხარებასთან არის დაკავშირებული უკვე მოხსენებული ყარას მამის სახელი — ხარება. გიორ-

ვის ჰყავს შვილი გათენა. მამას იმდენად გახარებია ვაჟის შეძენა, რომ გათენებასთან, სინათლესთან შეუდარებია იგი და სახელიც შესაბამისი შეურჩევია. ეს სახელი პოპულარული იყო საქართველოში. მისგან გვაქვს გვარები გათენაშვილი და გათენაძე (მაისურაძე, 1990:92). ემოციური სახელების რიგში დგება მე-16 საუკუნის შუა წლების ჭობარელთა სურვილი, შვილისთვის დაერქმიათ, ცხადია. 1595 წელს ცხოვრობდა გოგინა, რომელსაც ჰყავდა მამა ცხადია, გოგინას პაპის, როდესაც შვილი შესძენია, მისთვის სახელის დარქმევაში გამოუხატავს სიზმრიდან გამოფხიზლების მდგომარეობა. შეადარე „ცხადი — არა სიზმრიე“ (ს. ს. ორბელიანი). ამივე ცხად-ფუძიდან გვარებიც გვაქვს საქართველოში მიღებული: ცხადაძე, ცხადია, ცხადაშვილი, ცხადიაშვილი (ი. მაისურაძე) და სხვა. სენიას თავისი სიხარული შვილის დაბადებისას გამოუხატავს იმით, რომ მისთვის გულისადები დაურქმევია. მართალია იშვიათია, მაგრამ ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება ზმნური ფორმები ადამიანის სახელად. მაგალითად: არველოდი ან ველოდი, მინდოდა და ა.შ. ამ რიგისაა სახელი მანდო, რომელიც იმდენად ცნობილი ოჯახის უფროსი ყოფილა, რომ მისი შვილიშვილისთვის ოჯახის უფროსობა პაპის სახელობით გამოუხატავთ: მანდოს შვილიშვილი.

მაშინდელ ჭობარეთში წიგნიერი, აკადემიური სახელების (გიორგი, ირაკლი, იასონი, გარსევანი, გრიგოლი) გვერდით გვხვდება კნინობით-მოფერებითი ფორმის სახელებიც: დაეითა, საბია, პოპია, კოკოლა, გოგინა, ღვინია, ბატატა, კუპარა. თითოეული მათგანი გავრცელებული იყო დანარჩენ საქართველოში, ამიტომაც აისახა ქართულ გვარებში; დაეითა — დაეითაძე, დაეითაშვილი, დაეითაია, დაეითიანი; საბია — საბაური, საბიაშვილი, საბაძე. საბაშვილი: პოპია — პოპიაშვილი, პოპინაშვილი; კოკოლა — კოკოლაშვილი, კოკოლაძე, კოკოლია, კოკულიშვილი; გოგინა — გოგინიძე, გოგინაძე, გოგინაიშვილი, გოგინაშვილი და ა.შ.

ე) ჭობარეთელი თუ ჭობარელი

დღეს ხშირად ისმის ხოლმე კითხვა, რომელია სწორი ფორმა: ჭობარელი თუ ჭობარეთელი? ჭობარეთში არის -ეთ სუფიქსი, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს, ხოლო -ელ სუფიქსი გეინვენებს ადამიანის წარმომავლობას. ძველ ქართულში, როდესაც -ელი დაერთვოდა ადგილის სა-

ხელს, აუცილებლად სცილდებოდა -ეთ-ი, რაც დღესაც გრძელდება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შეიძლება არც ნამოსცილდეს. ამის შესახებ აკაკი შანიძე წერს: „იმ სახელებს, რომელთაც -ის და -ეთ სუფიქსი აქვთ, ძველად -ელ სუფიქსი დაერთოდა პირდაპირ ფუძეზე, რასაც რამდენადმე ახლაც აქვს ადგილი: წავეკ-ის-ი და შინდ-ის-ი სოფლებია თბილისის ახლოს (კოჯრის გზის მარჯვნივ და მარცხნივ); იქაური მცხოვრებლები ამბობენ, რომ ისინი არიან წავეკ-ელები და შინდ-ელ-ები (არა: წავეკისლები და შინდისლები), ამგვარადვე ურბნ-ის-ისგან (სოფელია ქართლში) დღესაც ურბნელს ამბობენ, ხოლო არად-ეთ-ისა და დუშ-ეთ-ისგან ადგილობრივ არად-ელი და დუშ-ელი ითქმის. კახ-ეთ-ისა და იმერ-ეთ-ისგან საყოველთაოდ ცნობილია: კახ-ელ-ი, იმერ-ელ-ი, მაგრამ ამჟამად მრავალ შემთხვევაში აღარ ხერხდება -ის და -ეთ სუფიქსების მოკვეცვა და -ელ -ის დართვა; ძველად თუ ამბობდნენ ტფილ-ელ-ი, ქუთათ-ელ-ი, მანგლ-ელ-ი, ბოლნ-ელ-ი, ტბ-ელ-ი და სხვ. ახლა სა-მაგიეროდ ვამბობთ: თბილისელი, ქუთაისელი, მანგლისელი, ბოლნისელი (შანიძე, 1973:127).“

ჭობარეთის შემთხვევაში სწორია და უნდა გაგრძელდეს უფროსი თაობის მეტყველებაში მიღებული ფორმა ჭობარელი. ასევე ჩამოსცილდება -ეთ სუფიქსი -ელ -ის დართვით ჯავახეთის სოფელ ბარალეთს და გვექნება ბარალელი (მხოლოდ ამ ფორმას ხმარობს ადგილობრივი მოსახლეობა).

მურჯახელია სწორი ფორმა და არა მურჯახეთელი; აზაერელი და არა აზაერეთელი; ბუზაველი და არა ბუზავეთელი. მუგარეთში მცხოვრები არის მუგარელი და არა მუგარეთელი.

მუგარეთში ჩამოსახლებული მოსახლეობაა, მათ არ დახვედრიათ ტრადიცია ამ სოფლიდან წარმომავლობის ფორმის წარმოებისა, როგორც ჭობარეთში, მაგრამ სწორი და მისაღები არის მუგარელი, თუმცა თუ დღევანდელი მცხოვრებლებისათვის არაკომფორტული იქნება ასეთი ფორმა, შეიძლება ვთქვათ მუგარეთელიც ისევე, როგორც საყუნეთელი, ქიქინეთელი, კახარეთელი და სხვ.

ჭობარეთელი ფორმა გეხედება დღეს ოფიციალურ მიმწერაში. ასეა ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაშიც: „28 აგვისტოს, მოდიოდა მარიაშობა, რომელსაც ჭობარეთელები სოფლიდან საკმაოდ დაშორებულ ნასოფლარს,“ საყვეარას

ეკლესიასთან იხდიდნენ (თორღია, 1990:132); „დღესთვის ჭობარეთელებს საყუევარში საზაფხულო საძოვრები და ფერმის დროებითი სადგომები აქვთ“. რაც არ შეიძლება, სწორი ფორმაა ჭობარელი!

საყუევარი

მე-16 საუკუნეში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში“ სოფელ ხიქიზასთან ნახსენებია სათესველი საყუევარი (ჯიქია, 1959:239).

„საყუევარი ურავლის ხეობის ერთერთი ულამაზესი კუთხეა. მდებარეობს ურავლის მარჯვენა შენაკადის მდინარე წყალწმინდის მარჯვენა მხარეს. სოფელ ჭობარეთისა და სოფელ ხეოთის სამხრეთით, დაახლოებით 15 კმ-ზე. საყუევარი და მისი მიმდებარე ტერიტორიები განლაგებულია ერუშეთის ქედის აღმოსავლეთით, ერთერთი მაღალი მთის — ირმისრქის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე. ეს ტერიტორია ოთხივე მხრიდან შემოზღუდულია მაღალი ტყით დაფარული მთებით. იგი წარმოადგენს მოვაკებულ ტაფობს და ქმნის საყუევრის მიკრორაიონს, სადაც განლაგებულია 15 ნასოფლარი“ (ივანიძე..., 2007:215).

ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ „დაეთრის“ მონაცემები დაგვედასტურებინა. საყუევარი სოფელი არ იყო მე-16 საუკუნეში. იგი იყო სათესველი. მართალია ერთ-ერთ ნასოფლარში დღეს წმინდა გიორგის სახელობის XI-XII საუკუნეების ეკლესიაა, მაგრამ ის რომ სოფელი ყოფილიყო, სოფლად აღწერდნენ ოსმალები, ნასოფლარს — ნასოფლარად. საყუევარი კი სათესველია.

სერგი მაკალათიას ჩაუწერია ცნობილი ხალხური მთქმელისა და მომღერლის ეთო დავლასერგიძისაგან გადმოცემა შოთა რუსთაველზე. შოთას მამის სიმდიდრის ხაზგასანმელად თქმულებაში ნათქვამია: „შემოდგომაზე ეს ცხვარი რომ წამოვიდოდა ჩახრახის მთიდან, მისი უკანა თავი იქნებოდა საყუევარში (აქ ძველი ნასახლარია, ახლა ჭობარლების იალღია), წინა თავი კი ჩამოდიოდა რუსთავეშიო (მანძილი მათ შორის იქნება 10 კილომეტრი) (მაკალათია, 1938:40).“ სათესველი საყუევარი, რომელიც მიკრო რაიონს წარმოადგენ-

და, ჭობარეთის იალაღად ქცევის შემდეგ გადადის ნასოფლარის სახელადაც და არა პირიქით. საყვეარის ეტიმოლოგია უკავშირდება ყვეარ ხარს: „სწორედ შორეული წარსულიდან მოდის სოფლის კონტაქტი მთასთან, რომელსაც ხალხმა საყვეარი უწოდა. ყვეარში კი ორი უღელი ხარი იგულისხმებოდა და იმდენად მაღალი მთა იყო გადმოსავლელი, რომ გლეხი ტვირთს ერთი უღელით ვერ ამოიტანდა; შესაძლებელია სახელი საყვეარი აქედან შეერქვა მთის საძოვრებს.“ (მოხევიშვილი, 1990:24).

ასევე ყვეარს უკავშირებენ საყვეარს (ივანიძე..., 2007:216-217). მართლაც „ყვეარი არს ორუღლეულიანი ჯარნი“ (ს. ს. ორბელიანი), მაგრამ საყვეარი საეჭვოა ადგილს შერქმეოდა ყვეარი ხარის გამო, რადგან საყვეარი ნიშნავდა მარხილის ხელნებს (ს. ს. ორბელიანი). სემანტიკური ომონიმია მეტად მონათესავე ხდებოდა (ხელნები, მარხილის დეტალი და ყვეარი ხარი).

საყვიარი ძველ ქართულში საყვირელს ნიშნავდა (ჯავახიშვილი, 1983:286) მინარეთს, მაგალითად, საყვიარს უწოდებდნენ ქართველები. ხომ არ შეიძლება ყვირილს დაუუკავშიროთ სიტყვის მნიშვნელობა?

საყვიარში გამოიყოფა ყივ-ფუძე, რომელიც გვაქვს სიტყვაში ყივილი — ჯმობა, ძახილი (ი. აბულაძე). ყივილი შეიძლება ყიას უკავშირდებოდეს (აღამიანის ორგანო), ასევე ენათესავება ყივილს ყვირილი, როგორც სემანტიკურად, ისე ფორმით. ყივ ძირი საერთო ქართველურია (ჩიქობავა, 1938:354). შდრ. (ფერნიხი, სარჯველაძე, 2000:540). მაშინ, როდესაც კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებანი არ იყო, მყვიარებს (ძველ ქართულში) და მყვირალებს (ახალ ქართულში) ჰქონდათ საყვიარი ადგილები, საიდანაც გასძახებდნენ შესაბამისი ხმის პატრონები საჭიროების შემთხვევაში. ამ ჩვეულებამ მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებამდე მოაღწია. მაგალითად: ასპინძაში ასეთი ადგილი იყო ასპინძის ციხის გაღაფანი, საიდანაც საკოლმეურნეო ინფორმაცია და შეკრების საჭიროების „ჯმობას“ გასძახოდა რომელიმე შესაბამისი ხმის მქონე ქალბატონი. გამოკასუხება აუცილებელი არ იყო, იმდენად „დახვეწილი“ ფორმით ავრცელებდნენ საჭირო ინფორმაციას. ყივილთან, ყვირილთან ბევრი ადგილის სახელია

დაკავშირებული საქართველოში, მაგალითად ცნობილი მდინარის სახელი ყვირილა დასავლეთ საქართველოში.

ჯავახეთში ერთ გვარს ყვირალიენტ ეძახიან. მათ ეს სახელი უაზრო ყვირილის გამო კი არ შეერქვათ, არამედ საჭირო ხმის გამო.

შეიძლება დღევანდელი საყვერის მიდამოებში საყვიარი ადგილი იყო, რომელმაც მოგვცა საყვეარი. საყვიარის მნიშვნელობა გაბუნდოვანდა და სახელის სემანტიკა ხალხმა დაუკავშირა ყვეარ ხარს.

ერკოტა და მისი შემოგარენი

სოფელი ერკოტა, რომელიც დღეს ნასოფლარია, მდებარეობს ერუშეთის მთიანეთის ფერდობებზე. მის გარშემო იყო შემდეგი სოფლები: ჩრდილოეთით – ვარნეთი, რომელიც აგრეთვე ნასოფლარია დღეს, დაცარიელდა იქიდან მაჰმადიანთა გადასახლების შემდეგ და ასპინძა. ჩრდილო-აღმოსავლეთით – ივერია, რომელიც არის აღდგენილი სოფელი და მდებარეობს ნასოფლარ ოსკერიის ტერიტორიაზე. თავად ოსკერია მტკვართან ახლო სოფელი იყო. აღმოსავლეთით სოფელს ესაზღვრებოდა სოფელი დაღეში და ნასოფლარი ძველი დაღეში. დღეისათვის დაღეშიც ნასოფლარია. დაღეშელები ჩავიდნენ აწყვიტაში საცხოვრებლად. ერკოტის დასავლეთით მოსაზღვრე სოფლებია ორგორა და საყუდაბელი. სამხრეთით ერკოტას ემიჯნება აგრეთვე ნასოფლარები ბერიები და ჭურა. სოფელი გაშენებული იყო მესხეთისათვის ტრადიციულ კლდოვან ადგილზე, რომელიც აგრეთვე მზისგულს წარმოადგენდა. ერკოტის სიძლიდრე მუდამ ტყე და წყალი იყო და არის. მრავალი დიდი და პატარა წყარო გამოდის ერკოტის მიდამოებში.

ნასოფლარის ცენტრში დგას ფერისცვალების ეკლესია. სოფელს ქონდა უბნები, რომლებშიც კომპაქტურად იყო დასახლებული გვარები. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ქურჭიინთ უბანი ერქვა. ქურჭიინი ტივაძეები იყვნენ. სადაც ცალქალამანიძეები ცხოვრობდნენ, ქურჩიანთ უბანი ერქვა, რადგან ცალქალამანიძეებს ქურჩიანთ იყვნენ მეტგეარად.

ერკოტაში ყველაზე დიდი გვარი ბერიძეთა გვარი იყო, ამიტომ მათი განაყრებით დასახლებულ უბნებს ასე ერქვათ: პალაჯიენტ უბანი (ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით); ყირათლიენტ უბანი, ყაყოონთ უბანი, გიგოლაანთ უბანი, სოსანაანთ უბანი, ალიკოონთ უბანი, კორკოტაანთ უბანი, პუშუტიენტ უბანი. პუშუტიენტო ალექსას ნათელმბრონობა პქონდა დადემელ ბერიძეებთან ოდითგანვე. ეს ოჯახი ცნობილი იყო მოტეხილობის მკურნალლობით და ხალიჩის ქსოვით. ბაღლონთ უბანი ხატიძეების უბანი იყო. ისინო სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ეკლესიის მოშორებით ცხოვრობდნენ.

საგვარეულო დაყოფის გარდა სოფელი იყოფოდა ზედა უბნად და ქვედა უბნად. ზედა უბანი ეკლესიის ზევით მდებარე უბანი იყო, ხოლო ქვედა უბანი ეკლესიის ქვევით მდებარე ნაწილს ერქვა. ქვედა უბანს პქონდა თავისი წყარო და მას ქვედა წყაროს ეძახდნენ. გამოდიოდა ადგილზე. ზედა უბანს პქონდა ზედა წყარო, რომელიც მთელი სოფლის წყაროც იყო. ის გამოდიოდა უკანხევში. სოფლიდან კაცი ჩამოდიოდა ხევში და მოდიოდა ზედა წყაროზე. ზედა და ქვედა წყაროების წინ ხის ავაზნები იდგა. სოფლის ერთი უბანი გამოიყოფოდა ქართლელას წყაროს გარშემო, მაგრამ მას ქართლელას წყაროს უბანი არ ერქვა, ის ზედა უბანში შედიოდა, შემდეგ გვარების მიხედვით ირჩეოდა. მესხეთის სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი გზაგასაყარზე ან ერთ გზაზე მდებარეობენ, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონტაქტებს მეზობელ სოფლებთან თუ კუთხეებთან. მართალია ხშირი იყო მტერთა თავდასხმა, მაგრამ სოფლის არსებობისათვის უფრო მნიშვნელოვანი სამეურნეო და სატრანსპორტო დანიშნულების საშუალებები – გზები იყო. მტერს ემალებოდნენ დარნებში, ან იცავდნენ თავს, იბრძოდნენ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა პქონდა ციხე-სიმაგრეებს და ქვაბ-სამალაევებს. ერკოტაში ციხე არ იდგა, სამაგიეროდ ცნობილი და მნიშვნელოვანი ციხეები იყო ვარნეთსა და ასპინძაში. ეს ციხეები წარმოადგენდა ერკოტელების იმედსაც. ერუშეთის მთიანეთის ფერდობები, რომლებიც ეშვებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მჭიდროდ იყო დასახლებული და დაკავშირებული ერთმანეთთან გზებით. ვახუშტი ბატონიშვილი ერკოტას არ აღწერს მაშინ, როდესაც დასახლებული და აღწერილია მისი სიახლოვის მნიშვნელოვანი პუნქტები და ხევ-ღელეები. მის გარშემო ცნობილი ცი-

ხე და მონასტერი იყო ვარნეთსა და დადუშში. ერკოტა სწორედ პირველ რიგში ამ სოფლებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული.

დადუშიდან ერკოტაში შემოდინდა ორი გზა. პირველი გზა მოდიოდა გადაკვეთილას გავლით, გაეიდოდა შუა სოფელში და ჩიტიწყაროსთან უერთდებოდა მეორე გზას, ასევე ძველი დადუშიდან მომავალს, რომელიც გამოივლის მელაჯვარას, ქვაბიძირს, საბადურს, გადადის სხალნარში. მეორე გზას აქვს განშტოება გზაგაიარას გზის სახით, რომელიც ძველი დადუშიდან მომავალი მელაჯვარას შემდეგ გაუხვევს მარცხნივ, ადის აღმართზე, უნაგირას ფერდობზე, გადადის უნაგირაზე, ასცდება სოფელს და გადის ბერიებში.

ასპინძიდან ორი გზა მოდიოდა. საურმე გზა მოდიოდა საქორისთავეების გავლით და უერთდება გადაკვეთილას გზას გადაკვეთილამდე გლერძნარას ტერიტორიაზე. ასპინძიდან ადიოდა საცალფეხო გზაც, რომელზეც მგზავრობდნენ ფეხით, ვირით, ცხენით. იგი ვარნეთის გავლით ადიოდა ერკოტაში. გაივლიდა წისქვილების ბაღს, ადის ჭალის ყანაში, ლომიასეულში და ერკოტაში. ერკოტა ვარნეთთან დაკავშირებული იყო სამარხილე გზით, ოღონდ ეს იყო გზა კვირაცხოველობის ეკლესიამდე. ეკლესიიდან შეიძლებოდა მოსულა ვარნეთში, საიდანაც ეკლესიის, ციხის მხრიდან შეიძლებოდა ასვლა ხარის საწოლში, შემდეგ გეალაში და ბოლოს ერკოტაში.

დადუშიდან და ვარნეთიდან მომავალი გზები იყრებოდა ინასათბიში, საიდანაც გადადიოდა სხალნარში და იყოფოდა რამდენიმე მიმართულებით: ჭურას გზა, ბერიების გზა და ზველ-ჭობარეთის გზა. ბუზმარეთისაკენ მიმავალი გზა გადის ბერიების ძირზე.

გზები მოსავლელად ძნელი იყო. ჩვენ არ შემოგვრჩენია ტრადიცია გზის გაყვანისა, მაგრამ აშკარად ემჩნევა, რომ გზას დაჰყვებოდა ნიაღვარიც ხოლმე, ნაღრმავდებოდა ესა თუ ის ადგილი, რომლის გაწმენდის შედეგად ამოსული ქვები წარიგდებოდა გზის პირებზე, რაც დღესაც მიგვანიშნებს გზების მიმართულებებს.

ერკოტის ხეობე 6 წისქვილი მუშაობდა, ისინი ხევის ჩაყოლებზე იყო ჩარიგებული. ინფორმატორთა ხსოვნაში ოთხი ეკუთვნოდა ჰალაჯიენტ (ბერიძე). ჰალაჯიენტ ოთხი ძმა ყოფილა: როსტომა, სიდორა, ვეგენა, თედორა (დოლოს

ეძახდნენ, ღოღოს მაღალს ეტყოდნენ, ყინულის ღოღოსავით წაგრძელებულს. მამამისს ერქვა და შვილზეც გადმოვიდა). ამ ქმებს ჰქონდათ თავიანთი წისქვილი. ამ ხევზე ორი წისქვილი ჰქონდათ ყურათლიენტ და სოსანიენტ (ბერიძეები).

ერკოტელებისათვის უმთავრესი საქმიანობა მესაქონლეობა იყო, რაც უკავშირდებოდა მათ გასელას ზაფხულობით მაღალ მთაში. ერკოტას ახლომახლო საძოვრები ზაფხულობით არ ჰყოფნიდა და სიცხეში უჭირდა საქონელს. ვიდრე ზაფხულში, აღკურ ზონაში ავიდოდნენ, სადაც ხე აღარ ხარობს, იენისის დასაწყისში პირველ მთად გადიოდნენ უნაგირაში, რომელიც განთქმული იყო საუკეთესო ბალახით. ამით საშემოდგომოდაც იზოგებოდა სოფლის გარშემო საძოვრების ბალახი. უნაგირაში კედლიანი, მიწური ბინები ჰქონდათ, როგორც ერკოტელებს ისე დადუმელებს. ასეც ეძახდნენ: ერკოტული ქოხები და დადუმური ქოხები. ეს მხოლოდ ქოხი არ იყო. შიგ ცხოვრობდნენ კიდევ, ინახავდნენ საკეებს, პროდუქტს, ხბორებისთვის ჰქონდათ სადგომი. საქონელთან ერთად პირველ მთად გაჰყავდათ ღორი და ქათამი. გადიოდა ყველა, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა. ზოგიც გაატანდა, მიაბარებდა საქონელს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ან მორიდდებოდნენ გადაზიდვაში, მწყემსობაში დახმარებაზე. მემთეული დიასახლისი მხოლოდ ყველ-ერბოს დამზადებით არ იყო დაკავებული. უნაგირაზე აგროვებდნენ თხილს, მავალს, პიტნას, ქონდარს. იყო ერთგვარი ბალახი, რომელსაც ჯონჯოლს ეძახდნენ და მწნილად დებდნენ. კეთდებოდა ტენილი ყველი ქოთნებში და გუდის ყველი. ტენილი ყველი კეთდებოდა ცხვრის რძით. პირველმთობას რჩებოდნენ ივლისის ბოლომდე, ვიდრე თოვლი ჩამოდნებოდა ზედა მთაზე. ხანდახან აგვისტოს ბოლომდე იყო სანამქრეში თოვლი.

უნაგირაზე ტოვებდნენ ბინებს, აიყრებოდნენ და ადიოდნენ ზედა მთაზე, ცხრაკენჭას ტერიტორიაზე, იქვე იყო პაკოსები, ბებრის კლდე და გვირგვინების დასავლეთი მხარე. ზედა მთაზე ერკოტელები რჩებოდნენ აგვისტოს ბოლომდე, ზოგჯერ სექტემბრის ნახევრამდე, ამინდის მიხედვით. აქ კეთდებოდა ზამთრის სარჩო-საბადებელი. მზადდებოდა მატყლიც. ცხვრის ერთი პარსეა ზედა მთაში ხდებოდა.

გადამწყვეტი იყო დიდოჯახიანობა, რაც მეტნი იყვნენ ოჯახის წევრები, მით მეტი დოვლათი იქმნებოდა. ხშირად ერთ ჭერქვეშ სამი ძმა ცხოვრობდა. ნაწილი მთად მიდიოდა,

ნაწილი კი სოფელში რჩებოდა, ხილისა და პურეულის მოსავალს პატრონობდა. დარჩენილები სოფელში მიწას უყლიდნენ, ბაღს, ყანას. ასევე რჩებოდა ოჯახის ისეთი წევრიც, რომელიც ყიდდა მოწეულ პროდუქტს, რომ საჭირო ნივთები და იარაღი შეეძინა. სოფელში რჩებოდნენ მოხუცებიც.

მე-16 საუკუნეში ერკოტა პატარა სოფელი იყო. ის სულ 6 კომლისაგან შედგებოდა. ვარძელ გიორგისძე, პაპუნა ბერისძე, სამადა იოსებისძე, იმარინდო ქეთხუდა – იასე, თაყა ბალიასძე და კვირიკას შვილიშვილი (ჯიქია, 1941:138) ესენი იყვნენ მაშინდელი ოჯახის უფროსები. ერთ-ერთი მათ შორის ბერისძეა. უკვე ამ დროს ბერიძეთა გვარი არსებობდა ერკოტაში და ცხოვრობდნენ ამ გვარის წარმომადგენლები.

ერკოტის დაცარიელება დაიწყო 1944 წლიდან, როდესაც მაჰმადიანები გაასახლეს მესხეთიდან. რაიონული ცენტრი, როგორც დღეს, იყო ასპინძა, რომლის ძირითადი მოსახლეობა მაჰმადიანი ქართველობა იყო. მათი გასახლების შემდეგ რაიონული ცენტრი, რომელიც ძირითადად ციხის გარშემო დასახლებას წარმოადგენდა და აქა-იქ გაჩნდა ახალი ტიპის შენობები ახალციხე-ახალქალაქის გზის გასწვრივ. 1944 წელს რამდენიმე ოჯახი ჩამოსახლდა ასპინძაში ერკოტიდან. ასეთი ბუნებრივი მიგრაცია გაგრძელდა 1947 წლამდე. შემდეგ შენერდა პროცესი და 1959-1961 წლებში ჩამოსახლეს მთელი მოსახლეობა. მათი ჩამოსახლება მოხდა ძირითადად ერთ უბნად მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ერეკლეს ნახიდართან. აქვე გაკეთდა ხიდი მტკვარზე.

ერკოტის ჩრდილოეთით იყო სოფელი ვარნეთი, რომელიც დღეს ნასოფლარია. იგი მდებარეობს ნასოფლარ კაკაველსა და ერკოტის მიწებს შორის. ერკოტის ხევი ჩაუეღის ვარნეთს აღმოსავლეთის მხრიდან. ვარნეთს ჰქონდა კვირაცხოველობის სახელობის ეკლესია და ვარნეთის ციხე. აქ მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ 1944 წლამდე. ალექსი ბერიძე მოგვითხრობს: „ერკოტასა და ვარნეთს ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ. მამაჩემს ილია ბერიძეს, რომელიც 1930 წელს დაქორწინდა, ძველი ტრადიციის მიხედვით, ნათელმირონად ვარნეთელი აბდულა ჰყავდა. ამათ გარდა კიდევ ორ ოჯახთან გექონდა ნათესაობა, ისინი ვარნეთის ზედა და ქვედა უბანში ცხოვრობდნენ.

1918 წელს, როდესაც გვარბევდნენ, ქვედაყარამ სამი ბაე-
ში შეიფარა: მამაჩემი (ილია ბერიძე), გიორგი ბერიძე (ჯაბ-
ლო) და ივლიანე, მამიდაჩემი. გაქცეული პაპაჩემი ზოვრეთ-
ში ხუციშვილებთან იყო შეფარებული. ექვსი თვის შემდეგ
პაპაჩემი ჩამოვიდა ვარნეთში და წაიყვანა ბაეშეები.

აბდულას მამა იყო მოლა. აბდულას ნათლიობა იმით გა-
მოიხატებოდა, რომ ქორწილში ნათლიის ადგილას იჯდა.
მართალია ბაეშეს არ ნათლაედა შემდეგ, რადგან მაჰმადიან-
ი იყო, დანარჩენ წესს – მისვლას, ნათლიის საჩუქარს,
ოჯახის ახლობლობას – ასრულებდა“.

ნათლიის აღმნიშვნელად იყო თურქული ტერმინი „ქირ-
ვა“. ასეთი ნათელმძრონობა ხდებოდა კათოლიკეებსა და
მართმადიდებლებს შორისაც. „ქირვა“ შემოიღეს იმისათვის,
რომ ქართული „ნათლია“ გამოხატავდა ნათელმძრონობას
მართლმადიდებლებს შორის.

ვარნეთში მცხოვრებთა ძირითადი შტო იყო მახარაანნი,
როგორც ზანდარაანი (ბერიძეები) ერკოტაში.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ვარნეთელი ახმედ დროდ-
ვან-ოღლი უსეინოვისაგან ჩაწერილი მაქვს ტოპონიმები,
რომლების ადგილ-მდებარეობა, სამწუხაროდ, არ მიმითითე-
ბია. ამავე ტოპონიმებში შერეულია ზემოთშორის საკუთარი
სახელები, მაგრამ მათ მაინც მოვიყვან, რადგან ეს არის ის-
ტორიული ფაქტი. აი, ეს სახელები: დაღეწილები, ტიბეთი,
საბანიებელი, ფერსათხევი, საგაროვი, კაცკალია, ჯოყოფი,
ტიტელი, დუბე, კეტალია, ერბოყანა, მეისი, ჭანჭურაყანა,
კიბია, კაკაველი, ოღიაური, საბიეი, ხუცური, ნალეკი, თავნე-
ბი, სხანარი (მ. ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ფესვები და
დღევანდელი, 2009წ. გვ.12). თავისი სტრუქტურითა და სე-
მანტიკით არაფრით გამოირჩევა ჩამოთვლილი სახელები
მესხეთის სხვა ტოპონიმთაგან.

ვარნეთსა და ერკოტას ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომი-
კური, მეზობლური, ტერიტორიული კავშირი ჰქონდათ.

უნაგირას მთას აქვს მწვერვალი, რომელზეც დგას სამ-
ლოცველო, მას ამდღეობას ეძახიან. ამ მთას ერკოტელები
უწოდებენ ზიარეთს და სადღესასწაულოდ ადიან ამდღე-
ბას. ერკოტელებთან ერთად ზიარეთს დადიოდნენ დაღეშე-
ლები და ვარნეთელებიც, რომლებიც ანთებდნენ სანთელს
და ქეიფობდნენ. ინფორმატორთა ნაწილი ვარნეთელთა მო-
ნაწილეობას არ ადასტურებს.

ნასოფლარ როკეთის დასაველეთით არის მაღალი მთა, მის წვერზეც არის სალოცავი. ამ მთას სოფლები ამადლები მთასაც ეძახიან. ასე ეძახიან მთას მტკვრის მარცხენა ნაპირის მცხოვრებნი, ხოლო გაღმელი, მარჯვენა ნაპირის სოფლები: ხიზაბაერა და სარო, საკვირიკეს ეტყვიან. ორივე ზიარეთზე სალოცავად ამადლებას ადიოდნენ. როკეთელებთან ერთად ქუნცელები და აწყვიტელები.

გავეთის დასაველეთით მთას ქველ რუსულ რუკებზე დიდი ზიარეთი ჰქვია. ის ერუშეთის ერთ-ერთი მწვერვალია.

ვალის საბაქოს ჩრდილო-დასაველეთით ნასოფლარ მარელთან და ხენასთან არის ეკლესია, მთას ზიარეთი ჰქვია.

ერკოტა-დადეშის ზიარეთზე, ვიდრე წვერზე ავალოთ, 50 მეტრით დაბლა არის წყარო, რომელსაც უნაგირას წყარო ჰქვია. ასევე არის წყარო როკეთის ზიარეთზე და მას ზიარეთის წყაროს ეძახიან. ზიარეთზე ერკოტის მხარეს არის ქველი გზა, რომელიც იწყება უნაგირას ჭალებიდან და ხადის დადეშში ჩრილოეთიდან. ამ გზას გზაგაიარა ჰქვია.

ზიარეთის ფერდი, რომელიც დასცქერის ასპინძას, არის ტალაგვერდი. ერკოტის მხარე – გზაგაიარა, ხოლო ბერიების მხარე – უნაგირა.

ერთმანეთისაგან გასარჩევად იხმარება ერკოტა-დადეშის ზიარეთი და როკეთის ზიარეთი. ასევე შეიძლება ვთქვათ გავეთის დიდი ზიარეთი.

ზიარეთი არაბული წარმოშობის სიტყვაა და წმინდა ადგილს, სალოცავს ნიშნავს. იგი შემოვიდა მესხურ დიალექტში და მის დამკვიდრებას ხელი შეუწყო – ეთ დაბოლოებამ და ზიარ – ფუძის ქართულად გააზრებამ, დაუკავშირდა ზიარებას, ქართულ საწყისს. ზიარეთი შეიძლება ნებისმიერი რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ერკოტისა და როკეთის ზიარეთებზე ამადლებას ადიოდნენ სალოცავად, მას ამადლებასაც ეძახიან. რადგან სარო-ხიზაბაერა საკვირიკეს უწოდებს, ეს უკვე გეოგრაფიკრებიანებს, რომ ზიარეთი ერთ რომელიმე რელიგიურ დღესასწაულს არ აღნიშნავდა. ამის მაჩვენებელია ზიარეთების სიმრავლეც.

ნასოფლარ ერკოტიდან სამხრეთით, დაახლოებით 4 კმ. მანძილზე, ნასოფლარ ბერიებიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, ნასახლარების კვალი დღესაც ეტყობა. ეს არის ერკოტელების ჭურა, არის მეორე ჭურაც, ოღონდ ის იყო

ზეველულების ტერიტორიაზე. ძირითადი მაინც ერკოტისა ჩანს, რადგან აქ არის ნაეკლესიარიც. ერკოტელები მას ჭურას ეკლესიას ეძახიან. ის იყო წმინდა ელიას სახელობისა, რადგან აქ ტრადიციულად ელიობას, 2 აგვისტოს გადიოდნენ და კლავდნენ საკლავს. ალბათ ამის გამო იყო, რომ ეკლესიას სატიკნესაც ეძახდნენ. ჭურა ნასოფლარის გარდა კქეია ვრცელ ტერიტორიას. მთავარი ამ მიდამოებში არის ჭურას ტბა, რომელიც 5000 მ² ფართობისა იქნება. ტბა დაჭაობებულია, ალაგ-ალაგ ბელტებივით ამოსულია ჭილი, ტბის მცენარე. ტბაში თევზი არ იცის, ზამთარ-ზაფხულს ბუდობს იხვი. ჭურას ტბას, მას შემდეგ, რაც ერკოტა ასპინძაში ჩამოსახლდა, ერკოტის ტბასაც ეძახიან. ბოლო დროს ტბაში გაუშვეს და მოამრავლეს თევზი კარასი. ნასოფლარები ჭურას ტბის გარშემოა. აქვეა ჭურას ჭალები, ჭურას ყანები და სხვა. სანამ ერკოტიდან ჭურაში ახვალთ არის სხალნარი და პანტები. აქვეა გვალტყე „ზედაი და ქვედაი“. გვალტყეს რგვალტყესაც ეძახიან. ზედა გვალტყესა და ქვედა გვალტყეს შორის, შუაში, გადის გზა, რომელიც ზველ-ჭობარეთისაკენ მიდის. ეს ტყე თითქოს ხელით არის ნაშენები, სინამდვილეში ის ბუნებრივი ტყეა. ჭურას ტბის დასავლეთით არის ნასოფლარი აბრამას თავი. ჭურასკენ მიდის ერთი საურმე გზა ბერიებიდან, იეორე ადის სხალნარიდან, სადაც გამოქვაბულებიც არის.

ჭურას ტბა ხელოვნურია, დაბეჯითებით ამტკიცებს აღექსი ბერიძე, 71 წლისა. თან ეს ტბა არ იყო ერთი სოფლისა. ის იყო ერკოტის, დადემისა და ვარნეთისა. ზველულებსაც ამოჰყავდათ საქონელი წყლის სასმელად. მისივე აზრით, ტბაში არხით შემოდინოდა წყალი, რომელსაც სათავე ქონდა ცხრაკენჭას წყაროზე, გამოივლიდა ხევიჭალას, შეიერთებდა წვრილ-წვრილ წყაროებს (ერთი მათ შორის იყო გეჯას წყარო) და შემოდინოდა ტბაში. ტბას ორი მეტრის სიღრმე აქვს. საგუბარისთვის გაკეთებულია ორმხრივი ყორე. შუაში ჩაყრილია მიწა და ასეა დაგუბებული წყალი. ტბას იყენებდნენ ზაფხულობით საქონლის დასაწყურებლად დადეშელები, ერკოტელები, ვარნეთელები და ზველულები. ა. ბერიძე შემსწრვა დადეშელი ივანიძისა და ერკოტელი ბერიძის დიალოგს, როდესაც ბერიძე საყუდურობდა ივანიძეს, რატომ მოგყავს საქონელი წყლის სასმელადო, ივანიძემ უთხრა: შენი კი არ არის ეს ტბა, პაპანემის გაკე-

თებუღლიაო. მასვე ახსოვს დაახლოებით 1957-1958 წლებში როგორ აიყვანეს ტრაქტორი ერკოტიდან ჭურაში. ტრაქტორი მეტრზე ხნაედა მიწას. ჭურას ტბის დასავლეთით იყო ნაყანევი ადგილი, ყორე-ქვით შემოსასაღერული. ტრაქტორმა რომ მიწა გადააბრუნა, ამოყარა ქვევრები და თონეები თიხისგან დამზადებული. ქვევრებსა და თონეს ორნამენტები ჰქონია. ნატეხები თავადაც წამოუღია ინფორმატორს, ამიტომაც აცხადებენ ადგილობრივები, რომ „რატომ ჰქვია ჭურა, არ ვიცით, მაგრამ ჭურები რომ ამოყარეს, ვიცით“. ჭურაში ერთგვარი ყაყაო ხარობს, რომელსაც ჭურას ყაყაოს ეძახიან.

ტყეს უფრთხილდებოდა გლეხი კაცი, სოფელელები ტყეს, როდესაც გაჩეხავდნენ და ყანას გააკეთებდნენ ახო ჰქვია, მაგრამ ტყე იჩეხებოდა სხვა დანიშნულებითაც: საწეაყად, სამშენებლოდ.

გაჩეხვის გარდა რგავდნენ კიდევ ტყეს. ფიჭვნარის დარგვა სატყეოების დროს მოხდა. ფიჭვნარი ტყე დაირგო ჯავახეთში და ბევრ სხვა კუთხეში. კომუნისტებამდე სოფელი ძირითადად რგავდა მუხას და პანტას. ორივეს იყენებდნენ შემდეგ, პანტას – სამკურნალოდ და ჩირად, ხოლო რკოს – ღორისა და საქონლის საჭმელად. ამიტომ ეს ხეები განსაკუთრებით ფასობდა, თანაც უფრო ძნელად ხარობდა და ყურადღება სჭირდებოდა.

აგარლები ერკოტის ტყით ყოველთვის სარგებლობდნენ. მათ აკაუშირებდათ, მართალია, შორი, მაგრამ კარგი საურმე გზა, რომელიც გადმოდიოდა ლებისის და ბუზმარეთის მხრიდან გრძელი ჭალით. აგარა ნიალის ველზე, ვარძიის თავზე მდებარე სოფელი იყო, რომელიც დღეს ნასოფლარია.

ტოპონიმიში არ ასახულა ეს ინტენსიური ურთიერთობა აგარლებისა ერკოტის ტყესთან. ერკოტელთა ხსოვნაში არის გადმოცემა, რომ აგარლები გადმოვიდნენ დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლოსა და ერთი ადგილი გაჩეხეს პირწმინდად. ეს არის ადგილი, რომელიც მდებარეობს ერკოტიდან მიმავალი გზის ხელმარცხნივ, ვიდრე ჭურაში ავალთ. ფართობი პატარაა, დაახლოებით ერთი ჰექტარი, მაგრამ ტყე რადგან გაჩეხა პირწმინდად და არა შერჩევით, ამიტომაც დაერქვა აგარული ნაჩეხი.

საბადურის გაყოლებაზე, დაღეშის მხარეს, ტყის ერთ ნაწილს ეძახიან ახორტყეს. ახორტყის პირში, ნაფუზარში იყო კალოები. აქ რომ კალო იღეწებოდა დღესაც ახსოვთ. ინ-

ფორმატორთა ცნობით ახორტყე დაკავშირებული იყო კალმებთან. „ეს ტყე ისეთი იყო, რომ კალოს მოღვეწვის დროს საღამოს მეხრე ხარს არეკავდა ახორტყეში, ახლო იყო და დილით ისევე მორეკავდა კალოზე. ახორტყეში ღამეს ათევედა ნამუშევარი საქონელი. იქ უყარა სხვა საქონელიც, თითქოს ბოსელში იყო, როგორც ერკოტელები ბოსელს უწოდებდნენ, ახორში. ახორტყეში ადრე იყო პანტის, მუხის, არყის, რცხილის, თხილის, ნეკერჩხლის, ვერხეის ხეები, ხარობდა ასკილიც. თავდაპირველად მხოლოდ ფოთლოვანი ტყე იყო, რომელიც გაძმესხერდა, გაიჩეხა, რადგან მას ერკოტელებთან ერთად დადევნებელიც ხმარობდნენ. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში სატყეო მფურნეობამ გააშენა წიწვოვანი ტყე. შეიძლება თავიდან იყო ახლო ტყე (აღექსი ბერიძე)“. სოფლის დანარჩენი ნახირი აქ არ შედიოდა, მხოლოდ კალოს ღვეწის დროს იყენებდნენ ამ ტყეს. ახორტყეში ბევრი კურდღელი იცოდა.

„ისეთი სქელი ტყე ყოფილა, რომ ვერ გაივლიდი შიგ. ახორტყიდან მოიპარეს 150 სული ხარი და თურქეთში გადარეკეს. წიწვიანი ტყე ძირითადად ვარნეთელებმა გააშენეს. პირველი ტყე მტრებმა გადაწვა. ხარი აქ ეყრებოდა, ვიდრე ტყე გაშენდებოდა (ელგუჯა ბერიძე)“.

სახელის სემანტიკა დაკავშირებული შეიძლება იყოს, როგორც ახორთან, ისე ახოსთან.

აშკარაა, რომ ეს ადგილი გამოიყენებოდა ახორად (ბოსელი) და ასევე შესაძლებელია, გაჩეხილი ტყეც იყო თავის დროზე, რომელიც გამოიყენეს საყანედ. ტყე აქ გვიან გაშენებული ჩანს. ძველი კი „გადაწვეს“, იქნებ სწორედაც საყანედ გაიჩეხა. ამ ორი მსგავსი ფორმისა და სხვადასხვა შინაარსის სიტყვა გადაეჯაჭვა ერთმანეთს.

ბერიები/ბერია ცნობილი ნასოფლარია ერკოტაში. მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, უნაგირას მთის გადაღმა. უნაგირას და ბერიებს შორის ჩადის გრძელიჭალის წყალი. აქვე გადის ბუზმარეთისკენ მიმავალი გზა, რომელსაც ბუზმარეთის გზა ჰქვია. ბერიების გარშემო ტყეს ჰქვია ერკოტის ტყე. ნასოფლარს ჰქონდა თავისი ტერიტორიები, რომელიც ეკუთვნოდა მას, როდესაც სოფელი ცოცხლობდა. მისი ჩრდილოეთის საზღვარი იყო სხალნარი, გრძელიჭალის წყლის გაყოლება. ბერიებსა და სხალნარს შორის არის პატარა ნასოფლარი ხატმანაშენი, სადაც ორი

საცხოვრისის კვალი ეძინევა. შემორჩენილია დიდი ლოდების კედლები. ეტყობა ადვილად წასაღები ქვა წაიღეს. ერკოტიდან მომავალი გზა ადის ინასათიბში, გადაკვეთს მას და გადადის სხალნარში, სადაც იყოფა სამ ნაწილად: ერთი მიდის ბერიაში, მეორე — ჭურაში, მესამე — ზველ-ჭობარეთისკენ ყანისის გავლით. შესაბამისად ჰქვიათ: ბერიების გზა, ჭურას გზა და ზველის ან ჭობარეთის გზა.

ბერიებს სახნავ-სათესი მიწები ჰქონია ერკოტის მხარეს თავისივე ტერიტორიაზე, რომელსაც ლოდის ყანებს ეძახიან. რადგან დიდი ლოდები ჰყრია. ნასოფლარის ზემოთ, ჭურას მხარეს არის ჭალა, სათიბები. ნასოფლარში გამოდის წყარო, რომელსაც სათუთას წყარო ჰქვია.

ტრადიციის მიხედვით ბერიძეები წამოსულები არიან ბერიებიდან და ჩასახლებულან დადუშა და ერკოტაში. დადუშში ჩასახლებული ბერიძეები ბერიებში ფლობდნენ მიწებს ისევე, როგორც ერკოტელები. ერკოტამ და დადუშმა გაინაწილეს ბერიების მიწები, თუმცა დღეს ეს ორი სოფელიც ნასოფლარია მხოლოდ. ალექსი ბერიძის თქმით, სოფლის სახელი იყო ბერია, ხოლო ბერიები არის მოელი ტერიტორია, რომელიც სოფლისა იყო. „ჩემს ბავშვობაში პატარა ნაეკლესიარიც იყო ნასოფლარში. ასპინძაში რომ მშენებლობები დაიწყო, ვიღაცამ გამოზიდა ქვები. ნასოფლარის ქვემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით არის დეღე, რომლის პირზეა პატარა გორა, იქ იყო ისეთი სასაფლაო, როგორც არის ერკოტაში, პატარა გორა რომ ჰქვია, ის არის სოფლის ყველაზე ძველი სასაფლაო“.

სოფლის დაცლა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა (ომიანობა, მკაცრი ჰავა...), აშკარად ეტყობა, რომ დეღე, რომელსაც ჰქვია კვარანთა ხევი//კორანთახევი, ერთ დროს არ მიდიოდა იმ მიმართულებით, საითაც დღეს მიდის. იწყება გრძელი ჭალიდან, ჩამოდის როკეთსა და აწყვიტას შუა, ჩადის ქუნცის ტერიტორიაზე, სადაც ქარნიოტას დეღე ჰქვია და უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან. როცა არსებობდა სოფელი, იყენებდა ამ წყალს. ჩაიჭრა კვარანთახევი ბუნებრივად, ჩაღრმავდა, დაბლა ჩაყარდა დეღე, სოფელს ასცდა წყალი და მას ვეღარ იყენებდნენ. გრძელი ჭალიდან გაჰყავდათ და ძველ დადუშს რწყავდნენ ამ წყლით.

ბერიებს ჩაუდის მეორე ხევი, რომელიც სათავეს იღებს სხალნარიდან, გაივლის ბერიებს, თორნეულს, თორნეულის

ქვემოთ 500-600 მეტრში უერთდება მას ყანისის ხევი, ჩადის ორგორა-საყუდაბელს შორის და ახალციხიდან ასპინძისკენ მიმავალ გზაზე ქორეთის შემდეგ უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.

ბერიებში შედიოდა ტერიტორიულად და, ამას სახელიც ადასტურებს, ბერიმზიგული. მას ბერიების მზისგულსაც უწოდებენ. იგი არის ბერიების საპირისპირო მხარეს უნაგორას დასავლეთით ფერდი, რომელიც გადაჰყურებს ბერიას. ეს ფერდი საძოვარია, თუმცა ეტყობა, რომ ერთი პატარა ყანაც ყოფილა ოდესღაც, არის მენხური ტყეც. მზიგული ჰქვია, რადგან მზიანი ადგილია. შუადღის მერე მზე რომ გადაიწვეს, სადილობის შემდეგ, მთელი დღე უყურებს ამ ფერდობს. ბერიმზიგულზე (ბერიებიმზიგულზე) ნოყიერი ბალახი იცის. ყველას უნდოდა, რომ საქონელი აქ ეძოვებინა.

ბერიმზიგულში იყო კარგი სოკოს ადგილები. ნახევარძოვარისებურად იზრდებოდა მკვეთრი, ხასხასა, მწვანე ფერის ბალახი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ნაწვიმარზე, როგორც კი მზე გამოვიდოდა, აქ ქამა სოკო გაჩნდებოდა. იყო გუდაფშუტაც, მაგრამ ძირითადად საუკეთესო ქამა იზრდებოდა. რამდენიმე წელიწადში ეს ბალახი დაიკარგებოდა, ე. ი. სოკოც აღარ მოდიოდა, მაგრამ მერე სხვაგან გაჩნდებოდა და ა. შ. ბერიებს ჰქონდა ბერიებიბოლო, ადგილი, საძოვარი, რომელიც მდებარეობს ნასოფლარის ჩრდილო-დასავლეთით ბერიების ყოფილ ტერიტორიასა და სხალნარს შორის. ბერიების ტყე ერქვა ტყეს, რომელიც ესაზღვრებოდა ერკოტის ტყეს.

სახელის ფუძე, მიუხედავად იმისა, რომ დასტურდება ბერია ფორმა, უნდა იყოს ბერა. აქედან გამომდინარე ლოგიკურია მესხურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი: ბერა-ები → ბერიები.

ბერა სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით არის „შუა გასავალი. ბერა ეწოდების, ორთა მკარესა შეჰკერენ და საშუალს კართა გასავალთა უზმენ მეწველთა ცხოვართათვის, გინა მსგავსად მისსა რასამესთვის გასატარებლად (ორბელიანი, 1985:105).“

მესხეთში სულხან-საბასეული განმარტებით ბერა დღესაც არსებობს. ბერაში დაჯდება ერთი კაცი, რომელიც იჭერს ორ ცხვარს, ხოლო ორიც დაჭერილ ცხვრებს წვე-

ლის. ბერაში ცხვარს ატარებენ მოსაწველად. ბერის ეს მნიშვნელობა გაფართოვდა და ეწოდება არა მხოლოდ „შუა გასაეაღს“, არამედ იმ შემოღობილ ბაკსაც, სადაც შერეკილია ცხვარი. ცხვრის გარდა, ადგილი, სადაც საქონელი ებმებოდა კოლექტივის დროს და იწველებოდა, ბერა იყო.

ბერას ეს მნიშვნელობა ცნობილია სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, რასაც „ქართული ენის განმარტბითი ლექსიკონი“ ადასტურებს: 1) მოზღუდულში დატოვებული ვიწრო გასავალი (ჩვეულებრივ ცხვრის სათელელად და საწველად). ბერაში წველა – ბაკში დამწყვედელი ცხვრის თითო-თითოდ გატარება ბერაში და რიგრიგობით მოწყველა. 2) ძვ. მრავალთაგანზე აღმართული და გადაჯვარედინებული იარაღი (ხმალი, შუბი...), რომლის ქვეშაც გაატარებდნენ ხოლმე დამარცხებულ, ტყვედ ჩაგდებულ მტერს. ბერაში გატარება – გადატ. უისიმე დამარცხება, ან დაშინება და შერცხვენა (ქ ე გ ლ, I, 1950:1033).

ბერიები არ დასტურდება არც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ და არც ვახუშტისთან. სავარაუდოა, რომ ის იყო დადუშისა და ერკოტის მთა, სადაც საზაფხულოდ ადიოღნენ და შემდეგ იქცა დასახლებულ პუნქტად ისევე, როგორც გოგაშენი, რომელიც თავდაპირველად ჭაჭკრის „სათესველი“ იყო, ხოლო შემდეგ იქცა სოფლად და ჭაჭკარი კი „ბაღებად“ (იხ. ბერიძე, 2008:261).

„სერაპიონ ზარხმელის ცხოვრებაში“ დასტურდება ადგილის სახელად ბერას ჯუარი, რომელიც სამცხეში მომავალ გზაზეა: „ხოლო წარმოემართნეს რაჲ მათი თანა ეტურთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისაჲ თანა-შემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა. ხოლო სღეასა მას მთასა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მთასა მას, რომელსა ბერას ჯუარ ეწოდების (ვაჩნაძე, 1975:156)“.

ერკოტა და ბერიები ერუშეთის მთებში მდებარე ნასოფლარებია. ჯვარ-კომპონენტისანი კომპოზოტური ტოპონიმები ან წარმოქმნილი სახელები ამ რეგიონში ბევრი გვხვდება. ბერას, ბერიასა და ბერიებს შორის ურთიერთობა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. მესხეთის ტოპონიმიაში სოფლის სახელი, რომ მრავლობითში გექონდეს, ასეთი რამ არ ხდება. არა გვაქვს და არც შეიძლება იყოს ერკოტა და ერკოტები, დადუში და დადუშები, მაგრამ თუ იქნება ესა თუ

ის სოფელი მსახლერელთან ერთად, კერძოდ: დიდი, პატარა, გაღმა, ზემო, ქვემო და ა. შ. შესაძლებელია მათი მრავლობით რიცხვში მოხსენიება. ვთქვათ, ცნობილი ფაქტი, განძა და განძანი, ფოკა და ფოკანი.

ერკოტაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სახელი შეიძლება შეგვეხედეს მხოლოდობითშიც და მრავლობითშიც, ოღონდ ეს არ ეხება ორონიმიას. მაგალითად: გვირგვინი და გვირგვინები, ბერბუკი და ბერბუკები და ა. შ. ამ შემთხვევაში რეალურ სიმრავლესთან გვაქვს საქმე. იგულისხმება ადგილი, მისი სახელი მხოლოდობით რიცხვში და მის გარშემო ტერიტორიები – ყანები, ჭალები და სხვა. ბერია არის სოფლის სახელი, ხოლო ბერიები – მის გარშემო ტერიტორიები, ჭალები, ველ-მინდვრები და სხვა. ბერია//ბერა ინარჩუნებდა შინაარსის გაგებას („შუაგასავალი“), რამაც განაპირობა ორონიმის და რეალური მრავლობითის გამოხატვა ერთი ფუძით.

ერკოტაში გოლგოთი იქცა გეოგრაფიულ ტერმინად. იგი იხმარება გორის, ბორცვის სინონიმად.

გოლგოთის ტიპური ნიმუშია, მაგალითად, ახალციხიდან ასპინძისკენ მიმავალი გზის მონაკვეთზე რუსთავის გაღმა, მტკერის მარცხენა ნაპირზე, სანდროშვილების მიერ აშენებული ქვის თაფზე, ნასოფლარ პატრაშენის აღმოსავლეთით მთებში გამორჩეული მცირე მთა, ბორცვი, რომელსაც შეიძლება ეწოდოთ გოლგოთი. ერკოტაშიც იყო მსგავსი გოლგოთები. მელაჯვარასთან იყო ამდღეობული ბორცვი, ეძახდნენ გოლგოთს, ასევე გოლგოთია ქედქედასთან, ასევე ბერიმზიგულის აღმოსავლეთით არის ბორცვი, რომელსაც გოლგოთი ჰქვია. „ერთმანეთისგან გასარჩევად იტყოდნენ, მაგალითად: მელაჯვარასთან გოლგოთზე შეინახე უღელი, ან – საქონელი დაეცა ბერიმზიგულის გოლგოთზე, მეხი ჩამოვარდნილა ქეთქეთას გოლგოთზე. მიუხედავად იმისა, რომ „ქეთქეთა თაყად ქედი და ქედი იყო, ერთ შემადღებულ ადგილსაც გოლგოთი ერქვა (აღექსი ბერიძე)“.

აშკარაა, რომ საქმე გვაქვს სახარებისეულ ტერმინთან. გოლგოთა ძვ. ებრაული სახელია და „თავის ქალას“ ნიშნავს. იგი იყო „ბორცვი იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც უძველესი დროიდან სიკვდილით სჯიდნენ დამნაშავეებს. ამ ბორცვზე ჯვარს აცვეს იესო ქრისტე (ს.მ.ე.ლ. 2007:213)“.

საქართველოში იერუსალიმური ტოპონიმია ბევრი მოგვეპოვება. მცხეთა, ქართული იერუსალიმი, მოქცეულია იერუსალიმური ტოპონიმის ცენტრში, თაბორი, ბეთლემი, გეთსამანია და სხვანი გარს აკრავს საქართველოს ძველ დედაქალაქს (კეკელიძე, 1957:363; მახარაძე, 1995). მსგავსი შემთხვევები გვაქვს მესხეთის ტოპონიმიაშიც.

გოლგოთა გეხედება ადგილის სახელად, კერძოდ, არის „მთა მცხეთის პირდაპირ და არაგვის შესაყართან და ეკლესია, რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი ამ მთასზე, ჯვარის ტაძრის ჩრდილოეთით. მთამ და მასზე აგებულმა ეკლესიამ სახელწოდება მიიღო იერუსალიმის „გოლგოთის“ მიბაძვით...

გოლგოთის მონასტერი ყოფილა აგრეთვე ქართლშიც სამთაფნელის სამწყსოში (ს.მ. ე. ელ., 2007:213)“.

ს. მელიქიძეს გამოყოფილი აქვს გოლგოთაში –თა დაბოლოება (მელიქიძე, 2007:6). ეს გამოყოფა საეჭვო ჩანს, რადგან გოლგოთი, ქედი, როგორც შეტანილია დექსიკონში (მელიქიძე, 2007:42) ამ გამოყოფის საფუძველს არ იძლევა. ეტყობა ესეც ჩვეულებრივი იერუსალიმური ტოპონიმია მცხეთის სიახლოვეს.

ერკოტის გოლგოთები საინტერესოა იმით, რომ არ არის ეკლესიონიმები. იგი შემოვიდა როგორც გეოგრაფიული ტერმინი და ასე დაერქვა ადგილს.

გოლგოთი გავრცელებული სახელი ჩანს საქართველოს ტოპონიმიაში, გარდა მცხეთისა სხვაგანაც გეხედება ამ სახელის ადგილები. უმანგ სახლთხუციშვილს საგარეჯოში ჩაწერილი აქვს გოლგოთები, რომელიც ყოფილა „მთაგორიანი ადგილი საგარეჯოს სამხრეთ ნაწილში, იერის მეორე მხარეს. აქ აშენდა პიდრომელიორაციის ტექნიკუმი“.

ქართულ ენაში გოლგოთა შემოსულია თავისი პირვანდელი მნიშვნელობითაც და გადატანითი მნიშვნელობითაც „მძიმე , ძნელი გზაა, ტანჯვის გზა (ქ.ე.გ.ლ., 1951:1469)“. კიდევ უფრო გააღიტირატურულეს გოლგოთა ერკოტელებმა. სიტყვის ბოლოკიდური – ა გაგებული იქნა კინიობითობის მაწარმოებლად და ჩამოსცილდა, ამიტომაც გვაქვს გოლგოთი და არა გოლგოთა.

ნასოფლარ ერკოტის სამხრეთით ჩიტიწყაროს გვერდით არის ტყე, რომელსაც საბადურს უწოდებენ. ერკოტელი იოსებ ბერიძის (71 წლის) თქმით სოფელში ჰყვებოდნენ ერთ

ამბავს: „ერკოტელი ქიტესა ბერიძე იყო, ვაჟაკი კაცი, გააფრთხილეს, თათრები მოდიანო. დიეცემიან მოღრეკილას (ნასოფლარია დღეს). ამბავი მოხუც ქალმა მოუტანათ, ქალი შეუსყიდიათ, რომ შენ გამოიყვან გოგოს ჩიტიწყაროზე, საბადურიდან დახურულია და არ ჩანს დამალულები. ქიტესა გაათხრევიანანს იამას, თოფებს ჩააწყობს, ესერის და ჩახოცაეს თათრებს“. საბადური ტყიანი, „დახურული“ ადგილია, ჩიტიწყარო კი, როცა წვიმიანია, მაშინ გამოდის. მოღრეკილას აღმოსავლეთით არის ჩიტიწყაროც და საბადურიც. ჩიტიწყაროზე ხშირად ფრინველები იკრიბებოდნენ, წყალს სემდნენ. საბადურში შაშივი, გნოლი, კაკაბი იყო სავსე.

საბადურის შესახებ ალექსი ბერიძისგან ჩავეწერე შემდეგი: „საბადური არის ერკოტის სამხრეთით ფერდობიანი, ტყიანი ადგილი. ტყის სოფლის მხარის ნაწილი არის პანტიანი და მუხიანი, ზედა ნაწილზე, ვიდრე ფერდობის თავამდე ავიდოდეთ, სადაც სერის დაბოლოებაა, ხარობს რცხილა, ნეკერჩხალი, ვერხვი. საბადური არის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო დასავლეთის მხარეს ჰქვია საკურდღღე. ქედის გასწვრივ ტერიტორიას კი ჰქვია უნაგირა. ჩიტიწყარო არის საბადურის ბოლოზე, ერკოტიდან მიმავალ გზაზე. ეს წყარო მუდმივი წყარო იყო, დავემხობოდით ბავშვობაში და გავგრძელებოდით სოლმე. დაიკარგა, აღარ დის, მხოლოდ გაზაფხულობით ნაუურის სახით გამოდის“. ასევე არის საბადური ახალციხის რაიონის სოფ. ტყემლანის თავზე, იქაც ტყეა, გამოდის წყარო და მასაც ჩიტიწყარო ჰქვია.

საბადური სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „ბადის მისადგამი ადგილი (ორბელიანი, 1966:21)“. ბადის „მიმდგმელს“ მეზადური ჰქვია. მეზადური, როგორც წესი მეთევზის სინონიმია, ამიტომ ბადეობა, ბადით ნადირობა, თევზის ჭერას ნიშნავს, მაგრამ ბადე იყო სხვადასხვა სახისა. „ბადე არის თევზით შესაპყრობელი“ და აგრეთვე არის შესაპყრობელი ფრინველთა: აშირალი, ოჯიჯი, სასირე, ჩიტბადე, ტრედბადე; მრავალრიგნი არიან (ორბელიანი, 1965:93)“. საბადური, როგორც ერკოტაში, ისე ტყემლანაში თევზის ჭერასთან არ არის დაკავშირებული. იგი ფრინველზე სანადირო ადგილი იყო, რასაც ჩიტიწყაროც ადასტურებს.

ჩიტიწყაროს ფრინველთა სიმრავლის გამო შეერქვა სახელი. ამ სიმრავლის გამო ნადირობდნენ კიდევ ბადით.

საძელი

ახალციხის რაიონში არის სოფელი საძელი, სადაც თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები ცხოვრობენ. მე-16 საუკუნეში საძელი 57 კომლიანი დასახლება იყო (ჯიქია, 1958:68). საძელში იმ დრო ცხოვრობდა 6 ზაქარა – მეხთარის ძე, ფირალის ძე, გაბრიელ მიქელაძის ძმა, ვასილის ძე და სხვა, რომლებიც იყვნენ ოჯახის უფროსები და გადასახადის გადამხდელები: დათუნა, საბია, კაკა, მადატა, თვალა, გოგინა, გოგინა, ვარძელა, მატატა, ქოჩია, პაპუნა, მახარა, მამისა, ძამანა, ხახუტა, ქუცია, აღდგომელა, გაბედულია და სხვანი, რომელთაც ტრადიციული ქართული სახელები რქმევიათ. ბევრ მათგანს ქრისტიანული კანონიკური სახელებით აფიქსირებს ოსმალთა მოხელე: იოსებ, დემეტრე, მანგელი, ბასილა, ნიკოლოზ, გაბრიელ (რომელიც იყო მიქელის ძე), გრიგოლ, ვასილ, ელია, სიმონ, კვირიკე. ქრისტიან ქართველებს ისეთი სპარსული სახელები ჰქვიათ, როგორცაა, მაგალითად, როინ, ერთი როინი ფირუზის ძეა, ხოლო მეორეს – როინას ჰყავს შვილი ქოჩია. როინი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „რვალისა“, „სპილენძისა“. აქედანაა გვარი როინიშვილი (ჭუმბურიძე, 2003:196).

საქართველოში დღეს გავრცელებული სახელის შიოს შესახებ ზ. ჭუმბურიძე წერს: „უნდა მომდინარეობდეს შიოსისგან, რომელიც წარმოშობით ირანული სახელია და „შავგერმანს“, „შავ მამაკაცს“ ნიშნავს. ძველ ქართულში შემოსულია შიოსის ფორმით, ამ უკანასკნელისაგან კი მიღებულია საბოლოო ფორმა შიო (აქედანაა გვარი შიოშვილი). მისი კნინობითი ფორმაა შიუკა და შიოლა (ამათგან მოდის გვარები: შიუკაშვილი, შიოლაშვილი). საქართველოში მოღვაწე ასურელ მამათა შორის ერთს შიო ერქვა (VI ს). მისი სახელი და წოდება შიო მღვიმელი ფსევდონიმად აირჩია გამოჩენილმა საბავშვო პოეტმა შიო ქუჩიკაშვილმა“ (ჭუმბურიძე, 2003:212). საძელში გეგევიდნენ შიოშ გოგინას ძე და კიდევ ერთი შიოში, რომლის მამის სახელიც არ ვიცით, იყო ოჯახის უფროსის მამა. შიოშ გოგინასძეს, ქართული მამის სახელის მქონე სპარსულსახელიან კაცს, ჰყავდა ბადურა. იყო კიდევ ერთი ბადურა, რომელსაც შვილი ჰყავდა გრიგოლა. ეს თურქული სახელი პოპულარობას იხვეჭს სამხრეთ სა-

ქართველოში, მისგან უკვე კნინობითი ფორმაც არის ნაწარმოები. ერთი პაპუნა ბადუკას ძეა. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ უშუალოდ მონღოლურიდანაც იყოს ეს სიტყვა შემოსული ქართულში. ბადურა არის თურქული სახელის ბადურისაგან მიღებული: „ბაადურ (თურქ.) „გმირი“, „გოლიათი“, „მამაცი“. წარმოშობით მონღოლური სიტყვაა. მისგან ნაწარმოები ვაჟის სახელის თურქული ფორმაა ბააადურ, რომელსაც ქართულში მოუცია ერთი მხრივ ბაადურ (აქედან გვარი – ბადურაშვილი), მეორე მხრივ კი ბადათურ (აქედან გვარი – ბადათურია). პირველი ფორმისგან ჩანს მიღებულია აგრეთვე სახელი ბათური (აქედან გვარი – ბათურია). მეორისაგან – ბადათურა (აქედან გვარი – ბადათრიშვილი). ამჟამად სიტყვისგან მომდინარეობს ოსური ბაყათარ რუსული *батарырь*“ (ჭუმბურიძე, 200: 129-130).

ასევე თურქულენოვანი სამყაროდან შემოვიდა სახელი დემური. საძელში იგი დაუკნინებიათ და დემურას ფორმით არის წარმოდგენილი. დემურას გარშემო უყვართ აღმოსავლური სახელების დარქმევა. მის ერთ ძმას ამირმირი ჰქვია, რომელიც ახლოს დგას (ყოველ შემთხვევაში მისი პირველი ნაწილი) არაბულ ამირთან („წინამძღვარი“) (ჭუმბურიძე, 2003:125), ან ირანულ ამიზრან, მიზრან, მითრასთან (ჯავახიშვილი, 1970, 199) და აქედან გამომდინარე, ქართველ მითოლოგიურ გმირთან – ამირანთანაც, მით უმეტეს, რომ მის ძმას მადატა ჰქვია და მამას უდურლუ. ერთს სომხური სახელი კირაკოზიც ჰქვია, თუმცა მისი მამის სახელი ამოუკითხავია (ჯიქია, 1941:39).

სოფლის სახელი სხვადასხვა დროს დამახინჯებული ფორმითაც გვხვდება: *Сазна Сазал, Сазели* და სხვა (ჯიქია, 1958:68).

სახელის ეტიმოლოგია ძელს დაუკავშირა ზ. ჭიჭინაძემ (ჭიჭინაძე, 1904:97). მისი აზრით გარშემო ტყე იყო, რომელსაც ჩუხდა მოსახლეობა და ძელებს ამზადებდა. ძელი სულხან-საბას განმარტებით არის „ხე მოკვეთილი“ (ორბელიანი, 1966:352). ძეულ ქართულში ძელი არის „ხე“, „შეშა“, „ნაი“, ტივი, დირე, ჯოხი, ჯვარი“ (აბულაძე, 1973:524). ივანე გვარამაძე სულხან-საბას განმარტებას ეყრდნობა და წერს: „მოკვეთილი ხე – ძელი ჭეშმარიტი. ნაწილი ქრისტეს ჯვრისა“ (გვარამაძე, 1907:321).

გურულში ძელისაგან აშენებულ ჯარგვალს ძელური პქვია (ბერიძე, 1912:73), ხოლო იმერულში ძელბარი არის „მთლიანი ხისგან გამოთლილი პირგრძელი ბარი“ (ქ.ე.გ.ლ., 1964:730).

ძელს მრავალი მნიშვნელობა აქვს ქართულში და ყველა ხეს უკავშირდება. 1. იგივეა რაც ხე. 2. „დაუმორავი ხე შეშად“. 3. იგივეა რაც მორი. 4. კუთხ. გურული „სქელ ფიცრად გათლილი ან დახერხილი მორი“. 5. მსხვილი ღვარტყა ხისა. 6. კარის ჩარჩოს ხარხია (ქ.ე.გ.ლ., 1964:720). დღეს შეიძლება ხის გარდა რკინის ძელიც იყოს. გარდა ძელბარისა, მისგან ნაწარმოებია კიდევ ბევრი სიტყვა: ძელა, ძელაკი, ძელიცხოველი, ძელმიწური, ძელსაჯდომი, ძელსკამი, ძელყორე და სხვა (ქ.ე.გ.ლ., 1964:720-721).

მიუხედავად იმისა, რომ საქელის ზ. ჭიჭინაძისეულ ეტიმოლოგიას ს. ჯიქია არ ეთანხმება (ჯიქია, 1958:68), ვფიქრობთ, რომ ტყესთან და ძელებთან უნდა იყოს დაკავშირებული სახელი. ძელთან არის დაკავშირებული მსგავსი წარმოების შემდეგი ტოპონიმები: საქელიის გორა, ტყეა, სოფ. ქვემო მუქუდში (საქ. ტოპ., 2003:281). ძელია ქართლში ადგილის სახელია სოფ. მონასტერში (დლონტი, 1988:80). სოფელ ქინძათში სათესის სახელია ძელამიწები. დღეს რომ იმ ადგილებში ტყე არ არის, ამ შემთხვევაში ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან შეიძლება დენოტატი დღეს არ იყოს იმ მდგომარეობაში, როდესაც მოხდა სახელდება.

ჩვენს საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მაგალითთა აქვს დამოწმებული გ. ხორნაულს მთიულეთ-გუდამაყრის მასალებში: საქელია (ს. დიფჩო – ფერდობია მთის) „წინავე ტყე ტოფილა აქა, ძელები უზიდიათ, ეხლა ფინიხიც აღარ არის, ველებია, სახნაურები“. საქელეთ თავი (ს. ბურსაჭირი) – სასაძოვრე ფერდობია, მთის შიშველი ფერდობი. გადმოცემის თანახმად კი, აქ დიდი ტყე ყოფილა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ბოლოხანს ჩამოწოლილ მეწყერში დანახშირებული ხეები გამოჩნდა (ხორნაული, 1983:177).

ძელთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი სახელი იმერეთში. რ. ძნელაძე როდესაც მიმოიხილავს გურიის ტოპონიმას, წერს: „ზემო იმერეთში დადასტურებულია ტოპონიმი საქელე (ტყე სოფ. მოლითში), სადაც ამგვარი სახელდება გამართლებულია იმით, რომ ამოსავალი სიტყვა ძელი აღნიშნავს არა ზოგადად ტყეს, არამედ გათლილ ან დახერ-

ხილ მორს, ლარტყას, რომელიც გამოიყენება სამშენებლო მასალად. ამრიგად, საძველე, როგორც ტოპონიმი, გამოხატავს ტყის დანიშნულებას და ამით გამოძებნილია სახელსაძეუბი ობიექტის (ამ შემთხვევაში ტყის) სხვა მსგავს ობიექტთაგან გამოსარჩევი განმასხვავებელი ნიშანი (ძნელაძე, 2005:9)“.

ამგვარად, სოფელ საძელისათვის ამოსაყალიბა ძელი. სახელდება სწორედ „ძელით“ არის მოტივირებული. წარმოება არის ოდენპრეფიქსული.

ფაფის ეტიმოლოგიისათვის

მე-16 საუკუნეში შუაგულ სამცხეში, ფოცხოვის ხეობაში იყო სოფ. ფაფალა, რომლის შესახებ ს. ჯიქია წერს: „ზოგ რეკასე (მაგალითად ხუთ და ერთეერსიანზე Папало წერია, ერთ საბუთში ფაფალუ გვაქვს, მაგრამ თურქული დაწერილობის მიხედვით მისი ქართული სახელი ფაფალა უნდა ყოფილიყო. ფაფალა ორჭოსანთან და ფალასთან ახლოს მდებარეობს ფოცხოვისა და ადიგენის რაიონის თითქმის საზღვარზე (ჯიქია 1958:444-445).“

ფაფალაში 16 კომლს უცხოურია იმ დროს. აი, მამაკაცები, რომლებიც ამ სოფელში დადიოდნენ მაშინ: ანანია, ადგომელა, სულია, რუბენა, ბასილა, ზაქარა, გოგინა, გრიგოლი, მანველი, არიდან, იოსებ, ლამინა, ალოშა, მახარებელი, იორდან, ქონია, კაკალა, იონა, მაზმა, როსაფა, ანდრია, ზაქარია, კიდევ ორი გოგინა, ართი მახარებელი და შალვა (ჯიქია, 1941:303) სოფელს კქონდა საძოვარი უბნები: ღრმანი, ლამისხევი და მოჭედილი (შდრ. აბასთუმნის ალობილი (ჯიქია, 1941:303).

ფაფელა გვხვდება ო დაბოლოებითაც, რაც დამახასიათებელია სამცხე ჯავახეთისა ტოპონიმისათვის. შედრ: ორფოლა-ორფოლო, გოკია-გოკიო, ხოსპია-ხოსპიო და სხვა.

რადგან ფაფალა ჩვენი ქვეყნის საზღვრებში არ მდებარეობს, ლოკალიზაციის გასაადვილებლად, საჭიროდ ვცანით, მოგვეწოდებინა ის ტოპონიმები, რომლებთანაც არის დაკავშირებული ეს სოფელი.

ფაფალა მღებარეობს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ჩვენს ფარგლებში მისი მოპირდაპირეა ნასოფლარი ხვანა. ხვანასა და ფაფალას შორის ჩამოდის კალმახის წყალი, რომელიც სათავეს იღებს მეფის წყალის, დედოფლის წყაროსა და ვინგიშლის წყაროებიდან.

საზღვართან გადიოდა სოფ. ერემისაკენ მიმავალი გზა პეტრეკალის გავლით. გაივლიდა ფორნიკარს (კლდეკარია თურქეთ-საქართველოს საზღვარზე), ერემის ციხეს, მიდიოდა სოლიფერდის სათიბებთან და შავშიწვერთან. ფაფალოსა და ერემს შუა გადიოდა ეს გზა. ხოლო ამავე ფაფალოს უკან, სამხრეთით არის სოფ. ფეტობანი.

ფაფალა მეგრულში არის „ხრამი ფლატე (ი. ყოფშ.), ფრიალო, ციცაბო (პ. ჭარ), უფსკრული, ქარაფი (ქაჯაია, 2002:89).“

ფაფალა რამდენიმე ადგილს ქვეყანა სამეურსაყანოში „ფაფალა—(ციცაბო კლდე“ (მეგრ.) კლდე ერწყაროს მარცხენა ნაპირას (ღვაშგვერდი). 2. მორვეი ენგურზე კლდის ძირას (თაგილონი). 3. საბანაო ხურჩაზე (ნამკევი). (ცხადია, ჯოჯუა, 2003:182).“

ფაფალოში —ალა გამოყოფილია სუფიქსად და მიწნეულია კნინობითობის მაწარმოებლად (შონია, 2006:95).

დღევანდელი ბორჯომის ერთ-ერთ უბანს ფაფა ქვეყანა. ის თავის დროზე იყო სოფელი და შემდეგ იქცა უბნად.

ს. ჯიქია წერს: „სოფ. ფაფა—ეს დაწერილობა დიაკრეტულ ნიშნებიანია და მისი ფაფად წაკითხვა ეჭვის გარეშეა. ეს მით უფრო, რომ ფაფა—ს სახელით ცნობილია პუნქტი ჩვენს დრომდე მოაღწია. ეს პუნქტი დღეს ბორჯომის ერთ-ერთი უბანია. ვახუშტის ატლასზე ფაფა აღნიშნულია თანამედროვე ბორჯომთან, მტკვრის მარცხენა მხარეზე (ჯიქია, 1958:487).“

ვიდრე ბორჯომი შეერქმეოდა დასახლებულ პუნქტს, ხეობაში იყო რამდენიმე სოფელი რომელთაგან ერთ-ერთი არის ფაფა.

„ფაფა მღებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. იგი ამჟამად წარმოადგენს ქალაქ ბორჯომის ახალ უბანს. ნასოფლარის არსებობა იმით დასტურდება, რომ საცხოვრებელი სახლების აშენებისას ნახულობდნენ ნასახლარების ნაშთებს საძირკველის ქვების სახით. ნასოფლარზე აღმოჩენილია ქვის საწნახელი, ღვინის ქვევრები, რაც ამ მიდამოებ-

ში მევენახეობაზე მიგვანიშნებს. ფაფა ეწოდება ფაფისებური ტალახის გამო (ყანდიაშვილი, 1961-1981:8).“

სოფ. ფაფის სახელის დაკავშირება ფაფასავით ტალახთან ბორჯომში ცნობილი ამბავია. სულ ახლახან არის ჩაწერილი შემდეგი: „სახელწოდება ფაფის შესახებ არსებობს ზეპირი გადმოცემა. ამ ადგილს ფაფა იმიტომ დარქმევია, რომ წვიმის შემდეგ მიწა, ტალახი ფაფასავით ეკრობა ფეხსაცმელს და მისი მოშორება საკმაოდ ძნელია“.

უფიქრობ ფაფასთან არაეითარი კავშირი სახელის ეტიმოლოგიას არ უნდა აქონდეს. ამოსავალი უნდა იყოს ფაფა-ლა ბორჯომის ცნობილი უბნის და ადრე სოფლის სახელისათვის. ფაფალადან ფაფას მიღებაში გარკვეული როლი ითაპაშა ხალხურმა ეტიმოლოგიამ. ფაფალას მნიშვნელობა გაუგებარი იყო, ამიტომ მისი სემანტიკა დაუკავშირდა ფაფას – „წყალში გაქნილი ფქვილის (ან მარცველულის) დუღილით შესქელებული საჭმელი“.

ხალხური ეტიმოლოგიის გარდა, სახელის ბოლო მარცვლის მოკვეციის მაგალითი გვაქვს ჯავახეთის ერთი სოფლის სახელში. კერძოდ, „გურჯისტანის ევლაიეთის დიდ დაეთარში“ და სხვა საბუთშიც მოიხსენიება სოფლის სახელად ჩუნჩხელი, რომელსაც დღეს ჰქვია ჩუნჩხა. ფაფართი დღე დასტურდება სოფ. იმნიეთის მიკროტოპონიმიში ტაოკლარჯეთში (მიქაუტაძე, ფუტკარაძე, 2006:35). ფაფართის –თი დაბოლოება აეტორებს მიჩნეული აქეთ მატოპონიმებელ სუფიქსად. გამოყოფენ ფაფარ ფორმას, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს ფამფარას, მაგრამ მათივე აზრით, უფრო მისაღებია ფაფარ-ის ფაფალასთან დაკავშირება.

ფაფართი დადასტურებული აქვს ამავე არეალში ნ. ცეცხლაძეს მთისა და მდინარის სახელად (ცეცხლაძე, 2000:217), რაც კიდევ უფრო მეტად უჭერს მხარს მის კავშირს ფაფალასთან, რადგან ფამფარა არ არის მთის მცენარე, რომ იმის მიხედვით შერქმეოდა სახელი.

ნ. ცეცხლაძე –თი დაბოლოებიან სახელებში –თ-ს მრავლობითი რიცხვის სუფიქსად მიიჩნევს, რომელიც კრებითობასაც გამოხატავს (ცეცხლაძე, 2000:57).

რ-სა და ლ-ს მონაცვლეობა რომ შესაძლებელია ფაფალა ფაფარ ფორმებში, ადასტურებს სვანურის მონაცემები (თოფურია, ქალღანი, 2000:752).

ფაფალ- ფორმა ორონიმულ ტერმინად დაადასტურა პროფ. ე. გაზდელიანმა. მისივე თქმით, ეს სახელი პროდუქტიულია სვანეთის მიკროტოპონიმებში.

წითელი საყდარი მუსხეთის ტოპონიმიაში (კიზილ ქილისა)

კიზილ ქილისა ისტორიოულად და დღესაც დასტურდება სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიაში. იგი არის სიტყვასიტყვით თარგმანი წითელი საყდრისა.

თურქეთის ტერიტორიაზე, დღევანდელი არტაანის გუბერნიაში, უკვე მე-16 საუკუნეში ოსმალები აფიქსირებენ ადგილის სახელად კიზილ ქილისას. მართალია, გაუკაცრიელებულია ეს ადგილი და ნასოფლარია, მაგრამ მაინც აქვს შეწერილი 1000 ახჩა გადასახადი. ს. ჯიქია წერს: „ამ კიზილ-ქილისას ორჩოკის კიზილ-ქილისა უნდა დაერქვას და მისი ლოკალიზება ორჩოკის მიდამოებში უნდა მოხდეს (ჯიქია, 1958:557). სოფელი ორჩოკი დღევანდელი ოლჩექია და მდებარეობს არტაანის აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადის შავწყალას (კარასუ) ნაპირზე. კიზილ ქილისა დღეს ცალკე სოფელი არ არის, არც ნასოფლარად ფიქსირდება, მაგრამ წითელი ეკლესია დგას, რის შესახებაც თურქი მეცნიერი მკჷმედ დოღრუ 1973 წელს წერს: „ოლჩექიდან 5 კმ-ით სამხრეთით არის კიზილ ქილისის (წითელი ეკლესია) ნანგრევები, სადაც ჩატარდა გათხრები, რომლის შედეგად აღმოჩნდა ადრექრისტიანული ხანის წარწერები, ფრესკები, ორნამენტები და ჯვრები. დღესაც სოფლებში და ნაფუზურებში (ასეა! მ.ბ.) არის დანგრეული ეკლესიები. აქვე აღმოჩენილია გათხრების შედეგად ქვის ჯვრები და წარწერები. ახლაც კი სოფ. ბურდოსანის საზაფხულო საძოვრებზე არის ეკლესია, ხოლო ეკლესიის ეზოში არის ქრისტიანული საფლავები“.

ეს არის ოლჩექის კიზილ ქილისა. ამ სახელით არსებობდა კიდევ ერთი ეკლესია, რომლის სახელიც მაშინვე, აღწერის დროსვე, უთარგმნიათ ოსმალებს: „ქართულად კიზილ ქილისა „წითელ ეკლესიას“ ნიშნავს. ამ სოფელს ქართულად წითელი ეკლესია ერქმეოდა და თურქებმა ეს სახელი

აღბათ თარგმნეს (ყოველ შემთხვევაში ეკლესია თურქების აშენებული არ იქნება) (ჯიქია, 1958:550). ეს მეორე კიზილ ქილისაა, რომელსაც სორსისა უნდა ეუწოდოთ, რადგან სოფ. სორსის სიახლოვეს მდებარეობს.

მესხეთში ბევრი „წითელი“ ეკლესია იყო, ზოგი წითელი ქვით ნაშენი, ზოგს კი წითელი ქვა ზოლად გასდევდა ხოლმე. როგორც ეს არის ასპინძის რაიონის სოფელ ფიაში.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობილი საყდარი ტაბაწყურის ტბაზე, რომელსაც, მართალია, დღეს კიზილ ქილისას უწოდებენ, მაგრამ დოკუმენტურად შეგვიძლია მისი წითელ საყდრად დადასტურება. 1897 წელს დაულალაი მოგზაური და სამხრეთ საქართველოს მკვლევარი ილია აღზახიშვილი წერდა: „ჩვენმა ურემმა 15 ვერსზე მეტი იჭრიალა, იჭრიალა, ბევრ ხიფათსაც გადარჩა, მაგრამ მაინც მშვიდობით მიგვიყვანა სოფელ წითელ საყდარში. ნინო-ღელას მთის კალთა დინგივით შესულა ტბაში, ასე რომ, ნახევარკუნძულს წააგავს. ამ მიწის ნაჭერზე არის ქართველთა ძველი ნასოფლარი, რომელსაც წითელი საყდარი ჰქვია, ანუ თათრულად კიზილ-ქილისა, როგორც ახლა ეძახიან.

„ქართველების აქ ოდესმე გაძლიერებული ცხოვრების უტყევი მოწმე ერთადერთი ნაშთია ძველი ეკლესიისა. ჩვენ სრული იმედი გექონდა, რომ ამ ეკლესიის წითელთლილი ქვით ნაშენ კედლებზე რაიმე წარწერას ვიპოვიდით, მაგრამ როგორც ხალხმა აგუხსნა, რაც წარწერები იყო, ციციანთ წაიდეს რაღაც დავის დასასაბუთებლად, რადგან მამულის მოპიჯნავენი არიან და თავის მიჯნას ამ საყდრის ნახევარმდე ასახელებენო“ (აღზახიშვილი, 1978: 40-41).

მართალია, ეკლესია წითელი ფერის ქვით არის ნაშენი და სახელი აშკარად აქედან არის მიღებული, მაგრამ ზოგი გადმოცემა მის „გაწითლებას“ მტრის შემოსევებს უკავშირებს: „უწინ საქართველოს აქ მეფობის დროს, თურმე სოფელს სპარსნი დაეცნენ და სწორედ აღდგომა ღამეს, ცისკარზე, ეკლესიაში მთლად ამოსწყვიტეს ქართველნი. მათი სისხლით ეკლესიის კედლები სრულიად წითლად შეიღება. აღარ დასცალდათ, არ ეღირსათ უბედურებს წითელი კვერცხების გაფცქენა. მას აქეთ დაერქვა ეკლესიას კიზილ-ქილისა და სოფელმაც მიიღო სახელად წითელი საყდარიო“ (აღზახიშვილი, 1978:40).“

რეალური სურათი ასეთია. ეკლესია, რა თქმა უნდა, როგორც არტაანში, ისე ტაბაწყურზე – თრიალეთში, ქართველი კაცის აშენებულია წითელი ქვით. შემდეგ იპყრობენ ოსმალები არტაანს და თარგმნიან ეკლესიის სახელს თურქულად. თრიალეთში მე-19 საუკუნეში გადმოსახლებული სომხური და ბერძნული მოსახლეობა თურქულად ლაპარაკობს, ამიტომ ისინიც თარგმნიან ქართულ სახელებს. წითელი ქვით ნაშენი ეკლესიები ბევრი ყოფილა თრიალეთში. იმავე ტაბაწყურის აღმოსავლეთით ძველ რუსულ რუკებზე მითითებულია ორი კიზილ ქილისა. ერთი მთის და მეორე სოფლის სახელად. დღევანდელი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ორ სოფელს ჰქვია ყიზილ ქილისა წალკისა და დმანისის რაიონებში.

ქართლში წითელ ეკლესიას ასე აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი: „არამედ მთასა ლუკუნისასა ეწოდა სახელი ესე ლუკა მახარებლის ეკლესიისათვის, რომელი აღშენებული არს თხემსა ზედა მის მთისასა; და მის ქუემორ არს სამხრით მონასტერი წითელი-ეკლესია, ქვის წითლით შენებულობისათვით, შუენიერი, გარემო შენობანი მრავალნი წითლითა ქვითავე.“

წითელი საყდარი სალოცავის, ეკლესიის სახელია წითელსოფელში (ღლონტი, 1987:91).

წითელი ფერის გამო ბევრ ობიექტს ერქმევა სახელი საქართველოში. მოვიყვანთ მაგალითებს ალ. ღლონტის მითითებული წიგნიდან: რომ აღარაფერი ვთქვათ ცნობილ სახელზე ქვემო ქართლში. იმავე ტაბაწყურში გვაქვს წყაროს სახელად წითელი წყარო. წითელი კლდე სოფ. ქვაბისხევეში, წითელი სამანი სოფ. ზანავში. სამანი საზღვარს ნიშნავს. ამ ადგილზე წითელი ქვა დევს საზღვრის აღმნიშვნელად. ამ სახელმა მოგვცა იმავე ზანავში, კორტანეთსა და რველში წითელსამნისერი. ბაკურიანში გვაქვს ადგილი, რომელსაც წითელმიწები ჰქვია წითელხევა ხევის სახელად და ა.შ.

დასავლეთ საქართველოში, სუფსა-ნატანების ხეობებში ბევრი სახელი გვაქვს, რომელთაც მსაზღვრელად მოუღის წითელი: წითელი აღმართი, წითელი ბაღდადი, წითელი გორი, წითელი კოდმე, წითელი ნოყო, წითელი სხივი, წითელი უბანი, წითელი ღარები, წითელი ღელე, წითელი წყალი, წითელგორა და სხა (ღლონტი, 1993:198-199).

სადაც ქართული გარემო შეიცვალა არაქართულენოვანი მოსახლეობით, მაშინვე მოხდა სახელთა თარგმნა. მაგალითად, სოფ. ჭობარეთში ადგილს ერქვა წითლობი, რომელსაც მაჰმადიანურმა მოსახლეობამ ყიზილი უწოდა, რაც თარგმანია ქართული სახელისა.

კიზილ ქილისა და ყიზილ ქილისა ერთი და იმავე სიტყვის ორი – თურქულ-რუსულად და ქართულად წაკითხული ფორმებია. თურქული K ქართულად გადმოიღის როგორც ყ.

საკუთარი სახელის თარგმნა შედარებით იშვიათად ხდება. როდესაც სახელი გაიჭვირვალეა, მას მშობლიურ ენაზე თარგმნის ახალი მოსახლეობა. ხშირად სახელების თარგმნა სხვა ენაზე წვეულებრივი ამბავია, როდესაც უნდათ შინაარსის შენარჩუნება. მაგალითად, კეთილი იმედის კონცხი, ცეცხლოვანი მიწა და სხვა. ზოგჯერ ითარგმნება სახელის ნაწილი. ნაწილი უთარგმნელი რჩება, როგორც ეს ხდება ნიუ ორლეანის შემთხვევაში და მას ახალ ორლეანს ვუწოდებთ. ასევე მოხდა არტაანსა და თრიალეთში, ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ამ დროს წაიშალა სუბსტრატის კვალი. სუბსტრატულია ის საკუთარი სახელი, რომელიც დაპყრობილი მოსახლეობის მიერ არის დარქმეული, რასაც ებრძვის დამპყრობი. ცდილობს მაქსიმალურად „საკუთრად“ აქციოს ტოპონიმი. ამის კარგი მაგალითია რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს შექმნილი სურათი. ახალგორი უძველესი ქართული ტოპონიმი, ნაწარმოებია როგორც ახალდაბა, ახალციხე, ახალქალაქი და სხვა. კომუნისტების პერიოდში ეწოდა მას ლენინგორი, რომელსაც ძველი ქართული სახელი დაუბრუნდა საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, მაგრამ, როგორც კი რუსებმა დაიპყრეს იგი, კვლავ გადაარქვეს. ქართული სახელი, ისინი ცდილობენ მოსპონ ქართული კვალი ტოპონიმიში.

თავის დროზე უნდოდათ, რომ გამქრალიყო ისეთი ქართული სახელი, როგორიცაა ცხინვალი (იგი რცხილას უკაფ შირდება და რცხილნარიდან მოდის, როგორც ეს წყაროებშია დადასტურებული) და მას სტალინური უწოდეს. დღეს რუსებს არ უნდათ სტალინის სახელის წოდება, თორემ ამა-საც სიამოვნებით გააკეთებდნენ.

ტოპონიმთა თარგმნა არტაანში დამპყრობ-დაპყრობილის, ასიმილატორ-ასიმილირებულის ფონზე უნდა განვიხილოთ

და მას აღარაფერი ეშველება. რაც შეხება თრიალეთს, საჭიროა, აღდგეს ისტორიული სინამდვილე, თავის ფუნქციებში უნდა დაბრუნდეს წითელი საყდარი.

აღდგენილი სოფელი საირმე

ადიგენის რაიონის სოფელი საირმე თანამედროვე რუკებზე არ არის დატანილი. იგი არც საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ დაყოფაშია მითითებული. ადიგენის შემდეგ საირმისაკენ მიმავალი გზა ორად იყოფა, ერთი მიდის ზარზმისაკენ, მეორე – სოფ. მლაშის მხარეს.

მლაშე გამჭვირვალე სახელია. სულხან-საბა ორბელიანი მლაშეს განმარტავს, როგორც „მარილოვანი“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ორი განმარტებაა მოცემული: 1. რასაც მარილის გემო აქვს და 2. მარილიანი ადგილი, მლაშობი (ქე.გ.ლ., 1958:542) იქვე მოყვანილია მაგალითები აღ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებიდან: „ირმების აუარებელი რიცხვი ჯოგ-ჯოგან დადიოდა მლაშესე სალოკად და წყლის სასმელად;“ „მონადირეებმა ბევრი იარეს, ცოტა იარე, გაეიდნენ მლაშე ველში.“

სოფელი მლაშე მწვანეშია ჩაფლული, როგორც ყველა სოფელი ქვაბლიანის ხეობაში და მლაშე წყლებითაც არის მდიდარი. ისტორიულად იყო ორი მლაშე დიდი და პატარა. მე-16 საუკუნეში დიდ მლაშეში 12 კომლი ცხოვრობდა, პატარაში – 4 (ჯიქია, 1958:101).

ამავე სიტყვით, ოღონდ გეოგრაფიული სუფუქსით გაფორმებული სახელი – მლაშეთი გექონდა ფოცხოვის ღივაში, დღევანდელი არტაანის (თურქეთის ტერიტორიაზე) გუბერნიაში (ჯიქია, 1958:398).

ლაშხევი, რომელიც ცნობილი სახელია ქალაქ ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ბერიძე, 2008:30), კომპოზიტურია და შედგება ორი სიტყვისაგან. მისი პირველი ნაწილი არის მლაშე (მლაშე ხევი→ლაშე ხევი→ლაშხევი). დღეს მას ღრული ჰქვია. ამგვარად, მლაშე ადგილები სხვაც ყოფილა მესხეთში. ადიგენის რაიონის მლაშეს შემდეგ გზა მიდის ქვაბლიანის ხეობაში. მდინარე ქვაბლიანს ზარზმის ქვეშ ერთვის ბინძის ხევი მარჯვენა მხრიდან.

სახელი საირმეც გამგვირვალა და ირმების სიმრავლეზე მიუთითებს. ირმები ბური სკოდნია ფერსათის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთის კალთებზე. ჩრდილოეთით ცნობილია კურორტი საირმე, მისი სახელდების მოტივაციაც სწორედ ჩვენი, ადიგენის რაიონის, საირმის მსგავსად ირემს უკავშირდება.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ კარგად ჩანს, რომ სწორედ ამ ადგილებში იყო მოსახლეობაში უადრესად პოპულარული ნადირობა, ე.ი. გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის ნადირი: „ვითარცა ალექსანდრე უმადლესთა ადგილთა, და ჰქითხა მან კაცსა წმინდამან მან: საყვარელო ია, რად ეწოდების ადგილსა ამას? ხოლო იგი ეტყოდა: რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათაჲ და ბაკთა ეწოდების (ვაჩნაძე, 1975:163)“. აქვე იყო სათახვის ტბა, სადაც ირმები წელის სასმელად მიდიოდნენ ხოლმე. ნადირობა ბრძოლის ვაუკაცობის, საქმედ ითვლებოდა. ბერებსაც კი არ ეშუებოდნენ მაშინდელი ირმებზე და სხვა ცხოველებზე მონადირენი: „და ვითარცა ვიდოდეთ, აჲ ესერა მოვიდეს ვინმე კაცნი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რადთა დაეცადოთ სლუამ კერპოთა მათ, რომელთა მოგუემართა, რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რადთა არა იქმნას ცთომამ მათი თქუენ მიერ (ვაჩნაძე, 1975:164-165)“.

სათახვის ტბაზე წყალს სვამდნენ საირმის ირმები, ხოლო მლაშეში „ირმების აურაცხელი რიცხვი ჯოგ-ჯოგად დადიოდა მლაშეზე სალოკად“.

საირმის შესახებ სერგი ჯიქია წერს: „დაეთარში “საირმია-დ არის აღრიცხული ეს სოფელი, მაგრამ ეს შეცდომით უნდა იყოს. თანამედროვე მოსახლეობა მას „საირმე“-ს ეძახის სოფ. საირმე ჭეჭლის სასოფლო საბჭოში შედიოდა (ჯიქია, 1958:97)“.

საირმე ყველა ძველ რუკაზე იქ არის მითითებული, სადაც დღესაცაა და ამიტომ მართებული ჩანს ს. ჯიქიას მტკიცება, რომ საირმე და საირმია ერთი და იგივე პუნქტია.

1944 წლამდე აქ მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ, რომლებიც უკვე თურქულ-აზერბაიჯანული სტილით წერენ მამის სახელს და მას გეარის ფუნქცია ნაწილობრივ შეუძენია კიდევ, თან რუსული მამის სახელის აღნიშვნაც უკისრია, მაგრამ ქართულ გეარებს ჯერ კიდევ ვერ შეღვეიან

და სწორედ ქართული გვარი ასრულებს გვარის ნამდვილ ფუნქციას, არ იცვლება მამის სახელის ცვლასთან ერთად, გადადის შთამომავლობაზე. 1933 წელს გ. ბოჭორიძე ორ ასეთ პიროვნებას გვისახელლებს, ერთს, როდესაც საუბრობს საირმოდან წამოსაღებ ძეგლზე: „საირმოდან ჩუქურთმიანი სვეტი, რომელიც ბოძად უდგას ასლან ბილან ოღლი დვალიშვილის გომს (ბოჭორიძე, 1992:252)“. ასევე ასახელებს საირმეში მოგზაური-მეცნიერი „სარდარ შაბან ოღლი პაპიძეს (ბოჭორიძე, 1992; 254)“.

დვალიშვილი და პაპიძე საქართველოში ცნობილი გვარებია. სოფელ საირმის მოშენება 1983 წლის შემდეგ დაიწყო, როდესაც აჭარიდან გადმოვიდნენ და დასახლდნენ შემდეგი გვრები: აბულაძეები გადმოვიდნენ ზედა ვაშლოვანიდან, შანთაძეები – რიყეთიდან, მარკოიძე – ნაჩონასტრებიდან, ცეცხლაძე – თაგოდან, ბერიძე – ღორჯომიდან და ჩოგაძე – ქედლებიდან. მათ ჯერ-ჯერობით ვერ მოუსწრიათ სოფლის მიკროტოპონიმიის შექმნა. დასახლება ორ ნაწილად არის გაყოფილი – ზედა უბნად და ქვედა უბნად. სკოლა მდებარეობს ზედა უბანში. იგი რამდენიმე კეადრატული მეტრის ხის წამოსაქცევად გადახრილი შენობაა, რომელსაც ორი ტრაფარეტი აქვს. ერთი გეამცინობს, რომ ეს არის „საირმის დაწყებითი სკოლა“ და მეორე – „ბიბლიოთეკა“. აქ აღმოჩნდა წარწერა, რომელზეც იკითხება: „სულაჰსი და ბეშქენისა“

ეკლესიის ნანგრევს, საიდანაც უნდა იყოს ეს ქვა წამოღებული, გ. ბოჭორიძე საირმის ეკლესიას უწოდებს და წერს: „დღეს ეკლესიისა დგას მარტო დასაველეთი კედლის დულაბი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის დულაბი (ბოჭორიძე 1992:138)“. თითქმის იმავე მდგომარეობაშია ნაეკლესიარი, ოღონდ ინტერიერში მის დროს ჯერ კიდევ არსებული „ორი თლილი ქვა“ უკვე აღარ იძებნება. ნაეკლესიარის გარშემო ადგილებს სასაფლაოებს უწოდებენ. მართალია, ძალიან ძნელად ემჩნევა საფლავების კვალი, მაგრამ, როგორც ჩანს, მე-20 საუკუნის ბოლოს ეს კვალი უკეთ იკითხებოდა. ნაეკლესიარის ჩრდილო-აღმოსავლეთით ადის აფიეთის გზა. მეგზურის თქმით, გზის გაყვანის დროს აქ კედელი შეიმჩნეოდა. დღევანდელი მოსახლეობა არ შესებია ეკლესიის ქვებს და კედლებს. სამშენებლო მასალა ფერსათის

კარიერიდან მოაქვთ. საირმეში დღესაც ჰყვებიან ასეთ ამბავს: ეკლესიის ქვეები ბევრს მოსწონდა, მაგრამ არავინ ეხებოდა. ერთი კაცი მანქანით მოსულა საღამომიერას და ქვეები წაუღია სახლში. მეორე დღეს უკან მოუტანია და დაუყრია იმავე ადგილზე, მოსულა ჩესამე დღესაც და ძველებურად დაუღაგებია ქვეები. სოფელელებისთვის უთქვამს, აქედან ქვეების წადება არ შეიძლებაო. არავინ იცის, რა მოხდა იმ ერთ ღამეში, ან რა სიზმარი ნახა იმ კაცმა. მთქმელი კონკრეტულ ადრესატს არ ასახელებს.

საირმის თავზე არის სოფელი აფიეთი. სახელი ძველი და საინტერესო ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ მისი სუმანტიკა ჯერჯერობით უცნობია, სტრუქტურით და მესხეთის ტოპონიმების ისტორიიდან გამომდინარე, შეიძლება ერთმენეთს დაუუკავშიროთ აფიეთი, აფნია და ფია.

მე-16 საუკუნეში ორი აფიეთი გვქონდა — დიდი და პატარა. დიდი აფიეთი მითითებული იყო „პატარა აფიეთითა და ადგილითურთ“ (ჯიქია, 1941: 86). ეტყობა, ამ მიდამოებში მთავარი დასახლებული პუნქტი დიდი აფიეთია, რადგან იგია მთავარი ორიენტირი, თანაც ბევრი სოფელი უკვე ცარიელია მოსახლეობისაგან. მაგალითად სოფ. ღორთუბანზე ნათქვამია, რომ იგი მდებარეობს აფიეთსა და ზედუბანს შუა (ჯიქია, 1941:86). ასევე ზედუბანი მდებარეობს სოფელ აფიეთთან (ჯიქია, 1941:85).

მე-16 საუკუნის აფიეთის მოსახლეობა მთლიანად ქართულია. ასე გამოიყურებიან მაშინდელი ოჯახის უფროსები: ერდგულა როსტევეანისძე, სახელად გაბრიელ. იორდანესძეს, რომლის სახელიც არ იკითხება, ჰყოლია ძმები: ხახუტა და გაბრიელი. ოქროპირ დევალასძეს — შეილი დემეტრე. ერთს სახელად ჰქვია აზარა. მაცაცა ჩიტეასძე, მახარებელ პაპუსძეს ჰყავს შეილი ბასილა; ნათენა იმარინდოსძე, ვარძელ სიხარულასძე, ზაქარა ქაიმორისძე.

იყო თუ არა იმავე ადგილზე აფიეთი, სადაც დღეს მდებარეობს? გ. ბოჭორიძე წერს: „აფიეთის ბოლოზე დგას ღორთუბნის ეკლესია. იგი სამნავიანი შენობა ყოფილა... ეკლესიაში ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილობრივ გაგლეჯილია. კარ-სარკმელი აღარ ჩანს. ეკლესიის გასწვრივ, დასავლეთით 100 საყენსე დგას კოშკი, ნაწილობრივ დაზარეული (ბოჭორიძე, 1992: 80-81)“. გ. ბოჭორიძისათვის 1933

წელს უთქვამთ: „აფიეთის ბოლოზე რომ ეკლესია და ციხეა, ღორთუბანს ეკუთვნისო (ბოჭორიძე, 1992:132)“.

დღევანდელი მდგომარეობა ციხისა და ნაეკლესიარიისა ისეთივეა, როგორც მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში. ამ ადგილებს, ნაეკლესიარსა და ნაციხარს, მის გარშემო ტერიტორიას, სათიბს, საძოვრებს ღორთუბნელები ციხეებს უწოდებენ. ცენტრი ამ მიდამოებისა უნდა ყოფილიყო ციხე და ეკლესია, რომლებიც ერთმენეთთან ახლო-მახლო მდებარეობდნენ. ეკლესიის გარშემო ნასოფლარი და ნასახლარი ეტეობა. ორი უბნიდან (ღორთუბანი და ზედუბანი), აშკარაა, რომ ზედუბანი ყველაზე მაღლა უნდა მდებარეობდეს გეოგრაფიულად და ეს დღესაც ასეა. ამდენად, ზედუბანი იქ იყო, სადაც დღესაც არის, თანაც დღევანდელი აფიეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ზედუბანი. იგი გაგრძელებაა აფიეთისა, ამიტომ მათ შორის შეუძლებელია, რომ რომელიმე სოფელი, კერძოდ, ღორთუბანი ყოფილიყო. ოსმალო მოხელე წერს, რომ ღორთუბანი მდებარეობსო აფიეთსა და ზედუბანს შორის (ჯიქია, 1941:86). ლოგიკურია, რომ აფიეთად ვიგულისხმობთ სწორედ დღევანდელი ციხისა და ეკლესიის ტერიტორია, ასეთ შემთხვევაში ზედუბანიცა და ღორთუბანიც თავიანთ ადგილებზე განლაგდებიან, ხოლო დღევანდელი აფიეთი ან პატარა აფიეთია, ან გადატანილია სახელი რამდენიმე კილომეტრზე.

ღორთუბნის ეტიმოლოგიაც გამჭვირვალეა. თავიდან ისიც სანადირო, ღორის ადგილი იქნებოდა, ვიდრე მოსახლეობა აფიეთიდან უბნად გავიდოდა. ქართული ღ რუსულ რუკებზე იქცა Г-დ, ამიტომ მივიღეთ მცდარი ეტიმოლოგია, რომ ღორთუბანი არის გორების უბანი, როგორც ეს გააკეთა К. Зисерман-მა და გაიმეორა К. Ган-მა. მათი ეტიმოლოგია დასაბუთებულად უარყო ს. ჯიქიამ (ჯიქია, 1958:114-115). მიუხედავად ამისა, დღევანდელ ადმინისტრაციულ დაყოფაში ოფიციალურად სოფლის სახელი გორთუბნად არის ცნობილი. ქართული სახელწოდებანი რუსულ რუკებზე გადადის რუსული ენის ფონეტიკური შესაძლებლობების ფარგლებში, რაც შემდეგ რუსული რუკების საფუძველზე შექმნილი ქართული რუკების შეცდომის სათავე ხდება, რადგან ქართულს აქვს შესაძლებლობა, რომ ყველა ბგერა შესაბამისი ქართული ნიშნით გადმოიტანოს. ღორთუბანი→Гортубани→გორ-

თუბანი. მე-16 საუკუნის ღორთუბანში ორი სანათესაო ცხოვრობდა, სულ — 6 კომლი. ნათენა პაპუნასძეს ჰყავდა ცალკე კომლებად „პაპუნა ძე მისი“ და „მიქელა ძმა მისი“, ხოლო ვასილ ფერამუზასძეს ჰყავდა ორი ძმა ცალ-ცალკე ოჯახის უფროსებად — დემეტრე და მახარა.

დღეს სოფ. ღორთუბანში ცხოვრობენ რაჭიდან და აჭარიდან გადმოსახლებული შემდეგი გვარები: ბერიშვილი, ბერიძე, გორგაძე, გელაძე, ბიჭაშვილი, გრიგოლაშვილი, მარკოძე, ზურგალაძე, შავაძე, აბულაძე, სურმანიძე.

ღორთუბანში ჩავიწერეთ შემდეგი ადგილის სახელები, რომლებიც ძირითადად სოფლის ჩრდილოეთით ფერსათის მთის ფერდობზე მდებარეობს: შხერის ველი (საძოვარი, სათიბი), ღორთუბნის მთა (საზაფხულო სადგომი), დათუატყე (ტყე, ზედუბნის მთაში), არყნალი|არყნალის ტყე (ტყე, არყი ხარობს), ირემატყე (ტყე. ინფორმატორთა მტკიცებით ირმები იყვნენ და იმიტომ ეწოდაო. შესაძლებელია სახელი დაკავშირებული იყოს სოკოს სახეობასთან); საგრილობელი (საქონლის დასაყრელი გრილი ადგილი), დიდველები (სათიბი), ჰელდიურები (სათიბი, საძოვარი) გუგუნაური (ნასოფლარი, სათიბი, საძოვარი) გუგუნაურის ტყე (ტყე), წყაროების ტყე (ტყე).

თითოეული ტოპონიმი მნიშვნელოვანია და მას ცალკე შესწავლა სჭირდება, მაგრამ ამჯერად გამოვეყოფ გუგუნაურს, რომელიც, როგორც სოფელი, აღწერილია არ არის „გურჯისტანის ველაიეთის დიდ დაეთარში“, მაგრამ გეხედება მოგვიანებით. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, 30-იან წლებში გუგუნაური ზედუბნის სასოფლო საბჭოში შედიოდა ღორთუბანიდან, კორტოხთან და აფიეთთან ერთად (ჯიქია, 1958:103).

გიორგი ბოჭორიძე გუგუნაურის შესახებ წერს: „გუგუნაურში არის ძველიდან დარჩენილი კარაპანი, შენახულია კედლები, სახურავი აღარა აქვს. იგი ახლა ეკუთვნის ფაქრად აჰმად ოღლი ფიფიას, იგივე ფიფაძეს. შუა ბურჯი ფიჭვის ხის ნაჭრებისაა, დანარჩენი კედლები ქვისაა, 'სოგი ძლიერ დიდი ქვაა. ხის ნაჭრების ბურჯი დაბჯენილია მიწაში ამოშვერილ დიდ ქვაზე. კედლის ქვები დიდრონიც არის და პატარებიც. შენობა, ამბობენ, 200 წლისა იქნება (ბოჭორიძე, 1992:132)“, ამონაწერი ბევრი რამით არის ღირსშესანიშნავი. პირველ რიგში აშკარაა, რომ გუგუნაური ძველი, ტრადიცი-

ული სოფელია, ამიტომ, თითქოს უცნაურია, როდესაც ოსმალები არ აღწერენ მას „დავთარში“, თუმცა ასეთი რამ ხდება ხოლმე, რაც სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული ან სულაც მე-16 საუკუნის შემდეგ გაჩნდა სახელი. ყოველ შემთხვევაში სოფელში მოსახლეობა 1944 წლამდე ცხოვრობდა. საინტერესოა მისი მცხოვრები ფაქრად მაჰმად ოღლი, რომელიც, რა თქმა უნდა, ქართველი კაცია, მაგრამ მას, როგორც უკვე მოხსენიებულ საირმელ ასლან ბილან ოღლისა და სარდარ შაბან ოღლის, მამის სახელობით აუღია თურქულ-აზერბაიჯანული სისტემით „გვარი“, თან ქართულიც დაუტოვებია. მისი გვარი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ დასავლურ-ქართული, მეგრული, გვარების დაბოლოება – ია ენაცვლება სამხრეთში გავრცელებულ – შვილისა და ძეს. შვილისა და ძის შენაცვლება ჩვეულებრივი ამბავია მესხეთში, ხშირად ხდება ხოლმე, არა მხოლოდ მაჰმადიანებში, არამედ მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებშიც. კ. ბარათაშვილს მაჰმადიან მესხებში დადასტურებული აქვს ჩანთო-გილ ფორმა, რომლის პირველი ნაწილი ჩანთო იგივე ჭანტო, ჭანტური უნდა იყოს, რადგან მისი ქართული გვარი იყო ჭანტურია (ბარათაშვილი, 1997:37) ჩანთო//ჭანტო-გილ-ში ჭანტო არის ჭანტურის შემოკლებული ფორმა და – ია დაბოლოების ვარიანტი ჭანტურიშვილი, რომელიც სხვა სოფელში გვხვდება მაჰმადიან მესხთა გვარად.

ასევე გაჩვენებულია ტოპონიმური სახელი გუგუნაური, რომელშიც გამოიყოფა – ურ სუფიქსი და საკუთარი სახელი გუგუნა, ეს უკანასკნელი გვხვდება ძველ საბუთებში მე-14 საუკუნის ბოლოსა და მე-15 საუკუნის დასაწყისში (პირთა ანოტირებულილექსიკონი, 1990: 727) ეს სახელი გავრცელებული ჩანს საქართველოში, შეიძლება იგი მოდიოდეს საწყისიდან გუგუნი – ა მაწარმოებლით, რომელიც ადამიანის თვისებას გამოხატავს ისევე, როგორც ღუღუნი და ღუღუნა. შესაბამისად გვექნება მიღებული გვარები: გუგუნიშვილი, გუგუნავა, გუგუნაური, ოღონდ გვარი გუგუნაური და ტოპონიმი გუგუნაური ერთმანეთისაგან განსხვავდება. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს ანთროპოონიმიდან, სადაც – ურ სუფიქსი გამოხატავს კუთვნილებას, ხოლო საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მთაში, – ურ სუფიქსი გამოხატავს გვარის დაბილოებას. ანთროპოონიმი გუგუნაური იწარმოება ისევე, როგორც მრავალი სხვა სახელი მესხეთ-

ში, რომლის ტოპონიმიაშიც ძირითადად გვაქვს ამ ტიპის წარმოების სახელები, რომლებიც კუთვნილებას მიუთითებენ: გინგლიკა-ურ-ი, (მინდორი, დადეში), კოტორა-ულ-ი (უბანი, ასპინძა), თაგულა-ურ-ები (ყანები, ვარნეთი), გოგოლა-ურ-ი (ტყე, ანდრიაწმინდა) და სხვა. ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს სწორედ –ურ სუფიქსის გავრცელებულობის თვალსაზრისით, რადგან აქელატივებში კუთვნილების მსგავსი წარმოება აღარ გვხვდება, ე.ი. გოგოლაური ყანა, გოგოლას ყანის ნაცვლად, არ იხმარება (ბერიძე, 2008: 109). ისტორიული და ჩვენ მიერ შეკრებილი სახელების უმრავლესობა, მიკროტოპონიმიას მიეკუთვნება, გუგუნაური კი ოიკონიმია, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ სახელის მნიშვნელობას.

–ურ სუფიქსზეა დაბოლოებული ფერსათის ფერდობზე მდებარე ჭედლიურები, რომელიც მიკროტოპონიმია. იგი ისევე ძველია, როგორც სხვა დანარჩენი სახელი, ოღონდ საკუთარი სახელიდან არ უნდა მოდიოდეს. მასში ამოსავალია ჭედელი (←შჭედელი). სახელი მიუთითებს ადგილის მჭედლის კუთვნილებაზე. –ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანი აღნიშნავს ობიექტის (საძივარი, სათიბი) სიმრავლეს.

ფერსათის მთის კალთებზე არის საძივარი, რომელსაც ღორთუბნელები შხერის ველს უწოდებენ. შხერი ფონეტიკურად სახეცვლილი შქერი უნდა იყოს. „ქართული ენის გამნარტებითი ლექსიკონის მიხედვით“ შქერი არის „მარადმწვანე ტანმორსილი ბუნქი, ფოთოლი ტყავივით და მოსქო აქვს, ყვაელი – წითელი და ღამაზი, ყვავის აპრილში. ჩვენში გავრცელებულია უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ტყეებში ქვეტყის სახით, (ქ.ე.გ.ლ., 1962:1473)“. შქერი დიალექტებში გვხვდება შკერის ფორმითაც (ღლონტი, 1984: 634) და დეკას აღნიშნავს (ღლონტი, 1984:638). შხერის ველი, შხერის II შქერის სიმრავლის გამო უნდა იყოს შერქმეული.

ბოგა და ბოგთა

1940 წელს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა (დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი) მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია სამცხის სოფლებში, სადაც ცხოვრობდნენ ქართველი მართლმადიდებლები, კათოლიკენი და მაჰმადიანები. მაჰმადიანი მესხებით იყო დასახლებული სოფელი ბოგა, რომლის მცხოვრებმაც — 120 წლის ყოჩი სულეიმან-ოღლი ზაუტაძემ, ი. პაპისიმედოვს ჩააწერინა ერთი მშენიერი ლეგენდა: „ამ სოფელში წინეთ ტყე ყოფილა, მოსულა მონადირე, მოუკლავს ირემი ხომის რაიონში და იქ წყალი ვერ უშოვია, ამოსულა აქ წყაროსთან, მოსწონებია. ამას უთქვამს, მოდი, აქ ბოგას გაეკრავ და დაესახლდებიო. ამის შემდეგ ამ სოფელს დარქმევია ბოგა.“ ხელნაწერი დღესაც დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში. იქნებ შემთხვევითია ქართულის ცოდნა ზაუტაძისაგან? ამავე სოფელში მოგზაურობს ცნობილი მეცნიერი, მესხეთის დაუღალავი მკვლევარი ილია მაისურაძე, რომელიც ბოგას შესახებ წერს: “მდებარეობს ქ. ახალციხიდან ჩრდილოეთით 8 კმ-ის მანძილზე. სოფელ სვირიდან მოშორებულია 2 კმ-ით (აღმოსავლეთით). აქ ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები 96 კომლი. შენახული აქვთ ქართული ენა. გვარები: ზაუტაძე, სარალიძე, ჩიხლაძე, ლოლაძე, ცეკვაძე, კოჭაძე, მეწყარიძე.”

ამგვარად, ბოგაში ჩაწერილი ლეგენდა მონადირის შესახებ სანდოა და ქართულის კარგი მცოდნისგან არის მოთხრობილი.

მონადირესთან არის დაკავშირებული მესხეთის სოფელთა გარკვეული ნაწილის ან აღმოჩენა ან სახელის შერქმევა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან უცხო ადგილებს, ახალ მიდამოს შორს წასული მონადირე თუ გადაეყრებოდა, თორემ გუთნისდედა სოფლის გარშემო ტრიალებდა მუდამ. შიდა მიგრაციები, სოფლიდან გადასახლება-გადმოსახლებანი დამახასიათებელი იყო ბევრი სოფლისთვის. ეს უკავშირდებოდა ნაყოფიერი მიწების ძიებას, ომებს, თავდასხმებს, წყალს და სხვა. ამ შემთხვევაშიც მონადირეს უნახავს კარგი წყარო, მოსწონებია და ბოგას გაეკრავო, უთქვამს.

რა არის ბოგა? არნ. ჩიქობავას რედაქტორობით გამოსული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ბოგას და

ბოგირს სინონიმებად წარმოგვიდგენს: „ბოგა განმარტებულა როგორც „პატარა ხიდი,” ხოლო ბოგირის თაობაზე ნათქვამია: „ხის პატარა ხიდი (ჩეულებრივ მიწადაყრილი).”

სულხან-საბა ორბელიანი ბოგას „მცირე ხიდს” უწოდებს. როგორც ჩანს, განმარტებითი ლექსიკონი იმეორებს სულხან-საბას განმარტებას.

ივ. გვარამაძე (ეინმე შესხი) 1907 წელს შედგენილ ლექსიკონში ბოგას ასე განმარტავს; „პატარა ხიდი მიწაყრილი.” ბოგა ბოგირის მნიშვნელობით შემორჩენილია იმერულსა და გურულ დიალექტში (აღლ. ღლონტი).

მესხურ დიალექტში (სამცხურსა და ჯავახურში) ეს სიტყვა არ შემონახულა. ბოგირიც ახალი შემოსულია და შემოიყვია იმერული მოსახლეობის შემოსვლას. სამაგიეროდ შემოგეინახა ტოპონიმად. ზემოთ მოყვანილი ლეგენდის შინაარსი გასაგები ხდება ბოგის მნიშვნელობას როდესაც ვეცნობით. წყაროზე მონადირემ პატარა ხიდი „გაკრა,” გააკეთა და ადგილიც სასოფლოდ მოეწონა. მართალია, სინამდვილეში სხვაგვარია ნომინაცია, მხოლოდ მონადირის ნათქვამზე, როგორც ეს ლეგენდაშია მითითებული, არ ხდება სახელის შერქმევა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოგა დამახასიათებელი ყოფილა წყლიანი სოფლისთვის და მართლაც ამიტომ მოხდარა სახელდება. სიტყვა ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე იქცა ტოპონიმად. არც ეს არის უცხო ტოპონიმიაში. ბოგასთან ახლოსვეა სოფელი, რომლისთვისაც კლდე შეურქმევი ქართველ კაცს. ბოგას შემთხვევაში გარკვეული როლი ითამაშა სახელის — ა ხმოვანზე დაბოლოებამ, რომელიც გაგებულ იქნა როგორც ტოპონიმწარმოებელი.

ბოგა ძველი სოფელია. მე-16 საუკუნეში ოსმალებმა აღწერეს იგი. მასში სულ 6 კომლი ცხოვრობდა, რა თქმა უნდა, ისინი ქართველები არიან. აი, მაშინდელი მამაკაცების სახელები: შოშია, წამალა, ივანე, გიორგი, მანასე, მამისა, აზარია, ნასარა, ზასელა, გუბელა.

1886 წელს რუსებმა აღწერეს ბოგა და 1893 წელს გამოაქვეყნეს მასალები ამ აღწერის თაობაზე. მაშინდელ ბოგაში 22 ოჯახი ცხოვრობდა, მათ შორის 95 მამაკაცი და 91 ქალი. ისინი ქართველი მამადიანებია, როგორც რუსი სტატისტიკოსები წერენ.

1944 წლის ნოემბერში ბოგაში ჩამოსახლეს მოსახლეობა დასაეღეთ საქართველოდან, კერძოდ, ხარაგაულის რაიონი

ნის სოფლებიდან: ჭარტალიდან, მოლითიდან, წიფიდან, ნე-
ბოძირიდან. შემდეგ მათ შეემატნენ სხვა რეგიონებიდანაც
და დღეს სოფელში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: ლაფაჩი,
ყიფიანი, ავალიშვილი, ფცქიალაძე, ცუცქირიძე, მჭედლიძე,
უჩიძე, გოგოლაძე, მოჟაძე, კვერნაძე, ქურდაძე, ლომსაძე, გა-
ჩეჩილაძე, ლაცაბიძე, ცნობილაძე, კვირიკაშვილი, ფოცხვე-
რაშვილი, აღხაზიშვილი, გობიანი, კვიცინაური, გორგაძე,
კობახიძე, ქალთაშვილი, ცერცვაძე, გრიგოლაშვილი, მჭედ-
ლიშვილი, ხალაძე.

ბოგასთან კიდევ ერთი სოფლის სახელია დაკავშირებუ-
ლი. თუ ბოგა ფერსათის მთების სამხრეთ კალთებს არის
შეფარებული, ბოგთა ჯაგახეთის, ანუ ბაკურიანის მთების
ფერდობის ნასოფლარია სოფ. ოთის თავზე. ბოგთასთან ახ-
ლოს იყო ზემო ოშორაც. ბოგთაც ცნობილი იყო საუკეთესო
წყლით. ერთი მათგანი დაფიქსირებულია მე-19 საუკუნეში
და მას მეფის წყარო ჰქვია (ს. ჯიქია).

მე-16 საუკუნეში გეკონდა ზემო და ქვემო ბოგთა. ორი
პატარა სოფელი, უფრო სწორედ, ერთი სოფლის ორი პატა-
რა უბანი. ზემო ბოგთაში ორი კომლია, ქვემოში — 3, რო-
გორც ამას სერგი ჯიქია მიუთითებს. ზემო ბოგთაში ორი
ძმა ცხოვრობდა: „სახელად ზურაბა“ და „ოსია ძმა მისი,“
ხოლო ქვემო ბოგთაში ერთი არის რამაზა ილარიონისძე,
რომელსაც თავად არაბული წარმოშობის სახელი ჰქვია. ეს
სახელი გავრცელებულია დღესაც ჩვენს მოსახლეობაში.
მისგან არის ნაწარმოები გვარები რამაზიშვილი, რამაზაშვი-
ლი (ზ. ჭუმბურიძე), ასევე პოპულარულია ბერძნული წარმო-
შობის სახელი ილარიონი, რამაზას მამას რომ რქმევია. მის
პოპულარობას, გარდა იმისა, რომ მისგან ნაწარმოებია გვა-
რი ილარიშვილი (ზ. ჭუმბურიძე), ადასტურებს ნოდარ დუმ-
ბაძის ცნობილი ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარი-
ონის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. ქრისტიანული სახე-
ლის მქონე საბას მამა ჰყავდა, რომელსაც ოსმალური სახე-
ლი ფარაზიზი ერქვა. ეტყობა დამპყრობის სახელები შემო-
დის უკვე მოდამში.

მე-19 საუკუნეში რუსი მოხელე ასე აღწერს ბოგთას:
“Бокта — пустошь, казенная, при роднике Мепис-цакао.” სო-
ფელი დაცლილა, მაგრამ მთავარი მახასიათებელი, რითაც
ის გამორჩეულია, არის წყარო ისევე, როგორც ბოგაში. ბო-

გაში თუ ერთი „ბოგა გაიდო“, ბოგთაში რამდენიმე ბოგა ყოფილა, რასაც გეაფიქრებინებს მრავლობითი რიცხვის სუფიქსი -თ(ა). სწორედ ამ სუფიქსის ყრუ თანხმოვანმა თ-მ მოახდინა ფუძისეული გ ბგერის ასიმილაცია და მივიღეთ ქ. ბოგაში აშკარაა, რომ -ა ფუძისეული არ არის წარმოშობით. ამის ნათელი მაგალითია ბოგის სინონიმი ბოგირი, რომელშიც -ირ ისევე არის სუფიქსი, როგორც -ა ბოგაში. ბოგასა და ბოგირში ერთი და იგივე ძირია -ა და -ირ სუფიქსებით გაფორმებული. ამგვარად, ბოგთა→ბოქთა.

სამწუხაროდ, ბოგთა დიდი ხანია ნასოფლარად არის ქცეული. მისი ლამაზი მიდამოები ტყით არის დაფარული. დღეისათვის ამ სახელით მხოლოდ ნასოფლარი არ აღინიშნება, ბოგთა პქვია ტყესაც, რომელსაც ხან საზღერულის გარეშე მოიხსენიებენ, ხან კი ბოგთის ტყეს უწოდებენ, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო აბუნდოვანებს სახელის სემანტიკას.

ბუზმარეთები ერუშეთსა და სამცხეში

ბუზმარეთი თავისი სტრუქტურითა და შინაარსით გამჭვირვალე სახელია. ყოველ შემთხვევაში, მისი ეტიმოლოგია შეიძლება, ე.ი. შეიძლება გავარკვიოთ, რა სიტყვა უდევს საფუძვლად ტოპონიმს. იგი დაიშლება ორ ნაწილად. ამოსავალი არის საკუთარი სახელი ბუზმარი, რომელიც გაფორმებულია ტოპონიმწარმოებლით - ეთ-ი. მსგავსი ტოპონიმები, როდესაც ადამიანის საკუთარი სახელი დაერთვის -ეთ-ი, გვაქვს საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. მაგალითად: ბასილეთი სოფლის სახელია გურიაში, ჩოხატაურის რაიონში. ასევე გურიაში გვაქვს გრიგოლეთი, ლანჩხუთის რაიონში. ბუზმარეთი საპოვრისა და წყროების სახელია აჭარაში გოდერძის უღელტეხილზე. შესაძლებელია, რომ აქაც იყო ერთ დროს ნასოფლარი. აჭარაშია ცნობილი კურორტი ქობულეთი და სიმონეთი ბათუმთან, გობრონეთი ქედის რაიონში. სიმონეთი ასევე ცნობილი სახელია იმერეთში, თერჯოლის რაიონში, სადაც არის აგრეთვე ქვემო სიმონეთი. გოგოლეთი გვაქვს რაჭაში სოფლის სახელად ამბროლაურის რაიონში და ა.შ. ჩამოთვლილ სახელებს თუ ჩამოვაცილებთ -ეთ დაბოლოებას, დაგვრჩება შემდეგი საკუთარი სა-

ხელები, რომლებიც გავრცელებულია საქართველოში: ბასილი, გრიგოლი, ქობული, სიმონი, გობრონი, გოგოლა. ამავე რიგისაა ბუზმარი, რომელიც ბუზმარეთთან პირველად დააკავშირა ივ. ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი, 1979:276). ბუზმარი იყო მეფე საქართველოში. „რამდენ ხანს მეფობდა ფარსმანი, არა ჩანს, მაგრამ დაახლოებით 413-416 წ. თუ უფრო ადრე არა, იბერიის მეფედ ბუზმარი ყოფილა, დიდი ბაკურ მეფის სიძე, მისი ქალის ბაკურდუხტის მეუღლე. ბუზმარის დროს სპარსთა მეფეებს კვლავ განუახლებიათ თავიანთი ცდა, რომ აღმოსავლეთი საქართველო მორჩილ მოკავშირედ გაეხადათ და ამიტომ ბუზმარს სთხოვდნენ, შენი შეილი მძევლად გამოგვიგზავნო. თავი რომ როგორმე დაეღწია, მან თავისი მცირეწლოვანი შვილი, შემდეგ განთქმული საეკლესიო მოღვაწე პეტრე ქართველი (იგივე პეტრე იბერი, ყსკუდო დიონირე არეოპაგელი — მ.ბ.), მაღუმელი, ეპისკოპოსი, მთაში დასამალავად გახიზნა“ (იქვე, გვ.276).

ბუზმარი ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობილია აგრეთვე ბუსმარიოსისა და ბუზმარიოსის სახელითაც. რა ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს ისტორიულ პირს, იბერიის მეფეს მეხუთე საუკუნეში, ბუზმარს ბუზმარეთთან? ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მეფის სახელის მოხმობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შეგვიძლია მტკიცება ამ საკუთარი სახელის არსებობისა. თორემ ჩვენ რომ ბუზმარეთი დაუკავშიროთ მეფეს, თითქოს მას დაეარსებინოს ეს გეოგრაფიული პუნქტი, ბევრ წინააღმდეგობას შეიცავს.

მესხეთში ცნობილია ხუთი ბუზმარეთი. ხუთივე დღეს ნასოფლარია, ამათგან სამი არის ასპინძის რაიონში, ერუშეთის მთიანეთში, ხოლო ორი — სამცხეში, ადიგენის რაიონში, ქვაბლიანის ხეობაში. ისტორიული ცნობები გვაქვს შემორჩენილი ერუშეთის ბუზმარეთების შესახებ. კერძოდ, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში“ აღწერილია სამი ბუზმარეთი: ზემო, ქვემო და შუა ბუზმარეთი. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბუზმარეთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი ყოფილა. იგი არის ბუზმარეთის ნაჰდეს ცენტრი. ნაჰდე ოსმალური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით რაიონს ნიშნავდა. სოფელთა გამოყოფა, რაიონული ცენტრობა, დამოკიდებული იყო მის სიდიდე-

ზე და ქართულ ტრადიციაზე — სად შეიძლება მჯდარიყო ადგილობრივი ხელისუფალი.

მე-16 საუკუნეში ბუზმარეთის რაიონში შედიოდა 12 სოფელი, რომელთა შორის ზოგი მათგანი უკვე გაუკაცრიელებული ყოფილა, დღეს კი ყველა ნასოფლარია. ბუზმარეთის რაიონის სოფლები იმ დროს იყო: უბანი, გუნდი, არჩათუბანი, ვანი, ქართაშენი, მიქუზაშენი, თეთრისხევი, შოლა, შუაბეკე.

ბუზმარეთებთან „დაეთარში“ აღწერილია ორი უბანიც. ქვემო ბუზმარეთთან არის ბაგრატათუბანი და შუა ბუზმარეთთან — ჭოჭოვეთი (ჯიქია, 1958:300).

უბნების გამოყოფა ხდებოდა სოფლის გაზრდის შედეგად, როდესაც ესა თუ ის გვარი იმდენად გაძლიერდებოდა, რომ მათ შეეძლოთ ან ცალკე ეყიდათ მიწა, ან გაეჩხათ ტყე, დაეტერასებინათ გამოუყენებელი ადგილი, რომელიც შემდეგ სავარგულად იქცეოდა.

ძნელი არ არის გაარჩიო, რომელი იყო ზემო და რომელი ქვემო ბუზმარეთი, რადგან ჯინჭრობის მთის სამხრეთ კალთაზეა ორივე ნასოფლარი შეფენილი. მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩაუდის შოლოს წყალი, რომელიც მთის მშვენიერი საკალმახე მდინარეა. იქვეა ნასოფლარი ვანი თავისი შესანიშნავი ნაეკლესიარით. ცოტა ქვევით, სამხრეთით, ხობაში კი შუაბეკეა, რომელსაც მდინარის მარჯვენა ნაპირზე დღევანდლამდე შემორჩა ეკლესიის კედლები. შუაბეკე იმასაც მიგვანიშნებს, რომ ერუშეთის ფერდობები, რომელიც დღეს მოშიშველებულია და ასკილის დაბალი ბუჩქების გარდა არაფერი ხარობს, ერთ დროს ტყით უნდა ყოფილიყო დაფარული.

ბუზმარეთს გარშემო სათიბი ჭალები და საძოვრები აკრავს. წინ აღმართულია კურდღლის გორა, რომლის სამხრეთ ფერდობზე გამოდის შავიწყარო, ზამთარსაფხულ გამომდინარე „კეთილად.“ წყაროები ბუზმარეთს არ აკლდა. მას პატარა ფიქლის წყაროც აქვს და ძველ მიწურებში შუაღარბაში გამომდინარე თეთრი წყაროებიც.

ბუზმარეთის ერთ-ერთი უბნის ჭოჭოვეთის ადგილმდებარეობის გარკვევაც შეიძლება. ის სადღაც ზემოსა და ქვემოს შორის მის სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო, იქ, სადაც ჭოჭი დგება, წყლიანია.

აი, ამ მიდამოებში ცხოვრობდნენ მაშინდელი ქართველები. მე-16 საუკუნეში ზემო ბუზმარეთში 13 ოჯახი ცხოვრობდა (ჯიქია, 1941:210) ზოგი მათგანი მხოლოდ სახელით არის მოხსენებული, ზოგისა კი მამის სახელიც შემოგვრჩა: ოქრო პაველასძე, პაველა პაპასძე, მათარსა იოსებისძე, მახარა ბაქრასძე, სახელად ივანე, ბასილა რევაზასძე, ერთ-ერთ გრიგოლისძეს, რომლის სახელიც ამოუკითხავია, ჰყავდა შვილი ქიტია, რომელიც ცალკე ოჯახის უფროსი იყო. ქემაზა იმდენად ცნობილი კაცი ყოფილა, რომ მისი შვილიშვილის სახელიც კი არ უხსენებიათ და მიუთითებიათ ოსმალთა მოხელეებს, როგორც ქემაზას შვილიშვილი. ზესელას ჰყავს შვილი პეტრე და ასევე მამის სახელის გარეშე დაფიქსირებული იოსები და სულალა არიან ოჯახის მამასახლისები.

ქვემო ბუზმარეთში ოქრო პაველასძეს ჰყავს სეხნია სახელითა და მამის სახელით. მას ჰყოლია ძმა ბადურა და შვილი ივანე. მახარა ბაგრატიისძეს და მის შვილს ბატატას ცალ-ცალკე ოჯახები აქვთ. ქიტია ხიზანასძე, სულულა ივანესძე და სახელად იოსება ქვემო ბუზმარეთის დანარჩენი ოჯახის უფროსები არიან.

შუა ბუზმარეთში სულ ოთხი ოჯახი ცხოვრობდა, მათ შორის ივანე და მისი შვილი, რომლის სახელიც ამოუკითხავია და მახარა ნავსაძარისძე „სახელად მათარსას“ მეზობელი.

საბჭოთა პერიოდში ბუზმარეთსა და მის გარშემო ნასოფლარებში საკოლმეურნეო ფერმები იყო განლაგებული. რაც შეეხება სამცხის ბუზმარეთს, „დაეთარში“ დაფიქსირებული არ არის. არც სხვა წყაროები მოიძებნება მის შესახებ. დღეს სამცხის ზემო და ქვემო ბუზმარეთები ცნობილია ტრადიციული დღესასწაულით „ბუზმარეთობით,“ რომელზეც უდის მოსახლეობა და გარშემო სოფლები გადიან მარიამობას – 28 აგვისტოს.

ერუშეთის ბუზმარეთებისაგან განსხვავებით, აქ ტყიანი გარემოა. საბჭოთა პერიოდში ორივე ბუზმარეთი სასახლდერო ზოლში შედიოდა. ქვემო ბუზმარეთში თუ კიდევ შეიძლება და მიახლოება, საერთოდ შეუძლებელი იყო ზემო ბუზმარეთში მოსახლეობის შელწევა.

ოსმალობის პერიოდში ეს ადგილები უდის რაიონში (ნაჰიდეში) შედიოდა. ორივე ბუზმარეთი არის ძველი ნასოფ-

ლარი. ორივეგან იდგა ძველი ქართული ეკლესია, რომელთა აღდგენა-რესტავრაცია მოხდა ბოლო დროს.

აქედან შესანიშნავი ხედი იშლება გარშემო. ჩრდილოეთით ქვაბლიანის ხეობაა, ხოლო სამხრეთით მისი პარალელური — ფოცხოვის ხეობა, რომლის ის ნაწილი მოჩანს, დღეს რომ თურქეთის ფარგლებშია. ბუზმარეთის გარშემო უძველესი სოფლები და ნასოფლარებია, რომელთა სახელების ისტორია ათასწლეულებს ითვლის: მარელი, ხვანა, წყისე, ზაზალო და სხვ.

ზემო ბუზმარეთში მართლაც რომ ღვთის თვალი და მადლი ტრიალებს. აქ აღდგენილი ეკლესიის გარშემო მონასტერია, რომელიც მოღვაწე ბერის მამა გრიგოლის წინამძღოლობით შრომობს და იღვწის. აქ გადის დღევანდელი საზღვარი თურქეთთან. იყო დრო, როდესაც ქალიან შორს იყო ამ ადგილებიდან საქართველოს მიწები.

რა მიმართებაა მია ეს ორი ბუზმარეთი, ერუშეთისა და სამცხისა, ერთმანეთთან, რატომ არ აღწერეს ოსმალო მოხელეებმა უღის ბუზმარეთები? ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი არსებობს. შეიძლება ისინი დუბლი ტოპონიმების რიგს მიეკუთვნებიან. ე.ი. ისეთი სახელებია, ადგილიდან ადგილზე რომ გადაქონდა მოსახლეობას. ასეა მაგალითად სამცხესა და ჯავახეთში დადესი, ჯავახეთსა და ქართლში ოკამი და სხვანი. ეს აზრი განსაკუთრებით იჩენს თავს მაშინ, როდესაც ოსმალების მიერ აღწერილ რეგიონში არ ჩანს უღის ბუზმარეთები.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ აღწერის შემდეგ გაჩნდა ეს ორი სოფელი და ერუშეთიდან გადმოსულებმა გადმოიტანეს სახელი, მაგრამ ამ ორივე ნასოფლარის სიდიდე და სიძველე, ორივეგან ეკლესიების არსებობა ამ აზრის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

ადგილიდან ადგილზე ტოპონიმთა გადატანის გარდა უფრო ხშირია სხვადასხვა რეგიონში ერთი და იმავე სახელის გაჩენა, ადამიანის საკუთარი სახელით შექმნილი ტოპონიმები იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხედეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად: სიმონეთი გურიასა და იმერეთში, ეტყობა ბუზმარეთებიც ასეთი საკუთარი სახელებია.

ტატანისი

სოფელს ხანგრძლივი ისტორია აქვს, პირველად ეს სახელი არაპირდაპირი ცნობებით გვხვდება, როგორც ამის შესახებ აკდ. ვახტანგ ბერიძეზე დაყრდნობით მიუთითა ვ. სამსონიძემ. „ტატანისი სულ ცოტა 1000 წლის მაინც უნდა იყოს“ (სამსონიძე, 2000). მე-10 საუკუნეში მოღვაწეობდა კალიგრაფი იოანე ტატანელი, ურბნისის სახარების გადამწერი. მართლაც ტატანელი, ნიშნავს ტატანისელს, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი და მე-10 საუკუნის ტატანისი ერთი და იგივე ადგილის სახელია, თუმცა ამ ძველი მესხური სოფლის შესახებ მე-16 საუკუნემდე სხვა ცნობები არ გაგვანინია.

ტატანისი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში“ საკმაოდ დიდ სოფლად არის აღწერილი. ოსმალო მოხელეს აღწერია ოჯახები და ოჯახის უფროსები. კერძოდ: ზათელა ეკტერის ძე; ბასილა ძე მისი. თავად წამალა ან აღარ არის ცოცხალი ან უკვე ოჯახის უფროსობა შეილიშვილს აუღია თავზე, ამიტომ ცალკეა მითითებული წამალას შეილიშვილი და ელია ძე მისი. სახელებით თუ ვიმსჯელებთ ერთი ოჯახი სომხური ყოფილა: კარაპეტ გუარის ძე, რომელსაც, ეტყობა, ვაჟი არა ჰყავდა, ამიტომ „ელია სიძე მისი“ ცალკე ოჯახის უფროსად არის დასახელებული. იასონი მამის სახელობით არის წარმოდგენილი. იასონ ფილასონის ძე, მართალია, გოგინაც ფილასონის ძეა, მაგრამ მათ ოჯახში იასონი იმდენად ცნობილი კაცი ჩანს, რომ გოგინაზე ნათქვამია: „ძმა მისი“ ასევე ცალკე ოჯახია და ოჯახის უფროსია გრიგოლ მღვდელი, რომელსაც ჰყავს შეილი ელია, ცალკე კომლის მეთაური და მისი ძმა ვარძელი, რომელიც, რა თქმა უნდა, გრიგოლ მღვდლის შვილია, მაგრამ მაინც ელიას ძმობით იხსენიება.

მესხეთში იმ პერიოდში განსაკუთრებით პოპულარული სახელია გოგინა, რომელიც გიორგის კნინობით-მოფერებითი ფორმაა (გიორგი→გოგი→გოგინა). ტატანისში რამდენიმე გოგინა ცხოვრობს. ზემოთ მოხსენიებულის გარდა: გოგინა თარაღას ძე, ელია გოგინას ძმა და მახარა გოგინას ძე. აქვეა დავითს მოფერებითი ფორმით რომ იცნობენ და დათუნას ეძახიან (დავითი→დათო→დათუნა), პაატას ძე. მხოლოდ გო-

გინა არ არის გიორგის კნინობითი ვარიანტი. გიორგი ხომ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელია საქართველოში (გიორგი→გოგი→გოგინა). იმ დროს უცხოურია გოგინა დათუნას ძეს.

განსაკუთრებულ პატივს სდებდნენ ელიას სამხრეთ საქართველოში. რამდენიმე ადგილზე იყო ელიას სახელობის მთა და სალოცავი. ამინდი ხომ ელიას გუნება-განწყობილებაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ ბევრს ერქვა ეს სახელი, რაც კარგად ჩანს მე-16 საუკუნის ტატანისელებში. ჩვენ უკვე გავეცანით ორ ელიას: კარაპეტის სიძეს და თარალას შვილსა და გოგინას ძმას. მათ გარდა იყვნენ, აგრეთვე, ელია მახარებლის და ნარიმას ძმა. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აღოშას ძეს ელიას, თავისი შვილისთვისაც ელია დაურქმევია. იყო, აგრეთვე ელია იორდანეს ძმა და აბრამისძე. მაშინდელ ტატანისში სამიც ვარძელი გვყავს. გრიგოლ მღვდელს ჰყოლია შვილი ვარძელი და ვარძელ ნარიმანის ძე. იყო აგრეთვე როსაფა ვარძელის ძე. შეიძლება სახელი დაგვეკავშირებინა ვარძიასთან და წარმომავლობის სახელად მიგვეჩინა თავისი - ელ მაწარმოებლით, მაგრამ იმდენად პოპულარულია მაშინდელ მესხეთში ეს სახელი, რომ უფრო სწორი იქნება თუ მას ხელობის აღმნიშვნელ სიტყვად მივიჩნევთ. მესხეთში იყო კლდეები, რომელთაც სავარძიები ერქვა. ეს ისეთი კლდეებია, სადაც გამოქვაბულის გაკეთება არის შესაძლებელი. სავარძიებს პარალელურ ფორმად სავარძე აქვს, ხოლო ვარძობა ნიშნავდა კლდის გამოჭრას, კვეთას. სახერეტი კეტს მათხაფი ერქვა. მათხაფი ქონდათ სხვადასხვა ზომისა, იგი იყო ბრტყელპირიანი რკინის გრძელი საჭრეთელი, რომელიც ეკავა ერთ კაცს და ურტყამდა მეორე უროს. ვარძობა ორი კაცის საქმეს, მუშაობას ნიშნავდა. სახერეტი და საკვეთი კლდე მესხეთში ბევრი იყო, ამიტომ ვარძელა უფრო ამ ნიშნით შეიძლება შეერქმიათ ტატანისში.

მოქმედებითი გვარის მიმღეობა მახარებელი შეიძლება ბევრი რამის გამო დარქმეოდა ადამიანს, იქნებოდა ეს სარწმუნოებრივი ნიშნით თუ სანატრელი შვილის დაბადებით. ასეთი გვყავდა ნარიმა მახარებლის ძე. სხვა შემთხვევაში პირდაპირ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა მახარა დაურქმევიათ ერთისთვის. ასევე საინტერესოა კომპოზიტიური სა-

ხელი მამამთვარი, რომელიც, ალბათ, მესხეთში ოჯახის უფროსის დიდიმამის სინონიმი იქნებოდა, ამიტომ მოიხსენიებენ ელიაზარ მამამთავრისძეს. ყოფილა ვინმე რაფიელ ხუმარის ძე. ხუმარა, რომ ყოფილიყო, თითქოს უფრო ნათელი იქნებოდა ეს სახელი ასახსნელად, მაგრამ ფუძის სახით სხვაც ბევრი გვხვდება „დავთარში“, ამიტომ ხუმარიც მიმღეობა უნდა იყოს.

ლომას, ელიას გარდა, ჰყავდა შვილი ბატატა, ასევე გაერცვლებული სახელი მესხეთში. ეტყობა ეს სიტყვა მეტსახელი იქნებოდა თავიდან. ხევსურულს რომ შემოუნახავს ბატატური (ა. შანიძე) „ფეხების განზე გადგმა“. „დავთრის“ გარდა ბატატა სხვა დოკუმენტებშიც გვხვდება საკუთარ სახელად. ამავე ფუძიდან ნაწარმოები ჩანს ბატე, ბატია და ბატიტა (მეტსახელი ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბაერაში) სახელები. დანარჩენები: იორდანე აბრამისძე, გაბრიელ სიმონის ძე და სხვანი, ტრადიციული ქრისტიანული სახელების მატარებლები არიან.

ასე უცხოვრია 1595 წელს 30 კომლს ტატანისში (ჯიქია, 1941:27).

სოფელი ფერსათის მთების სამხრეთ ფერდობებზე კლდე-გორაკებს არის შეფარებული. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ილია მაისურაძემ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დავალებით მოიარა სამცხე. იგი ტატანისის შესახებ წერს: „სოფ. ტატანისში 56 კომლია, აქედან 31 ქართველი მაჰმადიანია, დანარჩენი ქართველ-მართლმადიდებლები არიან. ცხოვრობენ: სამსონიძეები (მართლმადიდებლები), ბლიაძეები, მეფურნიშვილები, ჭულუკაშვილები, ბერძენიშვილები“ (ს.ჯ.ი.მ. №4433). ტატანისში ძირითადი სამსონიძეთა გვარია. მათი მოსვლის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ ქარელის რაიონის სოფ. ბრეთში სამსონიძეს შემოჰკედომია ბატონი და ძმებთან ერთად გადმოსულა სოფ. ტატანისში, ხოლო მისი ორი ძმიდან ერთი საკირეში დასახლებულა, ხოლო მეორე – ასპინძის რ. სოფ. ოშორაში (ე. სამსონიძე).

სამსონიძეებს აუშენებიათ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სოფლის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რისთვისაც მაჰმადიანებს ხელი არ შეუშლიათ. იმ პერიოდში მაჰმადიანი მოსახლეობა ხშირად მონაწილეობასაც კი ღებულობდა ქრისტიანული ტაძრის მშენებლობაში. ტატანისში მაჰმადიან-

ნური მოსახლეობა სტარბობდა, რასაც ადასტურებს ვ. სამსონიძეც (მეორე მსოფლიო ომის დროს 40 ოჯახი მაქმადიანია, ხოლო 20 ოჯახი სამსონიძე). ასე რომ, ი. მაისურაძის მიერ დამოწმებული გვარები, სამსონიძის გარდა, არის მამადიანური. მათ რიცხვს მიემატება: ჭუტაძე, ურშანიძე, წულუკიძე და ჭიპაძე (ვ. სამსონიძე), რომლებიც გაასახლეს 1944 წელს და მათ ადგილზე დასახლდნენ მეზობელი რაიონებიდან მოსული ზედაგინიძეები, ჯვარიძეები, ლაცაბიძეები, პეტრიაშვილები და სხვა.

ტატანისში გამოიყოფა —ის დაბოლოება, რომლის ჩამოცილების შემდეგ გვრჩება ტატანი. ტატანს კი სულხან-საბა ასე განმარტავს: „ვარსკვლავმორბედი. ესე არს რა მზისა შარაგანდელი აღიქვამს ორთქლსა რასამე ქვეყანისაგან და ორთქლი იგი სიმაღლესა ჰაერისასა მზისა და ეთერისა მიერ შეგვამდებიან და იქმნების ვითარცა ცეცხლი და მნათობი; და სადაცა ჰაერისა სიცხე არს, მუნ დაადგრების და, რა ძლიერი ქარი ეკვეთების, გაიტაცებს და გამოჩნდების მობედად, ვითარცა ვარკვლავი (ორბელიანი, 1966:134)“.

ვარსკვლავ-მორბედი, როგორც სინონიმი ტატანისა არის „ღამით რომ ვარსკვლავსავით გაფრინდება“. (ორბელიანი, 1965:260). მნათობის შესახებ ნათქვამია: „არიან ვარსკვლავნი, უმეცართ მნათობად უთქვამთ ვარსკვლავმორბედი, რომელ არს ტატანი (ორბელიანი, 1965:497)“.

ქუხილის გამომწვევი არის ტატანი: „ქუხილი იქნების ქართა მიერ ღრუბელთა კვეთებათა, რამეთუ ჰაერთა სიხშოთა შინა არიან ტატანნი, მრავალნი, ხოლო ჰაერთა შინა რა ურთიერთს წინააღმდეგომნი ქარნი იწყებენ კვეთებასა, რომელიმე ტფილნი, რომელიმე ცივნი, ეკვეთებიან, ტატანნი ღრუბელთა სიღრუვისა და ტატანთა შემუსრვისაგან გამოვლენ ხმანი ქუხილისანი, უკეთუ ქარმან ერთისა კიდითა სძლო, ვაივლის ტატანი იგი განხეთქილი და მისგან გამოკრებიან ელვანი“ (ორბელიანი, 1966:242) ტატანი ცისიერი მოვლენაა: ესე არს ჰაერთა შინა რაიც იქმნების: ელვა, ქუხილი, მეხი, ტატანი, ვარსკვლავკუდელი, სეტყვა და რაიც შუქი და ნიშანი გამოჩნდების (ორბელიანი, 1966:337)“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვარსკვლავ-მორბედი განმარტებულია: ძვ. ვარსკვლავი, რომელიც მოსწყდა ცას — მეტეორი (შდრ. ტატანი) (ქეგლ, 1955:32)

ტატანის ორი მნიშვნელობა არის დადასტურებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: 1. „ძვ. ევარსკელაემორბედი“ (საბა), მეტეორი. 2. იგივეა, რაც ტატნობი“ (ქეგლ, 1960:1259).

მეტეორი ბერძნული სიტყვაა Μετέωρος (პაერში მონავარდე) და მას ორი მნიშვნელობა აქვს 1. ყოველგვარი ატმოსფერული მოვლენა (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ცისარტყელა) 2. იგივეა, რაც მეტეორიტი (ქეგლ, 1958:202)

ტატანისი ტატანთან დააკავშირეს ბატონმა შ. მოსეშვილმა და ვ. სამსონიძემ. ორივე მკვლევარი ტატანისს უკავშირებს ტატნობს. შ. მოსეშვილი სულხან-საბა ორბელიანზე დაყრდნობით, ხოლო ვ. სამსონიძე წერს: „მიგვაჩნია, რომ სოფლის დასახელება მიღებული უნდა იყოს ტატნობი სიტყვიდან და რომ „ტატნობი“ უნდა ეუწოდოთ არა მხოლოდ „ცის კამარას, ცის თაღს, ცას“, არამედ მიწის სწორ ზედაპირსაც. სწორედ ასეთ ჰორიზონტზე იყო გაშლილი წინათ სოფელი ტატანისი, ახლა, რომ „კერანა ტატანისი“ კქვია (სამსონიძე, 2000)

როგორც უკვე ითქვა, ტატანისისათვის ამოსავალია ტატანი, რომელიც ფორმდება – ის დაბოლოებით, ისევე, როგორც ტატნობისათვის არის ძირეული სახელი ტატანი, ოღონდ ამ შემთხვევაში წარმოქმნილია –ობ დაბოლოებით, რომელმაც გამოიწვია ფუძის რედუქცია. ის დაბოლოება გამოყოფილი აქვს შ. მოსეშვილს: „ისი“ – ნიშნავს „ის“, იგი მაგ.: თბილ-ისი ე. ი. ის თბილი“ (მოსეშვილი, 1990). ასევე ტატანელთან დაკავშირებით იგულისხმება ვ. სამსონიძესთან, რომ –ის სუფიქსის ფუნქციას ასრულებს, ოღონდ იგი, როგორც ტოპომაწარმოებელი ან ნაგენეტივარი სახელის დაბოლოება, არ არის განხილული.

ვ. სამსონიძის მსჯელობა აგებულია ვარაუდზე, რომ ტატნობი უნდა ეუწოდოთ, არა მხოლოდ „ცის კამარას, ცის თაღს, ცას, არამედ მიწის სწორ ზედაპირსაც“. სინამდვილეში ტატანისი მხოლოდ ცასთან არის დაკავშირებული, მიწის ტატნობი არ არსებობს, თან ტატნობსაც და ტატანისსაც ერთი საერთო საფუძველი, ერთი ძირეული სიტყვა აქვთ, ამიტომ ლოგიკური ჩანს შ. მოსეშვილის აზრი: „ტატანისი ციურ მოვლენებთან წილნაყარია, ევარსკელაემორბედი, ელ-

ვა, ქუხილი, მეტეორი თუ ტატნობი, ყოველთვის ცასთან და ნათებასთანაა დაკავშირებული.“

დღევანდელი ტატანისი უფრო „ახლოს არის ცასთან“ ე. ი. უფრო მეტად არის კლდოვან გარემოსთან დაკავშირებული, ვიდრე სულ სამიოდე კილომეტრზე მდებარე „ვერანა ტატანისი“, რომელსაც ვ. სამსონიძე მიიჩნევს ტატანისელთა უფრო ადრეულ საცხოვრებელ ადგილად. ესეც რომ იყოს, ეს საერთო მდგომარეობას არ ცვლის. გურია-იმერეთის მთების სამხრეთი ფერდობები, როგორც ითქვა, გამოირჩევა არასწორი რელიეფით, კლდოვანი მასივებით.

საბერძნეთს აქვს თავისი „ტატანისი“ – მეტეორა (Μετέωρα) თესალიის ჩრდილო-დასაყლეთით მდებარე კლდეთა ერთობლიობა, რომელთა თხემებზე მე-14 საუკუნიდან მოქმედებს ბიზანტიური მონასტრები. მეტეორას სახელდება მე-10 საუკუნიდან ხდება და შოდის სახელიდან „Μετέωρος“, რაც ბერძნულად ჰაერში გამოკიდებულს ნიშნავს. მეტეორა არის ის, რაც დედაძიწის მალღაა, ხოლო სხვა მნიშვნელობით – მეტეორიტს აღნიშნავს. (Μπαμπινιώτης, 2002:1089, 1090)

ქართული ტატანი სრული შესატყვისია მეტეორისა თავისი მნიშვნელობებით, ამიტომ სოფლის სახელი შეიძლება დაუუკავშიროთ ვარსკვლავებსაც და ჰაერში გამოკიდებულ სიმაღლეებსაც.

განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. ტატანისის მიკროტოპონიმია, რომელთაგან გამოყოფთ რამდენიმეს. პირველივე სახელი, ავაზანა რომ ჰქვია, პოპულარულია სამხრეთ საქართველოში. სიტყვის ბოლოში -ა მატოპონიმებული ფუნქციისაა, ხოლო ავაზანი აღ. ღლონტის მიერ შედგენილი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ასეა განმარტებული: „დიდი გეჯა, ხის მოგრძო ვარცლი პირუტყვისათვის წყლის სასმელად“. იქვე ვგებულობთ, რომ ავაზანს ხმარობენ მესხეთში, იმერხეეში და აჭარაში – ეს კი ისტორიული მესხეთია. ავაზანა – მთის, საძოვრის სახელია, რა შუაშია ხის გეჯა და მთა ან საძოვარი. სამცხეში შედარებით ნაკლებად, მაგრამ ვისაც ჯავახეთის ან ჩვენს ფარგლებში მყოფი ერუშეთის სოფლები ან ნასაოფლარები უნახავს, რომელთაც გარს აღპური საძოვრები აკრავს, გაიხსენებს ხის ან ქვის ავაზნებს. ასეთი ავაზნები სოფელთა შუაგულში სოფლის წყაროების წინ არის ჩარიგებული, რომ შიგ საქო-

ნელმა წყალი დალიოს. სოფლის გარდა, საძოვრებზეც იყო ავაზნები, შუა დღით წყლის სასმელად. ქვის ლამაზი ავაზნები ბოლო დრომდე დგას ხიზაბავრისა და ოკმის შუაგულში. კოლმეურნეობის დროს ლითონის ავაზნებიც გააკეთეს. რკინის მსხვილდიამეტრიან მილებს შუაზე ჭრიდნენ და იქ მნებოდა თანამედროვე ავაზნები.

ავაზანი ტატანისში კიდევ ერთ კომპოზიციურ სახელში გვხვდება – ოთხავაზნები. ასე ჰქვია წყაროსა და მის გარშემო ყანებს. შინაარსი ასე უნდა აიხსნას: რადგან რიცხვითი სახელი ურევია, ოთხი გეჯა ყოფილა. ეს აშკარაა, მაგრამ მაშინ ქართულისთვის უცნაური ფორმა იქმნება. რიცხვითი სახელი და მრავლობითი რიცხვი? ოთხავაზნებში ეს – ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანი ავაზნების რაოდენობას, მის სიმრავლეს არ ასახავს. სახელის ისტორია ასე უნდა განიმარტოს: თავიდან წყაროსთან იდგა ოთხი ავაზანი (გეჯა), ალბათ ხისა, რადგან ქვისა რომ ყოფილიყო, დღევანდლემდე მოაღწევდა, ამიტომ ოთხი ავაზანი ან ოთხავაზანი დაერქვა წყაროს, რომლის სახელიც ყანების ფონზე აღმოჩნდა მთავარი ორიენტირი. მოხდა ჩვეულებრივი მეტონიმია, როდესაც წყაროს სახელი გადავიდა ყანაზე. ოთხავაზანი ეწოდა ყანას, მაგრამ ყანა ერთი არ იყო, ამიტომ ყანების სიმრავლე გამოიხატა - ებ-ის საშუალებით. ასე მივიღეთ ქართულისათვის უცნაური ფორმა რიცხვითი სახელი, არსებითი სახელი და მრავლობითი რიცხვი.

ავაზანი განმარტებული აქვს სულხან-საბას, როგორც „წყლის სადგური“, რასაც სიტყვა-სიტყვით ემთხვევა მესხური მნიშვნელობა მისი, ხოლო თანამედროვე ქართულში ავაზანი არის: „სქეც. ჰერმეტიულად დახურული ჭურჭელში სითხეების სადუღებლად ან გამოსახდელად – ზარფუში“

ერთ ყანას ამბროლა ჰქვია ტატანისში. ალბათ ადამიანის სახელი უნდა იყოს, რადგან გვარი გვაქვს იმერეთში ამბროლაძე და იმერეთიდან გადმოსახლებულ ასპინძელებშიც გვხვდება ეს გვარი. ასევე საკუთარი სახელიდან უნდა იყოს მიღებული ამბროლაური. ერთი კითხვა მაინც იჩენს თავს. როგორ შეიძლება დარქმეოდა ადამიანის სახელი ყანას ყოველგვარი მაწარმოებლის ან კომპოზიციის გარეშე, როგორც ჩანს, ასეთი რამ ხდებოდა, რის მაგალითებიც ამავე სოფლის ტოპონიმიაში გვხვდება. დოლონა სათესის სახელია, გვაქვს გვარი დოლონაძე, რაც გვაფიქრებინებს, რომ

დოღონაც ადამიანის საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო. დოღონას პარალელურ ფორმად აქვს დოღორა და ძირითად ფორმად ის არის გატანილი, მაგრამ უფრო ძველი და სწორი ფორმა დოღონაა, რადგან სათიბის სახელად გვაქვს დღე დოღონა. ამასთანავე ადამიანის საკუთარი სახელია ამოსავალი წყაროს სახელში — ყაყუნა. მესხეთის მაჰმადიან მისახლეობაში ყაყუნაშიელი გავრცელებული გვარი იყო, რაც ჩვენს აზრს უეჭველს ხდის.

აქვე გამოგვადგება ბაღის სახელი მაკარიძე. აქაც იგივე მდგომარეობაა, ოღონდ გვარია ყოველგვარი მაწარმოებლის ან კომპოზიციის გარეშე. მსგავსი რამ ცნობილია მესხეთის ისტორიულ ტოპონიმიაში და დღესაც გვაქვს სოფლის სახელი მინაძე. მაკარიძეები მესხეთში იყვნენ როგორც ქრისტიანები, ასე მაჰმადიანები.

საინტერესოა ზოგი ისეთი ტოპონიმი, რომელიც ანთროპონიმებიდან მოდის და დღევანდელ მესხეთში ეს გვარები აღარ არის. დღეს ნაწიხქვილარს ჰქვია წულუკათ წისქვილი და ჭალას ჭულუკათ ჭალა. 1944 წლამდე ტატანისში ცხოვრობდნენ მუსლიმი ქართველები — წულუკიძეები და ჭულუკაშვილები. ამ გვარის ხალხი დღევანდელ მესხეთში აღარ შემოგვრჩა, მაგრამ ტოპონიმამ მათი კვალი შემოგვინახა. მათი საგვარეულო სახელები იყო წულუკაანი და ჭულუკაანი, რომელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შემოგვრჩა ზემოთ დამოწმებულ სახელებში. მესხეთში გავრცელებული იყო გვარი ვარდიაშვილი, რომელთა მეტგვარიც უნდა ყოფილიყო ვარდიენი, ხოლო ხიდს დღესაც ვარდიენტ ხიდი ჰქვია.

ასევე მაჰმადიანები იყვნენ ყელღერაშვილები. როგორც გვარიდან ჩანს, ღამაზი და ახოვანი, მოხდენილი ყელის პატრონები ყოფილან. ყერღელაშვილის შემთხვევაში მომხდარა მეტათეზისი, რ-ს და ლ-ს გაუცვლიათ ადგილები, რაც მოულოდნელი არ არის მესხურ დიალექტში. აღარც ეს გვარია დღეს მესხეთში, მაგრამ ტატანისის ტოპონიმამ შემოგვინახა ნაწიხქვილარის სახელად ყერღელაშვილის წისქვილი. მაჰმადიან მესხებში ბევრი მაისაშვილი იყო, საფიქრებელია, რომ კიდევ ერთი ნაწიხქვილარის სახელშია ძველი ქართული გვარი შემორჩენილი. ეს არის მაისვიენტ წისქვილი. რადგან ვ ჩნდება ნათესაობით ბრუნვაში, საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო მაისო და არა მაისა (ამ სახელებს

მაისში დაბადებულებს არქმევდნენ), საიდანაც გვექნებოდა გვარი მაისოშვილი, რომლის მეტგვარიც იქნებოდა მაისოანნი, ხოლო ნააყესაობითში — მაისვიენტ წისქვილი, კიდევ ერთი წისქვილი გექონდა, რომელსაც ლეკოწისქვილი ერქვა. ლეკოს საკუთრება იყო ეს წისქვილი, დღეს ისიც ნაწისქვილარია. გექონდა აგრეთვე ასლანას წისქვილი. დავაჯიას წისქვილი და სხვა.

ეს პატარა სოფელი გამოირჩეოდა წისქვილთა სიმრავლით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას დასაფქველიც ბევრი ქონდა. დღეს ყველა ტომონიმის გასწვრივ გვიწერია ნაწისქვილარი.

ფერსათის ჩრდილოეთით ფერდობები ტყიანია. ტყეში ჩრდილს რა გამოლევს, ხეთა ქვეშ სულ ჩრდილია, მაგრამ როდესაც მოსახლეობა ტყეს დაარქმევს დიდ ჩრდილს ან უბრალოდ ჩიდილს/ჩრდილს, სხვა რამესთან უნდა გექონდეს საქმე.

ოსმალეთის აღწერის დავთარში ესა თუ ის კუთხე იყოფოდა სხვადასხვა რაიონებად. დარაიონებისათვის, რა თქმა უნდა, გამოიყენებოდა რომელიმე გამორჩეული გეოგრაფიული პუნქტი, ვთქვათ, ხერთვისის რაიონი, ჭაჭარაქის რაიონი და სხვა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც დარაიონება ხდებოდა გეოგრაფიული ან რელიეფური ნიშნის მიხედვით, ანდაც, თუნდაც მეტეოროლოგიური პირობებითაც. მაგალითად ტყიანი ჯავახეთი, ტყიანი არტაანი, მზვარის რაიონი და ჩრდილის რაიონი. ახალციხეში არტაანში, ჯავახეთში და სხვაგან. ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა ს. ჯიქიამ, რომელიც წერს: „სხვანაირი ვითარება გვაქვს თუ მზვარისა და ჩრდილის მიხედვით მხარეთა განსაზღვრა ხდება, ორ მთას შუა მდებარე პუნქტიდან, ვთქვათ, მაგალითად ახალციხეს ორის მხრით აკრავს მაღალი ადგილი (ერთი მის ჩრდილოეთითაა, ხოლო მეორე — სამხრეთით). ჩრდილოეთის მთა (უფრო ზუსტად: ახალციხის ხამხრეთით მდებარე მთის ჩრდილოეთი ფერდობები) ახალციხისათვის იქნება ჩრდილის მხარე“ (ჯიქია, 1950:191)

აი, ასე აღიქმებოდა დიდ მასშტაბებში მხარეები და მათი მზიანობა-ჩრდილიანობა. ამიტომ დიდ ჩრდილში ტყის ჩრდილი არ იგულისხმებოდა, ის იყო ჩრდილის მხარეს მოქცეული ტყე, ამიტომ გეოგრაფიულ ტერმინადაც კი იქცა ჩრდილი და ბევრ სოფელში დაედო ადგილის სახელებს საფუძ-

ვლად. ჩრდილის ფონეტიკური ვარიანტია ჩიდილი, სადაც რ დაიკარგა და ი გაჩნდა თანხმოვანთ გასაყარად. ეს გაჩენა ქართულ დიალექტებშიც ჩვეულებრივი ამბავია, მაგალითად, მოხეურში, მთიულურში, ქსნის ხეობაში ჩირდილი არის მთის ფერდობი, რომელსაც მზე არ უდგება. ჩრდილთან არის დაკავშირებული ჩილდირის ტბა, რომელიც დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა და, რომელიც ჯავახეთ-არტაანისათვის დამახასიათებელ გარემოშია მოქცეული. „ჩრდილ“ სიტყვას თურქობის დროს შემდეგი კანონზომიერი ტრანსფორმაცია განუცდია: თურქულისთვის უჩვეულო თავკიდური სამი თანხმოვნის თავყრილობა აუცილებელია, გაიყოს ვიწრო ხმოვნის ჩართვით (ჩირდილი); მომხდარა დისტანციური მეტათეზისი რ-სა და ლ-სი (ჩილდირ), რითაც მიღებულია თურქულისათვის ჩვეულებრივი ბგერათა კომპლექსი (ჯიქია, 1950:193). ასეთი სეხნია ტოპონიმები აქვს ტატანისის ჩრდილსა და დიდ ჩრდილს.

მესხეთი მდიდარია ეკლესიებითა და ნაეკლესიარებით. ერთ ასეთ ეკლესიაზე და მისი სახელის ცელილებზე მინდა შევანიშნო ყურადღება. ეს არის ქუმის ეკლესია, რომელსაც პარალელურ ფორმად აქვს გუმის ეკლესი, რომელიც ნაეკლესიარის სახელია. იგი მე ჩავიწერე 1977 წელს კირილე ალექსის ძე სამსონიძისაგან, რომელიც მაშინ 80 წლისა იყო. 2007 წელს, კირილე ცოცხალი აღარ არის, სხვასთან „გუმის“ ფორმა ვეღარ დავადასტურე.

დღევანდელი ქუმის ეკლესიის ლოკალიზაცია, ისტორია და სახელის ეტიმოლოგია მოგვცა მკვლევარმა ვ. სამსონიძემ. მანვე დაუკავშირა ვახუშტი ბატონიშვილისეული გუმბათიანი მონასტერი, წინისის ხეობისა, ვეფხისტყაოსნის ეპილოგის მოსე ხინელს, რომელიც ზოგ ხელნაწერში ხომელად არის წარმოდგენილი. „ქუმის (ქომის, იგივე ხომის) ეკლესია მდებარეობს ახალციხიდან ჩრდილოეთით 15-16 კილომეტრის მანძილზე (სამსონიძე, 2000:12)“.

ვ. სამსონიძე ჩამოთვლის იმ ტოპონიმებს, რომლებიც დაკავშირებულია ქომის//ქუმის//ხომის ეკლესიათან: ტატანისი, სვირი, სვირის სატყეოუბანი, ნასოფლარი ტორნისი, წითელი ჯერის გადასასვლელი, მოღობილის წყალი, თარვანის წყალი, ხომის წყალი//ხომა//ხომურა. ნასოფლარები. ზემო და ქვემო ხომა, ხომის აბანო. ცალკე გამოყოფს ისეთ სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ, სამსონიძის აზრით, ნამოსახ-

ლარ-ნასოფლარებს: ესენია: „გოგეთუბანი, ცხავერა, დიდი ზღვარი, მოღობილი, საბძელა, კოკოლას ნასახლარი, ორმოების სერი, ჩხერელო, ნასელარი, ავაზანა, ციხისპირი, საქერია“... (სამსონიძე, 2000:16)

ქუმის/ქომის და ხომის დაკავშირება სრულიად ლოგიკური ჩანს, რადგან ნასოფლარი ხომა (დიდი და პატარა) ნაეკლესიართან ახლოს არის. თუ რამ განაპირობა ასეთი ფონეტიკური ცვლილება ჯერ-ჯერობით უცნობია. ყოველ შემთხვევაში ეს ორი სახელი ფაქტია, რომ ერთმანეთს უკავშირდება. ხომის ე. სამსონიძისეული ეტიმოლოგია დამაჯერებელია. ხომაში გამოიყოფა -ა მაწარმოებელი, ხომი და ხომლი სინონიმებია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამის ადგილზე დაყრდნობით მიუთითებს ავტორი. ხომა ნიშნავს თანაეარსკელაუედს. ადგილს რომ შეიძლებოდა ასეთი რამ შერქმეოდა, ტატანისისა და მეტეორას მაგალითზე უკვე იყო ნაჩვენები.

ჩითახევი - მუსხეთის უძველესი ტოპონიმი

ჩითახევის სახელით ორი ობიექტია ცნობილი, რომელთაგან ერთს ჭითახევი აქვს პარალელურ ფორმად. ეს არის “მთა მუსხეთის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. მდინარეების ქვაბისხევის, ლიკანისხევის და ჩითახევის წყალგამყოფზე, სიმაღლე 1446 მეტრი“. ჩითახევის//ჭითახევის მთის სახელი აშკარად ეწოდა ჩითა ხევისაგან. ე.ი. სახელი ერქვა ხეეს და შეერქვა მთას, საიდანაც სათავეს იღებს კედევი ორი ხევი.

მეორე არის სოფელი ჩითახევი ბორჯომის რაიონში, ბორჯომის ხეობაში მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს ზღვის დონიდან 950 მეტრზე. ჩითახევიშია მითითებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ბაზა. „სოფელში დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მონასტერი (“მწვანე მონასტერსაც” უწოდებდნენ). შემორჩენილია ეკლესია და სამრეკლო. ერთნავიანი ეკლესია ნაგებია უხეშად გათლილი ქვით.“

ცნობილია, აგრეთვე, ჩითახევის პიდროელექტროსადგური მდინარე მტკვარზე. იგი ექსპლოატაციაში გადაეცა 1949

წლის დეკემბერში. კიდროელექტროსადგური წყლის რეგულირების გარეშე მუშაობს დღემდე.

აშკარაა, რომ ეს სახელი ორ ნაწილად უნდა გაიყოს, კომპოზიტიური წარმომავლობისაა და გამოიყოფა ხევი. საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ბევრია ისეთი ტოპონიმი, რომლის შემადგენლობაში მეორე ნაწილად სწორედ ხევი გვხვდება. აი, ეს სოფლებიც: შარახევი, ზემო და ქვემო შუახევი, ლაკათხევი, ვეძათხევი, კაწალხევი, ვანხევი, ოხერხევი, ბაკურხევი, გრემისხევი, აბანოსხევი (დუშეთის რ-ნი); ზემო და ქვემო შარახევი, დევნანანთხევი, სიმონიანთხევი, ორხევი, მელიასხევი, კვირიასხევი, ბალებისხევი, ქუშხევი (სიანეთის რ-ნი); შუახევი, ზემოხევი (შუახევის რ-ნი); დიდხევი, ისროლისხევი, აწრისხევი (ცხინვალის რ-ნი); აბათხევი (ახალკიხის რ-ნი); ძალანთხევი, მშრალხევი (გარდაბნის რ-ნი); ჭობისხევი, ქვაბისხევი, ჩითახევი (ბორჯომის რ-ნი); ნავისხევი, ლომისხევი (ახალგორის რ-ნი); ღარისხევი, წითელხევი (ხარაგაულის რ-ნი); ბაჯიხევი (ონის რ-ნი); წითელხევი (ბაღდათის რ-ნი); ქვემოხევი (სამხერის რ-ნი) ზემოხევი, იმერხევი (გაგრის რ-ნი); იმერხევი (ქარელის რ-ნი); ბოდბისხევი (სიღნაღის რ-ნი); ფიჭვებისხევი (წალკის რ-ნი); ფეტვისხევი, გალისხევი, პატარა და დიდი მეჯერისხევი (გორის რ-ნი); ბზისხევი (ზნაურის რ-ნი); თეძმისხევი, ლავრისხევი (კასპის რ-ნი); კრისხევი (ხაშურის რ-ნი); კისისხევი (თელავის რ-ნი). იმერეთსა და გურიაში ორ სოფელს ყოველგვარი მსაზღვრელის გარეშე მხოლოდ ხევი ჰქვია სახელად.

ჩამოთვლილი ტოპონიმები სოფელთა სახელებია დღევანდელ საქართველოში. ბევრად უფრო მეტია თავად ხეეები, რომლებიც, ბუნებრივია, ერთ ნაწილად ხეეს შეიცავენ. ამ მხრივ საინტერესოა ვახუშტის „აღწერა“, რომლის მიხედვითაც ჩვენს დიდ გეოგრაფს ადგილები აღწერილი აქვს ხეეების და ხეობების მიხედვით. ხეეებს სახელები შერქმეული აქვთ იმ გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით, რომელთაც მდინარე იღებს სათავეს ან მისი შესართავია: სოფ. წნისი და წნისის ხევი, სოფ. ზიკილია და ზიკილიის ხევი. ამიტომ ამა თუ იმ ხევის აღწერისას მისსავე მიდამოებში უნდა ვივარაუდოთ ის სოფელი, რომლის სახელსაც ხევი ატარებს. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა ის ხეეები, რომელთაც ვახუშტი აღწერს მესხეთის ტერიტორიაზე: ქუაბისხევი, ხევი ბობნავისა, სლესისხევი, თიხრევის ხევი, ხოსპიოს

ხევი, აბანოს ხევი, ოლდამის ხევი, ბორჯომის ხევი (ახალ-ციხესთან); ლიკანის ხევი, პანტონის ხევი, ტყისსოფლის ხევი, ღრულის ხევი, ცუნქის ხევი, ჭობარეთის ხევი, ინწყორას ხევი, ოშორის ხევი, სუელის ხევი, ასპინძის ხევი, ჯაბოეთის ხევი, ვარენთის ხევი, კოხტის ხევი, ჭაჭარაქის ხევი, ქარზამეთის ხევი და სხვ.

ძველ და თანამედროვე ქართულში ხევი და ღელე სინონიმებია. ეს კარგად ჩანს ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“, სადაც ხევი განმარტებულია, როგორც „ნაღუარევი“, ხეობა, კანტონი, „ღელე“, ხოლო ღელე: „ბარი“, ხევი.

ორივე სახელი, ღელეცა და ხევიც, წყლიან ადგილს გულისხმობს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ „განხმეს ხევი იგი.“ ამასთან ორივე სიტყვისგან ნაწარმოები ზმნები – აღელვებს და ახევებს, უეჭველად გულისხმობს წყალს. აღელვება – ღელედ ქცევა, მოვარდნის, გრანდიოზულის შინაარსს შეიცავს, ასევე წყლის „ბლომად მიშვებას ჰქვია“ დახევება.

მართალია, მკვეთრი გამიჯვნა ხევისა და ღელისა სიდიდის მიხედვით არ ხერხდება ძველი ქართულის მონაცემების მიხედვით, მაგრამ განსხვავება მაინც ის არის, რომ რაც არ უნდა დიდი იყოს ღელე, ხევი მაინც მასზე დიდია.

ღელევანდელ ქართულში მოხდა ერთგვარი განაწილება ხევისა და ღელისა. ლიხს იქეთ ღელემ ერთგვარი გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. თუ აღმოსავლეთ საქართველოში პიდრონიძულ ტერმინად ძირითადად ხევი გვხვდება და ღელის ხმარებას შედარებით იშვიათი ხასიათი აქვს, დასავლეთში – პირიქით, ხევი ან იშვიათად იხმარება ან საერთოდ არ იხმარება.

მესხეთი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. სამცხე-ჯავახეთში, ჩვეულებრივ, ხევიც იხმარება და ღელეც. რაიმე განსაკუთრებული სხვაობა მათ შორის არ შეინიშნება.

ამგვარად, ხევი ერთ-ერთი უძველესი და გავრცელებული სიტყვაა ქართულში. ასევე ძველთაძველიც შეიძლება იყოს მისგან ნაწარმოები ტოპონიმური სახელიც და უახლესიც. იგი ცოცხალი, ათასწლეულებს გამოვლილი, სიტყვაა. ასევე ძველი ჩანს ჩითახევიც, რომელიც ორი სიტყვის შეერთების გზით არის მიღებული, ე.ი. არის კომპოზიტი და მისი მეორე ნაწილიც არის ხევი. რა არის პირველი ნაწილი ჩითა?

ჩითაში უნდა აღვადგინოთ ჭითა, რადგან თ-ს გავლენით, ასიმილაციის გზით მხოლოდ ჭ-ს შეეძლო მოეცა ჩ. ეს სიტყვა რომ წით - ძირიდან ყოფილიყო მიღებული, გვექნებოდა ცით - და არა ჩით. ჭით - ფუძე შემონახულია მეგრულში და იგი გვაქვს ჭითა სიტყვაში, რაც წითელს ნიშნავს. ჭითახევი, როგორც უკვე ითქვა, დადასტურებულია ჩითახევის პარალელურ ფორმად, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიერ, როგორც მთის სახელი.

არნ. ჩიქობავას მიხედვით “მეგრულ-ჭანური ჭით - კანონზომიერად შეესატყვისება წით-ს... - ელ” ქართულში დეტერმინანტი - სუფიქსია; ჭანურსა და მეგრულში მის ადგილს იჭერს ა დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენი” (ჩიქობავა, 1938:285). ე.ი. ქართული წითელი მეგრულსა და ჭანურში იყო ჭითაღის სახით. ამ უკანასკნელმა მოგვცა ჭითა, დღევანდელი წითელი მეგრულად, ხოლო ჩვენი ჩითა მიღებულია ჭითადან, რადგან ერთი საძეულის წევრებია - ჯ, ჩ, ჭ და თ-ს გავლენით ჭ-ს შეეძლო მოეცა ჩ.

- ელ სუფიქსის შესახებ გამოთქმულია არნ. ჩიქობავასაგან განსხვავებული მოსაზრება, რომ - ელ არის მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი სიტყვებში: ყველ-ი, წით-ელ-ი, ერც-ელ-ი, გრძ-ელ-ი, ცხ-ელ-ი, სქ-ელ-ი (ზრქ-ელ-ი), ცხოველ-ი...

ასევე მიმღეობის მაწარმოებელია მეგრულსა და ლაზურში - აღ სუფიქსი, რომელიც შესატყვისია -ელ-ისა, ოღონდ ამ შემთხვევაში ხშირად იკარგება აღ-ის თანხმონებითი ნაწილი ლ და გერჩება მხოლოდ ხმოვანი -ა, ან მისი ვარიანტები - ე და - უ: ჭით-ა („წითელი“), გირძ-ე („ვრძელი“), ჩხ-ე („ცხელი“) და სხვა (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:187).

ლოგიკურად დგება კითხვა, ვინ დაარქვა და როდის სახელი ჩითახევი ადგილს? გვაქვს თუ არა ამ ტიპის სახელები საქართველოს სხვა კუთხეებში?

წითელი მსაზღვრელად ტოპონიმიაში ბევრგან გვხვდება. პირველ რიგში წითელ მიწიან ადგილს ყველგან წითელმიწები ან წითლობები ერქმეოდა, რაზეც არ შევჩერდებით, რადგან ძალიან შორს მოგვიწევს წასვლა. ჩამოვთვლი მხოლოდ შედარებით მსხვილი ობიექტების, სოფლების, სახელებს: წითელგორა (გურია, კახეთი), წითელმთა (გურია), წითელი წყარო//წითელწყარო, წითელუბანი (ქართლი), წითელი კლდე (მთიულეთი). ბევრ სოფელს შეერქვა წითელი სოფელი, ოღონდ ეს უკვე მე-20 საუკუნეს ეხება და კომუნის-

ტური მმართველობის შედეგია. მასში იდეოლოგიური შინა-
არსი დევს, რაც ისევე ფერთან არის დაკავშირებული.

სახელის ასაკის შესახებ კი შეიძლება ითქვას, რომ ჩი-
თახევი სულ ცოტა სამიათასი წლისა მაინც არის, რადგან
მასში შემონახულია ის პერიოდი, როდესაც მესხების მეტ-
ყველებაში ხდება დიალექტური ცვლილებანი, იხმარება ისე-
თი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დღეისათვის
გვხვდება როგორც დასაეღეთ, ისე აღმოსაეღეთ საქართვე-
ლოში. ჩითახევი რომ დარქმეოდა მხოლოდ კოლხის მიერ,
მაშინ ის იტყოდა ჭითა ღალ-ს, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშ-
ნავს წითელ ხევს (ღელეს) ისევე, როგორც ეს გვაქვს სა-
მურზაყანოს (გალის რ-ის) ტოპონიმიში, სადაც ჭითა (წი-
თელი) ზედსართავის საშუალებით არის შექმნილი ტოპონი-
მები: ჭითა ახრა („წითელი კლდე“), ჭითა დიხა („წითელი
მიწა“) ჭითა ფონი („წითელი ფონი“) და სხვ. (ცხადაია, ჯო-
ჯუა, 2003:211).

ამგვარად, სახელის დამრქმევისათვის ერთნაირად მშობ-
ლიური იყო როგორც ჭითა (წითელი), ისე – ხევი (ღალ).

ჩითახევის გარშემო, როგორც ჩანს, დომინირებდა წითე-
ლი ფერი, მიწის, კლდის, მთის თუ სხვა გეოგრაფიული გა-
რემოს სახით.

დიდი ოჯახები და –უბან კომპონენტია ანთროპოლოგიკონიგები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დამთრის მიხედვით“

დიდი ოჯახების ხსონა სამცხე-ჯავახეთში დღევანდლამ-
დე აღწევს. ჯერ კიდევ არიან ცოცხალნი ის ადამიანები,
რომელნიც ან თავად მოესწრნენ დიდ ოჯახებს, ან მომ-
სწრისგან აქეთ ინფორმაცია.

მამაჩემს არაერთხელ უთქვამს, რომ მას ახსოვდა პაპე-
ბის გაყრა და განცდები, რომელიც ამ გაყრას თან ახლდა.
თავად მამა პატარა ყოფილა მაშინ. მეც მახსოვს ჩვენი ოჯა-
ხის გაყრის საკითხი რომ დადგა, მიუხედავად იმისა, რომ
ეს ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და გამოწვე-
ული იყო მიწის დაკარგვის შიშით. კოლმეურნეობების
დროს მიწის გარკვეული ფართობის დროებით კერძო სა-

კუსარებაში ქონების უფლება ჰქონდა გლეხს. ეს რაოდენობა იზრდებოდა და მცირდებოდა სხვადასხვა დროს. ჩვენს ოჯახსაც მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დაუდგა ისეთი დრო, რომ თუ პაპა-ბებია და დედ-მამა ცალკე კომპლექსად არ დაეწერებოდნენ, კარგავდნენ მიწის ნაკვეთს. მართლაც მხოლოდ „დაწერა“ იყო ეს და მეტი არაფერი. ჩვენი ოჯახი მუდამ ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ეს „დაწერაც“ მძიმე იყო მამაჩემისათვის და პაპაჩემისათვის. მამაჩემის მაშინდელი ნათქვამი მახსოვს: „სად გამოიყო თავი, როგორ ეთქვა, რომ დედაჩემსა და მამაჩემს გავეყარე და ცალკე კომლი ვარ - მეთქი“.

„გაიყარნენო და სირცხვილათ მიანდათ. ვისმე რო სახლიდან ქალი გაქცეოდა, ისეთი დიდი სირცხვილი არ იყო, როგორც გაყრა, უნდა წასულიყავი იოლათ“ ამბობს დიდი ოჯახის ძომსწრე, კოთელიის მკვიდრი, 84 წლის ვასილ ხუციშვილი.

დიდი ოჯახების შენარჩუნებას, გარდა სოციალ-ეკონომიკური საფუძვლისა, მორალური საფუძველიც ჰქონდა.

როგორც ჩანს, გაყრა მტკივნეული იყო არა მხოლოდ მესხეთში, ეს ბუნებრივიც არის, რადგან ადამიანთა, სისხლით ნათესაეთა, ერთი გვარის ხალხის თანაცხოვრება თითქმის ნახევარი საუკუნის და შეიძლება მეტის მანძილზეც ადვილი დასაოქობი არ იყო. თუნდაც ეს სისხლ-ხორცში გამჯდარი აღზრდა და ვალდებულება კვლავ ერთად ყოფნისკენ უბიძგებდა გვარის თითოეულ წევრს, თუმცა რეალობა სხვა იყო და ოჯახიც, გვარიც უსასრულოდ ვერ გაიზრდებოდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ბ. ნიჟარაძე საუბრობს იმაზე, რომ სევანებს გაყრა არ უყვართ: „როცა ოჯახის წევრები გაიყრებიანო, ამბობენ სევანები, მაშინ მათს კერიაზე - ცეცხლზე წყალი ესხმებაო, ე.ი. ოჯახი ქრებაო“. უდავოა, რომ ხალხის მიერ მოცემული ამგვარი ახსნა მხოლოდ წინაპართაგან მიღებული წესების შენარჩუნების სურვილია და თანამედროვე მდგომარეობით მისი გამართლება“ (ხარაძე, 1939:6).

დიდი ოჯახი იყო ძლიერების ნიშანი. იმავე ვ. ხუციშვილის მიხედვით „დიდი ოჯალი ჰყავდათ ანანიენტ (ანანიაშვილები). ანანიენთი ერთი კაცი იყო, ლუკაი ერქვა. ლუკას შვილები იყვნენ ოთხნი, ოთხივე დააქორწილა და ოთხივე

ერთ დიდ დარბაზში ცხოვრობდნენ. ოთხი ძმა თავი შევიღებოდა ერთ დიდ დარბაზში. იმისი ჩამომავალი დღესაც არი დიდი ოჯახი. იტყვოდნენ, რო კოთელიაშიო სუფთა დიკის პურსაო ანანიენნი შჭანდნენო. ეს იმას ნიშნანდა, რო კარგი ოჯახი იყო და მოსავალი დიდი ჰქონდათ. დიკა ნაკლემოსავლიანია, ქერი და შემოდგომის პური, დოღოს პური უფრო უხეშოსავლიანია. ე.ი. იმ ნაკლემოსავლიან პურ რამდენათ კარგათ ამუშავებდნენ, რომ ის დიდი ოჯახი დიკის პურ შჭამდნენო“.

ინფორმატორის სიტყვით ანანიენტ ოჯახი, რომელსაც ბავშვობაში ის მოესწრო, 40 სულისაგან შედგებოდა. მეოცე საუკუნისათვის იყო ეს რიცხვი დიდი, თორემ მანამდე კიდევ უფრო ბევრი ცხოვრობდნენ, რაც აყენებდა პირველ რიგში საცხოვრისის საკითხს. მესხეთში, ისევე, როგორც მთელ აღმოსავლეთში, ძირითადად დიდი ოჯახების საცხოვრებლად მიწური დარბაზები იყო გამოყენებული.

მე მოვესწარი ამ დარბაზებს, გამითენებია იქ ღამე და წარმომიდგენია, როგორი გაჭირვებით ეტეოდა მესხური დიდი ოჯახი ასეთ პირობებში. „გასავალი იყო პატარაი, იქით დარბაზი, ტახტი ჰქონდათ გამართული. ერთი ძმისა ბავშვი, ცოლ-ქმარი ერთ გვერდზე, მეორის – მეორე გვერდზე, მესამეც იწვა და დედამისი, ბებიას ერთ-ერთი შეიღის ბავშვი გვერდზე ეწვინა“ (ე. ხუციშვილი).

დიდ ოჯახში ადამიანის ნებისმიერი პიროვნული ინიციატივა ემორჩილებოდა ოჯახურ წესრიგს: „ოთხი ძმის ბავშვია, ტირილი უნდა, ადგომა უნდა, დაწოლა უნდა, გარეთ გასვლა უნდა როგორი წესრიგი იყო, როგორი წესრიგი, ეს დიდი ამბავია...“ (ე. ხუციშვილი).

მითუმეტეს თუ ოჯახის სულთა რაოდენობა კიდევ უფრო მეტი იყო. 1924 წელს გ. ჩიტაია მესხეთში მოგზაურობის დღიურში წერს: „არალში ჩვენ ენახეთ დღეს უკვე დაზიანებული დარბაზი, რომელშიც ას სულამდე (ბავშვებიანად) ოჯახის წევრს უცხოვრია, ორი ძმის ნაწიერს (ჩიტაია, 2001:213).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აქტუალური იყო დიდი ოჯახის თემა. 1889 წ. ნ. აბაზაძე მოგვითხრობს: „ქართული დიდი ოჯახი წარმოადგენს ცოლ-ქმართა გაერთიანებას, რომლებიც გაერთიანებულნი არიან აგნატიკური ნათესაობით და ცხოვრობენ ერთ საერთო სახლში – დარბაზში. აგნატების რაოდენობა ოჯახში ხშირად 30-50 სულამდე აღწევ-

და, ხოლო წინათ 100-მდე აღიოდა“ (ხარაძე, 1939:52). ასე იყო საქართველოს ყველა კუთხეში, მაგალითად „გაუყოფელი აჭარული ოჯახი მრავალრიცხოვნობით ხასიათდებოდა“ (მექაია, 1974:23).

ის, რაც მე-19 საუკუნის 80-იან წლებში სვანეთში გადმო-ნაწითის სახით, ე.ი. 100 კაციანი ოჯახი, ამბად იცოდნენ, მე-20 საუკუნის დასაწყისის მესხეთში ფაქტი იყო, ხოლო ჯავახეთში მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე მოაღწია 40-50 კაციანმა ოჯახმა.

„სამწუხაროდ დროთა სრბოლის მანძილზე დიდი ოჯახების დარღვევისა გამო პატარ-პატარა ერთეულებად, დარბაზები წვერთა შორის განაწილებული აღმოჩნდა, რომელთაც საჭიროების მიხედვით ესა თუ ის შეკეთება მოუხდენიათ მათ ხვედრ ნაწილებში. ამის გამო მთლიანი მიწის დარბაზის პოვნა აქ უკვე შეუძლებელია“ (ჩიტიია, 2001:213).

დარბაზი ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, რომლის სამი ნაწილი მიწის ქვეშ იყო მოქცეული და მხოლოდ გარეთ გამოსასვლელი კარი იყო მე-4 კედელზე. პაერს კი ერდოდან დებულობდნენ.

„დარბაზის ტიპის სახლი მიწის ისეთ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც შედგება საკუთრივ დარბაზის (აღამიანის საცხოვრებელი ნაწილი), ბაკის, საკუჭნაოს, ბოსლის, საბძელის და საფურჩესაგან.

გარდა ამისა ამ კომპლექსს ახლავს აგრეთვე კარაპანი, სადაც მოწყობილია პამბარი, საკოდე, სარძიე. მთლიანად სახლის ეს კომპლექსი შერწყმულია მესხის პრიმიტიულ მეურნეობასთან... ამასთანავე ასეთი კომპლექსი დიდი გვაროვნული ოჯახისათვის თავისის სიდიდით ხელსაყრელ ნაგებობას წარმოადგენდა.“ (ჩიტიია, 2001:219).

მოწესრიგებულობას ხელმძღვანელობა და გაძლოდა სჭირდებოდა. რადგან პიროვნების ინტერესი ნულამდე იყო დაყვანილი, დიდ ოჯახს მართავდა მამასახლისი. ასეთი ოჯახის რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: „ბოლო დრომდე შემონახული იყო დიდი ოჯახი, რომლის მოძრავი და უძრავი ქონება საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1922 წელს სოფელ არალში ცხოვრობდა დიდი ოჯახი, რომელიც ოთხმოც სულს შეადგენდა. ასეთი ოჯახის უფროსად, მამასახლისად ირჩევდნენ ყველაზე უფრო გამჭრიახსა და გამრჯეს. ქალთა შორის დიასახლისს. ისინი ანაწილებ-

დნენ და მეთვალყურეობდნენ ოჯახის წევრთა საქმიანობას“ (ჩიტაია, 2001: 223).

კელაე ანანიენტ დიდ ოჯახს დაეუბრუნდეთ, რადგან ჩვენი ინფორმატორი ცოცხალი მოწმე და მომსწრეა მისი: „უფროსის სიტყვა იყო ყველაფერი. უფროსი იყო ლუკა, სულ უფროსი ძმა იყო და უშილო იყო. ვინც იყვნენ სუ თავისი ძმის ცოლი, შვილები და ბავშვები და ეს კაცი როგორც კარნახობდა, ისე მიდიოდა საქმე: „შენ საქონელში წახვალ, შენ მეხრეთ წახვალ, ის ყანა'ნა მოყხნათ, ის'ნა მოეთიბოთ... მერე შემოვიდა ბოლშევიკები, კოლექტივიზაცია... ცალკე ცალკე წავიდა ყველა“ (ვ. ხუციშვილი).

მამასახლისის დიდმამასაც ეტყოდნენ (შდრ. მესხეთში გავრცელებული გვარი დიდმამიშვილი). იყო შემთხვევები, როდესაც დიდმამა იყო არა მხოლოდ კონკრეტული ოჯახის მამასახლისი, ხელმძღვანელი, არამედ თავისი ავტორიტეტის წყალობით სოფლის წინამძღოლიც გახდებოდა ხოლმე.

1905 წლის აჯანყების შემდეგ სოფ. ერკოტას ყაზახები ჩაუსახლეს. მოთავეს ეძებდნენ. მათთან ვერავენ გაბელა მისვლა დაჭერის შიშით. ყურათლიენტ დიდმამა პეტრე მივიდა ყაზახებთან, მოახერხა მოლაპარაკება, ცხვარი, ქერი მიართვა სოფლისაგან და ღროზე ადრე გაისტუმრა არასასურველი სტუმრები. მისი შთამომავალი გვიყვება მე-20 საუკუნის 80-იან წლებში: „ადგა, გამოვიდა ყაზახებიდან პაპახემი, ბერიკაცი და ჩამოვიდა, ქვევით მოდის. ეს გიორგიც მოდის ზეით, ეჰ, ცეტი!“

– სად მიხვალ ბიჭო და არსად დიდმამა – დიდმამას უბახით – არსად მივდივარ დიდმამა, არსად“ (მარინე ბერიძე, 2005:410).

პეტრე ცეტი გიორგის დიდმამაც იყო, რადგან ის სასოფლო საქმეზე მოელაპარაკა მოსულთ. ის უკვე სოფელს თაობდა.

მამასახლისად, დიდმამად ძირითადად უფროსი ძმა დგებოდა, თუმცა ბევრი რამ იყო დამოკიდებული მის ან მისი ძმების შესაძლებლობებზე.

დიდმამის მორჩილება ხდებოდა უსიტყვოდ. წინააღმდეგობა და შელაპარაკება გამორიცხული იყო.

ოჯახის უფროსი დიდმამა მოკვდა. ძმებმა გადაწყვიტეს მათში ყველაზე ჭკვიანი და გონიერი უმცროსი ძმა აერჩიათ,

მაგრამ ეს უკანასკნელი წინააღმდეგი იყო, ვაი თუ უმცროსობის გამო არ დაძიმდებოდა და ხალხში არ მომეჭრას თავიო. ძალიან რომ სთხოვეს, - „კარგო, დათანხმდა ეს ბიჭი, წავედით და ოთხპექტარიანი ყანა რომ გვაქვს, იმის მოსამკვლად წავიდეთო (ჭყინტი პური, მარტო თივად გამოდგებოდა, მეტი არაფრად!) ისეთი ყანაა, ისეთი ყანაა, ცხენი ვერ გაატყენებს - ათპექტარიანი ხორბალი!

აღგნენ უსიტყვოდ, დაუდგინენ ამ ყანას და მომკეს. სოფელს უთქვამს - აკოფაშვილები გაგიუბულან, ჭყინტი პურს თიბავენ, ხელი როგორ მისდით, როგორ იმეტებენო!

წადით თქვენს ოჯახებს მიხედეთ, პასუხობდნენ გაკვირვებულ თანასოფლელებს აკოფაშვილები და მთელი წლის სარჩოს დაუნანებლად ანადგურებდნენ.

ახლა კი ვიცი, ძალა ექნება ჩემს სიტყვასო, უთქვამს ახალგაზრდა დიდმამას“ (მარინე ბერიძე, 2005 წ. გვ. 90).

პიროვნული თვისებების მიხედვით ოჯახებში დიდმამის არჩევა მხოლოდ მესხეთისათვის არ იყო დამახასიათებელი. მაგალითად, სვანეთში „სამხუბის სათავეში უხუცესი წვერის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სხვებზე მეტად შეგნებული (და არა უეჭველად უხუცესი) პირის დაყენება წარმოადგენდა სამხუბის მმართველობის დამახასიათებელ თვისებას“ (ხარაძე, 1919:25)

ეს პრინციპი დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც. აჭარაში უფროსობა ასაკობრივ პრინციპზე იყო აგებული, „მაგრამ თუ თავი ედღარ მიყვებოდა ახალი ცხოვრების მოთხოვნებს, თმობდა უფროსობას მასზე უნარიანი ძმისა თუ შვილის სასარგებლოდ“ (მექაია, 1974:24)

მართალია, დიდ ოჯახებზე ჩვენს საისტორიო წყაროებში ბევრი რამ არ იძებნება, მაგრამ საინტერესოდ გვეჩვენება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემები. კომლთა აღწერის დროს მოხელე როდესაც ოჯახის თავებს ჩამოთვლის, ხშირად მიუთითებს ერთი ოჯახიდან არა ერთ უფროსს, არამედ რამდენიმეს.

„გონა გულიას ძე

ერეკლე ძმა მისი

გრიგოლ ძმა მისი

ვარძელ ძე მისი“ (ჯიქია, 1942:153)

გოგიჩა გულიას ძე ოჯახის უფროსი ჩანს, ხოლო ორი ძმა: ერეკლე, გრიგოლი და ერთიც შვილი - ვარძელი შრო-

მისუნარიანი მამაკაცები არიან. გადასახადზე პასუხს ოჯახის უფროსი აგებს, რადგან მთავარი ორიენტორი – ოჯახის უფროსი, ის, ჩანს, ასევე უფროსია ასაკითაც ყველაზე.

ოჯახის უფროსის გარდა საქალებო საქმეს უფროსი დედა ან დიდი დედა უძღვებოდა. ხშირ შემთხვევაში ეს იყო დიდმამის ცოლი. „თუ ფროსი ძმა არ ვარგოდა, ცოლი, ქალი, დედა კარგი იქნებოდა. მე გამიგონია, ვარევენში, ბასილა იყო ბალახაძე, უმცროსი ძმა იყო და იმას კიდევ ორი ძმა ჰყანდა. იმით ცოლებ, ცხვარ რო მოსწველიდნენ, ეს უმცროსი ძმის ცოლი გაუძღვებოდა და წააღებინებდა რძეს ჭდისთვის, იმ თავის შილებს. მიიყვანდა იქა, ისევ სახლში მოუყვანდა, თითონ თავზე ადგა, რძეს არ ზიდენდა. ისინი ეტყოდნენ: ჩვენ აქ ბატონივით გვადგიხარ, წაგვიყვან, მოგვიყვან... მაგრამ იმ ქალის სიტყვა იყო, ვერაფერ იზამდნენ, სიტყვას ასრულებდნენ“ (ვ. ხუციშვილი).

დიდ აჭარულ ოჯახს ერთად მართავდნენ ოჯახის „თავი“ და უფროსი ქალი, რომელიც იყო ასაკით უფროსი – დედა ან უფროსი რძალი. ისინი „შეთანხმებით წყვეტდნენ ყველა საკითხს, მათ შორის მიწისა და საქონლის ყიდვა-გაყიდვის, ქორწინების, განქორწინების და გაყოფის საკითხებს დაკავშირებულს ოჯახის ეკონომიურ, მეურნეობრივ, მორალურ და სხვა მხარეებთან“ (მექაია, 1974:24)

გარდა საერთო-საოჯახო საქმიანობისა, უფროს ქალს ემორჩილებოდნენ ქალ-რძალნი. მისი ნებართვის გარეშე ოჯახის სხვა ქალებს რაიმე მნიშვნელოვანი საოჯახო საქმის წამოწყების უფლებაც არ ჰქონდა. (ბექაია, 1974:26).

ბევრად უფრო მკაცრ, მოწესრიგებულ ფორმებში ეხვედებით ანალოგიურ შემთხვევებს სევანეთში, სადაც ოჯახს უფროსი მამაკაცის გარდა უფროსი ქალიც განაგებდა, რომელიც ხშირად ცოლი იყო მახშვისა. „ზოგჯერ მაინც შესაძლებელი ხდებოდა ამ წესის დარღვევა და ქალი ცალკეულ შემთხვევაში ქმრის სიცოცხლეშიც კი და, ზოგჯერ, ვაჟკაცი შეიღის ყოლის დროსაც თავის მეტი სიმამაცისა და გონიერების გამო ოჯახის უფროსი ხდებოდა“ (ხარაძე, 1939:49).

ასეთი გამოჩენილი ქალები ისევე უღებდნენ სათავეს ჯერ შტოგვარებისა და შემდეგ გვარებს, როგორც მამაკაცები. ამ გზით გვაქვს მიღებული გვარები: თამარაძე, თამარაშვილი, შუჟუნაძე, შუჟუნაშვილი, ნათენაძე (←ნათელაძე), ნათელაშვილი, მარგალიტაძე, მარგალიტაშვილი და სხვა.

დიდ ოჯახებში ცხოვრობდა ერთი გვარის ხალხი. ეს იყო მთავარი პრინციპი დიდი ოჯახისა. გვარს უფრთხილდებოდნენ, ამიტომაც იყო, რომ თუ ახალგაზრდა რძალი დაქვრივდებოდა, მას ქმრის ოჯახი ათხოვებდა და მოტანილ მზითველსაც ატანდა თან, ოღონდ შეილები მამისეულ ოჯახში რჩებოდნენ.

ქართული გვარის ჩამოყალიბების პრობლემასთან პრინციპული კავშირი აქვს დიდი ოჯახების ტრადიციას. გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც „სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას“ (თოფნიშვილი, 1997:5).

დიდ ოჯახებში ხშირად სამი თაობა ცხოვრობდა, ამიტომ სულ მცირე ერთი დიდი ოჯახის ფარგლებში გარანტირებული იყო ერთი გვარის არსებობა, ხოლო შემდეგ ხდებოდა შტოგვარების შექმნა, რომელიც შეიძლება ახალი გვარის სათავედ გამხდარიყო, მაგრამ დიდი გვარი თავის არსებობას აგრძელებდა. თუ აქამდე ერთი გვარი ერთი დიდი ოჯახის, ერთი ჭკერის ქვეშ ცხოვრობდა, გაყრის შემდეგ მათი ნათესაობა, თუ ახალი გვარი შეიქმნებოდა, ერთი მთავარი ნიშნით ეგზოგამიით გრძელდებოდა. არ შეიძლებოდა ერთი გვარის შეგნით ქორწინება.

მეტგვარი, თუ ის ახალ გვარად არ ყალიბდებოდა, მხოლოდ შინა, თუნდაც დიდი ოჯახის ფარგლებში, ხოლო გაყრის შემდეგ, გარე დიფერენციაციის საშუალება იყო.

„გვარი დიდი სოციალური ერთეულის, რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული ოჯახის სახელწოდებაა. სახელწოდება იმ სოციალური ორგანიზმისა (ერთეულისა), რომელიც თავიანთი გვარის წარმომავლობის ერთი პიროვნებიდან ანგარიშობენ და აქვთ თვითშეგნება ნათესაობის შესახებ“ (თოფნიშვილი, 1997:9).

დიდი ოჯახი დამოკიდებული იყო დიდ დარბაზებზე, საცხოვრებელზე ხოლო დიდი ოჯახის დაყოფა სათავეს უდებს შტოგვარების წარმოქმნას, შტოგვარებს კი პირდაპირ უკავშირდება ტოპონიმია, ადგილი, რომლის სახელიც ერთი გვარის ხალხით დასახლებას აღნიშნავს.

ამგვარად, გვართან და ოჯახთან არის მჭიდროდ დაკავშირებული ორონიმები, რომელნიც საკუთარი სახელებიდან მოდის და თავდაპირველად ერთი გვართი იყო დასახლებული.

„გვაროვნული დასახლების სამაგალითო მხარედ ქართულ საისტორიო ლიტერატურაში დასახელებულია მთიულეთი, სადაც პირწმინდად ერთი გვარის მოსახლეობით გაშენებული სოფელი დღესაც მრავალგანაა შემორჩენილი, ამათ გვერდით უმრავლეს შემთხვევაში სოფლები ორი ამ მეტი გვარითაა დასახლებული; ამასთან ზოგიერთი ამ სოფლად მოსახლე რომელიმე გვართაგანის სახელით იწოდება. მთიულეთის ტიპური სოფელი ბეგოთკარი//ბეგონი ორი გვარით – ბეგოიძითა და ზაქაიძით არის დასახლებული. ასეთ მდგომარეობაში სოფლის სახელის მიხედვით ირკვევა, თუ რომელი გვარია ამ სოფლის პირველი მოსახლე. ბეგოიძეთა პირველ ბეგოთკარელობას არა მარტო სოფლის სახელი მოწმობს, არამედ ისიც, რომ სოფლის შინა სალოცავი ხატი ბეგოთ ეკუთვნის“ (ტყონია, 1955:13).

ადგილის სახელდების ეს უძველესი ფორმა გვარის მონოგენურობასთან არის დაკავშირებული, კარგად ჩანს, რომ ბეგოიძეებით დასახლებული სოფელი არ ნიშნავს პატარა სოფელს. სოფლის სიდიდე-სიპატარავე არ არის დამოკიდებული ბევრ გვარზე. ტოპონიმებში დადასტურებული ანთროპონიმები მიუთითებს გზას, რომელიც გაიარა სახელმა ანთროპონიმობიდან ტოპონიმობამდე.

„მთიულეთში თითქმის ყველა გვარ-სახელი ადგილობრივი წარმოდგენით წინაპრის სახელიდანაა წარმოებული. გვარსახელების წარმოშობის მთიულთაგან ამგვარ გააზრებას მხარს უჭერს მთიულურ გვართა სახელების მამაკაცთა სახელებისაგან წარმოება: ბეგა-ბეგონი-ბეგოიძე“ (ტყონია, 1955:14).

– -კარ შემადგენლიანი ანთროპოოიკონიმები, რომელიც მონოგენური გვარით არის მიღებული, გულისხმობს უეჭველად საცხოვრებელ სახლს და მის „კარს“. ზოგიერთმა მათგანმა იცვალა –კარ კომპონენტი და ეს რეალურად დიდი ოჯახების მოშლასთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული. ზოგიერთ ამ ტიპის დასახლებაში შეიძლება სახელდების საფუძველი – გვარები აღარც კი იყოს ამ სოფელში დღეს ან შეიძლება დაემატოს სხვა გვარის წარმომადგენელი, მაგრამ ონიმიზაციის პერიოდის ანთროპონიმი რჩება ანთროპოოიკონიმური წარმოშობის ტოპონიმის შემადგენლობაში. არის შემთხვევა, როდესაც ანთროპოოიკონიმური წარმოშობის სახელი მთლიანად შეიცვლება. ამ დროს რჩება იგი რო-

გორც ტოპონიმის ისტორიის გარკვეული პერიოდი. „ღვეანა-ანთკარი (ღღვეანდელი ღვეანაანთხევი). XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ორი კომლი ღვეანაშვილი კელაე მკვიდრობდა. უფრო ადრინდელი, XVI ს-ის II ნახევრის ერთი საბუთით კათალიკოსმა ღვთაების ტაძარს ერწოში განუახლა ღვეანა-ანთკარისა და იქ მოსახლე ღვეანაშვილთა წყალობა. ნადირა-ანთკარი (ღღვეანდელი ხევსურთსოფელი), მკვიდრობდნენ ნადირაშვილები. ბერაკაანთკარი (მკვიდრობდნენ ბერაკაშვი-ლები) (თოფჩიშვილი, 1997:23)“.

როდესაც – კარ შემადგენლობიანი სახელი ერქმევა ადგილს, ასახსნელი და გასარკვევი არაფერია. –კარი საზღვრულია და ანთროპოპოლიკონიმის წარმოქმნა გამჭვირვალე სურათს გვაძლევს. ვფიქრობთ, უძველეს დიდ ოჯახებთან და მათგან შემდეგ შტოგვართა გამოყოფის საფუძველზე მიღებული მიკრო ანთროპოპოლიკონიმს უკავშირდება ბასილ ზარზმელს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მაგალითი. აუტორი წერს: „და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჳეკისასა, რომელ არს უტყესა, მოვიდეს ადგილსა ძინძედ სახელდებულსა“... (ვანნაძე, 1975:156). უტყვს ჳევი, რომელიც ძინძესთან ახლოს მდებარეობდა, შემდეგ იქცა უტყუსუბნად. დღეს ძინძე აღარ გვხვდება, მაგრამ 1930 წელს ეს სახელი და ადგილი დააფიქსირა ს. ჯიქიაშ. იმ დროისათვის ძინძეში 1 კომლი ცხოვრობდა (ჯიქია, 1958:101), ხოლო დავთრის შედგენის დროს 1595 წელს 16 კომლს უცხოვრია. ძინძესთან არის დაკავშირებული და მისი უბნობის გამო დარქმევი უტყუსუბანი სოფელს და ყოფილა ამ სოფლის კიდევ ერთი ადგილი, აგრეთვე უბანი ძინძისა, რომელსაც მე-16 საუკუნეში რქმევი ნათენათუბანი (ჯიქია, 1958:101).

ძინძე არის ანთროპოპოლიკონიმი, ანთროპონიმი, რომელიც ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე ერქმევა ადგილს სახელად.

„სამცხეში გეკონდა და არის სოფელი მინაძე, რომელიც თავის დროზე მინაძეებით იყო დასახლებული“ (თოფჩიშვილი, 1997:25).

მინაძისა და ძინძის გარდა ს. ჯიქიას მიხედვით, სამცხე-ჯავახეთში გეკონდა ანთროპოპოლიკონიმები: ჯუჯულაძე, ჳიდალაძე, ღონდაძე, საღრაძე, ოსიძე, მეღჭუაძე, კოპაძე.

ძინძე არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ფიქსირებული ანთროპოლოგიკონიმი ქართულ ონომასტიკაში. ამ გვარის ხალხით იყო თავიდან დასახლებული სოფელი. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ დიდი ოჯახების ტრადიცია, რომელიც უძველესია და მჭიდროდ არის გვარის, როგორც სოციალური ფუნქციონის პირობებთან დაკავშირებული, შესაბამის ასახვას პოულობს ტოპონიმიში.

ვიდრე გაჩნდებოდა ბეგოთ კარი, ან ბეგოიძეები, ან ბეგონი, შესაბამისად უნდა გექონოდა ბეგოიძე ან ბეგოძე არა მარტო იმ დიდი ოჯახის აღსანიშნავად, არამედ თვით დასახლებული პუნქტის სახელადაც. უბრალოდ შესაბამისი დროის წყაროთა ჩვენებანი ჩვენამდე არ არის მოღწეული. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით IX საუკუნეში ფაქტია მონოგენური გვარი და მისგან დასახლებული სოფელი. გვართა, დიდსახლთა, დიდ ოჯახთა გაყოფა შესაბამისად სათავეს უდებდა შტოგვარებს და უბნებს, კარებს, გვარის მრავლობით რიცხვში და სხვა. ისევე, როგორც ძინძეთა უძველესი გვარის წარმომადგენლებმა დაუდეს სათავე უტყუპეებს და ნათენაძეებს (ჯიქია), რომლებმაც შექმნეს ცალკე დასახლებანი ნათენათუბანი და უტყუსუბანი.

ანთროპონიმიისა და ტოპონიმიის ამ უძველეს ტრადიციაზე მიუთითა აღ. ღლონტმა: „მწიგნობრობის წყაროთა მიხედვით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული გვარების განვითარების ისტორიას გრძელ მანძილზე. ჩვენს ხელთ არსებული მასალა მოწმობს არა მარტო გვარიურულ სახელთა დიდ ტრადიციას, არამედ ქვეგვართა, გვარების განშტოებათა, რაც ტოპონიმიასაც უკავშირდება, უძველეს ტრადიციას (ღლონტი, 1986:48)“.

დიდი ოჯახების გაყრა, დაყოფა მცირე ოჯახებად, რომლებიც მომავალში ახალ დიდ ოჯახებს ქმნიდნენ, როგორც ითქვა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ონომასტიკასთან. კერძოდ ახალი გვარების წარმოქმნასთან და ახალი ადგილის სახელების წარმოქმნასთან. სოფელში ყველა ოჯახი არ იყო დიდი. ამ ტიპის ოჯახები გამორჩეულები იყვნენ, ამიტომ არც ახალი გვარები იქმნებოდა უსასრულოდ და არც ახალი სახელები.

„მიკროდასახლება, ჩვეულებრივ, წარმოიქმნებოდა სისხლის ნათესაობის საფუძველზე, განამტკიცებდა სოციალ-ეკონომიკური და ტერიტორიულ ერთიანობას. დასახლება და

მის გარშემო მდებარე თუნდაც მცირე ტერიტორია ითვლუ-
ბოდა გარკვეული საგვარეულო კოლექტივის კუთვნილებად
(ცხადია, 2000:36)“.

მე-16 საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში განსაკუთრებით
პროდუქტული იყო ისეთი კომპოზიციური ანთროპოოიკონიმიე-
ბი, რომელთა შემადგენლობაში გვექონდა –უბანი: აბასთუმა-
ნი (←აბაზაანთუბანი), ალათუბანი, არჩათუბანი, გორგეთუბა-
ნი, ბერეკათუბანი, გელათუბანი (გელაანთუბანი), გოგეთუბა-
ნი, გოგოსუბანი, გომარლისუბანი, გორგეთუბანი, ხაჩათუბა-
ნი, გულუსუბანი, დავითასუბანი, ვარდისუბანი, ალიასუბანი,
ზედუბანი, ზეუბანი (წინუბანი), ზიქეთუბანი, თევდორათუბა-
ნი, ანანკათუბანი, კალთუბანი (გელთუბანი), კალოუბანი, კა-
ხათუბანი, კიმოთესუბანი, კურდღელათუბანი, ლაღათუბანი,
ლომსათუბანი, მალაჩათუბანი, მარცვალათუბანი, მახარათუ-
ბანი, მახლათუბანი, მელქვათუბანი, მემშვილდეთუბანი, მთი-
სუბანი, მასხარაანთუბანი, მოღარათუბანი, მჭედლისუბანი,
ნათენათუბანი, ნახუცართუნაბი, პეტუბანი (მღრ. პეტაშენი),
სამსონასუბანი, სუმუხთუბანი (სომეხთუბანი), უბანი (სოფე-
ლია! – მბ.) უკანაუბანი, უტყუსუბანი, ფაფარიუბანი, ღვთი-
სუბანი, ღორთუბანი, ღოღათუბანი, ყარათუბანი, ყარაღათუ-
ბანი, ყურათუბანი, შოდლათუბანი (შუღლათუბანი), შუათუ-
ბანი, ცირეკაანთუბანი, წამალაუბანი (წამალათუბანი), წარ-
ბასთუბანი, წინუბანი, წმინდაუბანი, ჯაჯანათუბანი (ჭაჭანა-
თუბანი), ჭორაუბანი, ჭუვათუბანი.

-უბან შემადგენლიანი საკუთარი სახელები ამოღებულია
ს. ჯიქიას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ (ტ.
III, 1958). ისინი, ძირითადად მე-16 საუკუნეში უკვე ჩამოყა-
ლიბებული სოფლებია, თავისი მოსახლეობით. ზოგი კი ჯერ
ჯიდვე უბანია მხოლოდ.

ბუზმარეთი დიდი სოფელი იყო – ზემო, ქვემო, შუა, ნა-
პიესაც მისი სახელი ერქვა, ამიტომ მას ჰქონდა თავისი უბ-
ნები, კერძოდ, ჭოჭოვეთი და ბაღრატათუბანი (←ბაგრატა-
თუბანი) (ჯიქია, 1958:299), რომლებიც, რა თქმა უნდა, ცალკე
დასახლება იყო.

მათი ონიმიზაცია იმავე დიდ ოჯახთა განაყოფის საფუძ-
ველზე მიღებული ჩანს. ბაგრატათუბაში ბაგრატაძეები, ბაგ-
რატაანნი თუ ბაგრატასანები ცხოვრობდნენ, ხოლო ჭოჭო-
ეთში – ჭოჭოანები, ჭოჭოძეები, თუ ჭოჭოსანები. –ეთ სუფიქ-

სი არა იშვიათად აფორმებდა საკუთარი სახელისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებს ასე, რომ ამ შემთხვევაში - ეთ სუფიქსი, ტოპომაწარმოებელი, ცვლის -უბან კომპონენტს. ჩართალია, სოფლად არის მოხსენიებული „დავთარში“ გორგეთუბანი და ნასოფლარად ქცეულა, მაგრამ აშკარად ბოლომდე დასრულებული არ არის ონიმიზაცია, რადგან იგი მითითებულია მეზობელ სოფლებთან „წყორძასა და ურაველს შორის“ (ჯიქია, 1941:169), თანაც მას გასწეწია სხვა სახელიც - ხაჩათუბანი... უბნის სახელის დამდებნი არიან ორი გვარის წარმომადგენლები გორგაძენი, გორგაანი ან გორგასნები და ხაჩაძენი, ხაჩიანი ან ხაჩასანები. უბნის ორსახელიანობა მიუთითებს ორი ძლიერი გვარის არსებობას ერთ ტერიტორიაზე.

ერთი და იგივე სახელი შეიძლება რამდენიმე ვარიანტად შეგვხედეს გელასუბანი, გელაანთუბანი, გელათუბანი (ჯიქია, 1958:123).

აღნიშნული ტოპონიმის ლოკალიზაცია მოგვცა აგრეთვე პ. ინგოროყვამ (ინგოროყვა, 1954:394-395), ამიტომ აშკარაა, რომ ერთი და იმავე ადგილის სახელია სამივე ვარიანტი. სიძველის მიხედვით (რადგან სამივე დასტურდება XVI საუკუნიდან მოყოლებული დღემდე), ე.ი. იმის მიხედვით თუ როგორ შეგვიძლია ვივარაუდოთ დიდი ოჯახებიდან ახალი შტოგვარის (ახალი გვარის დამდების სახელის) გამოყოფა, პირველი იქნება გელასუბანი, შემდეგ - გელაანთუბანი და ბოლოს - გელათუბანი, რომელსაც საბოლოოდ შეიძლება მოეცა გელათუბანი, რის გამოც გაბუნდოვნდებოდა სახელის სემანტიკა.

ორი სოფლის სახელი დაგითასუბანი და მჭედლის უბანი შალოშეთიდან ბუზმარეთისაკენ მიმავალ გზაზე მთის ფერდობებზეა. ისინი ახლოს მდებარეობენ ერთმანეთთან და რადგან ორივე უბანია, საფიქრებელია, რომ ორივე იყო სოფ. გუნდის განაყარი, რადგან ამ მიდამოებში ყველაზე ცნობილი სოფელი გუნდი იქნებოდა, რადგან დღევანდლამდე შემორჩა გუნდის ეკლესია და იგი სიძველით, არქიტექტურითა და მასშტაბებით გამოირჩევა, ამასთანავე გუნდს სხვა უბანიც ჰქონია, კერძოდ, არჩათუბანი (არჯათუბანი), რომელიც სოფლად არ არის ქცეული და იმ დროს მხოლოდ სათესველი (ჯიქია, 1955:299).

დიდი ოჯახების გაყრის პირველი ეტაპი, სწორედ არის „სათესველის“ გამოყოფა, რომლის ბევრი მაგალითია „დაეთარში“, იგი ცალკე დასახლებული პუნქტი არ არის, ამიტომ სოფელს ვერ ქმნის, გადასახადებიც ცალკე არა აქვს შეწერილი. იგი ოჯახად და გვარად ჯერ ჩამოყალიბებული არ არის.

ვარდისუბანი ერთ-ერთი მის გარშემო სოფელთაგანის უბანი იყო, მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ მას შემდეგ, რაც – უბან კომპონენტური ანთროპოლოგიაში, სათავეს დაუდებდა ახალ გვარს, ახალ სოფელს, გაბუნდოვნდებოდა მისი სემანტიკა, სხვადასხვა გვართ გაიზრდებოდა მოსახლეობა და იგი მხოლოდ ერთი გვარის განაყარი აღარ იქნებოდა, ხდებოდა მთავარი ორიენტირი იმავე არეალში. ასე მოხდა ჯავახეთის ვარდისუბნის შემთხვევაში.

ცნობილი ისტორიული სოფელი ჯავახეთში, რომლის გვერდითაც მდებარეობდა ვარდისუბანი, იყო დლივი. (ჯიქია, 1955:419-422). საფიქრებელია, რომ სწორედ ამ სოფლის უბნობის გამო შეერქვა ვარდისუბანს სახელი (ვარდ-ი კაცის სახელი უნდა ყოფილიყო), მაგრამ XVI საუკუნეში დლივი დამცრობილია, ხოლო ვარდისუბანში 39 კომლიანია, ამიტომაც მთავარ ორიენტირად აღებულია ვარდისუბანი: „სოფ. დლივი ზათელ სათესველითურთ სოფელ ვარდისუბანთან“ (ჯიქია, 1941:287).

ბუნებრივია, რომ – უბან კომპონენტური სახელებს ცალკე კქონდათ თავიანთი უბნებიც. მაგალითად: ერთხელ უკვე შტოგვარისაგან მიღებულ სახელს ნახუცარათუბანს კქონდა ახალი ადგილები: მელქუათუბანი და სამსონასუბანი (ჯიქია, 1941:327), რომლებიც სოფლებად ვერ იქცნენ.

სამცხის სოფელ ჭვინტაში მე-16 საუკუნეში გვექონია ოთხი უბანი: გოგეთუბანი, თელეთუბანი, საქეთუბანი, და ყურათუბანი. ამ სოფელში 24 კომლი ცხოვრობს, ვინც გადასახადს იხდის. ეს საშუალო სიდიდის სოფელია იმ დროისათვის, მაგრამ უკვე მოუსწრია ოთხი საგვარეულო უბნის მიერ ეთნოლოგიაში ჩამოყალიბება. ერთი მათგანის თვალყურის გადევნება შემდეგ საუკუნეებშიც შეიძლება. ყურათუბანი XIX საუკუნეში სოფელია (ჯიქია, 1958:56) და ნასოფლარად მოაღწია დღემდე. დანარჩენი გაქრნენ ისტორიიდან ისე, რომ სოფლებად ჩამოყალიბება მათი არ მოხერხდა.

მას შემდეგ, რაც ოსმალეთი დამკვიდრდა სამცხე-ჯავახეთში — უბან სიტყვა შეცვალა თურქულმა — მაილა/მეილა იმავე მნიშვნელობის სიტყვამ, ამიტომ შემდეგ პერიოდში სოფელთა მიკროტოპონიმიაში სჭარბობს — მაილა კომპონენტია — ნი ანთროპოიკონიმები.

თოლერტა და თორელეზი

თოლერტა დღეს ნასოფლარია. მდებარეობს ტოლოშ-შალოშეთის მიდამოებში. XIX საუკუნის ერთ დოკუმენტში თოლერტის სიახლოვეს მითითებულია წყალმერთხევის დელე, საფიქლია და კუკულეთხევი.

XVI საუკუნეში თოლერტა 14 კომლიანი სოფელია. იქ ქართული მოსახლეობაა და ცხოვრობენ ოჯახის შემდეგი უფროსები: კაკუტა, ფარსია, ბარდია, ლაზარე, სტეფანე, იოსებ მღვდელი, მახარებელი, ყანდურალი, მინდოდა, ღონენა, კირაკოს მღვდელი, ვეფხია, ივანე, ორსოლა, იორდანე მღვდელი, ქენია, ბადურა და გოზალი.

თოლერტა მიღებული უნდა იყოს საგვარეულო სახლიდან — თორელი. მეტათეზისით, მივიღეთ ნაგენეტივარი სახელი, რომელსაც დაკარგული აქვს საზღვრული. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო თორელსა სოფელი ან თორელთა მიწა, რომლის საზღვრულის დაკარგვის შემდეგ დაგვრჩა თორელთა. ამ უკანასკნელში მოხდა ბოლოს ბგერათგადასმა და მივიღეთ ჩვენამდე მოღწეული სახელი თოლერტა.

თორ-ელ-თა-ში გამოიყოფა ნათესაობითი ბრუნვისა და რიცხვის ნიშნის თ(ა)-ს გარდა — ელ წარმომავლობის სუფიქსი, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ფუძე სიტყვისა არის თორ-ი.

სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ განმარტავს: „თორნი ტანსაცვამია რკინისა, ჯაჭვთან ნახე,“ ხოლო ჯაჭვის შესახებ წერს: „ჯაჭვი ეწოდების ყოველთა რკინათა განყრილთა... ხოლო ჯაჭვნი, რომელ არს საჭურველი, რომლისა აბჯრად, ჯაჭვად და თორნად სახელდების...“

თორი იგივე საჭურველი იყო. ე.ი. თორი ისეთი ადგილი უნდა ყოფილიყო, სადაც საჭურველს, საბრძოლო სამოსს აზადებდნენ, მაგრამ თოლერტა (თორელთა) თორთან სხვაგ-

ვარად არის დაკავშირებული. თორელი ნიშნავს თორის მკვიდრს ან თორიდან წარმოშობილს ან თორის პატრონს. ამგვარად, თორელი არის თანამედრობრივ — წარმომავლობითი სახელი. თორი არა მარტო ადგილის სახელის შექმნის დროს არის ამოსავალი ფორმა, არამედ — გვარსახელებიც. თავი რომ ღავეანებოთ გეოგრაფიული პუნქტიდან მიღებულ გვარს-თორელს, იგივე ფუჟე არის ამოსავალი ისეთ ქართულ გვარებში, როგორიცაა: თორია, თორაძე, თორცაშვილი, თორელაშვილი. ამ უკანასკნელში წარმომავლობის სუფიქსით ნაწარმოები კიდევ ერთი საინტერესო ფორმაა დადასტურებული და ასახავს ხალხთა მიგრაციის, მოძრაობის პროცესს. თორელაშვილები დღეს ახალგორში და თბილისში ცხოვრობენ. მათი თავდაპირველი წარმომავლობის ადგილი არის თორი. თორთან არის დაკავშირებული თორელთა გვარი და აქედან გამომდინარე ჩვენი ნასოფლარის სახელი თოღერთაც.

ივ. ჯავახიშვილის აზრით თორი იყო ისტორიული პროვინცია სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა სადგერის, გუჯარეთისა და მტკერის ხეობას ტაშისკარიდან დვირამდგროდესაც საუბარია — ელ სუფიქსით ნაწარმოებ წარმომავლობით სახელზე, როგორიცაა ბორჯომელი, ახალციხელი, თბილისელი და სხვ. ეს არის თანამედროვე ფორმები, რომელშიც გამოხატულია ზოგადი ფორმით წარმომავლობა, მაგრამ ისტორიულად — ელ სუფიქსი აღნიშნავდა არა მხოლოდ წარმომავლობას, მაგალითად: თმოგველი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი მცხოვრები თმოგვისა. ამასთან ერთად — ელ სუფიქსს ჰქონდა ძალა, რომ გამოეხატა კუთვნილების ფუნქციაც წარმომავლობასთან ერთად. თმოგველი ისტორიულად იყო პატრონი თმოგვის ციხისა, ისევე, როგორც მაწყვერელი შეიძლება ყოფილიყო აწყურის ნებისმიერი მკვიდრიც და ამასთან ერთად მაწყვერელი (ამ შემთხვევაში — ელ თან ერთად — მ პრეფიქსიც არის დართული) იყო აწყურის ეპისკოპოსი.

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს ისტორიულ პროვინციად თორს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტერიტორია მოიცავს ხეობას ან ხეობებს. სახელს კი ხეობები რომელიმე დასახლებული, უმრავლეს შემთხვევაში ძირითადი პუნქტების, ადგილების მიხედვით ღებულობდნენ. სადგერის, გუჯარეთისა და მტკერის ხეობათა მიდამოებში უნდა ყოფილიყო დასახლე-

ბული პუნქტი თორიც. თორის პატრონები იყვნენ თორელე-
ბი, რომლებიც დიდგვაროვან ფეოდალთა გვარს წარმოად-
გენდნენ XII-XIV საუკუნეებში. თორელთა გვარის წარმომავ-
ლობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასა-
ხვა აზრი. ს. კაკაბაძე თორელებს მიიჩნევს მხარგრძელთა
საგვარეულოს განშტოებად. ლ. მუსხელიშვილის აზრით თო-
რელი უკავშირდება სამძივართა გვარს, ხოლო ნ. შოშიტაიშ-
ვილი თორელს გამრეკელთა გვარს უკავშირებს.

არის მოსაზრება, რომ დიდი ქართველი პოეტი შოთა
რუსთველი თორლთა საგვარეულოდან იყო და რუსთველი
იმიტომ ეწოდა, რომ მესხეთის რუსთავს ფლობდა სამამუ-
ლედ. ამას ნაწილობრივ ადასტურებს ის გარემოება, რომ
თორელის საგვარეულო მესხური იყო და ამ საფეოდალოში
შედიოდა რუსთავი; აგრეთვე ისიც, რომ იერუსალიმის
ჯვრის მონასტრის აღაპში შოთა იხსენიება მეჭურჭლეთუხუ-
ცესად. ეს სახელო ამ პერიოდში თორელებს ეპყრათ. თორე-
ლებს ზოგჯერ საგამგებლოდ ეძლეოდათ სახასო ქვეყნის
(ე.ი. სამეფო დომენის) რომელიმე ნაწილიც. მაგალითად, 1163
წელს ანისის გამგებელი ყოფილა კახა თორელი. თორელე-
ბმა ხელთ იგდეს სხვა მამულებიც: ახალციხე და ღობიეთი
სამცხეში, ქვეში ქვემო ქართლში და ძამა შიდა ქართლში.
ასე წარმოიქმნა თორელის საგვარეულო განშტოებები: ახ-
ლციხელი, ღობიარი, ქვეშელი, ძამელი.

XII საუკუნიდან თორელის ფეოდალების მფლობელობა
გავრცელდა თეძმის ხეობაზე. აქ XIII საუკუნეში ჩამოყალიბ-
და თორელ-ჯავახიშიელთა ახალი საფეოდალო, რომელიც
XIV საუკუნიდან იქცა ჯავახიშიელთა სათაუადოდ (ივ. ჯავა-
ხიშიელის ენციკლოპედიური ლექსიკონი). როგორც ჩანს,
ჩამოთვლილ სახლთა სიაში ჩადგება თოლერთა (თორელთა).
იგი ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე, რომელიც საკვლევი
და საძიებელი, ეკუთვნოდა თორელთა საგვარეულოს.

თორთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ერთ-ერთი
სოფლის თორიის სახელი.

თორია ნინოწმინდის რაიონში მდებარეობს. სოფელი
მდიდარია ისტორიული ძეგლებით. მნიშვნელოვანია სოფლის
თავზე, მთაზე არსებული ციკლოპური ციხის ნაშთები, ამავე
მთაზე არის სამლოცველო, რომელშიც ძველი საკურთხევე-
ლია. სოფელშივე ყოფილა ქართული ეკლესია, რომლის დუ-
ლაბილა შემორჩენილა. XIX საუკუნის შუა წლებში სოფელ-

ში ჯერ კიდევ არაინ ცხოვრობდა, ხოლო ეკლესია კი იდგა. შემდეგ აშენდა სომხური ეკლესია სურფ დომინიკოს, რომლის მშენებლობისას გამოიყენეს ქართული ეკლესიის ქვები. ეს ქვები დღესაც გამოირჩევა დამუშავებითა და სიძველით. იქვეა ქართული სასაფლაოს ქვა - ცხენოსანი ვაჟაკის საფლავი.

ორჭოშანი

ამ სახელის შესახებ ს. ჯიქია წერს: „ორჭოსან სიტყვას ყველგან დიაკრეტული ნიშანი უზის... საარქივო მასალებშიც და ე. წ. სიებშიც ეს სახელი დამახინჯებულია: Орджошум, Орчашан, Арчешанский და სხვა. ორჭოშანი მდებარეობს სოფელ მარეკლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფოცხოვის წყლის მარჯვენა სანაპიროზე. ადიგენის რაიონის მარეკლის სასოფლო საბჭოში შედიოდა მარელ, ხონა და წარბთუბან სოფლებთან ერთად.“ (ჯიქია, 1958:89).

ორჭოშანში, ვიდრე იქიდან მაჰმადიანი მოსახლეობა გადაასახლეს, ხალხი ცხოვრობდა, დღეს ნასოფლარია.

მე-16 საუკუნეში ზემო და ქვემო ორჭოშანი გაერთიანებულია ერთ სოფლად და მასში 18 კომლი ცხოვრობს. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი, სელი. გადასახადს იხდიან იონჯასა და თივაზე, ბოსტანზე, ფუტკარზე, სახლზე, ღორზე, იალაღზე, ცხვარზე, ქორწილზე და სხვა. სოფელი გამორჩეულია ვენახით. სამი ელია ცხოვრობს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც ჩამოთვლილი სამეურნეო და საგადასახადო მონაცემებიდან ჩანს, მოსახლეობის ყოფა მთლიანად ბუნებაზე და მის მოვლენებზეა დამოკიდებული. ბუნებასთან ურთიერთობას კი მესხეთში მეტად გავრცელებული ელიას წარმართული თუ ქრისტიანული კულტი განაპირობებს.

ორჭოშანში ცხოვრობდნენ გაბრიელის შვილი ელია, მიქელისძე ელია და პაპუნა, რომლის მამასაც ერქვა ელია.

სოფელში ასევე პოპულარულია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი გიორგი, რომელთგან ერთი არის მიქელისძე და ორნი სახელითა და მამის სახელით სეხნიები არიან, მამა ჰყავთ ზაქარია ორივეს.

თაობათა შორის არ შეიმჩნევა დაკანონებული სახელები. ვთქვათ, მხოლოდ ქრისტიანული ან მხოლოდ ქართული. ხშირად მამა-შვილს შორის ორივე ტიპის სახელი გვხვდება. მაგალითად: გაბრიელს, რომლის სახელიც ძე. ებრაულიდან მოდის („ჩემი ძალა ღმერთია“), მთავარანგელოზის საპატივესაცემოდ არქმევდნენ ქართველები და რომლის მოყვრებითი ფორმებია: გაბა, გაბე, გაბელ, გაბილა, გაბრია, გაბრო, გაბო... (ჭუმბურიძე, 2003:139) მამა ჰყავს მახარებელი (თუმცა შეიძლება ეს სახელიც დაუწყვეთიროს სახარების ავტორებს). სოფელში ცხოვრობდა კიდევ ერთი მახარებელი, რომელსაც ჰყავდა შვილი იორდანე.

მესხეთში პოპულარული იყო ისეთი ბერძნული სახელი, როგორიცაა გრიგოლი „მღვიძარე,“ „ფხიზელი“ (ჭუმბურიძე, 2003:139). გრიგოლ ხანძთელი ხომ ამ კუთხის უდიდესი მოღვაწე იყო. ასე კანონიკური ფორმის (და არა მოყვრებით – კნინობითი სახით) სახელის მქონე გრიგოლს შეილისთვის ღვინია დაურქმევია. ეტყობა ან უყვარდა მამას ღვინო, ან ღვინისფერს მიამსგავსა დაბადებული. ასევე ელიას ჰყავს შვილი პაპუნა, მიქელს – გაგუჩა, ზაქარას – ფასია და ა.შ.

ერთი ოჯახის უფროსს ერქვა ზაქარა, რომელიც არის იგივე ზაქარია (ძე. ებრ.) „ღვთის მიერ დაუვიწყარი“ (სიტყვა-სიტყვით: „ღმერთს ახსოვს“), ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელი, რომელიც გვხვდება სახარების უძველეს თარგმანებში. მას შეილისთვის დაურქმევია ლაშქარა (ირან.) „მხედარი,“ „მეომარი,“ „მოლაშქრე“. ეს ირანული სიტყვა „ლაშქრის“ სახით ქართულში უძველესი დროიდან არის შემოსული და ამიტომ გმირობისა და ვაჟკაცობის მოყვარული ქართველი ზაქარა, რომელმაც იცის სიტყვის შინაარსი, არ დაგიდევს, სადაურია სიტყვა (ამაშია ქართული ანთროპონიმის სპეციფიკა, არ არის კონსერვატული და დოგმატური) და შვილს არქმევს ლაშქარას. ერთს არაბულ-თურქული წარმომავლობის სახელი ალიბეგი ჰქვია. ეს სახელი მთელ საქართველოშია გავრცელებული. მისგან გვაქვს გვარი ალიბეგაშვილი.

სოფლის სახელი ორჭოშანი ხალხური ეტიმოლოგიით მომდინარეობს „ორი ჭიდან“ „ორჭოშანი იმიტომ ჰქვია, რომ ამ ადგილას მდებარეობდა ორი ჭა, რომლებიც შემდეგ დამშრალა“. ორჭოშანში „ორი ჭის“ დანახვა რეალურად შეუძლებელია. მისი არც ფორმობრივი და არც სემანტიკური სა-

ფუძემდელი არა გვაქვს. ორჭოშანში უ ასიმილაციის შემდეგ მიღებულად უნდა განვიხილოთ. ამისი თქმის საშუალებას გვაძლევს ახალგორის რაიონის სოფ. ორჭოსანის სახელი.

ასეთი წარმოების სახელები მესხეთში სხვაც გვქონდა. ქურდოსანი ისტორიულად იყო სოფელი, რომელიც მე-16 საუკუნეში უკვე ნასოფლარია (ჯიქია, 1958:237). დღეს არის მსა და სათიბები. ქურდოსანი ამჟამად სოფელ ურავლის საზოგადოებრივ დასახლებად ეწოდება ქედის ჩრდილო კალთაზე (გივანიძე, შ. ივანიძე, 2007:198).

დიდი არტაანის ლივაში ოსმალებმა აღწერეს პატარა ბურდოსანი ასევე იყო დიდი და პატარა ვარდოსანი. ვარდოსანი და ქურდოსანი აღწერილია 1573 წელს არტაანის აღწერის დავთარშიც (ბერიძე, 2001:154). ზემოთ ჩამოთვლილ სახელებზე ნათქვამია: „ქართული ენისათვის ცნობილი წარმოება: ბურდ-ო, ვარდ-ო, ქურდ-ო და ა.შ. ყველა ის საკუთარი სახელი იყო ქართულ ონომასტიკონში. დღეს ძირითადად მეტსახელებად გვხვდება და მათი გაგრძელება ბევრად შეიძლება, მომდევნო ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია – ა სავრცობი, ხოლო -ნ მრავლობითობის ნიშანი. თითოეული სახელი მნიშვნელობა ასეთია: ბურდოსანი, ვარდოსანი, ქურდოსანი – ებიანი მრავლობითით იქნება: ბურდოსები, ვარდოსები, ქურდოსები, ე.ი. სიტყვა მიუთითებს ამა თუ იმ ნაკეთის, მიწის, ჭაღის, ყანის პიროვნების საკუთრებაზე (ბერიძე, 2001:154).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ორჭოშანში ორჭოს საკუთარი სახელია, ხოლო ორჭოშანი არის ორჭოს შთამომავლების ადგილი.

სოფელ უდის უბნები

უღე ძველი ტრადიციული სოფელია, რომელსაც თავის დროზე ციხეც ჰქონდა, ამიტომ მისი უბნების განხილვისას გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომელიც ამ ტიპის დასახლებას ახლდა. თბილისის უბნების შესახებ ნათქვამია: „გარეთუბანში რამდენიმე მიკრო უბანი იყო, რომელთა სახელი წარმოშობილია აქ მცხოვრებ პირთა სახელისა და გვარისაგან, ანდა აქ მდგარი ხუროთმოძღვრული ძეგლის სახელწოდებისაგან. ასეთებია: მუხრანბატონის უბანი, წყლის კარის უბანი, ცხრაპურას უბანი, ბოშისუბანი, ორბელიანების უბანი, კალოუბანი და სხვა (ბერიძე, 1977:53)“.

უღეში ჩამოთვლილ ფაქტორებს დაემატება: ნასოფლარები, ნაყანარები, მეტეგარები, რელიეფთან დაკავშირებული სახელები და სხვა. უდის უბნების დიდი ნაწილი ტრადიციულად გვარებითა და გვართა განაყარების მიხედვით არის სახელდებული, ამასთანავე, როგორც წესი, სახელის შერქმევა ხდება მეტეგარებით, უფრო სწორად, გვართა ვარიანტებით.

1979 წელს ჩემ მიერ ჩაწერილი მასალა გადავამოწმებინე სსიპ ახალციხის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტებს თიკო თათოშვილსა და ირმა მურაბიშვილს, რომლებმაც აღწერეს სოფლის უბნები. მათ შორის უმრავლესობა სწორედ მეტეგარების, გვართა ვარიანტებით არის შერქმეული.

ათენათუბანი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში. ცხოვრობს ერთი გვარის ხალხი – აღლემაშვილები, იგივე ათენათები, ამიტომ უწოდებს უბანს ხალხი ამ სახელს. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ ზაზაშვილები, რომელთა გამო შეერქვა ზაზათუბანი. აღოშათუბანში ცხოვრობენ აღოშაშვილები. სოფლის სამხრეთ ნაწილში ჩილათუბანი ჩილაშვილების ცხოვრების გამო შეერქვა ისევე, როგორც პეტათუბანი პეტაშვილების ცხოვრების გამო. სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შეერქვა პეტრეთუბანი, რადგან იქ ცხოვრობენ ბაღლოშვილები, რომლებსაც პეტრეთებს უწოდებენ. აღლემაშვილების ერთი შტოს სახელია ბაბაზოთები, ამიტომაც სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გვაქვს ბაბაზოთუბანი. აკოთუბანი ეწოდება

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ადგილს, რადგან იქ თუმა-ნიშვილების ერთი შტო აკოთები ცხოვრობენ.

გარდა საგვარეულო სახელებისა, სხვა ნიშნითაც შეიძლება გამოიყოს სოფლის ესა თუ ის ნაწილი. სოფლის თავმჯეურის ადგილს ცენტრი პქვია და მის გარშემო დასახლებაც ასე მოიხსენიებენ.

ცენტრთან ახლოს არის სოფლის უბანი, რომელსაც რაბათს უწოდებენ. ეს სახელი ძველია. სიტყვა არაბული, გამაგრებულ სამხედრო ბანაკს ნიშნავს, რაბათი პქვია მაროკოს დედაქალაქს. სიტყვა საქართველოში შემოდის არაბობასთან ერთად. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დათრის“ მიხედვით ბევრი რაბათი გვაქვს. სადაც ციხე იყო, მის გარშემო დასახლებას ერქვა რაბათი. უდეს პქონდა ციხე და შესაბამისად – რაბათი. რადგან მოიშალა, დაინგრა ციხე, ამიტომ რაბათი(ც დაკარგა თავისი მნიშვნელობა (ბერიძე, 2005:319), მაგრამ უბნის, შედარებით მცირე ტერიტორიის სახელად მაინც შემოგერჩა.

კიდევ ერთი ძველი, აღმოსავლური სახელი იქცა უბნის, დასახლების აღმნიშვნელად. ეს არის მეიდანო. ადგილობრივები მოგვიოხრობენ: „ერთ-ერთი დიდი უბანია უდუში, დიდი ხნის წინ ამ ადგილას ყოფილა დიდი მოედანი, სადაც ვაჭრები აქლემებს ასვენებდნენ, აქვე იმართებოდა ბაზრობა, რამაც განაპირობა სახელის დარქმევა. მეიდანო სოფ. უდის ჩრდილოეთით მდინარე ქვაბლიანის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა“.

მეიდანო ცალკე სოფელი იყო, რომელიც აღწერილია უდის გვერდით მე-16 საუკუნეში და სადაც ქართული მოსახლეობაა. მაშინდელ ქართველებს შემდეგი სახელები რქმევიათ მეიდანში: მათათა, იასონ, ბასილი, ნათენა, იორდანე, დემეტრე, ბატატა, საბია, გოგინა, მამისიმედი, თევდორე, ქოჩია, ვარძელი, ლიპარიტი, გრიგოლ, ივანე, იასონ, ნარინდავით, ვარაზულ, ვარძელა (ჯიქია, 1941:57-58). მეიდანისა და უდის სიახლოვე ხშირად შეცდომის სათავე ხდებოდა და ერთი და იგივე სოფელი ეგონათ (ჯიქია, 1958:84), მაგრამ როგორც დავინახეთ და როგორც ს. ჯიქია ამას სხვა მასალითაც ამტკიცებს ეს ორი სახელი ორ სხვადასხვა ადგილს ერქვა, ორი სოფელი იყო. XXI საუკუნეში უდის გაფართოების ნიადაგზე გაქრა მეიდანის ცალკე სოფლად აღქმის ტრადიცია, მისგან

აღარც ნასოფლარია შემორჩენილი, მაგრამ სახელი არ დაიკარგა და უბანს ჰქვია.

მეიდანის ცნობილი ტპონიმი თბილისში, იგი ქალაქის ერთ-ერთი უბნის სახელია. ისტორიულად კი არსებობდა მეიდანთან დაკავშირებული სხვა სახელები: მეიდანის კარის ხიდი (ბერიძე, 1977:53); მეიდანის სასახლე, ახალი ბაღი მეიდანისა (ბერიძე, 1977:54). როგორც ჩანს, მეიდანის თბილისში, მის უუბნებს შორის, ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი იყო, რის გამოც შეიქმნა მასთან დაკავშირებული სხვა სახელები: მეიდანის ბაღი, ხიდი, სასახლე.

უღის კიდევ ერთ უბანს უნდა ჰქონდეს ისტორიული საფუძველი. ადგილობრივთა თქმით: „ხანდაკა ერთ-ერთი უბნის სახელია, რომელიც მდებარეობს სოფლის დასაველეთ ნაწილში. სიტყვა „ხანდაკი“ მოუსავლიან ადგილს ნიშნავს“. ძველ ქართულში ხანდაკი ერქვა ხრამს, თხრილს (აბულაძე, 1973:560), ხოლო სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებს: „ხანდაკი“ სხვათა ენაა ქართულად თხრილი ჰქვია (ორბელიანი, 1966:413).

უღე ოდითგნვე დიდი დასახლება იყო. მას ჰქონდა ციხე, თავისი რაბათით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებობდა თავდაცვითი ნაგებობისათვის საჭირო სხვა საშუალებანი. ხანდაკები კეთდებოდა ციხეთა დამატებით გასამაგრებლად. ის, რომ უცხო სიტყვები სჭარბობს ასეთ დროს, არც ეს არის შემთხვევითი, რადგან სამხედრო ტერმინოლოგია ხშირად იცვლებოდა ისტორიული კონიუქტურის შესაბამისად. ციხის გარშემო დასახლებას, როგორც ითქვა, ერქვა რაბათი, არაბული სიტყვა, როგორც ჩანს, მან შეცვალა ციხის ძირი. თვით ციხის სახელიც კი შეიცვალა ბევრ შემთხვევაში და მას აღმოსავლური კალა/ყალა ჩაენაცვლა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს სიტყვა იხმარება თბილისის დედაციხის აღსანიშნავადაც – ნარიყალა. იქვე უდესთან ახლოს იყო ოქროსციხე, რომელსაც ალთუნყალა უწოდეს. ასევე თარგმნეს მგელციხე და მას დაერქვა კურტკალა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ შემოვიდა სიტყვა ენაში (ან დიალექტში) . ხოლო შემდეგ ის ეწოდა ადგილს. ასე შეცვალა ქართული თხრილი ხანდაკმა და ეს უკანასნელი შემოგვრჩა უბნის სახელად უღეში. ხანდაკის პარალელურ ფორმად გვაქვს ხანდაკები და მე-20 საუკუნეში შერქმეული (როგორც უღელები ამტკიცებენ) ჭაჯეთი.

ნაფუზრები ერთ-ერთი დიდი უბანია სოფ. უღეში.

იგი მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში. ადგილობრივთა თქმით „სიტყვა „ნაფუზრები“ წარმოიშვა „ნაფუზრებისაგან“, ძველი სახლის საძირკველის ფუძეს ეძახდნენ ასე. როდესაც ამ უბანში საძირკველი ჩაიყარა, სწორედ ამ ადგილას იყო შემორჩენილი ძველი ნასახლარები – „ნაფუზრები“. მართლაც ეს უბანი რომ ახალია, ჩანს სახელიდანაც. სულხან-საბასთან ნაფუზარი და ნაფუძარი ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია და ნასახლარს ნიშნავს (ორბელიანი, 1965:583). თუშურში ნაფუძარი არის „მცეხვარის საზაფხულო ბინის (ფარეხის) ნანგრევი“ (ღლონტი, 1984:412). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც ნაფუძარი და ნაფუზარი ფონეტიკური ვარიანტებია – „განოყვრებული, გაპატივებული მიწა, ჩვეულებრივ ნასახლარი, ნაბოსლარი და მისთ. ნაფუძრები“ (ქეგლ 1958:1389). მესხურში ორივე მნიშვნელობით იხმარება ნაფუზარი, როგორც ნასახლარის, ისე განოყვრებული, გაპატივებული მიწის სახელად.

უღის სამხრეთ ნაწილში არის უბანი ზაქორია, რომელსაც ზაქორიებსაც უწოდებენ. მრავლობითი რიცხვი ზოგიერთ ტოპონიმს უჩნდება არა რეალური სიმრავლის გამო, არამედ მის გარშემო არსებული მიწების თუ სხვა ობიექტების გამო. ე. ი. ზაქორიები ერთმანეთის პარალელური ფორმებია და ერთი და იმავე ობიექტს ჰქვია. ეს პროცესი მოხდა მანამდე, ვიდრე აქ სოფლის უბანი გაჩნდებოდა. ზაქორია ამაღლებული ადგილია, გორაა, ინფორმატორთა თქმით, ზამთარში მანქანებს უჭირთ ზაქორიაში ასვლა. ამ უბანში ცხოვრობენ აბულაძეები, საზაშვილები, აფრიამაშვილები და სხვანი. ადგილობრივთა აზრით, სახელი უკავშირდება „ზაქს“: „ძველად ამ ადგილას ყოფილა კამეჩებისა და ზაქების სამენახირო, სავარაუდოდ სიტყვა „ზაქიდან“ წარმოიშვა ზაქორიები“. ზოგის თქმით ზოგადად საქონლის გამო შეერქვა და საქონლია არისო. არის აზრი, რომ ზამბორიდან უნდა მოდიოდეს ზაქორია. ზამბორიას უღეში ორპირ, გამჭოლ ქარს უწოდებენ და რადგან ამაღლებული ადგილია, ქარიახიც არისო.

1979 წელს, როდესაც ჩაიწერე უღის ტოპონიმი ედვარდ იოსების ძე სარაშვილისაგან (76 წლის) და ავთანდილ გიგლას ძე მერაბიშვილისაგან (31 წლის), ზაქორიას პარალელურ ფორმად ჩაწერილი მაქვს საქორია, თანაც, როგორც

ჩანს, ზაქორია უფრო ვრცელ ტერიტორიას გულისხმობდა, რადგან ძველი სასაფლაოს მისანიშნებლად მითითებული მაქვს, რომ მდებარეობს ზაქორიებში, ხოლო ახალი სასაფლაო ნაფუძრებში. მართლაც, ამოსავალი ფორმა უნდა იყოს ზაქორია და ადგილის სახელი უნდა უკავშირდებოდეს ფრინველს. წარმოება ტრადიციულია, ისევე, როგორც სამტრედია, სა-ია მაწარმოებლებით. ფრინველს სახელები ხშირად გამოიყენება ტოპონიმიაში ადგილის სახელებისას. გვაქვს „ქორისაგან“ მიღებული ტოპონიმები. მტკვრის ხეობაში, მის მარცხენა ნაპირზე, ნასოფლარ ღობიეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის ნასოფლარი ქორეთი. დღეს ქორეთი სოფ. ზველს ეკუთვნის და ბაღებია იქ. ქორეთი მე-16 საუკუნეში სათესველის სახელი იყო და ეტყობა შემდეგ იქცა დასახლებულ პუნქტად. გვქონდა კიდევ ორი ქორეთი, ერთი მათგანი მდებარეობდა ქვაბლიანის ხეობაში (ჯიქია, 1958:112), ხოლო მეორე ჩრდილის (ჩილდირის) ლივაში (ჯიქია, 1958:408). ქორსატეველა, რომელიც კომპოზიტური წარმოებისაა და რომლის პირველი ნაწილიც არის ქორი, პქვია ვარძიაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ისტორიული ძეგლის მოპიორდაპირე ფერდობებს, სადაც ადრე ტურბაზის შენობები იდგა.

ამგვარად, სწორი იქნება თუ ზაქორიაში ამოსავლად მივიჩნევთ საქორიას, ხოლო ზაქორიას – მის ფონეტიკურ ვარიანტად ისევე, როგორც საძალოს ფონეტიკური ვარიანტია ზაზალო.

პირდაპირები სოფლის აღმოსავლეთ ნაწილს პქვია, მის შესასვლელში. ამ ტიპის სახელები შეერქმევა ხოლმე გეოგრაფიული მდებარეობის გამო. სოფლის რომელიმე ნაწილი გამოყოფილია დანარჩენისაგან ძირითადად ხევით და იგი „პირდაპირ“ მდებარეობს. სხვა შემთხვევაში შეიძლება შეერქვას უბნის გარდა ყანებს, ბაღებს და ასე შემდეგ.

ხურო სოფლის დასავლეთ ნაწილს, მის უბანს პქვია. იგი სხვა უბნებთან შედარებით ცენტრიდან მოშორებითაა. ერთგვარად გამოყოფილია სოფლიდანაც, „ძველად „ხურო“ ყოფილა სოფელი, რომელშიც ცხოვრობდნენ მაჰმადიანი მესხები, შემდეგ რომ გაასახლეს“, მოგვითხრობენ უძელები. მართლაც ხუროში ქართული გვარის ხალხი, კერძოდ, კიკნაძეები და კანჭაძეები ცხოვრობდნენ. საინტერესო გვარებია. კიკნაძე ქრისტიანებშიც იყო და მაჰმადიანებშიც. კანჭაძეები კი

მხოლოდ მამამდიანებში ყოფილან და ჯიშინი, „კანჭმალა-ლი“ ხალხი იყო. ეს უბანი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ნასოფლარზე. მე-16 საუკუნეში ამ ადგილზე ოსმა-ლებმა აღწერეს სოფელი ხურო, სხვაგვარად მას ხურასაც უწოდებდნენ (ჯიქია, 1958:97). გამამდიანებულ მესხთა წინა-პარი ხუროელები მე-16 საუკუნეში იყვნენ: გოგინა, შაქარა, გრიგოლ, მახნია, იაკობა, გაბრიელ, ბადრია, როსტეგან, პა-პუნა, ვარძელ, აბიათარ, კვირიკე, მამუკა, მამისა, მახარე-ბელ, ზაქარა და კიდევ ერთი მახარებელი, რომელიც იყო მჭედლის შვილი. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გმირის სეხ-ნიასაც უცხოვრია ხუროში. ეს იყო როსტეგანი, მას ჰყოლია შვილი ბადრია (ასევე ამირანის ეპოსის ერთ-ერთი გმირის სეხნია) და შვილიშვილი პაპუნა (ჯიქია, 1941:73). ამავე ხუ-როში ერთი მამული, ალბათ გამორჩეული და საუკეთესო, უკ-ვე დაუსაკუთრებია ოსმალო მოხელეს თუ გამამდიანებულ ქართველს – ყაბუ-ლ-ლაჰისძე პუსენ ზაყიმს (ჯიქია, 1941:73). ესეც უდის ერთ-ერთი უბნის ხუროს ისტორიაა. ხუროსთან არის დაკავშირებული სახელები: ხუროს ტყე და ხუროს ხი-დი.

ამგვარად, სოფელ უდის უბნები და შესაბამისად მათი სახელები იზრდება ან მცირდება იმის მიხედვით, გაიზრდე-ბა თუ შემცირდება სოფელი. რომელსაც დასახელებული პუნქტი იკავებს ამა თუ იმ ადგილს, ანგარიში აღარ ეწევა საყოფაცხოვრებო ნაგებობათა ტრადიციულ, ისტორიულ მშენებლობას, ითვისებენ სავარგულებს, საძოვრებს, ნასოფ-ლარებს და ასევე შემდეგ ჩნდება ახალი უბნები, მაგრამ არ იკარგება ტერიტორიათა ძველი სახელები, რადგან ტოპონიმ-თა მთავარი ფუნქცია ორიენტაციის აღნიშვნა რჩება ძალა-ში.

XVI საუკუნეში შედგენილი „გურჯისტანის კილაიეთის დიდი დაეთრის“ მიხედვით უდეში 135 კომლი ცხოვრობს. იგი არის უდის ნაძიეს ცენტრი. უდეში ცხოვრება ნიშნავდა უდის ციხის რაბათში ცხოვრებას. ეს რიცხვი იმ დროისათვის დიდ სოფლად წარმოაჩენს უდეს. ჩვენთვის ცნობილნი არიან ის ადამიანები, ვინც გადასახადს იხდიდნენ. ოჯახის უფროსები მოხსენებულნი არიან სახელითა და მამის სახელით, ამიტომ შეგვიძლია, წარმოდგენა შევიქმნათ, თუ ვინ ცხოვრობდა მაშინდელ უდეში, რა ერქვათ მათ, როგორი სახელები იყო მაშინ მოდაში და სხვა.

„ვეფხისტყაოსანი“ მაშინდელ მესხეთში პოპულარულია. უდის ორ მცხოვრებს როსტევანი რქმევია, არაბეთის მეფის სახელი. ერთი არის ხატისას ძე, მეორე – ტატიკის ძე, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ გმირის, ქაჯეთის ციხის მეფის შვილის როსაფის მამის სახელი ვერ ამოუკითხავს ს. ჯიქიას.

ამირანის ეპოსი გავრცელებული იყო მესხეთში. ყველაზე ძველი ვერსია და ჩანაწერიც ამირანის ეპოსისა არის ჯავახური ვარიანტი. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არაქარისტიანული სახელია ამირანი. ამ სახელიდან მოდის გვარი - ამირანაშვილი. სამცხე-ჯავახეთის ასევე უძველეს ტოპონიმთა რიცხვს მიეკუთვნება მთის სახელი ახალქალაქში ამირანი გორა (ბერიძე, 2007:34-42). უდეში უცხოვრია ორ ამირანს: ამირან არიდანის ძეს და ამირან ნუქაფის ძეს. იყო აგრეთვე შირინა ამირანის ძე.

-ელ სუფიქსით გაფორმებული წარმომავლობის სახელები უძველეს სახელთა რიგს მიეკუთვნება ქართულ ანთროპონიმშიკაში. მესხეთში ვარძიის გარდა იყო ვარძაც (შდრ. ვარძაგარა ქართლში), ზოგჯერ შეიძლება ვარძიაც მოეხსენებინათ ვარძად, ამიტომ სახელი ვარძელი პოპულარულია მესხეთში მე-16 საუკუნეში. ის უკვე საკუთარ სახელად ქცეულა და ეტყობა წარმომავლობის ფუნქცია დაკარგული აქვს -ელ სუფიქსს, რადგან თითქმის ყველა მსხვილ დასახლებულ პუნქტში გვხვდებიან ამ სახელის მქონე ადამიანები. უდის ციხის რაბათში ცხოვრობდა ჩვენთვის უკვე ნაცნობი შირინა ამირანის ძე, რომელსაც პყავდა შვილი ვარძელი. ვარ-

ძელი იყო, აგრეთვე, ყუბადის ძე. ერთი ვარძელის მამას ერქვა სიდა. სახელად ნუქაფს ჰყავდა ძმა, რომელსაც ერქვა ვარძელა, ხოლო ოთარა ქიტას ძეს ჰყავდა „ვარძელ ძმა მისი“.

ზ. ჭუმბურიძე წერს, რომ „ზურაბ (ქართლში დამკვიდრებული ფორმაა სპარსული სახელისა (სურხაბ//სუხრაბ), რომელიც სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც „წითელი წყალი“, მაგრამ ძველად ის ნიშნავდა აგრეთვე წითლად მოქლვარე ძვირფას ქვას – ლალს. სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძველად ადამიანის სახელს. ზურაბი ერქვა ლეგენდარული ირანელი გმირის როსტომის ვაჟს. იგი ჩვენში ფართოდ გავრცელდა „შაჰ-ნამეს“ სხვა გმირთა სახელების მსგავსად. მისი კნინობითი ფორმაა: ზურაბა, ზურა, ზურია, ზურიკო. აქედანაა გვარები ზურაბიშვილი, ზურაბაშვილი, ზურაშვილი, ზურიკაშვილი, ზურაბიანი, ზურაბაული“ (ჭუმბურიძე, 2003:159-160).

ზურაბაშვილები ცხოვრობენ მესხეთშიც. ასეთი პოპულარული სახელის მქონე ხუთი ადამიანი ცხოვრობდა მაშინდელ უდეში. მათ შორის ოთხი იყო ზურაბი, ხოლო ერთი მისი კნინობითი ვარიანტით – ზურაბა – გვხვდება. აი, ისინი: ჩვენთვის ცნობილი როსაფი და „ზურაბ ძმა მისი“. მასურ მარიჯანის ძეს ჰყოლია „ზურაბ ძე მისი“, იყო ზურაბ ბუდახას ძე, ზურაბ ყალამის ძე და უკვე მოხსენიებული ზურაბა, რომლის მამის სახელიც ამოკითხული არ არის.

მესხურსა და სხვა დიალექტებში სიტყვა – ჭანს დავარდნილი, გამხდარი, საქონლის მნიშვნელობით ხმარობენ. „ჭანი – ნახევრად დაკოდილი მოზვერი, რომელიც ძროხაზე ეერ გაევა, მაგრამ არ უსვენებს, ამოვ აწვალებს. გადატანით ხმარობენ ახლად მოღერებულ ბიჭებზეც“ (ბერიძე, 1981:168). ადამიანს შეიძლება გადატანითი მნიშვნელობით გერქვას ეს სახელი, მაგრამ, ეფიქრობ, უფრო სწორი იქნება, თუ ჭანის შემთხვევაში ვიგულისხმებთ ეთნოტერმინს. იგი ეთნონიმად აქვს მიჩნეული ი. მაისურაძეს. მისგან არის მიღებული გვარები: ჭანიშვილი, ჭანიძე (მაისურაძე, 1990:217).

უდეში ოთხი კაცი გეყავს ჭანის სახელით და ოთხივე უფროსი თაობის წარმომადგენელია, მამებს ჰქვიათ მხოლოდ; ესენი არიან: მიჰრან ჭანის ძე, ყაზა ჭანის ძე, ქრისტესა ჭანის ძე და აღდგომელ ჭანის ძე. მათ შორის ორს აღმოსავლური სახელი ჰქვია, ხოლო ორს – ქრისტიანულ-ქართული. ესეც კარგი მაგალითია იმისა, თუ მე-16 საუკუნის

უდემში როგორი თავისუფლება იყო სახელის დარქმევისა. ეს იმაზეც შეიძლება მიგვითითებდეს, რომ ქრისტიანულ სახელთან ერთად ადამიანებს ერქვათ მეორე, მათთვის მოდური სახელები, რომლითაც დააფიქსირა ოჯახის უფროსები ოსმალ მოხელემ.

ახალგაზრდებში გავრცელებული სახელია გიორგის მოფერებითი ფორმა გოგია: გოგია მოლურავის ძე. მაზანა ბუდახას ძეს ჰყავს შვილი გოგია. ერთი გოგია არის სინანას ძე, ხოლო ერთის მამას შეეთვალა რქმევია (შდრ. მესხეთში გავრცელებული გვარი შეეთვალაძე და მისი თურქული კალკისაგან მომდინარე გვარი ყარაგევეზაშვილი). სინანას ისე ჰყვარებია ეს სახელი, რომ მეორე შვილისთვისაც გოგია დაურქმევია.

გოგია საერთოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში, რასაც ადასტურებს მისგან მიღებული გვარები: გოგიაშვილი, გოგიაშვილი, გოგიაძე, გოგიაძე.

მაშინდელ მესხეთში ასევე გავრცელებულია სახელი ბატატა. უდემში ცხოვრობენ: მანველ ტატიკის ძის ძმა ბატატა. კაკუნა ვართას ძეს ჰყავს შვილი ბატატა, იმპრან ჭანის ძეს ჰყავდა შვილი ბატატა. ჩვენთვის ნაცნობ როსაფის ძმას ზურაბს ჰყავდა შვილი ბატატა. ასევე კაკალას ჰყოლია შვილი ბატატა. ამ სახელიდან მიღებული გვაქვს გვარები: ბატატაშვილი, ბატატუნაშვილი, ბატაშვილი, ბატიაშვილი, სახელი უნდა დაეუკავშიროთ ფრინველის სახელს. ბატა შეერქმეოდა ადამიანს ისევე, როგორც წერო (შდრ. გვარი წეროძე) კაჭკაჭა (შდრ. გვარი კაჭკაჭაშვილი), ქორი (ქორიძე) და სხვა. ჩამოთვლილი გვარსახელები გვაძლევს საშუალებას, რომ ბატატა დაეწალოთ შემდეგნაირად: ბატ-ატ-ა. მასში გამოიყოფა კნინობითობის სუფიქსი -ატ ისევე, როგორც ბატიაში არის კნინობითობის სუფიქსი -ია. ასეთივე -ატ გამოიყოფა სხვა საკუთარ სახელებშიც. მაგალითად გიორგის კნინობითობის ფორმებია: გოგია, გოგა, გოგიტა, გოგატა და სხვა. მათში -ია, -ა, -იტ-ა, -ატ-ა დაბოლოებებია.

ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებად ახლო ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები: მამა, პაპა, ძმა, ბიძა და ა.შ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პაპა, რომლისგანაც სამი სუფიქსის დართვით სამი სხვადასხვა სახელი გვაქვს მიღებული. ფირალი უსარის ძეს ჰყავს შვილი პაპუნა, რომელიც გაფორმებულია -უნ-ა სუფიქსებით. პაპუნა

მთელ საქართველოში გავრცელებული სახელი იყო, რამაც მოგვცა გვარი პაპუნაშვილი. იყო მეორე პაპუნა, რომლის მამასაც ჯირო ვერქვა. როსტევეან ტატიკის ძეს ჰყავდა შვილი პაპუნა. ზუბელ კვინიკასძეს ჰყავდა ძმა პაპუნა. ერთისთვის დაურქმევიათ პაპუ, რომელიც ან პაპუნას შემოკლებული ვარიანტია, ან ცალკე სუფიქსია -უ ისევე, როგორც ბათუ, ბუღუ და სხვა სახელებში. ყანდუას კი თავისი სახელისათვის დაუმსგავსებია შვილის სახელი და მისთვის პაპუა დაურქმევია, ისევე როგორც მეორე ყანდუას ჰყოლია ძმა პაპუ.

არანაკლებ პოპულარულია მამასთან დაკავშირებული საკუთარი სახელი მამუკა. იგი გაფორმებულია -უკა სუფიქსებით. მიჰრანს შვილისთვის დაურქმევია მამუკა. მირაზისის შვილიშვილს ჰყოლია შვილი მამუკა. ასევე შაჰყულას, რომლის შვილის სახელიც ამოუკითხავია, ჰყავდა შვილიშვილი მამუკა. ამ საკუთარი სახელიდან მიღებულია მესხეთში გავრცელებული გვარი მამუკაშვილი. შესაძლებელია თვით უდემში არსებული გვარი მამუკაშვილი მოდიოდეს რომელიმე იმ მამუკათაგან, რომლებიც ჩვენ ჩამოვეთვალეთ.

საკუთარი სახელი მამუკა, რომელიც უდემში გვხვდება მე-16 საუკუნეში, საინტერესოა სხვა მხრივაც. როგორც ვნახეთ, ყველა მამუკას აღმოსავლური სახელის მქონე მამა ან პაპა ჰყავს, რაც უკვე აღად მიუთითებს იმაზე, რომ უდემში და მესხეთში, საერთოდ, სახელები ერქმეოდა მოდისა და გემოვნების მიხედვით და არა იმიტომ, რომ რომელიმე მიჰრანი, მირაზი ან შაჰყულა სპარსელები, არაბები ან თურქები იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავიანთ შვილებს არ დაარქმევდნენ მამუკას, მათთვის უცხო სახელს. ამის კარგი მაგალითია ის, რომ სპარსულ, არაბულ თუ თურქულ ანთროპონიმში პოპულარული არ არის სახელი მამუკა, ვერც იქნება, რადგან ქართული ანთროპონიმული ტერმინოლოგია და სტრუქტურა, სახელის დარქმევის დინამიკა, ისტორია განსხვავებულია და სპეციფიკურად ქართული.

ღმერთისადმი მიძღვნილი სახელის მატარებელ ერთ უდელს, რომელსაც უფლისა ერქვა, შვილისთვის დაურქმევია უდულა. უფლისა ცნობილი სახელია ქართულ ანთროპონიმში. მისგან მოდის გვარი უფლისაშვილი, მაგრამ ამ სახელის მატარებელმა კაცმა შვილს „მოდური“ აღმოსავლური სახელი დაარქვა, თუმცა ქართულ ენობრივ სტრუქ-

ტურაში მაინც მოაქცია და იგი გააფორმა - ანთროპომან-წარმოებლით. ახლო ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინია ბიძა, რომელსაც დართული აქვს კინობითობის მწარმოებელი -ინ-ა და ვლებულობთ საკუთარ სახელს - ბიძინა. ეს სახელი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული, დღესაც არქმევენ ბავშვებს. უდეში ცხოვრობდა ერთი ბიძინა, რომლის მამისა და პაპის სახელი ამოუკითხავია.

მცენარეთა სახელები შეიძლება შერქმეოდა ადამიანს. ამ სახელებიდან ჩვენამდე მოაღწია გეარებმა. მართალია, დღეს აღარავინ არქმევს ბავშვს მსხალას, მუხას და სხვა ამგვარ სახელებს, მაგრამ ამ სახელთაგან მიღებული გვარები გვაფიქრებინებს, რომ იყო დრო, როდესაც ასეთი ტიპის სახელები ერქმეოდა ადამიანებს. დღეს გავრცელებული გვარები: მსხალაია, მსხალაძე, მსხალია (სილაგაძე, თოთაძე, 1997:145) გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ მსხალა ადამიანის საკუთარი სახელი იყო. ასევე გვარების: მუხაშვილი, მუხაძე, მუხიაშვილის ამოსავალია საკუთარი სახელი მუხა, რომელიც გვარის დამდებს ერქვა.

უდეში გვყავდა ორი კაკალა, რომელთაგან ერთის მამის სახელი არ ვიცით, რადგან ამოუკითხავია, და მეორე იყო სარგიზის ძე. კაკალა საქართველოში გავრცელებული სახელი იყო. მისგან მიღებულია გვარები: კაკალაშვილი, კაკალაძე, კაკალია, კაკალიაშვილი. ერთს რუსული დაბოლოებით გადაუკეთებია კიდევ ეს გვარი და კაკალოვი უწერია (სილაგაძე, თოთაძე, 1997:102).

კაკალამ მოგვცა შემოკლებული ვარიანტი კაკა, რომელიც ფრიად გავრცელებული სახელით იყო იმდროინდელ მესხეთში, მაგრამ უდეში მხოლოდ ერთი კაკა ცხოვრობდა, ეს იყო ყანდუა ყარაოღლანის ძის ძმა კაკა. კაკა გეხედება საკუთარ სახელად უკვე „ტბეთის სულთა მატრიანეში“ (ენუქიძემ, 1977:296).

კაკა ადამიანის საკუთარ სახელად გეხედება ტოპონიმებში. ასპინძაში არის კაკაველი (მინდორი, მტკვრის მარცხენა ნაპირი მტკვარსა და ვარნეთს შორის); კაკაწყარო (წყარო, ნასოფლარ ღობიეთში, აფნიასა და გოგაშენში) კაკაური (ნავენახარი ხიზაბაურაში)(ბერიძე, 1992:66).

„კაკა საკუთარი სახელი უნდა იგულისხმებოდეს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ხიდის სახელწოდებაში - „კაკას კიდი“ (ბერიძე, 1992:66). „მოვიდა როსტომ კაკას კიდ-

სა ზედა ფერსათიდამ, და დადიანიცა მოსრულ იყო მუნ კაკას ჳიდსა“ (ვახუშტი, 1973:441); „გარდაელის აქედამ გზა კაკას ზიდზედ, ბაღდადს. ამ გზას ეწოდება, მთით, რკინის ჳუარი“ (ვახუშტი, 1973:664).

კაკა - უნა სუფიქსებითაც გვხვდება გაფორმებული. ორი კაკუნა ცხოვრობდა უდეში: ზერეკ მუქაფისძეს ჰყოლია ძმა კაკუნა და კაკუნა ვართიას ძე.

ტრადიციული ქრისტიანული სახელებიდან, რომლებიც ქართველ მეფეებსაც ერქვათ და, ბუნებრივია, მესხეთშიც იყო გავრცელებული, გვხვდება დავითი. ყუზან ასითასძეს ჰყავდა „დავით ძმა მისი“. დავითისგან გვაქვს მიღებული მისი კნინობითი ფორმა დათუნა, რომელიც ყუზანისძეა. ორი გიორგი იყო: ერთი - ზურაბის ძმა და მეორე - ბაქარ შაჰისძე. გიორგის მოფერებითი ფორმით მიღებულია უკვე ზემოთ დასახელებული რამდენიმე გოგინა და გოგინა, რომლის მამის სახელიც ამოუკითხავია.

მესხეთში ოდითგანვე გავრცელებული იყო სახელი მანველი, რომლისგანაც გვაქვს მიღებული გვარები: მანველიშვილი, მანველაშვილი, მანველიძე, მანუელიძე (მაისურაძე, 1990:101).

უდეში ცხოვრობდნენ მანველ ტატიკის ძე და მანველ შაჰმირიანისძე. ამირან ნუქაფისძეს შვილისთვის ძველებრავული სახელი მანასე დაურქმევია. მანასე „დავიწყებულს ან დამვიწყებელს ნიშნავს“ (ჭუმბურიძე, 2003:183). უღულა უფლისასძეს ძმა ჰყავს, რომელსაც ვასილი ჰქვია (ბერძნ.) „სამეფო“, „მეფისა“. მესხეთში ეს სახელი ძირითადად „ბასილის“ სახით გვხვდება დღევანდლამდე. თუმცა ბოლოს „ვასილმა“ გაიმარჯვა. ბასილისა და ვასილის ურთიერთობაზე ზ.ჭუმბურიძე წერს: „ამჟამად უფრო გავრცელებული ფორმა ამ სახელისა არის ვასილ. ბ და ვ ბგერები თვით ბერძნულშიც მონაცვლეობდა. ზოგმა ენამ (მათ შორის ქართულმა) ისესხა უფრო ადრინდელი ფორმა, სადაც ბ არის დაცული, ზოგ ენაში კი (მაგალითად, რუსულში) გადაიღეს ვინიანი ფორმა. ამიტომ გვაქვს ქართულში ბასილი (ისევე როგორც ბესარიონ, ბიქტორ, იობ, საბა და ა.შ.), რუსულში კი ვასილი (ისევე როგორც ვისარიონ, ვიქტორი, იოვ, სავა). ამჟამად გვაქვს პარალელური ფორმები: ბასილ და ვასილ, ბიქტორ და ვიქტორ. უფრო ძველი ბასილისაგან მიღებულია გვარები: ბასილაძე, ბასილაშვილი, ბასილია. ვასილისაგან კი ქართუ

ლი გვარი არ იწარმოება” (ჭუმბურიძე, 2002:133). როგორც უდემში მცხოვრები ვასილის მაგალითი გვიჩვენებს, ვასილი-სა და ბასილის ბრძოლა მესხეთში ადრევე დაწყებულია და იგი ერთ-ერთი ყველაზე ძველი „ვასილია“.

ბერძნული, თურქული, ებრაული, არაბული, სპარსული სახელების გვერდით შემოსულია სომხური სახელები: ტერაკოფი არის აზარიასძე. ასვატურ აღდარისძეს ჰყავს ძმა ხაჩატური, ხოლო ტერაკოფის ძმა არის ანანია, გავრცელებული სახელი როგორც სომხურ ანთროპონიმიაში, ისე - ქართულში. ორივე ენაში არის ამ სახელისაგან მიღებული გვარები ანანიაშვილი, ანანიძე და ანანიანი. ანანია ბერძნული სახელია და ნიშნავს „მადლი უფლისა“, „შემწეობა უფლისა“ (ჭუმბურიძე, 2003:125). იყო სხვა ანანიაც. გრიგოლ ზატიკას ძეს ჰყავდა შვილი აზარა და ძმა ანანია.

ანანია გავრცელებული სახელი იყო ქართულ საეკლესიო მწერლობაში. „ანანიას, აზარიას და მიხაელის შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულება ნათარგმნია IX საუკუნეში სეითის მიერ“ (ს.მ.ე.ე.ლ. 2007:61). ანანია იყო XV საუკუნის ქართველი მხატვარი, მინიატურისტი, ცხოვრობდა სამცხის ათაბაგის კარზე. ერთმა ქართულმა ხელნაწერმა შემოგვინახა მისი ორი მინიატურა. XII საუკუნის ხელნაწერით შემორჩენილია ანანია მოციქულის წამების მეტაფრასტული რედაქციის თარგმანი ბერძნულიდან. 1411 წლის ერთ სიგელში, რომელიც ნასყიდობის წიგნია, მოწმედ დასახელებულია მღვდელმონაზონი კავთელი ანანია (ს.მ.ე.ე.ლ., 2007:61). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ანანია სხვაგანაც გვხვდება, ასე რომ, ეს სახელი პოპულარული ჩანს მესხეთში და საერთოდ საქართველოში.

ბერძნული სახელია ილარიონი, რომელიც „მხიარულს“ ნიშნავს. „ამ სახელით ცნობილია არაერთი საეკლესიო მოღვაწე და წმინდანი, მათ შორის ილარიონ ქართველი, საკვირველმოქმედი, რომლის სახელსაც უკავშირდება ორი ქართული მონასტრის დაარსება ბიზანტიაში (IX ს.). ილარიონი (ყოველგვარი აფიქსის დაურთველად) გვარიც არის. საისტორიო წყაროებში გვხვდება აგრეთვე გვარი ილარიონისშვილი/ილარიონაშვილი (XIV ს.) ამჟამად – ილარიშვილი (ჭუმბურიძე, 2003:167).

ილარიონი იყო IX საუკუნის მიწურულისა და X საუკუნის დამდეგის ქართველი განდევნილი (პარეხელი). გიორგი

მერჩულე მას იხსენიებს, როგორც კარგ მწერალს. ასევე გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთი მოწაფე იყო ილარიონი, რომელმაც ააშენა IX ს-ში უბისის მონასტერი და იყო მისი წინამძღვარი (ს.მ.ე.ელ., 2007:397).

საქართველოში გაერცელებული სახელი იყო და არის ილარიონი. ერთ-ერთი ოჯახის უფროსი უდემი იყო ილარიონ დეკანოზის ძე, რომელსაც ჰყავდა შვილი ზაქარა. ზაქარა არის ზაქარიას შემოკლებული ვარიანტი. ზაქარია კი ძე. ებრაული სახელია და ნიშნავს „ღვთის მიერ დაუეიწყარს“ (ჭუმბურიძე, 2003:158) განსაკუთრებით პოპულარული იყო და არის ზაქარია (ზაქარა) საქართველოში, რაზეც მიგვანიშნებს გვარები: ზაქარიძე, ზაქარიაშვილი, ზაქარაძე, ზაქარაშვილი, ზაქრადე, ზაქარეიშვილი, ზაქარაია, ზაქარია, ზაქროშვილი, ზაქუტაშვილი, ზარქუა (ზაქრუა), ზაქარაძე (ჭუმბურიძე, 2003:158).

ილარიონის მამის სახელი დეკანოზი ან თანამდებობაა (მთავარი მღვდელი ეკლესიაში), ან – სახელია. ნებისმიერ შემთხვევაში ამ ბერძნული სიტყვიდანაა მიღებული გვარი დეკანოზიშვილი და დეკანოსიძე.

კიდევ ერთი წმინდანის სახელზე უნდა შევსურდეთ. ეს არის მატათა, მატათია, რომელიც იყო წმ. მოციქული, ერთ-ერთი „თორმეტთავანი“. საეკლესიო და საისტორიო ტრადიციით მატათამ იქადაგა საქართველოში, იმოგზაურა ანდრია მოციქულთან ერთად. ზოგი ვერსიით, აღესრულა კოლხეთში.

უდემი უცხოურია ორ მათათას. ეფიქრობთ, მათი სახელის ამოსავალი ფორმა არის მატათა. მომდევნო თ-ს გავლენით მოხდა ყრუ მკვეთარი ბგერის გაფშვინიერება. ერთი მათათა იმდენად ცნობილი პიროვნება ყოფილა უდემი, რომ მის შვილიშვილს მხოლოდ შვილიშვილობით მოიხსენიებენ და საკუთარი სახელით არა. მეორე მათათას ჰყოლია შვილი ნურაზიზი.

ქართული ანთროპონიმის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია უდის საკუთარი სახელები. უმრავლესობა ამ სახელებისა სათავეს უდებს ქართულ გვარებს. ეს გვარები დღეს მთელ საქართველოშია მიმოფანტული.

ქრისტიანული, მუსლიმური, წარმართული სახელები შემოდიოდა ენაში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაკუთრებით აისახა მის ანთროპონიმიაში, რაც კო-

დევ ერთხელ კარგად ჩანს უღის მაგალითზე. ქართველი კაცი დანარჩენ მსოფლიოსთან თავის დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს ონომასტიკური არსენალით, ამიტომ საინტერესოდ გვეჩვენება იმ სახელების ჩამოთვლა, რომელთაც შესაბამისი გვარები მოგვცეს ქართულ სინამდვილეში.

აზარა - აზარაშვილი, აზარიაშვილი; ალაღანი - ალაღაშვილი, ალაღოშვილი; ამირან - ამირანაშვილი; ამონ - ამონიშვილი, ამონაშვილი; ანანა - ანანანიაშვილი, ანანიძე; ანტონ - ანტონაშვილი; აღდგომელ - აღდგომელაშვილი, აღდგომელაძე; ბაინდურ - ბაინდურაშვილი, ბაინდურაძე; ბარათა - ბარათაშვილი; ბატატა - ბატუტაშვილი, ბატატუნაშვილი; ბენა - ბენაშვილი, ბენია, ბენიაძე; ბიძინა - ბიძინაშვილი; ბუდახა - ბუდაღაშვილი; გელაზარ - გელაზარაშვილი; გიორგი - გიორგიშვილი, გიორგიძე; გრიგოლ - გრიგოლაშვილი, გრიგოლია; გოგინა - გოგინაშვილი, გოგინაძე; გოგინა - გოგინაიშვილი, გოგინაშვილი; გულაბა - გულაბაშვილი, გულბანი; დავით - დავითაშვილი, დავითაია, დავითაძე; დათუნა - დათუნაშვილი; დეკანოზი - დეკანოზიშვილი, დეკანოზიძე; დემეტრე - დემეტრაშვილი, დემეტრაძე; ელია - ელიაშვილი, ელიავა; ვარძელი - ვარძელაშვილი, ვარძელიშვილი; ვასილ - ბასილაშვილი, ბასილია; ზაქარა - ზაქარიძე, ზაქარეიშვილი, ზაქარაია; ზერეკ - ზერეკიძე; ზოსიმე - ზოსიძე, ზოსიშვილი; ზოტიკი - ზოტიკაშვილი; ზუბელ - ზუბალაშვილი, ზუბელაშვილი; ზურაბ - ზურაბიშვილი, ზურაბაშვილი; იაკობ - იაკობიძე, იაკობაშვილი; ილარიონი - ილაშვილი, ილარიონი (გვარი), ილარიშვილი; კაკა - კაკიაშვილი, კაკაშვილი; კაკალა - კაკალაშვილი, კაკულია; კაკუნა - კაკონაშვილი, კაკოშაძე; კვინიკა - კვინიკაძე; მაზანა - მაზანაშვილი, მაზანიშვილი, მაზაშვილი; მამუკა - მამუკაძე, მამუკაშვილი; მანველ - მანველიშვილი, მანველაშვილი; მანასე - მანასაშვილი, მანასეშვილი; მასურ - მასურაშვილი, მასურაძე; მიჰრან - მირიანაშვილი; მურად - მურადაშვილი; მურვან - მურვანიშვილი, მურვანიძე; მღვდელი - მღვდელიძე, მღვდელაძე; ნათენა - ნათენაძე, ნათენაშვილი; ოთარა - ოთარაშვილი; პაპუ - პაპუნაშვილი; პაპუნა - პაპუნაშვილი, პაპიძე, პაპუკაშვილი; როსტეგან - როსტეგანიშვილი; საგინა - საგინაძე, საგინაშვილი; სიმონ - სიმონაშვილი, სიმონია; სინანა - სინატაშვილი, სინაძე; ტატიკ - ტატიკაშვილი, ტატიკაძე; უფლისა - უფლისაშვილი; ფირა-

ლი - ფირალიშვილი, ფირალაშვილი; ქიტესა - ქიტესაშვილი; ქრისტესა - ქრისტესაშვილი, ქრისტესიშვილი; ღარიბა - ღარიბაშვილი, ღარიბაძე; ყაზა - ყაზაშვილი; ყაღუა - ყაღიძე; ყანდუა - ყანდუაშვილი; ყარა - ყარაშვილი, ყარაძე; შავთვალა - შავთვალაძე; შაჰყულა - შაყულაშვილი; შერგელ - შერგილაშვილი; ჭანი - ჭანიშვილი, ჭანიძე; ხახუტა - ხახუტაშვილი, ხახუტაძე; ხოჯა - ხოჯაევა, ხოჯაშვილი.

ნაწილი სახელებისა ისეთია, რომელთაც შეიძლება არ აღმოაჩნდეთ შესაბამისი ქართული გვარები, ან ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით არ იძენება, რაც განპირობებულია ან შესაძარბეელი მასალის სიმცირით, ან იმით, რომ ეს სახელები ძირითადად აღმოსავლურ-მაჰმადიანურ სამყაროდან არის და ისინი გარკვეული პერიოდის შემდეგ გადის მოდიდან, ამიტომ თუ მანამდე ვერ შექმნეს გვარები, შემდეგ უკვე აღარ არქმევენ მათ ბავშვებს, რომ მათგან შეიქმნას გვარები. ეს სახელებია: როსაფ, უსარ, ყუბად, იონა, მირარსლან, გრამტან, ბადირხან, იმარინდო, დოვლათიარ, ასითა, მიქერდერ, ყუზან, ვართია, მასურ, საღა, ნუქაფ, ასვატურ, საფი (საბა?), იოსაფ, ყარაოღლან, შირინ, ბადუჩა, ყალამი, ნარინბეგ, ალლამ, ისქენდერ, უღულა, ბაქარშაჰი, შაჰმირანი, ტერაკოფ, მოღურაფი, ბუდახა, ნურაზიზ, მათათა, იოსიტა, ნურაფ, ემანეთი, მირაზიზ, შაჰყუბად, აღდარ, ხაჩატურ, სარგიზ, ატოლი, სატალა.

ჩამოთვლილთაგან იონა, რომელიც ძე ბერძნული სიტყვიდან მოდის და „მტრედს“ ნიშნავს, ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელია, სახარების უძველეს, ხანმეტ ძეგლებში გვხვდება. გვარი იონაშვილი გვქონდა და დღეს აღარ დასტურდება (ჭუმბურიძე, 2003:169).

იონა ერქვა გადამწერს, რომელიც მოხსენებულია იერუსალიმის ერთი ხელნაწერის XI საუკუნის ანდერძში (ს.მ.ე.ელ., 2007:424). მას შემდეგ ბევრი იონა იყო, მათ შორის იონა ხელაშვილი (1775-1838), ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

გრამტონი გრამიტონიდან მიღებული სახელი უნდა იყოს, რომელიც გაერცვლებულია დასავლეთ საქართველოში. მისგან გვარი არ ჩამოყალიბებულა.

მასურ - თუ მაისურის (ეს სახელი „დაეთარში“ ბევრ სოფელში გვხვდება) შემოკლებული ვარიანტი არ არის, შეიძლება მისგან იყოს მიღებული დისიმილაციით გვარი ლა-

სურაშვილი. მასურ და მასურა სახელებად სხვაგანაც გვხვდება (ღლონტი, 1984:158).

სავი შეიძლება საბიას („სავია“) შემოკლებული ფორმა იყოს, თუ, რა თქმა უნდა, არ არის დამოუკიდებელი სახელი. ბ-სა და ე-ს მონაცვლეობის შესახებ ვისაუბრეთ ვასილთან დაკავშირებით და რადგან ვინ-იანი ფორმა ვასილი დასტურდება უდებლებში, შეიძლება ეს სახელიც ვინ-იანი საბა იყოს. ბადურა ბადურის მოფერებითი ფორმა უნდა იყოს. ბადური თურქულად „გმირს“, „გოლიათს“, „მამაცს“ ნიშნავს. წარმოშობით მონღოლური სიტყვაა. თურქულში იგი ბადაურის სახით გვაქვს. მისგან არის ქართული გვარები ბადურაშვილი და ბადათურია მიღებული (ჭუმბურიძე, 2003:129). ბადური ქართულში გვაქვს ბადურის სახით (შდრ. ბადურაშვილი). ბადურის მოფერებითი ფორმაა ბადურა, რომელმაც არ შექმნა გვარი, ან ჩვენ ვერ მოვიძიეთ.

ასევე კნინობითი ფორმაა იოსიტა სახელ იოსებისა. ძვ. ებრაული სიტყვა იოსები („გამარჯვება“, „მატება“) ბიბლიური იაკობის ვაჟის სახელია. სახარებაში იგი გვხვდება იოსეფის ფორმით. მისგან არის მიღებული კნინობითი ფორმები: სოსო, სოსია, სოსოია, სოსიკო, ოსიკო, რომელთაგან ბევრი ქართული გვარია მიღებული: იოსებაშვილი, იოსებიძე, იოსებაძე, იოსეფაშვილი, ოსეფაიშვილი, ოსიპაშვილი და სხვა (ჭუმბურიძე, 2003:169). იოსიტაც ისევე, როგორც სხვა კნინობითი ფორმები, ჩამოთვლილთა გარდა, იოსია, ოსეფა, ოსიკა, იოსებიდან მოდის, მაგრამ გვარს არ ქმნის.

მართალია, ჩამოთვლილი სახელები გვარებს არ ქმნიან, მაგრამ ქართულ საისტორიო წყაროებში ბევრი მათგანი, როგორც სახელი, გვხვდება. მაგ.: როსაბ, რომელსაც ვარიანტად აქვს როსაფ (ღლონტი, 1986:182) უდელ იმარინდოს, რომლის მოსახელებმა გვარს ვერ დაუდეს სათავე, ისტორიული საბუთების მიხედვით ჰყავს როგორც სეხნია იმარინდო, ასევე მისი ფონეტიკური ვარიანტით მიღებული სახელების მქონე ადამიანები: იმარანდო, იმარანდუ, იმარდონ (ღლონტი, 1984:135). ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება სახელი ასიტა, რომელიც, ვფიქრობ, ასევე ასითა უნდა იყოს (ღლონტი, 1984:76).

უდელში დადასტურებული სახელი სალა შეიძლება სალარას შემოკლებული ვარიანტიცაა. ეს ფორმა კი სათავეს უდებს გვარებს: სალარაძე, სალარაშვილი, სალარეიშვილი და

დასტურდება ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში (ლლონტი, 1986:185), სახელმწიფო არქივში დადასტურებული ფორმა ნუქიფი და უდელი ნუქაფი ერთი სახელისანი ჩანან (ლლონტი, 1986:172), ასევე გეხედება ისტორიულ საბუთებში ნურალი (ლლონტი, 1986:172) და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ამგვარად, მე-16 საუკუნის უდეში მცხოვრებთა ანთროპონიმია ქართულია. თავისი სტრუქტურითა და სემანტიკით ბევრი სახელი, რომელიც შემოსულია მესხურ დიალექტში და სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა აქვს, მოდურია მაშინდელ მცხოვრებთა შორის. ქართულს გარდა აღმოსავლური და ქრისტიანული სახელები გავრცელებული იყო დანარჩენ საქართველოშიც, რასაც ადასტურებს ამ სახელთაგან ქართული გვარების შექმნა.

სუბსტრატისათვის სოფელ ანდის ონომასტიკაში

ანდის ონომასტიკაში გეხედება თურქული ან თურქეთის გზით შემოსული ლექსიკა. მესხეთის არაერთ სოფელში გვაქვს მინდორის სახელად ჩაირი. ანდის სარიჩაირი გეხედება მრავლობითშიც – სარიჩაირები (სათიბი, მთად აღიორდენ ანდელეები) Sarı çayır სიტყვა-სიტყვით ყვითელ სათიბს, მინდორს ნიშნავს. მართლაც სარიჩაირში ბალახია ერთგვარი, კნდრას ეძახიან, დაბალი, ბუჩქივით ბალახია. „რაც უფრო კარგი გალესილი ცელი იყოს, არ ჭრის, ცურავს ზედ ცელი. ბალახი მოთეთროა, „სარია“ ფერის“.

„სარია“ „რიუა“ კაცსაც შეიძლება შეერქვას მეტსახელად და ჰქვიათ კიდევ. ჩაირი ძირითადად ტოპონიმია შემორჩა, აპელატივად მინდორი, სათიბი, ჭალა, იხმარება.

მაჟღა თურქულში მრავალი მნიშვნელობის მატარებელია: „საზაფხულო საძოვარი, იალადი, საზაფხულო საძოვარი მთაში, ზაფხულობით მთაში მოსახლეობის დასასვენებელი ადგილი“ და სხვა (ბერიძე..., 1998:124).

ძველმაჟღების თავები გორის სახელია. ცალკე ძველმაჟღა საზაფხულო საძოვარი.

გამოთქმულია მოსასრება, რომ ძაღლა შემოსულა ქართულ ენის მესხურ და აჭარულ დიალექტებში უშუალო ენობრივი კონტაქტების გზით, ამ კონტაქტების გაწყვეტის შემდეგ საბოლოოდ დიალექტმაც დაკარგეს ეს სიტყვა. შემოგერნა ტოპონიმიაში“ (ბერიძე..., 1998:125).

კომპოზიტიური სახელი ორენოვნების ნიმუშია, რომელსაც — ებ მრავლობითობის ნიშანი აქვს დართული.

ასეთივე ქართულ-თურქული კომპოზიტია ბურუნიყანა, რომლის შესახებ ინფორმატორისაგან გვაქვს ჩაწერილი: „ხუთგეპტრიანი ყანაა, ზეგანი ადგილია, ამობურცული გორა, ნასაფლავები ეტყობა, შუა ყანაში ამოდის ძელები“. ხარუი ცხვირს, წვერს ჰქვია თურქულად. ცნობილი ფაქტია, ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები მეტაფორულ-გეოგრაფიულ ტერმინად იქცევა ხოლმე და მას ანატომიურ ლექსიკას უწოდებენ. მართლაც საქართველოში ცნობილია ასეთი ტოპონიმები: ყელი, გვერდობი, მუხლა, ცხვირა, ზურგიანები და სხვა (ცხადაია, 1988:16). თურქული ხარუი- მართული მსაზღვრელია და ტოპონიმი ნიშნავს „ცხვირის“ ყანას.

ანდის ჩრდილოეთით ბორჯომის ღელესა და არჯულის ღელეს შუა არის ჭოჭი ბახჩები. ხარობს ძველი ხილი, ჭანჭური, პანტები. წყალი გამოდის, წყლიანი, ჭაობიანი ადგილია. იქვე გამომდინარე წყაროს ჭოჭიბახჩებიწყარო\| ჭოჭიბახჩებიწყალი ჰქვია.

აქაც ქართულ-თურქული კომპოზიტი გვაქვს. ჭოჭი მესხურში არის „დაქცეული და დატბორილი წყალი. სარწყავი წყალი მინდორში რომ დაიფანტება, ის აჩენს ჭოჭებს“ (ღლონტი, 1984:729).

ბახჩა (ბახჩე) (bahçe) სპარსულია და ბოსტანს ნიშნავს. შესულია თურქულში ისეთი ბაღის მნიშვნელობით, რომელსაც ბოსტანიც აქვს. ასევეა ანდასა და საერთოდ მესხეთში.

ასევე თავს იჩენს თურქული ლექსიკა მეტსახელებში, ზოგიერთ მათგანში მთელი ენობრივი კონტაქტებია ასახული. ინფორმატორის ცნობა ასეთია: „მამაჩემი შარვლის ცალ ტოტს თუ ჩაიკეცემდა, ცალს ამოშლილს ატარებდა, ამიტომ ფაჩალიას, ფაჩოს, ეძახიან მე კი ფაჩოეჩის მეძახიან“

თურქული ლექსიკონების მიხედვით ფაჩა paça სპარსულიდან არის თურქულში შესული და შარვლის ტოტს ჰქვია.

ასევე შემოვიდა ან სპარსულიდან პირდაპირ ან, უფრო სავარაუდოა, თურქულის გზით, ქართულში.

ქართულში შემოსული სიტყვა თავისი წარმოების ყალიბში ჩასვა და ერთ შემთხვევაში – ალ-ა სუფიქსებით აწარმოა, ხოლო მეორედ წოდებით ბრუნვის ნიშანი -ო მიერთა ფუძეს და ორმაგი ბრუნებით აბრუნა. ამასობაში ქართული ენის კონტაქტები რუსულთან გაძლიერდა, ამიტომ რუსული მამისსახელობის აღმნიშვნელი სუფიქსები – -ом-и-а გამოიყენა – ასე მივიღეთ მეტსახელი ფაჩოვიჩი.

ერთ ქალს სოფელში იოღჩია ქალს ეძახიან, თან გარმარტავენ: „მგზავრი ქალი, მოსიარულე, მოხეტიალე ქალი“. თურქულში ლიტერატურული *yolcu* დიალექტებში გვაძლევს *yolcu* და აღნიშნავს მგზავრს (თურქულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 1495)

ჯამშუა ქალის შესახებ ჩაიწერეთ: „ღონიერი ქალი ყოფილა, ღონიერი კამეჩი წაუქცევია მაგ ქალსა. სამ-ოთხ კმას, სანამ რძლად მიუყვანიათ, სამი-ოთხი ცხენი გამოუცვლიათ გზაში. ჯამშუა ქალის ქმარიც ჯანიანი კაცი ყოფილა, ზეთის სახდელი დაუტრიალებია“

cumus//camuş თურქულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით არაბულიდან არის შესული თურქულში. არსებობს *cumus* ფორმაც. კამეჩს თურქულში *manda*-ც ჰქვია. (*Örnekleriyle Türkçe Sözlük* 1 cilt MEB Yay. 1995:419) ეს სიტყვა დიალექტში შეიძლება შემოსულიყო თურქულიდან ან არაბულიდანაც.

მესხეთში გავრცელებული გვარია შაყულაშვილი\შაყულაშვილი, რომელიც, საკუთარ სახელ შაყულადან მოდის. ეს უკანასკნელი კომპოზიტიური სახელია და შაჰის მონასნიშნავს (ჭუმბურიძე, 2003:80) შაყულაშვილს მეტსახელად შაყულა ქალი დაარქვეს ანდაში.

ხელობის აღმნიშვნელი სახელები ბევრ ენაში შეიძლება შეგვხვდეს. ერთ ქალს ყაზანჯი ქალი ჰქვია მეტსახელად. იქვე განმარტავენ: „მექვების ქალი, ე.ი. ვიღაც ჰყოლია ყაზანჯი (მექვაბე). *Kazan*-დიდი ქვაბია თურქულად –ჯი ხელობის აღმნიშვნელი სუფიქსია. მექვაბეობა ხელობა იყო (შდრ მექვაბიშვილი). (თურქულ-ქართული ლექსიკონი, 2001:812)

სპილენძის დიდ ქვაბს თუ მექვაბე აკეთებდა, მკალავი სხვა იყო. ამიტომ ერთ კაცს კალაიჯი დაარქვეს მეტსახელად, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მას არავითარი კავ-

შირი მექვაბუობასთან არ ჰქონდა. კალაიჯი (მკალაეი). ადრე, როდესაც ინტენსიური ურთიერთობა ქალაქთან არ იყო, სოფელში სპილენძის ქვაბის მკალაეები დადიოდნენ, პერიოდულად ცხოვრობდნენ და ქვაბებს კალაედნენ. ერთ ასეთ მკალაეს უცხოვრია იმ კაცის სახელში, ვისაც კალაიჯი დაარქვეს შემდეგ. რაღაცით მიამსგავსეს და მაჰმადიანური სახელი მუსა შეარქვეს ერთ კაცს. მოსე თურქულში არაბულის გზით არის მუსად შესული (თურქულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 2001:1014).

ბილინგვიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს მეტსახელს ზაურგურჯი, არც მისი ქართველობის გაჩოა სახელი შერქმეული. ზაურმა უწმაწური ლექსები (შაირები) იცოდა და იეთიმ-გურჯის ანალოგიით ზაურგურჯი შეარქვეს.

თურქულენოვანია ბევრი ზოონიმი. გშიშჯ დიალექტში გეხედება გვშიშჯ ფორმითაც და ვერცხლს ნიშნავს. გვიშიში ვერცხლისფერი ძაღლის სახელია.

დეგვიში – „მოჩხუბარი ძაღლია მეცხვარისა“. Döğmek, dövmeek თანამედროვე თურქულ ლიტერატურულ ენაში, ხოლო düğmek დიალექტური, ცემა ზმნიდან მიღებული ჯარტყმაა, ხოლო ლ სუფიქსის დართვით ის სახელად იქცა და დეგვიშას სახელით დაერქვა ძაღლს ანდაში.

საჩლია – სიტყვასიტყვით გრძელბეწვას ნიშნავს და ასეთ ძაღლებს არქმევენ.

ტოპონიმიში თუ სარიჩარი გვაქვს, მეცხვარის ქერა ძაღლს სარიჩი დაარქვეს, ასევე ეძახიან ძროხასაც.

Karagöz – შავ, ლამაზ თვალს ნიშნავს, ხოლო შავთვალეებიან ძროხას ჰქვია ყარაგვეზი. ოქროსფერ ხარს ალთუნას არქმევენ. Alın თანამედროვე თურქულ ენაში – ოქროს ნიშნავს (თურქულ-ქართული ლექსიკონი, 2001:786,56).

თეთრთავიან ნიკორა ძროხას ან ხარს ალბაში ჰქვია. Akbaşlı ლიტ.) – თეთრი თავია თურქულად.

ანდის თურქულენოვანი სახელების შესახებ რაც ითქმის, შეიძლება, განზოგადდეს მესხეთში დადასტურებულ სხვა თურქულენოვან ონიმებზე.

მოყვანილი მაგალითები არის სესხება, სუბსტრატი თუ სუპერსტრატი? იგულისხმება, რა თქმა უნდა, ენობრივი დონე, რომელიც ფიქსირდება ტოპონიმიში. ტოპონიმთა სესხე-

ბის ახსნა ძნელია. შეუძლებელია ისეხოს ენამ ადგილი თა-
ვისი სახელით.

მესხეთის ისტორია ამ მხრივ არის გამორჩეული. საუკუ-
ნეების განმავლობაში ოსმალეთის ადმინისტრაციულმა ბა-
ტონობამ გამოიწვია ენობრივი ბატონობა, ოღონდ გამოყენე-
ბული იქნა ადგილობრივი ქართული ადამიანური რესურსი.
კერძოდ, ოსმალეთის ადმინისტრაცია, რომელიც ძირითადად
რუსეგატი ქართველებით იყო წარმოდგენილი. ახორციელებ-
და საკუთარი ხალხის ასიმილაციას. ოსმალური მმართვე-
ლობისათვის დამახასიათებელია „გათათრების“ ორიგინალუ-
რი გზა, რაც მდგომარეობდა სარწმუნოების შეცვლაში, სა-
ხელის შეცვლაში და რამდენიმე თაობაში თურქული ენის
დამკვიდრებაში. სარწმუნოების შეცვლის შედეგად პრივილი-
გირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ადგილობრივი მო-
სახლე, რადგან ის არ გადაიხდიდა გადასახადს. ამასთანავე
უნდა შეეცვალა სახელი და არა გვარი, რადგან გვარის გან-
სხვავებული სისტემა, რომელიც მამისსახელობაზე იყო დამ-
ყარებული, შედეგს არ იძლეოდა, თუ მამის სახელი ქართუ-
ლი დარჩებოდა და ა. შ.

ამგვარად, პროცესი ხანგრძლივი იყო. ტოპონიმია უკვე
არსებობდა, ამიტომ გამაჰმადიანებული „გათათრებული“ მეს-
ხი ენას დაკარგავდა თუ არა, მაინც ქართულენოვან ტოპო-
ნიმიას მოიხმარდა. ასეთ შემთხვევაში ქართული ტოპონიმე-
ბი გამოდიოდა სუბსტრატად. ენადაკარგული ქართული
თურქულად მეტყველებდა, ხოლო მისი სოფლის თუ სამცხე-
ჯავახეთის ტერიტორიაზე, როგორც ოიკონიმები. ისე მიკრო-
ტოპონიმია იყო ქართული და იყო სუბსტრატი. ქართული
ენის სუბსტრატი იყო მაჰმადიან მესხთა მეტყველებაში. ეს
იყო საბოლოო შედეგი. ასე მოხდა რიგ სოფლებში მესხეთ-
ში. ამ შემთხვევაში სხვაგვარად უნდა განვიხილოთ იმ სო-
ფელთა ტოპონიმია, სადაც ქურთები და თარაქმები ცხოვრობ-
დნენ. მათი მიკროტოპონიმია და, რიგ შემთხვევაში, სოფელთა
სახელებიც (მოიდოლლი, თაზაქვევი, ბაზირხანა, და სხვა),
თურქული იყო.

ამგვარად უნდა იყოს განხილული დღევანდელი თურქე-
თის იმ სოფელთა ყოფილი (რადგან მათ ადმინისტრაციუ-
ლად შეეცვალათ სახელები) სახელები და ქართული მიკრო-
ტოპონიმია, რომელიც არტაანის, კოლის, ერუშეთის და ზო-
გიერთ სხვა პროვინციებში მოიძებნება. მათ დიალექტშიც

საკმაოდ არის ქართული ენის ფენა და რა თქმა უნდა, ისიც ჩაითვლება სუბტრაქტად, ოღონდ განსხვავებულად უნდა მივეუდგეთ ანდის და მის მაგვარ სოფელთა მიკროტოპონიმებს. აქ მოვლენები განვითარდა შემდეგნაირად: საუკუნეების განმავლობაში ქართველთა ფიზიკური და კულტურული ასიმილაცია ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო. გარკვეულ ეტაპზე, ვიდრე თურქული ენა გაიმარჯვებდა, არსებობდა ბილინგვიზმი. ადგილობრივი „გათათრებული“ ქართველი მოიხმარდა საკუთარ მშობლიურ ენასაც და მაასიმილურებელ თურქულსაც. ასე იქმნებოდა შერეული, ორენოვანი ტოპონიმები: ბურუნყანა, ძველააღლა და სხვა

ენათა ინტერფერენციის შედეგად შექმნილი ტოპონიმების საბოლოო რეზულტატი უნდა ყოფილიყო ქართული ტოპონიმის სუბტრაქტულობა, მაგრამ მაჰმადიანი ქართველები მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, 1944 წელს, გაასახლეს რეგიონიდან, ანდაში თურქულენოვანი ქართველების ადგილი დაიკავეს მეზობელი სოფლებიდან გადმოსულმა ქრისტიანებმა და მოხდა ქართული ენისა და ქართული ტოპონიმის გაქტიურება, რამაც საწინააღმდეგო სიტუაციაში ჩააგდო სუპერსტრატული თურქული ენა და იგი იქცა სუპერსტრატად ქართულენოვანი ქართველებისათვის, შესაბამისი ბედი ეწია ტოპონიმისაც, ოღონდ თურქულენოვანი ტოპონიმები განხილული უნდა იქნეს არა როგორც თურქული სუბსტრატი საქართველოში, არამედ ქართველთათვის თავსმოხვეული თურქულენოვანი სუბსტრატი.

კორ- ფუძიანი საკუთარი სახელები

ნაგენეტივარი სახელების შესახებ აკაკი შანიძე წერს: „გენეტიური სახელებისგან უნდა გარჩეულ იქნეს ნაგენეტივარი სახელები. გენეტიურია სახელი, რომელსაც გენეტივის გაგებაც აქვს, მაგრამ ამასთანავე ერთად სხვა ბრუნვის ფორმებსაც გვინევენებს.... ხოლო ნაგენეტივარია სახელი, რომლის ფუძე მარტო წარმოშობით არის გენეტივი (ნათ. ბრუნვა), მაგრამ გენეტივის გაგება აღარა აქვს. ასეთია მრავალი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც ბოლოში –ის მოუდის: თბილ-ის-ი, ქუთა-ის-ი, მანგლ-ის-ი, შინდ-ის-ი, რუ-ის-ი,

ურბნ-ის-ი და სხვ. ასეთივეა –თა-ზე გათავებული სოფლის სახელები: ჩხიკე-თა, ცაბაურ-თა, მოწამე-თა და მისთ (შანიძე, 1973:114)“.

ჩამოთვლილთაგან ყველა თანხმომეწიანე სახელია. მესხურში (სამცხური, ჯავახური) გენეტიური სახელები გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს მოიხსენიებენ მამის სახელობით, ოღონდ -ძე-ს გარეშე. პეტრე პავლესი (იგულისხმება პავლეს ძე), გიორგი დაეითისა (დაეითის ძე) და სხვა. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც არაოფიციალური სია დგება. როდესაც ერთი პიროვნების მრავალ შთამომავალზე ელაპარაკობთ, მაშინ საქმე სხვაგვარად არის.

მე-16 საუკუნის ერთ ოსმალურ „დაეთარში“ დასტურდება დღევანდელი არტაანის მოდამოებში სოფლები; ვარდოსანი და ბურდოსანი, რომლებშიც გამოყოფილია საკუთარი სახელები ვარდო და ბურდო (ბერიძე, 2001:154). ასევე გამოიყოფა ადამიანის საკუთარი სახელი ქურდოსანში (მთისა და ნასოფლარის სახელია ხალციხის რაიონში). ასეთივე წარმოებისაა ადგილის სახელი კოროსანაი, რომელიც მინდორს ჰქვია ასპინძის რაიონში. მასში გამოიყოფა საკუთარი სახელი კორო, რომელიც მეტსახელად გვხვდება სამცხე-ჯავახეთში. ამ უკანასკნელში გამოიყოფა კორ- ფუძე და -ო მაწარმოებელი, ეს ფუძე შეიძლება -ა სუფიქსითაც შეგვხვდეს გვარში კორაშვილი. კორ- -ია და -ე მაწარმოებლებით და დასტურებული აქვს აღ. ღლონტს (ღლონტი, 1986:147). ისევე, როგორც წინა ჩამოთვლილ ტოპონიმებში, კორ-ო-ს-ა-ნ-არის ამოსავალი სახელი, რომელიც შემდეგ გაფორმდა -ა მატოპონიმებელი სუფიქსითა და მესხურისათვის დამახასიათებელი სახელობითი ბრუნვის ნიშნით ხმოვანფუძიან სახელებთან.

კორ- ფუძე კიდევ ერთი ტოპონიმური სახელის ფუძისეულ ნაწილად მიგვაჩნია. ასპინძის რაიონის სოფელ აწყვიტაში არის კორანთიღელე. კორ- ამ შემთხვევაში საგვარეულო სახელს უდევს საფუძვლად. ტოპონიმი ასე დაიშლება: კორ-ა-ან-ნ-ი→კორ-ა-ან-თ-ი→კორანთი. მსგავსი წარმოება ცნობილია მესხეთის ონომასტიკაში. საბოლოოდ კორანთ ფორმას შეიძლება მოეცა კორათი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში პროცესი ბოლომდე არ მივიდა. საზღვრულდაკარგული მსაზღვრელი უნდა იყოს იმერხეეში დადასტურებული კო-

რანთი სათიბის სახელად (ცეცხლაძე, 2004:190). ასეთივე წარმოება დადასტურებულია ქიზიყის ტოპონიმიაში, ოღონდ კორ- წარმოდგენილია -ია დაბოლოებით. აგანაში გოგიაშვილთა ერთ-ერთ განშტობას ჰქვია -კორიანნი|კორიანთი (ღლონტი, 1982წ:33).

კორ- ფუძე, როგორც ვნახეთ, შეიძლება გაფორმებული იყოს -ა -ე -ია -ო სუფიქსებით. შეიძლება ასევე გამოიყოს კორ- ფუძე სახელში კოროშეთი, რომელიც სოფელ ხიზაბაერის აღმოსავლეთით დააფიქსირა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ნიკო ბერძენიშვილმა. მანვე ჩაიწერა ლექსი:

„კოროშეთს თივა მოვთიბე,
ოღდან დამიძირია,
გოგო შენი სიყვარულლით
მე ვერ დამიძინია“ (ბერძენიშვილი, 1964:171).

კოროშეთი და ოღდანი, როგორც ლექსიდან ჩანს, ახლო მდებარე სოფლებია.

კოროშეთის ადგილმდებარეობა და ლოკალიზაცია დაზუსტებული აქვს ს. ჯიქიას (ჯიქია, 1958:295). მე-16 საუკუნეში იგი ნასოფლარის სახითაა აღწერილი.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოროშეთში -ოშ ცალკე მაწარმოებელია. შდრ.: მიტ-უშ-ა, ნუნ-უშ-ა (შდრ.: მიტო, მიტა, ნუნუ, ნუნა, ნუნია, ნუნუკა), მითუმეტეს, რომ გვაქვს -იშ დაბოლოებიანი ვარიანტი - კორიშა (ღლონტი, 1986:146)

კორ- ფუძეს გამოვყოფთ ისტორიულ სახელში კორაშენი. იგი დაფიქსირებულია მე-16 საუკუნეში (ჯიქია, 1958:93). -შენ ტერმინ-ფორმანტი პროდიქტიულია ქართულ ტოპონიმიაში. ამ შემთხვევაშიც ამოსავალი უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელი, რადგან „-შენ კომპონენტის ტოპონიმები საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფით საკმაოდ ბევრია. ყველაზე პროდიქტიულია იგი ახალ-მსაზღვრელთან (ახალშენი). დანარჩენ შემთხვევაში პირველ კომპონენტად ადამიანის საკუთარი სახელი გვხვდება (ბერიძე 1992:87)“. ასე რომ, კორაშენში შეიძლება გამოიყოს საკუთარი სახელი კორა, რომელიც -ა კინიზობითის მაწარმოებელი სუფიქსით გაფორმებული კორ- ფუძეა.

კორ- ფუძიანი სახელები ტოპონიმებად, როდესაც ონიმიზაცია ხდება ანთროპონიმის საშუალებით, საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგანაც გვხვდება. დუშეთის რაიონში არის

სოფელი კორაანი, ხოლო ხაშურის რაიონის ზემო ოსიაურის ჭის სახელად გვაქვს კორაანთ ჭა (დლონტი, 1988:53).

კორათხევი არის ნასოფლარი თბილისის შემოგარენში, რომელიც დაცარიელდა 1952 წელს (მელიქიძე 2007:78), რომელსაც ფონეტიკურ ვარიანტად აქვს კვარათხევი. ნასოფლარის სახელიდან არის მოტივირებული შემდეგი ტოპონიმების წარმოქმნა: კორათხევის გზა, კორათხევის სასაფლაო, კორათხევის წყარო|კვარათხევის წყარო, კორათხევის ხატი, კორათხევის ხევი (მელიქიძე, 2007:78).

კორო ადამიანის სახელად არის დადასტურებული. „დუბი ყანებში ცალ-ცალკე ყანებს სახელები ერქვა: ისიდორას ყანა, კოროს ყანა, კორო ერთ თათარს ერქვა, ბიჭა ბილანას ეძახდნენ (ბერიძე, 2008:40)“ თათარში იგულისხმება მამადიანი მესხი. კორო მეტსახელად ბევრგან გვხვდება და ადამიანს სიპატარავეს გამო ეძახიან. საკუთარ სახელად დასტურდება სამეგრელოში (ჭანტურია, 2006:44). საგარეჯოს რაიონში ჩაეიწერეთ კორი, რომელიც წყალს უკავშირდება. ეზოს კედელში დატანებულ წყლის გასასვლელს კორი ჰქვია. კორი შეიძლება იყოს კლდეში გასასვლელი ან კლდეზე გაჭრილი წყლის გასავალი. დღეს კორებად ეზოებში მოკლე მიწებს ხმარობენ (ინფორმატორი: მზია მეზერიშვილი 72 წლის).

ზედა ვარძიის ხევის სიახლოვეს მტკვრის ხეობაში ერთ ნასოფლარს კორისხევი ჰქვია, რომელიც მე-16 საუკუნეში ხუთ კომლიანი სოფელი იყო (ჯიქია, 1958:373-374), სადაც ცხოვრობდნენ პაპუნა ივანესძე, ბასილა ძე მისი, მახნია გიორგისძე, სახელად ბაირამ და ერთიც ამოუკითხავი სახელის მქონე ოჯახის უფროსის შვილიშვილი (ჯიქია, 1941:253). ნასოფლარის სახელში რომ ამოსავალი ადამიანის საკუთარი სახელი კორა იყოს, ნათესაობით ბრუნვაში კვეცა არ მოხდებოდა და გვექნებოდა კორასხევი, ამიტომ სავარაუდოა ფუძეთა ომონიმი. როგორც ჩანს, ერთი და იმავე ფორმის ფუძეს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. კორისხევი, რომელიც ხეებისა და მტკვრის გარემოშია, შეიძლება, კორის ზემოთ მოყვანილ მნიშვნელობას უკავშირდებოდეს.

კორს მრავალი მნიშვნელობა აქვს ქართულ დიალექტებში. მოვიყვანთ განმარტებებს ალ. დლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონიდან“ (1984:304). „კორ-ი (მოხ.) ხის

ან ქვის ბურთი, სათამაშოა“; „კორ-ი (მოხ.) – 1. ჩაქუჩი; 2. მრგვლად გამომცხვარი პური, კვერი; 3. მუხლისთავი“; „კორა (კახ.) მრგვალი პატარა ქვა, იყენებენ სათამაშოდ“ (ამ კორას საშუალებით თამაშობენ კორაობას ქართლსა და კახეთში, რომელსაც რიკ-ტაფელასაც ეძახიან. როგორც ჩანს, მაინც კორაობა და რიკ-ტაფელა სხვადასხვა თამაშია, რადგან რიკ-ტაფელა ორი ხის ჯოხით ითანამაშება, ხოლო კორაობის აუცილებელი კომპონენტი არის „პატარა ქვა“). „კორა (ქიზიყ. კახ.) ხის კოჭი, კარის ჩარჩოზე მიმაგრებული, დახურვისას კარს წამოედება და დაკეტავს. მრგვალი ქვა ან მაგარი ხისაგან გამოთლილი კვერცხის მსგავსი შარა, ბავშვთა სათამაშოდ“; „(ქიზიყ.) ხის კოჭი, რითაც მიმაგრებულია ფრთა გუთანზე“; „(რაჭ.) ჭაჭის დასაწურავ მოწყობილობაში მრგვალი მსხვილი ხე, დაახლოებით 20 სმ. სიგრძისა“; „(ფშავ.) თოფის გასახედი, სანიშნებელი“.

კორა მესხურში (სამცხურსა და ჯავახურში) განმარტებულია, როგორც „ულელზე (შუაში) ჩასობილი მოკლე ორი ჩხირი, რომლებიც იკაევენ ასაკრავს, რათა არ გაცურდეს ქედისაკენ (ბერიძე, 1981:74)“.

კორ- ფუძის ერთი მნიშვნელობა მცენარეულობას უკავშირდება, რადგან იგი გაფორმებულია –ნარ სუფიქსით. ი. სიხარულიძეს ამის არა ერთი მაგალითი აქვს დაფიქსირებული: კორნალი, ტყე, სოფელი ბზუბზუ (სიხარულიძე, 1958:52). ასევე ტყის სახელია სოფელ მახუნცეთში (სიხარულიძე, 1958:53). ბაღს ჰქვია კორნალი სოფ. აქუცაში (სიხარულიძე, 1958:57), ბუჩქნარია კაკაბაძიებში (გვ. 58), ტყვა სოფელ მერისში (გვ. 63), ასევე ტყვა სოფელ ცხადიეთში (გვ. 131), საძოვარია სოფელ გორგაძეთში (გვ. 132) და სათესია სოფელ ძაბლავეთში (გვ. 137). კორნალა ჰქვია საძოვარსა და ტყეს ჭინკაძიებში (გვ.50). კორნალია არის სათესი ზვარეში (გვ. 67). კორითავი ასევე ტყვა ქუთურეთში (გვ.137), ხოლო კორნალიქედი საძოვარია აღმართში (გვ. 130).

ჩამოთვლილ სახელთაგან უმრავლესობა ტყის აღმნიშვნელია ან მცენარეულობას უკავშირდება (ბუჩქნარი, ბაღი). იქ, სადაც სათესს ან საძოვარს აღნიშნავს (ერთხელ ტყესთან ერთად), იგულისხმება, რომ ადრე იქნებოდა მცენარეულობა.

კორნალი აქვს დადასტურებული ალ. დლონტს გურიაში მთისა და ტყის სახელად (დლონტი 1993:104) და იქვე არის კორნალის დელე (დლონტი 1993:104).

ასევე მცენარეულობის აღმნიშვნელი უნდა იყოს სოფლის სახელი კორა ახალგორის რაიონში.

კორ- ფუძეს გამოიყოფთ სახელში კორანტყე ფრონების ხეობაში (დლონტი 1938:53). სავარაუდოდ იგი უნდა მოდიოდეს კორიანი ტყიდან. ალ. დლონტს დამოწმებული აქვს კორმაღალი/კორმაღალა, რომლის პარალელურ ფორმად რკომაღალი/რკომაღალა მოჰყავს. ამ ფორმათაგან ვფიქრობთ, ძირითადი უნდა იყოს კორმაღალი, რადგან გვაქვს იმავე არეალში ტოპონიმი კორმაღლის გზა (დლონტი 1988:104). ამ შექთხევეაშიც მცენარეულობა უნდა იყოს ამოსავალი სახელდებისას. კომპოზიტურ სახელად გვხვდება კორაველი (ცეცხლაძე 2004:190), ისევე, როგორც ტყე-ველი.

ამგეარად, კორ-ფუძიანი საკუთარი სახელები საქართველოს ტოპონიმიკაში ომონიმიური წარმომავლობისაა. ერთი ნაწილი უკავშირდება ალაშიანის საკუთარ სახელს, რომელიც მოტივირებული უნდა იყოს მცირე სიმაღლით და სისწრაფით, შეიძლება კორის დაკავშირება წყლის გასასვლელთანაც. დიდი ნაწილი კი უკავშირდება მცენარეულთა საფარს.

ანდრია მოციქულის უმეოვლა სამცხეში და ისტორიული ტოპონიმი

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართ ტექსტთა შორის არის ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოში, რომელიც ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას ანუ მეცნიერ კაცებს ეკუთვნით (ქართლის ცხოვრება, 1955:30).

“ქართლის ცხოვრების” ახალ გამოცემაში (ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, 2008 წ.) ჩანართი ამოღებულია. ამ ტექსტების ჩართვას ნებისმიერი არ იყო. ანდრია მოციქულის შესახებ ძირითად ტექსტში ნათქვამია შემდეგი: “ხოლო ამან ადერკი მეფემან უმატა სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მოამტიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი, წყლისა იმიერ და ამიერ და ამისვე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორ-

მეტა წმიდათა მოციქულთაგანი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსიისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა (ქართლის ცხოვრება, 1955:38)".

ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ პირველ ცნობას იძლევა ნიკიტა პაფლადონელი (+890) ანდრეას „მიმოსვლის“ ავტორი... ამ წყაროზე დაყრდნობით გიორგი მთაწმინდელი (XII ს.) საქართველოს ეკლესიის დამფუძნებლად ანდრია მოციქულს მიიჩნევს და ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებას ამ ცნობის საფუძველზე ამტკიცებს (ს.მ.ე.ლ., 2007:70)"

„ქართლის ცხოვრებაში“ ჩართული ანდრეა მოციქულის ეპიზოდი, როგორც სხვა ეპიზოდები, ემყარებოდა საისტორიო ტრადიციას ან გარკვეულ წყაროს, ამიტომ მისი შესწავლა მრავალმხრივ არის საინტერესო. საინტერესოა ამ ეპიზოდის ონომასტიკონი. გზა, რომელსაც გამოივლის ანდრია ასეთია: გამოივლის ტრაპიზონს, შემდეგ „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების („ქართლის ცხოვრება“, 1955:39)". დიდაჭარა არის აჭარის ერთი კუთხე ე.ი. აჭარა არის ქართლის ნაწილი, ხოლო დიდაჭარა აჭარის ნაწილი. ანდრიას შეეძლო სამცხეში შემოსულიყო „ბათუმ – ახალციხის შარაგზით“ (სახოკია, 1985:141), გადმოველო ხულო, გოდერძის უღელტეხილი, მაგრამ იგი ამ გზას არ ირჩევს. აჭარიდან მოდის გურია-იმერეთის გზით. სამცხესა და აჭარას რამდენიმე გზა აკავშირებდა: „ერთი-ბათუმის მხრიდან, ეგრეთწოდებული ბათუმ-ახალციხის შარა-გზით, მეორე – ამავე გზით ახალციხიდან (ყანლის მთაზეა გადმოსასვლელი); გურიიდან სამი გზა შემოდის: ბუჯისწყალის ხეობით თავინურზე (2918 მ.); აჭარის წყლის ხეობით და ბახვის-წყლის ხეობით ბატიშზე (სახოკია, 1985:141-142)".

დიდაჭარა მოაქცია ანდრია. მის მიერ აჭარის ამ ნაწილის მოქცევა ზოგად შტრიხებშია წარმოდგენილი. არ არის აღნიშნული თუ რომელ კერპს სცემდნენ თაყვანს აჭარელნი. ანდრიას სასწაული აქ გამოიხატება წყაროს ამოსვლის სასწაულით და ღვთიშობლის ხატის ასლის შექმნით: ანდრია „იწყო ქადაგებად სახარებისა, რამეთუ კაცნი პირუტყუთა უუგუნურეს იყვნეს და არა იცნობდნენ შემოქმედსა ღმერ-

ოსა, და ყოველსა საძაგელსა და არაწმიდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადაცა უჯერო არს (ქართლის ცხოვრება, 1955:39)".

დიდაჭარიდან გურიისა და იმერეთის გავლით ანდრია "წარმოვიდა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯუარი და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თუთ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართულ არს (ქართლის ცხოვრება, 1955:39)".

ივ. ჯავახიშვილი რკინის ჯვრის შესახებ წერს: "ლიხთიმერეთისა და მესხეთის შემაერთებელ გზას ეწოდება გზა რკინის-ჯუარისა; როდესაც სულამ, კალმახის ერისთავმა, და გრიგოლ, არტანუჯის ერისთავმა, საჩქაროდ მოუხმეს მეფე ბაგრატს, მან აფხაზეთით მომავალმა "გარდმოვლო გზა რკინის-ჯუარისა"; განდევნილი გიორგი რუსი რომ კვლავ შემოიჭრა საქართველოში, მან და მისმა მომხრეებმაც "გარდაიარეს რკინის-ჯუარი და ჩავიდეს ციხის-ჯუარს, დაწვეს ქალაქი ოძრკე (ჯავახიშვილი, 1965:71)".

რკინის ჯვრის გზა გადიოდა ოძრხის ხეობაზე და მას დღეს ზეკარის უღელტეხილი ეწოდება. ის არის უმოკლესი გზა მესხეთსა და იმერეთს შორის. ოძრხის დაწვაც გიორგი რუსის მიერ ამ გზის გავლით ხდება შესაძლებელი. ოძრხეში, ეტყობა თამარის მომხრეები იყვნენ გამაგრებულნი.

ანდრიას მოგზაურობის საწინააღმდეგო მიმართულებით აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი რკინის ჯუარს: ოძრხის ხეობა დღეს არის ოცხის ხეობა. ვახუშტის მიხედვით ოძრხე არის ქალაქი, ხოლო მდინარეს ჰქვია ოცხის წყალი. "ამ ქუეის ზეთ (იგულისხმება პანტოვანის ხევი. მ. ბ.), მთის ძირში, არს ოძრატე, რომელი აღაშენა ოძრახოს ქალაქი და ციხე... ხოლო აწ არს ოჯერ, და ციხე შემუსვრილი... მცირედ ამის ქუეთ, სამჯრით არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდულარის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. გარდავალს აქედამ გზა კაკას ქიღზედ, ბაღდადს. ამ გზას ეწოდა, მთით, რკინის ჯუარი (ქართლის ცხოვრება, 1973:664)".

ეპიზოდის ავტორის მიხედვით რკინის ჯვარი ანდრია აღმართა.

სამცხეში შემოსული ანდრია მოდის ზადენგორას, რომელმაც ჩვენამდე როგორც სოფელმა არ მოაღწია. ი. მაისურაძე წერს: "სოფ. ბენარის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმარ-

თულ ქედზე გამოყოფილია კონუსისებური გორა წაწვეტებულ თხემით, რომელსაც ზადენი ანუ ზადენგორა ეწოდება. (ი. მაისურაძე, 1976:268).”

ზადენის კერპი საქართველოს წარმართულ პანთეონში ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი ღვთაებაა. “მისი წარმოშობა ხეთურ-მცირეაზიული ჩანს... ფიქრობენ, რომ მისი თაყვანისცემა ქართლში მცირე აზიიდან მოსულმა მესხებმა დაამკვიდრეს”. აღსანიშნავია, რომ იბერიის სამეფო ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ციხე-სიმაგრე სწორედ ამ ღვთაების სახელს ატარებდა: ზადენ-ციხე (წიწამურთან). უძველესი დროიდან მიაჩნდათ, რომ ზადენ ღვთაების კერპი დღევანდელი ზადენის მთაზე იდგა. ამგვარივე ცნობებია დაცული ძველი ქართული ლიტერატურის მრავალრიცხოვან ძეგლებში, რომლებიც იოანე ზედაზნელსა და სხვა “სირიელ მამათა” მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ. ზედაზენი ამ წყაროებში ზედა ზადენად, ან უბრალოდ ზადენად იხსენიება (ს.მ.ე.ე.ლ., 2007:331-332).

ბუნებრივია, რომ მესხების მიერ იბერიის დედაქალაქში დამკვიდრებული ზადენის ღვთაება უმთავრესი ღვთაება იქნებოდა თვით მესხეთშიც (სამცხეში).

სამცხის ტოპონიმია, როგორც დღევანდელმა ისე ისტორიულმა, შემოგვინახა ამ ღვთაებასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელი. აჭარაში გამოივლის ანდრია, მაგრამ არაფერს ამბობს ისტორია, რომელ კერპს დაამხოხოს იგი. შემთხვევითი არ არის, რომ ანდრიას გზის მიმართულება სწორედ იქითკენაა, სადაც ძირითადი კერპებია მაშინდელ საქართველოში. ზადენს სამცხის ზადენი უნდა ეწოდოს მცხეთის ზადენისაგან განსხვავებით. ზადენ-გორა ორი ტოპონიმის შეერთების შედეგად მიღებული სახელია. მე-16 საუკუნეში ზადენი ცალკეა დ აგორა ცალკე. “ზადენი როგორც წარმართული ცენტრი, ეტყობა, აერთებდა ამ ხეობის სოფლებს ან, შესაძლებელია, არსებობდა სამივე პუნქტი ერთდროულად – ზადენ-გორა, ზადენი და გორა, როგორც ეს გვააქვს ხიზაბავრის შემთხვევაში მე-16 საუკუნეში. აშკარაა, რომ ხიზაბავრა კომპოზიტური წარმომავლობის სახელია. თავის დროზე იგი დიდი სოფელი იყო, ხოლო მისგან 4-5 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა სათესველი ბავრა და სოფელი ხიზა, დღევანდლამდე ეკლესიის ნანგრევითა და ნასოფლარით რომ მოვიდა (ბერიძე, 2008:8)”

ამიტომაც პირველი რისხვა ანდრიასაგან სწორედ ზადენს დაატყდა: “მიხედნა მოციქულმან და იხილნა კაცნი მის ადგილისანი, რამეთუ უზურვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შემუსრნეს (ქართლის ცხოვრება, 1955:39)”.

სამცხეში მხოლოდ ზადენის ღვთაებას არ სცემდნენ თაყვანს. ანდრიას მოუხდა ბრძოლა არტემის და აპოლონის წინააღმდეგ. არტემიდე (არტემის, -იდოს)– ზევსის და ლეტოს სახელოვანი ასული აპოლონის ტყუპი და, დიდი დელფოსელი ქალწული, არკადიელი ნიმფების ქალღმერთი, ბერძენთა ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი ღვთაება, მონადირე, ცხოველთა მფარველი, ქალწულთა ქომაგი, ოლიმპოს ღმერთთა შორის ასეიანს შემდეგ ყველაზე უფრო სპეტაკი და სასტიკი (გელოვანი, 1983:75)”.

არტემიდეს ტყუპი ძმა აპოლონი ასევე ბერძენთა პანთეონის ერთ-ერთი უნათლესი და უზენაესი ღვთაებაა “ძლიერებითა და მშვენიერებით სხვა ღმერთებზე აღმატებული, პოეზიის, მუსიკის, საერთოდ ხელოვნებათა, შთაგონებათა, მართლმსაჯულების, წესიერების, კანონთა, სინათლის, ყველა სიკეთისა მშვენიერების მფარველი ბუნებაში და ადამიანთა შორის (გელოვანი, 1983:61)”.

უფრო ძნელი შეიქნა ანდრიასაგან დაძმის კერპების დამარცხება: მიუხედავად სამძივარის შეილის გაცოცხლებისა, მესხთაშორის აზრი გაიყო. ყველა არ ემხრობოდა ახალ ღმერთს – ქრისტეს, ამიტომ “შეასვენეს ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა შუა კერპთა მათთა და დაბეჭდეს კარსა ზედა. და მცველნი დაადგინნეს. და იწყეს ლოცვად მღუღელთა მათ სიცრუვისათა. და წმინდამან ილოცა ქრისტეს მიმართ ჭეშმარიტებისა ღვთისა ჩუენისა. და ვითარცა განთენა და განაღეს კარი საკერპოსა, იხილნეს ყოველნი კერპნი მათნი ქუეყნად დათხეულნი და სახედ მტუერისა შემუსვრილნი. ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა ბრწყინვიდა ვითარცა მ'სე, დიდებითა, პატივითა (ქართლის ცხოვრება, 1955:41)”.

ანდრიაი მესხეთში დაამარცხა ზადენის, არტემიდას და აპოლონის კერპები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მრავალი (აღმოსავლური და დასავლური-ბერძნული) ღმერთების ნაცვლად მესხებმა დაიწყეს ერთი ღმერთის – ქრისტეს რწმენა.

რაც მთავარია, ამ ყველაფერს ეხმიანება მესხეთის ტოპონი-
მია. ჩვენამდე მოვიდა მაშინდელი ტოპონიმი, რომელიც აღ-
ნიშნული ფაქტების მოწმეა.

იმავე პერიოდისაა ისეთი ისტორიული ტოპონიმი, როგო-
რიცაა აწყური (აწყერი). ანდრიას დახვდა აწყური, როგორც
სამთავროს ცენტრი, დედაქალაქი მაშინდელი სამცხისა.
თვით სახელი კი “თავისი “რედუცირებული”(აწყურ-) “ურე-
დუქციო” აწყურ ფორმით ისტორიამდელ პერიოდში გადა-
დის. ამ ახრს ამბარებს ისტორიული და არქეოლოგიური
მონაცემები... აწყური წყლიან ადგილს, წყლის ადგილს უნ-
და ნიშნავდეს. უძველესი დროიდან მოყოლებული იგი გაშე-
ნებული იყო მტკერის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე (ბე-
რიძე, 2009:34)”.

ასევე უძველესი ტოპონიმი ჩანს საქრისი, რომელიც აწ-
ყურის “პირისპირ” მდებარეობდა, მტკერის მარცხენა ნაპირ-
ზე. აწყურის ციხე იმავე ადგილზე იყო, ხოლო ძველი ტაძარ-
ი დღევანდელი ღვთისმშობლის სახელობის საეპისკოპოსო
ეკლესიის ადგილზე, აქვე იყო წარმართული ტაძარი.საქარი-
სი კი სწორედ მათ პირდაპირ მტკერის მეორე ნაპირზე,
რადგან მარჯვენა ნაპირი ფერდობია და კლდოვანი, მემატი-
ანე კი წერს: “და ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკურე-
ლი, მსწრაფლ შეკრიბეს ყოვლითა-კერძო, და იქმნა სიმრავ-
ლე ერისა ფრიადი, ვიდრემდის აღიესო ველი იგი საქრისი-
სა. და განკვირდა ყოველთა, იხილეს რა ძე იგი ქვრივისა
აღდგომილი მკუდრეთით (ქართლის ცხოვრება, 1955:41)”. საქ-
რისის ველი გაშლილი ადგილი და ვაკე მხოლოდ მტკერის
მარცხენა ნაპირზე იყო, სადაც დღეს სოფლის უბანი და და-
სახლებბაა.

სახელის, ეტიმოლოგია ქარს უკავშირდება და სიტყვა
დაიშლება ასე: სა-ქრ-ის-ი ← სა-ქარ-ის-ი.

უძველეს ტოპონიმთა რიგს, რომელიც ანდრიას შემოს-
ვლასთან არის დაკავშირებული, სამცხეში მიეკუთვნება ან-
დრიაწმინდა, სოფლისა და ტაძრის სახელი და ანთროპონი-
მი სამძივარი, სამცხის მთავრის ქვრივის სახლი.

ზოგი საკუთარი სახელის შმსახებ „ბრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“

ა) წერტა

სახედაჩილულ კაცს წერტია შეიძლება ერქვას. ასე ჩა-
ვიწერე მეტსახელად ერთ სოფელში. მასში -ია დაბოლოე-
ბაა. გამოიყოფა წერტ, რომელსაც შეიძლება მოუუქებნით
ახსნა ძველი ქართულის მონაცემების საფუძველზე.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“
წერტა განმარტებულია, როგორც „დაგუმერა“, „ჩხელეტა“
და მოყვანილია შემდეგი მაგალითები: „დამკვდრებულთა
დახერისათა უწერტა“. „მოსაჴსენებლად სიტყუათა შენთა
ეწერტებოდა“. „მწერტს მე“. „გგუემოს შენ... ცხრომთა და
წერტითა უსაზომომთა“. „საწერტელითა მით სიტყუითა ჩე-
ძისადთა მიწერტ“ და სხვა... წერტითი არის ჩხელეტით შეს-
რულებული (აბულაძე, 1973:542)“.

კ. ფენრიხსა და ზ. სარჯველაძეს წერტ- ფუძე მოხმო-
ბილი აქეთ წერ ძირთან დაკავშირებით და რადგან ქარ-
თულ წერ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული
ჭარ-, ღაზური ჭარ- და სუანური მრ- (ფენრიხი, სარჯველა-
ძე, 2000:663), შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, წერტ- ფუ-
ძიანი ანთროპონიმი შეიძლება მხოლოდ ქართულ ნიადაგზე
აიხსნას.

შ. ძიძიგური წერასა და წერტას უძველეს ტერმინთა
რიგს მიაკუთვნებს: „გარდა იმისა, რომ ქართულ ენაში კით-
ხვისა და ასოს აღმნიშვნელი ტერმინები („კითხვა“, „ასო“)
ძველთაძველ ტერმინებად ჩანან, ინტერესს იწვევს წერის აღ-
მნიშვნელი სახელი „წერა“, იგი თავდაპირველად ჭრას, კვე-
თას ნიშნავდა. აქედანაა „წერაქვი“ ქვის საჭრელი, საკვეთი...
იგივე ტერმინები გვიხსნიან წერასთან დაკავშირებული მე-
ორე ტერმინის წარმოშობას, ესაა „წერტილი“, რომელიც ნა-
წარმოებია ზმნისაგან „წერტა“. ეს უკანასკნელი ნიშნავს
ჩხელეტას, ამოკვეთას, ჩაჭრას (ძიძიგური, 1975:123).“ წერტა
ისევეა საწყისი და არა ზმნა, როგორც წერა, რასაც ადას-
ტურებს ზემოთ მოხმობილი მაგალითები „ძველი ქართული
ენის ლექსიკონიდან“. „ბრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“
ვკითხულობთ: „პირველ ყოფილი ესე სასწაელი გუესმა ბერ-
თაგან ჩუენტა, ვითარმედ უამსა მამისა ბრიგოლის მოწაფი-

სასა ხანძთას ეპიფანემს შამობისასა იყო ვინმე კაცი მდი-
დარი ანჭკორას და სახელი მისი წერტა და აწ რომელ წერ-
ტამსნი პრქვიან, თხათა მისთა სადგური ყოფილ არს (მერჩუ-
ლე, 1949:171)". შემდეგ მოთხრობილია სასწაული, რომლის
მეოხებითაც წერტას დაბადებიდან ყრუ-მუნჯი შვილი განი-
კურნა. მონაზვნების მიმართ „მკსინვარედ“ მყოფმა, „ვითარ-
ცა იხილა სასწაული ესე წერტა, მამამან მისმან, განკვირე-
ბული სიხარულით სავსედ წარვიდა ხანძთად, და ვითარ სა-
ჩინოსა უდაბნომსასა მიიწია... წერტა დიადი შესაწირავეი
მიუძღუნა და შეწირა წინაშე წმიდისა მთავარმოწამისა გი-
ორგისა (მერჩულე, 1949:172)".

გრიგოლ ხანძთელის პერსონაჟთა შორის გამოირჩევა
წერტა იმით, რომ მას კანონიკური ქრისტიანული სახელის
ნაცვლად ქართული სახელი ჰქვია. შეიძლება მისი დამოკი-
დებულება სასულიერო პირთა მიმართ ამითაც იყოს განპი-
რობებული. იგი უპირისპირდებოდა ქრისტიანულ რელიგი-
ას, განსხვავებით ცოლისაგან, ამიტომ ნათლობის სახელის
ნაცვლად შემოგერჩა ქართული სახელი. პავლე ინგოროყვა
წერს, რომ „წერტა საკუთარი სახელია ადამიანისა, ხოლო
გეოგრაფიული სახელწოდება „წერტამსი ნაწარმებია ამ სა-
კუთარი სახელიდან (ინგოროყვა, 1954:436)". მართლაც მეათე
საუკუნეში სახესე გვაქვს ანთროპოტოპონიმი, რომლის ეტი-
მოლოგიასაც იძლევა გიორგი მერჩულე, რომ წერტას თხე-
ბის სადგომს წერტამსნი ჰქვია და მდებარეობს კლარჯეთში,
სოფელ ანჭკორას სანახებში (პ. ინგოროყვა).

წერტა ისეთ კაცს შეერქმეოდა, რომელსაც ნაყვავილარი
„დაჩხვლეტილი“ სახე ექნებოდა. შდრ. დაწერტილი – წერი-
ლად დახვრეტილი დაჩხვლეტილი (ქ.გ.ლ., 1953:1016)". და-
წერტა-დაჩხვლეტა, ცემა, „დაგუმერა“ (ი. აბულაძე).

წერტა დღეს საკუთარ სახელად აღარ გვხვდება. შეგ-
ვხვდა წერტიას სახით მეტსახელად. მესხურ დიალექტში
შემოსულია თურქული სიტყვა ჩილი რომელსაც სახედაკენ-
კილ, ნაყვავილარ ადამიანს უწოდებენ. ასევე ფორებიან
ქვაზე იტყვიან ჩილს. ჩილი მეტსახელად გვხვდება მესხეთ-
ში. „ჩილი მარკოზა“, ჩილო და სხვა.

ქართულში შემოსულია კიდევ ერთი თურქული სიტყვა,
რომელსაც დიალექტი არ იცნობს, ეს არის: „ჩოფურა
(თურქ. ჩოფურ) ნაყვავილარი (ადამიანი) (ქ.გ.ლ., 1964:531)".

ისტორიულად სახედაჩხელეტილი ხალხი კარგი ცხოვრების გამო არ ყოფილა. მე-5 საუკუნის პერეთისა და მისი მოსახლეობის შესახებ იაკობ ხუცესი წერს: „ჟამსა ზაფხულისა-სა ცეცხლებრ შემწუელი იგი მკურვალეზამ მზისამ, ქარნი ხორშაენი და წყალნი მანებელნი, რომლისა მკედრნიცა მის ადგილისანი საესენი სენითა, წყლითა განსიებულნი და განკითლებულნი, დაწერტილნი და დამტკნარნი და დამდიერებილნი, წარადოეანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არაენ არს მათ ქუეყანათა (ხუცესი, 1949:157)“. დაწერტილი ლექსიკონის შემდგენელს ი. იმნაიშვილს, განმარტებული აქეს, როგორც დაჩხელეტილი (ხუცესი, 1949:393). „დაწერტილი, დაჩხელეტილი, დამუწუკებული (არიახ) მკედრნიცა მის ადგილისანი (ქ.ა.ძ.ლ. 2005:257)“.

ბ) მატრი

სანათესაო, საგეარეულო გარემო დიდ როლს თამაშობს გრიგოლის ეპოქაში. ასევე მნიშვნელოვანია და უთითებს ავტორი იმ კუთხეს, საიდანაც არის ესა თუ ის პროვნება, მაგრამ არ მიეთითება გეარი.

გრიგოლის მეუდაბნეობას განსაკუთრებით გამოეხმაურა მშობლიური კუთხე: „ვითარცა ჳორციელად შეემატებოდა, ვერეთე სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდასა კაცთასა, რამეთუ მას ჟამსა მოვიდეს მამად, ეპიფანედ და მღდელი მატრი ქართლით და დიდი ზენონ სამცხით, რამეთუ ეპიფანედ და მატრი პირველივე მეგობარ იყენეს ამის წმიდისა და სახელსა მისსა მოვიდეს ხანძთად (მერჩულე, 1949:41)“.

მატრი გამორჩეული პერსონაჟია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რადგან იგი არის მეგობარი და მოწაფე გრიგოლისა. თანაც მას სახელიც გამორჩეული ჰქვია, სხვებისაგან განსხევეებული, არაკანონიკური, ე. ი. ხალხური სახელით მოდის ის ეკლესიაში და ამავე სახელით აგრძელებს მოღვაწეობას.

მატრი დაბალი წრიდან არის გამოსული, რაზეც მიგვანიშნებს თხზულების ის ადგილი, სადაც საუბარია მის ნათესავებზე. მერეს დედათა მონასტირს მღდელი მატრი „გარდარეული შრომისაგან მოუძღურდა“. მატრის „ქალწულება“ ცნობილი იყო „არა მხოლოდ ჳორცითა ოდენ, არა-

მედ სულითა და სიტყუთა, სასმენელითა და თვალითა“, რის გამოც იგი პრინციპულად ფიქრობს: „უწესო არს მონაზონისა – ჳელითა დედათათა მსახურებაჲ (მერჩულე, 1949:86).“ გადაწყვიტა მატოიმ, რომ წასულიყო ბერთას, გასცლოდა დედათა მონასტერს. „და იყვნეს ვინმე ბერთას მამისა გრიგოლის დედისა მსახურთაგანი, ნათესაენი მატოისნი, კეთილნი მონაზონნი და მეგობარნი მისნი. მათ აცნობა და მოვიდეს სიხარულით წარყვანებად მისსა ცხედრითა (მერჩულე, 1949:86-87)“

გრიგოლის დედა ნერსეს ცოლის და მაღალი წრის ქალი იყო. მატოი კი მისი მსახურების წრიდან მოდიოდა, მათი ნათესაეი იყო და მათ მიაშურა უძღურების უამს.

მერეს დედათა მონასტერში მღვდელი გარდაიცვალა, რომლის მაგიერადაც, მიუხედავად უარისა, გრიგოლია მიიღვლინა მატოი. „და ვითარცა იხლა მოძღურისა თვისისა უცილობელი ბრძანებაჲ, თვინიერ ნებისა თვისისა, დაემორჩილა სიტყუათა მისთა და იქმნა მღვდელ მონასტრისა დედათამსა ნებითა ღმრთისაჲთა სანატრელი და სასწაულთმოქმედი მატოი – დიდი და დიდებული საქმითა თვისითა, რამეთუ წელიწადთა ორმოცთა მერეს მღდლობასა შინა მისსა უქმი სიტყუად და უსარგებლო პასუხი არაეის ესმა მისგან (მერჩულე, 1949:85).

მატოი ი ხმოვანზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანი სახელია, ამიტომ ის სახელობითსა და მოთხრობითში ფუძის სახით არის წარმოდგენილი და იბრუნვის, როგორც გიორგი, აკაკი, ბასილი (შანიძე, 1976:41). აგრეთვე: არსენი, პანსოფი, გრიგოლი, მაკარი, ნიკონორი, ალექსი, ვესევი და სხვანი (იმნაიშვილი, 1957:368). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ეპიფანეე გვხვდება სახელობითი ბრუნვის ნიშნითაც, ხოლო მატოი ფუძის სახით: „სანატრელი და სასწაულთა – მოქმედი მატოი“. მიცემით ბრუნვაში გვექნება მატოის: „მაშინ წმიდამან მან ჰრქუა წმიდასა მატოის (მერჩულე, 1949:84)“. ნათესაობით ბრუნვაში: „დედაკაცმან თემესტია, მერისა დეკანოზმან, თქუა, ვითარმედ ორმოც წელ დეკანოზობასა ჩემსა და მატოის მღვდლობასა – საცუცხლურნი მან ჳელისა ჩემისაგან არაოდეს მიმიხუნაო“. „და იყვნეს ვინმე ბერთას მამისა გრიგოლის დედისა მსახურთაგანნი, ნათესაენი მატოისნი, კეთილი მონაზონნი“. მოთხრობით ბრუნვაში: „თქუა ნეტარმან მატოი“ (მერჩულე, 1949:86).

ზემოთ ჩამოთვლილ -ი ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში (ი. იმნაიშვილს მათ რიგში აქვს დასახელებული მატრიცა), მხოლოდ მატრია, -ი რომ დაერთვის წინამავალ ხმოვანს და არა თანხმოვანს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვისუფიქროთ, რომ ამ სახელში ბოლო ხმოვნები -ოი ფუძის ნაწილს არ წარმოადგენს და ისინი დართულია ფუძეს. ასეთ შემთხვევაში მატ - ფუძე უნდა ვივარაუდოთ, რომელიც ქართულ ანთროპონიმიკაში სხვადასხვა სუფიქსით არის გაფორმებული. ვახუშტისთან გვხვდება საკუთარ სახელად მატა: „ბოსტაღანის ძემ მატამ ძმა თვისი მოკლა, მას მანუჩარ თუალნი დასწუნა ყმითურთ (ვახუშტი, 1973:720)“. ალ. ღლონტს მოყვანილი ჰყავს ისეთი საკუთარი სახელები, რომლებშიც აშკარად გამოიყოფა მატ - ფუძე: მატატია, მატი, მატია, მატიანი, (ი. ინგოროყვა), მატოა, მატუ, მატუნა (ღლონტი, 1967:102-13). მატ- ფუძე გამოიყოფა აშკარად ა. ჭანტურიასთან: მატა, მატია, მატატა, მტატი, მატია, მატინია, მატიტო, მატო, მატუ, მატულა, მატული, მატუნა, მატუტია (ჭანტურია, 2006:48-49). ჩამოთვლილი სახელები შეიძლება საქართველოს სხვა კუთხეებშიც დავადასტუროთ, ოღონდ მეტსახელების სახით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული საკუთარი სახელების უძველესი ფენა არის „პირეული ან წარმოქმნილი სახე ანთროპონიმთა, მომდევნო კი კომპოზიტიური სახელებია (ღლონტი, 1986:14) რადგან თხზული და გრძელი სახელები ქართულ ანთროპონიმიკას მაინცდამაინც არ უყვარს, ხშირად შემოსულ სახელებს ამოკლებს კიდევაც, „ამიტომ დიდი ნაწილი ქართველურ ანთროპონიმთა ერთ ან ორმარცვლიან ფუძეს წარმოადგენს და ადვილად წარმოსათქმელია (ღლონტი, 2006:23).“ ზემოთ ჩამოთვლილ მატ - ფუძიან სახელებში გამოიყოფა შემდეგი მარმოებლები

- ა - მატა
- ი - მატი
- ია - მატია
- იანი - მატიანი
- ოა - მატოა
- უ - მატუ
- უნა-ა - მატუნა
- ა-ია - მატაია

- ატ-ა - მატატა
- ატ-ი - მატატი
- ინ-ია - მატინია
- იტ-ო - მატიტო
- ო - მატო
- ულ-ა - მატულა
- ულ-ი - მატული
- უტ-ია - მატუტია

ამ რიგში უნდა ჩაეკენოთ გრიგოლ ხანძთელის მოწაფის სახელიც მატოი.

ზოგჯერ - ი ხმოვანი გაგებულია ბრუნვის ნიშნად, ამიტომ ჩამოსცილდება ხოლმე სახელს „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: მატო მღვდელი - გრიგოლ ხანძთელის მეგობარი და თანამოღვაწე VIII-IX სს. გრიგოლის ლოცვა კურთხევით განწესდა მერეს დედათა მონასტრის მღვდელმსახურად და 40 წელი იღვაწა იქ (ს.მ.ე.ელ., 2007:562)

მითოლოგიური გმირი და „ამირანის გორა“

ამირანის ეპოსი ყველაზე გავრცელებული ეპოსი იყო საქართველოში. ამ თქმულების მთავარი პერსონაჟი არის ამირანი, რომელიც, როგორც მითონიმი, აინტერესებს ონოძასტიკას.

ამირანი, როგორც პოპულარული მითოსის მთავარი პერსონაჟი, გამოირჩეოდა მითის ასაკის გამო, გავრცელებულობის გამო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისი ვარიანტების სიმრავლის გამო.

შემთხვევითი არა არის, რომ ქართველებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არაქრისტიანული სახელია ამირანი. ამ სახელიდან მოდის გვარი ამირანაშვილი.

ამირანის გორა სამცხე-ჯავახეთში ორია - ახალციხეში და ახალქალაქში, რომელთაგან ტრადიციულია ახალქალაქის ამირანის გორა, ხოლო ახალციხის თაობაზე ნათქვამია: „ახალციხის ამირანის გორა, რომელიც აღმოჩნდა 1955

წელს მესხეთ-ჯავახეთში წარმოებული არქეოლოგიური დასვერვის დროს, მხოლოდ ერთი იმ ძეგლთაგანია, რომელიც ამ რაიონში მცხოვრებ მოსახლეთა ერთ-ერთ უძველეს ადგილსამყოფელს წარმოადგენს" (ჩუბინიშვილი, 1963:8).

ახალციხის ამირანის გორის „ადმოჩენა“ ცოტა უცნაურად უღერს, რადგან ეს გორა ყოველთვის იდგა იმ ადგილზე, სადაც დგას დღეს, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მის შესასვლელში. ეს სახელი არა მარტო ახალი შერქმეულია, ხელოვნურიც არის.

ახალქალაქისა და ახალციხის ამირანის გორებს სახელთა გარდა აერთიანებს ის, რომ ორივე მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულს და ორივეს შერქმეული აქვს უახლესი თურქული სახელი ტავშანთაფა (თავშანთაფა). ეს უკანასკნელი სახელი არა მხოლოდ თურქულად ეწოდებოდა. ახალციხეში ტავშან თაფასთან ერთად, რომელიც თარგმანია ქართული კურდღლის გორისა, ქართული ვარიანტიც იხმარება. ახალციხეში უპირატესობა ქართულს ენიჭება. ახალქალაქში პოპულარულია თურქული ვარიანტი.

თუ ახალქალაქის ამირანის გორა მდებარეობს ჯავახეთის მტკერის მარცხენა ნაპირზე, ახალციხის ამირანის გორა მდებარეობს მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირას ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ. მანძილზე. ძეგლი მოქცეულია ფოცხოვის ხეობის სწორედ იმ მონაკვეთზე, რომლის ჩრდილო-დასავლეთით გაერთიანებულია მესხეთის სამი დიდი ხეობა (ფოცხოვი, ქვაბლიანი და ოძრხე) (ჩუბინიშვილი, 1963:15).

ახალციხის ამირანის გორას ვიდრე კურდღლის გორა დაერქმეოდა, ერქვა ლომისი, რომელსაც ალბათ კავშირი აქვს ახალციხის ძველ სახელთან —ლომსია. ლომისის სალოცავი იყო მთის წვერზე, სადაც დღეს ჯვარი დგას. ლომისის სალოცავში დადიოდა ამ გორის გარშემო და დღევანდელი საბარგოს დასახლების, სასაფლაოს მიდამოების ძველი მოსახლეობა. გადმოცემით ეს მოსახლეობა ძირითადად უნდა გამქრალიყო ახალციხის აღების დროს 1828 წელს, რადგან ბრძოლის ეპიცენტრში მოხვდნენ ისინი. მესხეთში დღესაც იხსენებენ, რომ რუსმა ჯარისკაცებმა ბრძოლის დროს გამოიყენეს ლომისის დასახლების მიწური შენობების ძელები. საღეთოს დაკვლის დროს მოხუცების დალოცვა

დღესაც ახსოვთ არლელებს: „ლომისი მადლო და ძალო, შენ შეეწიე...“ (რეზო ანდლულაძე, 60 წლის)

როგორც უკვე ითქვა, ახალციხის ამირანის გორის სახელი ახალია და ახალქალაქის ანალოგიაა, გადატანილი სახელია. ეს გადატანა მოტივირებულია არქეოლოგიური ინტერესით და იმიტაც, რომ გარეგნულად ეს გორები გვანან ერთმანეთს, მას არავითარი კავშირი ამირანთან არა აქვს და ამიტომ ჩვენ საუბარი გვექნება მხოლოდ ახალქალაქზე.

ჯავახეთი მდიდარია მთაგორიანი რელიეფით. სამსრის მთებისა და აბულის ფონზე ამირანის გორა მართლაც გორაა მხოლოდ, იგი მომცრო მთაა. მაგრამ გამოირჩევა არქეოლოგიური სიძველით. მისთვის დამახასიათებელია უძველესი კულტურული კვალი ადამიანის ცხოვრებისა.

ამ გორას, როგორც ითქვა, ჰქვია მეორე სახელი – ტავშან თაფა, რომელიც როგორც ტოპონიმი დადასტურებულია 1898 წელს (Ростомов, 1898:31) სამხრეთ საქართველოში ამ სახელით ბევრი ადგილი გვხვდება. ბუნებრივია, სადაც კურდღელი ბევრი იყო, ყველგან შეიძლებოდა ასეთი სახელის გაჩენა. ტავშანთაფას პარალელურ ვარიანტად აქვს ტავშანკა. „K(a) სუფიქსის დართვა მსაზღვრულზე, როდესაც დაკარგულია საზღვრული, რუსულისათვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ პროცესს ჯავახეთში მასალად გამოყენებული აქვს თურქული ენობრივი ფაქტი. გვაქვს ახალქალაქის რაიონში ორი ტავშანთაფა – ხალქალაქსა და განძაში. ორივეს პარალელური ფორმა არის ტავშანკა. სუფიქსის დართვა მოტივირებულია საზღვრულის დაკარგვით“ (ბერიძე, 1992:117).

ამ ორ სახელს (ამირანის გორასა და ტავშანთაფას → ტავშანკა) არავითარი კავშირი ერთმანეთთან არა აქვს. სხვადასხვა ენობრივი გარემოს მიერაა შერქმეული და მათში კარგად ჩანს თვით ამ გარემოს ეროვნული, ენობრივი ისტორია. ასევე ნიშანდობლივია ტოპონიმის გამძლეობა, ოღონდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ონიმის ფიქსაციას. დღეისთვის არგუმენტირებული მტკიცებების გარეშე ჯავახეთის ქართული საზოგადოებისათვის ტრადიციული ქართული სახელი არაქართველთათვის მიუღებელი და უცნაურია, უძველესი სახელის ამირანის გორის გაუაზრებლად, გაუთვალისწინებლად შეერქვა შემდეგში ტავშანთაფა, ბოლოს კი

შეიქმნა პარალელური რუსული ფორმა ტავშანკა. რომ ყოფილიყო რაიმე ურთიერთკავშირი, რუსული ვარიანტი გამოიყენებდა ქართულ სახელს და არა თურქულს. რომ არა ქართული სახელის ფიქსირება, დაიკარგებოდა იგი ისევე, როგორც დაიკარგა ბევრი რამ ჯავახეთში.

თურქული და რუსული სახელები გამჭვირვალეა ეტიმოლოგიურად. რაც შეეხება ქართულს, შეიძლება გვეფიქრა, რომ ვინმე ამირანის სახელთან არის დაკავშირებული, როგორც, ვთქვათ, გოგიას ციხე, პეტრეს ციხე და სხვა, მაგრამ რეალურად ეს არის მითონიმი, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ქართული მითოლოგიური გმირის ამირანის გამო ადგილის სახელდებობას.

ჯავახეთის ამირანის გორა პირველად დაფიქსირებულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მე-18 საუკუნეში, თუმცა მაშინ არაფერია ნათქვამი ურთიერთმიმართების შესახებ:

ახალქალაქი „იყო ქალაქი მოზღუდეილი და ციხე ძლიერი, არამედ შეიმუსრა მრავალგზის. გარნა აწ აღაშენა კუხლად შაეშეთის ბეგმან ქართლიდამ. ამ ახალქალაქს ზვეით არს ამირანის გორა მტკუარის სამჯრის კიდეზედ. მუნ არს მტკუარსა ზედა ჳიდი (ვახუშტი, 1973:671)“.

ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი) არმაზის, ზადენის, აპოლინის გვერდით მოიხსენიებს ამირანის კერპს. ამირანი, მისი თქმით, იგივე სამიროშია. „ამირანს (სამირომს) კმსახურობენ ახალქალაქის გორაზედ. მით დღესაც ამირანის გორას უწოდებენ, ამის ნაშთი კლდე, ბალაეარი არის... ზღაპრად დაშთენილი, ამირანი და ჩრდილოელი დანაძლებულან და შამბნარი ველის (შაბონიბელის) მთითგან შურდულით გამოუსროლიათ. ამინარს შურდული გასწვევტია, მით ვალის ფოტოროებში დაცემულა და ჩრდილოელისა კი უფრო შორს დაცემულა ჳიხელს (გვარამაძე, 1982:116-117)“.

ამ ტიპის შეჯიბრები ეპოსის გმირებს შორის ჩვეულებრივი ამბავია, იღონდ ივ. გვარამაძეს, მართალია, ამირანის გორა აქვს მითითებული, ასევე მინიშნებულია, რომ იქ რაღაც „ბალაეარი“ არსებობს ამირანის კერპის კვალის დასტურად, მაგრამ გარემო აღრეულია და, ვფიქრობ, უადგილოა ვალის ფოტოროების ან შაბონიბელის (აღბათ შაბანებელი – მ. ბ.) საასპარეზო ადგილად მოხმობა.

ივ. გვარამაძისეული კერპი ამირანი და მითოლოგიური ამირანი რომ ერთიდაიგივეა, ამას ამტკიცებს სხვა ადგილი

„ქართლის ცხოვრებისა“, სადაც ავტორს ჩაწერილი აქვს ამირანის ეპოსის ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი:

„სანადიროდ გაემართნენ ამირან და ყმანი მისნი, მთას ირემი წამოუხდათ, ოქრო იყო რქანი მისნი, ამირანმან ბოძალი ჰკრა, გაიხეწა მხარნი მისი, გაექცა და დაედევნენ, სრულ არ გაწყდა კვალი მისი, ცხრა მთა გარდაარბევინეს, მეათე არს ასურისი, მინდორს ერთი კოშკი ჰპოვეს, ცას სწედებოდა წვერი მისი,

გარ-მოუარეს, უპოვნეს, დაკლიტული კარი მისი, ამირანმა წიხლი დაჰკრა, შეანტერია კარი ისი“... (გვარამაძე, 1982:47-48)

ცას მიმწვდომი კოშკი, ავტორის აზრით, ბაბილონის გოდოლია, ამირანი სამირომია, რომელიც მაჰმადიანთ მფლობელთ ამირაზედ გარდაუცვლიათ (გვარამაძე, 1982:47)“.

აშკარაა, რომ მკვლევარის აზრით, ამირანის მოქმედების პერიოდი ბაბილონს უკავშირდება, ამის შესახებ ივ. გვარამაძე განმარტავს: „სახალხო ლექსში ჩანს, რომ მისი განადირებისა და ქვეყნისმპყრობელობისათვის ირემი წინ უძღვებოდათ სეუ-ბედად, მნიშვნელი ზროხისა, მის წინამძღვრობით გარდადის 9 მთას იქით, ცად მიმწვდომ კოშკს აწყდება (ბაბილონს), აქ ამარცხებს დევსა და ფეხს იდგამს იქაც, სხვა ადგილებივით გამარჯვებითა (გვარამაძე, 1982:109)“.

მიუღებელია ამირანის და სამირომის გაიგივება, რადგან ამირანის სახელი და ღვთაება უკავშირდება მითრას, ხოლო სამირომი არის მითრას საპირისპირო, ბოროტი ღვთაება, რაც გამორიცხავს მათ იგივეობას.

ამირანის ეპოსს ახალქალაქის ამირანის გორა დაუკავშირა 1898 წელს აგრეთვე ივ. როსტომაშვილმა და მანვე მოიყვანა ამ თქმულების ერთ-ერთი უძველესი ჯავახური ვარიანტი (Ростомов, 1898:32)

მოვიყვანთ ამირანის თქმულების ჯავახურ ვარიანტს, რომელშიც კარგად ჩანს ამირანის გორის სახელდების მოტივაცია: „ამირანი დიდი გმირი ყოფილა. ამირანი ქრისტეს მონათლული იყო. მეერე ისე გათამამდა, რო თაეი ნათლიასთანაც კი დიეჭიდა და ნათლიამ მეერე ამ გორაზე მიაბა და იეხლა იქ არი მიჯაჭული. იმას ერთი პიტია ყამს, ლოკამს,

ლოკამს ე პიტიკა ამ ჯაჭვს და გაწყვეტაზე რო მიდის, მიდიან მჭედლები და ისევე ასქელებენ.

ერთხელ ერთმა კოთელიელმა კაცმა დამირჩები წაიყვანა, რო უნდა გიერთავისუფლებინა, მაგრამ წესი იესე იყო: გზაში არც უკან-ნა მიეხედნათ, არც ვისმენა დაძლავარაკებოდნენ.

ამირანის გორის კარი ხუთშაბათს იღება და, ამ დღეს ცოლი რო გააბრაზამს ამ კაცს და დაუწყენს კითხვას, – რა გინდა, კაცო, სად მიდიხარო? – მეერე კაცი იძულებული გახდება, ხმა გიეცა თავი ცოლისთვის და, ამირანი გორასთან რო მივლენ, ამ კაც და დამირჩებ კარი დაკეტილი დახვდათ.

იემანდ, ახალქალაქთან, ამინარი გორას რო ეჩახიან, იესლა მანდ არი ამინარი მოქცეული. იესე შეაცდინა ი კაცი და დამირჩები თავი ცოლმა და იმი შემდეგ ამინარი გორა ახლაც დაკეტილია (გიგინეიშვილი., 1961:337)“.

ამირანის თქმულების ერთი ვარიანტით ამირანს გადადგმული აქვს გორა, რომელსაც ცოცხლად წარმოადგენს ხალხი:

ამირანი „ერთხელ მივიდა გორსთან:

– გორაო, შენ გორა ხარო, მე ვერ დაგეჭიდებო, გორაო ეს ღონე საიდან მამეციო?

გამოიქვაბა გორა, შევიდა ამირანი, იარა და ნახა, რო შიგ ერთი გამოქვაბულია და მჭედლები იარაღს ჭედებენ (ზედგინიძე, 1969:155)“.

ამ გორაში მიაჯაჭვებენ მჭედლები ამირანს, რომელსაც შემდეგ მონადირეც ვერ უშველის: „დღესაც, ამბობენ, რო ამინარ გორა ადგიაო, ახალქალაქში რო გორა არი, იმ გორაშიო... (ზედგინიძე, 1969:157).

ამირანის თქმულების შემქმნელთათვის ჯავახეთის არც სხვა გეოგრაფიული პუნქტები იყო უცხო: „ამინარის საომარი ალაგები იყო თავფარავანის ტბაზე და აბულის მთაზე“ (გ.ზედგინიძე, 1969:154)

სადავო არ არის, რომ ამინარი ამირანია და მეტათეზისის გზით არის მიღებული. მთქმელი ერთ შემთხვევაში მჭედლებს მოიხსენიებს. მჭედლები მიდიან და „ისევე ასქელებენ“, ხოლო შემდეგში შემოაქვს თურქული სიტყვა „დამირჩი“, რაც ასევე მჭედელს ნიშნავს.

ეს ვრცელი ამონაწერი იმისათვის მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, სახელი დაერქვა მითოლოგიური გმირის გამო. ჯავახი კაცის ფსიქოლოგიაში კავკასიონი ძალიან ზოგადი და შორეული მთები იყო მითოლოგიური გმირის ცხოვრების ადგილის, გარემოს შესაქმნელად. როგორც ითქვა, არც სიდიდით არის გამორჩეული ეს გორა. თუ ჩვენ ანალოგიის გზას მივყევით, რომ კავკასიონზეა მიჯაჭვული ამირანი, სხვა რომელიმე მთა უნდა აეღოთ სახელმძღვანელებს ამირანის გორად თუ მთად, ვთქვათ, აბული, გოდორები, თაგვეთილი და სხვა, რატომ მაინცდამაინც ახალქალაქის თავში მდებარე ეს გორა იქცა მითოსის ობიექტად?

ამირანის გორა გამონაკლისი არ არის. საქართველოს სხვადასხვა კუთხეს თავისი გორა აქვს ამირანის თქმულებასთან დაკავშირებით. მაგალითად: თუშები და კახელები ამირანის მიჯაჭვის ადგლს ამირანის მთას უწოდებენ (მ. ჩიქოვანი), ხოლო მყინვარწვერის მახლობლად ბეთლემში, არის მ. ჩიქოვანის მიხედვით, ამირანის ქოხი. სხვაგან კი საყორნის მთაზე მიუჯაჭვიათ ამირანი (ჩიქოვანი, 1963:42) „ლაშხეთში უჩვენებენ უზარმაზარ კლდეს – ჭითხაროს, რომელიც ამბროლაურსა და ლაშხეთს შორის მდებარეობს. ამბობენ თითქოს ამ კლდეში იყოს ამირანი დაბმული (ონიანი, 1969:152)“.

ამგვარად, ჯავახეთის ამირანის გორა უეჭველად უკავშირდება ამირანის მითოსს. როდის შეიქმნა თქმულება ამირანზე?

ამირანის თქმულება ასახავს ჩვენი ისტორიის უძველეს პერიოდს. იგი „ლითონის წარმოების ხნის ეპოსებია, სადაც პოეტურად ასახულია ადამიანთა მიერ საწარმოო მიზნებისათვის ცეცხლის გამოყენება (ჩუბინიშვილი, 1963:13)“.

ამირანის ეპოსი იმ მასშტაბისაა, რომ შეუძლებელია მას, გარდა ლიტერატურისა და ზეპირი გადმოცემებისა, არქეოლოგიაში არ დაეტოვებინა თავისი კვალი, მართლაც ამირანის თქმულებას მივყავართ იმ ძეგლებთან, რომელნიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლით თარიღდება: მცხეთის ბრინჯაოს სარტყელი, თრიალეთის ვერცხლის თასი, ყაზბეგის განძი და სხვა (Мифы народов мира, 1998:68).

მითონიმი ამირანი არის თუ არა ის სახელი, რომელიც შეიქმნა მითის შექმნასთან ერთად? ამ საკითხს სპეციალუ-

რად შეეხო ივ. ჯავახიშვილი. მისი აზრით, რადგან თქმულე-
ბაში თითქმის ყველა მოქმედი პირის თავდაპირველი სახე-
ლი შეცვლილია და დამახინჯებული, „იქნებ თვით მიჯაჭვე-
ლი გმირის სახელიც წინათ ამირანი კი არა, არამედ სულ
სხვანაირი იყო? (ჯავახიშვილი, 1970:198)“. ირანული აპრიმინი
არ მიაჩნია ივ. ჯავახიშვილს შესაძლო წინა სახელად. მისი
აზრით, შესაძლებელია ამიქრანი, მიქრანი, რომელიც შეიძ-
ლება მითრადან მოდის, ყოფილიყო ამირანის წინა სახელი
(იჯავახიშვილი, 1970:199). ასევე სამეგრელოში დადსტურებუ-
ლი არამ-ხუტუ შეიძლება ყოფილიყო ამირანის წინა სახელი
(ჯავახიშვილი, 1970:199).

მითრას კულტს საქართველოში სპეციალური შრომა მი-
უძღვნა სერგი მაკალათიამ. მითრას კულტი არ იყო უცხო სა-
ქართველოსთვის, მით უმეტეს, რომ „მითრაიზმი წარმართუ-
ლი მოძღვრების უკანასკნელი და უძლიერესი სიტყვა იყო;
მისი მკვლევარნი ერთხმად გვარწმუნებენ: წარმართულ
მსოფლიოს ქრისტიანობა რომ არ მოვლენოდა, კაცობრიობა
მითრას იწამებდაო (მაკალათია, 1973:3)“.

მითრასა და ამირანის ღვთაებათა კავშირის ივ. ჯავა-
ხიშვილისეულ ვარიანტს კიდევ უფრო აძლიერებს ს. მაკა-
ლათია და მითრა-ამირანის და წმ. გიორგის საერთო წარმო-
მავლობას ამტკიცებს. ამგვარად, ამირანი, როგორც მითონი-
მი, მოვიდა ჩვენამდე ამირანად, ხოლო როგორც ხვთაება –
წმ. გიორგის სახით. ამირანის მითრას სახელის ვარიანტები
ჩვენს ისტორიაში დასტურდება მიქრანის, მირიანის, სომ-
ხურში მჭერის სახით (ივ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია), მათ
დაემატება ქართული მითოლოგიური პანთეონის მითრაც
(მაკალათია, 1973:19), აგრეთვე – მიქრ-დატ, მიქრ, და „ჩვენში
დამკვიდრებული თვის სახელიც „მიპრაკანი“ – მითრას, მიპ-
რის თვე (პ. ინგოროყვა) (მაკალათია, 1973:18)“.

მთავარია, რომ ამირანის წინა სახელი მხოლოდ ფონე-
ტიკური წინა ვარიანტია და არა განსხვავებული მნიშვნე-
ლობის მქონე სხვა სიტყვა.

ჯავახეთის ამირანის გორა იმითაც არის მნიშვნელოვანი,
რომ მითონიში ამირანი ტოპონიმიში დასტურდება დოკუ-
მენტურად მე-18 საუკუნეში და ამის შემდეგ უწყვეტად არსე-
ბობს ეს სახელი, ხოლო ქართულ სინამდვილეში „ამირანის
თავგადასავალი ყველაზე ადრე XII საუკუნის მწერლის მო-
სე ხონელის „ამირან-დარეჯანიანში“ არის დაფიქსირებული

(მ. ჩიქოვანი), თუმცა ეს არის ლიტერატურულად გადამუშავებული და განსხვავებული ვარიანტი.

რაც შეეხება ამირანის მსგავს ბერძნულ-კავკასიურ სიუჟეტებს, მათ ბევრად უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს.

„ცნობილი, რომ ბერძენთა და ქართველთა თქმულებები მიჯაჭვული გმირის შესახებ დასჯისა და მიჯაჭვეულობის ადგილად კავკასიონის მთას ასახელებდა. ბერძენ ავტორთა მოწმობიდან ჩანს, რომ ასეთი გადმოცემა უკვე V ს. ქ. წ. არსებობდა, ხოლო II ს. ქ.წ. იმ ადგილსაც ასახელებდნენ და ნიშანდობლივ უჩვენებდნენ კიდევაც, სადაც კავკასიონის მთავრი ქედზე ეს გმირი იყო მიჯაჭვული (მ. ჯავახიშვილი)“.

შ. ნუცუბიძის მიხედვით ძვ.წელთაღრიცხვის III საუკუნის პოეტი აპოლონიოს როდოსელი მიუთითებს, რომ საბერძნეთიდან ჩამოსული მოგზაური პრომეთესთან ერთად უკვე იცნობენ ამირანის სახელს და ამარანტის მთაში კითხულობს ამირანის სახელს (ჩუბინიშვილი, 1963:11).

შ. ნუცუბიძეზე დიდი ხნით ადრე 1849 წელს ამარანტი ამირანის მთას დაუკავშირა სულხან ბართაშვილმა გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილ სტატიაში (ჩიქოვანი, 1963:43).

ამირანის სიუჟეტის მსგავსი ამბავი მოთხრობილი აქვს VIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს მ. ხორენელს, რომლის მიხედვით ამირანის ნაცვლად სომეხთა მეფე არტავაზდია მიჯაჭვული მასისის (არარატის) მთაზე (ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ ეს ჩვენს მითონიმს არ ეხება, რადგან, როგორც სიუჟეტის ელემენტები, ასევე სახელი განსხვავებულია.

ამირანის თქმულების სხვა ქვეყანათა სიუჟეტებთან დაკავშირებით კიდევ მრავალი აზრიან გამოთქმული ქართულ ამირანოლოგიაში. საკითხის კვლევის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სიუჟეტის კავშირი ბერძნულ სამყაროსთან, ხოლო სახელისა—სპარსულთან, გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს. ეტყობა, ეს სიუჟეტი არც სპარსულისთვის იყო უცხო. „საქართველოში ერთნი ბერძნული თქმულების ანარეკლად წარმოადგენენ, მეორენი — სპარსულისა, მესამენი კი ქართული წარმოშობისად თვლიან. შედარებითმა კვლევა-ძიებამ საკითხი სულ სხვაგვარად მოაბრუნა. აღმოჩნდა „მოარულ ფაბულთა“ მთელი წყება, რომელიც მთელ ქვეყანაზე არის გავრცელებული და ძნელია ჯერ გადაწყვეტილი იმის თქმა, თვითჩასახვის გზით შეიქმნა ასეთი მსგავსება თუ არსებობდა რაიმე პრა-სამშობლო, საიდანაც ხალ-

ხთა წასვლა—წამოსვლასთან დაკავშირებით ეს ფაბულაც შეიქმნა (კოტეტიშვილი, 1967:336-337).“

ასეთ სიძველეებთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ამირანის გორა.

აზერბაიჯანული ეპოსის გმირის სახელი ქართულ ტოპონიმიში

ქოროღლის სახელით ორი მთა არის ცნობილი სამცხე – ჯავახეთში. ერთი ნინოწმინდის რაიონში და მეორე ასპინძის რაიონში. სახელი დაკავშირებულია აზერბაიჯანულ ეპოსთან. „ქოროღლის ეპოსის სამშობლო აზერბაიჯანია, სადაც მისი შექმნა განაპირობა მე-16 – მე-18 საუკუნეების მძაფრმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ. აზერბაიჯანიდან შესულია იგი ამიერკავკასიისა და შუა აზიის ხალხებში და მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ჩამოყალიბებულია ეპოსის თორმეტამდე ნაციონალური ვერსია (ჩლაიძე, 1978:5)“.

ქოროღლის ეპოსი სამცხე-ჯავახეთში იყო გავრცელებული არა მარტო თურქულენოვან მოსახლეობაში, არამედ ქართულშიც. ამირანის ეპოსისაგან განსხვავებით, მას მღეროდნენ კიდევც. ლექსად იყო შექმნილი, ამიტომ გმირული ეპოსის ეს ძეგლი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა აშუღებში, აშუღური პოეზია აუცილებელი ატრიბუტი იყო მე-19 – მე-20 საუკუნეების სამცხე – ჯავახეთის ცხოვრებისა. გარდა სპეციალურად მოწყობილი აშუღური შეჯიბრებისა, როდესაც სიმღერა სრულდებოდა საზის თანხლებით, მას მღეროდნენ ქორწილებში და წვეულებებზე, ქოროღლის ეპოსი ქართულ სინამდვილეში მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგი არ არის: „ყვილობაშური ტომების მოძალეხას ქოროღლის სახელიც რომ მოჰყოლია თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის „შუქურა ციხეს“, რომელსაც ძველად აგართა ციხე რქმევია და რომელშიც თამარ მეფე გარდაცვლილა, ხოლო მე-15 საუკუნეში „კოჯრის ციხე ეწოდებოდა, „ქოროღლი“ დაურქმევიათ. ამ სახით გეხედება იგი იმ ცნობებში, რომლებიც მე-19 საუკუნის თბილისური პრესის ფურცლებზე იბეჭდება ქოროღლის

ეპოსთან თუ მისი გმირის ვინაობასთან დაკავშირებით (ჩლა-
იძე, 1978:25-26)“.

ეპოსის პოპულარობის გამოძახილია 1897 წელს ი. ალხა-
ზიშვილის ჯავახეთში მოგზაურობის ის ადგილი, როდესაც
მოიხსენიება ეპოსის გმირი: „ზაფხულის მზის ცეცხლებრ
სხივებმა ჩვენც გაგვითბო გული და აღგვიძრა სურვილი
მოგზაურობისა. „ზამთარში ბარი, ზაფხულში მთაო“. ამ ბუ-
ნებრივ კანონს სიამოვნებით დავემორჩილეთ და ბარიდან
მთისაკენ გავეწიეთ. იმ მთისაკენ, რომელიც წელიწადში
ცხრა თვეს სთვლემს, სამ თვეს ცოცხლობს. ხალხის გმირი
ქოროღლი უმღერის ამ თრიალეთის მთებს

„სამ თვეს პატარძლად მორთულო,
მთანო ცხრა თვეს დათოვლილო (ალხაზიშვილი,
1978:17)“.

ამირანის მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ მთას ერქმევა
ეპოსის გმირის სახელი. ეპოსის სიუჟეტის სხვადასხვა ადგი-
ლი დააკავშირა ამა თუ იმ მთას. მაგალითად: ასპინძის რაი-
ონის ქოროღლის მთაზე გმირის ცხენი აბია, რომელიც ისე-
თივე ძლიერია, როგორც პატრონი, მას ასპინძაში ქოროღ-
ლის მთა კქვია, ხოლო ნინოწმინდაში მხოლოდ – ქოროღ-
ლი. მოსალოდნელია, რომ საზღვარი პირველ შემთხვევაშიც
დაიკარგოს. სხვა შემთხვევაში, როდესაც ეპოსის გმირის სა-
ხელი დაერქვა მთას (ამირანის გორა), არც ქართულ ნია-
დაგზე და არც უცხო ენობრივ გარემოში საზღვრულდაკარ-
გულ მსაზღვრელად არ დარჩა, ე. ი. არ შეიძლება გორას
მხოლოდ ამირანი დაერქვას. საფიქრებელია, რომ ქოროღ-
ლის შემთხვევაში საზღვრულის დაკარგვის ფაქტი თვით
თურქულ ნიადაგზევე უნდა აიხსნას. სიტყვა ოღლი (შვილი)
საკმარისია სახელდების დროს, რადგანაც საზღვრულის მა-
გივრობას ეწევა. მსგავსი მაგალითები, ოღონდ უკვე არა
ეპოსთან დაკავშირებული, გვაქვს მესხეთის ტოპონიმიაში:
მოიღოღლი – ნასოფლარი ასპინძის რაიონი, მურადოღლი –
ტყე წყალთბილა, სელიმოღლი – ყანა სხვილისი, მურადოღ-
ლი – სათესი წყრუთი, ჩახალოღლი – ყანა საძეღი. სახე-
ლებთან – ოღლი გვარს არ აფორმებს, მას აქვს შვილის
მნიშვნელობა ისევე, როგორც თვით ქოროღლი გვარი არ
არის, ბრმის შვილს ნიშნავს.

ივანე გვარამაძის ონომასტიკური მემკვიდრეობიდან

ივ. გვარამაძის მდიდარი მემკვიდრეობიდან ბევრი ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა. ამ მხრივ საინტერესოა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ფონდში დაცული ხელნაწერი, რომლის ნომერია 2102. ხელნაწერი 39 გვერდიანია. მას აკლია დასაწყისი და სათაური. იგი უთარიღოა და არც თხრობისას მიუთითებს ივ. გვარამაძე მოგზაურობის წელს. შეიძლება, თავფურცელის იმ ნაწილში იყო თარიღი მიწერილი, რომელიც აკლია.

ავტორმა ეს მოგზაურობა აღწერა ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებშიც – „ვინმე მესხის ცხოვრება“, რომელიც დაწერა 1891 წელს. ამ შრომიდან ვგებულობთ, რომ ივ. გვარამაძე კონსტანტინეპოლში (სტამბოლში) „გაპარვით“ წავიდა, უბილეთოდ და უპასპორტოდ.

„ვინმე მესხის ცხოვრებაში“ ავტორი წერს: „აქ მოკლედ ესწერ, ვრცლად იქ მაქვს დაწერილი (გვარამაძე, 1891:183)“. ეს „ვრცლად დაწერილი“ სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერია, რომელიც 1891 წელს ადრეა შექმნილი. მათში მოგზაურობის ბევრი პასაჟი ემთხვევა, რაზეც აღარ გავაგრძელებთ.

მართალია, „ვინმე მესხის ცხოვრებაში“ მისი სტამბოლში მოგზაურობის კონკრეტული თარიღი არ არის მითითებული, მაგრამ დედის გარდაცვალებისა და ივანეს თბილისში ყოფნის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ, რომ მან სტამბოლში იმოგზაურა 1859-1860 წლებში. 1859 წელს ივ. გვარამაძის სტამბოლში გამგზავრებას ადასტურებს ნ. ყრუაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში (ყრუაშვილი 2002). შ. ლომსაძე სტამბოლში წასვლის თარიღს არ ასახელებს, ჩამოსვლის დროდ კი 1860 წელს მიიჩნევს, როცა წერს: „1860 წ. სტამბოლიდან მობრუნებული ივანე თბილისში ვრცელი მოხსენებით წარუდგა პრელატ ორლოვსკის (ლომსაძე 1995:33).“

შინაარსის მიედვით ჩვენ იგი პირობითად დავასათაურებთ ასე: „აღწერა მესხეთისა და სტამბოლისა.“ სათაურის პირობითობა განსაზღვრულია იმითაც, რომ თხსულება მხოლოდ „აღწერა“ არ არის, ე. ი. მოგზაურის ჩანაწერებით კი არ

კმაყოფილდება ავტორი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, სწორ მეცნიერულ გამოკვლევასაც გეთაყვაზობს. მაგალითად, ივ. გვარამაძე აღწერს ჭანეთს და მის დედაქალაქს ტრაპიზონს, ამავე დროს ახასიათებს ჭანურს შემდგენაირად: „ენაცა არს ჭანური, რომელიც ძალიან ეახლოება მეგრულსა, მხოლოდ ამით ირჩევა, რომ ჭანნი თათრულს ხშირად ურევენ საუბარში, ყოველნი კი ერთობ სამეგრელოს ხალხს ჰგუანან სახით და ტანით“.

ივ. გვარამაძის მიხედვით სამცხე მესხეთის სინონიშია და ხშირად ეწოდება კიდევ ზემო ქართლს. ავტორი იძლევა სამცხის საინტერესო ეტიმოლოგიას: „სამცხე წოდება ნიშნავს მცხეთის სამხედრო თემს, გინა მცხეთაზედ მიერთებულ ქვეყანასა, რომელსაც ვეტყვით სამცხეთოდაც. ეს არის უძველესი წოდება ამ ქვეყნისა დასაწყისითგან დღევანდელამდე“. სამცხის ეტიმოლოგიის თაობაზე ბევრი მოსაზრება არსებობს, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული და ბოლომდე პოპულარული არის სამცხის მესხეთიდან (სამესხე) მომდინარეობა, რომელიც მე-19 საუკუნის 50-იან წლებში წამოაყენა პლატონ იოსელიანმა.

სამწუხაროდ ივ. გვარამაძის მოსაზრება, რომელიც იმავე პერიოდში ყალიბდება, რომ სამცხე მოდის სამცხეთოდან, არც კი დაბეჭდილა და ამდენად იგი სამეცნიერო მიმოქცევაში ბოლომდე არ ყოფილა, სამაგიეროდ 21-ე საუკუნის დასაწყისში ქართული ტოპონიმიის ცნობილი მეკლევარი ბატონი გ. ბედოშვილი წერს: „სამცხე უეჭველად მომდინარეობს ტერმინ სამცხეთო -საგან, რომელშიც შესანიშნავად არის ასახული იბერიის სამეფოსა და მცხეთის საეკლესიო ხელისუფალთა ენერგიული ბრძოლის ის უმძაფრესი პერიოტიები, რომელსაც ისინი ეწოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული ტერიტორიების შემოსართებლად“. ივ. გვარამაძის ამავე შრომაში ვხვდებით ვახუშტისეულ გამარტებას სამცხისას, რომ „სამცხე წოდება მიღებულია სამციხეზედ, რომ სამი ციხე მდგარა“...

საინტერესოა ტენდენცია, რომელსაც არ გამოკვეთს ივ. გვარამაძე, მაგრამ ქვეტექსტში იგრძნობა, კერძოდ, პროვინციის რომელიმე ადმინისტრაციული ცენტრის სახელი ვრცელდება მთელ მხარეზე. ამის ცოცხალი მაგალითი მოჰყავს ავტორს, რომ სამცხე ზოგადი ტერმინია, ნიშნავს მესხეთსაც, საათაბაგოსაც და ახალციხეს. ეს უკანასკნელი

ტერმინი მიმოქცევაში ვეღარ დამკვიდრდა, თორემ ბუნებრივი გაგრძელება უნდა ყოფილიყო: მესხეთი - ტაო-კლარჯეთი - ზემო ქართლი - სამცხე - საათაბაგო//სამცხე და ახალციხე. ასეთი რამ მესხეთის შიდა პროვინციებს ახასიათებდა: ცენტრი ერუშეთი და პროვინცია ერუშეთი; შავშეთი შავშეთი; არტაანი - არტაანი და სხვა.

ივ. გვარამაძე აღწერს სამხრეთის პროვინციებს და, როგორც თვითონ უწოდებს, „ქალაქ-დაბებს“, ამ პროვინციათა ცენტრებს. ახასიათებს ამა თუ იმ კუთხის ბუნებრივ პირობებს, მოსახლეობას, სოფლის მეურნეობას და სხვა.

თავისი თვალით ნანახის გარდა ივ. გვარამაძე წერს ხშირად სხვა ავტორებზე დაყრდნობით, ეს ავტორები კი ქართველთა გარდა არიან სომხები, ბერძნები და სხვანი. მესხეთის თითოეულ კუთხეს, გარდა გეოგრაფიული აღწერისა, ავტორი ახასიათებს იმის მიხედვითაც თუ როგორი ბუნებრივი პირობებია, რა სახის მოსავეალი მოდის, ვინ ცხოვრობს და ა.შ ამ შემთხვევაში იგი ვახუშტი ბატონიშვილის გზას აგრძელებს.

სამცხისა და მისი ცენტრის ახალციხის აღწერისას ვკითხულობთ: „როგორც ახალციხეში ეგეთი კეჟერი (კომბოსტო) დაიწრდება, რომ თვითო ზოგიერთი ერთ ფუთზე მგეტი მოდის. აგრეთვე ბოლოკი და ჭარხალა ათ გირვანქაზე მგეტი.. დოლი და ჭუავი (რომელთა ხუარბალს ესახიან); ასლი (საკორკოტე), დიკა, ქერი, სიმინდრო, ლობიო, ცერეცო, ოსპი, სელი, ქვიშნა, ღომი და მასთან მრავალნაირი ხილნარი: ვაშლი, ბია, ატამი, წირანი, ქლიაეი, ჭანჭური, ტყემალი, ღოღონაშო და მისთანანი მრავალნი, ზეთისხილი, ყურქენი, ბჟოლა (თუთა) და მისთანანი, რომელთა სიმსხო ფერისა, გემოსი და სუნისა ძნელად მოიძვეის მთელ საქართველო სასომხეთში.“

განსაკუთრებით საინტერესოა მესხეთის ისტორიისათვის ის ეთნიკური სურათი, რომელსაც ვინმე მესხი ხატავს მე-19 საუკუნის შუა წლებისათვის. წარმოაჩენს ყველა ტომსა თუ ეროვნებას და გახაზავს ქართულის პრიორიტეტს. „მემკვიდრენი არიან აწ მართმადიდებელნი, კათოლიკენი, მაგრამ ყოველთგან უფრო შემცირებულნი; სომეხნი, მაჰმადიანნი, თარაქამანნი, ქერთნი, ბოშანი და მისთანა შემორეულნი გვარნი. ძირითადად მცხოვრებთ ბევრით სჭარბობენ. როგორც ძველი მცხოვრებნი ყოველნაირად ზნეობაში თუ ჩვეუ-

ლობით ქართველთაგან არ განირჩევიან და ხანდისხან აღ-
მოაჩენენ უადრესობასაცა, აგრევე გარეშე შერეულნი ყო-
ვითურთ განსხვავებულ არიან მათგან დღე დამესავით.
ქართული ენა პირველ პატივდებაში მიღებულია კიდევ, შემ-
დგომ თათრული, ქაჯური, სომხური, ქურთული და ჭანური".
სამცხის ქალაქთაგან აღწერილია, ახალციხის გარდა აწყვე-
რი. ჯაეახეთი ნაჩვენებია მისი ცენტრით ახალქალაქით.
ახალქალაქის ციხეზე, რომლის ნანგრევებიდაა დღეს, ნათ-
ქვამია: „ციხე არს ახალციხესთან მეორე მრთელს საქართვე-
ლოში სიდიდითა და სიმაგრით“.

ახალქალაქი დღეისთვის დემოგრაფიულად ერთგეარია.
ქალაქში და მის შემოგარენში მკვიდრობენ სომხები. მე-19
საუკუნის 60-იან წლებისთვის კი სხვაგვარი სურათია: „ხო-
ლო გარემო სოფლებში მკვიდრობენ ძირითადად მართმადი-
დებულნი, ველელნი კათოლიკენი, გამაჰმადიანებულნი ჯაეახ-
ნი“. ველელნი კათოლიკენი, როგორც ცნობილია, კარტიკამ-
სა, ბაერასა და ხულგუმოში სახლობდნენ და სახლობენ,
რომელნიც შემდეგ გასომხდნენ. გამაჰმადიანებულ ჯაეა-
ხებს ენა ქართული ჰქონდათ. ასე რომ მე-19 საუკუნისათვის
ქართული გარემოა ჯაეახეთში. თრიალეთის „ქალაქ-დაბად“
გამოცხადებულია თავფარაფანი. გამოყოფილია ხერთვისი
თავის მაჰმადიანი მესხებით და ებრაელებით.

ქუაბლიანის ცენტრი ყოფილა „ქალაქ-დაბა“ უღე. ქუაბლი-
ნის მოსახლენი არიან ძირითადად კათოლიკენი და გამაჰმადი-
ანებულნი მესხნი. ზარზამში კი, როგორც ჩანს, ქანდაკება
ყოფილა, უკვე იავარქმნილი, იქნებ წარმართულიც: „ამ ზარ-
ზმის ეკლესიის მისაველ გზას ქვეშ გდია აფროდიტოს კერპი
წელზე და მუხლებს ქვემოთ შემუსრული, აქედან ჰსწამს, რომ
ზარზმა ყოფილა ამ ბილწი კერპის საზევერელი“.

აღწერილია არტანანი და კოლა, არტანუჯი, იშხანი, „არ-
ტვინი“, ოპიზა, ფერდი. კლარჯეთს ისევე, როგორც ჯაეა-
ხებს, თრიალელთ, აჭარელებს, ცალკე ეთნიკურ ერთეულად,
კუთხედ გამოყოფს და წერს. მისი ცენტრი არის ლივანა.
„ესენი არიან კლარჯნი. საზოგადოდ ქალნი თუ კაცნი ლა-
პარაკობენ ქართულსა, ზოგან დედათა სრულად არ იციან
აჭარლის ქალებივით თათრული..... ლივანის ხალხი განთქმუ-
ლია გმირობით მთელ საოსმალლო საბერძნეთში, რომელნიც
მთლად დათათრებულან“.

ივ გვარამაძე გაგვიცოცხლებს ძველ ქალაქებს სინგოტს, ეისკიმს, პარხალს, რომლის შესახებ წერს: „აწ მკვიდრობენ დანათათრნი კლარჯნი. არიან ოციოდე მოსახლე ძირითადნი ქართველნი მართმადიდებელნი, რომელთა შუაეთ „მღუღელიცა“. აქეს აღწერილი პარხალის დიდებული ეკლესია.

აქვეა ოლთი, ფანაგი, ნარიმანი, „რომელსაც აქუს მცირევე ციხე, რომლის ზემო კლდის თავს ციცაბოზედ მოსახლეტი კლდე დაუბავსთ მსხვილის ჯაჭუით, რომ არ დაიტანოს ციხეო.. ამ ციხის ზემოთ არს ერთი ეკლესია, სადაც ფერისცვალობად მრავალნი ხალხნი მაჰმადიანნი ხშირად მოხდომილლი სასწაულების გამო დადის კრძალვითა“. აშკარაა, რომ ნარიმანის მაჰმადიანები დიდი ხნის მიქცეულები არ არიან, რომ მათ ხსოვნაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ქრისტე, რომ ისინი ჯერ კიდევ ფერისცვალობად ქრისტიანულ ეკლესიაში დადიან.

შავშეთში აღწერს ივ. გვარამაძე სათლელს, პარას, თორთომს, თეთრ ციხეს.

მაჭიხელის შესახებ წერს ივ. გვარამაძე: „ესენი აჭარელების გუარნი კაცი არიან. ამათი ნაკვეთები რკინეული, თოფი და მისთანა საჭურველი საქებარი არიან“.

ივ. გვარამაძე შესაშურ აღლოს იჩენს ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა, მათ მსგავსება-განმასხვავებელ ნიშანთვისებათა აღწერისას: „იმერხეველი, ზემო და ქვემო, ესეც ერთი ნაწილია აჭარისა და მაჭიხელისა, ხალხნი და ადგილიცა მათი მსგავსნი“.

ფოცხოვის ხეობის „ქალაქ დაბა“ ყოფილა დიდგირი, მკვიდრნი მთლად დათათრებულნი. ივ. გვარამაძე მეშეთულთ ხატავს. საინტერესოა, რომ ბეშუმის მთის მემთეულნი მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მხოლოდ აჭარელები არ ყოფილან: „გავიმძღვანე მოქირავე კაცი და შეუდეგ ბეშუმის მთასა. ამ მთებზედ ამოდიან ფოცხოველები, უდელები და არლელები. თათრის დროს თურმე ამოდიოდნენ ვალელებიცა, რომელთ სადგომებს ჯერაც ვალის მთას ეძახიან. იქ არის ერთი ნაოხარი, რომელსაც ნადუქნარებს და ნასაყდარს ეძახიან.“

ფოცხოვ-ბეშუმიდან მოგზაურის ჩანაწერებია უკვე, რადგან ივ. გვარამაძე ამ გზით ჩადის მთიანი აჭარის გავლით ბათუმში და იქიდან გემით მიემგზავრება სტამბოლში.

მესხეთის პროვინციების ხატვით ნათელი ხდება ჩვენთვის ის საველალო სურათი, რომელიც შეიქმნა საქართველოს ავბედითი ისტორიის შდეგად. მოიშალა სამხრეთის კედელი, ზღუდე საქართველოსი, ამიტომაც დასუსტდა ქვეყანა.

ქველი დიდების მოწმედ დგანან ქართული ეკლესია-მონასტერნი, კიხე-გოდოლნი. აღრეულა ენა, ჩვეულება, რჯული. დანაწილებულა საქართველო, მაგრამ იმდენად დიდი ყოფილა წარსული, რომ ნაშთიც კი „ქველი დიდებისა“ შთამბეჭდავია.

მიჰყვება აჭარის წყალს მოგზაური და აღწერს ბუნებას, გარემოს, ხალხს, ტრადიციას. თან პარალელს ავლებს, ადარებს საქართველოს სხვა კუთხეებს: „ბეშუმის მით აქამდისინ ორ-სამ რიგად მისდევდა ხევ-ღელე, რომელთ წყლები აქ გაერთდა და აწ ერთ ღრმა ხეეს დარუებულად მისდევს დაღმა, რომელი ხეფინის ხევის, ამაშუკეთისა და შროშის ძნელ სავალ ხევ-ღელეებზედაც უარესია“.

დანდალოს ხიდის შესახებ წერს: „აქ ხიდია ქუთკირისა ერთკამაროვანი... ქანდი თულისა თბილისის კუკიის ხიდის დიდი თულის ოდენა და სიმაღლით მისგან მაღალი.“ ან კიდევ: „მიწა ძალზედ ნაყოფიერია გურიასავით“, „ქედა შორაპნის ოდენია“ და სხვა... როგორც ჩანს, მოგზაურს მოვლილი აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხე და პარალელები დამაჯერებელია.

მოგზაურ მეცნიერს შესანიშნავი დიალექტურ-ეთნოგრაფიული აღლო აქვს. იგი განარჩევს ზემო და ქვემო აჭარას: „ზემო აჭარელები ზნეობით ლაპარაკის ნაირობით და სიმხნით ეახლოებიან უმფრო ქუაბლინის ხალხსა და ქვემონი კი მტკნარად გურიელებს ჰგუანან ყოველნაირად“.

ნაშრომიდან ჩანს თუ როგორი გაქანებით ინერგება და მტკიცდება ისლამი აჭარაში, გახსნილია სკოლები, მენყებები და სხვა. მიუხედავად ამისა აჭარელ ქალთა შესახებ ნათქვამია: „ქალებს ტანთ აცვიათ ოსმალურად და მათებრ ერიდებიან უცხოთა, თათრული ენა კი სრულიად არ იცინან... მოლები ქადაგებენ მთლად ქართულად. აჭარაში და ლივანში ქართულ მოლაპარაკეს ამბობენ 200 000.“

ბათუმის აღწერისას თვალწინ დაგვიდგება ზღვისპირა საპორტო ქალაქის მშენებლობის დასაწყისი პროცესი. ქალაქში ქვის სახლიც კი არა დგას ჯერჯერობით, მხოლოდ ხის ფიცრული სახლებია. ჭაობი, ციება, უვარგისი წყალი

და ა.შ. მაგრამ შენდება არხები, გადის გზები, აქა-იქ ქვით-კირის სახლიც კი გაჩენილა. „მემკვიდრენი და ვაჭარნი თითქმის სულ აჭარელები არიან“.

საქართველოს აგებლითი წარსულის შედეგი კარგად ჩანს საქართველო-თურქეთის საზღვარზე. რამხელა ენერჯია, სისხლი ჩააქცია ქართველობამ სხვისი ქვეყნის მიწა-წყლის, სახელმწიფოებრიობის განმტკიცება-გაძლიერებას. დგას ბათუმში მოგზაური საქართველოს მიწაზე, ელოდება „რუსის ხომალდსა“ და ეურს უბდებს ოსმალს ჯარის ქართულ სიმღერებს, იმ ოსმალს ჯარისა, რომელსაც ჩვენ არა ერთხელ აუწიოკებივართ. სიმღერების, საერთოდ ფოლკლორის უზადო მცოდნე და შემკრები მეცნიერი აღფრთოვანებულია ამ სიმღერებით: „საღამ-საღამობით გამოდიოდა ოსმალს ჯარი და იმღერიდნენ ქართულად ისეთი შეწყობილი ტკბილის შებანობით, რომ მისთანა საიმერეთო საქართველოშიც არსად გამეგონა“.

აღწერის დროს მოგზაურ-მეცნიერი არ უშეებს ხელიდან შემთხვევას, რომ ისტორიული რეალიები თუ ექსკურსები არ გამოჩინეს. როგორც ზემოთ ითქვა, სამცხეს და მესხეთს აიგივებს ავტორი, ტრაპიზონში შესული კი წერს: „ტრაპიზონამდის, რაც ნავსაყუდელნი არიან, ბთუმიანად, სამცხეს აკუთენიან“.

დღეისთვის კოლხეთის, მეგრულ-ჭანთა საეთო დედაქალაქი არ ასებობს. ვინმე მესხი წერს: „ტრაპიზონი დედაქალაქია მენგრელთა და ჭანთა, ძველად ნაწილივე საქართველოსი. ჭანეთი რომელსედაც შემდგომ სხუა და სხუა ნათესავთ იუფლეს და უფლობენ დღესაც, ძველად იწოდებოდა ქალხიდი ქართლად“.

ტრაპიზონი, მეგრულ-ჭანთა დედაქალაქი, ვინმე მესხის აზრით არის საზღვარი მესხეთისა, უფრო სწორედ, ტრაპიზონის შემოგარენამდე უწევდა მესხეთის დასაველეთის საზღვარი, რომელსაც შემოსაზღვრავდნენ ჩვენი მემბტიანენი ლეონტი მროველი თუ ვახუშტი, ოღონდ უფრო ზოგადად და „ზღვამდეო“ მიუთითებდნენ.

ასევე სწორია ეთნიკური სახელის ჭანეთისა და ლაზეთის იგივეობა, რასაც ივ. გვარამაძე აღიარებს. ასევე სწორად მიუთითებს – სტან სუფიქსის არაქართულობას, როდესაც ჭანეთის ოსმალურ სახელს – ლაზისტანს მიუთითებს. ჩვენთვის საინტერესოა ჭანეთის ივ. გვარამაძისეული შემო-

ფარგელა, რომ „სიგრძე ჭანეთისა დაწყებული არზრუმით და ათინით არის ექუსი დღის სავალი სამსონამდინ, რომელიც მოიცავს თავისში ამ ქალაქ-დაბებსა: ირისას, სურმანას, ოფას, ტრაპიზონს, ტრიპოლის, გირასონს, რომელ არს ფარნაგია... რომელშიც 150-ზე მეტი სოფელია. თვითქმის ყოველ სოფელში ბერძენთა და ჭანთა მართმადიდებელნი მიძევა...”

ამის შემდეგ მოგზაური დეტალურად აღწერს ტრაპიზონს, მის ყველა შესასვლელ კარს, ქუჩას და ა.შ. კალათას, რომელიც დღეს სტამბოლის ერთი უბანია მხოლოდ. კალათა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დამოუკიდებელი ქალაქია, ამიტომ ასევე დეტალურად აღწერს მასაც მოგზაური.

ნაშრომის 60 პროცენტი ეძღვნება სტამბოლის აღწერას. ეს არის შესანიშნავი აღწერა თითქმის საუკუნენახეკარის წინ ქალაქის სასახლეებისა, ქუჩებისა, უბნებისა, მეჩეთებისა, ეკლესიებისა, მოსახლეობისა. ივ. გვარამაძე, მაჰმადიანურ ტანსაცმელში (როგორც თვითონ ამბობს, ახალციხურად) გამოწყობილი შედის აია სოფიის ტაძარში, რადგან მისი ქრისტიანობა რომ შეეცყოთ, კარგი დღე არ დაადგებოდა და აღწერს ამ დიდებულ ტაძარს დეტალურად.

წარმოაჩენს სასახლეების კველ ბერძნულ-ლათინურ წარწერებს. გვაწვდის სხვა ავტორებზე დაყრდნობით ამა თუ იმ სასახლის აგების დროის შესახებ ცნობებს. ოსმალეთა მბრძანებლების საფლავების აღწერის დროს მათ დამსახურებასა და ცხოვრების თარიღებზე მიუთითებს.

უაღრესად საინტერესოა შენიშვნები, რომელსაც ავტორი სხვა და სხვა ადგილას აკეთებს. მაგ. 25-ე გვერდზე ასეთი შენიშვნაა: „ოსმალოს რომ ახალციხე აუღია, მას მერედ გადმოსულან ახალციხითგან, აწყურითგან, ხერთვისითგან და ოძრხე - აბასტემნიდან, აგრეთვე გოკითგან და ბარაღეთითგან მრავალნი მესხნი კათოლიკენი, რომელთაც ქსდებენ 1 500 მოსახლეზედ მეტს. ამათგან მრავალთ შეუშლელად დაუცვიათ თავიანთ გუართ წოდებანი, როგორნიც არიან ღებრიანთნი, გურგენიძენი, აზნაურიძენი, მესარკიანთნი, ლებაძენი, და სხუაცა მრავალნი.”

ან კიდევ 42-ე გვერდზე, იქ, სადაც ოსმალთა ტრადიციულ დღესასწაულზეა ლაპარაკი, ავტორი შენიშნავს: „ამ დიდებულ დღეებში შეირთავს ხოლმე ოსმალოს ხელმწიფე თვითონ ცოლს ყოველწლივ, ე.ი. წელიწადში სამსა”.

-თანინანი ფოტოები ივ. ბვარამაძის „ვინმე მესხის ცხოვრების“ მიხედვით

ივ. გვარამაძის „ვინმე მესხის ცხოვრება“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. მასში მე-19 საუკუნის ბევრი ცნობილი და უცნობი ადამიანია მოხსენიებული, რომელთა გვარებისა თუ მეტგვარების ანალიზი საინტერესო სურათს იძლევა.

ივანეს მამას ორი პირი ცოლშვილი გამოცვლილი ჰყავდა, როცა მოიყვანა მესამე ცოლი, რომელსაც უკვე ქმარშვილი ამოსწყვეტოდა.

ზაქარათ ბაღდასარას ძის გასპარას სახლში მივიდა პაულე ზედსიძედ. ივანეს დედის მამას ერქვა ზაქარათ გასპარა, ხოლო მისი პაპა დედის მხრიდან იყო ზაქარათ ბაღდასარა.

55 წლის იყო მამა, როდესაც ივანე დაიბადა, დედა – 25 წლისა.

„ასე დაფეთებით ეუყვარდი პაპაჩემიანთსა სულ ყველას, უფრო პაპაჩემის დედას რისიძას, უდელი მამასახლისიანთ ქალს დიდიაჩემს ანას, უდელ კეჭერათ ქალს და მის შილს რისიძას, ვალელ ჯანათ ქალსა“. ივანეს დედის პირველი ქმარი იყო ახალციხელი სადათიერათ იოანე” (გვარამაძე, 1891:12), რომელსაც 9 წლის განმავლობაში შეეძინა ორი ეავი და ერთი ქალი, მაგრამ მთელი ქმარ-შვილი დაელუპა.

ივანეს დედის ბიძაშვილი მიათხოვეს ხიზაბავრელ ხუციანთ ანტონ მღვდლის ძმისშვილს. „უდელი პეტრეთ თომა შემოიყვანეს სახლში მოძმედ“. ვალეში იყო „კაკაჩათ ქალი მართა“ (გვარამაძე, 1891:13). ვალეში ღღეს ცხოვრობენ კაკაჩიშვილები, რომელთაც ივ. გვარამაძე კაკაჩათ ფორმით მოიხსენიებს. ამოსავალია კაკაჩა, რაც ქართულ დიალექტებში, კერძოდ, ინგილოურსა და მესხურში დასტურდება – ნათელ, მთვარიან ღამეს ეტყვიან. „ღამეს კაკაჩი გაუდიოდა“ – გაიგოვნებთ მესხეთში (ღლონტი, 1984:266). სულხან-საბა განმარტავს: „კაკაჩი – ღამე მთოვარით ნათელი“ (ორბელიანი, 1965:351).

კაკაჩი//კაკაჩა დაერქმეოდა თეთრ მთვარისფერ კაცს და აქედან კი მის შთამომავალს გაჰყვებოდა ან გვარად ან მეტ-გვარად.

„ცხოვრებაში“ კაკაჩათ ქალის გარდა არის კაკაჩათ ხითრო (←ხითარი) (გვარამაძე, 1891:18). ხითროთი დღესაც არის მეტგვარად ვალეში.

ივანეს პაპა ოჯახის დიდმამაა, წინამძღოლია, როგორც იცოდნენ მესხეთში. სახლობა კი არის მისი შთამომავლობა, ის ოჯახი, რომელსაც უძღვებოდა იგი. „ყოველ სახლის წარმატება, სიკეთე და სიმდიდრე, დოვლათი დამოკიდებულია სახლის უმფროსის გონიერ მმართველობაზე ისე, როგორც ხის ერთ ღეროზე მთელი იმ ხის რტოები მათი ავლადიდებითა, მოიკვეთება ღერი თუ არა, მაშინვე ძირს დაეცემა ხე და ვეღარ აიმართება ვერაოდეს. ასე მოუვიდა პაპაჩემიანთ სახლობასა (გვარამაძე, 1891:16)“.

პაპაჩემიანთ ფორმა ან პაპაანთ ფორმა უპირისპირდება პაპათ ფორმას. ეს უკანასკნელი მიიღება პაპა საკუთარი სახელიდან, რომელიც გვაძლევს გვარს – პაპაშვილი. ამ ფაქტს ბ. ჯორბენაძე აიგივებს ფეხ-თ-ი, ტან-თ-ი ფორმებში დადასტურებულ „თ“ სუფიქსთან და მის სიტყვათწარმოებისად მიიჩნევს. სამცხურ-ჯავახურში –წ//–თ სუფიქსიანი მრავლობითი სპეციფიკური ფუნქციით გამოიყენება. –თ სუფიქსი გამოყენებულია სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით: ტან-ი→ტან-თ-ი „ტანსაცმელი“, ფეხი→ფეხ-თ-ი „ფეხსაცმელი. იგივე –თ სუფიქსი დასტურდება გვარის განაყოფთა (შტო-გვარის) სახლდების დროს: დათა-თ სინოი // სინო დათა-თ-ი „სინო დათაშვილი“ (გ. ბერიძე) (ჯორბენაზე, 1989:388). სიტყვათწარმოებითი ფუნქცია მეორეულია, როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს და მისი მთავარი ფუნქცია არის მრავლობითი რიცხვის გამოსატყობა. მართალია, ტანთ-ს შემთხვევაში მხოლოდ –ი დაბოლოება გამოიყენება, მაგრამ ფეხთი ფორმას აქვს მეორე ვარიანტიც – ფეხთა//ფეხტა იგივე ფეხსაცმლის მნიშვნელობით. „მრავლობითის –თ იხმარება გამოთქმებში და გაგებულია ფუძისეულად: „ფეხთ გაიხადე“. „ჩიქილა ყურთ აიწია“. „თავით დაუდეთ“. „ფეხთით დაუჯექი“. „ფეხტები (←ფეხთები) მოიტა“. „იე გოგოჲ ფეხტა უყიდუ... (ბერიძე, 1988:82-83)“.

ივ. გვარამაძის „ცხოვრების“ მიხედვით აშკარაა ერთი ტენდენცია. საკუთარი სახელიდან ან მეტსახელიდან ნაწარმოები გვარი (მეტგვარი) მხოლოდ –თ სუფიქსით არის გა-

ფორმებუღი: ზაქარა→'საქარათ, კევერა→კევერათ¹, კაკა-
ნა→კაწათ, სადათიერა→სადათიერათ, პეტრე→პეტრეთ.

ივანეს დედის გერი დაქორწინდა „ქარჩხოათ ქალზედა“
(გვარამაძე, 1891:31,32). ამოსავალია ქარჩხოა (შდრ. ქარჩხავი
გურულში დადასტურებული ფორმა მზაკერის, კუდიანის სი-
ნონიმად (ღლონტი, 1984:562), გვარი ქარჩხაძე).

კონამ (პატარა ივანემ) იხვები დაინახა, ავაზანში რომ
ცურავდნენ და გადაწყვიტა თავის დაც ჩაეგდო წყალში.
ბავშვი კინალამ დაიხრჩო, იქვე თავიანთ კარზედ კოჭიბრო-
ლათ სიმონამ” შენიშნა და გადაარჩინა. კოჭიბროლათ სიმო-
ნას შთამომავლები, რომლებიც კოჭიბროლაშიღელები იყვნენ,
შემდეგ იკვლიან გვარს და გოზალთაშიღელები ან, რუსული
ვარიანტით, გოზალოვები ხდებიან. გვარის თარგმანია მოცუ-
მული ამ შემთხვევაში (თურქ. guzel-ღამაზი).

ხარისჭირთ პავლე (გვარამაძე, 1891:22) მღვდელი იყო
ვალეში, ხოლო პეტრე (ლუკა) ხარისჭირთი ცნობილი მოღ-
ვაწეა მე-19 ს-ში. ეს გვარი ჯავახეთის სოფელ კოთელი-
დან ჩამოვიდა და მისი წინა გვარი ცნობილი არ არის
(ლომსაძე, 1995:31).

-თ სუფიქსი კონკურენციას უწევს ტრადიციულ -ძე და
-შიღლ დაბოლოებებს.

„ფადარაშიღლის ცოლი საფარათ ბაღჩის მახლობლად
სიძინდში გადაჭრილიყო დასამალავად. ვიღაცას დაენახა
სიძინდში ამარიული, დაეძახნა ვაი მე, აგერ აჭარელი მოგ-
ვრტყმია გარსაო... ის კი ვერ დაფიქრდნენ, რომ ფადარათ
აჭვანტული მალალი ტანის რძალი იყო” (გვარამაძე, 1891:33-
34). საფარათ ბაღჩის პატრონი საფარაშიღლია ისევე, რო-
გორც ფადარათ რძალი არის ფადარაშიღლი.

-თ სუფიქსით გაფორმებულ ყველა სახელს აქვს -შიღლ-
ზე დაბოლოებული ვარიანტი: ზაქარათ→ზაქარაშიღლი, კევე-
რათ→კევერაშიღლი, კაკაწათ→კაკაწაშიღლი, სადათიე-
რათ→სადათიერაშიღლი, პეტრეთ→პეტრიაშიღლი.

¹ კევერი კომბოსტოს ერქვა. „როგორც ახალციხეში ვგუთი კევერი
(კომბოსტო) დაიზრდება, რომ თვითო ზოგიერთი ერთ ფუთზედ მებო
მოდის” (ივ. გვარამაძე, ს.ჯ.ი.მ. ხელნაწურთა ფონდი №2102). კევერა მებ-
სახელად დაერქმეოდა ადამიანს (შდრ. ბოლოკა, კიტრა).

– თანიანი ფორმა, მათ შორის, შედარებით „ადგილობრივი“ მოხმარებისა ჩანს, ამდენად მას „მესხური“ ელფერი დაჰკრავს, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ისტორიული ფაქტორით.

მესხეთში გავრცელებული თავადური გვარი იყო ავალიშილი. ავალიშილებს მე-19 საუკუნეში რომანოვებთან პქონდათ დავა ბორჯომის ხეობასთან დაკავშირებით. იე. გვარამაძე მხოლოდ ავალიშილის ფორმით მოიხსენიებს ამ გვარს. არ არსებობს მისი – თანიანი ვარიანტი, სამაგიეროდ მხოლოდ რუსული „-ობ“ დაბოლოებით გვხვდება რუსულ ლიტერატურაში (Джаншиев, 1900:23...)

ბ. ჯორბენაძე წერს: „შტო-გვარის სახელთაგან შესაძლოა იწარმოოს კუთვნილებისა და ადგილის (ლოკატიური) ფორმები (ამ შემთხვევაში – ან ჩვეულებრივად შენარჩუნებულია, – ენ შესაძლოა დაიკარგოს): თამაზაანი — თამაზაანთი (კუთვნილება) → *თამაზაანთსა → თამაზაან-თ-ცა (ლოკატივი) მოსეენი → მოსეენ-თ-ი* → მოსეენ-თ-ს-ა → მოსეენ-თ-ც-ა“ (ბ. ჯორბენაძე, 1989: 388). ეს მონაცემები ავტორს ადებული აქვს გრ. ბერიძისაგან. ვარსკვლავის ალნიშნული ფორმები მე-20 საუკუნეში ჯავახეთში უკვე აღარ არსებობდა. იე. გვარამაძესთან გვხვდება ზემოთ უკვე მითითებული „პაპაჩემიანთსა“ ფორმა. ასევე მოსალოდნელია, რომ იქნებოდა მამასახლიანთსა, ხუციანთსა. ერთხელ პატარა ივანე სახლში როცა ბრუნდებოდა, „მღვდლის ბაკში“ ერთი თავი ხახვი იპოვა და აიღო. დედას უთხრა, ეს ხახვი მღვდლიანთ ბაკში ვიპოვნეო. დედა გაუწყრა და უკან დააბრუნებინა „ეს ჩამრჩა გულში და მის მერედ, რაც მეპოვნა, გროში, ვერცხლი თუ ოქრო, ყველას მღვდელს მიუუტანდი ხოლმე, არა თუ მღვდლიანთსა, იგივე გზაზედაც“ (გვარამაძე, 1891:7).

პაპაჩემი, მამასახლისი, ხუცესი (ხუცი) და მღვდელი ირთავენ – იან სუფიქს, ვლბულობთ: პაპაჩემიანი, მამასახლისიანი, ხუციანი, მღვდლიანი, რომელთა მრავლობითი ფორმა დასტურდება დღესაც როგორც სამცხეში, ისე ჯავახეთში: პაპაჩემიანთი, მამასახლისიანთი, ხუციანთი (//ხუციენთი), მღვდლიანთი (//მღვდლიენთი). წარმოქმნის საშუალებით, ხელახალი ბრუნების გზით ვლბულობთ ლოკატიურ ფორმას პაპაჩემიანთსა, მამასახლისიანთსა, ხუციანთსა, მღვდლიანთსა, რომელთა დადასტურება შეგვიძლია მე-19 საუკუნეში

ივ. გვარამაძის “ცხოვრების” მიხედვით. საბოლოოდ კი ფონეტიკური პროცესის შედეგად შეერწყმის თს ბგერები და ვლებულობთ ც-ს, ხდება აფრიკატიზაცია: პაპაჩემიანცა, მამასახლისიანცა, მღვდლიანცა. ზოგ შემთხვევაში შეიძლება დღესაც შეგვხვდეს აფრიკატიზაციამდელი მდგომარეობა. ქუქჩინთსა, კალაიჯინთსა (ქუქჩიშვილი, 2007:10).

ივ. გვარამაძის „ცხოვრებაში“ ბევრი მაქმადიანი გვხვდება. ისინი ქართველები არიან წარმოშობით. მათაც იგივე ტრადიცია და გვარი აქვთ არაოფიციალურად, როგორც ქრისტიანებს. მდინარეში ბანაობისას ივანეს წმინდა სანაწილე მოპარეს. მომპარავეები მაქმადიანები იყვნენ. „ის სანაწილე მაქმადიანებმა ბოლაჟურელ გრიგოლას ქალს ანნას ჩაუბდეს ქვედა წყლის რუში, როცა ხელსახოცებს რეცხებდა მაქმადიანების მიზგითის წინ. ვინც ყოფილიყო მისი წყალში ჩამგდები, იმ წელს ცხვარ-ძროხა კინალამ ერთიან გაუწყდათ“. „...ამოისუნთქა ოჯახმა, სანაწილე რომ მოიცილეს, დააბრუნეს, აღარ აყადმყოფობდნენ და საქონელიც გადაურჩათ. „იმ ოჯახობას ილაფრიენტ ეტყობდნენ ქრისტიანობასა, იმათგანი ილართონ ვპისკოპოსი ყოფილა და მის გამო მისი სახელი დაშთენიათ გვარად“ (გვარამაძე, 1891:40). ივ. გვარამაძე სწორ ეტიმოლოგიას გვაძლევს ილაფრიენტთან დაკავშირებით. მისთვის ილაფრიენტ ფორმა გვარია და არა მეტგვარი.

ივ. გვარამაძის მიერ დადასტურებული ფორმები, რომლებიც –იან დაბოლოებით არის წარმოდგენილი, მეტგვარებად რიგ შემთხვევაში არ არის ჩამოყალიბებული და მხოლოდ აპელატივის დონეზე უნდა იქნეს განხილული. ამის ყველაზე აშკარა მაგალითია – პაპაჩემიანთსა, რომელიც მხოლოდ აეტორის დამოკიდებულებას გამოხატავს. ამ ფორმას არც პერსპექტივა აქვს მეტგვარად ჩამოყალიბებისა. ასევე აპელატივებია: მამასახლიანთსა, მღვდლიანთსა, ხუციანთსა, თუმცა მათი მეტგვარად ჩამოყალიბების პერსპექტივაც არსებობს (შდრ. ხუციანოვი, იმავე ივ. გვარამაძესთან).

იქ, სადაც –თ დაბოლოება დაერთვის, მხოლოდ გვარი (მეტგვარი) ფორმდება, აპელატივის დონეზე ეს ფორმები აღარ არსებობს. ამ შემთხვევაში ამოსავალი უნდა იყოს უკვე საკუთარ სახელად ქცეული სიტყვა, დართული უნდა კქონდეს ძირითადად -ა ხმოვანი. თუ გვექნებოდა საკუთარი სახელი მღვდელა, ხუცა ან მამასახლისა, მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში გვექნებოდა *მღვდელატი, *ხუცატი, *მამასახლისატი .

სამცხურისა და ჯავახურის ცნობილი მკვლევარი გრ. ბერიძე გვარის განაყოფთა სახელების წარმოებასთან დაკავშირებით წერდა: „ეს საკითხი რთული და საინტერესოა. იგი ორგანულ კავშირშია მრავლობითი რიცხვის გადმოცემასთან, საერთოდ, და გეოგრაფიული სახელების წარმოებასთან, კერძოდ დეტალური განხილვისათვის საჭიროა მონოგრაფიული კვლევა“. (ბერიძე 1988:142).

გვარის განაყოფთა (მეტგვართა) საწარმოებელი ძირითადი სუფიქსებია -ან (თავის ფონეტიკური ვარიანტებით). -ანს აქვს კრებითობის, მრავლობითობის, რაიმე თვისების ქონების, სადაურობის, ტოპონიმიკური და სხვა ფუნქციები (ბერიძე, 1988:142), რომელთა შორის უმთავრესია კრებითობის ფუნქცია (ს. ჯანაშია).

სამცხურსა და ჯავახურში ნარი და თანი ერთდროულად შეიძლება დაერთოს სახელს გვარეულობისა და კუთვნილების აღსანიშნავად: თამაზაანი(სახელობითი), თამაზაანთი (ნათესაობითი), ჭონიენი (სახელობითი), ჭონიენთი(ნათესაობითი) (ბერიძე, 1988:143) „ასეა ჯავახეთის ყველა სოფელში, გარდა ხიზაბაგვისა და ვარგაგვისა. ხიზაბაგრაში, როცა სურთ საგვარეულოდან ვინმე დაასახელონ, გვარი-სახელის ფუძეს უშუალოდ დაურთავენ ირიბი ბრუნვის მრავლობითობის ბოლოსართს -თანს“ (ბერიძე, 1988:144): გელაშვილები, გელიენი, გელათი, გელაცა. იმავე ხიზაბაგრაში შეგვხვდება გელიენის ნაცვლად გელაანი ფორმაც. თანხმოვან ფუძესთან -იენ გადააყვება ნათესაობით ბრუნვაშიც. ხუციშვილი, ხუციენი, ხუციენთი, ხუციენცა (ბერიძე, 1988:145).

როგორც ჩანს, გრ. ბერიძე ერიდება იმის თქმას, რომ გელათი ფორმა გელაანთიდან (გელიენთი) მოდის და მიუთითებს, რომ -იენ გადააყვება ნათესაობით ბრუნვაში (ხუციენთი). არ. მარტიროსოვი კი პირდაპირ წერს: „ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ყველა ესენი (გიქორათი, პეტოთი, კაკაჩათი, როსტიათი...-მ. ბ) ჩამომავლობისა და გვარის განაყოფთა სახელების საწარმოებლად აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული -ანთ სუფიქსის გამარტივებით (დათათ-დათაანთ, ბექურათ-ბექურაანთ, გულუხვათ-გულუხვაანთ), ან კიდევ უშუალოდ თანიანის მრავლობითის ნათე-

საობითის ფორმას უნდა წარმოადგენდეს (მარტიროსოვი, 1984:94)“.

ხიზაბავრისა და ვარგავის შემთხვევა გამორჩეულია ჯავახური თქმისათვის და ასევეა ვალეში, უდესა და არალში, სამცხეში. ე.ი. კათოლიკური სოფლებისთვის არის დამახასიათებელი.

ხიზაბავრის გეარებისა და მეტგეარების შესახებ გამოთქმულია კიდევ ერთი მოსაზრება, რომ “მოსალოდნელია უკვე წარმოქმნილი სახელის ხელახალი ბრუნება ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს ყველა ფორმანტი. სამცხე-ჯავახურში დასაშვებია ფორმები: გელა-ან-თ-ნ-ი, თამაზა-ან-თ-ნ-ი, ხუცი-ენ-თ-ნ-ი, ქუქი-ენ-თ-ნ-ი (ქუქიშვილი, 2007:180)“. ივ. გვარამაძესთან დადასტურებული –თანინი ფორმები დამახასიათებელია მე-19 საუკუნის მესხეთისათვის, ყოველ შემთხვევაში ფაქტია კათოლიკურ სოფლებში.

–თ (თა) მინეულია რიცხვისა და ბრუნვის ნიშნად ძველი ქართულის ხუთ ბრუნვაში და ახალ ქართულში (უთურგაიძე, 2007:11,15). ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თ(ა)“ სუფიქსის ორი ფუნქცია ინოვაცია ჩანს- ზმნურ ფორმაში –თ მხოლოდ სიმრავლეს გამოხატავს ქართველურ ენებში (უთურგაიძე, 2007:18)“. რამდენადაც გეარის ჩამოყალიბებისათვის ძირითადი მაინც არის ბრუნვის, კერძოდ, ნათესაობითი ბრუნვის როლი, რადგან შიამომამელობა-ნათესაობაზეა დაყრდნობილი ქართული გეარის სტრუქტურა. ნებისმიერი სახელი ნათესაობით ბრუნვაში „ლუს –„შვილი“ ან –„ძე“, გვაძლევს გეარს. ამავე რიგში დგება –თ სუფიქსი მე-19 საუკუნის მესხეთში, რასაც გვიჩვენებს ივ. გვარამაძის „ცხოვრება“. ხარისჭირთ, ხარისჭირაშვილი ერთი და იგივე გეარი კი არ არის, არამედ ორი ფორმანტით გაფორმებული ერთი ფუძეა. მათ მხარში ამოუდგა რუსულდაბოლოებიანი ხარისჩაროვი. მივიღეთ გეარის ვარიანტები. აქვე უნდა ითქვას, რომ თავისუფლად შეიძლება გვექონდეს –ძე დაბოლოებიანი *ხარისჭირაძეც. მსგავსი მაგალითები ბევრია მაშინდელ დოკუმენტებში. –თ სუფიქსის ორი ფუნქციის გამოხატვის გამო უნდა დავუშვათ, რომ იყო შესაბამისი სახელობითი ბრუნვა, რომელიც –ნ სუფიქსით იქნებოდა გაფორმებული, კერძოდ უნდა ვივარაუდოთ შემდეგი ფორმები: ზაქარანი (ზაქარათი), კეჟერანი (კეჟერათი) კაკაჩანი (კაკაჩათი), სადასთიერანი (სადთიერათი), ქარჩხონი (ქარჩხოათი), კოჭიბ-

როლანი (კოჭიბროლათი), საფარანი (საფარათი), ფადარანი (ფადარათი) და ა.შ. რაც არ დასტურდება არც მე-19 საუკუნის და არც დღევანდელ მესხეთში, მაგრამ უცხო არ არის საქართველოს სხვა კუთხეებისათვის. გ. ხორნაულს მოყვანილი აქვს ხეესურული მაგალითები და მას მამიშვილობის სახელებს უწოდებს: ასხავარანი, ივანიკანი, ჯამრულიკანი, წვერბედენანი (ხორნაული, 2007:254). „ნათესაობითში, ე.ი. კუთვნილების გამოსახატავად, უთუოდ თანით გაფორმდება, ასეთია მამიშვილობის სახელები (სიხათი, ასხვარათი, დაფანჩულთი)... (ხორნაული, 2007:256-257)“.

ეს არის დამოუკიდებელი პარადიგმა. სახელობითი: ზაქარა-ნ-ი, კაკაჩა-ნ-ი, კოჭიბროლა-ნ-ი... ნათესაობითი: ზაქარა-თ-ი, კაკაჩა-თ-ი, კოჭიბროლა-თ-ი. აქვე უნდა ითქვას, რომ – ი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება, როდესაც გვარი (მეტ-გვარი) სახელის გარეშეა. კითხვაზე –ვისი შვილია? ან ვისი-ანთია? პასუხი იქნება –ი –სთან ერთად.

რაც შეეხება მეორე ვარიანტს, როდესაც –ა-ან-თ სუფიქსები იყრის თავს, სხვაგვარი მდგომარეობაა. კაკაჩა-ან-ი სახელობითში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მრავლობითის ნიშნითაც, კერძოდ: კაკაჩა-ან-ნ-ი, ზაქარა-ან-ნ-ი, კოჭიბროლა-ან-ნ-ი, რომელთა ნათესაობითი ბრუნვა იქნება: კაკაჩა-ან-თ-ი, ზაქარა-ან-თ-ი, კოჭიბროლა-ან-თ-ი.

ეს პროცესი გვარებიდან მიღებულ გეოგრაფიულ სახელებში, აღნიშნული აქვს აკ. შანიძეს. ნარიანი გეოგრაფიული სახელები ძირითადად დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოში. იმ სახელებში, რომელთაც ბოლოს მოუდის –ანი, ეს –ანი ლიტერატურულ გამოთქმაში გააზრებულია, როგორც „ანნი“ (შანიძე, 1981:438).

მეტგვარებში –ანნი დაბოლოება ნათესაობითში გვაძლევს –ანთ ფორმას, როდესაც მას მოსდევს სახელი: კეჟერაანთ გიორგი, ხოლო გეოგრაფიულ სახელებში საზღვრულად გვაქვს –უბანი, კარი, ხევი... (შანიძე, 1981:439).

ეს ორი პარადიგმა (-თ და ა-ან-თ დაბოლოებანი) გვიჩვენებს, რომ თანიანი ფორმა სხვადასხვა გზითაა მიღებული. მას ორივე შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს მრავლობითობისა და ნათესაობითი ბრუნვის ფუნქცია.

სამცხურსა და ჯავახურში –ა-ან-თ დაბოლოება სოფელთა მიხედვით განსხვავებას არ გვიჩვენებს, ხოლო –თ დაბოლოებას განასხვავებენ ზოგიერთ სოფელში.

ბვართა ვარინატულობა ანუ „ვინმე მესხის“ ბრძოლა გვარამაძეოვისათვის

1891 წელს არის დაწერილი ივანე გვარამაძის „ვინმე მესხის ცხოვრება“, რომლის სრული სათაური ასეთია: „ვინმე მესხის ცხოვრება დაწერილი 1891 წელს ქ. ახალციხეს“. მეორე გვერდზე კი ავტორს დაუსათაურებია: „ვინმე მესხის მოკლე ცხოვრება“. მისი საფონდო ნომერია 209. ეს მოკლე ცხოვრება გულისხმობს დაბადებიდან 1868 წლამდე პერიოდს. იმდენად მნიშვნელობანი იყო ივ. გვარამაძისათვის მღვდლობის უფლების მოპოვება, რომ ამით დაუმთავრებია კიდევ თავისი ცხოვრების პირველი და უმთავრესი ეტაპი. საამისოდ ბევრი რამ გადახდა მას.

ივანესთვის ოცხეში მის მეგობარს უკითხავს, დაწერილი ჰქონდა თუ არა თავისი ცხოვრების ამბავი და როდესაც უარი მიუღია, ურჩევია, დაეტოვებინა შთამომავლობისათვის ბიოგრაფია – „კარგია დასწერო, სიკვდილი-სიცოცხლეა, დაშთების მომავალი თაობასა, ვინ იცის, როგორ გამოადგეს“. მართალია, ავტორი არ გვეუბნება, ვინ იყო ის კეთილი მრჩეველი, მაგრამ ჭკვიანი კაცი ნამდვილად ყოფილა, რადგან უკვე 1891 წლისათვის დაუნახავს მნიშვნელოვანწილად ივ. გვარამაძის პიროვნება, მისი როლი საზოგადოებაში. მართლაც ბევრი რამის სწავლა შეუძლია მომავალ თაობას ივ. გვარამაძის ცხოვრებიდან.

ეს იყო გამომაყხიზლებელი რჩევა. მრავალჭირნახულმა ადამიანმა ნახა, რომ სამშობლოსათვის და რწმენისათვის ბრძოლის გზაზე 60 წლისა ბერიკაცს დამსგავსებოდა. თმაწვერგათეთრებულს, შუბლდანაოჭებულს კისერი მხრებში ჩარგოდა და ბეჭებშიც მოხრა დასწყებოდა. მიუხედავად ამისა, თვალს არ აკლდა, ჭარმაგი იყო და ფიზიკურად ძლიერი, ამიტომ გადაწყვიტა მან, გაეღილი გზა კარგად გაეჩანაღიზებინა და ჩვენთვის მოეთხრო.

„კარგი ის იქნება კაცმან თავის სოცოცხლის მსველელობა ყმაწვილკაცობითგანვე სწეროს ღლიურად“ – წერს ივანე, რომ გაუადვილდეს შემდეგ განვლილი ცხოვრების გახსენება და შეფასება. სამწუხაროდ მას ღლიური არ უწერია, მაგრამ ჰქონდა კარგი მესხიერება და საკმაოდ დეტალურად აღადგენს ბავშვობისა და კაცობის წლებს. ამ საქმეს სერი-

ოზულად მოეკიდა, ის ხომ მოწოდებით ისტორიკოსი, ფილოლოგი და საერთოდ შემოქმედი კაცი იყო. „შუა კაცობა გამოვილია, მომკლებია ძალა, ღონე, ხალისი, რას მოვიგონებ ჩემს მთელ გავლილ სიცოცხლის გზა-კვალსა“ – წერს იგი, მაგრამ, როგორც თავადვე იტყოდა, „ინადიანი“ ჯიუტი და პრინციპული გახლდათ, ამიტომ გადაწყვიტა დაეტოვებინა ჩვენთვის თავისი ბიოგრაფია. გადადება აღარ ღირდა, ისედაც დიდი დრო ჰქონდა დაკარგული. „გუშინწინდელი ოქროს გუშინდელი ვერცხლი ჯობია, გუშინდელი ვერცხლს დღევანდელი, – სპილენძი,“ – დარდობს სპილენძისამარა დარწინილი ივანე და იწყებს ბიოგრაფიის წერას. გამუდმებით თავის ქვეყანაზე, ხალხზე მოფიქრალი ადამიანი, მომავალ თაობაზე, ჩვენზე ზრუნავს: „წინა კაცი ვიწრო გზითგან რომ დაიბნეს, ან კლდითგან რომ გარდინიხოს, ან ტალახისაგან რომ წაიქცეს და გაისვაროს და ანუ უფონო წყალში რომ დაიხრჩოს, ხომ უკანა კაცისათვის გასაფრთხილებელია მისი მარცხი და დაღუპვა? ჩემი შრომის მნიშვნელობაც ეს გახლავთ ამ ადგილას. მე შევცდი, მე დავიბენი, მე დავაშავე ბევრგან, ჩემს სიცოცხლეში ესეც კმარა საუნოდ კაცობრიობისა და ქვეყნისათვის, სხვანი გაფრთხილდნენ, ნულარ შესცდებიან.“

ივანე გვარამაძე იყო ერთი ახალციხელი „გლახაკი კაცის შვილი“. თავისი წინაპრების შესახებ ავტორს ძირითადად ტექსტში ჩაუმატებია: „მართალია ჩვენი წინაპრნი აწყვერის ბატონები ყოფილან, ცხრა ციხე მათ მმართველობის ქვეშ ყოფილან და მრავალი მამულები გექონია, მაგრამ მაჰმადიანობის მიუღებლობისათვის ჩამოურმევიათ ყოფილი მფლობელობა. ზოზოშვილს გვიძახიან ჩვენი წინაპრის სახელობაზედ. 1569-1572 ასე წინ თუ უკან მარტში აწყვერს ორი ფაშა აზრუმისა და ტრაპიზონისა, რომ რათ ინახამ ათაბეგ ყვარყვარესაო. მას ბრძოლის დროს აზრუმის ფაშა მოუკლამს და მით გაქცეულან ოსმალოები. მერმე ხომ ქალიმანჯ აფენდის აუყრივართ აწყურითგან და მოესულვართ ახალციხეს. ჩვენი განაყრებიც ხიზაბავრას ასულან ჩვენს მამულში“.

ცხრა ციხის პატრონთ შთამომავალი ივანეს მამა იყო მეწერილმანე, იცოდა ქსლის ბეჭვა და მექუდუობა. გვარამაძეთა გვარში შემოსულია შტოგვარი ზოზოშვილი, „წინაპრის სახელობაზედ“. ამ გვარით მოდიან გვარამაძეები „რუ-

სობამდე“ მათი წინაპრის ზაზასთვის მამამდიანებს ზოზო (ძლიერი) შეურქმევიათ (ერუაშვილი, 2002:41).

„ზოზოშვილებსაც გვიძახდნენ ჩვენი წინაპარი ზაზა გვარამაძისგან“ (გვარამაძე, 1891:18) ზოზოშვილობით უფრო იცნობდნენ ბავშვობაში ივანეს, ვიდრე გვარამაძეობით. ახალციხეში შაყულიანთან სწავლისას კონფლიქტი მოუვიდა თანატოლებთან, ერთი მათგანი წააქცია და თავი დაარტყმევინა. ბიჭის დედა წივილ-კივილით მოვარდა: „იმ ტროკა ზოზოშვილს ჩემი შვილისთვის თავი გაუჩეხიაო (იგვარამაძე, 1891:108)“.

ივანე გვარამაძე ზოზოს ცხოვრებას ვარაუდობს XIV საუკუნეში. ზოზო//ზოზოშვილობის საკითხს შეეხო მანანა მიჩიტაშვილი: „იმ დროს (XIV ს-ში მ.მ) უცხოურია გვარამაძის ძეთა ერთ-ერთ განაყოფს ზოზოს და მის მემკვიდრეებს, ზოზოშვილებს, რომლებსაც სჭერიათ „მრავალი სოფლების ზოგან აგარა, ზოგან ყანა, ჭალა. ზოგან საფინხე, ზოგან ბაღები, წისქვილები, ზოგან საბაღახო, სათიბი და მთები საკუთრებად...“. მ. მიჩიტაშვილი. ივ. გვარამაძის შრომებზე დაყრდნობით მიუთითებს აწყურში ზოზოს დარბაზს, ზოზოშვილების სახლებს, ზოზოთუფ ციხეს, ზოზოშვილების ბაღ-ვენახებს (მიჩიტაშვილი, 1995:17). ვინც არ გამამდიანებულა ან ამოწყვეტილა ან გაფანტულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „რაც შეეხება განთქმული ზოზოს შთამომავალთ, ისინი გაგლახაკებულან, გაღარიბებულან და ჯერ მამამდიანთა, მერე ახალ ხანაში მომრავლებულ სომეხთა დევნა რომ აეცდინათ, მათს სომხურ და ლათინურ ტიპიკონზეც დაწერილან ანუ გასომხებულან და გაფრანგებულან. სარწმუნოებით გრიგონიალებად და კათოლიკებად ქცეულან. თუმცა ქართული ენა და ქართული წესჩვეულებანი შეუნარჩუნებიათ. ეს მომხდარა 1625-1636 წლებში (მიჩიტაშვილი, 1995:18).

სხვაგვარად უყურებს ზოზოშვილობის პრობლემას შ. ლომსაძე. მისი აზრით, გვარამაძეთა ამ შტოსათვის ზოზოშვილის გვარის მიღება მე-18 საუკუნეში უნდა მომხდარიყო და მას ეროვნულ-რელიგიური საფუძველი ქქონდა: „გვარამაძის როგორც გვარის, შეცვლის მცდელობა კათოლიკე მამებს ადრეც ქქონიათ XVIII ს-ში. ჯერ კიდევ მათი აწყურში ცხოვრების დროს და ვინმე ზოზო გვარამაძის სახელის მიხედვით ცდილან გვარამაძენი აღერიცხათ ზოზოშვილება-

დაც და ხელოვნურად შემოღებული შტო-გეარის შეწყვილებით თანდათან უარეყოთ გვარამაძეობა, როგორც „მართლმადიდებლური ქართულის მაჩვენებელი (ლომსაძე, 1995:41)“. მართლაც გადაჭარბებული უნდა იყოს, მე-18 საუკუნეზე ადრე რომ ვივარაუდოთ ზოზოს ცხოვრება, რადგან შეუძლებელი იქნებოდა წინა გეარის (გვარამაძის) ხსოვნა შთამომავლობისათვის.

კიდევ ერთ შტოს დაუდო გვარამაძეთა გვარმა სათავე. ეს არის იანულოვი. ცნობილი ექიმის და პოეტი, ვალის მკვიდრი, ბატონი შალვა მოსეშვილი წერს: „ივანე გვარამაძის ახლო ნათესავები ვალეში „იანულოვის“ გვარით ცხოვრობდნენ. იანულოვი თურქულად დამწვარს ნიშნავს. ამჟამად იანულოვებმა აღიდგინეს თავიანთი გვარი „გვარამაძე“ და ვალეში დღესად ცხოვრობს ერთი ივანე გვარამაძე (ფოცხოვისპირელი, 2002:III).

ეს გვარი მეტგვარიდან მოდის და მას კონკრეტული ფაქტი უნდა ედოს საფუძვლად. ცნობილია ვინმე მესხის მამის სიღარიბის ამბავი, რასაც დაერთო სახლ-კარის ორგზის დაწვა, რის შესახებაც თავად ივანე წერს: „სიგლახაკის მიზეზი გახლდათ, მაშინმეს ორი პირი ცოლშვილი გამოეცვალა, თავისი ვაჟკაცობის დროს მონაგები ყველა ახალციხის აკლება-აოხრებისა რუსისგან და შემდგომ აჭარლებისგან სრულ გამოსცლოდა ხელითგან. ორი პირი სახლ-კარი დასწოდა 1828-1829. (წლებში) და ცარიელ-ტარიელა კაცს მესამე ცოლად დედაჩემი შეერთო ვალეს, დედაჩემსაც პირველი ქმარშვილი ასწყვეტოდა და მეორე მამაჩემი იყო (გვარამაძე, 1891:5)“ სახლკარდამწვარი ახალციხელი ჩადის ვალეში და ზედსიძედ შედის „ზაქარათ ბაღდასარას ძის გასპარას სახლში“ (გვარამაძე, 1891:6), მას არქმევენ მეტსახელს იანულას (დამწვარა), ხდებიან ისინი იანულაანნი (დამწვარაანნი), ხოლო შთამომავლები არიან იანულათები და იანულოვები.

თურქული სახელის ქართველი კაცისათვის დარქმევა და ამის ნიადაგზე შემდეგ გეარის ჩამოყალიბება საყოველთაოდ ცნობილია. ეს იყო ოსმალეთთან მეზობლობის და ისტორიული ურთიერთობების შედეგი. არაქართული გვარსახელების ჩამოყალიბების ამ გზას მხარში ამოუდგა სხვა ფორმა, როდესაც ქართული სახელის მატარებელ ქართველ კაცს შეგნებულად უცვლიდნენ სახელს და მას როგორც გრიგორიანელს ან კათოლიკეს, სომეხური ან იტალიური ტიპიკონის

მიმდევარს, სომხურ სახელს არქმევენ. ივანე გეარამაძის მამას ერქვა პავლე, მაგრამ, რადგან იგი კათოლიკე იყო, ოფიციალურად იწოდებოდა პოლოსად, ისევე, როგორც პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი) იყო პოლოს შაჰყულიანი. შ. ლომსაძის აზრით, ღებობდა შემდეგი საშიშროება. ვიდრე პოლოსა იწოდებოდა გეარამაძედ, გეარისა და ეროვნების საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ „მისი სახელი „პოლოს“ მეორე ეტაპზე შეიძლება მისი გეარის გაქრობის მიზეზად იქცეს და უყურადღებობის შემთხვევაში თუ ამ პოლოსას შეიღს დაერქმეოდა, ვთქვათ, „მინასა“, მოსალოდნელი იყო, რომ ამ მინასას შეიღს გეარად მისცემოდა „პოლოსიანი“, რაც ჩვეულებრივად ხდებოდა ხოლმე“ (ლომსაძე, 1995:41) ასეთ დროს ეღებულობდით პოლოს მინასიანს, როგორც ეს მოხდა იანუღოვის შემთხვევაში, ოღონდ აქ თურქული ფუძე იქნა გამოყენებული და გაბუნდოვნდა ქართული წარმომავლობა რუსული-ოვ სუფიქსის დართვით. ქართული გეარების დაკარგვის ეს ორი გზა გაჰყვა მთელ მე-19 საუკუნეს და მე-20-შიც გადმოვიდა. ბრძოლა ქართული გეარების წინააღმდეგ იყო ბრძოლა ქართველობის წინააღმდეგ.

სხვაგვარად იქცევიან ოსმალები, თუმცა პრინციპი იგივეა. ოსმალთა მმართველობის დროს ეკონომიკურ საფუძველზე დაყრდნობით და ზეწოლით ხდებოდა ქართველთათვის სარწმუნოების შეცვლა, თან უცვლიან მას სახელს. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში არის ერთი დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ „მუსხიდან გათათრდნენ თომანთ თორომანი, სიმონ მაისურაძეს დაარქვეს უსეინაი, ხოლო ქურდაძეს – სვილემანაი, ისიდორ ქურდაძეს – ალიაი, ქიტე ქურდაძეს–იბოი“. დავდაპირველად ორივე სახელს ატარებდა გამაჰმადიანებული მესხი – ქართულსაც და თურქულსაც, გეარს არ ეხებოდნენ, რადგან მარკირების პრინციპი ირღვეოდა. ქართული გეარის სისტემა განსხვავდება ოსმალურისაგან. მამაშვილობაზე დაყრდნობილი ოსმალური გეარი შეიძლება შექმნილიყო სახელშეცვლილთა შთამომავლებისათვის, უსეინას შთამომავალი იქცეოდა უსეინოლად, ალიასი –ალიოლად და ა.შ.

ასეთი გეარის მიზანი და პრინციპი იყო არა მხოლოდ გეარის გაბუნდოვნება, არამედ ქართული ეროვნების საბოლოო დაკარგვა.

გვართა ასეთ ზიდილს მოუსწრო მე-19 საუკუნეში რუსეთის შემოსეულამ მესხეთში და პროცესმა მიიღო უნიფიცირების ხასიათი. კერძოდ, რუსული ადმინისტრაციისათვის უფრო მისაღები იყო—ოფ-ზე დაბოლოებული გეარები და ქართულ-სომხურ-თურქული დაბოლოებანი შეცვალა რუსულმა დაბოლოებამ, ოღონდ ეს ძირითადად ხდებოდა ოფიციალურ სახელმწიფო დონეზე, ხალხი ისევ ძველი გეარით მოიხსენიებდა თვიანთ ნაცნობებსა თუ ნათესავენს.

ივანეს ჰქონდა ბავშობაში მეტსახელი კონა, რომლის შესახებაც წერდა: „სადაც ყმაწვილოსან დედებს დავინახემდი ერთად თაავმოყრილ მჯდართა, ხან ერთს უვარდებოდი კალთაში ხან მეორეს და ხან მესამეს. სახელად იოანე მერქვა, მაგრამ დედაჩემს კონა დაერქმია ჩემთვის, მის გამო, ვინც ამიყვანდა ხელში. ეს ვარდის კონააო, იტყოდა და მიმიკრემდა გულში (გვარამაძე, 1891:9-10)“. კონა გავრცელებული სახელიც იყო მესხეთში და მეტსახელიც. მისგან არის მიღებული გვარი კონაშვილი. ეს მეტსახელი დიდობაში არ გაჰყოლია ივანეს და არც მის შთამომავლებს ხედათ წილად ამ სახელის მემკვიდრეობა, თორემ მესხეთში კონაანნი მეტ-გვარად გვხვდება.

შ. ლომსაძე ივ. გვარამაძის შესახებ წერს: ივ. გვარამაძე მიხედა, რომ ძველი ქართული გვარ-სახელების ახლებური წარმოებისას სახე ეცვლებოდა არა მარტო გვართა მაწარმოებელი სუფიქსებს, არამედ მთლიანად ფუძესაც, ქართულ-კათოლიკური კონდაკის (რიტის) არ არსებობის გამო გვარის დაცვის საკითხი გართულებული იყო (ლომსაძე, 1995:40)“.

თვითონ ივანემ საკუთარ თავზე გამოცადა გვართან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენ ვნახეთ ზოზოშვილად რომ იწოდებოდნენ გვარამაძეები და ივანეს დასჭირდა თავისი გვარის ჯერ დადასტურება და მერე აღდგენა. ესეც არ აკმარა ცხოვრებამ. ივანეს ოფიციალური გვარი იყო მესარკოვი და ეს მოხდა სრულიად შემთხვევით. ბრძოლის დროს პაეღე, ივანეს მამა, უნდა დაეჯილდოებინათ. „ბებუთოვმა ტემლაკზედ წარდგენის დროს მისი ვინაობა ჰკითხა მის მოძმეს ქუთაისელ ანტონ მესარკოვს და მანაც მოახსენა ჩემი ძმა არისო და მესარკოვად ჩასწერა. ამით დარჩა ჩვენი წოდებაც მესარკოვი (გვარამაძე, 1891:34)“.

პაეღეს, რომელიც იყო გვარამაძე-ზოზოშვილი, პაეღდა დედის მხრიდან ნახევარი ძმა ანტონი, აი ამ ნახევარძმის გვარი მისცეს პაეღეს, რომელმაც არა მარტო მიიღო ეს გვარი, არამედ ცოლშვილიც ამ გვარზე დაწერა (ლომსაძე, 1995:12). დღევანდელი გადასახედიდან ძნელი გასაგებია ასეთი ცთომილება. როგორი საცოდავი ჩანს პაეღე, რომელმაც თავისი გვარი არ იცის! ალბათ, აქ იმდენად არცოდნასთან არა გვაქვს საქმე, რამდენადაც გვარის სოციალურ ფუნქციის გაუფასურებასთან ქართულ ეროვნულ სინამდვილეში, ჯერ თურქობის დროს და შემდეგ რუსთა ბატონობისას.

ივ. გვარამაძემ მღვდლობა მესარკოვის გვარით მიიღო 1868 წელს. იგი, როგორც განათლებული კაცი, ისტორიკოსი, ფილოლოგი ვერ შეეგუებოდა მესარკოვად ცხოვრებას. იცოდა, რომ ზოზოშვილიც შეძენილი გვარი იყო, ამიტომ იბრძოდა გვარამაძეობის აღსადგენად. იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე, წერდა გვარამაძის გვარით და „ეინმე მესხის“ ფსევდონიმით, ამიტომ, „რახან მღვდლის მოწმობა მესარკოვის გვარით ქონდა მიღებულნი, ზოგი საეკლესიო მსახური უწიოდა, მღვდლობის გვარს უაყოფს და „ეინმე მესხის“ ფსევდონიმით აქვეყნებს წერილებსო“ (ლომსაძე, 1995:41-42). ეს უკვე სხვა სახის ბრალდება იყო, ამიტომ ყველაფერი გააკეთა ივანემ საიმისოდ, რომ გვარამაძეობა დაემტკიცებინა. ისტორიული და სხვა სახის დამადასტურებელი საბუთების საშუალებით თავისი გვარი დაიბრუნა 1885 წელს.

მესარკოვი ხელობის აღმნიშვნელ ტერმინიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ – მართლაც სახელი გამჭვირვალეა და მესარკიდან მოდის, მე – ე მანარმოებლებით არის მიღებული. იღონდ სარკის კეთებასთან არ არის დაკავშირებული და ამის ტრადიცია არც ჩანს მესხეთში. ივ გვარამაძე თავის ლექსიკონში მესარკეს განმარტავს, როგორც – სარკების გამყიდველი (გვარამაძე, 1907:141).

ასევე ხელობის აღმნიშვნელი ტერმინიდან მოდის ძველი ახალციხური გვარი მეწყარიშვილი. ამ გვარის მაჰმადიანი ოჯახი ცხოვრობდა ახალციხის რაიონის სოფელ ბოგაში.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ერთი ჩანაწერის მიხედვით, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შეუქმნია ი. პაპისიმღოვს (ხელნაწერი №1082, გვ.39) ეგებულობთ, რომ მეწყარივე მეწყალიძიდან, ე. ი. წყლის გამ-

ყვანის მოხელიდან უნდა მოდიოდეს, რომელსაც თიხის მიღებით ჭვინტის ტყიდან ახალციხის რაბათში ჩაუყვანია წყალი. წყლის მომარაგების ერთ-ერთი სპეციალისტი, რომელმაც დატოვა ახალციხე 1828 წლის ომის შემდეგ და წავიდა ბოგაში, სათავეს უდებს ახალ გვარს – მეწყარიძეს (ბერიძე, 2006:53).

მართლაც, თითქოს არაფერი უშლის ხელს, რომ მეწყარიძე და მეწყალიძე დავაკავშიროთ ერთმანეთს, ე. ი. იყო ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელმაც დაუდო გვარს სათავე, მაგრამ აქ მეწყალე არაფერ შუაშია, ტერმინი იყო მეწყარე, რომელსაც თავის ლექსიკონში ივ. გვარამიძე ასე განმარტავს: „წყაროს მომყვანი, ზედამხედველი, გამგე (გვარამაძე, 1907:147)“, ხოლო მეწყლე არის „წყლის მზიდავი“. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინით კიდევ ერთი გვარი გვხვდება ვინმე მესხის ცხოვრებაში. ეს გვარი ცნობილია მე-19 საუკუნის საქართველოში.

შ. ლომსაძემ შეისწავლა ხარისჭირაშიელების გვარი და ის ხელობის აღმნიშვნელ გვარსახელად მიიჩნია, ნამდვილი გვარი კი არ ვიცით. ხარისჭირაშიელების წინაპრები ჯავახეთის სოფელ კოთელიდან ყოფილან, რომლებიც XVIII საუკუნის შუა წლებში-ლეკიანობას გამოექცნენ ჯავახეთიდან და მართმადიდებლებად ჩამოვიდნენ ახალციხეში, სადაც მიიღეს კათოლიკობა (ლომსაძე, 1995:31).

ივ. გვარამაძე წერს: „წამიყვანეს და ადგილობრივ მღვდელს მიმაბარეს საკითხავად ოთხი წლისა. მღვდელი იყო ხარისჭირთ პავლე, თვალეზმტკივანი, წიგნის კითხვა მეტად სწყენდა თვალეზედ. გულკეთილი კაცი იყო, ერთგული ერისა, მართალი (გვარამაძე, 1891:22)“. პავლე ხარისჭირაშიელი, ვალის სოფლის მღვდელი, ივანეს ნათლიაც იყო (ლომსაძე, 1995:13).

პავლე ხარისჭირაშიელთან სწავლის დროსვე მოუწია მისივე მოგვარესთან სრულიად ბავშვს შეხება, კერძოდ, პატარა ივანე წარმატებული მოწაფე აღმოჩნდა და მალევე მისცეს წასაკითხად კათეხიზმომ „დაწერილი ხარისჭირთ ლუკასგან, რომ მღვდლად კურთხევისა შემდგომ პეტრე დაირქვა სახელად (გვარამაძე, 1891:23)“.

ეს ის პეტრე ხარისჭირაშიელია, რომელსაც ჯერ ქუთაისში ჩააკითხა და სწავლობდა მასთან ივ. გვარამაძე 1854 წელს და შემდეგ სტამბოლში – 1859 წელს.

ბავშვობის წლების მოგონებისას ორივე ხარისტირაშვილს ხარისტიროთ ფორმით მოიხსენებს, მაგრამ ოფიციალურად, თანამდებობაზე მყოფის შესახებ ამბობს ივანე: „ქუთაისს წავალ, მივმართამ უ. მამა პეტრე ხარისჩაროვსა, ვგონებ მიმიღოს და საკმაო სწავლაც მომცეს (გვარამაძე, 1892:145)“. ქუთაისში ჩასული ივანე კათოლიკურ ეკლესიაში შეხვდა დონ ანტონ გლახაშვილს, რომელმაც მიასწავლა მას „მამა პეტრე ხარისტირაშვილის სადგომი, რიონის ნაპირას ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით ფიცრული სახლი იყო ორსართულიანი... (გვარამაძე, 1891:147)“.

სახელი აშკარად კომპოზიტური წარმომავლობისაა: ხარისტირა—ხარისმჭერა—ხარისმჭერი. თავდაპირველად მეტსახელია და იგი დაედო საფუძვლად მეტგეარსა თუ გეარს. რაც შეეხება სამ ვარიანტს (ხარისტიროთი, ხარისტირაშვილი, ხარისჩაროვი) მათი აქტიური მოხმარება მიუთითებს იმაზე, რომ გეარად ჩამოყალიბების პროცესი თურქულის გავლენით შეჩელებულია, ამიტომ საბივე ფორმა იტოვებს არსებობის უფლებას.

ვღებავ ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა დღეს არის მღებავი. მე-19 საუკუნის საქართველოში, კერძოდ, მესხეთში იყო მღებარი. იე გვარამაძესთან ვკითხულობთ: „მე კარგად ვიცნობდი ფალოშათ ივანეს და მის შვილს იოსებს და ისინიც მიცნობდნენ. ვიცოდი იოსების დედაც მღებარი ივანეს ქალი იყო (გვარამაძე 1891:221)“.

ივანეს ცოლის შერთვის საკითხი სადღო გახდა. გადამწვევტი სიტყვა სასიდედრომ თქვა: „მე მამაჩემს ბ. ივანე მღებარს ვეპორჩილებიო. მე ამის მტეს არავის მირჩევს. მეც ღმერთის ნებით მიმიცია და გამითავებია (გვარამაძე, 1891:226)“.

სიდედრის შამა არის „უფროსი სიმამრი“, რომელიც ყველაზე კეთილგანწყობილი იყო ივანეს მიმართ. მან არა მარტო თანხმობა მისცა შვილიშვილზე დაქორწინებისა, არამედ კრიტიკულ მომენტში ხელიც გაუმართა. იე. გვარამაძე წერს: ვალის ასაღებად „მივმართე ვალეს, არალს, უდეს მღვდლებსა, ყველამ გაიწყვიტა, როგორც შეეხედე შურისგან კედებოდნენ და რა ხელს გამიმართავდნენ მე ისინი? ბოლოს ჩემმან უყროსმან სიმამრმან მ. იე. მღებარმან მომცა 10 თუმანი (გვარამაძე, 1891:245)“.

ივანეს უფროს სიმაშრს (სიდედრის მამას) მღებარი ქცევია მეტგვარად თუ გვარად არა, რასაც გვაფიქრებინებს შემდეგი ადგილი: „1869 ახალ წელიწად დღეს ვლადიკავკაზს ვიყავით. იქ დაგვხვდა მღებაროვის სიძე ბ. სარქის თრთაჯოვი, ჩემი მოკეთე (გვარამაძე, 1891:263)“. მღებაროვის მოკეთეობა სიდედრის მხრიდან იგულისხმება. მისი სიდედრი მღებარის შვილია, მათი სიძე კი თრთაჯოვი. “თბილისშივე მივაცემინე ჩემი კერძი 8 მანეთი ბ. კარლო მღებაროვს (გვარამაძე, 1891:273)“, ეს არის ბოლო მღებარი ი. გვარამაძის “ცხოვრებაში”.

აღნიშნული ტერმინიდან – მღებარი მივიღეთ გვარი მღებრიშვილი, რომელმაც რუსული დაბოლოებით მოგვცა მღებროვი. აგვისტინე კარლოვიჩი მღებაროვი, რომელიც იყო ივანეს ცოლის ფალოშათ იოანეს ასულ ანანოს მზითვის წიგნის შემდგენი, წერს: დამწერავიც მე ვარ და მეჯვარეცო (ლომსაძე, 1995:35).

მღებარი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ თავისი შინაარსით იგი არის ვლებაჲ ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა. შინაარსობრივად მართლაც ასე უნდა იყოს და უნდა ნიშნავდეს მღებავს, კაცს, რომელიც ღებავს, განსხვავებული განმარტება აქვს მღებარისა იე. გვარამაძეს თავის განმარტებით ლექსიკონში: მღებარი, მღებავი – სამღებროს მქონე (გვარამაძე, 1907:188).

საინტერესოა, რომ მღებარი გვარად თუ მეტგვარად გაფორმებისას გვარის მაწარმოებელ რომელიმე სუფიქსს არ იყენებს. როგორც ჩანს, მღებარი მაწარმოებლის გარეშე არსებობდა, რადგან მესხეთში ცოცხალი იყო -არ სუფიქსი, რომელიც წარმოშავლობის სუფიქსად იხმარებოდა: ღობიარი, ოთარი, ხერთვისარი და სხვა.

მოგვიანებით მღებარი მღებრიშვილად იქცა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსული დაბოლოება დაერთვის მღებარს და ვლებულობთ მღებაროვს, ხოლო მღებრიშვილი გვაძლევს მღებროვს.

ხელობის აღმნიშვნელ გვართაგან მესარკიშვილი და მღებრიშვილი მითითებული აქვს ზ. ჭუმბურიძეს, მას მჭედლიშვილის გარდა ჩამოთვლილი აქვს „სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარები: დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროშვილი, ხუროძე და სხვა“. ამასთანავე „საყურადღებოა, რომ ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები ხშირად გვხვდება

გვარებად წმინდა ფუძის სახით (გვარის მაწარმოებელი აფიქსების, ან -ძე და -შვილ დაბოლოებათა გარეშე) (ჭუმბურიძე, 2003:89)". ჩამოთვლილთა შორის ზ. ჭუმბურიძე ასახელებს მხატვარს. როგორც უკვე ითქვა, მღებარი სწორედ ამ ტიპისაა.

„ძრავალ ქართულ გვარს წოდება - თანამღებობის და პროფესია მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინები უდევს საფუძვლად. ხშირ შემთხვევაში ეს ტერმინები არაქართული იყო, აღმოსავლეთ მესობელთაგან ჩვენში შემოსულ-დამკვიდრებული... ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამ გვართა ფუძეების ტერმინებია შემოსული. გვარსახელები კი უშუალოდ ჩვენს ქართულ სინამდვილეშია წარმოქმნილი (თოფჩიშვილი, 2003:6)“. ხელობის აღმნიშვნელი გვარების ჩამოყალიბება გარკვეულწილად არაქართულენოვან გარემოსთან იყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დაკავშირებული.

საინტერესო მოსახრებას აყენებს ამ მხივ შ. ლომსაძე. მისი აზრით, “რადგან გაკათოლიკებული ქართველები ჩვეულებრივად მიწერილი იყვნენ ლათინურ ან სომხურენოვან კონდაკის მქონე ეკლესიებს, სადაც სომეხ და ლათინ სასულიერო პირებს თავიანთი კონდაკების კვალობაზე სასურველ შესაბამისობაში მიჰყავდათ ქართულ გვარ-სახელთა ასლებური წარმოება, იწარმოებოდა იგი ძირითადი საქმიანობის (ხელობის) ან საკუთარი სახელის მიხედვით, რომელიც მთლიანად ტიპიკონის კვალობაზე იყო გაწყობილი და საინდანაც შემდეგ უცნაურ მტოგვარებად ყალიბდებოდა (ლომსაძე, 1995:40-41)“.

გვართა ვარიანტულობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით. ერთ-ერთი მათგანია ხელობის აღმნიშვნელი გვარები, რომლებიც ცვლიან არსებულ ტრადიციულ ქართულ გვარებს.

გვარამაძეთა გვარის ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, რომ გვართა ვარიანტულობის მთავარი მიზეზი ტრადიციული ქართული გვარების უარყოფაა. ეს უარყოფა დაიწყო ჯერ ოსმალეთმა და გააგრძელა რუსულმა მმართველობამ. იქმნებოდა ახალი მეტსახელიდან მიღებული გვარები (ზოზოშვილი), ან ეძლეოდათ ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებიდან შექმნილი რუსულ-ქართული დაბოლოებიანი სხვა გვარები.

ვარიანტულობის უმთავრესი სათავე მაინც ქართული დაბოლოებების: -თ, -ძე, -შვილი და რუსული -ოვ -ის ჭიდილი იყო.

ივანე გვარამაძის ლექსიკონები

ჯერ კიდევ ვინმე მესხის (ივანე გვარამაძის) სიცოცხლეში წერდა ზაქარია ჭიჭინაძე: „ვინმე მესხი ანუ მოძღვარი ივანე გვარამაძე, ქართველებში ცნობილი პირია. ქართველ კთოლიკეთა საზოგადო საქმეთა ასპარეზზედ მას შესამჩნევი ადგილი უჭირავს, თითქმის უპირველესი, ამაზედ უკეთესი მოღვაწე-მოძღვარი, მწერალი და საქართველოს ისტორიის მცოდნე მათში ბევრი არაეინ არის, ერთის მხრით ასეთ პირთა ასეთი სიმცირე დიდი უბედურებაც არის, მაგრამ რა გავწყობა. ამ მოძღვარის შესახებ დაწერილებითი წერილიც რომ დაიწეროს, ის ნაწერი ვრცელი წიგნი გამოვა (ჭიჭინაძე, 1904:3)“.

ივანე გვარამაძის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან გვინდა გამოვყოთ განსაკუთრებით მისი ღვაწლი სალექსიკონო საქმეში. მისი განათლება, ქართულს გარდა ბერძნულის, თურქულის, ლათინურის, სომხურის ცოდნა უადვილებდა მას სალექსიკონო მუშაობას.

„ივანე გვარამაძეს ქართული წიგნების კითხვა პატარაობიდანვე ჰყვარებია. მის დროს მესხეთში არ დარჩენილა რამე ქართული ძველი და ახალი წიგნი, რომ მას იგი არ შეეძინა და რამდენ ზისმე არ გადაეკითხნა (ჭიჭინაძე, 1904:16)“.

ივ. გვარამაძე დაიბადა 1831 წელს. 50-იანი წლებიდან იგი იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს ქართული ენის, მისი ლექსიკური მარაგის მიმართ. 1959 წელს ივ. გვარამაძეს გადაუწერია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ თავისი შესავლით – „ანდერძნამაგით“ და სწორედ, ალბათ, ეს მოვლენა იქცა ვინმე მესხისათვის, მისი მომავალი მოღვაწეობისათვის გადამწყვეტ ფაქტორად, რომ მას მთელი ცხოვრების მანძილზე ეგროვებინა სიტყვები, განემარტა და დაეტოვებინა ლექსიკონები. დიდი საქმე ერთი ხელის დაკვრით არ კეთდება. გავიხსენოთ სულხან – საბა, რომელმაც „თავის სიტყვის“ კონას 30 წელი მოახმარა. ცნობილია, რომ, „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის დღემდე ცნობილი ავტოგრაფიული ნუსხები 6 რედაქციას გვიჩვენებს (ორბელიანი, 1965:656)“. გვარამაძის მიერ გადაწერილი ლექსიკონი ძირითადად C რედაქციას მისდევს, მაგრამ არის განსხვავებაც. ასე რომ, მოსალოდნელია, გადამწერს ჩვენთვის ცნობილ

რედაქციათაგან განსხვავებული ვარიანტიც ჰქონდა დედნად. მთავარი ის არის, რომ ივ. გვარამაძე ქართულ ტრადიციებზე დადგა თავიდანვე.

სულხან-საბა ორბელიანმა თავისი შრომა შემდეგნაირად „გაამართლა“: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოვებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაქარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზე გაერყნათ (ორბელიანი, 1965:66)“.

განმარტებითი ლექსიკონის ტრადიცია საქართველოში ფურემ მცირედან მოღის (მე-11 საუკუნის მეორე ნახევარი) (დლონტი, 1983:11), რაც, ბუნებრივია დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულ ლექსიკოგრაფს.

რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მესხეთი მე-19 საუკუნეში. დიდი საფრთხე დაემუქრა სამხრეთს ენის, ეროვნების, ეთნიკური თვითიყოფადობის დაკარგვის მხრივ. საჭირო იყო ხსნა, ბრძოლა. იბრძოდა მთელი ცხოვრების მანძილზე ვინმე მესხი.

ივ. გვარამაძის შემოქმედებას, მის ენობრივ მხარეს ასე ახასიათებს ზ. ჭიჭინაძე: „ქართული ენა და ლაპარაკიც კარგად იცის, ენას მცირედ პროვინციალიზმი ჰფლობს, მაგრამ ამით იგი არ დაიწუნება, ნაცვლად ამისა მისი ენა მდიდარია სხვადასხვა ქართული ტერმინებით, მის ნაწერებში კაცი ბევრს ისეთ სახელებს ჰპოვებს, რასაც სხვაგან ამგვარს არას შეხვედება, ბევრში იგი ისეთ მესხურ სახელებს ხმარობს, რაც მხოლოდ ოდესმე იხმარებოდა მესხ-კლარჯთ ქართველ მწერლებთაგან და შემდგომ კი აღარ ხმარებულა. ბევრი ძვირფასი და ხელის საგოგმანებელი ქართული ტერმინები შემოიტანა ჩვენს მწერლობაში (ჭიჭინაძე, 1904:24)“.

ივ. გვარამაძე თავის სალექსიკონო მუშაობას გარკვეულ მიზანს უსახავდა: „აქ მესხეთსა და ჯავახეთში ქართული ენა უნდა მეფობდეს, რადგანაც აქაური ერის ენა და აკვანი ეს ენა იყო, ხოლო ჟამთა ვითარების მეოხებით დღეს ეს ენა დაქვეითებული აქვთ და მრავალს ალაგას რყევას არს მიცემული და მის მაგიერ სხვა ენა იდგაეს ფეხსაო (ჭიჭინაძე, 1904:25)“.

ზოგ შემთხვევაში ივ. გვარამაძე თავისსავე თხზულებას დაურთავდა სიტყვათა განმარტებებს – ლექსიკონს. მაგალითად, მას 1882 წელს დაუწერია „წამება მიქაელ გობრონისა

და ასოცდააცამეტ მოყუასთა მისთა მცინხოვან მესხთ აზნა-
ურთა“. სიტყვები, რომელთათვისაც განმარტება ჩაუთვლია
საჭიროდ, ანბანთრიგზე გაუწყვია და დაურთავს „ლექსიკონი
უნვეულო ლექსებისა“, სულ 45 სიტყვა, რომელთაგან ჩვენ
საინტერესოდ გვეჩვენა შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

ბრკმა – წაკერა ფეხისა;

მსხები - ყარიბი უცხო ქვეყნისა;

სხემი – მსხემი, მწირი უცხო;

სხეპლა – ოქროს ბაფთი;

მოქილე – მოცილე, ბჭობი, და სხვა;

რომელთაგან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში
არ გეხვდება ბრკმა, მსხები, სხემი, მოქილე, ხოლო სხეპლა
შეტანილია საბას განმარტებით ლექსიკონში: „ოქროსა და
ვერცხლის თმა გაბრტყელებული“.

„ძველი მესხური კარაბადინს“ დართული აქვს ერთგვარი
საძიებელი ლექსიკონი. საძიებელი არა წამლებისა, რომელ-
ნიც ორ ნაწილად არის გაყოფილი: 1. „ლექსიკონში გაუტარ-
ებელი ძველი ლექსები“ და 2. „ცნობილი ლექსები“.

„ლექსიკონში გაუტარებელი ლექსებში“ ავტორი გულის-
ხმობს მანამდე არსებულ ლექსიკონებს სულხან-საბას და დ.
ჩუბინაშვილს. ეს ლექსიკონი განსაკუთრებული მნიშვნელო-
ბისაა, რადგან, როგორც ცნობილია, ამ სახის (ე. ი. კარაბა-
დინის) შრომებისათვის გამორჩეული ღირებულება აქვს მცე-
ნარეთა თუ ცხოველთა თანამედროვე განმარტებებს. ივ. გვა-
რამაძე ზოგიერთ მათგანს მის ლათინურ სახელსაც კი
უწერს. ზოგჯერ კი განმარტებულია არა მარტო ამა თუ იმ
მცენარის სახელი, არამედ სიტყვაც, ჩვეულებრივ როგორც
ლექსიკური ერთეული და მიწერილი აქვს ნაშრომის გვერდი.

მაგალითად:

აზრაგანჯი, ლენცოფას თესლი, 7

აზური 34 (აგური)

ამობადვა, ამოფხერა, 29

ასფლი, და სხვა (ს.ჯ.მ.ხ.ფ. № 119).

ზოგიერთი განუმარტავია, მხოლოდ ნშრომის გვერდი
აქვს მიწერილი მაგ: აქშამატი. 15; აღრადენ. 23; აყინო 36 და
სხვა.

ასევე საინტერესოა 1882 წელს სოფელ ხიზაბავრაში შე-
დენილი „ლექსიკონი ბუნებით მეცნიერებისა“, რომელსაც

ახლავს შესავალი, უფრო სწორედ, მიმართვა მკითხველისადმი: „პატივცემულო ბატონებო! გთხოვთ უმორჩილესად, ვისდამიცა ჯერ იყოს, შეასწოროთ, რაც შეიძლება, ეს მცირე ლექსიკონი, დიდი წილი გამოკრებილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონითგან; შესადგენლად მოკლე ზოოლოგიისა, რომ ასცილდეს საზოგადო შეცთომილებასა. მართალია, აქ მოკრებილი ყველა არ არის სახმარი ზოოლოგიისათვის, მაგრამ, რადგან ერთი და იგივე სახელწოდება ცხოველთა თუ მცენარეთა სხვა და სხვა რიგად გამოთქმულია ევროპულ თუ აზიურ ენებზედა ორ სამ ნაირად, ამისთვის საჭიროდ ვხედავ გაირკვეს, რაც შეიძლება ჩვენთვის და მომავალი თაობისათვისაც ადვილი გასაგებად“. ასეთი მიმართვა ტარდიციულია ქართული ლექსიკონების შედგენის ისტორიაში. სულხან-საბა ორბელიანი თავის „ანდერძთნამაგში“ წერს: „რომელნიცა ვიცოდნი, დაწერე და რომელნიცა ძნელი სიტყვანი არა ვიცოდნი, ღრმათა წიგნებთა შინა ეპოვე. და რომელიმე სხვა ენათა შევამოწმე და გამოწველილეთ რომელნიცა ეპოვე, ადვილად თან მოვაწერე... თუ ვინმე სხვაგან უცხო სიტყვა ჰპოოთ, ანუ თარგმანი სიტყვისა, გინა წერილთაგან გამოიღოთ, ამ წიგნთა შინა ჩაურთეით, რამეთუ მე მრავალი სიტყვა დამიშთა, რომელიმე ღია სმენითა და წერილთა უნახაობითა, რომელიმე ნუსხათა დაკარგვითა და დაეიწყებითა, გარნა რაოდენ ძალ-მედვა, ეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან... უმრავლესი დამიშთა ამისათვის, რამეთუ მე ქართულთა ენისაგან კიდე სხვა ენა არა ვიცოდნი... და თქვენ იგულსმოდგინეთ, რომელთა მოგსცესთ უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, თქვენ შეასრულეთ (ორბელიანი, 1965:32-33)“.

ივ. გვარამაძის „ლექსიკონი ბუნებით მეცნიერებისა“ ერთი მხრივ მისდევს თავის დიდ წინამორბედს სულხან-საბა ორბელიანს და სიმბოლოებით აღნიშნავს მცენარეს, ფრინველს, თევზს და სხვა, ხოლო მეორე მხრივ იგი თითქმის ყველა სიტყვას მიუწერს მის ლათინურ სახელს პირველ ნაწილში, ხოლო ლექსიკონის მეორე ნაწილი წარმოადგენს ანბანთრიგზე გაწყობილ ლათინურ სახელებს, რომელთაც ქართული შესატყვისი აქვს მიწერილი.

ივ. გვარამაძის ზემოთ დახასიათებული ყველა ლექსიკონი მნიშვნელოვანია, მათ გარკვეული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ქართულ ლექსიკონების ისტორიაში, მაგრამ უმ-

თავრესი შრომა ივანე გვარამაძისა ამ საქმეში არის „ქართული ლექსიკონის დასამატი ლექსები სიტყვიერების გასამრავლებლად შედგენილი ახლად მესხი ივ. მღ. გვარამაძისგან სახელმძღვანელოდ საქართველოს ერთტომ მოგვარე მცხოვრებთა მესხთა, ქართველთა, იმერლთა, კახელთა...“

ეს შრომა დასრულდა 1893 წელს (ს.ჯ.ი.მ.ფ., №2102). თუ სულხან-საბა თითქმის ნახევარი საუკუნე მუშაობდა თავის „სიტყვის კონაზე (დლონტი, 1959:179)“ საფიქრებელია, რომ მისი ლექსიკონის გადაწერიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე იღწვოდა ივ. გვარამაძე თავის შრომაზე.

ცნობილია, რომ თავის „ქართულ რუსულ ლექსიკონს“ საფუძვლად დავით ჩუბინაშვილმა დაუდო სულხან-საბა ორბელიანის განთქმული ქართული ლექსიკონის მონაცემები და გაითვალისწინა კიდევ თავისი ბიძის ნიკო ჩუბინაშვილის შედგენილი ქართულ-რუსული ლექსიკონის მასალები. ამ წყაროებით იგი სარგებლობდა ხელნაწერებში... (შანიძე, 1984)“. ივ. გვარამაძემ თავისი შრომას „დასამატი ლექსები“ უწოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი აღარ იმეორებს სულხან-საბასა და ჩუბინაშვილის ლექსიკონებს.

ივ. გვარამაძის შრომისმოყვარეობის ნაყოფია მისი ლექსიკონები, წერილად ნაწერი, რომელსაც დღევანდელი მომხმარებელი გამადიდებელი შუშით თუ წაიკითხავს, ვინმე მესხი კი მოუღლეღი თვალებით უსათვალოდ მუშაობდა. მისი შვილი კონსტანტინე გვარამაძე მოგვითხრობს: „ივანე გვარამაძეს მთელ დღეს, დილის რვა საათიდან ნაჩაივეს დაახლოებით თორმეტ საათამდე თავის სამწერლო მაგიდაზე ნახავდით თავწაღებულს. ბატის ფრთის კალმით სულ ერთაეად სწერდა... შუადღეს ისადილებდა, ნასადილევს ნახევარსაათს ბოლთას სცემდა... შემდეგ თვალს წაატყუებდა... დაწვეებოდა, 20-25 წუთს იძინებდა, ადგებოდა და მიუჯდებოდა თავის საწერს, საღამოს მზის ჩასვლამდე არ ადგებოდა (ყრუაშვილი, 1999:62)“.

დღეს ჩვენს ხელთ არის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ინახება საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში და რომელიც ორ სვეტად ნაწერ ხუთასამდე გვერდს შეიცავს. თითოეულ გვერდზე 100-დან 160-მდე სიტყვაა განმარტებული, საბოლოოდ კი – 50 000-ზე მეტი სიტყვა.

თვალსაწინიერებისათვის ოციოდე სიტყვა შევადარეთ სულხან-საბასა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებს. მივიღეთ შემდეგი სურათი:

სულხან-საბა ორბელიანი	ივანე გეარამაძე (ვინმე შესხი)	ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
-	აადრება, ჰაერის მოშლა, აყდრიანობა	-
-	ააეება, აეად გახდენა, გააეება რამეზედა	-
-	აბა, მამის წილ შეგულისანება მომავალზედა, ახალ საქმეზედა	ნაწილაკი
-	აბაბანება, აკანკალება ძლიერ, კანკალი-თახთახი	აბაბანება, აკანკალება, აძაგძაგება
-	აბაგა, ბაგის აკერა, სიგრძესე გადაება კედლი დარგზედ	-
-	აბადრება, მთვარის გაყსება, გაბადრება 15 დღეზედ	-
-	აბაეთრება, აბაეთდა, სამგლოვოდ გახდენა შემთხვევისა	-
-	აბაეშეება, ბაეშეად გახდენა მოხუცისა სიმსუბუქით	აბაეშეებს
აბაზანა, საბანოე ტაშტი ბაზმაროი	აბაზანა, ვანა, საბანელი, დიდი ლაგანი ტაშტი	აბაზანა, დიდი მოგძო საბანოე ჭურჭელი
აბაზი, ოთხი შაური, ორმოცი ყოლი	აბაზი, ოთხი შაური	აბაზი, ოცი კაპიკის ღირებულების ვერცხლის ყული
-	აბაზაზება, ბაზაზობის მოყოლა, ბაზასად ქცევა	-
-	აბაზმება, ბაზმისებრ განათება, ჭრაქიეთ	-
-	აბაჟე, შეგულისანება საქმეზედა	-
-	აბათმანება, ბათმანათ ქცევა, მძიმედ ყოფნა. ისე იყავ მძიმედ, რომ ბათმანი გამოხვიდე	-
-	აბაეება, ბაკად ქმნა, მთვარე რომ მოიდგამს ბაკსა	-

-	აბაიძეობა, ბაიძის ამარ- თვა, აშეება	-
-	აბალახება, ბალახზედ გაშეე- ბა, ბალახის მომრავლება.	აბალახება, ბალახის მოჭარბება, ბალახით დაფარვა, აბალახებს- კუთხ. იმერ. ბალახის აჭმეეს
-	აბალთვა, ბალთების დაგება, კორტნა, ხისა ჭრა	-
-	აბალნიანება, ბალნის გახში- რება, გაზრდა	-
-	აბალღაშება, თხლამის ჩად- გომა, ბალღამად ქცევა მუწუ- კისა	-
-	აბანბვა, ბანბად ქცევა, ბანბის დაღება სამოსზედა	-
-	აბანღვა, ბანღების აკერა კა- რის ამჟოლ ნაპრალებზედა	-
-	აბანვა, პირუტყვით ვეხთ წყლის შესხმით გაბანვა ან ტანისა	-

როგორც ვხედავთ, განსამარტი სიტყვების აბსოლუტური უმრავლესობა შესულია მხოლოდ ივანე გვარამაძის ლექსიკონში. ასეა მთელი ნაშრომის მანძილზე. შეიძლება ითქვას, რომ ვინმე მესხის ლექსიკონი გეთავაზობს ახალ მასალას, რომელიც ცნობილი არ არის ქართულ ლექსიკოგრაფიაში. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ალ. ღლონტის სიტყვები, რომელიც მან, მართალია, ძველი ქართული ენის ლექსიკონების შესახებ თქვა, მაგრამ, გარკვეული კუთხით, ჩვენს შემთხვევასაც ეხმიანება: „ლექსიკონი ბევრია, მაგრამ განმარტებულ სიტყვათა რაოდენობა — ცოტა. ლექსიკონის ღირსება და თავისთავადობა კი იწონება მხოლოდ განსამარტავ სიტყვათა ნაირობითა და რაოდენობით (ღლონტი, 1983:205)“.

არნ. ჩიქობავა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შესავალში წერს: „განმარტებითი ლექსიკონი უკუფენს ენისა და — ენის მეშვეობით — კულტურის მდგომარეობას, ამდენად იგი ეპოქის დოკუმენტია (ჩიქობავა, 1950:007)“.

ივ. გვარამაძის შრომა „ეპოქის დოკუმენტია“, კერძოდ იგი ასახავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის კულტურის მდგომარეობასაც. ბევრი

სიტყვა დღეს აღარ იხმარება ჩვენს მეტყველებაში და ეს ბუნებრივიცაა, რადგან აღარ არის შესაბამისი აღსანიშნი ობიექტი. ზოგ შემთხვევაში დიალექტური ლექსიკაც გვხვდება, რაც კიდევ უფრო დასაფასებელია.

ივ. გვარამაძე სალექსიკონო ერთეულის განმსაზღვრელად სიტყვის სემანტიკურ მხარეს მიიჩნევს და ლექსიკონი იმ პრინციპების მიხედვით არის შედგენილი, რომელსაც მისდევს „ქართულ ენაზე დაწერილი ყველა ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანიდან მოყოლებული, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატიომეულის გამოსვლის დაწყებამდე (ცოცხანიძე, 2008:66)“.

ას წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ლექსიკონი შეიქმნა. ხელნაწერს აქვს ბოლოში მინაწერი კოტე გვარამაძისა, რომელიც დათარიღებულია 1938 წლით: „ამ დედნის ასლი, ე.ი. გადათეთრებული, პროფესორ ნ. მარს კქონდა მინდობილი სარედაქციოთ, რაც უნდა ჩოინახოს მის არქივში. მისივე სახელობის ინსტიტუტში“.

ეს „ასლი“ ინახება კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამგვარად გვაქვს ორი ხელნაწერი ერთი ახალციხისა მიზეუმში დაცული და მეორე თბილისში. საჭიროა მათი დაკვირვებული შეჯერება და გამოცემა დროზე.

ივ. გვარამაძის „დასამატი ლექსები“ სამაგიდო წიგნი იქნება სპეციალისტებისათვის, ხოლო მისი ავტორი დაიკაევბს კუთვნილ ადგილს ქართველ ლექსიკოგრაფთა შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბაშიძე 2007 – ზ. აბაშიძე, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია, კრებული „ზარზმა“, 2007.
- აბულაძე 1973 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.
- ათონელი 1982 - გიორგი ათონელი, იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება, ქართული პროზა, წიგნი I, 1982.
- ალხაზიშვილი 1978 – ი. ალხაზიშვილი, ჯავახური ლექსები, 1978.
- ანდრონიკაშვილი 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობიდან, I, 1966.
- ბარათაშვილი, 1997 – კ. ბარათაშვილი, მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები, 1997.
- ბედოშვილი 1980 – გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, 1980.
- ბედოშვილი 2002 – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2002.
- ბერიძე 1981 – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, 1981.
- ბერიძე 1988 – გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, 1988.
- ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 1912
- ბერიძე 1955 – ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955
- ბერიძე..., 1998 – ვ. ბერიძე, მ. ბერიძე, ორი თურქული სიტყვა ქართული ენის მესხურ დიალექტში, თსუ ახალციხის ფილიალის შრომები I, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ახალციხე, 1998
- ბერიძე 1977 - თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, 1977.
- მარინე ბერიძე 2005 – მარინე ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები (1918-1944 წწ), 2005.
- ბერიძე 1977 - მ. ბერიძე, ტოპონიმ „ვარძის“ ეტიმოლოგიისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია №2, 1977.
- ბერიძე 1992 – მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), 1992.

ბერიძე 2001 – მ. ბერიძე, არტაანის გუბერნიის ტოპონიმთა უახლესი ისტორია, კრებული ახალციხე-ყარსი, 2001.

ბერიძე 2002 – მ. ბერიძე, ჯავახეთის ძეგლთა მდგომარეობა (სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში, 1979 წ.) ჯავახეთი (ისტორია და თანამედროვეობა), 2002

ბერიძე 2005 – მ. ბერიძე, ახალციხისა და რაბათის ისტორიული ტოპონიმისათვის, კრებული „მესხეთი“, VI-VII, 2005.

ბერიძე 2006 – მ. ბერიძე, ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში, 2006.

ბერიძე 2006 - მ. ბერიძე „ტაო-კლარჯეთში დადასტურებული ქართული სახელები,“ თსუ მესხეთის უნივერსიტეტის შრომები, I, 2006.

ბერიძე 2007 – მერაბ ბერიძე, მითოლოგიური გმირი და „ამირანის გორა“ ქართველური ონომასტიკა, III, 2007.

ბერიძე 2008 – მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, 2008.

ბერიძე 2008 – მ. ბერიძე, ღრელის საფარისა და ლაშხვის ტოპონიმია, სსიპ ახალციხის ინსტიტუტის შრომები, I, 2008

ბერიძე., 2005 ნ. ბერიძე, მ. ბერიძე, ზანურ მესხური შეხვედრები, საენათმეცნიერო ძიებანი. XIX, 2005.

ბერძენიშვილი 2006 - დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები 2006.

ბერძენიშვილი 1964 – ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, 1964.

ბოჭორიძე 1992 – გ. ბოჭორიძე, მოგზაირობა სამცხე-ჯავახეთში, 1992.

გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965.

გელოვანი 1983 ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, 1983.

გვარამაძე 1882 – ივ. გვარამაძე, ქართლის ცხოვრება, 1882.

გვარამაძე 1891 – ივ. გვარამაძე, ცხოვრება ვინმე მესხისა 1891 წ. ს.ჯ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი №209.

გვარამაძე 1907 – ივ. გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, 1907 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №52.

ივ. გვარამაძე, აღწერა მესხეთისა და სტამბოლისა, ს.ჯ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი №2102.

გიგინეიშვილი ..., 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961.

ენუქიძე 1977 – ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოცემად მოამზადდა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, 1977.

ვანნაძე 1975 – ნ. ვანნაძე, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ როგორც საისტორიო წყარო, 1975.

ვახუშტი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.

ზაქარაია 2002 – პ. ზაქარია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, 2002.

ზედგინიძე 1969 – გ. ზედგინიძე, ამირანის ლეგენდის ჯავახური ვარიანტი, კრებული თედო სახოკია, 1969 წ.

თაყაიშვილი 1918 – ვ. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება I, 1918.

თორდია 1990 – კ. თორდია, რელიგიური საკულტო ძეგლები და ჩვეულებანი სოფელ ჭობარეთში, კრებული, ძველი და ახალი ჭობარეთი, 1990

თოფურია 1968 – გ. თოფურია, „ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან“ (სამცხის ტოპონიმიკიდან), „მაცნე“ 1968, №6,

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, 2000.

თოფჩიშვილი 1997 – რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები, 1997.

თოფჩიშვილი 2003 – რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წიგნი I, 2003.

თურქულ-ქართული ლექსიკონი 2001 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აკად. გ. წერეთელის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. საქართველო-თურქეთის სა-

მეცნიერო-კულტურული ურთიერთობების საზოგადოება,
სტამბოლი 2001

ივანიძე..., 2007 – გ. ივანიძე, მ. ივანიძე, „ურავლის ხეობა,“ 2007.

იმნაიშვილი 1957 - ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957.

ინგოროყვა 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954.

კეკელიძე 1957 – კ. კეკელიძე, К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1957.

კოტეტიშვილი 1967 – ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, 1967.

კუტალაძე, მაისურაძე 1994 – გ. კუტალაძე, ო. მაისურაძე, „ჭულე“, 1994.

კუტალაძე, მაისურაძე 2008 – გ. კუტალაძე, ო. მაისურაძე, „ჭულე“, 2008.

ლაფაჩი 1990 – ც. ლაფაჩი, სოფელ ჭობარეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, კრებული ძველი და ახალი ჭობარეთი, 1990.

ლეონტი მროველი 1955 – ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955.

ლიჩელი 2008 – ვ. ლიჩელი, აწყური – ძველი სამცხის დედამამუცე, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, 2008.

ლომსაძე 1975 – შ. ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, 1975

ლომსაძე 1978 – შ. ლომსაძე, გვიანი შოასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები 1978.

ლომსაძე 1995 – შ. ლომსაძე, მესხები, ახალციხური ქრონიკები, II 1995 წ.

მაისურაძე 1937 – ი. მაისურაძე, ექსპედიციის მასალები, ს. ჯ. ი. მ. ფონდი, ხელნაწერი №3. 1937.

მაისურაძე 1945 ი. მაისურაძე. ექსპედიციის მასალები, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი 3141, 1945.

მაისურაძე 1967 - ი. მაისურაძე, ვარძიის ეტიმოლოგიისათვის გაზეთი „ბორჯომი“, 1967, №4.

მაისურაძე 1976 ი. მაისურაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები სამცხის რამდენიმე ტოპონიმზე, ტოპონიმია, I, 1976.

მაისურაძე 1990 - ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სა-
ლექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), 1990.

მაკალათია 1937 - ს. მაკალათია, ჯეკე-მისარინის კულტი
ძველ საქართველოში, 1937.

მარი 1911:კბ - Георгій Мерчуль, Жизнь св. Григорія
Хандзійскаго, ნ. მარის შესავალი, გამოცემა, თარგმანი,
სანკტ პეტერბურგი, 1911.

Март, 1935 - Н.Я. Март, избранные работы, том пятый, 1935.

მატიანე ქართლისა, 1955 - მატიანე ქართლისა, ქარ-
თლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი
ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955.

მარტიროსოვი 1984 - არ. მარტიროსოვი, ქართული ენის
ჯავახური დიალექტი, 1984.

მაყაშვილი 1961 - ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკო-
ნი, 1961

მახარაძე 1995 - ნ. მახარაძე, საიდან მომდინარეობს სა-
ხელწოდება „გელათი“, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე,
1995, №4

მელითაური... 1955 - კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ.
ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, 1955.

მელიქიძე 2007 - ს. მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპო-
ნიმია, 2007.

მელქისეთ-ბეგი 1934 - ლ. მელქისეთ-ბეგი, ტოპონიმიკური
შტუდიები, ხუნანისა და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმო-
ლოგიისათვის, „მარქსისტული ენათმეცნიერება“, 1934.

მენაბდე, 1962 - ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლო-
ბის კერები, ტ. I, ნაკვეთი II, 1962.

მენაბდე 1980 - ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის
კერები, 1980.

მერჩულე 1949 - გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ
ხანძთელისა, დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო
პავლე ინგოროყვამ, 1949.

მერჩულე 1982 - გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრება, ქართული პროზა I, 1982.

მესხი 2009 - თ. მესხი, „მაიამს კულტი I-VI ს.ს. ადრექ-
რისტიანულ საქართველოში,“ ქუთაისური საუბრები, XII
სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამა და მასალები, 2009.

მექაია 1974 – მექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, 1974.

მიქაუტიძე, ფუტკარაძე 2006 – მ. მიქაუტიძე, ტ. ფუტკარაძე, იმნიეთის მიკროტოპონიმები, XXVI რესპუბლიკური დიაიქტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2006.

მინიტიშვილი 1995 – მ. მინიტაშვილი, ივ. გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებანი, 1995.

მოსეშვილი 1990 – შ. მოსეშვილი, ტატანისი, გაზეთი „სამცხე“, 1990, №108

მოხევიშვილი 1990 – ნ. მოხევიშვილი, „სოფელ ჭობარეთის მოსახლეობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი“, კრებული — ძველი და ახალი ჭობარეთი, 1990.

მროველი 1955 - ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955.

მუსხელიშვილი 1939 - ღ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939.

ნორაკიძე 1971 - ნ. ნორაკიძე, ზანიზმები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში, „მნათობი“ 1971, №4.

ორბელიანი 1965 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV-I 1965.

ორბელიანი 1966 - სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV-2, 1966.

ორბელიანი 1978 – სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, საქართველოს ისტორიის წყაროები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 1978.

ონიანი 1969 – ო. ონიანი, ამირანის ლეგენდის სვანური ვარიანტი, კრებული თედო სახოკია, 1969.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1990 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, 1990.

ჟღენტი 1965 – ს. ჟღენტი, გურული კილო, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965.

სამსონიძე 2000 – ე. სამსონიძე, მესხური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“, 2000.

სამსონიძე 2006 – ე. სამსონიძე, ტატანისი, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ №89, 2006.

- საქ. ტოპ., 1989 – საქართველოს ტოპონიმია, II, 1989.
- საქ. ტოპ., 2003 – საქართველოს ტოპონიმია, ტ. III, შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია, 2003.
- სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1985
- სილაგაძე, თოთაძე, 1997 – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე – გვარსახელები საქართველოში, 1997.
- სილოგავა 1997 ვ. სილოგავა, ხეოთის ახლად აღმოჩენილი წარწერები, მესხეთი I, 1997.
- სილოგავა 2001 – ვ. სილოგავა, „სათხის წარწერები“ „ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა“, 2001.
- სიხარულიძე 1958 – ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, 1958
- ს.მ.ე.ლ. 2007 - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007.
- სულაძე 1937 - ვ. სულაძე, ს. ჯ. ი. მ. ფ. ხელნაწერი №88, 1937.
- ტალახაძე 1999 - ი. ტალახაძე, „ვაჰანის ქვაბთა განგებვის“ ხელნაწერი (აღწერილობა, შესწავლის ისტორია, დათარიღება) მესხეთი, III, 1999.
- ტოპონიმია 1987 საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, 1987.
- უთურგაიძე 2007 – თ. უთურგაიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვი ქართულში, კრებული ქართველოლოგია, I, 2007.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი 2000.
- ფრონელი 1991 – ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, 1991.
- ფოცხოვისპირელი 2002 – შ. ფოცხოვისპირელი, ვინმე მესხი-ივანე გვარამაძე, კრებული „ოპიზარი“, II, 2002.
- ქართლის ცხოვრება 1959 - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959.
- ქაჯაია 2002 – თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, 2002.
- ქ.ა.ბ.ს.ლ. 2005 – ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I, 2005,
- ქ.ე.გ.ლ. 1953 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ., III, 1953.
- ქ.ე.გ.ლ. 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ., IV, 1955.
- ქ.ე.გ.ლ. 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, 1958.

ქ.ე.გ.ლ. 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ., VI, 1960.

ქ.ე.გ.ლ. 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VII, 1962.

ქ.ე.გ.ლ. 1964 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, 1964.

ქუქჩიშვილი 2007 – შ. ქუქჩიშვილი, მეტეგვართა წარმოებისათვის მესხურში (სოფელ ხიზაბავერის მაგალითზე), კრებული ქართველური ონომასტიკა, III, 2007.

ღლონტი 1967 – აღ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1967

ღლონტი 1975 – აღ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, 1975.

ღლონტი 1981 – აღ. ღლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია, 1981.

ღლონტი 1981 – აღ. ღლონტი, ტოპონიმური ძიებანი, III, 1981.

ღლონტი 1982 – აღ. ღლონტი, ქიზიყის ტოპონიმია, 1982

ღლონტი 1983 - აღ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, 1983.

ღლონტი 1984 – აღ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984.

ღლონტი 1986 – აღ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1986.

ღლონტი 1987 – აღ. ღლონტი, ტოპონიმური ძიებანი, V, 1987.

ღლონტი 1988 - აღ. ღლონტი, ფრონეების ხეობის ტოპონიმია, 1988.

ღლონტი 1988 – აღ. ღლონტი, სუფსა-ნატანების ტოპონიმია, 1988.

ღლონტი 1993 – აღ. ღლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები, 1993.

ყანდარაშვილი 1961-1981 – დ. ყანდაშვილი, ბორჯომის ხეობა და სამცხე-ჯავახეთი 1961-1981.

ყრუაშვილი 1999 – ნ. ყრუაშვილი, კონსტანტინე გვარამაძე, 1999.

ყრუაშვილი 2002 – ნ. ყრუაშვილი, ივანე გვარამაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა და პედაგოგიური შეხედულებანი 2002.

შავიანიძე 2001 დ. შავიანიძე, ქართულ გვართა და სა-
ლოცავთა მიმართების საკითხისათვის, ქართველური მემ-
კვიდრუობა, V, 2001.

შანიძე 1949 - აკ. შანიძე, ქართული ენის ისტორიული
ქრესტომათია, აკ. შანიძის რედაქციით, 1949.

შანიძე 1973 - აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის სა-
ფუძვლები, 1973.

შანიძე 1976 - აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამა-
ტიკა, 1976.

შანიძე 1981 - აკ. შანიძე. -ევ კილოს კვალი საქართვე-
ლოს გეოგრაფიულ სახელებში, თხზულებანი თორმეტ ტო-
მად, ტ. II, 1981.

შარაშიძე 1961 - ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს
ისტორიის მასალები (XV- X I სს.), ტექსტი, პუბლიკაცია,
გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, 1961.

შენგელია 2006 - ე. შენგელია, ქართველურ და ჩერქე-
ზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, 2006.

შონია 2006 - ა. შონია, სახელთა დერივაციის თანმხლე-
ბი მორფოფონოლოგიური პროცესები მეგრულსა და ლა-
ზურში, საკანდიდატო დისერტაცია, 2006.

ჩ.ე.ჯ.დ. 1979 - „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დაეთარი“,
თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამ-
ზადა ცისანა აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვა-
ნიძემ 1979.

ჩიტაია 2001 - ჩიტაია გ., შრომები, III, 2001.

ჩიქობავა 1938 - არნ. ჩიქობავა, „ჭანურ-მეგრულ-ქართული
შედარებითი ლექსიკონი,“ 1938.

ჩიქობავა 1942 - არნ. ჩიქობავა, სახლის ფუძის უძველესი აკე-
ბულება ქართველურ ენებში, 1942.

ჩიქობავა 1950 - არ. ჩიქობავა, შესავალი, ქ.ე.გ.ლ, ტ I,
1950.

ჩიქოვანი 1963 - მ. ჩიქოვანი, ხალხური შემოქმედების ის-
ტორიის საკითხები, 1986.

ჩუბინაშვილი 1984 - დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული
ლექსიკონი, 1984.

ჩუბინიშვილი 1963 - ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორან
1963.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა
შედარებითი ლექსიკონი, 2000-2003.

ცეცხლაძე 2000 – ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტო-
პონიშია, 2000.

ცეცხლაძე 2004 – ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუ-
ზის ტოპონიმიიდან, 2004

ცისკარიშვილი 1959 – ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის
ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, 1959.

ცოცანიძე 2008 - გ. ცოცანიძე, ორი განსხვავებული
პრინციპის შესახებ ქართულ ლექსიკოგრაფიაში, ქართვე-
ლოლოგია, №3, 2008.

ცხადაია 1988 - პ. ცხადაია, ონომისტიკურ ტერმინთა გან-
მარტებითი ლექსიკონი, 1988.

ცხადაია 2000 – პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახე-
ლებანი სამეგრელოში, 2000.

ცხადაია, ჯოჯუა, 2003 – პ. ცხადაია, ე. ჯოჯუა, სამურ-
ზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 2003.

ცხადაია 2005 - პ. ცხადაია, ონომისტიკის შესავალი,
2005.

ძიძიგური 1954 – შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დია-
ლექტოლოგიიდან, 1954.

ძიძიგური 1975 – შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრე-
ბი, 1975.

ძნელაძე 2005 – ძნელაძე, გურული დიალექტის ტოპონი-
მური სისტემა, 2005.

ჭანტურია 2006 – ა. ჭანტურია, მეგრული სახელები და
გვარები, 2006.

ჭიჭინაძე 1904 – ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ხურსიდის (ისარ-
ლოვი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი, 1904.

ჭიჭინაძე 1904 - ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა
მოღვაწე ივანე გვარამაძე (ეინმე მესხხი), 1904.

ჭუმბურიძე 2003 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? 2003.

ჭყონია 1955 – ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიუ-
ლეთში, 1955.

ჯავახეთი 2000 ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრუ-
ლი გზამკვლევი, 2000.

ჯავახიშვილი 1930 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს
ეკონომიკური ისტორია, წიგნი I, 1930.

ჯავახიშვილი, 1959 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად ტ. II, 1983.

ჯავახიშვილი 1970 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.1, 1970.

ჯავახიშვილი 1979 - ივ. ჯავახიშვილი თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, 1979.

ჯავახიშვილი 1983 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1983. ჯავახიშვილი 2002 - ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

ჯიქია 1941 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ველაითის დიდი დავეთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, წიგნი II, თარგმანი, 1941.

ჯიქია 1950 - ს. ჯიქია, სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, სტალინის სახ. თსუ შრომები, XI, I, 1950.

ჯიქია 1958 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ველაითის დიდი დავეთარი, წიგნი III, 1958.

ჯ.ი.ხ.გ. 2000 - „ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი“, 2000.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988 - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, 1988

ჯორბენაძე 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1989.

ჯუანშერი 1955 - ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955.

ხარაძე 1939 - რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, 1939.

ხორნაული 1983 - გ. ხორნაული, მთები და სახელები, 1983.

ხორნაული 2007 - გ. ხორნაული, შტო-გვარი თუ გვარის ფესვი?, კრებული ქართველური ონომასტიკა, III, 2007.

ხოსიტაშვილი 1972 - ხოსიტაშვილი, ნასოფლარები ურავლის ხეობაში, ეურნალი ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1972.

ხუცესი 1949 – იაკობ ხუცესი, წამება წმიდისა შუსანიკისი დედოფლისა , ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, 1949

Джаншиев 1900 Гр. джаншиев, перл—Кавказа, (Боржом-абастуман, Москва, 1900.

Мифы народов мира, I, Москва, 1998.

Μπαμπινιώτης 2002 - Γ.Μπαμπινιώτης, Λεξικό της Νέας Ελληνικής Γλώσσας, 2002.

Ростомов 1898 - И. Ростомов, Археологические памятники Джавахетий, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. XXV, Тиф., 1898.

Örnekleriyle Türkçe Sözlük 4. cilt MEB Yay. Ankara, 1995

Հակոբյան..., 1986 Թ. Խ. Հակոբյան, Ստ. Տ. Մելիք-Բախչյան, Յ. Խ. Բարսեղյան, Հայաստանի եվ հարակից շրջանների տեղանունների բառարան, հ. I 1986.

Կարասիության 2006 – Սամվել Կարասիության Ջալախք 2006

Սանոսյան 1992 – Արուշ Սանոսյան, Ախոխախի եվ Ախալբուլաքի գավառների 1918-ի ինքնառաջարկանություն 1992

Հակոբյան, Մելիք-Բախչյան, Բարսեղյան 1998 - Թ.Խ. Հակոբյան Սր. Տ. Մելիք-Բախչյան Հ. Խ.

Բարսեղյան Հայաստանի եվ հարակից շրջանների տեղանունների բառարան հ IV 1998

სარჩევი

1. ტაძრები და სახელები.....	3
2. ვარძია	15
3. ვანის ძვანები	22
4. კიდეშ ერთი ეკლესიონიმი.....	27
5. აწყურის ეტიმოლოგიისათვის.....	31
6. სამსრის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის.....	36
7. სათხის ეტიმოლოგიისა და ისტორიისათვის	44
8. ჭულევი	56
9. საროს ციხე და ტაძარი	63
10. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ონომასტიკისათვის.....	72
11. ღრელის, საფარისა და ლაშხავის ტოპონიმი.....	88
12. ჭობარეთი	120
ა) ძველი და ახალი ჭობარეთი.....	120
ბ) სოფლის ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის.....	124
გ) ჭობარეთის ეტიმოლოგია	126
დ) ჭობარეთის მოსახლეობა მე-16 საუკუნეში.....	129
ე) ჭობარეთელი თუ ჭობარელი	130
13. საყვეარე	132
14. ერკოტა და მისი შემოგარენი.....	134
15. საძელი	150
16. ფაფის ეტიმოლოგიისათვის.....	153
17. წითელი საყდარი მესხეთის ტოპონიმიში (კიზილ ქილისა).....	156
18. აღდგენილი სოფელი საირმა	160
19. ბობა და ბობთა.....	168
20. ბუზმარეთები ერუშეთსა და სამცხეში.....	171

21. ტატანისი.....	176
22. ჩითახევი - მესხეთის უკველესი ტოკონიმი.....	186
23. დიდი ოჯახები და –უბან კომპონენტინანი ანთროპო(ო)იკონიმიები „ბურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაჰთრის“ მიხედვით.....	190
24. თოღერთა და თოღრელები.....	204
25. ორჯოშანი.....	207
26. სოფელ უდის უბნები.....	210
27. უდის მოსახლეობა მე-16 საუკუნეში.....	216
28. სუბსტრატისათვის სოფელ ანდის ონომასტიკაში.....	227
29. კორ- ვუძიანი საკუთარი სახელები.....	232
30. ანდრია მოციქულის შემოსვლა სამცხეში და ისტორიული ტოკონიმიები.....	237
31. ზოგი საკუთარი სახელის შესახებ „ბრიბოლ ხანძელის ცხოვრებაში“.....	243
ა) წერტა.....	243
ბ) მატოი.....	245
32. მითოლოგიური ბმირი და „ამირანის ბორა“.....	248
33. აზერბაიჯანული ეკოსის ბმირის სახელი ქართულ ტოკონიმიში.....	257
34. ივანე გვარამაძის ონომასტიკური მემკვიდრეობიდან.....	259
35. -თანინი ფორმები ივ. გვარამაძის „ვინმე მესხის ცხოვრების“ მიხედვით.....	267
36. გვართა ვარიანტულობა ანუ „ვინმე მესხის“ ბრძოლა გვარამაძეობისათვის.....	275
37. ივანე გვარამაძის ლექსიკონები.....	286
38. გამოყენებული ლიტერატურა.....	294



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge